14
74/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

50 წელი

2

1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# მნათობი

ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო, სამეცნიერო ჟურნალი

## № 1

თბილისი ═══ 1924 ═══ თებერვალი

საქართვ. პოლიტგანათლების მთავარმმართვ. გამომცემლობა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 50-ე | № 2 | თებერვალი, 1974 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### ჟურნალ „მნათობის“ 50 წლისთავი


გრიგოლ აბაშიძე — ჩვენი „მნათობი“ . . . 3
ირაკლი აბაშიძე — ჩვენი საყვარელი ჟურნალი . . . 5
გურამ ასათიანი — უფრო მხნედ . . . 5
მარიკა ბარათაშვილი — მარადიული სიცოცხლე „მნათობს“ . . . 6
თენგიზ ბუაჩიძე — მოწოდების სიმაღლეზე . . . 7
კონსტანტინე გამსახურდია — ახალი წარმატებები ვუსურვოთ იუბილარს . . . 8
ვახტანგ გორგანელი — შენ წინსვლას ვაშა! ლექსი . . . 9
ლადო გუდიაშვილი — ვუსურვოთ და მივულოცოთ . . . 9
გურამ დოჩანაშვილი — ქართული სიტყვის მსახური . . . 10
სერგი დურმიშიძე — ორიოდე სიტყვა „მნათობზე“ . . . 10
კონსტანტინე ილურიძე — ვულოცავ გულით . . . 12
ოტია იოსელიანი — ორიოდე სიტყვა „მნათობის“ საიუბილეოდ . . . 13
ანა კალანდაძე — კვლავ სხივმრავლობა! . . . 14
დავით კვიცარიძე — მადლიერების გრძნობით . . . 15
სერგო კლდიაშვილი — გუშინ, დღეს და შორეულ მომავალშიც! . . . 16
რევაზ მარგიანი — მატიანე ჩვენი მწერლობისა . . . 17
ელგუჯა მაღრაძე — წინსვლა და წარმატება . . . 18
ალექსი მაჭავარიანი — გულწრფელად ვულოცავ „მნათობს“ . . . 19
გიორგი ნატროშვილი — ტრადიცია და ხვალინდელი დღე . . . 20
იოსებ ნონეშვილი — „რაც არ იწვის, არ ანათებს“ . . . 22
კონსტანტინე სიმონოვი — ჟურნალ „მნათობის“ რედაქციას . . . 23
ნიკოლოზ ტიხონოვი — მივესალმები და ვულოცავ . . . 24
სანდრო შანშიაშვილი — დაე, იძლიეროს „მნათობმა“ მრავალჟამიერ! . . . 25



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



კ. მარქსის სახ... სახელმწიფო ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია — პირველი დღეები . . . . . . . . . . . . . 25
ჯანსუღ ჩარკვიანი — ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს! . . . . . . . . 26
სერგი ჭილაია — „მნათობი" 50 წლისაა . . . . . . . . . . . . 27
რევაზ ჯაფარიძე — ორმოცდამეათე ნიშანსვეტი . . . . . . . . . 29
გიორგი ჯიბლაძე — ქართული ლიტერატურის უქრობი მნათობი . . . 31

შოთა ნიშნიანიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . 33
ჯემალ მეხრიშვილი — ღამის მგზავრი. მოთხრობა . . . . . . . . 43
ანა კალანდაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . 51
კარლო კობერიძე — წინ, ზარმაცებო! მოთხრობა. გაგრძელება . . . . 54
იონა ვაკელი — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . 87
ოტია იოსელიანი — დაჩის ზღაპრები . . . . . . . . . . . . 89
ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . . 107
ზაქარია შერაზადიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 110
მირიან მირნელი — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 114
მირონ ხერგიანი — კლდის ვეფხვი. ბიოგრაფიული რომანი. გაგრძელება . . 117

## ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

ალეკო შენგელია — თავმჯდომარე და სოფელი . . . . . . . . . 139

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ გვერდწითელი — ვარიაციები მარტოობის თემაზე . . . . . 146
თ. წერეთელი, გ. ქვანია, დ. ფურცელაძე — ცნებები და ტერმინები . . . 157
შოთა ბადრიძე — საქართველო და ბიზანტია . . . . . . . . . 166
თამარ ნუცუბიძე — სინამდვილისა და ოცნების ორთაბრძოლა . . . . 175
სპარტაკ რეხვიაშვილი — რა არის კერძ-მოკეთეობა . . . . . . . . 180

## წიგნების მიმოხილვა

ნათელა ონაშვილი — რევაზ ჯაფარიძის „აწონილი სიტყვა" . . . . . 184
დავით გოგოჭური — ხმა ხალხის ცხოვრებიდან . . . . . . . . . 188
**საზღვარგარეთ** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 191

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), დ. გენ[illegible]ილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. [illegible]ათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 28/XII-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/II-74 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. საალ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 01649 ტირაჟი 13.000. შეკვ. 4625

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© „მნათობი", 1974 წ.

1924 ჟურნალ «მნათობის» 1974
50
წლისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

# ჩვენი „მნათობი“

ჟურნალი „მნათობი“ თავისი არსებობის 50 წელს დღესასწაულობს. ქართული პერიოდიკის ისტორიაში „მნათობი“ ალბათ პირველი და ერთადერთია, ნახევარსაუკუნეს რომ ითვლის; იმ როლითა და ადგილით, რომელიც მან ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში დაიმკვიდრა, „მნათობის“ მნიშვნელობა კარგა ხანია გასცდა ჩვეულებრივი ჟურნალის ფარგლებს.

„მნათობი“ ახალი ქართული ლიტერატურის, ქართული საბჭოთა ლიტერატურის აქტიური მშენებელი იყო და არის ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე და, ამდენად იგი ახალი საქართველოს მშენებლობის დაუცხრომელი მონაწილეც, ჩვენი ერის აღორძინების აქტიური მონაწილეც არის.

ჩვენ ხშირად სიამაყით ვამბობთ, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა ჩვენი ხალხის ბრძოლისა და შრომის მხატვრული მატიანეა. როცა ჩვენი მწერლობის ამ დამსახურებას აღვნიშნავთ, იქვე უნდა მოვიხსენიოთ ისტორიული როლი ჟურნალ „მნათობისა“, რომლის ფურცლებზედაც წლიდან წლამდე ქვეყნდებოდა ეს დიდებული მატიანე და არა მარტო ქვეყნდებოდა, ხშირად იქმნებოდა კიდევაც, რადგან ჟურნალ „მნათობის“ დახმარებითა და წახალისებით არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შეუქმნია ჩვენს მწერლებს.

„მნათობის“ გარშემო იყო მუდამ დარაზმული ჩვენი მწერლობის საუკეთესო მოწინავე ნაწილი. იგი ეხმარებოდა ჩვენი მწერლების უფროს თაობებს იმ დიდი სიკეთის სწორად გაგებაში, რაც საბჭოთა წყობილებამ მოუტანა საქართველოს. „მნათობის“ ფურცლებზე ჩვენი საუკუნის დიდი ქართველი მწერლები ნელნელა და თანამიმდევრულად თავისუფლდებოდნენ წარსულის ტვირთისაგან და ახალ შემოქმედებით ცხოვრებას იწყებდნენ, ჩვენი სამშობლოს სოციალისტური გარდაქმნის უდიდესი გაქანებით შთაგონებულნი.

„მნათობის“ ერთ-ერთ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ქართული მწერლობის ახალი თაობების დიდ ლიტერატურაში შემოყვანა და მათი აღზრდისათვის ზრუნვა.

„მნათობი“ განუხრელად იბრძოდა კომუნისტური იდეოლოგიის საბოლოოდ გამარჯვებისათვის და ამ მხრივ უდიდეს წარმატებებს იმითაც აღწევდა, რომ მის ფურცლებზე გამოქვეყნებული ლექსებისა და პოემების, მოთხრობე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და რომანების მხატვრული დონე თითქმის ყოველთვის უმაღლესი და სანიმუშო იყო ჩვენი მწერლობისათვის.

ჟურნალი „მნათობი“ თანამიმდევრულად ნერგავდა მაღალ გემოვნებას და თავგამოდებით იბრძოდა მდარე ლიტერატურისა და ხელოვნებაში ცუდი გემოვნების ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ.

ამიტომ იყო საოცნებო „მნათობში“ დაბეჭდვა ყველა ახალგაზრდა მწერლისათვის.

• • •

„მნათობის“ რედაქციის დიდმა მოამაგემ და შესანიშნავმა მწერალმა ლევან ასათიანმა სიცოცხლის უკანასკნელ წელს თავის არქივში შემონახული გაყვითლებული ფურცელი გადმომცა; იმ ფურცელზე საკუთარი ხელით დაუწერიათ რეცენზია „მნათობის“ მაშინდელი სარედაქციო კოლეგიის წევრებს— პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძესა და სიმონ ჩიქოვანს, ჩემს მიერ ჟურნალში დასაბეჭდად წარდგენილ ლექსებზე. მათ რეცენზიებს „მნათობის“ იმდროინდელი რედაქტორის რეზოლუცია მოსდევს.

მაშინ ჯერ კიდევ არცერთ მათგანს პირადად არ ვიცნობდი. ჩემთვის უცნობი, მაგრამ ახლობელი და საყვარელი პოეტების მიერ იმ მოკლე-მოკლე შეფასებაში არაჩვეულებრივი სითბო და გულისხმიერება იყო გამოთქმული. ასე, მათ მიერ გზადალოცვილი, დაიბეჭდა ჩემი ლექსები პირველად „მნათობში“ 1934 წელს.

მაშინ, როცა „მნათობში“ ლექსის დაბეჭდვა ჩემთვის ესოდენ საოცნებო იყო, რას ვიფიქრებდი, რომ ოდესმე მე თვითონ გავხდებოდი „მნათობის“ რედაქტორი და ჩემს ხელთ იქნებოდა ამ დიდად ავტორიტეტულ ჟურნალში ახალგაზრდობის გამოყვანის ბედი.

„მნათობის“ რედაქციაში ჩემს გარდა ბევრ სახელოვან მწერალს უმუშავნია. აქ, ამ ჟურნალის რედაქციაში საუკეთესო ქართველი მწერლების რედაქტორობის დროს იკრიბებოდნენ ქართული ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლები, იყო სჯა-ბაასი ეროვნულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ჩვენი ერის აწმყოსა და მომავალზე.

ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებად ჯერჯერობით ის შვიდი წელი მესახება, როცა „მნათობის“ მთავარი რედაქტორი ვიყავი, ამ რედაქციის შესანიშნავ კოლექტივთან ერთად, ამ ჟურნალის ინტერესებით ვცხოვრობდი. მაშინ საკუთარი შემოქმედებისთვისაც მეტი დრო მქონდა და მეგობარიც მეტი მყავდა!

„მნათობი“ ისევ სახელოვნად აგრძელებს ტრადიციას. იგი ისევ ჩვენი მხატვრული პერიოდიკის ფლაგმანია და ქართული მწერლობის გამარჯვებებში თავისი დიდი წვლილი შეაქვს.

ახლა, როცა ქართული მწერლობა მთელი თავისი ძალების მობილიზაციით ცდილობს ხალხისა და პარტიის მიერ მის წინაშე დასმული რთული ამოცანებისათვის პასუხის გაცემას, „მნათობს“ კვლავაც ევალება იყოს ტონის მიმცემი და დონის განმსაზღვრელი თავისი მაღალიდეურობითა და მხატვრულობით, პრინციპულობით.

ვუსურვოთ ჩვენს ამაგდარ ჟურნალს, მის რედაქციას, კვლავაც ერთგულად ემსახუროს ჩვენი ხალხისა და პარტიის საქმეს, კვლავაც ღირსეულად შეასრულოს ჩვენი ლიტერატურის ორგანიზატორისა და დამრაზმავის საპატიო როლი!

ირაკლი აბაშიძე
პოეტი-აკადემიკოსი

# ჩვენი საყვარელი ჟურნალი

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე აიდგა ფეხი. ჟურნალი „მნათობი“ ქართული საბჭოთა მწერლობის დროშაა; ყოველი ჩვენგანი დიდად დავალებული და უსაზღვროდ მადლობელია მისი. ჟურნალ „მნათობის“ დაბადების დღე, მისი ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, ქართული საბჭოთა მწერლობის დაბადების დღეა, ყველა ჩვენგანის, ყველა ქართველი საბჭოთა მწერლის დღესასწაული.

მთელ ცივილიზებულ სამყაროშიც, ალბათ, თითებზე ჩამოსათვლელია, ხოლო საქართველოში ჟურნალი „მნათობი“ ერთადერთია ასე ხანგრძლივად რომ ცოცხლობს და დღეგრძელობს.

ჟურნალი „მნათობი“ 50 წლისაა.

მე კი გუშინდელ დღესავით მახსოვს მისი პირველი იუბილე, მისი დაბადებიდან 10 წლისთავის დღესასწაული. სულ ახალგაზრდა კაცი, მე მაშინ უკვე მისი თანამშრომელი ვიყავი, როგორც მისი ერთი ავტორთაგანი და როგორც რედაქციის მუშაკი. ოცდაათიან წლებში ხან მის პოეზიის განყოფილებას განვაგებდი, ხან ვემსახურებოდი მას, როგორც მისი პასუხისმგებელი მდივანი.

1946 წლიდან წლების მანძილზე ვრედაქტორობდი მას, ჩვენს საამაყო ჟურნალ „მნათობს“, და ეს არის ყველაზედ ტკბილად მოსაგონარი წლები ჩემს სარედაქციო საქმიანობაში. თუ ოდესმე დავწერ მოგონებებს, ბევრს რასმე ვუამბობ მკითხველს ადამიანებზე, რომლებიც ჟურნალ „მნათობის“ გარშემო ტრიალებდნენ.

მთელი ჩემი ლიტერატურული ცხოვრება, ესე იგი მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება, შემოქმედებითაც და პრაქტიკულადაც უმჭიდროესადაა დაკავშირებული ჩვენს საყვარელ ჟურნალ „მნათობთან“.

გამარჯვება და დღეგრძელობა ჟურნალ „მნათობს“!

გურამ ასათიანი

# უფრო მხნედ...

„მნათობი“ სიყმაწვილეში ყველაზე დიდი და წმინდა ტაძარი მეგონა. „მნათობის“ მდივნობა კი ჩემს თვალში მდივანთუხუცესობასაც ნიშნავდა და ქურუმთმოძღვრობასაც.

ეს არც არის გასაკვირი.

ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და სამაგალითო ადამიანი, მაშინ, სწორედ ამ ჟურნალში მუშაობდა — სწორედ ამ თანამდებობით.

სამწუხაროდ, ის ვერ მოესწრო იმ დღეს, სხვებზე მეტად რომ გაუხარდებოდა. მისი ვაჟიშვილის პირველი კრიტიკული წერილი ქართულ მწერლობაზე ამ კაცის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ დაიბეჭდა „მნათობში“.

1955 წლის № 8 — ეს თარიღი ისე მახსოვს, როგორც... არა, უმჯობესია, არაფერს შევადარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც „მნათობზე“ ვფიქრობ, კიდევ ორი ადამიანის სახე ცოცხლდება ჩემს თვალწინ.

სიმონ ჩიქოვანი პირველი შემიძლვა „მნათობის“ რედაქციაში

ედიშერ ყიფიანი იყო ის კაცი უკანასკნელმა რომ გამომაცილა ამ რედაქციიდან. ამ დღის შემდეგ ის მე აღარ მინახავს. აღარც „მნათობის“ კარი შემიღია.

ჩემი ბოლო სიხარულიც ამ ჟურნალთანაა დაკავშირებული. მხედველობაში მაქვს ოთარ ჯინორიას წერილი, რომელიც ჩემს „წინააღმდეგაა“ დაწერილი. არ არსებობს კრიტიკოსისთვის უფრო ბედნიერი წუთი, ვიდრე ის, როცა მას სერიოზულად გამოეკამათებიან; რაც უფრო კარგადაა შეიარაღებული მოწინააღმდეგე, ბრძოლის აზარტიც უფრო მეტად ღვივდება, მითუმეტეს თუ კამათს ლიტერატურული ინტერესები უდევს საფუძვლად და არა ანტილიტერატურული ინსტინქტები.

როგორც ხედავთ, მისალმება საკმაოდ მიკერძოებულ შინაარსს იძენს. სხვანაირად არც შეიძლება.

„მნათობის“ რედაქცია დღესაც ერთ-ერთი უძვირფასესი ადგილია ჩემთვის, ქართული მწერლობის დიდი მზის ქვეშ. კარგი მწერლები მუშაობდნენ აქ. კარგივე მწერლები განაგრძობენ მათ საქმეს. შალვა ალხაზიშვილი უხუცესი „მნათობელია“, ბესიკ ხარანაული — უმრწემესი. სტაჟითაც და, თუ არ ვცდები, ასაკითაც. გაუმარჯოს „მნათობის“ ტრადიციებს! დაილოცოს მისი მომავალი!

ყველა „მნათობელი“ ქალი მიყვარს, განსაკუთრებით კი გოგუცა აგიაშვილი. მისი გულითადი ღიმილი ალბათ კიდევ მრავალ დამწყებ ავტორს გაუადვილებს სიმორცხვის დაძლევას და ჟურნალის ყველაზე დაკავებულ მესვეურსაც კი გამოანახვინებს დროს ამ ნახევრად გულწასული ავტორის მისალებად.

ბევრი რამ მინდა ვუსურვო „მნათობს“ და მის თანამშრომლებს, მაგრამ, ვინაიდან მიკერძოებით დავიწყე, ასევე დავასრულებ.

კრიტიკა, ამხანაგებო, მეტი, უკეთესი კრიტიკა! ყველა კარი გაუღეთ კრიტიკოსებს — შესასვლელიც და გამოსასვლელიც!

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჟურნალის კითხვას ნამდვილი მკითხველი კრიტიკის განყოფილებიდან იწყებს.

თუ იქ ერთი ცოცხალი წერილი მაინც არ დახვდა, მოიწყენს. ხოლო თუ კრიტიკის სუროგატი შეატყუეთ, არასოდეს გაპატიებთ დაკარგულ დროს.

„მნათობის“ მომავალო კრიტიკოსებო! უფრო მხნედ შეაბიჯეთ მთავარი რედაქტორის კაბინეტში — იქ თქვენი ამქრის ერთი ძველ ოსტატთაგანი გელოდებათ! არც მისი მოადგილე გადაგიღობავთ გზას: დიდი ხანია, მოწყურებულია კრიტიკოსის პირუთვნელ სიტყვას.

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, მეგობრებო!

*მარიკა ბარათაშვილი*

## მარადიული სიცოცხლე „მნათობს“

„მნათობი!“ რა დიდებულად ჟღერს ეს სახელწოდება. რა უდიდეს მოვალეობას გულისხმობს — მოვალეობას ერის წინაშე, მოვალეობას — იყოს მნათობი ქართული მხატვრული ლიტერატურული აზროვნებისა, გაამუქოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოაჩინოს, რასაც ქმნის ერის ინტელექტუალური ძალა, აღმოაჩინოს და ზარდოს ახლადაღმოცენებული ძვირფასი ნერგები მწერლობისა.

და აგერ, ათეული წლების მანძილზე დაუღალავად იღწვის ჩვენი საყვარელი ჟურნალი ამ დიდ და საპატიო მიზანდასახულობათა განსახორციელებლად — ადამიანთა მხატვრულ-ესთეტიკური, პოლიტიკური, მორალური აღზრდისათვის.

ქართველ პროზაიკოსთა, პოეტთა და ლიტერატურის მკვლევართა არაერთმა თაობამ აიდგა ფეხი, დაბრძენდა და დაჭარმაგდა „მნათობის“ სხივთა ფენაში. ვინ მოსთვლის, რამდენი დიდებული რომანის, მოთხრობის, ლექსისა თუ პოემის დაბადება ვიხილეთ ამ ჟურნალის ფურცლებზე, რამდენი მშვენიერი თარგმანი იმ საგანძურიდან, რაც მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურულ-მხატვრულ აზროვნებას შეუქმნია.

ქართველი მკითხველი მოუთმენლად ელოდება „მნათობის“ ყოველი ახალი ნომრის გამოცემას.

დაე, კიდევ უფრო იმატოს მკითხველის სიყვარულმა და აღიარებამ, იზარდოს ძალამ „მნათობის“ სხივთა ფენისა, მიუწვდომელ-გაუშუქებელი არ დარჩენოდეს ჩვენი ერის სულიერი ცხოვრების არცერთი კუთხე-კუნჭული. მარადიული სიცოცხლე „მნათობს!“

დიდი შემოქმედებითი ზრდა და აღმავლობა მის ავტორებს — ქართველ მწერლებს.

გამრავლება და გაძლიერება მის მკითხველებს — მთელს საქართველოს!

*თენგიზ ბუაჩიძე*

## მოწოდების სიმაღლეზე

ჩვენს საყვარელ და საამაყო „მნათობს“ 50 წელი შეუსრულდა!

რა არ მოსწრებია, რა ისტორიული ქარტეხილები არ აღბეჭდილა მის ფურცლებზე: ოციანი წლების მძაფრი ლიტერატურული ბრძოლები, ოცდაათიანი წლების მძლავრი აღმავლობა, დიდი სამამულო ომის ცეცხლოვან დღეთა ანარეკლი და ომისშემდგომი წლების მჩქეფარე ცხოვრება.

„მნათობი“, ქართული საბჭოთა მწერლობის უპირველესი ორგანო, ყოველთვის ცდილობდა მოწოდების სიმაღლეზე მდგარიყო, პირნათელი ყოფილიყო ეპოქალური ამოცანების წინაშე და პატიოსნად ეზიდნა მისი ხვედრი ტვირთი.

მით უმეტეს დღეს, ახალი დიადი აღმშენებლობის პირობებში, მართებს მას ღირსეული წინამძღოლობა ჩვენი სალიტერატურო პრესისა, ტონის მიცემა თავის უმრწმეს თანამოძმეთათვის, მეტი ქმედითობა, პრინციპულობა და ბრძოლისუნარიანობა.

ეჭვი არავის ეპარება, რომ „მნათობის“ შესანიშნავი კოლექტივი ღირსეულად განაგრძობს და განავითარებს არსებულ ბრწყინვალე ტრადიციებს და უფრო საჭიროსა და უფრო საყვარელს გახდის ჩვენს ჟურნალს ქართველი ხალხის უფართოესი მასებისათვის.

დღეგრძელობა ქართული ლიტერატურის ფლაგმანს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კონსტანტინე გამსახურდია**
მწერალი-აკადემიკოსი

# ახალი წარმატებები ვუსურვოთ იუბილარს

უკვე 50 წელია, რაც ჟურნალი „მნათობი“ ემსახურება ქართულ ლიტერატურას. ამ ხნის მანძილზე მასში გამოქვეყნდა მრავალი შესანიშნავი პროდუქცია ქართული მწერლობისა. განა მარტო შესანიშნავი, უგემოვნო და უვარგისიცა, რადგან სხვადასხვა გემოვნების რედაქტორი ჰყავდა მას ამ ხნის მანძილზე.

რედაქტორი მეკრეა ჟურნალისა, ხოლო ჟურნალი — ეროვნული მწერლობისა.

ეს მეკრე უთუოდ ფრიად განსწავლული უნდა იყოს და უჩვეულო გემოვნების პატრონი.

თითქმის ყველა საწარმოო იარაღთა შორის (მე ვგულისხმობ მანქანების საჭეს, ერქვანების ხელსაკიდს, თოფის კონდახს), კალამი ყველაზე უფრო მსუბუქი იარაღია, მაგრამ იგი ფრიად და ფრიად მძიმედ მოსახმარია.

გამოუცდელი ახალგაზრდა შაირის მსუბუქ დენას ლექსად მიიჩნევს, ხოლო გრძელსა და აჭია-ბაჭია მოთხრობას—რომანად.

ამას წინათ ერთ-ერთ სიმპოზიუმზე განაცხადა სახელოვანმა მწერალმა პრისტლიმ: რომანი ველარ დავწერეო.

ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერც ლორდ ბაირონმა და ვერც ჰაინრიხ ჰაინემ რომანი ვერ დასწერეს. თანამედროვე პოეტმა ქრისტიან მორგენშტერნმა გამოაქვეყნა რამდენიმე რომანის ფრაგმენტი.

რომანი მეტყველების ურთულესი და უმძიმესი ჟანრიაო, განაცხადა თავის დროზე ენგელსმა.

არც ნოველაა ადვილად დასაწერი, არც ესსე, არც კრიტიკული წერილი. განა ჟურნალის შედგენაა იოლი?

1828 წლიდან პარიზში გამოდიოდა ცნობილი ორიენტალისტური ორგანო „ჟურნალ აზიატიკ“—აზიური ჟურნალი. მე და სამი თანაშემწე 25 წლის მანძილზე ვჩხრეკდით და ვეძებდით ახალსა და ახალ ცნობებს საქართველოს, სომხეთის, რუსეთის, არაბეთის, ირანის, ბიზანტიის შესახებ და საერთოდ წინა აზიის პოლიტიკისა და კულტურის ამბებს.

მე დიდი დახმარება გამიწია ამ მუშაობამ ჩემი რომანების დაწერისას.

მერმისშიაც უნდა შევეცადოთ ჩვენი „მნათობის“ მეოხებით, როგორც ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნების, ისე წინა აზიის ხალხთა და კულტურათა მიღწევებს თვალი მივადევნოთ.

ჩვენს „მნათობს“ ამჟამად ჰყავს მრავალნაცადი ჩინებული კოლექტივი თანამშრომლებისა, ვუსურვოთ მათ ღირსეულად შეესრულებინოთ ის დიდი მოვალეობანი, რომელნიც ნაკისრი აქვთ.

მაშ ვუსურვოთ მათ ახალი მიღწევანი და წარმატებანი!

ვახტანგ გორგანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენ წინსვლას ვაშა!

ჩვენს ქართულ ენას — თაყვანი!
მის მადიდებელს — მადლობა!
მართლაც იქეცი „მნათობო,“
შენ ჩვენი სულის მნათობად.

როგორც მაისის ნიავმა
კვლავაც ბალ და ბალ იქროლე.
ხმალს ფხიანობა უხდება,
სამშობლოს ტრფობა — სტრიქონებს.

თუ იწვი, კიდეც ანათებ,
ასე იყო და ასეა.
რაღა ვთქვა, როცა ეს მკერდი
მადლიერებით სავსეა.

სიკეთეს ვაშა მარადის!
რისხვა მავნეს და გაურჯელს!
ვიცი, კვლავაც არ მოაკლებ
სინათლეს სულის საუნჯეს.

ლადო გუდიაშვილი
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი

## ვუსურვოთ და მივულოცოთ

ჟურნალ „მნათობს“ ჩემი გულითადი სიყვარული, სარედაქციო კოლეგიას და შესანიშნავ კოლექტივს ვულოცავ საპატიო და კეთილშობილ თარიღს. ჟურნალ „მნათობის“ ღვაწლი და ამაგი ქართული კულტურის წინაშე, მისი რედაქციის მუშაობა ქართულ პოეზიის, ხელოვნების პოპულარიზაციისათვის ფრიად დიდი და მნიშვნელოვანია. ჟურნალ „მნათობის“ მოღვაწეობა დღიდან მისი დაარსებისა მიმდინარეობდა ფრიად რთულ პირობებში, მრავალი ქარიშხლიანი წლები გადაიტანა „მნათობმა“. დღეს კი უდიდეს დაფასებას იმსახურებს ასეთი ბრწყინვალე შედეგის მქონე საქმიანობა.

ვუსურვებ ჟურნალ „მნათობს“, მისი სარედაქციო კოლეგიის წევრებს, მის შესანიშნავ კოლექტივს, რედაქტორს მრავალ წარმატებებს და შემოქმედებით დიდ სიხარულს.

*გურამ დოჩანაშვილი*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ქართული სიტყვის მსახური

ჟურნალ „მნათობი“ სიტყვის მსახურია. და მერე როგორის — ქართული სიტყვისა.

ერთი სტრიქონი მეგულება, საოცრად რომ მეხმარება ხოლმე ყოველნაირი გაჭირვებისა და მოწყენილობის ჟამს — „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა...“ გავივლებ გულში ამ სიტყვებს და ყოველივე იცვლება, ფასი ედება, მართლაც რა მრავლადა გვაქვს მონიჭებული ეს ქვეყანა, უთვალავი საგნითა და ფერით, ხოლო ამ უხვად ბოძებულ სიკეთეთაგან უდიადესად სიტყვა მიმაჩნია — უპირველესი სასწაულმოქმედი, ყოველივესი თავი და თავი.

და სწორედ სიტყვის მსახურია ჩვენი იუბილარი, ჟურნალი „მნათობი“. დალოცვილ, მადლიან ქართულ სიტყვას ემსახურება ეს ორმოცდაათი წელია. სწორედ ამ ჟურნალში დაიბეჭდა პირველად ჩვენი უფროსი თაობის მწერალთა ნაწარმოებები, რომელთა ნაწილმაც პატიოსანი შრომით ზიდა უმძიმესი ტვირთი — ულრმესი მადლობა მათ...

ჩემთვის პირადად, ჟურნალ „მნათობთანაა“ დაკავშირებული ორი უსაყვარლესი ადამიანის, ორი ქართველი მწერლის — გიორგი შატბერაშვილისა და ედიშერ ყიფიანის უსპეტაკესი ხსოვნა. სამუდამოდ შემრჩება სითბო, ამ ორი საოცრად დიდბუნებოვანი ადამიანიდან აღმომავალი.

ჟურნალ „მნათობს“ ვუსურვებდი, თავისი სახელწოდება გაემართლებინოს. დიდ, აუარება დამსახურებასთან ერთად, რა ვქნა, სიყვარული მალაპარაკებს და ვიტყვი — ჩაღრუბლული ნომრებიც ჰქონია... უმნათობო... აღარ ჰქონოდეს.

გამოცდილი, ღვაწლმოსილი მწერლების გვერდით ახალგაზრდების ნაწარმოებებიც უფრო თამამად ებეჭდოს.

დაე ჩვენთვის, მისი ერთგული მკითხველებისთვის, ყოველი ნომრის გამოსვლა დღესასწაული ყოფილიყოს.

ყველაზე დიდი დღესასწაული — სიტყვისმიერი.

*სერგი დურმიშიძე*
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი**

## ორიოდე სიტყვა „მნათობზე“

„მნათობის“ ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ჩემი ასაკის მკითხველთა სწავლისა და შემოქმედებითი შრომის ისტორიაც არის. ჩემი თაობის ადამიანთა ესთეტიკურ აღზრდაში ჟურნალს დიდი ღვაწლი მიუძღვის. ჩვენთვის ლიტერატურულ სიახლეთა პირველ წყაროს „მნათობი“ წარმოადგენდა. ჟურნალის მიზნები ყოველთვის ფართო იყო, იგი დროდადრო მეცნიერულ პრობლემებსაც აშუქებდა და ამით ჩვენ საერთო გათვითცნობიერებასაც უწყობდა ხელს.

მახსოვს, ჭიათურის საშუალო სკოლის მოსწავლეები ხშირად მართავდნენ

სხვადასხვა საკითხზე გაცხოველებულ დისკუსიებს. მოსწავლეები ორ ჯგუფად ვიყავით გაყოფილი: „ლიტერატორები“ და „მათემატიკოს-ფიზიკოსებად“. სკოლაში ორი კერპი გვყავდა: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და დირექტორი იპოლიტე ვართაგავა და მათემატიკის ახალგაზრდა პედაგოგი ტიტე ბერიშვილი. ისინი ერთმანეთს ყოველთვის დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ, ჩვენ კი გაუთავებელი დავა გვქონდა, თუ ვისი ღვთაება და მიმართულება იყო ამაღლებული და უკეთესი. მოხდა „სასწაული“ და 1924 წლის ნოემბერსა თუ დეკემბერში ორივე მასწავლებელმა ერთი და იგივე ჟურნალის წაკითხვა დაგვავალა. გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ციკლი „ქარი“ და მოსე გოგიბერიძის წერილი ალბერტ აინშტაინის რელატივობის თეორიაზე „მნათობის“ ერთ ნომერში იყო გამოქვეყნებული. ახალი პოეზიისა და ახალი ფიზიკის პრობლემებმა ერთად შემოანათა სკოლის ცხოვრებაში. ოცნება და სინამდვილე სულისა და სამყაროს საზღვრებსა და უსაზღვროებაზე ახალგაზრდობამ სწრაფად აიტაცა. ამ დროიდან მრავალი ჩვენგანისათვის სათაყვანებელი შეიქნა ორივე წმინდა საწყისი: ლიტერატურული და მეცნიერული.

გავიდა დრო და „მნათობი“ ჩემთვის კიდევ უფრო ახლობელი გახდა. ზოგიერთმა ჩემმა ამხანაგმა „მნათობში“ დაიწყო მხატვრული ნაწარმოებების ბეჭდვა, ზოგიერთი კი თვით წარმართავდა ჟურნალის რედაქციის მუშაობას წლების განმავლობაში. მე უკვე ახლობლურად განვიცდიდი „მნათობის“ წარმატებებსა და ნაკლოვანებებს. ახლა, როდესაც უკან ვიხედებით, რომ უკეთესად გავიაზროთ „მნათობის“ მიერ განვლილი გზა და მისი ნაამაგარი, ყველა ნათლად ვხედავთ თუ რა დიდი ადგილი ეჭირა ჟურნალს ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში.

1924 წელს „მნათობის“ პირველ ნომერში ჟურნალის რედაქცია წერდა: „მნათობი“ უპირველესად ყოვლისა მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალია.. „მნათობი“ თავის მიზნად ისახავს აგრეთვე საშუალება მისცეს ჩვენს მეცნიერულ და მარქსისტულ ძალებს გააღრმავონ თავისი მუშაობა და ქართულ ენაზე მიაწოდონ ქართველ მუშებს და გლეხებს მეცნიერული და მარქსისტული ცოდნა“. ამ მიზანდასახულობას ჟურნალი პირნათლად ასრულებდა; „მნათობმა“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეცნიერული ცოდნის გავრცელებასა და მეცნიერული საკითხების განხილვაში. 1930 წლამდე ჟურნალის თავფურცელს ეწერა კიდეც „ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო, სამეცნიერო ჟურნალი“. შემდგომში ამ წარწერიდან სიტყვა მეცნიერება ამოიღეს, მაგრამ მეცნიერული ხასიათის წერილები ყოველთვის იბეჭდებოდა ჟურნალის ფურცლებზე.

ზოგიერთი მეცნიერული პრობლემა პირველად ქართულ ენაზე „მნათობში“ იქნა გაშუქებული. 1965 წელს „მნათობმა“ გამოაქვეყნა ივანე ბერიტაშვილის ნაშრომი „რეფლექსურ მოძრაობათა კოორდინაციიდან ქცევის ფსიქონერვულ ინტეგრაციამდე“ და წერილი რედაქციისადმი, რომელშიაც ავტორი წერდა: „...პირველი წერილი ცხოველთა ქცევის შესახებ სახელწოდებით: „ქცევათმეცნიერება, ფსიქოლოგია და დიალექტიკა“ დაიბეჭდა „მნათობში“, 1930 წელს. ეს იყო ამ კვლევა-ძიების დასაწყისი პერიოდი. მე მგონია, საინტერესო უნდა იყოს „მნათობის“ მკითხველთათვის იმის გაცნობა, თუ როგორ განვავითარეთ ეს მეცნიერება და დღეს რა მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომ იქნება შესაძლებლად მიიჩნიოთ აღნიშნული სტატია გამოაქვეყნოთ „მნათობის“ მორიგ ნომერში“.

ჟურნალის მეცნიერული თემატიკა მრავალფეროვანი იყო. ცალკეულ მეცნიერულ პრობლემებზე ხშირად იბეჭდებოდა წერილების ციკლებიც. „მნა-

თომში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ჩვენი მეცნიერების — ევ. ჯავახიშვილის, ნ. მუსხელიშვილის, ა. შანიძის, ი. ბერიტაშვილის, ი. ვეკუას, გ. ძოწენიძის, შ. ნუცუბიძის, ნ. მარის, გ. ჩუბინაშვილის, კ. კეკელიძის, გ. ახვლედიანის, გ. წერეთლის, ნ. ბერძენიშვილის, კ. ბაქრაძის, ა. ჩიქობავას, ს. ჯანაშიას, ა. ბარამიძის, ა. ჯავახიშვილის, ე. ხარაძის, გ. ჯიბლაძის, ე. თაყაიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, პ. ინგოროყვას, ნ. კეცხოველის, ა. ზურაბაშვილის, რ. ნათაძის, რ. ნიკოლაძის, ვ. თოფურიას, პ. გუგუშვილის, შ. მესხიას, ს. ნარიკაშვილის, შ. ძიძიგურის, ლ. გოკიელის, ვ. ბერიძის, ი. ცინცაძის, მ. სააკაშვილის, ს. ჟღენტის, ი. მეგრელიძის, მ. ჩიქოვანის, ქს. სიხარულიძის, პ. რატიანის, ივ. სურგულაძის, გ. პაპალაშვილის და სხვათა წერილები.

„მნათობი“ რუბრიკით „ჩვენი მეცნიერები“ მკითხველებს აცნობდა აგრეთვე ქართველ მეცნიერთა ცხოვრებასა და მეცნიერულ მიღწევებს.

ლიტერატურისა და მეცნიერების წარმომადგენელთა ეს ერთობლივი მოღვაწეობა მომავალშიაც უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს. მათი ურთიერთკავშირი ჩვენს დროში კიდევ უფრო საჭირო და აუცილებელია.

ძვირფასო მეგობრებო, ჟურნალის ძველო და ახალო ავტორებო, თანამშრომლებო, მკითხველებო, გულითა და სულით გილოცავთ სახელოვან იუბილეს და გისურვებთ შემდგომ დიდ წარმატებებს.

„მნათობი“ მუდამ ყოფილიყოს ჩვენი ლიტერატურულ-მხატვრული პერიოდიკის დედაბოძი.

***კონსტანტინე ილურიძე***
**სოციალისტური შრომის გმირი**

# ვულოცავ გულით

თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ჭაბუკი ვიყავი, პირველად ჩვენს სოფელ მეჯვრისხევში ჟურნალი „მნათობი“ რომ გვეწვია: იგი ერთმა სოფლის მასწავლებელმა ჩამოიტანა და ლიტერატურის მოყვარულ ახალგაზრდებს ახალი ჟურნალის დაბადება მიულოცა. მე მაშინვე მისმა სათაურმა მიმიზიდა. მართლაც, რომ მისი სახელწოდება ბევრი რამის მეტყველი იყო. და აი, მას შემდეგ ორმოცდაათი წელი გავიდა, ჟურნალმა ბედნიერად გაამართლა თავისი სათაურიც და დანიშნულებაც. იგი ყოველთვის შთამაგონებლად, გასაგებად და დამაჯერებლად ეხებოდა ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს, ხალხში სიკეთის მარცვალს მიჰქონდა და ადამიანის სულში სიყვარულს თესავდა.

ძნელია აქ ჩამოთვლა ყველა იმ კარგი ლექსის, მოთხრობის, რომანის, წერილისა თუ სხვა ნაწარმოებისა, რომელიც ჟურნალში დაიბეჭდა და ჩვენს მახსოვრობაში სამუდამოდ დაბინავდა, მაგალითად იქცა ჩვენი საქმიანობის უკეთ წასამართავად.

მე მჭედელი ვარ, პატიოსანმა შრომამ კაცად მაქცია. ვიცი, ამ მილოცვის დღეს ყველა პროფესიის ადამიანი თავის სურვილს შესთავაზებს ჟურნალს, რაც შეიძლება მეტი ნაწარმოებები გამოგვექვეყნებინოს ჩვენს შესახებო, მე ახლა ამას არ ვიტყვი, ყველას თავისი პროფესია უყვარს, რომლისთვისაც გულსა და სულს არ იშურებს; ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი: მე მინდა კვლავაც „მნათობი“ მშრომელი ხალხის, პატიოსანი ხალხის

ბიბლიოთეკა

ცხოვრებით ცხოვრობდეს, სხვანაირად ვერც წარმომიდგენია სალიტერატურო ორგანოს არსებობა.

სახელოვნად განვლო ჟურნალმა ხუთი ათეული წელი, კვლავაც შემართებით ევლოს ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ. გულით ვუსურვებ წინსვლას.

*ოტია იოსელიანი*

# ორიოდე სიტყვა „მნათობის“ საიუბილეოდ

უბედურება ის კი არაა, რომ ეს დღეობები და იუბილეები მეტისმეტად მოხშირდა. ტრაგედიაა, რომ ამას ყველა იხდის, ისიც კი ვისზეც ვიძახით: რატომ გაუჩნდი დედაშენსო. ზოგჯერ თუ ფეხი მიგიცდა, ისეთ უხერხულობაში ჩაგაგდებს ეს მართლაც „რატომ გაუჩნდა დედამისს“, მის მაგივრად შენ იწურავ სირცხვილის ოფლს და ის სიცილით კვდება, ზეიმობს.

„მნათობის“ ორმოცდაათი წლის თავზე ეს რა მოსატანი იყო, მაგრამ სწორედ რომ მოსატანია, რაკი ბედნიერი შემთხვევა გეძლევა „კაცს“ გულწრფელად მიულოცო, ილაპარაკო მის კარგზე (რაკი იუბილეა და ცუდს ვერ იტყვი) და არ შეგრცხვეს ,უკან მოხედვის არ შეგეშინდეს, უსურვო მომავალი და სიტყვა არ დაგენანოს, ენა არ დაგებას.

„მნათობი“ ორმოცდაათი წელია უყრიდა თავს და უყრის ყველაფერს, რასაც მაღალი შემოქმედება და სიტყვასთან ჰიდილი ჰქვია, რითაც ქართველი ქართველობს და ქვეყანას ქვეყნის სახელს არქმევენ. ყველა გზა „მნათობთან“ მიდის, რაც ორმოცდაათი წლის მანძილზე ერს უფიქრია, უაზროვნია და ქაღალდზე გადაუტანია, გადაუხედავს თვალუწვდენელ წარსულში (რაც „მნათობის“ დაბადებამდე ყოფილა) და უოცნებია მომავალზე, ტკენია თუ გახარებია, ცრემლი დენია, თუ იმედის მნათობი გამოჩენია.

მახსოვს (ან რა დამავიწყებს) პირველად „მნათობში“ სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობის დროს მივედი. არც კი ვიცი როგორ გავბედე ამ ჟურნალისათვის ჩემი ნაცოდვილარი შემეთავაზებინა. ერთმა კაცმა მაცდუნა, ცოტაა მავნე და მაცდური? მეც ვიფიქრე, მივიტან, მართალია დამიწუნებენ, მაგრამ აქ დაწუნებული სხვაგან მოწონებულს ხომ მაინც აჯობებს-მეთქი. მივედი, შევყავი თავი კარებში. თვითონ სიმონს როგორ დავენახვებოდი და ძდივანი რომ დავიმარტოხელე, დავუტოვე, ჩემი არ გეგონოთ სხვამ გამომატანა-მეთქი. აბა, სიხდისზე ხელებს მთლად ხომ არ დავიბანდი და მეორედ არ მივაკითხავდი, მაგრამ რა გგონიათ, (ხდება თურმე სასწაულები) ორ თვეს არ გაუვლია რომ დაიბეჭდა, ხუ დაიჯერებთ თუ გინდათ. ეგერაა ის ჟურნალი და აგერ ვარ მე!

ისიც მახსოვს (ამ პირადულს რომ ვერაფრის დიდებით ვერ გავცდით) „მნათობის“ რედაქტორად გრიგოლ აბაშიძე დაინიშნა, მე იმ დროს მოსკოვში მწერალთა უმაღლეს კურსებზე ორ ანბანს ვსწავლობდი და ჩემს პირველ რომანს „ვარსკვლავთცვენას“ ვწერდი. გრიგოლმა დამირეკა თუ რაიმე გაქვს ახალი, მომეცი „მნათობისთვის“ მინდაო. მოდი და ნუ გაკვირდები. დაუმთავრებელია-მეთქი. ჩვენ დავიწყებთ და შენც დანარჩენი მოგვაშველეო.

და თქვენ რა გგონიათ, ასეც მოხდა.

ჰო, მართლა. კაცს პატივისცემა არ უნდა დავუკარგოთ, ხელნაწერები რომ გადავეცი, თვითონვე დამპატიჟა. „ქრთამიც“ კი ავიღე.

კიდევ მახსოვს:

ელგუჯა მაღრაძეს შარშანწინ ნოველა „ხარჯიხვი“ მივუტანე და არაფრით რომ ათ ნომერზე ადრე დაბეჭდვა არ ესწრებოდა და ასეც შევთანხმდით; რომ მგონია კაცი სიტყვას იტყვის და რა ღმერთი გაუწყრება, რავა გატეხავს-მეთქი. გავიხედე და მეცხრე ნომერში არ გაუჭიმავს? გასკდები გულზე, აბა რა მოგივა:

მე მგონია, მარტო ჩემს სათქმელს არ ვამბობ. ამას მეტნაკლებად, მაგრამ ყველა ხეირიანი მწერალი და პოეტი, კრიტიკოსი და მეცნიერი იტყვის (დრამატურგი არ იტყვის).

„მნათობი“ ქართული აზროვნების დედაა.

***ანა კალანდაძე***

# კვლავ სხივმრავლობა!

ორმოცდაათი წელია, ელავს და ნათობს ჩვენი „მნათობი“. დღიდან მისი დაარსებისა და მოაქამომდე თავის წმიდათაწმიდა და მძიმეზე მძიმე მოვალეობა პირნათლად შეუსრულებია ხალხისა და ქვეყნის წინაშე, იმედის სწორუპოვარი მანათობელია დღემდე და ასეთი იქნება იგი კვლავაც!

მე განსაკუთრებით მითბება გული „ლიტერატურული გაზეთისა“ და „მნათობისათვის“, რამეთუ ჩემი პირველი ლექსები მათ ფურცლებზე დაიბეჭდა 1946 წელს... დაიბეჭდა ხელგაშლილად, გულგაშლილად, უშურველად („ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი გიორგი ნატროშვილი გახლდათ, — „მნათობისა“ — ალიო მაშაშვილი. ეს ამბავი ჩემთვის ყოველთვის მადლობით მოსაგონარი იქნება).

წლების მანძილზე რედაქტორობდა „მნათობს“ სიმონ ჩიქოვანი. ერთხელ ბ-ნმა სიმონმა ლექსები მთხოვა ჟურნალის პირველი ნომრისათვის (თუ არ ვცდები, „მნათობის“ რედაქცია მაშინ წიგნის პალატის შენობაში იყო, მარჯანიშვილის ქუჩაზე). იმ დროს იქ მყოფი ერთ-ერთი ლიტერატორთაგანი გამომყვა და მითხრა: „მოიტანეთ ლექსები, მოხუცს ნუ აწყენინებთო“. ახლაც მახსოვს, როგორ უსიამოვნოდ გამკრა გულში რაღაცამ. ეს „რაღაცა“ იყო სიტყვა „მოხუცი“, რომელიც ყველაზე ნაკლებ ესადაგებოდა სიმონ ჩიქოვანს — სულით უბერებელს და მარად ახალგაზრდას. სწორედ ამიტომაც ადვილად აღებდა და იმორჩილებდა კიდეც იგი ახალგაზრდა გულებს, სწორედ ამიტომ იპოვა მან თავისი მეორე სიცოცხლე ამ ჟურნალში, იგი თავის სტიქიაში იყო: „ჟურნალში, ახალგაზრდებთან მუშაობა როგორ დამღლის, პირიქითო“, პასუხობდა იგი მათ, ვინც მისი დაღლისა და ავადმყოფობის მიზეზს, მის სამსახურებრივ დატვირთვაში ეძიებდა.

1955 წელს „მნათობის“ მე-11 ნომერში ბ-მა სიმონმა ჩემი ფშავური ლექსების ციკლი დაბეჭდა. ცოტა ხნის შემდეგ მან „მნათობის“ არქივიდან გადმომცა ვეძათხეველი პოეტის, ალ. ქუშხეველის ლექსი, რომელიც ჩემს ფშაურ ლექსებს ეძღვნებოდა: „ანა კალანდაძეს ჟურნალ „მნათობის“ № 11-ში გამოქვეყნებული ფშაური ლექსების გამო...“ გადმომცა ქუშხეველის ეს ლექსი და დასძინა — „ნება კი არ მაქვს, რომ ჟურნალის არქივიდან რაიმე გავცეო“ (მე, რა

თქმა უნდა, არაფერი ვიცოდი მანამდე ამ ლექსის არსებობაზე). რვეულის ორ-გვერდზე ლამაზი ხელით დაწერილი ეს ლექსი ახლა ჩემს არქივშია და მასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ მოვიგონო ხოლმე ბ-ნი სიმონი.

სულითა და გულით მივესალმები ქართული ჟურნალთუპირველესის ორმოცდაათი წლისთავს, ქვეყნის სამსახურად კვლავ დღეგრძელობას ვუსურვებ და სხივმრავლობას, როგორც მნათობთა წესია!

*დავით კვიცარიძე*

## მადლიერების გრძნობით

თვითეულ მწერალსა და, მათ შორის მეც, რაღაც დიდი და დაუვიწყარი, სამარადჟამოდ მოსაგონარი მადლიერების გრძნობა გვაკავშირებს ჟურნალ „მნათობთან“.

ახლაც შორეული ამბავი გამახსენდა.

სამამულო ომიდან რომ დავბრუნდი, ჩემდა გასაოცრად ქუთაისის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოში ამოვყავი თავი, საკმაოდ დიდ თანამდებობაზე — დირექტორის მოადგილედ დამნიშნეს და მეც მაშინვე ჩავეფალი სამეურნეო საქმიანობაში.

ხანდახან მაინც ჩავუჯდებოდი ბელორუსიის ტყეებიდან სიმწრით ჩამოტანილ უბის წიგნაკს.

ჩემთან ერთად მრავალგზის ბეწვზე ეკიდა ამ წიგნაკის სიცოცხლე, ბევრჯერ ჩურჩხელასავით ამოვლებულვართ ნაღმის თუ ბომბის მიერ გათხრილ ორმოში, გადავრჩენილვართ.

...ჩავხედავდი არა გაცრეცილ, არამედ ნაფლეთებად ქცეულ პაწია ფურცლებს და ვკითხულობდი პირველ ლექსებს, სასოებით რომ ვწერდი ტყეში და ქვეყანა ჩემი მეგონა.

მოგეხსენებათ ჯარისკაცს და ისიც პარტიზანს ძვირად უღირს წუთი და როცა მე იმღამინდელ ლექსებს ვკითხულობდი, თვალწინ ჩვენი პარტიზანული ბანაკი მედგა.

საბოლოო ოპერაციიდან ძლივს მოვატანე სული, დაღლილ-დაქანცულ, მშიერ-მწყურვალს თავის მიდება და თვალის მოტყუება სიცოცხლეს მირჩევნია. ვინ, სად, ვინ როგორ მიეყრებოდნენ ბიჭები და უმალ ხვრინვას ამოუშვებდნენ.

მე კი...

ძნელად გასამეტებელ წუთებს ვიპარავდი და მერე რისთვის?!

ლექსს იმ დღესვე ვუკითხავდი რაზმში ერთადერთ ქართველს და ისიც (იმას მიეცა ჩემი ცოდვა) ხოტბა-დიდებას მასხამდა.

....უბის წიგნაკიდან ლექსების „პარტიზანული ციკლი“ რვეულის ფურცლებზე გადავიტანე და კრძალვით ჩავუარე საჯარო ბიბლიოთეკის შენობას, სადაც მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება იყო მოთავსებული.

მალე მომიწყვეს ნათლობა, გაზეთ „სტალინელში“ ჩემი პირველი ლექსებიც გამოქვეყნდა.

მერე დიდი მორიდებით შევაღე „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორის კაბინეტის კარები.

უფრო გვიან კი „მნათობშიც“ შევბედე. აქ, ამ ჟურნალში დაიბეჭდა თუ რამ ოდნავ თვალსაჩინო გამაჩნია. აქ გამოქვეყნდა ჩემი ვრცელი რომანიც „მშვიდობით, უსიერო ტყეებო“. სულ მალე ამ რომანს რუსულ ენაზე მიიღებს მკითხველი.

აქ ალბათ მალე დაიწყება ბეჭდვა ჩემი ახალი რომანისა „ძევლები მიწას არ ამძიმებენ“.

აქ...

შემინდოს და მაპატიოს ქართველი კაცის, ქართველი მწერლის ყველა უპირველესმა მეგობარმა და მასწავლებელმა, მაგრამ „მნათობი“ მთელი რესპუბლიკის ლიტერატურული ცხოვრების, მეცნიერული აზროვნების, კულტურული მაჯისცემის ცენტრია და სარკე, რომელსაც ისე მივფიცხებივართ, როგორც ბუხარს, მოგუზგუზე შუაცეცხლს, რომ გიზიდავს, გათბობს და ველარ შორდები.

კიდევ უფრო მეტ გაღვივებას და გაძლიერებას ვუსურვებ ამ ცეცხლს, რესპუბლიკის მზარდი ლიტერატურული ძალების შემოკრებას და ჩვეულ გულისხმიერებას მათ მიმართ.

მადლობა მშობლიურ ჟურნალს.

*სერგო კლდიაშვილი*

## გუშინ, დღეს და შორეულ მომავალშიც!

ნახევარი საუკუნეა „მნათობი“ დიდ სამსახურს უწევს ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების საქმეს.

„მნათობის“ გამოჩენა უცაბედი, შემთხვევითი არ ყოფილა. მას სახელოვანი და კეთილშობილი ტრადიციის მქონე წინაპრები ჰყავდა: „ცისკარი“, „ივერია“, „კრებული“, „მოამბე“, თვით ძველი „მნათობი“ და ბევრი სხვა.

და თითქოს როგორც დადასტურება იმისა, რომ წინაპრების მიერ მწერლობაში გაკვალული კეთილშობილებით სავსე დიდი გზა გრძელდებაო ახალ ეპოქაში, „მნათობმა“ იმით დაიწყო არსებობა, რომ ახალგაზრდა მწერლების გვერდით ჟურნალში თანამშრომლობას იწყებენ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი მწერლების ისეთი დიდი წარმომადგენლები, როგორიც არიან შ. არაგვისპირელი, ვ. ბარნაველი, (ბარნოვი), დავ. კლდიაშვილი და სხვანი.

„მნათობის“ დამახასიათებელი თვისება ისიც იყო, რომ მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, თავის მოვალეობად თვლიდა ყოველგვარად ხელისშემწყობი ყოფილიყო მათი, ვინც მწერლობაში პირველ ნაბიჯებს დგამდა. ამ საჭირო და კეთილშობილ ტრადიციას დღესაც ხომ უდიდესი ყურადღებით და გულისხმიერებით განაგრძობს „მნათობი“.

თითქმის ყველაფერი, რამაც ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე გაამდიდრა და აამაღლა ქართული მხატვრული მწერლობა, თითქმის ყველა ის ნაწარმოები, რომლითაც თავს იფასებს თანამედროვე ჩვენი ლიტერატურა, პირველად გამოქვეყნდა „მნათობში“. ამ ჟურნალმა დაულოცა გზა. აქედან მრავალმა გაუძლო იმ მკაცრ მსაჯულს, რომელსაც დრო ეწოდება და, დარწმუნებული უნდა ვიყოთ. შორეულ მომავალშიც საყვარელ წიგნად მიიჩნევს ქართული მხატვრული სიტყვის მოყვარული მკითხველი.

ჩემს მეგობარ მწერლებთან ერთად პატივისცემით და სიყვარულით მივესალმები ჩვენს სახელოვან იუბილარს. მათთან ერთად მეც არაერთხელ მიგო-

ძვნია მისი მეგობრული დამოკიდებულება. თითქმის მთელმა ჩემმა ლიტერა-[illegible] ტურულმა ცხოვრებამ ამ ჟურნალის ფურცლებზე გაიარა და ნურავის [illegible] ვლის გადამეტებად, ან სენტიმენტალობად, თუ ვიტყვი, რომ ეს ჟურნალი მეორე ოჯახად მიმაჩნია. მინდა ვიფიქრო, რომ ასე უყურებს მას სხვა მრავალი ჩემი კოლეგა.

„მნათობმა“ დიდი და კეთილშობილი გზა განვლო. ქართული სიტყვა საუკუნეებში იცოცხლებს და ამ დაუსრულებელ მომავალში მის ფურცლებზე დაე, როგორც სჩვევია, მუდამ ახალგაზრდულად და კეთილშობილად ჟღერდეს ქართული სიტყვა.

რევაზ მარგიანი

## მატიანე ჩვენი მწერლობისა

ნახევარი საუკუნეა შრიალებენ „მნათობის“ ფურცლები, ყოველი ნომერი ხელიდან ხელში გადადის, ეწაფებიან თაობები. „მნათობი“ თავისებური მატიანეა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისა. რამდენი ძვირფასი, საუკეთესო და დაუვიწყარი ლექსი, პოემა, მოთხრობა, რომანი დაბეჭდილა ამ ჟურნალში, რამდენი მშვენიერი ქმნილება გამომზეურდა მის ფურცლებზე! აქ ქვეყნდებოდა და ქვეყნდება ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებსაც ქმნიდა და ქმნის ქართველი მწერლის გონება და მარჯვენა.

„მნათობის“ ფურცლებს ამშვენებდნენ დაუვიწყარი სახელები მეოცე საუკუნის დიდი მწერლებისა და მოაზროვნეებისა, ჩვენი სახელოვანი მეცნიერებისა. ამიტომ მოელის ასე მოუთმენლად ყოველი ნომრის გამოსვლას მადლიერი მკითხველი. უხვი და ბარაქიანი გამოდგა „მნათობის“ სულიერი საზრდო, რომლითაც ნახევარი საუკუნეა იკვებება ჩვენი საზოგადოებრიობა.

ამ ჟურნალში აღიზარდა, დავაჟკაცდა მწერალთა რამდენიმე თაობა. როცა ჭაბუკები ვიყავით, მე და ჩემი მეგობრები ვოცნებობდით „მნათობში“ დაბეჭდვაზე. ამ ჟურნალში დაბეჭდვა კი ნიშნავდა — მწერლად აღიარებას. ასე იყო ყოველთვის და ასეა ახლაც. თუ რაიმეს დავწერდი ისეთს, რომელიც გამოქვეყნების ღირსად მიმაჩნდა, მივიჩქაროდი რედაქციაში, სადაც ჩემდამი ყოველთვის გულისხმიერებას იჩენდნენ და ხელს მიწვდიდნენ. მეამაყება, რომ ჩემი ლექსების უმრავლესობა „მნათობშია“ გამოქვეყნებული. სიჭაბუკეში გავხდი მისი ავტორი და დღესაც გრძელდება ჩემი ამ ჟურნალთან მეგობრობა.

„მნათობი“ მუდამ იყო სოლიდური და აუჩქარებელი, როგორც ამბობენ აკადემიურობა ყოველთვის ამშვენებდა ამ ჟურნალს. მან დიდი ღვაწლი დასდო მშობლიური მწერლობისა და მეცნიერული აზროვნების განვითარებას. თუ არ ვცდები, დღემდე ექვსას წიგნადაა შეკრული მისი ფურცლები. ეს კი დიდი ბიბლიოთეკაა, რომელიც სავსეა ძვირფასი საგანძურით, რაც ნახევარი საუკუნის მანძილზე შეუქმნია ქართულ საბჭოთა მწერლობას.

„მნათობმა“ ნახევარი საუკუნე უკან ჩამოიტოვა, მაგრამ მას მაინც ხანდაზმულს ვერ ვუწოდებთ. ეს გზა მან სახელოვნად გაიარა, ღირსეულად მიუძღოდა წინ ქართულ სალიტერატურო ჟურნალებს. ძალიან დიდი გზა აქვს გასავლელი ჩვენს „მნათობს“. ალბათ საუკუნეებში მოუწევს ქართული სიტყვის სამსახური.

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია, რედაქციის მუშაკთა მთელი

კოლექტივი სულითა და გულით ულოცავს ძვირფას მეგობრებს ჟურნალის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ახალ გამარჯვებებს გისურვებთ ძვირფასო ამხანაგებო!

*ელგუჯა მაღრაძე*

# წინსვლა და წარმატება

„მზისა და მხურვალე ოცნების ქვეშევრდომებმა“ 50 წლის წინათ განახლებული ქართული მხატვრული აზროვნების ამაღორძინებელ ჟურნალს „მნათობის“ სახელი დაანათლეს. ალბათ იმიტომაც, რომ ჩვენში მზისა და მთვარის ღვთაება, ძველ ეგვიპტელთა დარად, მთავარ ღვთაებებად ითვლებოდა. ქართული თუთე და მეგრულ-ჭანური თუთა ხომ ფონეტიკურად ეგვიპტურ-კოპტური თოთი thoth-ის ენათესავება.

დიდი მნათობების სახელით ჟურნალის მონათვლა ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ჩვენს წინაპართა წარმოდგენაში არსთა მაცოცხლებელი მნათობებისა და პოეზიის ცნებანი ოდითგანვე სისხლხორცეულად იყო შერწყმულ-შეწყვილებული. შექმნის დღიდან მოყოლებული, მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე „მნათობი“ უხვად გვფენს თავის ნათელს. ორმოცდაათი წელი გამოსაცდელად საკმაოდ გრძელი მანძილია. ეს ნახევარსაუკუნოვანი გზა, ამავე დროს, არის მრავალ ბრძოლაგამოვლილი მთელი უახლესი ქართული ლიტერატურის სახელოვანი გზა. გუტენბერგის გენიალური გამოგონების შემდეგ, მწერლობა წარმოუდგენელია ბეჭდვის გარეშე. ჟურნალები და წიგნები მხატვრული სიტყვის საშუალებით იპყრობენ მილიონების გულებსა და გონებას.

არც ისე ხანგრძლივია ქართული ჟურნალისტიკის ისტორია და იუბილარ ჟურნალს ამ ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ჟამის მონაკვეთი ეკუთვნის. იგი დაარსდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურა, როცა ქართული მწერლობა მხარში ამოუდგა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას, როცა მთელი ხალხი აშენებდა ახალ საქართველოს, „რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს“.

„მნათობი“ იყო და არის თანამედროვე ქართული მწერლობის მთავარი და ძირითადი ლიტერატურული ორგანო. ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების საუკეთესო ნაწარმოებები: ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს რესპუბლიკას საბჭოეთის დიდ ქვეყანაშიც და მის საზღვრებს მიღმაც. ბევრი მათგანი უცხოურ ენებზეც ითარგმნა და გამოიცა.

ჩვენი დიდი ქვეყნის ომით გამოცდის მძიმე წლებში, როცა ჟურნალი შეყვითლებულ ქაღალდზე იბეჭდებოდა, „მნათობი“ მხარში ედგა სამშობლოს სახელოვან დამცველებს, ცეცხლოვანი სტრიქონებით ებრძოდა მიხაკისფერი ჭირის მთესველთ და ხალხს გამარჯვების რწმენას უნერგავდა.

წლების მანძილზე იზრდებოდა ჟურნალის პოპულარობა და ტირაჟი. „მნათობის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები ათასობით მშრომელთა გულებს იკრებდა, არწმუნებდა, აღაფრთოვანებდა.

ჟურნალში ყოველთვის დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ლიტერატურულ კრიტიკას. „მნათობი“ მუდამ იყო ჯანსაღი შემოქმედებითი დავისა და კა-

მათის ასპარეზი. კრიტიკა და პუბლიცისტიკა იყო და არის ჟურნალ „მნათო-ბის“ ერთ-ერთი ძირითადი განყოფილება.

„მნათობი“ დიდ ყურადღებას აქცევდა რესპუბლიკის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. ფართოდ აშუქებდა ჩვენი ისტორიისა და კულტურის მტკივნეულ პრობლემებს. ჟურნალში მოწინავე მწერლებთან ერთად მუდამ თანამშრომლობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, კულტურის მუშაკები. „მნათობში“ ყოველთვის იყო წარმოდგენილი თანამედროვე რუსი და მოძმე რესპუბლიკების მწერლების შემოქმედება, ხალხთა ჭეშმარიტი ძმობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულ მათ გონით ნაღვაწს არაერთგზის დაუმშვენებია ჟურნალი.

„მნათობი“ კვლავაც ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ავანგარდში დგას. იგი დღესაც სახელოვნად აგრძელებს თავის მდიდარ ტრადიციას. იუბილარი ჟურნალისათვის თამამად შეიძლებოდა გვეწოდებინა ქართული თანამედროვე მწერლობის მიღწევათა სავანე.

„მნათობის“ რედაქციის კოლექტივს მინდა გულისსიტყვა ვუთხრა, გულისსიტყვა, რომელსაც გონება კი არ განიოტებს, პირიქით მიიღებს, იწამებს, რამეთუ ის გულისსიტყვა უზაკველი და უცოდველი რამ გახლავთ.

მივესალმები „მნათობის“ რედაქციის მრავალ ჭირგამოვლილ კოლექტივს, იმ ჯანსაღ კოლექტივს, რომელთანაც პატივი მქონდა ჩემი შეგნებული ცხოვრების შვიდი წელი მეთანამშრომლა. რომლებთანაც ერთად მხარდამხარ ვეწეოდი ჭაპანს, ვიღწვოდი და ვშრომობდი. კოლექტივს, რომლის წევრებთან ერთად ბევრი წარმატებული თუ წარუმატებელი ბრძოლა გადამიხდია, კოლექტივს, რომელიც მთელი არსებით მიყვარს, რომლის ფასი და წონაც ვიცი და ხშირად შეჭირვებულს მათგან ბევრი თანაგრძნობა, მხარდაჭერა და თანადგომა მქონდა. მინდა „მნათობის“ რედაქციის კოლექტივის თითოეული წევრი დავარწმუნო ჩემს მათდამი ღრმა პატივისცემასა და სიყვარულში, მინდა სჯეროდეთ, რომ ჩვენი ეს განშორება ჩვენს ურთიერთ პატივისცემასა და სიყვარულს მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი გამოცდის წინაშე აყენებს. მთავარი კი ისაა, კაცმა დრო-ჟამით გამოცდას გაუძლოს.

მაშ სამარადისო ბრწყინვა ვუსურვოთ ეროვნული მწერლობის ამაგდარ ბურჯს, რომლის წარმატება ქართული საბჭოთა მწერლობისა და აზრის წარმატებაცაა. „მნათობის“ იუბილე მთელი ქართული მწერლობის, ხელოვნებისა და მეცნიერების დიდი დღესასწაულია.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე წინსვლა, წარმატება და გამარჯვება არ მოშლოდეს ქართული საბჭოთა მწერლობის ფლაგმან ჟურნალს.

*ალექსი მაჭავარიანი*

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი

## გულწრფელად ვულოცავ „მნათობს“

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „მნათობი“ ხუთი-ექვსი წლისა იქნებოდა, როდესაც მე სრულიად ახალგაზრდა გორელი ჭაბუკი, მოყვარული ქართული ლიტერატურისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევუდექი მის კითხვას. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე გავხდი მისი ერთგული პატრიოტი-მკითხველი.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იმ დროინდელ გორის საშუალო განათლების სკოლებში, საკმარისად მაღალ დონეზე იყო დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, შესანიშნავი პედაგოგები ასწავლიდნენ ამ საგნებს; მათ კარგად იცოდნენ, როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ქართული ლიტერატურა. და, რაც განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ჰქონდათ შესანიშნავი მეტყველება, უდიდესი ყურადღებას აქცევდნენ გამოთქმის კულტურას, დიქციას, დინჯ, გამომსახველ მეტყველებას, კუთხური კილოკავების დაწმენდა-დახვეწას, ლიტერატურული ენის დანერგვას.

ჩვენ, მოსწავლეები, პედაგოგებთან ერთად, ხშირად ვაწყობდით ლიტერატურულ საღამოებს, ახალი ნაწარმოებების გარჩევას, მთავარ პერსონაჟთა ზნეობის, მოქალაქეობის, რწმენის, ღირსებისა თუ უღირსობის ამხილებსა და დადგენას.

ლექსებისა და პოემების საუკეთესო კითხვისათვის ვაწესებდით წამახალისებელ ჯილდოებს, და, აი სწორედ ამ ლიტერატურულ საღამოებზე დავიწყეთ კითხვა „მნათობში“ გამოქვეყნებული ლიტერატურული და კრიტიკული ნაწარმოებებისა, და მაშინ ჩვენ, ახალგაზრდებმა შევიყვარეთ ეს ჟურნალი.

„მნათობმა“, მთელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში, დიდი როლი შეასრულა და დღესაც ასრულებს ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარებისა და წინ წაწევის თვალსაზრისით.

საუკეთესო ლექსი, მოთხრობა, პოემა, ნოველა თუ რომანი პირველად ამეტყველებულა ამ შესანიშნავი ჟურნალის ფურცლებზე, გაუმდიდრებია ქართველი ხალხის სულიერი სამყარო, აღმოუჩენია და აღუზრდია მრავალი შესანიშნავი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, კრიტიკოსი.

გამოვთქვამდი სურვილს, დიდი მონაწილეობა მიეღოს მას ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდაში, სალიტერატურო ენის ფართოდ დანერგვის მხრივ, მეტყველების, დიქციის, მაღალი მხატვრული გამოთქმის სწორად წარმართვის საქმეში, რადგან ამ ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში საგრძნობლად შეილახა ქართული ენა, მეტყველების მხრივ.

გულწრფელად ვულოცავ „მნათობს“ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ სულ წინ და წინ მიისწრაფოდეს, ჩვენი ეროვნული კულტურის სადიდებლად.

*გიორგი ნატროშვილი*

## ტრადიცია და ხვალინდელი დღე

ჩვენს პრესაში არაერთგზის აღნიშნულა და ჩვენი საუკეთესო მწერლების აქ გამოქვეყნებულ საიუბილეო წერილებშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „მნათობის “ისტორია — ეს არის ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია.

„მნათობის“ გამოსვლა დიდი მოვლენა იყო ახალი საქართველოს ცხოვრებაში: ჟურნალმა პირველივე ნომრიდან თავი მოუყარა და ფართო გზა მისცა ქართული მწერლების ყველაზე საუკეთესო ძალებს.

აქ, ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა ჩვენი ლიტერატურის ყველაზე საუკეთესო ქმნილებები განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე. ის ნაწარმოე-

ბები, რომლებშიც გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებულმა შრომამ და [illegible] ახალი სოციალისტური სამყაროს ასაშენებლად და დასაცავად.

„მნათობი“ თავიდანვე იქცა ქართული საბჭოთა კულტურის უმძლავრეს კერად; ის მუდამ იყო მგზნებარე პროპაგანდისტი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისა; ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი ქართული მწერლობა მხარში ედგა თავის ხალხს, როცა ის იწყებდა დიდ სოციალურ და ეკონომიურ გარდაქმნებს, როცა საფუძველს უყრიდა პირველი ხუთწლედების გიგანტებს, როცა დიდი სამამულო ომის წლებში, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, იცავდა სოციალისტურ სამშობლოს.

ომისშემდგომ წლებში „მნათობი“ კვლავ ჩვეული გატაცებით ნერგავდა მკითხველთა შეგნებაში საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილურ იდეალებს. სწორედ აქეთ იყო წარმართული „მნათობის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ყველა საუკეთესო ლექსი და პოემა, მოთხრობა და რომანი, კრიტიკული და პუბლიცისტური ნაშრომები.

მართლაც, სახელოვანი გზა გაიარა ჩვენმა ჟურნალმა; მან დიდი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს, ქართულ მწერლობას, მეცნიერებას, საერთოდ, ჩვენს კულტურას...

პირველად ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა ის მხატვრული ნაწარმოებები, რომელთაც სულ მალე საკავშირო და მსოფლიო რეზონანსი მოიპოვეს.

მაგრამ ჩვენ დღეს მარტო უკვე მიღწეულით ვერ დავკმაყოფილდებით. ქართველი საბჭოთა მწერლებისათვის შთამაგონებელი და მაგალითის მაჩვენებელი მუდამ იყო ჩვენი შესანიშნავი ხალხი, რომელიც ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით აღწევს ახალ-ახალ მწვერვალებს და დაუცხრომლად მიისწრაფვის წინ... ხალხი ასწავლიდა მწერალს ცხოვრების დიდ სიბრძნეს და მწერალი ასწავლიდა ხალხს — ასეთი იყო და არის საბჭოთა კულტურის განვითარების დიალექტიკა.

ახლა, მეცხრე ხუთწლედის პერიოდში, ახალი ისტორიული ამოცანები დგას ჩვენი ჟურნალის წინაშე. დღევანდელ ვითარებაში კვლავ აუცილებელი გახდა „მნათობი“ უფრო გაბედულად, უფრო აქტიურად ჩაერიოს ცხოვრებაში, თქვას თავისი სიტყვა ხალხის ცხოვრების სასიცოცხლო საკითხებზე; ჩვენ ისე უნდა წარვმართოთ ქმედითი ძალა მხატვრული სიტყვისა, რომ მან წარმატებით შეასრულოს მკითხველის იდეური აღმზრდელის როლი, შეასრულოს ისე, როგორც ამას XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი მოითხოვენ.

1973 წელი მეტად კარგი წელი იყო საქართველოსათვის. ახალმა, მოწინავემ, კომუნისტურმა უფრო ლაღად გაშალა მხარიც და მკლავიც. სოციალისტურმა შეჯიბრებამ, შრომის ამ ქმედითმა ფორმამ, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ტონუსი რომ აამაღლა, უფართოესი გასაქანი მისცა მასების ცხოველმყოფელ ინიციატივას. ეს უმალ იგრძნო, დაინახა, და კარგადაც გამოსახა ქართულმა მწერლობამ. კონსტანტინე გამსახურდიამ ასე დაიწყო თავისი ნარკვევი რუსთავზე: „არაფერი ისე არ ახარებს თვალსა და გულს, როგორც ეგა: ახლის შემქმნის მეთვალყურე იყვე და ახლის შემქმნელს შეაწიო ხმა“. გასულ წელს მართლაც მთელი სიხარულით შეაწია ხმა მწერლობამ ქართველი ხალხის შრომით სიმამაცეს, მის ღვაწლსა და შემოქმედებითს საქმიანობას, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წარმართავს. საქართველოს მწერალთა კავშირმა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს ხანგრძლივი ვადით გაგზავნა მწერლები დიდ სამშენებლო ობიექტებზე; ეს არის ჩვენი მუდმივი პოსტები ხუთწლედის უდიდეს მშენებლობებზე. ძვრებმა და განახლე-

ბის პროცესმა ბუნებრივად გამოიწვიეს გამოძახილი ლიტერატურაში — და ეს, უწინარეს ყოვლისა, იმით გამოიხატა, რომ მოქალაქეობრივმა პატრიოტულმა საზოგადოებრივმა მოტივებმა დაიბრუნეს და აღიდგინეს თავისი პოზიციები, რომლებიც ერთგვარად შესუსტებული იყო. ამის დამადასტურებელია მთელი ციკლები ლექსებისა, რომლებიც ასე უხვად ქვეყნდებოდა მთელი გასული წლის განმავლობაში ქართული პერიოდიკის ფურცლებზე, მხატვრული ნარკვევები, რომლებშიც ქართველი მწერლები ეხმაურებოდნენ და ასახავდნენ ჩვენი დღეების დიდ შრომითს რომანტიკას.

მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, საჭიროა ძალთა უფრო მეტი მობილიზება, რათა ქართულმა მწერლობამ და, უპირველეს ყოვლისა, მისმა ჟურნალმა — „მნათობმა“ უფრო მკაფიოდ, უფრო ნათლად გამოხატოს საბჭოთა საქართველოს დღევანდელი დღე.

აქეთ მოგვიწოდებენ, ამას გვავალებენ ხალხი და პარტია, ამას გვავალებს თვითონ „მნათობის“ ტრადიციაც.

აბა გადაავლეთ თვალი მის ისტორიას: პირველსავე ნომერში „მნათობმა“ გამოაქვეყნა დემნა შენგელაიას რომანი „სანავარდო“ — ეს იყო შესანიშნავი პროზაული ქმნილება, მაუწყებელი ძველი დახავსებული სამყაროს მსხვრევისა და ახალი ისტორიული ეპოქის დაწყებისა.

თავისი არსებობის პირველსავე წლებში „მნათობმა“ გალაკტიონ ტაბიძისა და მისი თაობის სხვა შესანიშნავი ოსტატების ლექსებით გზა გაუხსნა და საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ პოეზიას, რომელიც უმღეროდა შრომას, თავისუფლებას, საქართველოს აღორძინებას.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, საკოლმეურნეო წყობილების დაფუძნებას, „მნათობმა“ უპასუხა შესანიშნავი რომანებით, რომლებიც ახლა უკვე საბჭოთა კლასიკის უძვირფასეს ფონდში არიან შესული. აქ აღარ ჩავთვლით ამ რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს, პოემებს, აღარ ჩამოვთვლი მათს ავტორებს. მათს სახელებს ყველა კარგად იცნობს.

„მნათობი“ ომის დროს — საბჭოთა ჯარისკაცის ტრიბუნა იყო, ხოლო ამ ჯარისკაცთა შორის იყო ქართველი მწერალიც, ერთგული თავისი სამშობლოსი, მისი ნათელი ჰუმანისტური იდეალებისა.

ასეთია „მნათობის“ ტრადიცია.

ასეთი იქნება მისი ხვალინდელი დღეც.

მან უნდა შესძლოს ახალი მონუმენტური ქმნილებებით აღბეჭდოს დღევანდელი დღე საბჭოთა საქართველოს ცხოვრებისა, მან უნდა გვიჩვენოს კომუნიზმის მშენებელთა ისტორიული საქმეები, ჩვენი დროის გმირების სახეები და ხასიათები.

ამის ძალა შესწევს ქართულ მწერლობას, რომელსაც სიტყვის შესანიშნავი ოსტატები ჰყავს.

*იოსებ ნონეშვილი*

## „რაც არ იწვის, არ ანათებს“

ჟურნალი „მნათობი“, როგორც სარკე უტყუარი, აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა თავის ფურცლებზე წამოაჩენს მშობლიურ ლიტერატურას.

წამოაჩენს, მაგრამ სარკესავით გულგრილად როდი აირეკლავს მხოლოდ... იგი რაზმავს, წარმართავს ჩვენს მწერლობას ეროვნული, პარტიული, სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოებრივი ინტერესებისათვის, ქართული ლიტერატურის შემდგომი სრულყოფისა და ამაღლების ინტერესებისათვის.

რასაკვირველია, სარედაქციო კოლეგიის წევრები, რედაქციის მუშაკები ყოველთვის როდი ახერხებდნენ ჟურნალის ყველა ნომერი ერთნაირი სიძლიერის, ერთნაირად საინტერესო ყოფილიყო. მაგრამ მკითხველებმაცა და მწერლებმაც კარგად იციან, რომ თუ კი 50 წლის მანძილზე ჩვენში მნიშვნელოვანი რამ დაიწერა — ლექსი თუ პოემა, მოთხრობა თუ რომანი, კრიტიკული წერილი თუ მხატვრული ნარკვევი — უპირველესად „მნათობმა“ გამოაქვეყნა“. ბევრი მათგანის დაწერის ინიციატორიც გახლდათ იგი. ავტორებს აგზავნიდა შემოქმედებით მივლინებებში, სთხოვდა, ურჩევდა, ეხმარებოდა...

თითქმის ყოველთვიურად ჟურნალი ქართველ მკითხველს სთავაზობდა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა და საზღვარგარეთული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

და აქაც, უმეტესწილად, ეს საქმე კეთდებოდა არა თვითდინებით, არამედ სათარგმნი ლიტერატურის მოფიქრებული შერჩევით.

დიდად საგულისხმოდ მიმაჩნია ისიც, რომ ჟურნალი როდი შემოიფარგლა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურით. მას ყოველთვის ღია აქვს კარი მეცნიერების, ხელოვნების და, რაც მთავარია, ეროვნული, ცხოვრებისეული, თანადროული საკითხებისა და პრობლემებისათვის.

ჟურნალი წლების მანძილზე თავის გარშემო იკრებდა ლიტერატურულ ახალგაზრდობას. პირადად მეც ისე, როგორც მრავალი ჩემი მეგობარი, „მნათობისაგან“ დიდად დავალებული ვარ.

მახსოვს, როდესაც იმჟამად ახალგაზრდა პოეტები ახალ ლექსებს ვუკითხავდით ერთმანეთს, თუ რომელიმე ლექსი განსაკუთრებით მოგვეწონებოდა, ავტორს ვურჩევდით „მნათობში“ მიეტანა. ვამბობდით:

„ეს ლექსი ნამდვილად იმნათობებს“ ანდა:

„ეს ლექსები ვერ იმნათობებენ“...

ერთი აგვიხირდა, მე მაინც „მნათობში“ მივიტანო. მახსოვს მირზა გელოვანმა გაბრაზებით მიახალა დაუჯერებელ ავტორს:

„მნათობმა“ რომ დაბეჭდოს კიდეც, ეს ლექსი მაინც ვერ იმნათობებსო“...

ძვირფასო მეგობრებო, რედაქციის, სტამბის, გამომცემლობის მუშაკებო, სარედაქციო კოლეგიის წევრებო, ავტორებო და მკითხველებო, მოგილოცავთ სახელოვან იუბილეს. გისურვებთ ახალ შემართებას, ახალ შემოქმედებით წვასა და ძიებას, რადგან, როგორც დიდი აკაკი იტყოდა — „რაც არ იწვის არ ანათებს“.

*კონსტანტინე სიმონოვი*

## ჟურნალ „მნათობის“ რედაქციას

ძვირფასო ამხანაგებო!

მე მინდა ჩემი ხმაც შევუერთო იმ მრავალ მილოცვას, რომლებსაც ჟურნალის ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ღებულობთ.

ჩემთვის დიდად სამწუხაროა, რომ არ ვიცი ქართული ენა, მაგრამ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მე მომიხდა რუსულ თარგმანებში წამეკითხა

ქართული პოეზიის და პროზის მშვენიერი ნაწარმოებები, რომელთაც საგზური ცხოვრებაში პირველად მისცა, თავის ფურცლებზე პირველად შესთავაზა ჟურნალმა „მნათობმა“.

ჟურნალის მუშაობის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავ დღეებში მე მინდა მადლობა გადავუხადო მას ამ მოღვაწეობისათვის, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული მწერლობისა, არამედ მთელი ჩვენი მრავალეროვანი ლიტერატურისათვის.

დიდად ვაფასებ რა მთელს თქვენს ნამუშევარს, გისურვებთ ახალ წარმატებებს, ნაყოფიერ და საინტერესო მუშაობას მრავალი წლის მანძილზე.

***ნიკოლოზ ტიხონოვი***

# მივესალმები და ვულოცავ

ჟურნალ „მნათობს“ ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ყოველი ჟურნალისათვის არსებობის ნახევარი საუკუნე ბევრს ნიშნავს, მაგრამ ჟურნალ „მნათობს“ მოეპოვება განსაკუთრებული ისტორიული და ლიტერატურული ღირსებები და დამსახურებები.

თვით მისი სახელი „მნათობი“ ბევრის მთქმელია, ის ლაპარაკობს იმაზე, რომ იგი წარმოიშვა დროის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთზე, როდესაც ახალი რევოლუციური სიტყვა განამტკიცებდა და ავითარებდა ოქტომბრამდელი საქართველოს მწერალთა და მოღვაწეთა სიტყვას, რამაც შემდგომ შესანიშნავი განვითარება ჰპოვა.

გაფთრებულ იდეოლოგიურ გამიჯვნათა ჟამს, ახალი ქართული ლიტერატურის დროშით, ჟურნალი ასრულებდა მოწინავის როლს, სწორ გზაზე მდგომი ჟურნალი აერთიანებდა ყოველივე ცოცხალს, ახალს, ახალგაზრდულს პოეზიასა და პროზაში. იგი ასრულებდა ლიტერატურაში რეალისტური მიმართულების მქადაგებლის როლს, როგორც კრიტიკული აზროვნების ტრიბუნი, ხალხთა მეგობრობის, ძმური შეხვედრების ადგილი.

ჟურნალის ფურცლებზე ჩვენ ვნახავთ მრავალ სახელოვან სახელს, „მნათობმა“ აღმოაჩინა და ახლაც განაგრძობს მრავალ ახალგაზრდა ავტორთა გამოჩენას. იგი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც.

მისი ისტორია მდიდარია შესანიშნავი ნაწარმოებებით. მისი პოეტები და პროზაიკოსები, გამოჩენილ რედაქტორთა მეგობრული მონაწილეობით, შევიდნენ საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურაში.

და დღესაც, ჩვენ — მწერლები, ქართველ მეგობართა ძმები, სულითა და გულით მივესალმებით ჩვენს უხუცეს ჟურნალს და ვუსურვებთ მას შემდგომ აყვავებასა და ბრწყინვალე წინსვლას ჩვენი საყოველთაო სოციალისტური აღმავლობის გმირულ წლებში.

მხურვალედ ვულოცავ და მივესალმები მთავარ რედაქტორს გიორგი კონსტანტინეს ძე ნატროშვილს, სარედაქციო კოლეგიას, ავტორთა კოლექტივს, ყველა თანამშრომელს და ვუსურვებ მათ წარმატებას, პირად ბედნიერებასა და ჯანმრთელობას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო შანშიაშვილი

# დაე, იძლიეროს „მნათობმა“ მრავალჟამიერ!

ჟურნალ „მნათობის დაარსების დღიდან მე მისი ახლო თანამშრომელი ვიყავ. დროთა განმავლობაში იბეჭდებოდა ამ ჟურნალში ჩემი ლექსები, პოემები და მოთხრობები.

„მნათობის“ პირველი რედაქტორი იყო ლ. ქართველიშვილი, მეორე ნომრიდან კი ვ. ბახტაძე. მან „მნათობის“ გარშემო შემოიკრიფა საუკეთესო ბელეტრისტები, პოეტები და ლიტერატურისმცოდნეები; თავიდანვე „მნათობში“ თანამშრომლობდნენ: მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ს. კლდიაშვილი, ალ. მირცხულავა, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და მრავალი სხვა გამოჩენილი მწერლები. მართალია, რედაქტორები იცვლებოდნენ, მაგრამ „მნათობი“ თავის ტრადიციას არ ჰკარგავდა.

იმედს გამოვთქვამ, რომ „მნათობი“ სახელოვან დროშას დაბლა არ დახრის და მას ისევე ძლევამოსილებით ატარებს, როგორც აქამდე იყო იგი.

დაე, იძლიეროს „მნათობმა“, მრავალჟამიერ!

დემნა შენგელაია
მწერალი-აკადემიკოსი

# პირველი დღეები

ახლაც მღელვარედ მაგონდება რევოლუციის პირველი წლები. „მნათობის“ რედაქტორი, მგზნებარე ვალია ბახტაძეც ამ რევოლუციის ნაკვესი იყო. ძაბრის ქუდი, რუხი მაზარა და უშრეტი ცეცხლით აღგზნებული მისი ჭროღა თვალები ახლაც თვალწინ მიდგას.

ეს — მან მიმილო ყურადღებით, მან გამომართვა ჩემი რომანი „სანავარდო“, მომეალერსა და წაკითხვის შემდეგ რედაქციის ერთადერთ თანამშრომელს — მოსე გოგიბერიძეს მეორე დღესვე გადასცა.

მოსე გოგიბერიძე საკვირველი კაცი იყო. გერმანიიდან ჩამოსულს აინშტაინზე დაწერილი თავისი ნაშრომი ჩამოეტანა და ახლა რედაქციაში მუშაობდა. „მნათობის“ რედაქცია ოპერის წინ აღმართული სახლის ერთ ოთახში, ცენტრალური კომიტეტის ქვემოთ იყო მოთავსებული. ის ოთახი მუდამ ღია იყო და მუდამ მწერლებით სავსე.

მოსე გოგიბერიძე ან სტამბაში იყო, ან რედაქტორთან — ცენტრალურ კომიტეტში, ან უნივერსიტეტში, სადაც ის ლექციებს კითხულობდა; ამიტომაც მისი ნახვა ადვილი საქმე როდი იყო. ახალი მოთხრობით ან ლექსით ხელში სად არ ვეძებდით მას. ბოლოს კითხვა-კითხვით მივაკვლევდით და მასალას რომ ჩამოგვართმევდა, ხელნაწერს გარმონივით გაწელილ პორტფელში ჩაიჩურთავდა და შეუჩერებლივ განაგრძობდა გზას.

თბილისში ლიტერატურული ცხოვრება მართლაც რომ დუღდა. „მნათობის“ რედაქცია და მთელი ეს ქუჩა, პარნასად ქცეულიყო და ვის არ ნახავდით აქ: ბაჩანასა და შიო არაგვისპირელს, დავით კლდიაშვილსა და ნიკო ლორთქიფანიძეს, გალაკტიონსა და მიხეილ ჯავახიშვილს. ნაშუადღევს გამოეფინებოდნენ ისინი რედაქციის წინ და ჯაფით დაღლილნი საუბრობდნენ ქვეყნის ავკარგზე,

ახალ ლექსებსა და მოთხრობებზე. ძველი ბიბლიური პატრიარქივით, მკერდზე თეთრ წვერდაფენილი ვასილ ბარნოვი, შიო მღვიმელთან ერთად, ჯოხის კაკუნით ჩამოივლიდა და ნაბიჯს აყოლილ ახალგაზრდა მწერალს ჩვეულ[illegible] ახალისებდა:

— ყოჩაღ ბიჭო! წერე, კარგია, ძალიან კარგია.

გაზაფხულის პირველი მზით განათებულ ქუჩაში კი ამ დროს ეტლი გამოჩნდებოდა. და მაშინ, როცა ჯერ ისევ ჩრდილში სუსხი იკბინებოდა, თეთრ ხალათში საგაზაფხულო გამოწყობილი ტერენტი გრანელი იის თაიგულით ჩაიქროლებდა.

სად არ ნახავდით მას ამ თაიგულით: ნაძალადევში, სოლოლაკში, ვერის ბაზართან... ყველას გაზაფხულს ულოცავდა.

სადილობის ხანს ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის და სუდეიკინის ჯადოსნური ყალმით კედლებმოხატულ „ქიმერიონში“, ანდა პიტნავას სასადილოში პოეტები ლექსებს კითხულობდნენ. ვლადიმერ მაიაკოვსკი, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, მხატვარი ზიგმუნდ ვალიშევსკი, ყველა ესენი თანამგრძნობელნი იყვნენ ახალ ჟურნალის — „მნათობისა“, რომლის პირველი ნომერიც ჩემი რომანით მაშინ გამოვიდა.

რა სიამაყით ამევსო გული, როცა რომანის დაბეჭდვის შემდეგ დავით კლდიაშვილს ოპერის ფოიეში შევხვდი და მისაყვედურა:

— წავიკითხე შენი რომანი, კაია, ძალიან კაია, მარა ნამდვილი ამბავი აწი იწყება, შენ კი ამ დროს ამთავრებო.

მე თავაზიანად გამეღიმა და მივხვდი, რომ სიცოცხლით სავსე დავითი რომანის მწუხარე ფინალს ვერ ურიგდებოდა.

და ახლა, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, მაგონდება გოგლას ლექსის ამოძახილი: წასულა და წასულა ჩემი ახალგაზრდობა....

*ჯანსუღ ჩარკვიანი*

## ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს!

ჩვენი მწერლობის, ჩვენი ხალხის ძვირფასი მაცნე, ჩვენი „მნათობის“ ორმოცდაათი წლისაა. „მნათობს“ ბავშვობიდან ვიცნობ, ხოლო ოცი წლისას კარი გამიღო და ქვეყანა დამანახვა.

ოცდაორი წლის მეგობარს შემიძლია ძმურად ვესაუბრო.

ახლა ვიხსენებ — „მნათობი“ ერთი და იგივე მდინარე არასოდეს ყოფილა: ხან შემტევი იყო, ხანაც მდორე და მოდუნებული, ხან კიდევ საოცრად დინჯი და დახვეწილი, აი, ისეთი, ზოგიერთ ცნობილ და გამოკვეთილ ინტელიგენტზე რომ იტყვიან ხოლმე.

ხან ნერვიული და აფორიაქებული, ხან მძიმეტვირთიან უღელში გაბმული, ხანაც, ახალგაზრდა მწერალთა განსაკუთრებით მოამაგე და მფარველი.

პირდაპირ და აშკარად რომ ვთქვათ, ყველა დროის „მნათობი“ სარკე და ასლი თუ არ იყო, ყოველ შემთხვევაში რაღაცით ჰგავდა თავის რედაქტორს, მე ასე დამამახსოვრდა ჟურნალი „მნათობი“. კარგად ვუკვირდები, კარგადაც მესმის, ნახევარი საუკუნის მანძილზე ქვეყნის ღერძს შებმია, იბრძვის, თანაუგრძნობს, სამართლიანობას სთესს, უსამართლობას ებრძვის, ადამიანივითაა. ეფერებიან, ტუქსავენ, მიუთითებენ.

დიახ, ასეა, ორმოცდაათი წელია, ნახევარი საუკუნეა ქართველი მკითხველი, მოწყურებული მკითხველი ეწაფება „მნათობის“ გონებრივ და სულიერ წყაროს. კეთილგანწყობილებით ნაკარნახევ სტრიქონებს უამრავი კაცი შეუმზადებია ჰირთან შესახვედრად, გზაზე დაუყენებია. ძალა და ღონე შეუმატებია, გამარჯვების იმედი მიუცია. ამ ბოლო წლებში, შრომითი გამარჯვებების წლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „მნათობმა“. თავი გამოიჩინა, როგორც სიმართლისათვის, პატიოსნებისათვის და დიდი სინათლისათვის მებრძოლმა ჟურნალმა.

დღევანდელ გზაზე დაუცხრომელი სიარულის შედეგია მის ფურცლებზე ბოლო წლებში გამოქვეყნებული ლექსები და მოთხრობები, რომანები და პუბლიცისტური წერილები, რომელთა კითხვა აღაფრთოვანებდა, ახალ ბრძოლად აღანთებდა ჩვენი ქვეყნის ნამუსიან ადამიანებს, მშენებელ ადამიანებს, მუშას, გლეხს, ინტელიგენტს.

დღესაც ასეა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ოცდაორი წლის მეგობარო ჟურნალო, დღესაც დიდი და მქუხარე ცეცხლით აღანთებ გულს მკითხველისას. ვაშა, შენს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, ქართველი მკითხველი გიმრავლოს, შენი შემოქმედება და აზროვნება ხომ მკითხველმა უნდა განსაზღვროს.

ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს, სადას და ნათელს.

*სერგი ჭილაია*

# „მნათობი“ 50 წლისაა

ჟურნალ „მნათობის“ იუბილე მთელი ქართული საბჭოთა მწერლობის იუბილეცაა და ეს იმიტომ, რომ მის ფურცლებზე გამოქვეყნდა, რაც კი საუკეთესო შეიქმნა ქართულ საბჭოთა მწერლობაში. და, რაც მთავარია, „მნათობი“ იყო მეთაური, ორგანიზატორი ქართული მწერლობის ყველა ამ საუკეთესო ქმნილებათა შექმნისა. იგი აქეზებდა, ჩააგონებდა, ამხნევებდა, წარმართავდა ქართულ საბჭოთა მწერლობას მთელ ამ 50 წლის მანძილზე. „მნათობი“ საბჭოთა მწერლობას სათავეში ჩაუდგა, როგორც ახალი საქართველოს, საბჭოთა საქართველოს სულიერი კულტურის მედროშე.

1924 წლის თებერვლიდან დაიწყო გამოსვლა ჟურნალმა „მნათობმა“. პირველ ნომერს წამძღვარებული აქვს სარედაქციო წერილი, სადაც ჟურნალის მიზნები და ამოცანები ასეა განსაზღვრული: „დღემდის ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არცერთი სერიოზული ჟურნალი, რომელსაც შემოეკრიბოს თავის გარშემო რევოლუციური ინტელიგენციის საუკეთესო ძალები. ჟურნალ „მნათობის“ მიზანია შეავსოს ეს მნიშვნელოვანი ნაკლი. „მნათობი“ უპირველეს ყოვლისა მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალია. ის ადგილს დაუთმობს თავის ფურცლებზე ყველა საუკეთესო მწერლების მხატვრულ ნაწარმოებს; ის მისცემს ფართო გასაქანს ჩვენს ლიტერატურულ ძალებს. „მნათობი“ თავის მიზნად ისახავს აგრეთვე საშუალება მისცეს ჩვენს მეცნიერულ და მარქსისტულ ძალებს გააღრმავონ თავისი მუშაობა და ქართულ ენაზე მიაწოდონ ქართველ მუშებს და გლეხებს მეცნიერული და მარქსისტული ცოდნა. ამრიგად, ჩვენი ჟურნალის მიზანი, ვიწრო ფარგლებით არ შემოიხაზება. იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლებისათვის, რომელთაც კი აქვთ რაიმე მიღწევები ხელოვნებაში და მეცნიერებაში, ღია იქნება ჩვენი ჟურნალ „მნათობის“ კარები“.

უნდა ითქვას, რომ ჟურნალი „მნათობი“ პირნათლად ასრულებდა ამ დაპირებას: მან გარს შემოიკრიბა და ჩააბა ჩვენი მოწინავე მწერლები საბჭოთა ლიტერატურისათვის ბრძოლაში. ყველა ცოცხალი და მოქმედი ძალა ფართოდ იყო წარმოდგენილი „მნათობის“ ფურცლებზე. პირველ წლებში „მნათობში“ ხშირად იბეჭდებოდა სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა წარმომადგენელთა ნაწარმოებები, რომლებშიაც ჯერ კიდევ არ იყო ასახული საბჭოთა ადამიანების განწყობილება, მაგრამ ჟურნალი მათ ბეჭდავდა ძველი ლიტერატურული თაობების წარმომადგენელთა მიზიდვისა და მათი იდეური გარდაქმნის მიზნით. და ამაში ნათლად ვლინდებოდა ლენინური პარტიული ლიტერატურული პოლიტიკა. „მნათობის“ წინაშე იდგა საკითხი თუ როგორ ითანამშრომლოს სხვადასხვა იდეური პოზიციების დამცველ ლიტერატურულ ჯგუფებთან, რომ თანდათანობით გარდაქმნას იგი და რევოლუციის სამსახურში ჩააყენოს ინტელიგენციის მთელი ძალები. ამის შესახებ „მნათობი“ (1925 წ. № 1) სარედაქციო წერილში შენიშნავდა:

„რედაქციას საჭიროდ არ მიაჩნია ჯერჯერობით თავისი დაფასება მისცეს სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობას. მწერალთა ცალკე ჯგუფები ან კერძო ნაწარმოებები გამოხატავენ აზრსა და შეხედულებებს, მხოლოდ თვით წერილების ავტორებისა და არა რედაქციისა“. ასეთი ფრთხილი, შეგნებული სალიტერატურო პოლიტიკით ჟურნალი ახერხებდა ძველი ლიტერატურული იდეების დამცველ მწერალთა ჯგუფში დიფერენციაციის მოხდენას და მისი მოწინავე ნაწილის გადმოყვანას საბჭოთა პოზიციაზე.

ასე მოახერხა ჟურნალმა „მნათობმა“ ქართული მწერლობის ძირითადი ბირთვი ჩაება ახალი ეპოქის მშენებლობაში. ჟურნალმა დიდი მუშაობა გასწია ქართული მწერლობის კონსოლიდაციის, სხვადასხვა ლიტერატურული ჯგუფებისა და თაობების გარდაქმნისა და საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებისათვის. სწორედ ამაში გამომჟღავნდა ამ ჟურნალის დიდი ორგანიზატორული როლი. მოითხოვდა რა მწერლობისაგან ჩვენი სინამდვილის, საბჭოთა სინამდვილის მხატვრული სიმართლით ასახვას, „მნათობი“ აცხადებდა: „მეექვსე წელს თავის მუშაობისას „მნათობი“ იწყებს განცხადებით: „მნათობის“ კარები ღიაა იმ მწერლებისათვის, რომელსაც მხატვრულ და მეცნიერულ მიღწევებთან ერთად აშკარად შეუგნია მარქსისტული პროლეტარული იდეოლოგიის სიძლიერე და სოციალისტური კულტურის შესაქმნელად თავისი წვლილის გაღება გადაუწყვეტია. „მნათობის“ რედაქცია შეეცდება შექმნას მხატვრული ლიტერატურა ნაციონალური ფორმით და ინტერნაციონალური შინაარსით“. ასე თანდათანობით საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზაზე დააყენა ჩვენი მწერლობის ყველა საუკეთესო და ნიჭიერი ძალა ჟურნალმა „მნათობმა“.

„მნათობი“ ზრდიდა ჩვენს მწერლობას ახალი საქართველოს, საბჭოთა საქართველოს სწორუპოვარ ოსტატებად; ის გამოდიოდა, როგორც მეთაური, როგორც ორგანიზატორი იდეურად და მხატვრულად ნოვატორული მწერლობისა, საბჭოთა მწერლობისა. ჩვენ ხაზს ვუსვამთ მხატვრულ ნოვატორობას, რადგან ნოვატორული ბუნება საბჭოთა მწერლობისა არა მარტო თემატიკაში ვლინდებოდა, არამედ მხატვრულ გამომსახველობათა მთელს ინვენტარში. ქართული საბჭოთა ლიტერატურა არა მარტო თემატიკურად არის ახალი ეტაპი მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში, არამედ იგი ნოვატორულია თავისი მწერლური ხასიათითა და ბუნებით, მხატვრული სამყაროს ახალი

აღმოჩენებით, გამომსახველობათა საშუალებებით. საბჭოთა მწერლობის ამ ახალ მოდელის შექმნასა და ჩამოყალიბებაში „მნათობმა“ უდიდესი როლი შეასრულა. არც გალაკტიონ ტაბიძის, არც კონსტანტინე გამსახურდიას, არც გიორგი ლეონიძის ქმნილებანი მხატვრული სამყაროს გამომსახველობითი საშუალებებით არ იმეორებენ ძველი მწერლობის მხატვრულ მოდელებს. „ნიკორწმინდა“, „მთვარის მოტაცება“, „ოლე“, მე-20 საუკუნის ლიტერატურული ცხოვრების ნაყოფია.

„მნათობი“ და მის გარშემო შემოკრებილი ქართული მწერლობა გვერდში ამოუდგა ჩვენს ხალხს და განუყოფლად ცხოვრობდა ჩვენი მღელვარე დღეების მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებით. ჩვენი ქვეყნის ისტორიის გმირული ფურცლები თავის ასახვას პოულობდა ქართულ საბჭოთა მწერლობაში. და მთელ ამ საქმეს მეთაურობდა ჟურნალი „მნათობი“. აქ დაბეჭდილი შესანიშნავი რომანები, მოთხრობები, ლექსები თუ პიესები მუდამ დარჩებიან ჩვენი ეპოქის დიდებულ ძეგლებად. გავა დრო, მოვლენ სხვა თაობები, რომელთაც შეეძლებათ სწორედ ამ ჟურნალის საშუალებით, მატიანის სიზუსტით აღადგინონ ჩვენი ხალხის მიერ განვლილი ისტორიული გზა. ამავე დროს აქ დაბეჭდილი საუკეთესო ნაწარმოებები იმის დადასტურებაც იქნება, თუ როგორ გავიდა ქართული საბჭოთა მწერლობა საერთაშორისო დიდ არენაზე, როგორც ახალი მხატვრული მოდელი, ნოვატორული მოდელი მწერლობისა.

ვუსურვოთ ჟურნალ „მნათობს“ კვლავ მაღლა ეტარებინოს საბჭოთა მწერლობის ეს მაღალი დროშა.

*რევაზ ჯაფარიძე*

# ორმოცდამეათე ნიშანსვეტი

ზუსტად 50 წლის წინათ, 1924 წლის თებერვალში, უახლესი ქართული მწერლობის მესვეურთა — გალაკტიონ ტაბიძის, პოლიკარპე კაკაბაძის, შალვა დადიანის და სხვათა დაუღალავი მეცადინეობა, დაეარსებინათ ყოველთვიური მხატვრული ორგანო, კეთილად დაგვირგვინდა: რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გამოსვლა დაიწყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და მხატვრულმა ჟურნალმა „მნათობმა“.

„მნათობს“ იმთავითვე დიდი და საპატიო მისია დაეკისრა. მას უნდა ეტვირთა ახალი ქართული ლიტერატურის ფლაგმანობა და მშობლიურ მწერლობას უცნობი სივრცეების დასაპყრობად გასძღოლოდა. თუ წარმოვიდგენთ, რომ უდიდესი ნაწილი იმ საყოველთაოდ განთქმული ქმნილებებისა პროზის, პოეზიის, დრამატურგიის და საბავშვო მწერლობის დარგში, რითაც სამართლიანად იწონებს დღეს თავს ქართველი ხალხი, ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი, ცხადი გახდება, რა დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა ახლადდაარსებული ჟურნალი. ამ სიძნელეებს ის გარემოებაც ზედ ერთვოდა, რომ ქართული მწერლობა ცალკეულ ჯგუფებად, მიმართულებებად და დასებად იყო დაყოფილი. არ არსებობდა შინაგანი მთლიანობა, არ იყო მრწამსი, რომელიც ყველას ერთი დროშის ქვეშ შეჰყრიდა და ერთი სანუკვარი მიზნის მისაღწევად წარმართავდა. ეს ჯგუფები, დასები და მიმართულებები ერთმანეთს ებრძოდნენ, ზოგ მათგანს მკვეთრი კონტურებით მოხაზული პოლიტიკური პლატ-

ფორმაც არ გააჩნდა, შექმნილ ისტორიულ ვითარებაში მწერლები ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყვნენ და ეროვნული მწერლობის რაიმე კონსოლიდაციაზე ლაპარაკი ნაადრევი იყო.

„მნათობი“ მიაგავდა გემს, რომელიც თავის საკუთარ ალღოს უნდა მინდობოდა, გარშემო შემოეკრიბა ყველა, ვინც ქვეყნის ახალი ცხოვრების ფერხულში დგებოდა და ასე ევლო წინ, უცნობი ნაპირისაკენ.

დღეს ამ დიდი გზის ორმოცდამეათე ნიშანსვეტს გავუსწორდით. უკან დარჩა მრავალი გრიგალი და ქარტეხილი, მრავალი მარცხი და გამარჯვება, უკან დარჩა გზა, რომელიც ჩვენმა ეროვნულმა მწერლობამ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე განვლო.

ქართული მწერლობა დღეს, რასაკვირველია, ის აღარ არის, რაც „მნათობის“ დაარსებისას იყო. მას შემდეგ იგი გაიზარდა, ცამდე ამაღლდა, გამრავალფეროვნდა და მსოფლიო სივრცეებს შეეჭიდა. ქართული მხატვრული სიტყვის ამ დიდი აღზევების საქმეში „მნათობის“ როლი და დამსახურება მცირე როდია. ათეული წლების განმავლობაში ის ერთადერთი დიდტანიანი ლიტერატურული ორგანო იყო, რომლის ფურცლებზე ერთიმეორის მიყოლებით და ხანაც გვერდი-გვერდ ქვეყნდებოდა ლიტერატურული ქმნილებები, რომლებმაც შემდეგ შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს მწერლობას, ჩვენს ხალხს.

„მნათობში“ თავისი ნაწარმოების გამოქვეყნება ყველა თაობის ჭეშმარიტ მწერალს დიდ გამოცდად, პატივად და თავისი ლიტერატურული დამსახურების აღიარებად მიაჩნდა. და ეს ასეც იყო. მოწყურებული მკითხველი უმალ აიტაცებდა ყოველ ახალ სიტყვას, ყოველ ახალ სახეს და თავისი სულის საგანძურში ადგილს მიუჩენდა. ვაი, რომ ბოლო ხანს, უკანასკნელ ათწლეულებში, ჩვენს თვალწინ, დღისით მზისით, რესპუბლიკის ცხოვრების ბევრ სფეროში ფეხმოკიდებულმა უპასუხისმგებლობამ, საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრით გატაცებამ და საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმის ატმოსფერომ თავისი მსახვრალი კვალი, მეტად თუ ნაკლებად, „მნათობსაც“ დააჩნია.

დამკვიდრებული ჩვეულება გვიკარნახებს, რომ ამგვარ უსიამოვნო რამეს კაცს იუბილეს დღეს არ გაახსენებენ ხოლმე, მაგრამ მე, რაკი თავს „მნათობის“ გულშემატკივართა შორის ვთვლი, მსურს ეს ტრადიცია შეგნებულად დავარღვიო და გაკვრით იმასაც შევეხო, თუ რა უჭირს დღეს „მნათობს“, რაში გამოიხატება ჩრდილი, რომელიც მას რესპუბლიკაში უკანასკნელ ათწლეულებში გამეფებულმა საერთო ვითარებამ მიაყენა.

„მნათობმა“ თანდათან დასთმო თავისი მხატვრული პოზიციები და ლიტერატურის სამჭედლოს მაღალი რანგი ლიტერატურის რეგისტრატორის უმდაბლეს რანგზე დაახურდავა. როდესაც ამას ვამბობ, მე სრულებითაც არა მსურს ჯოხი რომელიმე კონკრეტულ რედაქტორზე, რედაქციის ან სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაზე გადავტეხო. პოზიციების დათმობა, ესთეტიკურ მრწამსზე უარის თქმა ხანგრძლივი და მტანჯველი პროცესი იყო. იგი ნებაუნებლიეთ ასახავდა რესპუბლიკაში შექმნილ საგანგებო მდგომარეობას. იმ დროს, როდესაც მეცნიერების მაღალ კათედრას ზედიზედ იკავებდნენ ნაწვიმარზე მოსულ სოკოსავით მომრავლებული ვაი-დოქტორები და ვაი-აკადემიკოსები, მოხალისე მწერლების დიდი ტალღის დამთრგუნველ მოწოლას ვერც „მნათობმა“ გაუძლო და ისიც იძულებული გახდა თავისი წმიდა ფურცლები მდარე ლიტერატურისათვის დაეთმო. ეს სავალალო პროცესი, ჩვენდა სათაკილოდ და სამარცხვინოდ, დღესაც გრძელდება, ვინაიდან ყველას მოეხსენება — ინერცია დიდი ძალაა და მას ასე ადვილად, ხელის ერთი მოსმით და მოკლე დროში ვერ აღმოფხვრი. იგი გრძელდება არა მარტო „მნათობში“. ეს

უფრო საერთო სენია, რომელიც ჩვენს სალიტერატურო ორგანოებს სჭირს, მაგრამ ამჯერად, რაკი სიტყვა „მნათობს“ შეეხო, ყველაზე მეტი საყვედურიც მას ვარგუნეთ. საამისოდ იმან წამათამამა, რომ თვითონ „მნათობის“ გაზრდილი ვარ, ერთ-ერთი მისი ავტორი, მე მისი კოლეგიის წევრიც ვარ, სამოციანი წლების დამდეგს, სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობისას, პროზისა და პოეზიის განყოფილებასაც ვხელმძღვანელობდი და ნურავინ მიწყენს, თუ „მნათობი“ გამორჩეულად მიყვარს და მისი ყოველი წაფორხილება გულს მტკივნეულად დააჩნდება.

ვულოცავ ჩვენი ლიტერატურის ფლაგმანს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, ვულოცავ და ვუსურვებ ღირსეულად მდგარიყოს იქ, სადაც სამშობლომ დააყენა, მდგარიყოს და ქართული მწერლობის შესაფერი წარბშეუხრელობით შეესრულებინოს ყველა მცნება, რომელსაც მის წინაშე მშობელი ხალხის დღევანდელი დღე და მომავალი სახავს.

*გიორგი ჟიბლაძე*

## ქართული ლიტერატურის უქრობი მნათობი

როცა „მნათობის“ ნახევარსაუკუნოვან ზღურბლთან ვდგავართ, უნებლიედ ვიგონებთ განვლილ ათეულ წლებს და ბუნებრივად განვიცდით უკეთილშობილეს გრძნობებს.

დაბადების პირველი დღიდანვე „მნათობი“ გზას უნათებდა ჩვენს ახალგაზრდა ლიტერატურას, როგორც ამომავალი მნათობი. მისი სხივების კაშკაში დღემდე ჩაუმქრალია და მომავალშიც შეუძლებელია მოაკლდეს ქართული მწერლობის კიდე-განს.

უდიდესია „მნათობის“ დამსახურება თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის შექმნასა და განვითარებაში. ოციანი წლებიდან დღემდე ჩვენი მწერლობის ისტორია „მნათობის“ ისტორიასაც წარმოადგენს.

თავის ფურცლებზე „მნათობი“ აქვეყნებდა არამარტო პოეზიისა და პროზის, დრამატურგიისა და ლიტერატურული კრიტიკის საუკეთესო ნაწარმოებებს; ატარებდა პრინციპულ იდეოლოგიურ ხაზს, შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებიდან, ამხილებდა იდეალისტურმეტაფიზიკურ კონცეფციებს ხელოვნებათმცოდნეობაში. არასოდეს იგი ვიწროდ შეზღუდული ორგანო არ იყო; წმინდა ლიტერატურული მოვლენების პარალელურად, წვდებოდა მეცნიერების, პოლიტიკის, ფილოსოფიის, პედაგოგიკის, კულტურის, ეკონომიკის, ტექნიკის უშუალო პრობლემებსაც.

ეს წარმატებები თავიდანვე განპირობებული იყო „მნათობის“ არაერთი გამოჩენილი რედაქტორის, არაერთი სახელოვანი მუშაკის თავდადებული შრომით. ასეთები იყვნენ მისი პირველი ხელმძღვანელები — გამოჩენილი რევოლუციონერი, ნიჭიერი კრიტიკოსი და შესანიშნავი ადამიანი ვალია ბახტაძე, აგრეთვე ღრმად განათლებული ფილოსოფოსი, მრავალმხრივად ერუდირებული პროფესორი მოსე გოგიბერიძე. ვერასოდეს დავივიწყებ, რომ 1939 წელს იგი იყო ჩემი ოპონენტი და ერთი წლის შემდეგ გამოცემული მონოგრაფიის — „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“ გულისხმიერი რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი საუკუნის მანძილზე „მნათობს“ სხვაც არაერთი სახელოვანი რედაქტორი ჰყავდა.

საამაყოდ მიმაჩნია, რომ თითქმის ორმოცი წელია „მნათობის“ თანამშრომელი ვარ, ახლა კი მისი სარედაქციო კოლეგიის წევრი. იუბილარმა ბევრჯერ გამახარა ჩემი შრომების პუბლიკაციით. როგორ დამავიწყდება პირველი დიდი წერილი — „ბარათაშვილი და ლერმონტოვი“, ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ყოფილი სტილისტის იშვიათი ადამიანის ილია ალლაძის მიერ რედაქტირებული, რომელიც „მნათობის“ 1936 წლის მაის-ივნისის ნომრებში დაიბეჭდა. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ მე ამ ჟურნალს განუყრელ მეგობრად დავრჩი.

მინდა ამ უანგარო მეგობრული გრძნობით მხურვალე სალამი მივუძღვნა ჩემს კოლეგებს —„ მნათობის“ მთელ კოლექტივს, ყველა მუშაკს; გულწრფელად მივესალმო ჩემს მეგობრებს, ამხანაგებს, რომელთაც ლიტერატურის მღელვარე ტალღებში ასე ნიჭიერად მიჰყავთ „მნათობის“ ვეტერანი ხომალდი.

თავისი სახელოვანი არსებობის ნახევარსაუკუნოვან გზაზე „მნათობმა“ შეინარჩუნა მნათობის მიმზიდველი ძალა, იგი კვლავ მეთაურობს ქართულ საბჭოთა მწერლობას, როგორც ტრადიციებით მდიდარი პერიოდული ორგანო.

„მნათობი“ ჩვენი აღმზრდელი და დამავაჟკაცებელია. დღეს თვითონაც დიდი ხნის წინად დავაჟკაცებული გვრაზმავს, წინ გვიბიძგებს, შთაგვაგონებს, გვიხმობს მშობლიური ლიტერატურის მწვერვალებისაკენ და კონსოლიდაციის ამ ძალითაც შედის ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიაში.

მინდა დავამთავრო „მნათობის“ გენიოსი ფუძემდებლის, დიდი გალაკტიონის სიტყვებით:

„ჩვენი მხურვალე სალამი „მნათობს“!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***შოთა ნიშნიანიძე***

# დირიქორის ჯოხი

დიახაც კვერთხია სასწაულმოქმედი:
დაჰკრა და
                    დარბაზში ყანა ამოვიდა,
არარაობიდან წყარო ამოხეთქა
და ტყე ამოზიდა არარაობიდან.

ხან ელვა მგონია
და ხანაც ანტენა,
ხმები ჩიტებივით თავს გადაგვადენა.

აჰა, სინამდვილე გადაჰყავს ზღაპარში,
სიჩუმე რიტმებით გათასმა,
მისთვის არა რაა: ზაფხულის ზამთარში,
სამხრეთის ჩრდილოეთში გადასმა.

ის ხან ისარია
და ხანაც მახვილი,
მოსეულ ჩვენებებს უტევს, იგერიებს...
რეკავენ ზარები...
კოშკთა ძახილია,
მტერი მოხტომია კოლხს თუ იბერიელს...

მეურმის სახრეა,
სახრე კოჟრიანი,
ჩუ-ჩუ! სალამურზე შემჯდარა ბულბული
და ღამის ურემი მთვარის ბორბლიანი
მიდის,
მიჭრიალებს ნაღვლიან ურმულით...

დიახაც კვერთხია, კვერთხი ჯადოსნური,
რტოა,
შთაგონების რტოა ამოსული;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახრეც და მახვილიც დიდების ღირსია,
თუ აქვს დირიჟორის ჯოხივით მისია.

არც ქამანი ვარგა,
არც ყალამი მხატვრის
დირიჟორის ჯოხის თუ არ არი ყადრი.
. . . . . . . . . . . .
იქნებ ბედისწერით გავს წინამძღოლ
წეროს
ამ პატარა ჯოხის მოფარფატე ჩერო?

* * *

მზის შესახვედრად ადექ ცისკარზე,
დადექ დაზგასთან,
ვაზთან,
დაფასთან,
აწონ-დაწონე და გაიაზრე,
რაც გადაფასდა ანდა დაფასდა.

მინდვრებზე დაჭრილ მეციხოვნედ წევს ისტორია,
მე მისი სისხლი მირონივით შუბლზე წავისვი,
დღეს კოლექტივის ველ-მინდორია
ჩვენი დიდგორიც,
ჩვენი კრწანისიც.

გადავიხადოთ მეც უნდა ომი,
მეც უნდა დავდგა მოსავლის ხვავი,
შემაბით მკლავი ნოსტელი ლომის
და არსაკიძის მოჭრილი მკლავი.

შემომეშველე ციხის სუროდან,
შემომეწანი იმედის ულოდ,
გუთნისდედათა,
კირისხუროთა,
მწყემსთა,
მჭედელთა გმირულო სულო.

უნდა ვამრავლოთ ოქრო ველების,
პური და წიგნი უნდა ვამრავლოთ,
მთაწმინდელების,
არაგველების,
კომუნარების შთამომავალო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის შესახვედრად ავდგეთ ცისკარზე,
დავდგეთ დაზგასთან,
ვაზთან,
დაფასთან,
ავწონ-დავწონოთ და გავიაზროთ
რაც გადაფასდა ანდა დაფასდა.

* * *

ვინ მოთვლის
ან ვინ იანგარიშებს,
დღემდე რამდენი მწერი მოგიკლავს,
რამდენი მღილი და ბობორიკა
ისე... სინდისის ქენჯნის გარეშე...
ერთხელაც კი არ მოგსვლია ფიქრად,
ასე გულგრილად როცა სცოდავდი:
კაცი იქნება,
თუ სულაც ქინქლა,
ყველა ერთი ვართ სამყაროსათვის.

## ხვალე

ვახტანგ ჯავახაძეს

რა დიდებული სიტყვა არსებობს
ეს დალოცვილი „ხვალე".
— დღეს გვიანაა, ხვალე ვაშვებო,
ხვალეც მალეა, მალე!

ხვალიდან ვდგები დილა ადრიან,
ვარჯიშს დავიწყებ ხვალიდან.
ხვალიდან აღარ მოვწევ, ნაღდია,
წვეთსაც არ დავლევ ხვალიდან.

ხვალ გადავიხდი გადასახადებს,
ხვალ გავისტუმრებ ვალებს,
წერილს ხვალ დავწერ, აღარ გადავდებ.
ხვალვე გავგზავნი ბარემ.

— ხვალ ბილეთები გეშოვნა იქნებ,
ხვალ სპექტაკლია „ღალატის"!
— ხვალ ფეხბურთია!.. ხვალ ნაღდად ვიგებთ,
ბიჭო, რა გაძლებს ხვალამდის!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წიგნს უთუოდ ხვალ წავიკითხავ,
ხვალ დილიდანვე ვთარგმნი!
ხვალე ვისესხებ...
ხვალე გიყიდი...
კარგი... დაწყნარდი, კარგი!

ახლა თუ არა, ხვალ გამიგებენ,
ეს დღეც დადგება მალე,
სახელოვანი ხვალ შევიქნები,
ხვალე,
ხვალე და
        ხვალე!

შენც, ჩემო თავო, რა გეფიქრება.
რა გამოგილევს ხვალეს,
ეს ხვალე მუდამ, მუდამ იქნება,
მიდი,
        თვალე და
                თვალე!

* * *

მე მარტოობის კუნძულზე ვცხოვრობ:
წიგნის, ნახატის, სიჩუმის ტყეში,
დათვის თვალივით ბრიალა სორო
გალუმპულია ხილვების თქეშით.

აქ აღარ არი შური, სიავე
აქ, მარტოობის ოქროს ნაპირთან.
მე აქ დევები დავიქირავე,
აქ წამოვლალე ქართულ ზღაპრიდან.

დავიმტვერები სხვათა სიზმრებით,
სხვათა ვნებებით, ძიებით, ლტოლვით,
გარდავიქმნები და შევიცვლები
და გამგებელი გავხდები ყოვლის.

დღეებს ვაღამებ...
ღამეებს ვათევ...
და შრიალებენ ფურცლის თაღები
ვეკამათები ავტორებს, სარდლებს,
ვეკამათები ან ვეთანხმები.

ვეზიარები მათ დიად მიზნებს,
მათი სწორი ვარ და თანატოლი
და ტრიუმფალურ ნადიმზე მიწვევს
რომის სასტიკი იმპერატორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლისშემძლე ვარ... დიდებას ვიმკი...
ყველაფერი ვარ, თუ ვარ მარტოკა;
. . . . . .
გადაშლილი აქვს მუხლებზე წიგნი
ჩემს მარტოობას —
კეთილ ჯადოქარს.

* * *

დამშორდა, დამშორდა, რა მალე
დამშორდა
რიონი, რიონი... ბავშვობა, ბავშვობა...

გადარბის, გადარბის, გადარბის
კვამლივით,
ყანები, სიზმრები და გზები გავლილი.

მგონია, ჩავხტები, წლებს გადავახტები
და ისევ კეთილი ბიჭუნა გავხდები.

ადგება ჩვენება ჩხრიალა ხრეშიდან,
რომლის სიყვარულიც მეგონა შემშლიდა.

გადარბის, გადარბის კვამლივით
გადარბის,
წარაფი, წარაფი... ქარაფი, ქარაფი.

კვამლივით გაქრება ეს ჩემი ჩივილიც
(კვამლს კიდევ რა უჭირს) ამ კვამლის
ჩრდილივით.

რიონი, რიონი... ზავშვობა, ბავშვობა
რა ჩქარა დამშორდა...
დამშორდა, დამშორდა...

## ფორმულა

აჰა, კვერცხიდან ხსნად სამყაროსი
გადმოდის ბარტყი ფრთების სავსავით.
გდია ნაჭუჭი
უკვე ამოხსნილ
სიკვდილ-სიცოცხლის ფორმულასავით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

შენ სხვაზე უფრო ახლოს სახლობდი
სხვის სიხარულთან და სხვის წუხილთან
და სხვაზე უფრო ჩაწვდი ალღოთი
მიუწვდომელს და მარად უხილავს.

და სხვაზე უფრო ისევ შენა ხარ
გულთამხილავი და გულთმისანი
და კაცის სული — უფლის ვენახი
სხვაზე უმეტეს შენ შეიცანი.

ჰოდა, რაც უფრო ხშირად გხვდებოდა
კუტი, ბეჩავი, გლახა, უძლური,
*მით უფრო ხშირად გესიზმრებოდა*
უფლისწულობა, განძთა კუნძული.

ბევრი გულგრილი და გულარჯალი —
დამაჭდობელი გულზე ჭრილობის,
ხომ მოაქციე და მოარჯულე
გულკეთილობით და გულთბილობით.

არცა გჯეროდა, თუ სახიობას
და გულმოსულთა ფარულ სერობას
დაამარცხებდა გულღიაობა,
გულმოწყალება და გულწრფელობა.

მოგითმენია წყენა ურიცხვი,
არ გიფიქრია სამაგიერო...
. . . .
ამ საწყალი და სუსტი გულისთვის
დიდი მადლობა, ღმერთო ძლიერო.

* * *

შენ ჩამომართვი ბავშვური ხელი,
პეპლის ფრთასავით ნაზი და სუსტი.
შეცბუნებული დავდივარ მერე,
თითქოს და რაღაც სასწაულს ვუცდი.

არ დაიჯერებ არას დიდებით,
რომ გავურბივარ ვნებას ჟინიანს,
შენი უმწეო, სუსტი თითების
ლომის ტორივით რომ მეშინია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დღეს იმდენი კარგი
საქმე გაჩენილა,
და იმდენი მესმის სანუგეშო ხმები,
ღმერთო, ამ ქვეყნისთვის დიდხანს
მაცქერინე,
დიდხანს მასმენინე, რაც ღირსია ქების.

მაგრამ იმდენ ტყუილს, მესმის,
აღმერთებენ,
იმდენ სიმახინჯეს ვხედავ დაბადებით,
როდის, ღმერთო ჩემო, როდის
დავბერდები,
როდის დავყრუვდები,.. როდის
დავბრმავდები...

1969 წ.

## არხი

კალაპოტს თხრიდა, ზრიალებდა მთელი თვე ხალხი,
მალე, სულ მალე იშრიალებს ჩერო კეთილი.
სიცხიან მიწას ეს კამკამა, მჩქეფარე არხი
ცხელ იღლიაში ამოუდეს თერმომეტრივით.

ღამით ტალღებზე ირეკლება ცეცხლის ყვავილი
და მთვარე ბრწყინავს ვერცხლისწყალივით.

* * *

ვინც ძლიერ მიყვარს, რად მეჩვენება
რომ რაღაც მოსდის...
და პირველ ყოვლის
ეს კოშმარული წარმოდგენები
რატომ მავსებენ შიშით და ძრწოლით?

ღმერთს რატომ შევთხოვ მორწმუნესავით.
,,ღმერთო, მაშორე, შიში მგესლავი.

იყავ მფარველი მრავალჟამიერ
ჩემი პატარა ჭერის და ფუძის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ საჭიროა იმათ მაგიერ
მე გამიმეტე ყველაზე უწინ“.

ერთხელაც შემშლის ეს სიყვარული
და წინათგრძნობა, თუ მართლა ახდა, —
კისერზე მძიმე ჯაჭვის ჟღარუნით
სადმე ქურდულად ვეწვევი საყდარს.

ვიცი, მძიმეა ეს გულწრფელობა,
და აღსარება სიკვდილად მიღირს,
ნუთუ მაკლია სულის ქველობა —
ეს ვაჟკაცური სიმხნე და რიხი?

## ათი მოკლული წერო

იხარბა... შეცდა... და გზას გადაცდა
და ჩაიდინა ცოდვა მრავალი,
დღეს ციხეშია-ერთდროს მამაცთა
მეციხოვნეთა შთამომავალი.

რა არი, ჩვენი სიცოცხლის წლები,
მაინც რა არი ჩვენი ცხოვრება,
სულ რამდენიმე მოქნევა ფრთების,
ასგზის შეხვედრა და განშორება.

მიფრენენ წლები და გაჰკივიან,
სად ანდა როდის გაუვათ ყავლი?
თითქო სიცოცხლე წეროს მწკრივია
გადაზომილი განგების მტკავლით.

არც განგებაა, არც ბედისწერა
დანაშაულის ეს ათი წელი,
ეს ათი წელი ათი წეროა
გამოთოფილი პატიმრის ხელით.

და ჩამოირღვა ცა უცაბედად,
გაუფერულდა დღეც და ღამეცა,
დედა ათი წლით ადრე დაბერდა
და ათი წერო მხრებზე დაეცა...

მან დააქვრივა ცოლი ათი წლით,
ათი წლის ხსოვნა დატოვა ზოგთან,
მან დააობლა შვილი ათი წლით
და თავისთვისაც ათი წლით მოკვდა.

და ერთიანად გაჭაღარავდა,
ჩაშავდა, ჩაჭკნა თითქოს სულამდე
სახლში, კედელზე სულ ახალგაზრდა
შინმოუსვლელი მამის სურათი...

წიქარასავით მოდის სიზმარი,
პატრონს დაიხსნის და გაიტაცებს...
ეს ძილში... ძილში... ხოლო მღვიძარი
დაუბრუნდება ციხეს იმწამსვე...

ხარი საკანში ჩატენის ბღავილს,
როგორც ჩანჩქერის ხმაურს და ღრუბელს,
როგორც წვიმას და ტყის ველურ ყვავილს
ხის ძირებში რომ ლივლივებს გუბედ.

რასაც დავკარგავთ, იმას ვაფასებთ,
რასაც დავკარგავთ იმას ვთვლით განძად,
ისიც სიზმარში შვილს ათამაშებს,
ცოლსა და დედას ფერებით ქანცავს.

და ტანში უდგას ელვის შიშინად
და სულში ველურ თაფლივით ღვენთავს
სტადიონების სტვენა, ყიჟინა,
ზღვის შრიალი თუ სიჩუმე ტყეთა...

. . . . . . . . . .

ამ კაცმა სული ეშმაკს მიჰყიდა
და ბედს მინებდა ცრუს და ონავარს,
ახლა ქვეყანას უმზერს ციხიდან,
როგორც წარსულს და
როგორც მომავალს.

დამენანება სიცოცხლის ფლანგვა,
უქმად და ფუჭად დრო დაღუპული
და ყველას, ყველას გვედება ლაქად
ათი მოკლული წეროს ბუმბული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვისი შვილი ხარ

I

პირველი შემთხვევა...

იშვილეს ბავშვი...
და სახლიც მალე
გადიქცა ტაძრად და წმინდა მღვიმედ,
ბავშვს არ აკლებდნენ სითბოს და ალერსს,
როგორც ერთადერთ ნუგეშს და იმედს.

. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . .

და როგორც სკაში შეუშვან კვამლი
და ცახცახებდეს სკა დაშუშხული,
ყმაწვილის სულიც ასე მოწამლეს
კვამლივით შავი მწარე ჩურჩულით:

„სხვისი შვილი ხარ"...
და ბავშვის სული ასე აფუტკნა
კვამლივით მწარე ფიორა სიტყვამ,
სახლი კი გავდა აშლილ საფუტკრეს,
სადაც წარსული თაფლივით იდგა...

ო, კაცთა სიტყვავ, ეს მიკვირს შენგან,
და, ვერც ავხსენი დღემდე სრულებით, —
შე დალოცვილო, თუ ღმერთმა შეგქმნა,
ეშმას რატომღა ემსახურები?

ის აზრს შეიცვლის მთელ ქვეყანაზე
და მისი ფიქრი ვერ იკელაპტრებს,
სიკეთის ბავშვურ რწმენას დაკარგავს,
რითაც დაკარგავს თითქმის ყველაფერს.

მერე დღითიდღე გახდება ქუში,
რას არ მოითხოვს უკმაყოფილო,
აიზღარბება ყმაწვილის სულში
რაღაც ტლანქი და პირველყოფილი.

და გამზრდელებიც უკვე შიშობენ:
„დედას იპოვის და... მერე მორჩა"...
ღმერთს და ღვთისმშობელს შევედრებენ
ასე უდროოდ აწეწილ ოჯახს.

მარტო გაჩენა რა ბედენაა,
თუ ბავშვის გაზრდას არ დავსდებთ ამაგს,
გამზრდელი დედა ათჯერ დედაა,
გამზრდელი მამა—ათასჯერ მამა.

როცა ნამდვილმა დედამ დაგტოვა —
გაგწირა მისი ხორცი და სისხლი,
უცნობმა ქალმა არ მიგატოვა,
გაგხადა დედა-შვილობის ღირსი.

...შენ კი ჩადიხარ ცოდვას უარესს,
როცა იმ ქალის მონახვას ლამობ,
ვინც დედობაზე გითხრა უარი
რაღაც სირცხვილის და შიშის გამო.

თუკი დედაა სიკეთის მაცნე,
გამზრდელი არი ღმერთთან ცილობა.
ბავშვის გაჩენა სიმამაცეა,
მაგრამ დედობა არის გმირობა...

II

მ ე ო რ ე...

ის არ მოჰყვება ფუჭ განქიქებას,
წყალში არ ჩაყრის ღვთაებრივ ამაგს
და გამზრდელები მისთვის იქნება
ნამდვილი დედა,
ნამდვილი მამა.

„ვინც გადამაგდო ზედმეტ ბარგივით,—
ადამიანის დათმო სიმაღლე —
ადამიანად ვერ უვარგია
და დედად როგორ... როგორ ივარგებს!

მე მომიშორა...
სამაგიეროდ
პატიოსნება შეინარჩუნა,
როგორც ნიღაბი ყალბი, ცბიერი —
ფარული დარდი და მაჯლაჯუნა.

თითონ მხეციც კი უმწეო პირმშოს
სანამ არ გაზრდის, არ მიატოვებს,
სულ იმას ცდილობს და იმას შიშობს
არ გააკაროს საფრთხე სათოფედ.

დედის საშოშიც უდედოდ ვიყავ
და არა მხოლოდ გაჩენის შემდეგ,
უდედოდ უნდა დავრჩენილიყავ,
დედის წყალობით, სიკვდილის დღემდე.

მაგრამ დედობა ვინც გამიწია,
დედა-შვილობის გამხადა ღირსი —
ჩემი კაცობაც მხოლოდ მისია,
ცოცხალიც, მკვდარიც მისი ვარ, მისი!"

III

შენ კი, გოგონავ, მომე მარჯვენა
და ყური მიგდე, როგორც ქირომანტს:
სიმამაცეა შვილის გაჩენა,
მაგრამ დედობა ნიშნავს გმირობას...

## სიცოცხლე

ჩემი ნათესავი აგერ თითქმის ასი
 წლის კაცი
კარგა ხანია, წლებს ინიშნავს
 აღდგომის კვერცხზე.
იმდენ წელიწადს ვიცოცხლებო ხუმრობით
 ამბობს, —
რამდენსაც კიდევ დავატევო...
გადიან წლები...
აღდგომის კვერცხზე თარიღები ისე
 ლაგდება,
თითონ ჩინელი ოსტატებიც გაოცდებოდნენ,
ბრინჯის მარცვალზე რომ ატევენ ბუდას
 მოძღვრებას...

* * *

როცა მავანი მეკამათება:
ზოგი ბუხუნებს და ზოგი ყმუის,
ზოგი ძაღლივით აღავლავდება,
ზოგიც სისინებს... არ ვამბობ ტყუილს.
რა აგანგაშებთ,
გულს რა აკლიათ
ვიცი... და
 მშვიდად დავიკრეფ გულხელს:
ჩემი თვალები სუფთა სარკეა —
ყველა თავის თავს ხედავს და...
 უღრენს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ჯემალ მეხრიშვილი*

# ღამის მგზავრი

მოთხრობა

ნაწვიმარ ასფალტზე ცისფერი „ვოლგა“ მიჰქროდა.

ივლისის უმთვარო, სამხრეთული ღამე იდგა.

გზა ხან ზედ ზღვის პირ-პირ მიდიოდა, ხან მკვეთრად უხვევდა მარჯვნივ და ბორცვებშუა მიიკლაკნებოდა.

ევკალიპტები, ციტრუსის ბაღები, ფანჩატური, ბორცვის კალთებზე გაჭიმული ჩაის დაბურული, მრუდი მწკრივები უცებ გაიელვებდნენ ხოლმე მანქანის სინათლეზე და ისევ სიბნელეში ინთქებოდნენ. მთიების შორეულ ანაშუქზე მერე მხოლოდ თეთრი ევკალიპტებიღა ილანდებოდნენ.

გზისპირა სურნელოვან ბუჩქებში ნაპერწკლებივით დახტოდნენ უამრავი ციცინათელები.

მანქანაში ორნი ისხდნენ — შოფერი და ქალი.

კაბინის მორთულობიდან ჩანდა, რომ მანქანა საკუთარი იყო.

ოცდაათიოდე წლის კაცს ხუჭუჭი თმა ზვინივით ედგა. აკაციის ეკლებივით წამახული ულვაშები დარდიმანდულ იერს აძლევდნენ მის სქელ ტუჩებს, რომლებიც დაუღალავად მოძრაობდნენ ნაირ-ნაირი ამბების მოყოლისას.

— ჰოდა, იმას მე ისევ კიევში ვგონივარ, რა იცის, კი, რა ხდება!... ჩამოუკიდია გალსტუკი, ერთი კონა ყვავილი დაუჭერია და წამდაუწუმ საათზე დაიყურება. მივეპარე უკანიდან და მხარზე დავარტყი ხელი — აქ ვის ელოდები მეთქი!..

— ო, რა შეუბრალებელი ყოფილხარ, ჯონი! — ფარისევლური კეკლუცობით წამოიძახა ქალმა და თმა მოუთელა, — წარმოდგენილი მაქვს, რა დღეში ჩავარდებოდა ის საწყალი.. მერე, მერე?

ბიჭი გუნებაში ამაყობდა, ქალი რომ დააინტერესა. სიამოვნებდა, ჯონის რომ ეძახდნენ (მოაგარაკე ქალებს ასე აცნობდა თავს, თორემ ნათლობის სახელი ანდრო იყო).

— მერე, მერე? — არ ცხრებოდა ქალი.

კაცმა მანქანას სიჩქარე შეუცვალა და სვლა შეანელა.

მანქანის შუქზე ზურგჩანთამოკიდებული, ჩალისქუდიანი მგზავრი გამოჩნდა.

— ახ... ეს... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად

ჩაილაპარაკა თმახუჭუჭამ, — წავიყვანოთ!

— არ გინდა! — შეეხვეწა ქალი, — ვინ იცის, ვინაა, არაფერი... არ გინდა, რა.

— რა უნდა მიქნას? — დაიტრაბახა კაცმა, — დედას არ ვუტირებ, ვინმე რამე რომ...

მან სავარძლის დეკორაციული შალითის გვერდითა ჯიბეს ორი თითი ჩაავლო, ვეება ყბა დაალებინა და ქალი შიგ ჩაახედა.

— ხედავ?

— ო! — შეკრთა ქალი და გაუღიმა, — საშიში პიროვნება ყოფილხართ!

— აბა, რა გეგონათ?!

თმახუჭუჭამ სვლას უკლო, ფრთხილად ჩაუშრიალა უცნობს და გააჩერა.

მერე პლაფონი აანთო და კარში თავგამოყოფილმა ომახიანად გამოსძახა:

— მოდი, დაჯექი!

უცნობმა ტვირთი უკანა სავარძელში შეაგდო და თვითონაც შეძვრა.

კაბინაში ნახევრადგამშრალი ტანსაცმლის სუნი დადგა — ეტყობოდა, საღამოს შხაპუნა წვიმას მგზავრის თავზე გადაევლო.

— რატომ ხელი არ ამიწიე? — მხარზემოდან ღიმილით ჰკითხა თმახუჭუჭამ და მოსწყვიტა მანქანა.

— სულ ერთია, მაინც არ აჩერებენ, — უპასუხა უცნობმა და ქუდს ზურგჩანთის გვერდით მიუჩინა ადგილი, — ხოლო ვისაც არ ეშინია, ის...

— ის ისეც გააჩერებს! — ჩამოართვა შოფერმა.

— ის იგრეც გააჩერებს, — დაუდასტურა უცნობმაც.

— გაგრაში დეიდაშვილები... — დაიწყო თმახუჭუჭამ.

— ფრთხილობენ და იმიტომ, — უცებ ჩაერია საუბარში უცნობისაკენ ნახევრად შემობრუნებული ქალი, — ფრთხილობენ და მიტომ. ერთი მეზობელი მყავს და იმან იცის ხოლმე: რომ ვიცოდე ნამდვილად კაცი კვდება, ღამით მაინც არავის გავუჩერებია...

— რატომ? — უცხოსავით ჩაეკითხა თმახუჭუჭა.

— ერთხელ ვიღაცეები ჩასხდომოდნენ, ქალაქგარეთ გაეყვანათ, ფული წაერთმიათ და ის რაღა იყო — თმა გადაეპარსათ!..

— არიფებს ეგრე უშვრებიან! — მიაძახა თმახუჭუჭამ და დაორთქლილ მინას მჩვრით დაუწყო წმენდა, — შვიდი წელია მანქანა მაქვს და არ მახსოვს, რომ გაჭირვებული შემხვედროდეს და არ გამეჩერებინოს, ღამე კი არა, რაც არ უნდა ყოფილიყო, რისა უნდა მეშინოდეს? რა უნდა მიყონ? გოგო ხომ არა ვარ, რომ ისა... არადა, ტყავი არ ვარგა ჩემი და ხორცი, ფულს წაიღებენ? წაიღონ! მანქანას გამტაცებენ? ატარონ, სანამ არ დაიღლებიან! გოგოს წამართმევენ? წამართვან! გოგოების მეტი რა არი ამ ქვეყნად!.. საქურდაოთ წამიყვანენ? წამიყვანონ! მაჩვენონ თუ კი სადმე რამეა მოსაპარი და მერე მე ვიცი!.. სხვა რა უნდა მიყონ, ჰა?

შოფერმა სიგარეტი ჩაიდო პირში და კოლოფი უკან გადმოაწოდა, ხომ არ მოსწევო, უცნობმა უსიტყვოდ ამოაძრო ერთი ღერი, გააბოლეს და თმახუჭუჭამ განაგრძო.

— ჰოდა, იმას ვამბობდი: გაგრაში დეიდაშვილები მყავდა სავაჭროდ და ამ საღამოს ორჯერ გავიარ-გამოვიარე აქეთ. ვხედავ: მოდიხარ და მოდიხარ. მე ვთქვი: ვინ არი, რა კაცია, სად მიდის? ან არ დაიღალა, ან... მაშინვე მინდოდა გაჩერება, მაგრამ ადგილი არა მქონდა — ისინიც სულ მუხლებზე ასხდნენ ერთმანეთს... საიდან მოდიხარ?

— თბილისიდან.

— ფეხით?

— ხან — ფეხით, ხან — მანქანით.

— ფეხით რას ეწვალები. მანქანები დაილია თუ... საით მიდიხარ?

— იასნაია პოლიანაში.

— მისულხარ და ეგ არი! აღლერში

გათენებამდე ჩახვალ... ეჰ, იქით მაინც მივდიოდე!.. ადლერიდან კი ყოველ ოც წუთში გადიან ტაქსები და ავტობუსები. ორმოც წუთში ჩაგიყვანენ.

— ეგ კრასნაია პოლიანაა.

— აბა, შენ სად მიდიხარ?

— იასნაია პოლიანაში.

— იასნაია პოლიანა! იასნაია პოლიანა! — გაიმეორა თმახუჭუჭამ და ქალს გადახედა, მაგრამ რაკი არც ის აპირებდა ხმის ამოღებას, ისევ უცნობს მიმართა, — შავ ზღვაზე იგეთი რა კურორტი უნდა იყოს, ნამყოფი თუ არ ვიყო, გაგონილი მაინც არა მქონდეს. მაგრამ მაგეთი, როგორსაც შენ ამბობ, არაფერი მახსენდება... ჩორტ ევო ზნაეტ!.. ეგ საითაა?

— მოსკოვის ახლოს.

თმახუჭუჭამ სვლას უკლო და ბიჭს დაკვირვებით გადმოხედა.

— მერე და იქამდე სულ ეგრე ფეხითა და გზა-გზა შეხვედრილი მანქანებით აპირებ ჩასვლას?

— ჰო.

— ყოჩაღ, ძმაო, კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია. მილიონი რომ მომცენ, მე მაგას ვერ გავრისკავ. რა, კურორტია რამე?

— ტოლსტოის სამშობლოა.

— ეგ რომელი ტოლსტოისა?

— ლევ ტოლსტოისა. „ომი და მშვიდობა“ რომ...

— ვიცი, ვიცი! კინოც არ გადაიღეს?

— კი.

— ვიცი, მინახავს, კაი კინოა... დაწესებულება გგზავნის?

— არა.

— ეგრე, რომ ფულს არავინ გიხდის?

— არავინ.

— მატარებლით რატო არ წასულხარ?

— ამჯერად სამატარებლე ფული არა მაქვს. თანაც ფეხით სჯობია: ასე უფრო ბევრ რამეს ვნახავ გზადაგზა.

თმახუჭუჭას გაეცინა.

— ბევრი გივლია ეგრე?

— არა უშავს რა.

— და სულ ეგრე, ფეხით?

— როცა ფული მაქვს — მატარებლით ან თვითმფრინავით.

— როცა არა და ფეხით?

— ფეხითა და შეხვედრილი მანქანებით.

— საზღვარგარეთ თუ ყოფილხარ?

— ერთხელ.

— სად?

— იტალიაში.

— ოჰოჰო! — აღტაცება ვერ დაფარა თმახუჭუჭამ, — მაშ ბევრს ისეირნებდი იტალიელ გოგოებთან... იტალია! ხუმრობ, კაცო?! ალბათ, ძვირია საგზური, არა?

— როგორ გითხრათ... საგზური ძვირია, მაგრამ მე პროფკავშირების ხაზით ვიყავი — ას ოთხმოცდახუთმეტი გადავიხადე.

— ნუ ორასი! — დაამრგვალა თმახუჭუჭამ, — ორასი რა არის? ერთ ქეიფში გადამიგდია სამას-ოთხასი მანეთი... ესე იგი, ვინ მოგცა ეგ საგზური?

— ქარხნის პროფკომმა.

— რომელი ქარხნის?

— სადაც ვმუშაობ.

— სად მუშაობ?

— კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში.

— რას ამზადებს ეგ ქარხანა?

— უჰ, ბევრ რამეს!

— პირადად შენ რას აკეთებ?

— ჩვენი საამქრო საექსპორტო ჩარხებს ამზადებს.

— ინჟინერი ხარ?

— არა, ჯერჯერობით ამწყობ ზეინკლად ვმუშაობ... თან დაუსწრებლად ვსწავლობ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

— შენ ერთი ეს მითხარი: მე არ გამიშვებენ საზღვარგარეთ?

— რატომაც არა!

— მაგისათვის რა არი საჭირო?

— არაფერი, როცა პროფკომი საგზურებს მიიღებს, შეიტანთ განცხადებას და მორჩა.

— რომელი პროფკომი?

—ნუ, რა ვიცი, სადაც მუშაობთ.

— მე რომ არსად ვმუშაობ?!

—არა მუშაობთ? — გაიოცა უცნობმა, — აბა, რა გარჩენთ?

თმახუჭუჭას ჩაეცინა. უხერხული დუმილი ჩამოწვა. ერთხანს ასე მიდიოდნენ.

— დაიცა, — სიჩუმე ისევ თმახუჭუჭამ დაარღვია, —ერთიც ვნახოთ და ღამით... ღამეს სად ათევ?

— სადაც დამიღამდება! — ამაყად უპასუხა ბიჭმა და ხელი საძილე ტომარას მიუტყაპუნა.

თმახუჭუჭამ კვლავ გაიცინა და თავი გაიქნია — ეტყობა, ახალი სამყარო აღმოაჩინა.

— სადაც დაუღამდება! — აიტაცა ქალმა და ტკბილად გაუღიმა უცნობს, — რა კარგია, არა, ჯონი?! სადაც დაუღამდება! მთელი რომანტიკაა! ნეტა, მეც მამოგზაურა ასე, მაგრამ გველებისა მეშინია. თქვენ?

— მეც. — გაუღიმა უცნობმა.

— მაშ, რა გულით გძინავთ გარეთ? — დაინტერესდა ქალი.

— სულ უბრალოთ, — აუხსნა უცნობმა, — ძილის წინ ირგვლივ გოგირდს დააჩხრიოლებთ და არავითარი ქვეწარმავალი აღარ მოგეკარებათ.

თმახუჭუჭამ მიმქრალ სიგარეტს მოუკიდა და განაგრძო.

— ეგ ყველაფერი ჰო, მაგრამ ჭამის ის... ჭამა ხომ გინდა?

— რაცა მჭირდება, ზურგჩანთაში მაქვს და კერძს თითონ ვიკეთებ.

თმახუჭუჭამ და ქალმა ერთმანეთს გადახედეს.

— ა-ა-ა, — განავრცო შოფერმა, — ალბათ ქვაბი იყო, ზედ რომ გეკიდა?

— კი.

— მეც არ ვიფიქრე, ის მრგვალი რაღა უბანცალებს მეთქი. აბა, ეგ რანაირი ქვაბია?

— უბრალოდ ასეთია: ტურისტული.

— გოგოც უნდა წამოგეყვანა, იგრე უფრო მეტი ინტერესი იქნებოდა, არა?

— რასაც არ მომაცდენდა... — ენისბორძიკით ჩაილაპარაკა ბიჭმა, — უნდა ჩავიდე და მალევე გამოვბრუნდე. ცოტა დრო...

— დროს მოუკვდა პატრონი, — მოუჭრა თმახუჭუჭამ და გუბეებზე ფრთხილად გადაატარა მანქანა, — წავიდეთ ჩემთან, ამაზე კარგ ადგილს სად იპოვი? მთელ ზღვისპირეთში მყავს ნათესავები და მეგობრები!.. სადაც გაგიხარდება, იქ დავიდოთ ბინა... შენ სხვანაირად არ გამიგო. მე ერთი პირდაპირი კაცი ვარ და პირში თქმა მიყვარს: კაი ბიჭი ჩანხარ და, რაღა დაგიმალო, ჯერ შენნაირს არ შევხვედრივარ, რაღაც ინტერესში ჩამაგდე, ლამის მეც ვიყიდო მაგეთი ქვაბი და... მოდი, ჩემთან წავიდეთ, დარჩი ერთიორი კვირა, რესტორანი და ქალები ჩემზე იყოს...

— კაცს იქნებ მთელი თვე უნდა,— გაიცინა ქალმა, — შენ რა ვადას უწესებ!

— სიტყვამ მოიტანა, მეგი, თორემ ორი კვირა კი არა, თუ კი მოეწონება, სულაც აქ ჩავისახლებ და აქაურზე დავნიშნავ, ცოლი გყავს?

— არა.

— ჰოდა, ქალები მეგიზე იყოს, ჩვენ რო არ ვეწვალოთ. რომელს გამოუყვან, მეგი, ეთერის?

— რომელი ეთერი?

— ეს მე მეკითხება! როგორ თუ რომელი? სულ ერთად არ დადიხართ?

— განა სახელებითაც ვიცნობ რა!

— აი ის, მილიციელი რომ ეთამაშებოდა.

— ჰოო, კაი გოგოა, მაგრამ ორ დღეში უთავდება საგზური და წავა.

— მაშ ვისა, გალინას?

— ნურც ცარო შეგშურდება!

— ო-ო-ო-! — აროხროხდა თმახუჭუჭა და მუხლებზე წაიშინა, — ნეტა, რით დაიმსახურე ეგეთი პატივისცემა, — მიმართა მან უცნობს, — სამი დღეა ზედ გადავაკვდი — ის გოგო ჩემ ძმაკაცს გააცანი-მეთქი და პირზე მური ჩამოისვა — უკარებააო, ესაო,.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისაარ, შენ კი, ხედავ, ხელად გადმოგილოცა!.. რაღაცაშია აქ საქმე, რაღაცაში!

— ო, რა უსინდისო ხარ! — გაიპრანჭა ქალი.

თმახუჭუჭამ საჭეს ცალი ხელი შეუშვა და მანქანის ძგიდეზე ჩამონტაჟებულ მაგნიტოფონს დაუწყო ჩხიკინი.

მაგნიტოფონი ჯერ გაჭირვეულდა, მერე უეცრად შეწყვიტა ხიხინი და კაბინაში გაისმა ხალისიანი სიმღერა.

— ჰო ლა-ი-ლა-ლაა!

— ჰო ლა-ი-ლა-ლაა!

ჰოოოოოო!

— ცეკვები იცი, ძმობილო? — შეეხმიანა თმახუჭუჭა.

— შეეშვი, ჩაეძინა, — უჩურჩულა ქალმა, — საწყალი, ძალზე დაღლილა.. გააჩერე ხელი... სირცხვილია...

— დაიღლებოდა, აბა, რა. — ჩურჩულითვე მიუგო თმახუჭუჭამ, მაგნიტოფონს ჩაუწია და პლაფონი გამორთო.

სადღაც შორს, დასალიერში, ზანტად ელიქუხა.

— კიდევ იწვიმებს. — თავისთვის წაილაპარაკა ქალმა.

უცნობს ეძინა.

ნახევარი საათის შემდეგ ორზოძალი გზა გამოჩნდა.

თმახუჭუჭამ მანქანა მთის სოფლისაკენ მიმავალ საურმეზე გადააყენა.

— რა ვქნა, გავაღვიძო თუ პირდაპირ ასე წავიყვანოთ ზევით?

—რა ვიცი. — მხრები აიჩეჩა ქალმა. — პირდაპირ ასე როგორ წავიყვანოთ... უხერხულია... არაფერი იფიქროს.

თმახუჭუჭამ აანთო პლაფონი და ბიჭი გააღვიძა.

— ამ შუაღამისას აღარავინ გამოივლის, გინდაც გამოჩნდეს ვინმე, ხომ იცი, არ გააჩერებენ... მოდი, როგორც წეღან მოვილაპარაკეთ, ჩემთან წავიდეთ... აი, როგორც ძმას, ისე გთხოვ. ერთი კვირა გინდა იქით იყოს, გინდ აქეთ... როგორც ძმას, ისე...

— **მესმის, მაგრამ...**

— არა და ამაღამ მაინც წამოდი, ერთი კარგა წავუქეიფოთ, დავიძინოთ და დილაზე ისევ მე ჩამოგიყვან აქამდე. აგერ, თანაც ქუხს...

— არა... გმადლობთ... მაგდენი დრო არა მაქვს. — ნამძინარევი ხმით უპასუხა ბიჭმა, ქუდი დაიხურა და ზურგჩანთის ღვედებს დაუწყო ძებნა. მერე ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა— უფასო მგზავრობისათვისაც და მიპატიჟებისათვისაც და კაბინიდან გა**მოძვრა.**

— შენ იცი! — ესღა მიაყოლა განაწყენებულმა თმახუჭუჭამ. დაელოდა, სანამ ღვედებში მკლავებს გაუყრიდა და სიბნელეში გაუჩინარდებოდა. მერე მხარზემოდან ერთი გადმოხედა სავარძელს, ხომ არაფერი დარჩაო, პლაფონი გამორთო და გზას გაუდგა.

II

გამოკეტილი აგარაკი, სადაც ახლა თმახუჭუჭას ქალი მიჰყავდა, მისი გაუთხოვარი მამიდისა იყო, რომელიც ეს რვა თვეა, სოხუმის საავადმყოფოში იტანჯებოდა უკურნებელი სენისაგან.

მამიდის ყოფნა-არყოფნას, კაცმა სიმართლე რომ თქვას, თმახუჭუჭასათვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც ღმერთს ეხვეწებოდა არა დამართოდა რა, რადგან იცოდა: მამიდას სადამდისაც გინდა ეცოცხლა, იმნაირი სენი სჭირდა, საავადმყოფოდან არ გამოახედებდნენ, ხოლო თუ გარდაიცვლებოდა, ანდერძის თანახმად აგარაკი მის დისწულს დარჩებოდა და მაშინ იქ არამც თუ ქალებს აღარ მიაყვანინებდნენ, არამედ თვით მასაც ამოაკვეთინებდნენ ფეხს.

— რა ცხვირპირი ჩამოგტირის, ჯონი? — შეეხმიანა ქალი.

მაგრამ ამ წუთას თმახუჭუჭა არც სნეულ მამიდაზე ფიქრობდა, არც მის დისწულზე, რომელიც ჭირივით სძულდა, და არც იმ მოსალოდნელ ნეტარ

წუთებზე, რაც მეგისთან ერთად ოციოდე წუთის მერე უნდა განეცადა.

თმახუჭუჭა ღამის მგზავრზე ფიქრს აეტანა.

„ბილეთის ფულიც არ უჭყავის და მოსკოვამდე ღვთის ანაბარა აპირებს წასვლას... ესე იგი ცხოვრებაში რაღაც აზრი და მიზანი უნდა ჰქონდეს!.. მე? რაც მე ქალებში და რესტორნებში ფული გადამიყრია, მოსკოვს კი არა, დედამიწას შემოვუვლიდი ასჯერ!.. თანაც რა თქვა — კერძებს მე თითონ ვიმზადებო. მე კი ჩემს სიცოცხლეში ჩაიც არ ამიდუღებია“ — ფიქრობდა და გუნება უმძიმდებოდა. ამოიოხრა, სიგარეტს მოუკიდა და თავი ღამის მგზავრს შეადარა, უცებ მოეჩვენა, რომ რაც ეს მანქანა იყიდა, ცხოვრებას ჩამორჩა.

საშუალო რომ დაამთავრა, იმ წელიწადს უმაღლესში ვერ მოეწყო. მერე აღარც უცდია. არ იდარდოსო, მშობლებმა „ვოლგა“ უყიდეს. ცხოვრება უზრუნველად მიდიოდა: მამა ხორცკომბინატის დირექტორი ჰყავდა, დედა — რევიზორი. უფროსი ბიძა იუსტიციის მრჩეველი იყო და თუ რამეს წაიხულიგნებდა, ფიქრი არაფრისა ჰქონდა. ქალაქის საუკეთესო რესტორნის დირექტორთან საქმე კარგად ჰქონდა დაჭერილი და რესტორნის კარი მისთვის ყოველთვის ღია იყო. მასაც რა ედარდებოდა: მიჰყავდა და მიჰყავდა ნაირ-ნაირი გოგოები.

ასე გარბოდნენ წლები: ქეიფი და გოგოები, ქეიფი და გოგოები, სხვა არაფერი ახსოვს.

ეჰ, რაღაცნაირი გოგოები არა ჰყოლია.

პირველად, სანამ ეხალისებოდა, ყველას მისამართს იწერდა. მერე, როცა მობეზრდა, წერა დაეზარა და სათვალავიც აერია. დღეში ხან ორს იცვლიდა. მეტიც შეეძლო, მაგრამ ინტერესი ეკარგებოდა... ყველა ლამაზი გოგო იყო, აბა, შეუხედავთან როგორ გაივლიდა! სულ დარჩეული გოგოები იყვნენ! ისე კი, კაცმა რომ თქვას, პირველად ყველამ განაზვა იცოდა. განზრახ ინაზებოდნენ, რომ უფრო მეტი მიეღოთ, თორემ რა ჰქონდათ გასანაზი?...“

„არა, ნუთუ კიდევ არიან ეგეთი ბიჭები, რომ ფეხით, ალალბედზე მიდიან იმ სიშორეზე. ისიც არ იციან, გაუჩერებს ვინმე თუ არა, და მაინც მიდიან... სადაც დაუღამდებათ, იქ გაშლიან ლოგინს. წვიმა რომ წამოვიდეს? გველმა რო უკბინოს?.. ალბათ, არიან, ალბათ კი არა, ნამდვილად, ახლა აქ არ მეჯდა!.. თანაც როგორი ღირსებით ეჭირა თავი, თითქოს სამეგრელოს მთავარკოფილიყო, ჯიბე კი გაფხეკილი ჰქონდა, საოცარია სწორედ!.. ან მე თუ გიჟი და მამაძაღლი არა ვარ, რას ვეხვეწები! იცნობ? გიცნობს? მე პატიჟით ენა გავითხელე, ის კი აინუნშიაც არ მაგდებდა... ეს ლამაზიც რო აცუნდრუკდა, ცაროს გამოვუყვანო. ნეტა, იხუმრა თუ სერიოზულადა თქვა? რას გაიგებ... — ფიქრობდა თმახუჭუჭა და გრძნობდა, უცნაური შური ნერვებს როგორ უწიწკნიდა — არა, მაინც რო ყველა ინაზებოდა! განსაკუთრებით ის ხალიანი გაინაზა... თუმცა ის ხალიანი რად მინდა. აი, აქ არ მიზის! ამ გახურებულ სეზონზე ირადგილიან ლუქსში ისე მოვაწყე, რომ კაპიკს არ იხდის, ჩემი ხათრით ბიჭები ხმას არ ძრავენ, ყოველ ღამე ბარებსა და რესტორნებს არ ვაკლებ და აგერ, მესამე დღეა მაინც მენაზება!“ –– გრძნობდა, თანდათან სიბრაზე როგორ ეკიდებოდა და სვლას უკლო.

— რა მოხდა, ჯონი, გენაცვალე? — გაუღიმა ქალმა.

თმახუჭუჭას მოეჩვენა, რომ ქალის ღიმილში ყველაფრის წამლეკავი ბიწიერება იმალებოდა; კიდევ უფრო აიტანა სიბრაზემ და ღამის მგზავრისადმი გაჯიბრების მამაკაცურმა სურვილმა აანთო.

და ამ შვიდი-რვა წლის მანძილზე პირველად მოუნდა უფრო მაღლა დამ-

დგარიყო იმ განზრახვაზე, რამაც აქეთ წამოიყვანა.

— რა უნდა მოხდეს, არაფერი. — უპასუხა კაცმა და თავისი სიმშვიდისა თვითონვე გაუკვირდა.

— მაშ მომიყევი რამე.

— ა, მაგნიტოფონს მოუსმინე.

— არ მინდა მაგნიტოფონი, რამე საინტერესო მომიყევი.

— ისეთი არაფერი ვიცი.

— როგორ არ იცი! — ცხვირი აიბზუა ქალმა.

„ასე: — უხმოდ ამოიოხრა კაცმა და კვლავ ფიქრებში ჩაიძირა, — კაფე-რესტორნები არ დააკლო, აგარაკზე მანქანით ასეირნე, გზაზე რომ არ მოეწყინოს, საინტერესო ამბები უჭიკჭიკე. ეს ერთია და რამდენი ამნაირი შემხვედრია! და ყველას აჭამე, ასვი, ეხვეწე, ეფერე, გაართე — რა სულელი ვარ!... იმ ვაჟბატონმა სწორი ბრძანა: რათ მინდა ქალი წამომეყვანა, მომაცდენდაო. რას ერჩი, მართალია: საქმის დროს — საქმე, გართობის დროს — გართობა! აბა როგორ, ყველა კი ჩემსავით ყეყეჩი არაა!... და შენ გგონია იმას ქალები ჩემზე ნაკლებად ეყვარება? მაგრამ იცის, სად და როგორ! ჩემსავით ზედ კი არავის გადააკვდება. სახეზე ეტყობოდა, რა შვილიცა ბრძანდებოდა! ჯერ თავი რანაირად ეჭირა! ეს ქალბატონიც ისე მოიხიბლა, თვალს ველარ აშორებდა და ლაპარაკს არ მაცდიდა. მე რომ არ ვყოფილიყავი, კისერზე ჩამოეკიდებოდა... არა, ცაროც რომ გადაულოცა!"..

კაცმა ქეშად გადახედა ქალს და იგრძნო, რომ მისი სილამაზე ველარ აღელვებდა.

ქალი მართლაც ლამაზი და ქორფა იყო. ზღვაზე გამოჩენის პირველსავე დღეს პლაჟის საზოგადოებამ იგი სეზონის დედოფლად აღიარა. თაყვანისმცემლები ბუზებივით დაეხვივნენ, მაგრამ ყველას თმახუჭუჭამ აჯობა.

ქალი მანამდე ჯიუტობდა, სანამ არ მიხვდა, რომ თუ არ აყვებოდა თმახუჭუჭას, მის დასვენებას საშველი არ დაადგებოდა.

კაცმა იმდენს მიაღწია, ქალი კერძო ხუხულიდან ორადგილიან ლუქსში გადაიყვანა და მისი თანხლებით რამოდენიმეჯერ ბარსა და რესტორანსაც ეწვია. ქალი კვლავ განაგრძობდა ჯიუტობას, მაგრამ ველარ გაუძლო ამდენ დაძაბულობას და დღეს საღამოთი დაყარა ფარხმალი: თანაოთახელს მოატყუა, ამაღამ გუდაუთაში დეიდასთან ვიქნებიო და თმახუჭუჭას მამიდის აგარაკზე გამოჰყვა ღამის გასათევად.

— ბენზინი თავდება? — სიჩუმე დაარღვია ქალმა.

— რაზე ატყობ? — ფიქრებიდან გამოერკვა კაცი.

— აბა, ასე ნელა რატომ მივდივართ?

— ასეა საჭირო.

კაცმა სვლას უფრო უკლო, ვიწრო საურმეს შუბლშეკრული გაჰყურებდა და მცირე საქცევებს დაკვირვებით ზვერავდა.

ქალმა იფიქრა, ალბათ, არავითარი მამიდის აგარაკი არ არსებობს და ახლა მანქანის მოსაფარებელ ადგილს ეძებსო.

— რას ათვალიერებ? ადგილს ეძებ?

— რა ადგილს?

— ოჰ, ვითომ არ იცი!

— მე არავითარი ადგილი არა მჭირდება. — მოუხედავად უპასუხა კაცმა და მანქანა გზის მარჯვნივ, ბნელ ფერდაში ჩააყუდა. მერე ოსტატურად, სწრაფად მოაბრუნა და თავქვე მთელი სისწრაფით მიუშვა.

— რას შვრები... სად მივდივართ? — აწრიალდა გაოცებული ქალი.

— უკან, სასტუმროში. — სხვისი ხმით უპასუხა კაცმა.

ქალს არ ესმოდა, რა ხდებოდა, მაგრამ გაჩუქება არჩია.

მთელი გზა ისე გალიეს, არაფერი თქმულა.

ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ უკვე გაჩირაღდნებული ქალაქის ცარიელ ქუჩებში მიჰქროდნენ.

კაცმა მანქანა სასტუმროს წინ, სკვე-

რთან გააჩერა, მერე ძირს გადმოვიდა, მანქანას წინიდან შემოუარა და ქალს თავაზიანად გაუღო კარი.

— გადმოდი, მოვედით.

ქალი რაღაც სასიამოვნო სიურპრიზის მოლოდინში ეშმაკურად იღიმებოდა და ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა.

— გადმოდი, — გაუმეორა კაცმა. — შენი სასტუმროა.

ქალმა ახლა კი იკადრა გადმოსვლა, თუმცა ძველებური ღიმილი არ სცილდებოდა.

— მშვიდობით. — მძიმედ თქვა კაცმა, მიხურა კარი, მანქანას ისევ წინიდან შემოუარა, საჭეს მიუჯდა და გააქროლა.

ქალი გაუნძრევლად იდგა და თვალს არ აცილებდა მანქანას, რომელიც თანდათან შორდებოდა.

მანქანა მალე მიეფარა თვალს და მხოლოდ მოტორის გუგუნიღა ისმოდა. ბოლოს ეს ხმაც მიწყდა.

შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო. ღამის სიწყნარეს მხოლოდ მაგნოლიების ფოთლების შრიალი არღვევდა. ცარიელ ქუჩაში უკანასკნელმა წყვილმაც ჩაიარა. ისინი ჩაბნელებული პარკიდან გამოვიდნენ. მაღალ, ქერათმიან ბიჭს პიჯაკი გოგოსთვის წამოესხა, თვითონ კი თეთრი პერანგის ამარა მიაბიჯებდა.

პორტში დიაფონმა სევდიანად დაიბღავლა. ღია ზღვიდან რომელიღაც გემი ორჯერ გამოეპასუხა და კვლავ მყუდროებამ დაისადგურა.

ქალი ისევ სასტუმროს ეზოში იდგა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა,

თმახუჭუჭას კი სახლში მისვლა აღარ უნდოდა და ცარიელ ქუჩებს უაზროდ უვლიდა. მანქანა ძალზე ნელა მიჰყავდა, საჭეს ცალი ხელით ატრიალებდა. თან სიგარეტს ეწეოდა.

„...იმ ხეპრემ როგორ პირდაპირ მომახალა და სირცხვილი მაჭამა უცხო ქალთან — მაშ რა გარჩენსო. ხომ ვერ ვეტყოდი, მამაჩემს ვაზნისკაპ-მეთქი კისერზე. საწყალი მამაჩემი! ჩემზე ფიქრმა გატეხა, თორემ მაგას რა მოერეოდა!.. ან ამდენს რას ვალაპარაკებ ხალხს — ვინც შემხვდება და: რატომ მუშაობას არსად დაიწყებ? როდემდე შეგინახავს მამაშენიო? რათ მინდა რომ ცოცხალი ვარ, როცა გერონტიც კი მე მჯობია: თვე არ გავა, გაზეთში არ იყოს დახატული... მერედა რას წარმოადგენს ის შენი გერონტი: სანამ ჰიათურაში წავიდოდა, ცინგლს ვერ იწმენდდა. რასაც ის ორი ხელით ეწეოდა, მე კბილებით ვიტაცებდი იმდენს. ახლა კი?... წინეებზეც მითხრა რაჟიკომ — წამოდი ჩემთან, გაზის აპარატურის ქარხანაში მოგაწყობ, პირველად ას ოცი გექნება, მერე ვნახოთო. მაშინ სიცილადაც არ მეყო... იქ არა მუშაობენ ჩვენი ბიჭები: ბორია, ვასიკო, ნოდარი, ზოსიმე, ვარდენა, უშანგი... დილაზევე ვეტყვი რაჟიკოს, რომ მიმიყვანოს ქარხანაში. თუ მუშაობაა, მუშაობა იყოს. ყველას ვაჩვენებ რა შემიძლიან — ხუთი კაცის ნორმას შევასრულებ!... ამსისხო მხარმკლავი რისთვის მაბია, ბორიასა და ვარდენას ვერ ვაჯობო... თუმცა ჯერ რაჟიკოს ნახვაა საჭირო, სახლში მაინც იყოს — იმ დღეს მითხრა, ოჩამჩირეში მივდივარ, ცოლმა უნდა მოილოგინოსო. ნეტა, ჩამოვიდოდა თუ არა. ტელეფონის ნომრები მაინც მახსოვდეს, დავურეკდი და გავიგებდი... ოჰ, ერთი მალე გათენდებოდეს!“...

თმახუჭუჭამ მანქანა პარკის ბოლოში შეაჩერა და წყლის დასალევად გადმოვიდა.

ქუჩაში განთიადისწინა სიწყნარე სუფევდა. ზღვიდან მონაბერი ცივი ნიავი უხმაუროდ ედებოდა არემარეს. ჯერ კიდევ არ ჩანდნენ მეეზოვეები. ჩიტებსაც კი ეძინათ. აღმოსავლეთი ოდნავ ამტრედისფრდა.

თენდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ანა კალანდაძე

* * *

სასოებისა მაქვს საყუდარი
გაბრწყინებული ფარული სხივით...
მოიკალათეს მუნ ავაზაკთა,
გადაჭრეს ჩემი სანთურის სიმი...
და... მივატოვე სრა-სამყოფელი,
წმიდათაწმიდა დავშრიტე ალი...
მაგრამ... აჰა, კვლავ გულში — ციაგი:
სანთური ჩემი მომეგო კვალად!..
სასოებისა მაქვს საყუდარი...

1971

* * *

ჰა, შარავანდი უხილავი უცხოთა თვალთა. .
ო, დიდი ესე მეუფება განავრცე მისი —
აღვივსო მისი ბრწყინვალებით და სასოებით
ვით აღგივსია შენ სინათლით საუფლო ცისა..

1970

* * *

ამბობ ,,ოსანას‘‘ და ფერმიხდილი
მისდევ მაცხოვარს, საბრალო დაო...
ამხედრდი შენთა ვნებათა ზედა,
ჰპოვე სამარე მით სამუდამო...
ჰა, ქვაბი ეგე მიწყივ გლოვისა
და სასოება — არღარა მფარველ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, დაო ჩემო, დაშრტა სიცოცხლე,
დამდგარა გლოვა შიგნი და გარე...
აჰა, ქალაქი მარადიული,
გუმბათნი ვერცხლის და ოქროსანი...
მისდევ მაცხოვარს კვლავ ძველ უბნებში
და ფერმიხდილი ამბობ „ოსანას"...

1970

* * *

აქა მეუფებს სული მისი, ამ მწვერვალებზე,
ო, აქ ბინადრობს, ამ ნისლებში —
ცხადი თუ სიზმარ...
აქა მომეგო დიდებული ყოველთა ძალი,
მაცოცხლებელმა დიდმა სულმა მიპოვა
ცისმან
ამ ხეობაში...

1973

* * *

აჰა, დავბრუნდი მწუხარებიდან
და შენს კარებთან განვიგდე ფლასი:
მეგულვის შიგან ცეცხლი დიადი
და ცათა კრთომა იდუმალ დასთა...
ბრწყინავს, ციმციმებს ფების გვირგვინი,
ადგას ნათელი სამეფო კარვებს...
ვგრძნობ უხილავთა მოახლოებას,
რომელნი არსად არასდროს წარვლენ...
ნათელს დავბრუნდი მწუხარებიდან...

1972

* * *

მე მიხმობს იგი თვის წმინდა ჭერქვეშ,
მაღალ ღრუბლებთან, მაღალ ქარებთან,
რომ კვლავ აღსავლის დავდგე კარებთან
და მზეთა მზისა ველოდო მოსვლას...
მეძახის იგი: მასთან თანშერწყმა
წმიდათაწმიდა არს ჩემი ლოცვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჩამოდის იგი შუაღამისას
წარუვალი და... მარად ქარული...
მაღალ-მაღალნი განახვენ ბჭენი
შენთა პალატთა, ო, სიხარულო!

1970

* * *

აჰა, ტაძარი ცათუმაღლესი
სულთათანხმობის და გრძნეულებათ...
მე აქ ვიხილე ხატი უბიწო,
მზის უსხეულოს — განსხეულება...
აჰა, ტაძარი ცათუმაღლესი...

1973

* * *

მხვდა სიხარული უზენაესი
გამოტყორცნილი შენთა სრათაგან...
ო, ზენაარო, მიმიღე ბნელი,
სამივ ნათელი მაგე სამთაგან!
სისინებს მტერი ჩემი მოშურნე:
— სანთური შენი — ქარი ქართაგან! —
მიეც წყვდიადი მას სანატრელი,
მე... დამხსენ ნათლის უმეცართაგან!

1972

* * *

ლამპარი იგი სიხარულისა
ჩემს წილ მარადის აღავლენს ციალს,
რაც უფრო ღამე ჩამოდის ბნელი,
იგი უფრორე ელავს და ბრწყინავს...

1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ქარლო კობერიძე*

# წინ, მარშალებო!

მოთხრობა

*ნაწილი მეორე*

## *ხიდები, ხიდები...*

მატარებელი მგზავრებით არის გაჭედილი: რაც სკამზე ზის, რატომ ორი იმდენი ფეხზე არა დგას! მე და მამაჩემი რომ ამოვედით, მაშინ ვაგონი თითქმის ცარიელი იყო და ცარიელ ვაგონში, რაღა ჩემი გესწავლებათ, ცარიელი სკამიც ბევრია. მყუდრო ადგილი მოვნახეთ, ბარგი ზედა თაროზე შევყარეთ და დავსხედით. ეს ამოდენა ხალხი გურჯაანში ამოვიდა და, იცოცხლე, დაგვიბოლეს — ყველა პაპიროსს როგორ ეწევა, კაცო?!

მატარებელი ალაზნის ველზე მიჰქრის. კისრისტეხით გარბიან ტელეგრაფის ბოძები, გზაჯვარედინზე — ჯიხურები, მერე: ხიდები, ხიდები და ბოგირები. ვზივარ მატარებელში და სიცხეში გარინდულ ველს გავყურებ, ველს იქით — ცაში ავარდნილ კავკასიონის მთას.

ვაგონში ხალხი ყაყანებს, თუ მოუსმინე, რას არ გაიგონებ: მთელი ქვეყნის ჭირი და ანეკდოტი ჩვენს ვაგონში შემოვარდნილა.

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1.

მამაჩემი დაფიქრებული იხედება ფანჯარაში. მე კი წუხანდელი ამბავი მახსენდება:

შინ მხიარული დაბრუნდა მამაჩემი. ამისთანა გუნებაზე ხშირად არის ხოლმე, მაგრამ ეს კარგი გუნება ამჟამად სულ სხვა იყო ჩემთვის. ვახშმად რომ დავსხედით, სიმღერაც კი შემოსძახა. დედაჩემმა გაიოცა, ნეტავ რა გიხარიაო.

— სადარდებელი რაღა მაქვს? — შესცინა მამამ.

— რა ვიცი, ბიჭს სახლიდან აგდებ და გიხარია კიდევაც?!

— მე არავის ვაგდებ სახლიდან! სადაც მიმყავს, მშვენივრად ვიცი!

— აქ პურს ვერ ჩამოიღებს საპურედან და უცხო ხალხში თავს მიხედავს?!

— მიხედავს.

— ვნახოთ! მეორე დღესვე კარზე რომ მოგადგება, ზოგი მაშინა თქვი!

ჩემი და მთელ ღამეს დაღონებული იყო. მიხოს ცრემლი მოერია. ბე-

ბიაჩემმა ცრემლიანი თვალებით შემომხედა:

— შენ იცი, გიო, დედაშენის ყბაში არ ჩააგდო მამაშენი!..

დილით, სადგურზე რომ მივდიოდით და გაბო ძიას „ვოლგაში“ ჩავსხედით მე და მამა, ისევ ის მითხრა ბებიამ:

— არ გამაიქცე, დედაშენის ყბაში არ ჩააგდო მამაშენი.

გელამ ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— მაშ, დედაჩემის ანაბარა მტოვებ, ჰა?

— შენც წამოდი, თუ გინდა!

— მიშვებენ და არ მოვდივარ?!

ჯუმბერმა წვერწაუთლელი ფანქარი მომაწოდა:

— ჩახვიდე თუ არა, წაუთალე წვერი და დაწვრილებით ჩაბატიფეხურე, როგორ მოგწონს იქაურობა. გაიგე? ჩემი მისამართი ხომ იცი?

— მა რალა ვიცი?!

— ჰოდა, სამი დღის შემდეგ შინ ვიქნები...

— რაზე ფიქრობ, შვილო? — მამაჩემმა მხარზე ხელი დამადო, — ხომ არ გედარდება, ოჯახს რომ ტოვებ?

— ეგ იქ გეკითხა! — ცოტა არ იყოს, გაბრაზებით ვუპასუხე.

აღარაფერი უკითხავს, გაზეთი ამოიღო ჯიბიდან და უხალისოდ გაშალა.

არ ვიცი, სად მივდივართ, რას მიპირებს მამაჩემი? კი ახსენა რაღაც სკოლა თუ სასწავლებელი, მაგრამ კარგად ვერ მოვკარი ყური. შეკითხვით აღარ შევკითხივარ, მაინც არ მეტყოდა და, რა ძალა იყო!

სამი საათის შემდეგ უკვე თბილისში ვიყავით. ჩამოვედით მატარებლიდან. მამაჩემმა ცოტა ხანს მარტო დამტოვა ბარგთან, ბილეთებს ავიღებო, და წავიდა. მაშინ კი დამცხა: აქამდე მეგონა, თბილისში მივყავდი, ახლა კი?...

ხუთიოდე წუთის შემდეგ დაბრუნდა მამაჩემი, კიდევ ხუთი წუთი გავიდა და სხვა მატარებელში ჩავსხედით. შემატყო, გაჯავრებული ვიყავით და, როგორც იქნა, კაცად ჩამაგდო:

— გორში მივდივართ.

— სტალინის სახლ-მუზეუმი უნდა დავათვალიეროთ?

— უეჭველად, — გაეღიმა მამაჩემს, — თუმცა, ცოტა იქითაც მოგვიწევს გამგზავრება.

მატარებელი კი იდგა და დაძვრას არ აპირებდა. ამასობაში მოვასწარი და სადგურს გადავავლე თვალი: ამდენი ელმავალი მიდი-მოდის, სადგური მაინც მაზუთის სუნით არის გაჟღენთილი...

მე რომ ყბად ამიღო მამაჩემმა, უჭკუო, უქნისი ხარო, მიბრძანოს ერთი, ამხელა ვირგლებს მოწნულ კალათაში რომ გაუყრიათ მკლავი, შიგ ორიოდე კანფეტი და ნამცხვარი ჩაუყრიათ და მიდი-მოდიან, ისინი ვინღა არიან?! ერთი გაივლის ყვირილით და, რომ გგონია ყურმა დაისვენაო, მეორე მოსდევს ფეხდაფეხ! ვიფიქრე, მატარებელი დაიძვრება და მეშველება-მეთქი, მაგრამ გაგიგონია?! აბა, მაშინ მოუხშირეს თუ მოუხშირეს გასვლა-გამოსვლას. თან კიდევ: ხალხს თვითონ ეხლებიან და იქით ებუზღუნებიან, ცოტას ვერ გაიწევთო?! ეს რა ხალხი ყოფილა!

ისევ ჩემი საფიქრალი მომეძალა: ისე კი არ გამიგოთ, თითქოს მშიშარა ვინმე ვიყო, მაგრამ მამაჩემი რომ დამემშვიდობება და სოფელში დაბრუნდება, მაშინ რა მეშველება? ვინ იცის, რა ხალხი დამხვდება, რა გუნებაზე დამაყენებს სიმარტოვე? არა ჯობდა, ჩემო გამოთაყვანებულო თავო, გატოკებულიყავი, შენც ხომ ბედნიერად ეგდებოდი შინ! საფიქრალი ბევრი მაქვს, მაგრამ მამაჩემი ფიქრსაც არ მაცლის:

— ბიჭო მაგ ფრჩხილებს რას ჩამტერებიხარ, მცხეთაში შევდივართ, აბა, გაიხედე, როგორ ჩანს ჯვრის მონასტერი!

— რომელი ჯვრის მონასტერი, ბიძაჩემი რომ მღერის ხოლმე?

ვითომც არ გაუგონია.

— მართლაც, დიდებულია! ხედავ. თითქოს მთას აგრძელებს, თითქოს აშენებული კი არ არის, მთაა ასე წამოზრდილი!

— ეგ არის მაგისი ღირსება?

— ეგეც. სხვასაც გეტყოდი, მაგრამ შენი ჭკუის პატრონისათვის ესეც მეტი მგონია!

არ გამომლანძღა?! ვითომ ის უბედურება არ მყოფნის, სახლ-კარს რომ მომაშორეს!

— შენხელა რომ ვიყავი... — დაიწყო. თუ დავაცადე ბოლოში გასვლა, არ ივარგებს.

კაცმა შემოიხედა ჩვენს კუპეში და იკითხა:

— უკაცრავად, ეს ადგილი დაკავებული ხომ არ არის?

მთელი კუპე ცარიელი კი იყო.

— დაბრძანდით! — უთხრა მამამ,— თავისუფალია.

— მამაშენიც იყო ჩემოდენა, თუ ჰყვები, ბარემ ის მოჰყევი! — მგონი ცოტა მეტი მომივიდა.

— კარგი, იმასაც მოგიყვები: მამაჩემი შენოდენა რომ იყო, ჰო, მამაჩემი, ესე იგი, პაპაშენი გიორგი, შენოდენა რომ იყო, ათსულიან ოჯახს აცხოვრებდა. საქონელი ჰყავდა ბლომად — იმასაც უვლიდა, ვენახსაც და თავის უმცროს და-ძმებსაც. შენ კი ამოდენა კაცი ხარ და ქარაფშუტობას არ იშლი! მოდი, მარტო წლევანდელზე ვილაპარაკოთ: ჯერ იყო და, ბალი დაულეწე ლადო პაპას, მერე — ვარდიგლეჯიაანთ მოფამფალებული ბერიკაცი გააბით მგლის ხაფანგში. მანამდე კი ბარნაბას ხომალდური მოიპარეთ შენ და გელამ და დიდი ამბით მიართვით პატრონს...

ის უცხო მგზავრი გაზეთს ათვალიერებდა; უცებ გაიცინა, გაზეთი გვერდზე მიაგდო და იკითხა:

— ვინ გააბეს მგლის ხაფანგში?!

— ბერიკაცი, — უთხრა მამაჩემმა და მასაც გაეცინა.

— როგორ იყო? — მომაჩერდა მგზავრი, — ძალიან საინტერესო ამბავია!

მე თვითონ მწერალი გახლავართ, ჩემო ბატონო, და იქნებ გამომადგეს რამეში.

იმას ეგონა, ეგ არის და, დავფეთდებოდი, მე კი აინუნშიაც არ ჩავაგდე, მოკლედ ვუთხარი:

— ჩემი გაბმა უნდოდა და მე კი გავაბი. სულ ეს არის! — რა თქმა უნდა, წავიტრაბახე.

— არა, არა, დაწვრილებით მომიყევი! — შემეხვეწა.

— ვერ მოგიყვები.

— მოუყევი, ბიჭო, — დამიყვავა მამაჩემმა.

— გუნებაზე არა ვარ.

— მომიყევი, — მთხოვა მგზავრმა,— მომიყევი და მადლობას მაინც გეტყვი. მკითხველის მადლობა კიდევ სხვა იქნება. ეს ისეთი თემაა, დიდი სიყვარულითა და ოსტატობით დავწერ, უეჭველად დავწერ.

— თუ დაწერაა, მეზობელი მყავს მწერალი, იმას მოვუყვები და ბარემ იმან დაწეროს. ჩემდათავად მეც გპირდებით, რომ ნამდვილად კარგად დაწერს.

— რა გვარია შენი მეზობელი მწერალი? არ შეიძლება არ ვიცნობდე,— მკითხა ირონიულად.

— ვერ ვიტყვი.

— საიდუმლოა?

— რა საიდუმლო ეს არის: აი, ვის მოთხრობაშიც ბერიკაცის ხაფანგში გაბმა იქნება გამუქებული, როგორც ჩემი ლიტერატურის მასწავლებელი ამბობდა ხოლმე, ის იქნება ჩემი მეზობელი მწერალი.

—საინტერესო ყმაწვილი ჩანს, — უთხრა მამაჩემს მგზავრმა, — იუმორის გრძნობაც აქვს. არ შეიძლება კაცი იუმორს მთელი არსებით განიცდიდეს და უნიჭო კი იყოს. ასეა, ჩემო ბატონო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალი ბრძანებაა, — თქვა მამაჩემმა, — ჩემი შვილია ეს ლაწირაკი, და იმდენად ნიჭიერია, რომ ჩვენი სოფლის სკოლა აღარ აკმაყოფილებდა, ამიტომ ახლა დასავლეთში მიმყავს სასწავლებლად. მოგეხსენებათ დასავლეთი ცივილიზაციის კერა იყო.

— არ გეთანხმებით! — გამოცოცხლდა მწერალი, ულვაშზე ხელი გადაისვა, ჰალსტუხი მოიშვა, — მაშინ სად იყო ცივილიზებული დასავლეთი, ჩვენ რომ „ვეფხისტყაოსანს" ვწერდით? ეს საკითხი ძირფესვიანად გვაქვს დამუშავებული მე და აწ განსვენებულ მეცნიერს შალვა ნუცუბიძეს. რაც შეეხება ბურჟუაზიულ მეცნიერებას...

— უკაცრავად! — შეაწყვეტინა მამამ, — სად მუშაობთ?

— კაბინეტში, — იხუმრა მგზავრმა.

— სერიოზულად გეკითხებით, — ეწყინა მამაჩემს.

— პროფესიონალი გახლავართ. ხომ იცით, ძნელია მწერალმა იმუშაოს კიდევაც და საკუთარ შემოქმედებასაც მიხედოს. თუ ჩემი პერსონა გაინტერესებთ, გეტყვით: დომენტი თოთოიშვილი გახლავართ.

— აჰა, გასაგებია, წაკითხული მაქვს თქვენი იგავები, თუ არ ვცდები, „სოფლის ცხოვრებაში".

მწერალი სიხარულით აენთო:

— ვდრამატურგობ კიდეც. ერთი მეგობარი მყავს დრამატურგი, გერონტი ქვარიანი, დიდად ენამოსწრებული კაცია, თუმცა ქილიკი უყვარს, ნამეტანი. ქვეყანამ იცის. ქორწილებზე წერს ხშირად. შარშან იყო, ჩემო ბატონო..

— თქვენ თქვით, ძნელია მწერალმა იმუშაოს კიდეცო. ჩემი მეზობელი მწერალი სამსახურის კაცია და წიგნების წერასაც ასწრებს. რა ვიცი, იმას არ დაუწუწუნებია ასეთ რამეზე! — ვკითხე და ველოდე, მაინტერესებდა, რას მეტყოდა.

— ის უცოლშვილო იქნება, — მიუთხრა მწერალმა.

— პირიქით, — ჩაერია მამაჩემი, — იმასავით სხვამაც რომ გამოიდოს თავი, ათ წელიწადში ექვს მილიონს დავურტყამთ.

მწერალი ჩაფიქრდა, შევატყვე, ვიღაცის ციტატებს დაუწყო ძებნა, მაგრამ ამ დროს მატარებელი გორში შევიდა და მე და მამაჩემი წამოვდექით, ჩასასვლელად მოვემზადეთ.

— კარგი იყო, ჩემო ბატონო, ერთად გვემგზავრა მახინჯაურამდე, — წამოდგა მწერალიც, — ამ და სხვა საკითხში გავარკვევდით ჩვენს პოზიციებს.

მამაჩემმა ჩემოდანი აიღო:

— კარგად ბრძანდებოდეთ! ისე, თქვენს მეგობარ დრამატურგს გადაეცით, ერის ტრადიციის დაცინვას არასოდეს შეუქმნია დიდი ლიტერატურა-თქო. დიდი კი არა, საერთოდ, ლიტერატურა-თქო. ოღონდ, ისიც შეახსენეთ, ერი და საზოგადოება ერთმანეთში ნუ ერევა. აბა, ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!..

ტაქსში რომ ჩავსხედით, მამაჩემს ვკითხე:

— სიმართლე უთხარი ვითომ?

— სიმართლე.

— რაღაც არა მჯერა!

— ჯერ ბავშვი ხარ, როცა გაიზრდები, გაგახსენდება ეს საუბარი და, თუ არ დაიზარებ, მაშინ ვიდავოთ. ტრადიციას ერთბაშად ვერავინ გადაუსვამს წითელ ფანქარს.

— საით წავიდეთ? — მოტრიალდა ტაქსის შოფერი.

— ციხისთავში, — უთხრა მამაჩემმა, — ოღონდ ქალაქის ცენტრზე გაგვატარე, ეს ყმაწვილი პირველად არის აქეთ და თვალი გადავავლებინოთ.

შოფერს არაფერი უთქვამს, მშვიდად დაძრა მანქანა.

დიდი, ფართო ქუჩები გავიარეთ. ერთ მოედანზე რომ გავედით, მამაჩემმა მხარზე ხელი მოუთათუნა შოფერს, ცოტა ხანს შეაჩერეო. გაჩერდა მანქანა და მამამ ნაღვლიანად მითხრა:

— აი, იმ სახლში დაიბადა სტალინი, — თითი გაიშვირა.

— მშვენიერი სახლი ჰქონია.

სახლი, შე სულელო, შიგნით არის მოქცეული! ეგ შემდეგ დააშენეს.

— აქ გაჩერება არ შეიძლება, — გვითხრა შოფერმა, — მოძრაობის წესებს ვერ დავარღვევ.

მამაჩემმა ყურადღება არ მიაქცია, ისევ მე მელაპარაკებოდა:

— მერე, ალბათ, ექსკურსიაზე წამოგიყვანენ და მაშინ ნახავ დანარჩენს. წავედით ახლა.

ქალაქს გავცდით, ვიწრო გზაზე გავედით. მივუხვ-მოვუხვიეთ — სოფელში მივქროდით. ორსართულიანი სახლები ლამაზად ჩამორიგებულიყვნენ გზის გასწვრივ. ვათვალიერებდი ბაღებს: სულ ვაშლი და ვაზი, ვაზი და ვაშლი.

— სად მივდივართ? — ჰკითხა შოფერმა.

— იარე და გეტყვი.

გზა მალე გაილია. გზის მარცხნივ, ჭიშკართან გავაჩერებინეთ მანქანა. გადმოვბარგდით.

მამაჩემმა მრიცხველს დახედა.

— რა არის ეს? — სულ გადაირია შოფერი.

— ფულია, — მშვიდად უპასუხა მამაჩემმა.

— შე კაი კაცო, ჯიბე თუ ცარიელი გქონდა, რაღასი გერიდებოდა, ვერ მითხარი?!

— ფულზე მეტი რა მაქვს, მაგრამ კანონს ვერც მე დავარღვევ: რაც ღირს მოგეცი, აიღე და კარგად მეყოლე!

შოფერმა ბუზღუნით დასძრა მანქანა. მამამ ღიმილით გააყოლა თვალი. მე ჭიშკრის სვეტს ავხედე: „გორის რაიონის სოფელ ციხისთავის პროფტექნიკური სასწავლებელი". ერიჰა?! ვერ უყურებ, ქვეყნის დასასრულამდე არ მიჰირეს პანღური?!

### არავისგან გადამიწერია, არც უკარნახია ვინმეს

ორსართულიან შენობაში შევედით. მამაჩემმა ჩემოდანი მოსაცდელში დადგა:

— აქ მოიცადე, მალე მოვალ, — მითხრა და მეორე სართულზე აუყვა კიბეს.

მე სკამზე ჩამოვჯექი. ვხედავდი, ჩემი ტოლი ბიჭებით სავსე იყო იქაურობა: ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ კიბეზე. ეზოშიც ბევრი ირეოდნენ, მაგრამ შეთქმულებივით ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. სწორედ ამან მიმახვედრა: ისინიც ახალბედები იყვნენ ჩემსავით. და კიდევ — მუცელგამობერილ ჩემოდნებს დაათრევდნენ. ჩემთან შედარებით ერთი გულდასაწყვეტი უპირატესობა კი ჰქონდათ: არავის დასდევდა ისეთი ავტორიტეტული დაცვა, როგორიც გახლავთ: ბიძა, პაპა, უფროსი ძმა, მამა, მითუმეტეს — გაბრაზებული მამა. ხელით სათრევი ხარო, მეტყვის ხოლმე მამაჩემი და, ვიდრე პასუხს გავცემდე, თვითონვე ამატებს საკუთარი თავის გასამტყუნებელ ჭეშმარიტებას, არკადი გაიდარი შენზე დიდი კი აღარ იყო, იმ გახურებულ ომში დივიზიის კომისრად რომ დანიშნესო. მგზავრობას რა დიდი ჭკუა-გონება უნდა, მატარებელსა და ავტობუსს ზედ არ აწერია რომელი საით მიდის?! ბარემ პირდაპირ მითხრას, არ გენდობი და მოვრჩითო!..

მამაჩემი დაბრუნდა, დიდი ჩემოდანი აიღო.

— წამოდი.

პატარა ჩემოდანს მე დავწვდი და დავედევნე.

მეორე სართულზე, ასე, მამაჩემის ტოლი, შავგვრემანი, ჩადგმული კაცი

დაგვხვდა, ხელში გასაღებს ატრიალებდა. ამათვალიერ-ჩამათვალიერა:

— ეს ვაჟკაცია? — ჰკითხა მამაჩემს.

— ესა ბრძანდება!

— კარგი, — თქვა ღიმილით და წინ გაგვიძღვა, კორიდორის ბოლოში ერთი კარი გააღო, — მიბრძანდით, — თქვა ხმადაბლა, — ხელს არავინ შეგიშლით.

ოთახში შევედით. ოთახში გრძელი მერხები იდგა, ფანჯრის შიგა რაფაზე — ყვავილიანი ქოთნები, კედელზე აუარებელი ნახატი, ნახაზი და ჰალარა ხალხის სურათები ეკიდა.

ის უცხო კაცი ზღურბლზე იდგა, მშვიდად მოგვჩერებოდა.

— როგორც ხედავთ, ყველა მერხი და სკამი თავისუფალია, — ღიმილით თქვა, — დაჯდეს და დაწეროს.

— ათიოდე წუთში მზად იქნება, — უთხრა მამაჩემმა.

— თქვენი სახელი? — ჰკითხა უცნობმა.

— ვახტანგი.

— მეც ვახტანგი მქვია. გარკვევით დაწეროს, არც ისე საჩქაროა, — გატრიალდა და გასაღების ჩხრიალით წავიდა.

— ვინ იყო? — ვკითხე მამას.

— ამ სასწავლებლის დირექტორია.

— ჰა?! ჰოო... მშვენიერი კაცი ჩანს.

— მეც ასე მგონია... დაჯექი ახლა და ავტობიოგრაფია დაწერე, — რვეული დამიდო წინ, ავტოკალამიც. — ისე დაწერე, რომ წავიკითხავ, თავზე არ გადაგახიო.

— შენ ვერ დამიწერ?

— რა, ბიჭო, შენი ავტობიოგრაფია მე დავწერო?! — გაიკვირვა მამაჩემმა, — საინტერესოა, ამდენი სისულელე როგორ მოგდის თავში?! დაეგდე ახლა და როგორც მოახერხებ, ისე დაწერე! ბიჭო, როდის იყო, სხვა სხვისათვის წერდა ავტობიოგრაფიას?!

— დავწერ, მაგრამ ის მაინც მითხარი, ავტობიოგრაფია როგორ უნდა დაიწეროს?! — დავჯექი სკამზე და შევხედე.

მამა შეწუხდა, აღარ იცოდა, საით მიებრუნებინა თავი და სად წაეღო ხელები:

— დაწერე, შვილო, სად დაიბადე, როდის, ვინ გყავს მშობლები, შინაურები, და რა პროფესიისანი არიან, რა საქმიანობას ეწევიან. და, ბოლოს, რა მიზნით შედიხარ ამ სასწავლებელში... ამას ჰქვია ავტობიოგრაფია. გაანძრიე თავი!

— ყველაფერი ზუსტად დავწერო?

— ყველაფერი. ხელი რომ არ შეგიშალო, გავალ, გავივლ-გამოვივლი. ვინიცობაა დავიგვიანო, არსად გახვიდე.

უხმაუროდ გაიხურა კარი, კორიდორი კი ჯარისკაცული ნაბიჯით გაიარა.

რვეული გავშალე, კალამს წვერი მოვუსინჯე, ერთხანს ვიფიქრე, ვიფიქრე და მერე დავწერე:

„დავიბადე 1955 წლის 27 ნოემბერს, გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში. დაბადების მოწმობაშიც ზუსტად ასე მიწერია: გიორგი ვახტანგის ძე ბიჭიაშვილი დაბადებული ამა და ამ წელს. მამაჩემმა უმაღლესი დაამთავრა — ტრაქტორისტებსა და შოფერებს უფროსად ადგას ხსენებულ სოფელში. დედაჩემი კბილის ექიმია. ბებიაჩემი ყველაზე სამართლიანი უფროსია ჩვენს ოჯახში. ისე, ჩვენს ოჯახში ყველა ჩემი უფროსია, მაგრამ ბებია სხვებსა სჯობია — მოკალი და ტყუილი ათქმევინე! თეთრს აშკარად და მოურიდებლად არჩევს შავისაგან. მისთვის სულ ერთია გარეული და შინაური. ხელმწიფეც რომ იყო, სტყუოდე რამეში და თავი იმართლო, ისე უცებ და ლამაზად დაგალუნინებს თავს, მადლობის მეტს ვერაფერს ეტყვი. ჩემი პატარა ძმა მოწაფეა, ჩემი და სტუდენტია. რაც შეეხება ბიძაჩემს, გურამს, იმისთანა კარგი კაცი, არა მგონია, სხვაც იყოს ვინმე. ცოლი და ერთი შვილი ჰყავს. გურამი მონადირეთა კავშირის წევრია, თოფიც აქვს, მაგრამ სანადიროდ არასოდეს

წასულა, ნადირი აღარსად არის და, ნიშანში სასროლად რაღა ლეკიმთაზე ავებლოტო, ხევში ვინ მიშლის კლდეზე მიყუდებულ პირმომტვრეული ბოთლის ჩამოფშხვნასო. ინჟინერია ბიძაჩემი, ასფალტიანი გზები გაჰყავს. ამჟამად ბიძაჩემი მანგლისშია, მეცხვარესავით იქ დაიდო ბინა. პაპა მყავდა თურმე, ჰო-ჰო, რა კაცი, ბეჭდაუდებელი მოჭიდავე, მოქეიფე, გამრჯეო, ესაო და ისაო, ცოდვა იყო მისი სიკვდილიო, იტყვის ხოლმე ბებია.

პირველიდანვე მერვე კლასამდე გადავდიოდი კლასიდან კლასში. მერვე კლასში კი... როგორც იყო, იყო! ამის გულისათვის აქა ვზივარ ახლა, ციხისთავის სასწავლებელში და ამ ავტობიოგრაფიასა ვწერ!

მე რომ დავიბადე, წამოვიზარდე, თანდათან წიგნში ჩავიხედე და გავიგე: მაკედონელი ჭუჭყმა შეაწუხა, ნილოსში იბანავა, გაცივდა და ისე უცებ მოკვდა, საწყალმა, იაპონური ბრინჯი ველარ მიირთვა ჩხირებითო. ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული კი ისე ჩავიდა საგვარეულო აკლდამაში, წყალი მარტო დასალევი და ფეხის ჩასატყაპუნებელი სათამაშო ეგონა, ტანი არასოდეს დაუბანიაო?! თურმე ჩემს დაბადებამდე ბაბილონმა აყვავებაც მოასწრო და დანგრევაც. იმის მერე ევროპელებმა, ამერიკაც აღმოაჩინეს უჩემოდ. ისტორიის მასწავლებელს ერთხელ ჩემი აზრი გავაცანი ამ მოუწესრიგებელ საკითხზე. ტყუილს ვერ ვიტყვი, გულისყურით მომისმინა, მერე ორიანი არ გამაკრა?! ერთი სიტყვით, მასწავლიდნენ, ევროპელებმა აღმოაჩინეს ამერიკაო. თანაც იმას ამბობენ, რომ ამერიკაში ჩასულ ევროპელებს ორი მაგარი სახელმწიფო დახვდათ, ინკებისა და აცტეკების სახელმწიფო, სადაც არ იცოდნენ, რა იყო შიმშილი, სიშიშვლე, ქურდობა, ადამიანის მიერ ადამიანის თავში წათაქება, მახინჯი ქალების გატაცება სასიმამროს ქონების ხათრით, უვიცი ნათესაობის სამსახურში დაწინაურება, სპეკულანტებთან იმპორტულ საქონელზე სირბილი, კინოს ბილეთის ხელზე ყიდვა... რა ჩამოთვლის იმ უბედურებებს, რაც მათთვის უცხო ხილი იყო. ჰოდა, იმ პატიოსან ხალხს ამ ველურების აღმოსაჩენი რა სჭირდამეთქი? უვიცი ხარ ისტორიაშიო და, აკი წელანაც გითხარით, ორიანი არ გამაკრა?! კი ბატონო, ერთიანი იყოს. მე თუ უვიცი გახლავართ, ის ხომ დიდად განათლებული ქალი ბრძანდება, ვერ გამარკვია ჩემს უცოდინარობაში?! მივიდნენ ევროპელები იმ პატიოსან ქვეყანაში, მიხოც-მოხოცეს ხალხი, წაართვეს სარჩო-საბადებელი, ისტორიული ნაწერ-ნახატები გაუნადგურეს და ამას ტრაბახობენ კიდევაც?! მარტო ეს რომ იყოს, რა მიჭირდა: ჩემამდე ატლანტისიც ჩაიძირა და გერმანელებმა ორჯერ წამოიწყეს მსოფლიო ომი და ორჯერ ჩაფლავდნენ. ჩემს დაბადებამდე ედისონმა ნათურაც გამოიგონა და კოჭლი ინკასატორიც გადაჰკიდა ბებიაჩემს. მეც მინდოდა ბევრი რამე აღმომეჩინა, გამომეგონებინა, მაგრამ, ეჰ, მოსვლა დამაგვიანდა!... მამაჩემი ნაფრონტალი კაცია, ბარე ათჯერ არის დაჭრილი... ერთხელ მომიყვა, ბეწვზე გადავრჩიო. თურმე მამაჩემი წინ ისვრის, აყლაყუდა გერმანელი კი ზურგიდან არ მიეპარა?! მიიხედა მამამ და ხედავს, თავზე დასდგომია ავტომატმოღერებული მტერი. სასხლეტს გამოჰკრა თითი გერმანელმა და — ბედს გაუმარჯოს!— მარტო გაჩხაკუნდა! მაშინ კი მამაჩემმა სცადა თავისი ავტომატი... პირდაპირ თავზე დამეცა, იმხელა იყო, კინაღამ გამჭყლიტაო.

ერთხელ მამა მომიყვა:

„ოთხი წელი ვიომე, შვილო, დავბრუნდი ფრონტიდან განახევრებული კაცი და რაკი გაჭირვებამ ბალიშზე არ მიმადებინა თავი, კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მივედი. თავმჯდომარედ სხვათა სოფლელი კაცი იჯდა, რის ვაივაგლახით დაემთავრებინა შვიდწლედი,

ნორმალური ადამიანის ნორმალურ სიმაღლეს ოცი სანტიმეტრი დააკლდა თურმე და, რაკი მაშინ შარვლიანი ხალხის სახსენებელი კინაღამ გამქრალიყო, ჩვენს სოფელში გამოეგზავნათ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ისეთი გალეული ვინმე ბრძანდებოდა, ის ადრე და მალე საცხონებელი, ცხენზე რომ შეჯდებოდა ხოლმე, ფეხები ფრთებივითა ჰქონდა გაშლილი. მივედი თავმჯდომარესთან და ვეუბნები, ამ სოფლელი კაცი ვარ, ესა და ეს, ჯერჯერობით მსუბუქ სამუშაოზე დამაყენე, ცოტა მოვღონიერდები და არც თოხს დავიუარებ-მეთქი.

— შენი სახელი? — მეკითხება.

— ვუთხარი სახელიც.

— გვარი.

გვარიც ვუთხარი.

— რა დაგიმთავრებია?

— საშუალო სკოლა დავამთავრე და მეორე დღესვე გავვარდი ფრონტზე.

— ცოტაა საშუალო.

ერთი მაშინ მცოდნოდა, რა განათლების პატრონიც იყო და, ვაჩვენებდი სეირს. გული კიდევ იმაზე მიკვდება, რომ რკინის ყავარჯნით ვიყავი მისული.

— რაღა ცოტაა, კაცო?! — ვეუბნები, — საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატიც არ ამიღია, აკი გითხარი, უკანასკნელი გამოცდა ჩავაბარე და მეორე დღესვე მოხალისედ წავედი-მეთქი ომში!

— ცოტაა, — თავი არ აუწევია, ისე მითხრა, — უმაღლესი აუცილებელია, ამხანაგო! მაგრამ ვინაიდან და რადგანაც, ჯერ ომი არ დამთავრებულა, ამიტომ მე, როგორც ზურგის ფრონტის ერთ-ერთ მუშაკს, უფლება არა მაქვს, თქვენი მოთხოვნილება ამ საკითხში არ დავაკმაყოფილო.

— დედაჩემი და ჩემი უმცროსი ძმა ლამის შიმშილით ამოწყდნენ. ჯერ სული მომათქმევინე და მერე ვილაპარაკოთ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით! ნუ დაგავიწყდება, რომ გუშინ ჩამოვედი ომიდან!

— დაწყნარდი, ამხანაგო, — სამუშაოს მოგცემ, რატომაც არ მოგცემ! აი, რას გეტყვით, ამხანაგო, თოფი გაქვს?

— ცალლულიანი.

— არა უშავს. ვაზნები?

— ოთხი ვაზნა მაქვს.

— ცოტაა.

— რა არის ცოტა?!

— ოთხი ვაზნა.

— ბევრი კიდევ ფრონტზე იყო.

— მერე, ვინ გიშლიდა, ვერ წამოიღე?!

— მე საქმეზე ვარ მოსული და, როგორც მხედავ, სალაქლაქოდ არ მცალია!

— სამუშაოს მოგცემ, ხვალ შემოიარე.

რა უნდა ელაპარაკო, ამ რეგვენს! სისხლი მომაწვა თვალებში:

— კაცი არ არის სოფელში და, მაშ დავიჯერო, ყველა საკაცო საქმე თუ ჯანდაბა, დაკავებულია? მე კაი კაცო, სოფლის თავში ვცხოვრობ, იქიდან ჩემი ჩამოსვლა ადვილი გგონია?!

— აიღე შენი თოფი, — მშვიდად მეუბნება, თან თითებს ათამაშებს მაგიდაზე და უფეხო თოჯინასავით დევს სკამზე, — აიღე შენი თოფი, ჯერჯერობით ის ოთხი ვაზნაც და კოლექტივის საწყობს უყარაულე ხევთან.

ჩამომიყვანა მამაჩემმა აქ, ციხისთავში, და მითხრა, დაჯექი, შვილო, იფიქრე, რას აპირებ, ტრაქტორისტობასა თუ შოფრობასო. ამას რა ფიქრი უნდა: ახლა შოფრობაა მოდაში, სარფიანი საქმეა. ერთი მეზობელი მყავს, უმაღლესში სწავლას ხუთი წელი მოანდომა, დაამთავრა უმაღლესი, და გვერდითა სოფელში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ხუთი წელი მასწავლებლობდა და ამ ხუთი წლის განმავლობაში ერთი კოსტუმის ყიდვაც

ძლივს მოახერხა. კარგა ხანს იტრიალა, იქნებ მეშველოს რამეო, მაგრამ მის ბედზე სეტყვამაც მაშინ მოუხშირა: ორჯერ მაისში მოირთვლო, ორჯერ ივნისში, ერთხელ კიდევ საფერავი რომ შეიმღვრა, მაშინ — აგვისტოში. ბოლოს გაბრაზდა და ჰალსტუხის ტარებაზე ხელი ჩაიქნია. სამი თვე სწავლობდა ველოსციხის მექანიზაციის კურსებზე, დაამთავრა უცებ, მიდგა-მოდგა და ავტობუსის შოფრად არ გამოგვეცხადა ერთ მშვენიერ დღეს?! ბევრი კი არა, მესამე წელია შოფრად მუშაობს და, ერთი მისი ახალი სახლი და „ვოლგა" გაჩვენათ! მარტო იმ შოფრისგან რომ მომესმინოს ეგეთი რამე, მაშინ მამაჩემი არც ვალიდოლს ატარებდა ჯიბით, არც ნატყვიარ მკლავზე დაიხედავდა კბილების კრაჭუნით და აღარც თავს გააქნევდა თელაველი დახლიდარების „ვოლგების" დანახვაზე...

მაგრამ რაკი უკუღმართი ვგონივარ შინაურებს, ბარემ მართლა გავხდები უკუღმართი: ტრაქტორისტობას უნდა დავეტაკო — ხომ შეიძლება, ფული არ გქონდეს და კაცი იყო მაინც.

ამისთანა რაღაცაზე ერთხელ მამაჩემთან მქონდა საუბარი. ვაი ჩემს დღეს, ეს რას მოვესწარი, ეს ლაპი როგორ მოწამლულა, რა მეშველება, ახლავე ფულზე ლაპარაკობსო. ისე გაბოროტდა, იმ ღამეს მშიერი დაწვა დასაძინებლად..."

კარმა გაიჭრიალა, მამაჩემი შემოვიდა:

— რა ჰქენი, დაწერე?

— დავწერე, თუ ივარგებს.

რვეული აიღო; სწრაფად კითხულობდა ჩემს „ავტობიოგრაფიას", ხან ეღიმებოდა, ხან ეცინებოდა. კითხვა რომ ჩაათავა, თავი დაიქნია რამდენჯერმე. მიყურა, მიყურა მზიანი თვალებით და წყნარად მითხრა:

— მთლად უჭკუო ბიჭი არა ხარ!

მერე სკამზე დაჯდა, სახეზე ხელი მოისვა, რვეულიდან სუფთა ფურცელი ამოხია, მომაწოდა:

— დაიწყე: მე, გიორგი ვახტანგის ძე ბიჭიაშვილი, დავიბადე...

ორიოდ წუთში ავტობიოგრაფია მზად იყო. ჩემი ჭკუით დაწერილი კი ოთხად მოკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

— რად გინდა? — ვკითხე.

— ათი წლის შემდეგ წაგაკითხებ, ვიცი, გაგიხარდება, — და ქოჩორი ამიჩეჩა ღიმილით.

## ციხისთავს შევკარ პირობა

პატარა ოთახში ორი ახალი საწოლი, სამი სკამი, ერთი მაგიდა და ერთი ტანსაცმლის კარადა იდგა — სულ ეს იყო.

მამაჩემი ღია ფანჯარასთან მივიდა, ეზოში გადაიხედა და იმ კაცს ჰკითხა, ვინც ოთახი გაგვიღო:

— ხმაურიანი ეზო იქნება, არა, ოთარ?

— არა, — თავი გააქნია ოთარმა,— სკოლის მერხიდან მოსული ბიჭები ამ სასწავლებლის მერხებს რომ მიუსხდებიან ხოლმე, ერთბაშად ვაჟკაცდებიან, ფიქრს ეჩვევიან მაშინვე. ფიქრიანი კაცის ხმაური კი სად გაგონილა. შესვენებაზე ყველა ხმაურობს და არც თქვენი შვილი იქნება გამონაკლისი. ასე რომ, მყუდროება არავის დაერღვევა.

— ყველა მოსწავლე ამ საერთო საცხოვრებელში იყრის თავს?

— კი. თავისუფლად ჰყოფნით.

შევატყვე ესიამოვნა მამაჩემს — ხელები მოიფშვნიტა. რაიმე რომ სიამოვნებს, ასე იცის ხოლმე.

— რომელი საწოლია ჩემი? — ვკითხე ოთარს.

— შენ რომელსაც აირჩევ.

— მეორე ვისი იქნება?

— დღეს შემოგისახლებთ ვინმეს.

მამა ჩაფიქრდა. ოთარმა შეხედა და ღიმილით უთხრა:

— ნუ გედარდებათ, ვახტანგ, — მერე მე მითხრა, — დღის რეჟიმს

ხვალ გაგაცნობ, არც გართობა მოგაკლდება და არც არაფერი. წავალ, სხვებსაც მივხედავ.

მე და მამაჩემი მარტონი დავრჩით. მამაჩემი სკამზე ჩამოჯდა. მე ჩემოდნები გავხსენი, ჩემი ტანსაცმლისა და რამეუმეების ამოლაგებას შევუდექი. მამაჩემი ნერვიულად ეწეოდა სიგარეტს. ხანდახან თვალს გავაპარებდი ხოლმე და რატომღაც მეცოდებოდა. თუმცა, რა აქვს ჩემი შესაცოდი!

— ხომ იცი, დღესვე მივდივარ! — დაიწყო **მამაჩემმა.**

— ჰო, ვიცი!

— ჰოდა... შენ ადვილი გგონია? რა გახდი, ცოტა გატოკებულიყავ, გესწავლა!...

— ხომ ხედავ, ეს ოხერი ქიმია და რაღაცა თავში არ შედის! ამ სასწავლებელსაც ვცდი და სხვასაც, რაც გულზე მომეჭიდება, იმ ხელობას ავირჩევ, აბა სულ მშობლების კისერზე ხომ არ ვიქნები ჩამოკიდებული?!

— რაიმე გზას უნდა დავადგეთ. ნეტავ შენ გესწავლა და, მე თუნდაც წერა-კითხვის უცოდინარი დავრჩენილიყავ.

— ყველა მამა ასე ფიქრობს? — გამეღიმა.

— ნორმალური — ყველა. კარი გამოაღე, თორემ დავიხრჩე სიცხით.

კარის გამოღება და ოთარის შემოსვლა ერთი იყო. ისე მომეჩვენა, თითქოს, კართან იდგა და ჩვენს საუბარს ისმენდა.

ოთარი შემოვიდა და ჩემი ტოლი ბიჭი შემოიყვანა. ჩემზე ოდნავ დაბალი, შავგვრემანი, ისე ჰგავდა გელას, კინაღამ წამოვხტი და გადავეხვიე.

ბიჭმა, გამარჯობათო, და ჩემოდანი დადგა.

— ამ ოთახში ეს იქნება მეორე, — თქვა ოთარმა და თავი გაიქნია იმ ბიჭისაკენ.

მამაჩემი წამოდგა, მეც — ორივემ ხელი ჩამოვართვით.

— რა გქვია? — ჰკითხა მამაჩემმა.

— **ზურაბ ოდიკაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადაური ხარ?

— ტყვიაველი.

მეტი აღარაფერი უკითხავს. ჩაფიქრდა, სიგარეტის კოლოფს ატრიალებდა ხელში.

ზურაბი სკამზე დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

— ხომ არ გედარდება, ბიჭო? — სინანულის ღიმილით ჰკითხა მამაჩემმა, — აქ რომ ჩამოხვედი, ხომ არ გედარდება?

— ავად არის დედაჩემი. მხიარულად გამომაცილა, მაგრამ ვიცი, ავად არის, — ისე უპასუხა, არც აუწევია თავი.

— ნუ გეშინია, კარგად იქნება ყველაფერი, — მერე ოთარს მიუბრუნდა, — კაცს რომ დარდი შეუძლია და სინანულის გრძნობაც აქვს, აი, სწორედ ეს არის კაიკაცობის ნიშანი.

— რა თქმა უნდა! — დაეთანხმა ოთარი.

— წავალ, გიო, თორემ მატარებელზე დამაგვიანდება, — მითხრა მამაჩემმა და ზურაბს ხელი ჩამოართვა, — ყოჩაღად იყავი!

მერე გარეთ გამოვედით.

ჩვენი სასწავლებლის დირექტორი ეზოში დაგვხვდა. მამაჩემი რომ დაინახა, კიბეზე შეჯგუფულ ბიჭებში რომელიღაცას ხელი დაუქნია, აქ მოდიო. შავგრემანი ბიჭი გასაღებების ჩხრიალით მოგვიახლოვდა.

— სადგურზე ჩაიყვანე ეს კაცი, — მამაჩემზე უთხრა, — შემდეგ ხელი გაუწოდა მამაჩემს, — ფიქრი ნუ გექნებათ, ვახტანგ, თქვენი ბიჭი არც ისეთი პატარაა, კალთაზე რომ დაგებღაუჭოს.

— ამისი იმედი რომ არ მქონდეს. ციხისთავშიც არ ჩამოვიყვანდი.

— ნუ გეფიქრებათ, ყურადღებას არც ამას მოვაკლებთ.

— თქვენი იმედი კი მაქვს.

ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. ოთარმაც ხელი ჩამოართვა მამაჩემს.

მამაჩემმა, ვიდრე მანქანაში ჩაჯდებოდა, ორად-ორი სიტყვა მითხრა:

— შენ იცი!

და **წავიდა.**

მე და ზურაბი ოთახში დავბრუნდით, რატომღაც ოთარიც გამოგვყვა. შევედით ოთახში და შემოგვყვა ისიც, გაიარ-გამოიარა, რაღაც ჩაილაპარაკა თუ ჩაიბუზღუნა და სკამზე დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო.

— ბიჭებო, — ჭერს ახედა, — თუ რამე დაგჭირდეთ, მომძებნეთ და მითხარით, — თქვა და წამოდგა. ისიც კი გავიფიქრე, ამ ორიოდე სიტყვის გულისათვის ღირდა თუ არა სკამზე დაჯდომა-მეთქი.

კართან რომ მივიდა, მოტრიალდა:

— აქ ვიქნები სადღაც, თუ წასვლაა, გორში წავალ ისევ. არ მოგერიდოთ, მომძებნეთ და, თუ რამე დაგჭირდეთ, მითხარით.

ვინ არისო, თვალებითა და თავის გაქნევით მანიშნა ზურაბმა.

— არ ვიცი, — ხმამაღლა ვუთხარი.

— ფიზკულტურის მასწავლებელი ვარ, — გაეღიმა ოთარს და მაშინვე გაიხურა კარი.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა...

კინაღამ მთელი ერთი საათი გავიდა, რაც მე და ზურაბი მარტონი ვიყავით ოთახში. მუნჯებივით ვისხედით და ხან საკუთარ ხელებს დავჩერებოდით, ხან ჩემოდნებს, ხანაც უაზროდ ვათვალიერებდით თეთრად შეფეთქილ კედლებსა და ჭერს. დღეს პირველად ვხედავდით ერთმანეთს და საუბრის დაწყება ვერ გაგვებედა, თანაც არ ვიცოდით, რაზე უნდა დაგვეწყო საუბარი.

არ ვიცი, როგორი ბიჭია ზურაბი, როგორი გულისა და ხასიათისა, მხოლოდ ეს მაწუხებს. მჯერა, ახლა ღია ფანჯრიდან რომ იხედება ლურჯ სივრცეში, ისიც ამას ფიქრობს. ვითომ რა მოხდება. ხმამაღლა ვისაუბროთ ამაზე? მინდა, რაღაც ვუთხრა, თუნდაც ამდაუბდა, ოღონდ ამ ყოყმანს მოეღოს ბოლო.

გარედან ბიჭების ხმაური მოისმის. ეტყობა, სხვებმა უკვე მოასწრეს ერთმანეთის გაცნობა, ანდა ისინი შარშანდელი ნაცნობები ან ძმაკაცები არიან.

მეტი არაფერი მინდა, ოღონდ დღევანდელი დღე იყოს გავლილი!

ორიოდე დღეც გაივლის და ვიცი, ისე გავუშინაურდებით ერთმანეთს, თითქოს ერთი დედის კალთაში გვდებოდეს თავი. ერთი დედისა თუ არა, ერთი ბებიის კალთაში მაინც.

ზურაბი წამოდგა და ეზოსკენ გაიშვირა ხელი:

— გიო, ნახე, ძაღლი ჰყოლიათ.

წამოვდექი, მეც ფანჯრის რაფაზე გადავეყუდე და ბომბორა ნაგაზს გავაყოლე თვალი — სასადილოსაკენ მიჩოხმახობდა, უკანა, მარცხენა ფეხით კოჭლობდა.

— ყარაულისა იქნება, — ვთქვი და კეფა მოვიქექე, — სასადილოსაკენ მიდის, მაგისი ედემი იქ არის.

— შენ არა გშია? — მკითხა.

— არც ისე.

მაშინვე ჩემოდანს დასწვდა, მაგიდაზე დადო და გახსნა.

— ბლომა რამერუმეები გამომატანეს. თუ მალე არ გავაქრეთ, სუნი დაჰკრავს.

— ჰო, მაგარი სიცხეა.

რაკი ჩვენ უფრო შორი გზა გვქონდა გამოსავლელი, მამაჩემმა მოხარშული თუ შემწვარი ქათმის წამოღებაზე უარი თქვა. ისევ ყველი, კიტრი, პამიდორი და ხილი წამოვიღე... პური ხომ გვქონდა და გვქონდა! პურს რომ ალაგებდნენ ჩემოდანში და მხრები ავიწურე, მამამ თქვა, შოთი მაინც სხვა არისო.

ზურაბმა ერთი მრგვალად მოხარშული და ერთიც შემწვარი ვარია ამოიღო. მეც ამოვალაგე ჩემი ავლა-დიდება. იმდენი საჭმელი დახვავდა მაგიდაზე, გული გადაგვიტრიალდა, რა გაათავებსო.

ზურაბმა დაინახა გრძელ-გრძელი შოთები, ხელები გაშალა:

— წნლებია?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვის ასეთებს ვაცხობთ.

— არა, მართლა?!

— დედას გეფიცები.

— ჩვენ მრგვალი პურები უფრო გვიყვარს.

ისევ გადავხედეთ მაგიდას.

— რა ვუყოთ? — ვიკითხე.

— მოდი, ბიჭებს დავუძახოთ.

—არც ისინი ჩამოვიდოდნენ ჯიბეებში ხელებჩაწყობილები და, ცოტა უხერხული არ იქნება?

ორივენი დავფიქრდით. ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და გამოსავალი ვიპოვეთ:

— ჯერ ვჭამოთ და თუ დაგვრჩა რამე, მერე ვილონოთ რაღაც.

გაოცებული მომაჩერდა:

— ეგრე გაქვს შენი თავის იმედი?!

— რატომ ჩემი? შენიც.

— მე ჯვარი დამისვი, ორი ნაჭერი ყელში ამომივა.

მივირთმევთ საჭმელს, თან ვსაუბრობთ:

მ ე: — შენ რაღაზე გამოგაგდეს?

ზ უ რ ა ბ ი: —ჩემით წამოვედი. შენა?

მ ე: — სამი ორიანი მომაკრეს და კანონის ხალხმა აქ გადმოსახლება მომისაჯა.

ზ უ რ ა ბ ი: — კატას ფილტვიო?

მ ე: — ვითომ?

ზ უ რ ა ბ ი: — ვითომ კი არა, ნაღდია!

მ ე: — შენ საიდან იცი, ერთად არ მოვედით?

ზ უ რ ა ბ ი: — ჩემმა ბიძაშვილმა დაამთავრა შარშან. ისე შეუყვარდა აქაურობა, კინაღამ ორიანი აიკიდა ძალით, დარჩენა უნდოდა.

ზურაბს ეჭვის თვალით შევხედე, ღმერთო, შემინდე და, მამაჩემის მოგზავნილი თუ არა, დედაჩემის გაქეზებული მაინც მეგონა.

მ ე: — გულზე ხელი დაიდე და იგრე მითხარი, ვინ დაგარიგა?

ზურაბს ეწყინა:

— რაკი არა გჯერა, ერთი თვის მერე ვილაპარაკოთ. თუ ბოლოში არ მოგახდევინო ამაზე, რაღა ბიჭი ვყოფილვარ!

— მე კი გული მისკდებოდა!

— აღუ, ნეკზე არ მიკბინო! — გაიცინა. კაცს რომ ასე უხდებოდეს სიცილი, მართალი გითხრათ, ჯერ არავინ მინახავს.

რომ დავწყნარდით, წამოვდექით, ოთახში გავიარ-გამოვიარეთ, მაგიდას გადავხედეთ და გადავწყვიტეთ: ქათმის ხორცი სასადილოს მაცივარში შევგვენახა, ხილი — კარადის უჯრაში. მერე კი გაგვეგო, ვის უნდა მოეცა ლოგინი და თეთრეული.

ამის გაკეთება დიდი არაფერი იყო, მაშინვე ვაპირებდით მოგვარებას, მაგრამ უცებ სხვა რაღაცაზე ჩამოვარდა სიტყვა და იმდენ ხანს ვილაპარაკეთ, კინაღამ დაგვაღამდა.

— რამდენ ხანს უნდა ვიყოთ ერთად, თუ იცი? — მკითხა ზურაბმა

— ორ წელიწადსო.

— მოდი, ეს ორი წელი სულ ერთად ვიყოთ, კარგი?

— კარგი.

— მოიტა ხელი.

ხელი ჩავარტყით.

— მერე დავნათესავდეთ კიდევაც.

— ყაბულსა ვარ.

ზ უ რ ა ბ ი: — მე დედა მყავს, მამაც, ბებიაც, პაპაც და კიდევ: სამი უფროსი ძმა.

მ ე: — მე კიდევ: დედა, მამა, ბებია, ერთი უმცროსი ძმა და ერთი უფროსი და. პაპა არა მყავს.

ზ უ რ ა ბ ი: — ღმერთმა აცხონოს!

მ ე: — ამინ!

ზ უ რ ა ბ ი: — ულაპარაკოდ დავნათესავდეთ. ქვისლები რომ გავხდეთ, ცუდი იქნება? ჰა, რას იტყვი?

მ ე: — როდისაო?

ზ უ რ ა ბ ი: — კაცად რომ ვიქცევით, — ისევ ეცინება.

მ ე: — მე რომ დაკაცებას ვუყურო, არ გამოვა: ჩვენები მეუბნებიან, შენგან კაცი არ დადგებაო. თანაც: ერთიც ვნახოთ, ისეთი გოგო შემიყვარდა, და არა ჰყავს?!

— მერე მოვიფიქროთ რაღაცა. ვიდრე მოვიფიქრებდეთ, მანამდე, არა სჯობია, სხვა რამეზე შევთანხმდეთ?

— მაინც რაზე?

— ძმები ვიყოთ.

— ვიყოთ და ვიყოთ!

— შენი მტერი ჩემი მტერი იქნება!

— დედას ვუტირებ!

— შენი მოყვარე — ჩემი მოყვარე!

— გენაცვალე სულში!

— შენი ამრევი — ჩემი ამრევი!

— ოხ, მე!

ბევრი ვისაუბრეთ და ვიკამათეთ იმ დღესა და იმ საღამოს. ბოლოს, რაც მოსაგვარებელი იყო, ყველაფერი მოვაგვარეთ, მერე ლოგინიც გამოვიტანეთ, თეთრეულიც და, რომ დავწექით და საწოლები აჭრიალდა, ზურაბის საათზე (მე არა მაქვს საათი) პირველს თითქმის აღარაფერი უკლდა.

ჯერ სიცხემ არ დამაძინა, მერე — ფიქრებმა. ეს პირველი ღამე იყო, ჩემს სახლში რომ არ ვიძინებდი, ჩემს სახლში და ჩემიანებთან. აღარ მესმოდა ნაცნობი ხმაური, ნაცნობი ნაბიჯების ხმა, ნაცნობი სუნთქვა. არც საწოლი იყო ნაცნობი და არც ფანჯრებში შემოჭრილი მთვარის შუქი... ხეებიც უცხოდ აფენდნენ ღრუბლებში გაბადრული თეთრი მთვარის ჩრდილს.

იმ ღამეს მხოლოდ ველზე გაჭრილი მატარებელი დამესიზმრა. მატარებელი ჩამავლებული გვირაბიდან გამოდიოდა და ისე მიხტოდა ამწვანებულ ველზე, ოლროჩოლრო გზაზე გაქცეულმა ველოსიპედმა რომ იცის.

მხოლოდ გათენებისას დამესიზმრა დედა. მინდოდა, რაღაც მეკითხა, მაგრამ ზურგიდან წამომეპარა მიხო, საყელოში წამავლო ხელი და მაგრად შემანჯღრია.

ამან გამომაღვიძა.

თვალი გავახილე: თურმე ზურაბი მანჯღრევდა, უკვე ცხრა საათიაო.

— დედას ვხედავდი სიზმარში, — ვუთხარი და თვალები მოვისრისე.

ზურაბი შეწუხდა:

— რომ მცოდნოდა, არ გაგაღვიძებდი, — თავი გააქნია.

## როდის გვემსახურება წყალი

ოცდათერთმეტი აგვისტოა, სწავლის დაწყების წინადღე. წელან ერთი მასწავლებელი ამბობდა, ვინც მოსასვლელი იყო სასწავლებელში, კიდევაც მოვიდა. ერთი მასწავლებელიმეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ჯერ არ ვიცი, რა უნდა გვასწავლოს და, რაც მთავარია, რა გვარია. ეს ჩემს დაუდევრობას არ დააბრალოთ, ამის თაობაზე ვერავის ვერაფერი ვკითხე. არ ვიცი, მრცხვენია თუ მერიდება.

საუზმის შემდეგ ეზოში გამოვეფინეთ. მოვიდა ის მასწავლებელი, მოგვესალმა, გვკითხა, ვინც ახალბედები ხართ, გამომყევითო.

ჩვენც ავდექით და გავყევით.

მთელი სასწავლებელი დაგვატარა: ეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების კაბინეტიაო, — ეს ტრაქტორების კაბინეტიო, კინო-კაბინეტიო... რა აღარ გაგვაცნო! მართალი გითხრათ, ამისთანა დაკრიალებულ-დასუფთავებული კაბინეტები თუ კლასები არსად მინახავს. წამდაუწუმ ფეხსაცმელზე ვიხედებოდი, მართალია კარგად გავიწმინდე, მაგრამ ვაითუ მტვერი შემოვიყოლე-მეთქი.

რომელ კაბინეტშიც შევედით, ყველგან რაღაც უცნაური აპარატები ვნახეთ. ერთმა აპარატზე ჰკითხა, ეს რა არისო. მასწავლებელი შეყოყმანდა, მგონი, ახსნას აპირებდა, მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრა, მარტო ეს გვითხრა, დრო მოვა და მაგასაც აგიხსნიაო. აქ იმდენი რამეა, თქვენ ოღონდ მოსმენა შეიძელით, საინტერესო არც აპარატი მოგაკლდებათ, არც საქმეო.

ერთ დიდ ოთახში რაღაც უცნაური ხელსაწყო დაგვხვდა. ჩავაცივდით ყველანი, გვითხარი და გვითხარი, რისი მაქნისიაო. მაშინ კი აგვიხსნა მასწავლებელმა: თურმე მოსწავლეს გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძახებენ და მოძრაობის წესებზე სამ კითხვას მისცემენ. თუ სწორი პასუხი გასცა, მწვანე შუქნიშანი აინთება, ჩაფლავდება და — წითელი. ასე რომ გამოგცდიან და ორიანს მოგაბეჭებენ, თუ ბიჭი ხარ, მიდი და წერილი აფრინე შინ, გადამეკიდნენ, თორემ ჩემზე უკეთ ვინ რა იცისო. ეს რა კარგი რამე ყოფილა!

მთელი სასწავლებელი დაგვატარა: ტრაქტორების გარაჟიც გვიჩვენა, კომბაინებისაც... ყველაფერი. ერთი მანქანის მოტორი სულ ნაწილ-ნაწილ დაეშალათ. მასწავლებელმა გვითხრა, მოსწავლემ უნდა ააწყოსო. როგორც კი მოსწავლე შეცდომას დაუშვებს, მაშინვე აინთება წითელი შუქნიშანი. იმდენი უნდა იფიქრო, იჯახირო, რომ მწვანე შუქნიშანი აინთოს, მაშინ ყველაფერი რიგზეა.

როგორც ვხედავ, აქ ყველაფერი საათივით არის აწყობილი.

ახალბედები, ვთქვათ, ხამები ვართ და იმიტომ დავიპარებით ეზოში უხმაუროდ, შარშანდელი მოსულებიც რომ ჩვენსავით არიან?

გამოივლის დირექტორი და მიიხედ-მოიხედავს: არც ქუდი ახურავს ვინმეს, აღარც ხელს იფათურებენ ჯიბეში.

აქაურობა მომწონს უკვე. სხვანაირად არც იქნება: მამაჩემი ისეთი კაცი არ გახლავთ, ამ სიშორეზე მხოლოდ იმიტომ ამოვეყვანე, რომ ცარიელი თავით დავბრუნებულიყავი უკან.

სასწავლებლის დათვალიერების შემდეგ ოთახში რომ დავბრუნდით, ზურაბმა მკითხა:

—. საინტერესო იყო, არა?

— ძალიან.

— შენ არ იცი, ყველაზე უფრო რა მომეწონა!

— ის უცნაური აპარატები თუ ხელსაწყოები.

— არა.

— სისუფთავე. ყველაფერი ახალივით არის.

— არც ეგ.

— აბა, მე მეტი ვერაფერი დავინახე იქ.

— მართალს ამბობ?!

— რა მაქვს მოსატყუარი?

— მე კი ისეთი რამე მომხვდა თვალში, ისეთი, რომა?

— თქვი, თუ ამბობ.

— სიმწვანე, კაცო! სადაც არ შევედით, ყველა კაბინეტში ნაირ-ნაირი ჭორიკანებია კედლებზე ჩამოკიდებული. ვინ მოიფიქრა, იმ დალოცვილიშვილმა! რკინას ჩაჰკირკიტებ, დაგელლება თვალი, ასწევ თავსა და, ხელსაწყოებთან მწვანე ჭორიკანა არ ჩამოშლილა?! რომ შევედი პირველსავე კაბინეტში, რაღაც გამიხარდა, კარგ გუნებაზე ვიყავი და უკეთეს გუნებაზე დავდექი. სულ იმ სიმწვანისა და ყვავილების ბრალი კი იყო ყველაფერი.

— ფოთოლი რომ შეაწყვიტოს ვინმემ, არ ვიცი, რას ვუზამ!

— მე რა, ხელს დავაკლებ?!

— ჩვენი სამკითხველო გამახსენდა, — ვთქვი და წამოვდექი.

— რა სამკითხველო?

— სოფელში გვაქვს სამკითხველო. სკოლისა კი არა, მეორე — კოლექტივისას რომ ეძახიან. რა ვიცი, ბიბლიოთეკაც ის არის და სამკითხველოც. შევდივარ სამკითხველოში, გაზეთი მინდა წავიკითხო, მაგრამ იმხელასა ღრიალებს ბიბლიოთეკარის მაგიდაზე დადგმული რადიო, თუ მალე არ მოუსვი, გული შეგიღონდება. ბიბლიოთეკარს ვეუბნები, რა იქნება გამორთო-მეთქი. აქაო, კულტურული დაწესებულებაა, ურადიობა როგორ შეიძლებაო. იმ ღრიალში რამდენიც გინდა იკითხე, რას გაიგებ, ამიტომ არავინ შედის გაზეთის გადასათვალიერებლად. რადიო რომ ისვენებს, მაშინ ბიბლიოთეკაც ისვენებს, სულ მარტოა ბიბლიოთეკარი და ქსოვს და ქსოვს — წყვილი წინდა ათი მანეთი ღირს.

— არაფერს ეუბნებიან უფროსები?

— რას ეტყვიან. მგონი, უხარია კი-

დეც, ხალხი კითხვით აღარ მოსცდებათ, — გამეღიმა.

ზურაბსაც გაეღიმა.

— იმ ბიბლიოთეკაში არა აქვთ ასეთი ყვავილები?

— ვერ გაიგე, რა მოგიყევი? შე კაი კაცო, რადიო ვერ გამოართვევინა იმოდენა სოფელმა და, ერთი მითხარი, სხვა რაღა უნდა მოსთხოვონ?!

— ეგეც მართალია.

ავდექი, გრაფინიდან წყალი დავასხი და დავლიე. უსიამოვნო გრძნობამ დამიარა: მეორე დღეა აქაურ წყალსა ვსვამ და ვერაფრით ვერ შევეჩვიე.

— რაო? — მეკითხება ზურა, — ძალიან გეუგემურება?

— იცოცხლე!

— მეც ასე მემართება ხოლმე, ჩემი სოფლის წყალს რომ არა ვსვამ. მიეჩვევი.

— ალბათ.

მე მაგიდასთან ვიჯექი და ჩვენი საერთო საცხოვრებლის შინაგანაწესს ვკითხულობდი. ზურაბი საწოლზე გულაღმა იყო წამოწოლილი.

— ასე უფრო მცხელა, ზურგი მეწვის, — თქვა და წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ეზოს გახედა, — მეორე სართულზე რომ ვიყოთ, არ აჯობებდა? — მოტრიალდა და მიყურებს.

— რა განსხვავებაა?

— იქ ნაკლები ხმაური შემოვიდოდა ეზოდან.

მერე მე წამოვწექი ჩემს საწოლზე. მინდოდა, ჩემს სოფელსა და ჩემიანებზე მეფიქრა, ერთი წუთით დავბრუნებულიყავი ჩემს სოფელში, მაგრამ ზურაბმა არ დამაცადა.

— მოდი აქ, ბიჭო! — ვიღაცას დაუძახა.

ეტყობა, ის ბიჭი მიუახლოვდა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ზურაბმა.

— სასწავლებლად ჩამოვედი, — უპასუხეს.

— გცალია?

— მა რა საცალოები მკიდია!

— შემოდი ოთახში, ვილაპარაკოთ.

ზურაბი მოტრიალდა და სკამზე დაჯდა.

მალე კარი გაიღო. აწოწილი, შავგვრემანი ბიჭი შემოვიდა. დალოცვილს, იმოდენა თმა ედო თავზე, ყვავის ბუდე გეგონებოდათ. დაგვინახა და ისე დაიმორცხვა, სალამი დაავიწყდა.

— თქვი რამე, — ღიმილით უთხრა ზურაბმა.

— გამარჯობათ! — თქვა აწოწილმა.

— ეგრე, რა! — გაეცინა ზურაბს, — გაგიმარჯოს, — წამოდგა და ხელი გაუწოდა, — ზურაბი.

— ნიკა, — ძლივს მოახერხა თქმა.

მეც ავდექი, ხელი გავუწოდე:

— გიორგი.

— დაჯექი, — სკამი მიაწოდა ზურაბმა, — როგორც გატყობ, ჯერ არავის იცნობ ჩვენს აკადემიაში.

ნიკა სკამზე დაჯდა და მერე თქვა:

— რა აკადემია?!

— ჩვენი სასწავლებელი.

ნიკას გაეღიმა. ესიამოვნა, ზურაბმა ასე შინაურულად რომ დაუწყო საუბარი.

— არავის ვიცნობ, — თავზე ხელი გადაისვა ნიკამ, მერე ჯიბეში ჩაიყო ხელი და „პრიმა“ დააძრო. ისე უგერგილოდ მოსრისა სიგარეტი, აშკარად შევამჩნიე, ორიოდე დღის დაწყებული ჰქონდა საკუთარი ფილტვების წაბილვის საქმე.

— მე და ზურაბმა თვალი ჩავუკარით ერთმანეთს. მანიშნა, შენ დაიწყეო.

— რა გვარი ხარ? — ვეკითხები.

— ამბოკაძე.

— მოხისელი იქნები, — უთხრა ზურაბმა.

— მოხისელი ვარ.

ნიკა სიგარეტსა და ასანთს ისევ ხელში აწვალებდა. ვერ მივხვდი, ერიდებოდა თუ არ აპირებდა გაბოლებას.

— დიდი ხანია ეწევი? — ჰკითხა ზურაბმა.

— არც ისე.

— მაინც?

— ერთი თვე იქნება. შენ სადაური ხარ?

— ტყვიაველი.

— ჩვენებური ყოფილხარ!

—ან გადააგდე პაპიროსი, ან ჩვენთან არ მოსწიო, სუნი გვეჯავრება.

— სულ ეგ არის?

—ჰო, ჯერჯერობით.

ნიკამ ღიმილით აიღო კოლოფი, ჯიბეში ჩაიდო, ხელში შერჩენილი ღერი კი ფანჯრიდან ისროლა.

— ეგრე, შე კაი კაცო. ეხლა ეს მითხარი, ჭიდაობ?

— ვჭიდაობ.

— მეჭიდავები?

— წაგაქცევ.

— ვაჰ, როგორ არცა გრცხვენიან?! — მე გადმომხედა და ხელები გაშალა.

— წაგაქცევ, — თავი არც აუღია.

— ჩემზე მჩატე რომ ხარ?!

— მერე რა, წაგაქცევ, — ახლა ნიკამ გადმომხედა.

— წამო, ეზოში გავიდეთ და ვიჭიდაოთ, — წამოხტა ზურაბი.

— სხვა დროს, ლეიბზე, — უთხრა ნიკამ და ისიც წამოდგა, — წავალ, მეც ცოტას წავუძინებ.

— რომელ ოთახში ხარ? — ვკითხე.

— აქა, — ჭერს ახედა, — ზედ თქვენს თავზე. საღამოთი დაგიძახებთ და სოფელში გავიარ-გამოვიაროთ. წამოხვალთ?

წამოვალთო, დავპირდით.

— კარგი ბიჭი ჩანს, — ვუთხარი ზურაბს, ნიკა რომ წავიდა, — გულახდილი და ალალი ბიჭი.

— მეც მომეწონა, — თქვა ზურაბმა, — შენა გგონია, ტყუილად დაიქადნა, წაგაქცევო? რომ იცოდე, წამაქცევს. მაინც ვეჭიდავები. რაკი დამპირდა, მშვიდად ბრძანდებოდე, გიო, მე მგონია, დამახეთქებს.

— დაგახეთქებს არა!

— მე მასწავლი მოხისულებს? იტყვიან და კანონია.

მერე ზურაბიც წამოწვა. ორივენი ვდუმდით. ფიქრმა ისე წაგვიღო, ხმის ამოღება არ გვინდოდა. მისთვის არ მიკითხავს, მაგრამ, ვიცი, ისიც ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა, მეორე დღეს იყო პირველი სექტემბერი, პირველი დღე ამ სასწავლებლის მერხზე ჯდომისა — ამაზე ვფიქრობდი სწორედ. და კიდევ: ჩემი სოფლის წყაროზე, ყველა წყაროს რომ სჯობია ამ ქვეყანაზე, ძილშიც თვალწინ რომ მიდგას მისი კამკამა და დაწმენდილი ბროლის შხეფები.

მაინც რა გემრიელია ჩემი სოფლის წყარო!

### მერცხლების გადაფრენა

რაც აქ ციხისთავში ჩამოვედი, ყოველდღე ვფიქრობდი წერილი მიმეწერა ჯუმბერ ბაჩიძისათვის. მაგრამ სიზარმაცემ წამართვა სადავე და ვერ მოვახერხე. მთელი უბედურება ის იყო, ჯუმბერმა არ იცოდა ჩემი მისამართი, თორემ აქამდე ბარე ათჯერ დამეხმაურებოდა. ყოველდღე ვაპირებდი წერილის მიწერას, მაგრამ ვერ ვახერხებდი, რაღაცა მიზეზს გამოვჩხრეკდი და მომდევნო დღისათვის გადავდებდი ხოლმე. ეს მომდევნო დღე კი არასოდეს ილეოდა.

ბოლოს გავბრაზდი, მაშ, სიზარმაცემ უნდა მაჯობოს-მეთქი? — უთენია წამოვხტი და, ხელ-პირიც არ დამიბანია, ისე შევუდექი ბარათის წერას:

ჯუმბერ ქალაქელო!

როგორა ხარ? ის ორიოდე დღე უჩემოდ როგორ გაატარე სოფელში? მაშინვე გაუტიე ქალაქისაკენ თუ შენ და გელა დაჩერჩეტობდით ალმადალმა და გარდი-გარდმო?

როგორ იმგზავრე და როგორ დაგხვდნენ შენიანები? ერთი სიტყვით, ყველაფერი მაინტერესებს. შენი კაიკაცობის იმედი მაქვს. წერა არ გეზარება და ალბათ, მალე დამიბრუნებ პასუხს: ზარმაცების ატამანი რომ იყო, ხუთოსანი კი არ იქნებოდი! ჰოდა, სამაგიეროს გადახდა გულშიც არ გაივლო, ჩაათავებ თუ არა ამ წერილს, მა-

შინვე მოიმარჯვე კალამი და მომწერე: როგორ იმგზავრე, რა გუნებაზე დარჩი უჩემოდ და რა გუნებაზე დატოვე ჩვენები.

ჩემს ამბავს თუ იკითხავ, გეტყვი: ჯერჯერობით არც ისე ვარ, როგორც შენ გაგიხარდება, მაგრამ არც ისე, ჩემი დაუძინებელი მტერი რომ ააფრინოს ცაში. მტერი კი, რაღა დაგიმალო და, ქიმიის მასწავლებლის მეტი ჯერჯერობით არავინ მეგულება ამ წვიმიან ქვეყანაზე (ახლა ციხისთავში, როგორც ბებიაჩემი იტყვის ხოლმე, მამაპაპურად წვიმს — ისე მშვიდად მოშრიალებს წვიმა, მგონი, ამ წელიწადში არც გადაიღებს, თუ თოვლმა არ შეუშალა ხელი).

ჩამომიყვანა მამაჩემმა, ორიოდე საათში მოაგვარა ჩემი სწავლა-განათლების საქმე (რასაც უიმისოდაც მშვენივრად მოვახერხებდი), ჩამომართვა ხელი და დაბრუნდა სოფელში —იქაო, ქვეყნის საქმე მაქვსო. შენც იცი, ქვეყნის საქმეს ნამდვილად არ ელალატება.

ამ უცხო ხალხში რომ დავრჩი, მივხვდი, რასაც ნიშნავდა მარტოობა. ღმერთმა ყველა დაიფაროს იმ უჟმური გრძნობისაგან, მაშინ რომ ვიგრძენი, როცა მამაჩემმა გამოსამშვიდობებლად დამიქნია ხელი.

ოთახში ორნი ვცხოვრობთ: მე და ერთიც ტყვიაველი ბიჭი — ზურაბ ოდიკაძე. მაგარი ბიჭია, სწორედ ისეთი, შენ რომ დაგეხატება გულზე. თანაც ისე ჰგავს გელას — ჰკუითაც და სიფათითაც, ავშენდი და ეგ არის! ზურაბი თავისი ფეხითა და თავისი ჭკუით ჩამოვიდა ციხისთავში, შოფრობა მინდაო, მაგრამ ჩემი ხათრითა და ჩიჩინით, ტრაქტორისტობაზე გაიწია. აქ ასეთ წვრილმანზე არავინ გეტყვის უარს.

იმ ღამის შემდეგ, მარტონი რომ დავრჩით და გათენებისას შეცივებულებს დედებმა არ ამოგვიკეცეს საბანი, ცოტა არ იყოს, ჩვენ, ჩვენი სოფლისაკენ გავაპარეთ თვალი. მართალია ამის თაობაზე კრინტი არ დაგვიძრავს არც ერთს, მაგრამ ორივენი ვგრძნობდით, რაც გვედო გულში.

ერთი სიტყვით, ერთმანეთის თვალის ასახვევად ნაძალადევად გავმხიარულდით. მერე მივიხედ-მოვიხედეთ, გავიცანით ჩვენსავით ახალბედა ბიჭები და აღმოვაჩინეთ: ლაბა კამეჩივით ერთ ბედქვეშ ვიყავით ყველანი. ამან კი მხნეობაც შეგვმატა და იმედიც.

ჯუმბერ! მეუბნებოდნენ, ცარიელი კაცი ქვაზე მაგარიაო. ბებიაჩემის ამ სიტყვებს მე ასე გადავაკეთებ: როცა ხედავ, ყველანი ერთნაირად ემდურით ბედსა თუ შინაურებს, აი, მაშინა ხარ ქვაზე მაგარი!

თავდაპირველად რომ გული გამიტყდა, ჩვენების ბრალია. ადრე ხმა არ ამოუღიათ, რასაც მიპირებდნენ. ერთ მზიან დღეს კი ჩამსვეს მატარებელში, ჩამომიყვანეს ციხისთავში და, აბა, შენ იცი, როგორ გვასახელებო. გახსოვს, ჯუმბერ, შარშან გელას დედამ ტომარაში რომ ჩასვა თავიანთი ბებერი კატა, წაიყვანეთ და ტყეში გაუშვითო? ჩვენც წავიყვანეთ და ტყეში გავუშვით. არც ის დაგავიწყდებოდა, თავი რომ მოვხსენით ტომარას და ბალახში მოვისროლეთ კატა, საცოდავი, როგორი დაბნეული მოგვჩერებოდა! დავუცაცხანეთ, ის კი გაქცევასაც არ აპირებდა. მეც ასე დამემართა სწორედ. ნელ-ნელა კი არ მომაჩვიეს იმ აზრს, რომ სახლს უნდა მოვშორებოდი და ჩემს თავზე მე თვითონ მეზრუნა. თუმცა რომელ საზრუნავზე ვლაპარაკობ, როცა მარტო ლოგინის გაშლა მჭირდება, მაგრამ, ისიც ხომ არის ანგარიშში ჩასაგდები, ჩემი ოთახის ფანჯრიდან სხვა ხეებს და სხვა გორაკებს რომ გავცქერი?

სწავლის დაწყების პირველი დღეები ერთმანეთთან დაახლოებასა და მასწავლებლების გაცნობას შეელია. საერთოდ, როგორც ხდება ხოლმე, აქაც ისე დაიწყო: ვინ როგორი ბიჭია, ვინ როგორი საძმაკაცო იქნება, ვის შეიძლება გაუხსნა გული და ასე... მას-

წავლებლებიც ჩვეულებრივნი არიან: ზოგი ძალიან გულკეთილია, ზოგი შუბლშეკრული, ზოგი ისე იჩენს თავს, თითქოს მარტო ის არის და მისი ნაბადი. ახლა უფრო მჯერა: მოსწავლე ყველგან და ყოველთვის მაინც მოსწავლეა, მასწავლებელი — მასწავლებელი. ჩვენსა და მათზე, როგორც ეტყობა, დრო ვერ ახდენს გავლენას: მოსწავლეები გაკვეთილებიდან ყოველთვის იპარებოდნენ, იპარებიან და, ალბათ, გაიპარებიან მომავალშიც. არც მასწავლებლები დაივიწყებენ ორ უკვდავ, მაგრამ საშინელ სიტყვას: „მშობელი მოიყვანე!“

ჩამოვედი და სიზარმაცეც ჩამომყვა, როგორც ჩემი ორი ხელი. დილით, ასე თუ ისე, ვიღვიძებ. დაიწყება გაკვეთილი: ბიჭები ან კბილანებს, ან ციბრუტას, ან ნახაზებს ჩაჰკირკიტებენ, მე კი შოფერას დავარდნილი ცხენივით ზეზეულად მეყვინთება. როგორ არ ვცდილობ, სხვას მაინც ისე მოვაჩვენო თავი, ვითომ სწავლა-განათლებისათვის დიდად მოწადინებული კაცი ვარ-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოდის, ვერ ვერევი საკუთარ თავს. ამას, ჯუმბერ, შენ გეუბნები, თორემ რა ღმერთი გამიწყრება და სხვას ვეტყვი! თუმცა არც იმისი მჯერა მაინცდამაინც, რომ შენ დედაჩემზე უარესად არ შემიყრი ქვეყანას.

უკვე მთელი ორი კვირაა, რაც ვსწავლობ და კვეხნაში ნუ ჩამომართმევ, ვგრძნობ: სიზარმაცის მთავარანგელოზი ნაბიჯ-ნაბიჯ იხევს უკან. ღმერთო, შენ გადმოხედე ყველა ჩემნაირ გაჭირვებულს, ჩემნაირად სიზარმაცით დაბეჩავებულ კაცს!

როგორც უნდა გიჭირდეს, აქედან ფეხისმომცვლელი არა ვარ. იმას არ ვათქმევინებ ჩვენებს, უჩვენოდ ვერ გაძლოო. თუკი მამაჩემმა ცეცხლსა და ტყვიის წვიმაში გაძლო ოთხი გრძელი და შიშით გაბერილი წელი, მე რა ღმერთი გამიწყრება, ორ წელს ვერ გავუძლო, მითუმეტეს, საჭმლის ძებნაზე არ მწყდება მუხლი და ტანსაცმლის შოვნაზე არ ვახმაურებ მაღაზიებს, ერთიც უფასო გვაქვს და მეორეც. არც ლოგინის თეთრეულის გამოცვლა-გარეცხვაზე ვიმტვრევ თავპირს. ცოცხი არც სოფელში მჭერია და არც აქ გვაგდებენ ზედ ხელისკვრით. ფიზკულტურის მასწავლებელი გვეუბნებოდა, თქვენხელა რომ ვიყავი, ზღაპრული ედემი სწორედ ასე მქონდა წარმოდგენილიო...

ამის შემდეგ შინისაკენ რომ პირი ვქნა, მაშ, ბევრი თუ არა, ვირზე შესასმელი არ ვიქნები? მუქთად ჭამ, მუქთად სვამ, მუქთა ლოგინში იძინებ. ჭერიც მუქთი გახურავს, ტანსაცმელიც ხომ მუქთია და მუქთი!.. თანაც სტეპენდიას გაძლევენ თხუთმეტ მანეთს. ჰოდა, ეგლა გაკლია, გაიპარო სკოლიდან! ნამუსი ცოტა მაინც თუ გაქვს, თავი უნდა დააკლა წიგნს, ვინმეს დასაცინი არ უნდა გახდე!

ერთი საინტერესო რამ აღმოვაჩინე, შეიძლება არ დამიჯერო:

ვისაც ხელს დაადებ, ყველა ჭიდაობს, თანაც, თურმე ძალიან მაგრადაც. ამ ორიოდე დღის წინ გორის რომელიღაც საშუალო სკოლიდან ელჩები გვეახლნენ, წელს მოსულ მოსწავლეებს ჭიდაობაში გიწვევთო. დაგვემუქრნენ კიდევაც, ახლავე იცოდეთ, თავბედი უნდა გაწყევლინოთო. იმასაც ვნახავთ, ვინ ვის აწყევლინებს თავბედს! ასე ვინც დაგვემუქრა, ზუსტად შენი ტოლი ბიჭია, ბედად ჩემი წონაც არის, ისე უნდა დავაწყვიტო, სულ დავუკარგო ციხისთავისაკენ გამოხედვის ხალისი. ფიზკულტურის მასწავლებელმა თანხმობით გაისტუმრა სრულუფლებიანი ელჩები. ჩვენც ეს გვინდოდა!

ჩვენთან, ციხისთავში, ბევრზე ბევრი რამეა საინტერესო და სანახავი.

უკვე ბევრი ძმაკაცი მყავს სასწავლებელში. ისინი ჩემზე კარგი ბიჭები არიან ყოველმხრივ. ამით მიხვდები, რა ხალხთან გადმომასახლეს ჩემი სიზარმაცით გაბოროტებულმა ჩემიანებმა.

რომ არ დაგიმალო, სასწაულიც ბევრია. იმდენი რამეა ტვინის სარძობი, რომ ჩამოგითვალო, თვალსა და ყურს არ დაუჯერებ. თავს ზევით ძალა არ არის, ბალიშქვეშ უნდა ამოიდო წიგნი. აქ კარის მეზობელი კი არ გასწავლის, მამა მიუგზავნო, ჩემს შვილს ოღონდ ახლა არ დაუწერო ორიანი და თუ გინდა სული მთხოვეო! ყველანი თითქმის უცხოები არიან ჩემთვის, ისეთი უცხოები, როგორი უცხოებიც ჩვენ, მოსწავლეები ვართ მათთვის. ყველაზე ერთნაირად ზრუნავენ: რაკი ოჯახს მოსწყდით, უნდა ისწავლოთ კიდევაცო; რომ დაგამთავრებინოთ და არაფერი იცოდეთ, პასუხს ჩვენ მოგვთხოვენო. ეს არის ჩვენი მასწავლებლების დამუქრება. თანაც, ამას სხვათა შორის ამბობენ, ყოველგვარი ყვირილის გარეშე.

გავიდა დრო და უკვე ბევრ რამეს მივეჩვიე. მეუბნებიან, ჯერ სადა ხარ, ისე მიეჩვევი აქაურობას, არდადეგები რომ მოახლოვდება, გულს შემოგეყრებაო. მჯერა, ასე იქნება, რაკი ჩემი სოფლისა და ჩემი სკოლის წყურვილი საგრძნობლად გამინელდა.

ორი წელი მალე გაივლის. მერე მოვაჯდები ტრაქტორს, მამაჩემისა კაპიკი არ მინდა, ჩემი შრომით შევინახავ თავს, ღამის სკოლასაც დავამთავრებ და, მერე —. უმაღლესსაც.

ისეთი ბიბლიოთეკა გვაქვს სასწავლებელში, უკეთესს, მგონი, თბილისშიც ვერა ნახავ. მაგრამ რად გინდა, კვირაში ერთ წიგნზე მეტს არ გამომატანენ ხოლმე, შენი სიბეჯითის პატრონისათვის ესეც ზედმეტიაო. მართალს მეუბნებიან და რას ერჩი! მაინც ვახერხებ გამოტანას და ვკითხულობ, სულ გადავაბულბულე ჟიულ ვერნი და დიკენსი.

ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ბედზე სამდურავი არ მეთქმის მამაჩემის, დედაჩემის და მათი მხარდამჭერების ჯიბრზე. მოკლას ხარი თივამ! ნახონ, რა კაცი დადგება მათი დამთხვეული, უმაქნისო, ლაზღანდარა შვილი! განა არ ვიცი, ჩემთვის სიკეთე რომ უნდოდათ და იმიტომ ჩამომიყვანეთ აქ? ვიცი, მა რა ჯანდაბა ვიცი!

მთელი თვე გავიდა კინაღამ და წერილი კი არ გამიგზავნია შინ. ვიდრე თვითონ არ მომაკითხავენ, ორ სიტყვას არ წავჯღაბნი, ერთ უმარკო წერილს არ გავიმეტებ. ჩვენმა დირექტორმა კი მითხრა, ტელეფონზე მელაპარაკა მამაშენიო. მაგრამ, როგორ ვაკადრო და, დავიჯერო? შეიძლება მებუტება მამაჩემი, იმიტომ არ მიგზავნის წერილს. თუ ასეა, ამაზეა ნათქვამი, გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო!

წაიკითხავ ამ წერილს და გაგეცინება, ვინ გიო ბიჭიაშვილი და ვინ ასეთი დალაგებული წერილიო.

მომიკითხე ნატო ძალო, ძია ლევანი და ჯემალი.

მეტი რაღა მოგწერო. იყავი კარგად.

ოქროს მედალი ულაპარაკოდ გაკრული გაქვს, ჰოდა, ის ოქროს მედალი სოფელში დავასველოთ.

შენ რომ პირველი კურსის სტუდენტი იქნები, მე დამთავრებული მექნება. ერთი სიტყვით, შენზე წინა ვარ მაინც.

საინტერესოა, არა?

გწერს გიო ბიჭიაშვილი.

გორის რაიონის სოფელ ციხისთავის პროფტექნიკური სასწავლებელი. 1969 წ. 16 სექტემბერი.

ციხისთავიდან რა ხანია წავიდნენ მერცხლები. დეპეშით შემატყობინე. თბილისიდანაც წავიდნენ თუ ახლა ემზადებიან წასასვლელად? ჯერ არ წასულან და, გამიგე, ეგენიც ინდოეთში მიფრინავენ თუ აღდგომის კუნძულზე?“

წერილი კონვერტში ჩავდე, ენა გავუსვი შემხმარ წებოს, დავასველე და დავაკარი. ზევიდან მრგვალი, გამოყვანილი ასოებით დავაწერე: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. № 80 ჯუმბერ ბაჩიძეს. პირადად.

## ᲨᲘᲨᲛᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ

ჩვენი სასწავლებლის დირექტორს ვახტანგი ჰქვია. მამაჩემის ხნისაა, საშუალო სიმაღლის, ჩადგმული, შავგვრემანი და, რაც მთავარია, მხიარული. მაგრამ, თუ გაბრაზდა, სხვა გზა არ არის, კატაადევნებული წრუწუნასავით სორო უნდა მოძებნო... ეს ამბავი, რაც ახლა ვთქვი, სხვებისგან გავიგე. რაკი ასე ამბობენ, ასეც იქნება, ჯერ კი ახალბედებს გაბრაზებული არ გვინახავს.

დირექტორი ისე არ მოგვმართავს, „შვილო“ თუ არ დააყოლა. ამ „შვილოს“ იტყვის და, გეგონება, მართლა მამა გელაპარაკება: მთელი გულით, მთელი სითბოთი და, რაღაცნაირი კეთილი ღიმილით. დააშავებ რამეს და, ბევრი ლაილაი არ უყვარს, ისეთ განაჩენს გამოგიტანს, მადლობის მეტს ვერაფერს ეტყვი.

ყველაფერი, ყველაფერი იცის დირექტორმა: რომელ მოსწავლეს რა ჰქვია და რა გვარია. ეს კიდევ არაფერი — ვინ სადაურია, რა ავლადიდების პატრონია, ვინ ჰყავს მშობლები და დედმამიშვილები, თავში ბზე უყრია თუ ოქრო. შენ რომ გგონია, არც ვახსოვარო, უცებ არ გეტყვის, რატომ აურიე გაკვეთილზე, შვილოო?! მოდი და პირს ნუ დააღებ!

ჯუმბერა ბაჩიძეს წერილი რომ გავუგზავნე, კარგად აღარ მახსოვს, მგონი, მეორე თუ მესამე დღე იყო კვირა. წინა საღამოს გამოგვიცხადეს, ხვალ დილით სიმინდის მოსატეხად მივდივართო.

მივდივართ და წავიდეთო!

ჩვენს სასწავლებელს სიმინდიც უთესია, პამიდორიც, ვენახიც აქვს, ხეხილის ბაღიც... თანაც იმოდენა, თვალს რომ გადაჰკრავ, გაგიკვირდება, ეს ყველაფერი მართლა ამ ბიჭების მოვლილ-მოყვანილია თუ ტყუილად მიაწერეს?

ამდენ ხალხს რა უნდა გაგვიჭირდეს, ხუთიოდე ჰექტარი სიმინდის გათოხნა ერთი „ვაშას“ დაძახებაა, მეტი კი არაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალბედებს სიმინდის მოყვანაში მონაწილეობა არ მიგიღიათ, მოხვნათესვაში, დაფარცხვასა და თოხნაში ოფლი არ ჩაგიღვრიათ, ჰოდა მომტვრევაში მაინც გაისვით შუბლზე ჰაჯაო, გამოგვიცხადეს. კაცი ასეთ სიმართლეს რომ გეტყვის, მოდი და თავის ტკივილი მოიმიზეზე!

დილით ადრე ავიწიეთ ლოგინიდან. პირზე ცივი წყალი შევისხით, მერე სასადილოში შევცვივდით, ცხელი ჩაი დავლიეთ და მანქანის ძარაზე ავბობღდით.

ჩვენზე ადრე ოთხი მანქანა წავიდა. ნიკამ დაიძახა, აბა, ჰე, წავედითო, და ჩვენი მანქანაც დაიძრა. ღმერთმა უშველოს, დროზე დაიხმაურა თორემ, ბიჭებმა თქვეს და მართალიც არის, შოფერს არც გაახსენდებოდა, წასასვლელები რომ ვიყავითო.

მიდის მანქანა და მივქრიამულობთ. დილაა და სიცივე გვიტყლაშუნებს ნიავის მათრახებს. ალბათ ეს გაითვალისწინა უფროსობამ და მჭიდროდ ჩაგვაწყო ძარაში.

ასფალტიანი გზიდან მტვრიან საურმეზე გადავუხვიეთ. საურმეს ახლა ისე ეძახიან, სხვათაშორის, თორემ მანქანა გაცილებით მეტია ურემზე, ამიტომ გზებზედაც მანქანები ჭარბობენ და მაინც საურმეს კი ვეძახით.

მზიანი დილაა. ცივა, მაგრამ ისე გვანჯღრევს მანქანა, ბიჭებს ისე გვახეთქებს ერთმანეთზე, რომ ძალაუნებურად, დაბლა არ გადავცვივდეთო — შიშის ოფლი გვასკდება.

მოკრიალებულ ცაზე სანთლით საძებარია ღრუბელი. ახლად ამოწვერილი მზე თეთრად, უცეცხლოდ ანათებს. შორს, მთების ძირში თეთრი ნისლია ჩაწოლილი. მთებზე კი თოვლი დევს უკვე — მოგუგუნე ბუხართან მიდგმულ სკამსა და გუნდაობას რომ გახსენებს.

გზის აქეთ-იქით მიდამო ზვრებად და ვაშლის ბაღებად ქცეულა. ათასფრად

დახუნძულ ვაშლის ხეებს ერთმანეთზე დაუწყვიათ ტოტები. შორიდან რომ გახედავ ასეთ ხეებს, სანახევროდ დაკეცილი ჭრელი ქოლგები გეგონება.

ხეებქვეშ ათასფერი ვაშლია გაფენილი, გინდა, იდგე და უყურო. მანქანა კი მიჯანჯღარებს და მიჭრიალებს ორღობეში, ზვრებშუა და ვაშლის ბაღებშუა. ბიჭების წრიპინ-ბუზღუნსა და მანქანის გუგუნ-გრიალში ისე იწეწება ფიქრი, ვცდილობ, მაგრამ ვერ ვახერხებ, ერთად მოვუყარო თავი.

წინა მანქანები ვეება კაკლის ქვეშ გაჩერდა.

ჩვენი მანქანაც გაჩერდა. გაჩერდა და ჩამოვხტით ძარიდან. ძლივს არ ამოვისუნთქეთ!

დირექტორის მოადგილე აი, ის, პომარაგება, სასადილოს ავ-კარგი და ამისთანა რამეები რომ აბარია, ვითომ დაბალი იყოს, ბექობზე შედგა და იქიდან გადმოგვცქერის დაუმარცხებელი სარდალივით და „უბრალო", სულ „უბრალო" დავალებას გვაძლევს:

— ეს რაღაც ათიოდე ჰექტარი სიმინდი, ბიჭებო და გოგოებო, უდანაკარგოდ დღესვე უნდა ავიღოთ.

— გოგოები სად დაინახეთ, მასწ? — ეკითხება გაოცებული სერგო, შოფრობას რომ სწავლობს, ის ქარელელი სერგო (სერგო ხუთი კიდევ სხვა გვყავს მიბარებული საშოფროზე).

— მოვლენ, — მოკლედ მოუჭრა.

— ნამდვილად? — გამოცოცხლდა ნიკა.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ!

— მაშინ, მას, ორმოციოდე ჰექტარს დავუმსებთ პატრონს.

— ვერ უყურე ამ ყურებადქცეულ ნიკას, ლაპარაკი არ სცოდნია?!

— ასე, ბიჭებო, — განაგრძო დირექტორის მოადგილემ.

— ბიჭებო, და გოგოებო, — შეაწყვეტინეს.

— ჯერ ბიჭებო! კალათებიც საკმარისი გვაქვს. ზოგმა მოამტვრიეთ, ზოგმა გამოზიდეთ, ზოგმაც მანქანაზე შეყარეთ. შემდგომ ამისა, ნამგლებიც თან წამოიყოლეთ და ჩეჩქიც უნდა მოვჭრათ. აქ იმდენი ვართ და კიდევ იმდენი მოგვემატება, სამხრობამდე მოვრჩებით, თუ ვიმარჯვეთ. გაიგეთ, რას ვამბობ? თუ ვიმარჯვებთ-მეთქი. ვიმარჯვებთ?

— ვიმარჯვოთ? — ხითხითებს ვილაცა.

მაშინვე ავუტეხეთ სიმინდს ლაწალუწი. იმ დალოცვილს სულ ტყუპ-ტყუპი ტარო ეყარა, თანა იმოდენები, ძლივს ვერეოდით. ვამტვრევთ, კალათებს ვავსებთ და ფხაჭა-ფხუჭით გაგვაქვს, მანქანაზე ვყრით პირდაპირ.

ჩვენი ქრიამული ცასა სწვდება. ათასნაირ ეშმაკობას იგონებენ ბიჭები. არც მე ჩამოვრჩები არავის — უწყინარ ხუმრობასა და ეშმაკობას რა სჯობია!

ჯერ ერთი ჰექტარიც არა გვქონდა მოტეხილი, ჩვენი დირექტორი და კიდევ ერთი უცხო კაცი მოვიდნენ. მერე? მერე იყო, რაც იყო: უშველებელი მანქანა დავინახეთ, გოგოებით თავმობმული მანქანა. რთველი ახალი დაწყებული იყო, ვიფიქრეთ, რთველში მიაბრძანებენო, და ჩვენთან კი არ მოგრიალდნენ?! არც იქით, არც-აქეთ, ზედ ცხვირწინ დამიმუხრუჭეს მანქანა. გოგოებმა თავი ვერ შეიკავეს, ერთმანეთს მიაწყდნენ სიცილ-კისკისით.

გოგოები კი არა, ნამდვილი შარვლიანი თხები იყვნენ — იშვირეს ფეხი და გადმოხტნენ ძარიდან.

მხრები რომ ავიწურე, დირექტორმა მაინც შემამჩნია.

— რაო, შვილო, — ეღიმება, — გაგიკვირდა?!

უხერხულად შევიშმუშნე.

ამ დროს ზურაბიც გამოვიდა საურმეზე. ვეება კალათი დაედო მხარზე და ხვნეშით მოჰქონდა.

— ყოჩაღ! — შეაქო დირექტორმა, კალათი ჩამოართვა და სიმინდი თვითონ ჩაცალა მანქანის ძარაში, — ასეთი ბიჭების პატრონს რა უნდა გამიჭირდეს! — ღიმილით უთხრა უცხო კაცს, — თქვენ კი მეუბნებით ხოლმე, გაგვაცანი თქვენი მუშაობის საიდუმლოებაო. გაგაც-

ნობ, აბესალომ: ჯანიანი, მხიარული, ბეჯითი მოსწავლეები მყავს — სულ ეს არის ჩემი მუშაობის საიდუმლოება.

— ძალიან საინტერესოა! — თქვა უცხო კაცმა, — ძალიან საინტერესო!

გოგოებმა კალათებს წამოავლეს ხელი:

— საით წავიდეთ, მასწავლებელო? — ჰკითხეს დირექტორს.

დირექტორმა ბიჭებს მოგვატარა თვალი:

— ბიჭებო, გოგოები სიმინდს მოამტვრევენ, თქვენ კი გამოზიდავთ. სხვები მანქანებს გაჰყვებიან გადმოსატვირთავად...

მგონი, ჩვენზე უფრო გოგოებს გაეხარდათ, თიკან-ბატკანივით ერთმანეთში რომ უნდა ავრეულიყავით.

— შენ არ იცი, საიდან მოფრინდნენ? — ვეკითხები ზურაბს.

— მა რალა ვიცი! — იკრიჭება, — ჩვენი მოსწავლეები არიან, მექანიზატორები, ფლავში სწავლობენ.

— მე ფაფაში მეგონა.

— რა გაგიკვირდა, ასეთი სოფელიც არის გორის იქით.

— არ მეხუმრები?

— დედას გეფიცები.

ერთმანეთზე კარგი გოგოები იყვნენ, ერთმანეთზე მხიარულები. ჯერ თითო ტარო სიმინდიც არ მოეტეხათ სიმღერა არ შემოსძახეს?! ამათი. შემხედვარე ხალისად ვიქეცი: სირბილით გამქონდა სიმინდი, გავიტან, ჩავცლი მანქანაში, გულხეთქებით დავბრუნდები უკან, მუხლს ჩავხრი-მეთქი და, სავსე არ არის კალათა?! ეს მანქანებიც რომ ჯიბრზე იქცევიან: ისე ვავსებ, გგონია, ადგილიდან ვერ დაიძვრებიანო, ისინი კი თვალის დახამხამებაში მორახრახდებიან ხოლმე უკანვე, თითქოს, აგერ, ღელე რომ მოჩანს, იმაში ყრიანო.

მე ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხე გოგოებთან, ზურაბი კი მაშინვე გაშინაურდა.

— გოგოებო! — ხმამაღლა ამბობს და სიმინდის ლაწალუწიც აღარ ისმის, — გოგოებო, ეხლავე მითხარით, რომელს მოვეწონე და, დავამთავრებ თუ არა სასწავლებელს, ცოლად წავიყვანე.

გოგოები კისკისებენ.

— შენ კი არა, შენი ამხანაგი მოგვწონს, — ამბობს რომელიღაც გოგო.

— რომელი ხარ, დამენახე! — იცინის ზურაბი.

ხმას არავინ იღებს, ისევ იცინიან.

— ეს მოგწონთ? — მხარზე ხელს მირტყამს.

— სწორედ ეგ.

— რომელს?

— ყველას.

— ვაჰ, არ აშენდა ჩემი ძმაკაცი?!

მის ძმაკაცს კი, ესე იგი მე, სირცხვილისა თუ უხერხულობისაგან ოფლი დამასკდა. კიდევ კარგი, დირექტორი გამოჩნდა, თორემ რა მეშველებოდა, არ ვიცი.

— აბა, როგორ მიდის საქმე, შვილო? — მეკითხება დირექტორი.

— კარგად, მასწავლებელო, — ვეუბნები და უარესად ვწითლდები.

— კარგია, კარგია! — უცხო კაცს მიუბრუნდა, — არც ახლა დამიჯერებ, რომ ამათ ხელში არაფერი გამიჭირდება?

— როდის იყო, არ გიჯეროდი?!

დირექტორს გაეღიმა, სტუმარსაც.

ჩვენი დირექტორი და მისი ქალაქელი უფროსი საუბრით ყანის შუაგულისაკენ წავიდნენ, იმ მხარეს ჯერ მოსატეხი იყო სიმინდი და ალბათ იმისი დათვალიერება უნდოდათ.

ოციოდე მეტრი რომ გავიარე, დავინახე, აბესალომი გაჩერდა, ჩვენი დირექტორის ფეხებისაკენ გაიშვირა ხელი:

— გველი! — წამოიძახა.

დირექტორმა ფეხებთან დაიხედა და უკან-უკან დაიწია.

ცოტა ახლოს მივედი და მეც დავინახე: სამიოდე მტკაველის სიგრძის გველის წიწილი იკლაკნებოდა, თავი აეწია და არ ვიცი — შიშით, არ ვიცი — მართლა საკბენად — დირექტორისაკენ მიასავსავებდა ენას.

ბიბლიოთეკა

დირექტორმა კიდევ უფრო დაიხია უკან.

არავისთვის მითქვამს ეს ამბავი. არც არავის ვეტყვი: კაცს გველისა ეშინია და ამაში სასაცილოს და საქილიკოს ვერაფერს ვხედავ...

## უადრესატო წერილი

სასიამოვნოდ დაღლილი დავბრუნდი ოთახში. საწოლზე წამოვწექი თუ არა, ზურაბიც მოვიდა.

ზურაბმა თავი გამოიდო, გოგოები უნდა გავაცილოთ ფლავშიო, მაგრამ ფეხდაფეხ კი მომყვა. გამიკვირდა.

— გამოგაგდეს გოგოებმა?! — წამოვიწიე.

— დირექტორმა ამიქნია ხელი.

— რათაო?

— იმისთვისაო.

მოდი და გაიგე რას გეუბნება!

— გავალ, წყალს შემოვიტან, — გრაფინი აიღო მაგიდიდან და მოტრიალდა, მაგრამ იმწამსვე მობრუნდა, ფანჯარასთან დაიხარა და რაღაც აიღო იატაკიდან.

— რა არის? —ისე ვეკითხები, იქითაც არ ვიყურები.

— წერილი მოგსვლია.

წამოვხტი და, კი არ გამოვართვი, წავგლიჯე ხელიდან. მიხოს წერილი იყო. სიხარულის ცრემლი მომადგა თვალზე.

„როგორა ხარ, გიო, როგორ შეეწყვე ახალ სკოლას? მანდაც ხომ არ არიან ქიმიის მასწავლებლები? ჩვენებმა გაწყენინეს და მე რა შუაში ვარ, რატომ არ მიგზავნი წერილს?! რამდენი ფოსტალიონი გამოჩნდება, იმდენი შემიქანდება ხოლმე გული, მგონია, შენს წერილს მომიფრიალებს.

რაც შენ წახვედი, ველარავინ სცნობს ბებიას, გადაჭამა მთელი სახლი. არც დედაჩემია კარგ გუნებაზე. მარტო მამაჩემს აქვს გული ბუდეში, ხშირად იტყვის ხოლმე, იქაო, ციხისთავში, მეგობარი მყავს, გიოს არაფერი გაუჭირდებაო. რა ვიცი, რამდენად მართალია! თუ ჩემი ძმა ხარ, არ გამცე მამასთან, ამას რომ გწერ.

შენ მანდ წახვედი, ნინო—თბილისში, და დავრჩი მარტო! ჩვენებზე რა გითხრა და მე კი სულ შენზე ვფიქრობ. იქნებ არც დამიჯერო, ძალიან მედარდები. არ გამომიშვებენ, თორემ უეჭველად გამოვიქცეოდი და გნახავდი. რომ გამოვიპარო, არ ივარგებს, მომკლავს დედაჩემი. შენი არ იყოს, მეც დედაჩემისა მეშინია ყველაზე ძალიან.

სკოლაში ახალი არაფერია: გეოგრაფიასაც იგივე მასწავლის და ქიმიასაც. თურმე ჩვენი ქიმიის მასწავლებელი რისი ქიმიკოსი, გეოლოგი არ ყოფილა?! ეს რომ გავიგე მართლა ძალიან გამიხარდა, მამაჩემს ვუთხარი, ქიმიური უნდა დავამთავრო და ჩემს სკოლაში ჩვენი ახლანდელი მასწავლებელი უნდა შევცვალო-მეთქი. აბა, შენ იციო. მართლაც ასე გავაკეთებ, გიო. ყოველ გაკვეთილზე ჯერ მე მკითხავს ხოლმე ქიმიის მასწავლებელი, ძალიანაც უნდა, ორიანი გამაკრას, მაგრამ ვერ მივართვი! ჰგონია, რაკი შენი ძმა ვარ, გამომიჭერს. ჯერ ორი კვირაც არ არის, რაც სწავლა დავიწყეთ, და სამი ხუთიანი უკვე მაქვს ქიმიაში.

სოფელში ბევრი არაფერია ახალი. ბარაბაძის ძაღლი გაიტანა მანქანამ. მერე: ბიჭი ოთარა ციხეში ჩააყუდეს ხახვის ქურდობისათვის. ერთსაც მოგიყვები: ჩვენი სახლის გამოსავალთან კუდალაანთ რეზოს თავისი გალეული ტიტველა ტრაქტორი გაუჩერებია. აივნიდან დაუნახავს ჩვენს ბებიას, ჩასულა და, თან წინდასა ქსოვს, თან ტრაქტორის უვლის გარშემო. თურმე ისეა გაფაციცებული, ერთი თვალის ნაცვლად ორ თვალს იღებს. რეზოს უკითხავს, ძალო, რამ დაგაინტერესაო. ბებიას არაფერი უთქვამს, თავშლის ყურით ცრემლი მოიწმინდა თურმე და ამოიოხრა. რეზო რომ ჩააცივდა, რა მოხდა, რამ დაგაინტერესაო, მაშინ ამოუღია ხმა: ბებია მოუკვდეს ჩემს გიოსა, სად რა უნდა გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოს, ქა, ე რამდენი ილლიბარცოები აქვსო. ბიჭებს ყური მოუკრავთ და მეტიც არ უნდოდათ. ეხლა მთელ სოფელს მარტო „ილლიბარცო" აკერია პირზე და ყველაფერ უცხოსა და ჩახლართულს ილლიბარცოს ეძახიან.

სხვა რაღა მოგწერო, კარგადა ვართ ყველანი. რთველიც კარგი გვექნება.

ყველაზე ძალიან ბებიას მონატრე, რა ქნეს, ხალხნო, სხვათა ქვეყანაში არ გადმიკარგეს შვილიო?! როგორც ვატყობ; ციხისთავი, ჩრდილო ამერიკაში თუ არა, სამხრეთ ამერიკაში მაინც ჰგონია. ლუკმას ისე არ ჩაიდებს პირში, პატარა არ წაუტიროს, მე აქ გამტკიცულს ვიღოლონები, ვინ იცის, ჩემს გიოს შიმშილით გულმუცელი ედაგებაო. მამას გაეცინება ხოლმე. აი, შენ მაშინ უნდა ნახო ბებიას გაწიწმატება!

ყველაფერი დაწვრილებით მომწერე.

შემატყობინე, ფულის საქმე როგორა გაქვს, ხომ არ გიჭირს: თუ გიჭირს, არ დამიმალო. დედაჩემს გამოვართვი ხუთი მანეთი, ახალი წიგნები მოუტანიათ მაღაზიაში, ვიყიდიმეთქი. ავდგები და ელვადეპეშით გამოგიგზავნი.

მთელი შენი წინწასული ჯგუფელები მოკითხვას გითვლიან.

გელაც კარგად არის. ამ დღეებში ისიც გამოგიგზავნის წერილს.

პასუხი არც მე დამიგვიანო, არც — იმას.

გწერს შენი ძმა მიხო ბიჭიაშვილი.
1969 წელი, 10 სექტემბერი".

გამოგზავნის თარილს დავხედე და მაშინვე წამოვვარდი.

— დაგეხვივნენ? — წამოხტა ზურაბიც.

— დღეს რა რიცხვია?

— ოცდასამი სექტემბერი.

— მე ამათი ფოსტა-ტელეგრაფი რა ვთქვა!

— რა მოხდა, კაცო?!

— ათში გამოუგზავნია.

— ე? მოიტა კონვერტი.

მივაწოდე.

უყურა, უყურა კონვერტს, ხან აქეთ გადაატრიალა, ხან — იქით, და მერე თქვა:

— მართალია. ფოსტის ბეჭედზეც ათი სექტემბერია. იქიდან აქ რომ ცამეტ დღეს მოუნდა, ეხლა ის იანვარიშე, შორეულ აღმოსავლეთში ლოეს გაგზავნილი წერილი როდის ჩავა!

— თუ ვიცოცხლეთ, ჩვენ რომ ორმოცისანი ვიქნებით.

— კარგი შეღავათია!..

უკვე ვახშმობის დრო იყო. ზურაბმა მითხრა, წავიდეთ, თან ვივახშმოთ, თან ფოსტის ხალხზე ვიცინოთო. მაგრამ ფოსტის ხალხი აღარც გამხსენებია, მიხოს წერილი მიტრიალებდა თავში. როგორ მინდოდა, ახლა ამ შებინდებისას, სასადილოში სათვალის წმენდით შემოსულიყო ჩემი სანატრელი ძმა. მაშინ ნამდვილად ვიწამებდი ღმერთის არსებობას, სწორედ ისე, როგორც ეს ბებიას სწამს.

მონატრების სალერღელი ამეშალა, მათი ნახვაც კი მომინდა, ვისთან შეხვედრის სურვილიც არასოდეს მქონდა სოფელში.

ახლა მახსენდებიან ისინი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მენატრებიან კიდევაც. შენ მახსენდები, შემოდგომის სიყვითლითა და სიტკბოთი გაჟღენთილო ჩემო სოფელო. შენ მენატრები, ჩემო ხეხილიანო, ბებიას ბუზღუნითა და სუსხით ახმიანებულო ეზოვ!

სულ სხვა ამბავია აქ: მოცილებული ხარ სახლ-კარს, შენიანებს, იმ მიდამოს, რომელიც დედის უბესავით ნაცნობია შენთვის. შორს დატოვე შენი წილი სითბო, შენი წილი სიცივე და ამ ადამიანებთან მოხვედი, ვისაც ის აქვს საფიქრალ-სადარდელი, რაც შენ. ჩვენ აქ ვსწავლობთ და ვშრომობთ, სისულელისათვის ვერ ვიცლით. აკი ერთხელ თქვა კიდევაც მამაჩემმა: რაც ხანი ფრონტზე ვიყავი, არ მახსოვს, სანგარში, იერიშსა თუ უკან დახევის

მოლოდინში, ჯარისკაცები თუნდაც უბრალოდ წაკინკლავებულიყვნენო. იქ ასეც უნდა ყოფილიყო. ერთმანეთის ოჯახებსა და სიცოცხლეს იცავდნენ. აქ სხვა ქარი უბერავს და სხვანაირადაც მოზუზუნებს, სხვანაირად აწივლებს ტელეფონის მავთულებს...

— არ წავიდეთ? — ფიქრიდან გამომიყვანა ზურაბმა და ცარიელი თეფში გვერდზე გადადგა.

— მა რაღა გავაკეთოთ.

ბიჭებს ღამე მშვიდობისა ვუსურვეთ და გამოვედით სასადილოდან...

ოთახში რომ დავბრუნდით, უცებ რაღაც გამახსენდა და გამეცინა.

— რა გაცინებს? — მკითხა ზურაბმა.

— არაფერი. წერილი უნდა დავწერო.

— შენმა ძმამ უნდა დაიკვეხოს, ძმა მყავსო.

— რაზე ამბობ?

— დღესვე რომ უბრუნებ პასუხს.

— მოელის და არ გავუგზავნო?

ზურაბი მალე დაწვა დასაძინებლად. მე კი მაგიდას მივუჯექი, მოვიმარჯვე საწერ-კალამი და დავიწყე:

„სოფ. ფლავის მექანიზაციის სკოლის გოგოებს. პირადად:

ყველაზე ზარმაცსა და ჩამორჩენილს.

ციხისთავის სასწავლებელში ზარმაცებისა და ჩამორჩენილების ჩემპიონი მე ვარ. ამ მხრივ აქ ვერავინ მჯობნის, სხვაგან რა მოგახსენო, რაკი ნამყოფი არა ვარ. სწორედ ამიტომ შენ, ზარმაცო და ჩამორჩენილო გოგო, ძალიან მიყვარხარ. იცოდე, თუ მოვახერხე და დავამთავრე ეს სასწავლებელი, ცოლად გითხოვ მაშინვე, ოღონდ, თავი არ დაიღუპო და არ გამოსწორდე, თორემ გათავებულია შენი საქმე — პირობას დავარღვევ.

რომ არ გეგონოს, ვხუმრობ, ბარათს ხელს ვაწერ: გიო, იგივე გიორგი ბიჭიაშვილი. პასუხი არ დამიგვიანო.

1969 წ. 23 სექტემბერი“.

მეორე დილით წერილი საფოსტო ყუთში ჩავაგდე და დოინჯი შემოვიყარე: საინტერესოა, მიპასუხებს ვინმე? თითქმის ყველა გოგოს გადავკარი თვალი სიმინდის ტეხაში — თითქოს განგებ დარჩეულები არიან! ჩემი ბედის პატრონს, ნახავთ, ჯოჯოზე ჯოჯო თუ არ შემხვდეს! თუმცა, რა დაშავდება ამით, ხუმრობა მაინც ხუმრობაა!

მართალი გითხრათ, ჩემი თავისა გამიკვირდა, რომ ამის თაობაზე არავის არაფერი ვუთხარი.

## „დაჭრილების გორის“ ლეგენდა

ოთახში რომ დავბრუნდი და ზურაბს ვუთხარი, დროა ვისაუზმოთ-მეთქი, ამ დროს ჩვენი სასწავლებლის დირექტორიც გვესტუმრა:

— გამარჯობათ, ბავშვებო! — მოგვესალმა.

სალამი დავუბრუნეთ.

ოთახი მოათვალიერა, ფანჯრის რაფას საჩვენებელი თითი გაუსვა, ზედ დახედა, მტვრიანი ხომ არ არისო, და შემდეგ გვკითხა:

— გულახდილად მითხარით, უკმაყოფილონი ხომ არა ხართ სასწავლებლისა, სასადილოსი, საერთოდ სწავლისა და მასწავლებლებისა? გულახდილად მითხარით.

— მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, — მაშინვე ვუპასუხე. მართლაც ასე იყო და ყოყმანს რაღაზე დავიწყებდი.

— იქნებ საჭმელი უგემურია?

— რას ბრძანებთ?! — გაიოცა ზურაბმა.

— თეთრეულს დროზე გიცვლიან?

— ნამდვილად, — ისევ ზურაბმა გამოიდო თავი, — თუ გნებავთ, სხვებსაც ჰკითხეთ.

— კარგი, მჯერა, — ფანჯარაში გაიხედა, დიდხანს მისჩერებოდა სივრცეს, მერე მშვიდად მოტრიალდა:

— იმ გორას ხედავთ? — ხელი გაიშვირა.

— ვხედავთ, — ვუპასუხე.

— ხეს ვინლა ჩივის. ბუჩქიც აღარ ხარობს ზედ, საცოდავი, ძეძვიც გაურბის.

ჩვენს სასწავლებელს შიშველი გორა გადმოჰყურებს. შეხედავ ამ გორას და სიმარტოვის ნაღველი შემოგაწვება. რამდენჯერ მინდოდა, ამ გორაზე ავსულიყავი, გადმოვმდგარიყავი კორტოხზე, ეჰე-ჰეი! — შეყვირა მთელი ხმით, მაგრამ ვერავის ვუთხარი, გამომყევი-მეთქი, მარტო ასვლა კი ვერ **მოვახერხე**.

— მარტო ეს გორა რომ იდგეს ასე გაშიშვლებული, ვინ რას იტყოდა, — გორას ისევ გახედა დირექტორმა, — მაგრამ რამდენია ასეთი? ჩვენი წინაპრები საკუთარი თავივით უფრთხილდებოდნენ ტყეს. ჩვენ — მტრად გამოვეცხადეთ ერთბაშად, შევესიეთ ნაჯახებით, ჯაჭვა ხერხით, დინამიტით... და არც ხანძარი დაგვიკლია. როგორ გგონიათ, — მოტრიალდა, — ჩვენს წინაპრებს არ სჭირდებოდათ ხე-ტყე თუ, არც სახლი ჰქონდათ და არც თოვლი მოდიოდა მაშინ? მათ უკეთ იცოდნენ ტყეების ფასი. აქ ცოტა უფრო რთული ამბავია. აი, რა, ბიჭებო, დაუკვირდით: გამრჯე გლეხი საახალწლოდ ისე არ დაკლავს ქოსმენს, ვიდრე სამაგიეროს არ ჩააყენებს. გლეხი წინ იხედება, — ჩაფიქრდა და მერე გვკითხა, — თუ იცით, რა ჰქვია მაგ გორას?

— არ ვიცი, — ვთქვი და ზურაბს გადავხედე. ზურაბმა მხრები აიჩეჩა, არც მე ვიციო.

— რატომ მერე?! „დაჭრილების გორა“ ჰქვია...

ერთხანს ხმა არ ამოუღია, დაფიქრებული იდგა. მერე სკამზე დაჯდა და ხმადაბლა დაიწყო:

— საქართველოს ისტორია კარგად უნდა იცოდეთ. უნდა იცოდეთ, რომ ხშირად ტყეებზე იყო დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი. ისიც უნდა იცოდეთ, ჩვენი დღე და მოსწრება სულ ჩვენს სიმცირეს მივსტირით — ამ მხრივ წუწუნისა და ოხვრის მეტი ბევრი არაფერი გვიკეთებია დასაბამიდან, აი, ამ წუთამდე. ის ვერ მოგვ[illegible]ბია, საკუთარი ოჯახების გადიდებაზე ვიღონოთ რამე. ოჯახიდან იწყება სამშობლო და, ამ მხრივ, სწორედ ოჯახის საქმე ვერ მოგვიგვარებია ჯერაც.

ახლა ლეგენდას მოგიყვებით, — მშვიდად განაგრძო, — ერთხელ, პატარა ბიჭი რომ ვიყავი, ეს გორა, „დაჭრილების გორა“ დამანახვა მამაჩემმა და, აი, რა მიამბო:

ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ მტერმა ისე გაგვაჩანაგა, ვენახი ნავენახარად იქცა, სოფელი — ნასოფლარად, ქალაქი — ნაქალაქარად... ვაზი გაველურდა — კრიკინად იქცა, ვაშლი — მაჟალოდ, მსხალი — პანტად, ბაღი — ბაღმწარად... ხალხი ერთიანად ამოწყდა. ვინც გადარჩა, იმანაც ტყეს შეაფარა თავი. არც ხნავდნენ, არც თესავდნენ და აღარც მკიდნენ. მტერი კი მაინც არ ასვენებდა, გასართობად ნადირობდა ადამიანებზე. მაგრამ არც ჩვენები იყვნენ ჯაბანნი, დღედაღამე მოსვენებას არ აძლევდნენ მომხვდურს. სადაც არ მოელოდა მტერი, იმ ვიწროში უყელებდნენ, იმ ტყიდან დაესხმებოდნენ ხოლმე თავს: ჟუჟავდნენ და ჟუჟავდნენ, სადაც მოატანეს, იქ გაავლეს მუსრი. ამ მტერს როგორც იქნა გაუმკლავდნენ, ზურგი აზრუნებინეს. ხალხმა რომ იფიქრა, ეგ არის და, ამოვისუნთქეთ, ეგ არის და, გვეშველა, ტყიდან გამოვალთო, სწორედ მაშინ სხვა ქვეყნის ჯარი არ შემოესიათ?! აქაიქ გადარჩენილი ვაზიც აკაფეს, აქაიქ დარჩენილი ბანიანი სახლებიც დააქციეს და აქა-იქ აბლავლებული საქონელიც მიხოც-მოხოცეს. დათარეშობდნენ და დალალაობდნენ. ასე მოაღწიეს ციხისთავამდე. ციხისთავში კი ისეთი დღე დაადგათ, მართლაც რომ მტრისას! — ჩვენებმა მოულოდნელად გადაუჭრეს გზა და ელდასავით ეკვეთნენ. მტერი დაიბნა, პირი იბრუნა და უკანმოუხედავად შევარდა მტკვარში, გავარდევე და მეშველებაო. დაედევ-

ჯენ, იმდენი ხოცეს, ისე იქნევდნენ ხმალს, ხელში გაუცვდათ და დაუჩლუნგდათ. მტერი მირბის და უკან კი არ იხედება, ვაი თუ, ამ უკან მოხედვაში დრო დავკარგო და წამომეწივნენო. უკან არ იხედება და ჰგონია, იმდენნი აელვებენ ხმალ-ხანჯალს, ვითომ ბუზის სათვალავი იმასთან რა სახსენებელია! ამ ამბავს ერთი უჯიშო კაცი უყურებს და გულზე სკდება ბოღმით. თვითონ მხდალია მამა-პაპით და ჩამომავლობით, სხვისი მონაგრის ქურდობისა და წაგლეჯის მეტი საქმე არაფერი აქვს, საკუთარი მამულის დამცველთა ვაჟკაცობაცა შურს. ეს არაკაცი ჩვენი ჰაერით, ჩვენი წყლით, ჩვენი პურ-ღვინითა და ჩვენს ჭერქვეშ გაზრდილია. მოკლედ, ჩვენს უბანში გაზრდილი გველის წიწილი დაედევნა გაქცეულ მტერს, წამოეწია, კალთაზე ებღაუჭება, გეხვეწებით, მობრუნდით, სად გარბიხართ ამდენი ჯარ-ჯამაათნი, აბა, უკან მოიხედეთ, ორიოდე კაცი მოგდევთო. მტერი შეჩერდა, უკან მიიხედა, დაინახა, მართალს ეუბნებოდა ეს კაცი, და მოუტრიალდნენ ჩვენებს. ახლა ჩვენები იხევენ უკან. ბრძოლით იმდენი დაიხიეს უკან, აქამდე მოაღწიეს, ამ გორამდე. ეს გორა მაშინ ასე შიშველი კი არ იდგა, უზარმაზარი ხეებით იყო დაფარული. ქალები მამებს, ქმრებს, ძმებსა და შვილებს ეხმარებოდნენ — დაჭრილები გაჰყავდათ ბრძოლის ველიდან, გაუვალ ტყის სიღრმეში შეჰყავდათ, იქ უხვევდნენ ნახმლევსა და ნახანჯლარს. მტრის მეფე ბორცვზე გადმომდგარა, კარგად ხედავს ჩვენი დედაკაცების ვაჟკაცობას და თავიანთ დაბეჩავებულ, მხდალ ქალებზე ჯავრი მოსდის. ბრძოლა გახურდა. ფარ-შუბი და ხმალ-ხანჯალი ნაპერწკალს ისვრის. დაჭიხვინდნენ ოფლში გახვითქული ურა ცხენები. დაჭრილების გოდება გორის თავზე გადადის და გორის იქით ტურების ბუნაგად ქცეულ ნასოფლარს ედება. იხოცებიან, უკან კი აღარ იხევენ ჩვენები, თანაც აღარ არის უკან დასახევი — უკანაც სამშობლოა. მაგრამ ახლა მტერია წინ, მტერი და გადაბუგულ-გავერანებული სამშობლოა უკანაც. ერთზე ასი მოდიოდა და დამარცხდნენ ჩვენები — დაიხოცნენ, მაგრამ სინანული არ ჩაჰყოლიათ: სამშობლოსათვის სიკვდილი დასაყვედრებელ სიცოცხლეზე უკეთესია ათასჯერ.

ყველა ჩვენი მეომარი რომ ამოწყდა, მტერი ახლა ტყეს ეცა, ბარემ დაჭრილებსაც მოვუღოთ ბოლოო.

თურმე მტრის ლაშქარში ერთი ბრძენიც ერია, მეფეს მიეახლა:

—მეფეო, პატივი ეცი სამშობლოსათვის დაცემულ მტერს, იმ მტერს, რომელმაც საკუთარი ყადრიც იცის და შენიც! გახსოვდეს მტერი რომ გყავს, ეს იმას ნიშნავს, ამ ქვეყანაზე შენც გეთქმის ორიოდე სიტყვა, შენც კაცი ყოფილხარ, და ეს არის სწორედ შენი არსებობის გამართლება! ქუდი მოიხადე დაცემული მტრის მეომრის საფლავთან — მასაც შენსავით უყვარდა სამშობლო, შენსავით იცავდა ისიც! ისიც მოიხსენიე ხოლმე, ომში დაცემულ შენიანებს რომ მოიგონებ!

მეფემ ხმალი ისევ ქარქაშში ჩააგო, გაცლა ბრძანა.

მას შემდეგ ამ გორას „დაჭრილების გორა“ ჰქვია. დღეს ისევ ისე დგას, როგორც მაშინ, ოღონდ ხეები შემოეძარცვა, ის ხეები, იმ დაჭრილებივით მხოლოდ მოგონებას, ლეგენდას რომ შემორჩა.

ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. მაშინაც აღმოსავლეთით ამოდიოდა მზე და დასავლეთით ჩადიოდა. მაშინაც ბიბინებდა ბალახი და ადამიანებიც ოცნებობდნენ. ოცნებას მაშინაც ის სიკეთე ჰქონდა, რომ ვერასოდეს მისწვდებოდი. მაგრამ ტკბილი იყო დედის ალერსის გახსენებასავით — საკუთარი თავის მოტყუებით ართობდა ადამიანებს და გრძელსა და ძნელ სავალ გზას საგრძნობლად ამოკლებდა მაშინაც...

— ხომ არ მოგეწყინათ, ბიჭებო? — გაგვიღიმა დირექტორმა.

ფიქრში ვიყავით წასული და ხმა არ გაგვიღია, მარტო თავი გავაქნიეთ, არაო...

ეს დილა სამუდამოდ ჩამრჩება მეხსიერებაში. სწორედ იმ დილით შევამჩნიე: „დაჭრილების გორიდან“ იწყებოდა ჩემი სამშობლო, იმ გორადან, რომლის ლეგენდამაც მიმანიშნა — ამ ქვეყანაზე მეცა მქონდა პატარა საქმე, მეც უნდა დავდგომოდი ჩემ წინ გასავლელ გზას.

ერთბაშად გამიჩნდა აუარებელი საფიქრალი, მაგრამ ერთს კი ვამბობ მხოლოდ: „დაჭრილების გორაზე“ ხეები უნდა შრიალებდეს, დიდი, უზარმაზარი ხეები. ჯერჯერობით შიშველია „დაჭრილების გორა“ — ხელი თუ არ გაანძრიე, ნერგი თუ არ ახარე, როგორ აშრიალდება უზარმაზარი ხეები, როგორ შეიმოსება მწვანედ ადამიანის უგულობით გახრიოკებული ეს მოტიტვლებული გორა.

## წინ, ზარმაცებო!

ძრავა გვაქვს გაკვეთილად. უნდა იცოდე რა ნაწილს რა ჰქვია. მოხსნადაყენებაზე სხვა დროს გვექნება გაკვეთილი. მივიხედ-მოვიხედე: მეცადინეობას არავინ აკლია. საერთოდ, გაკვეთილიდან გაპარვა ან დაგვიანება აქ ნამდვილად უცხო ხილია.

მასწავლებელმა სია ამოიკითხა და დახურა ჟურნალი.

— აბა, საქმეს შევუდგეთ, — თქვა და მე და ზურაბს გადმოგვხედა, — რა თქმა უნდა, ოდიკაძეს და ბიჭიაშვილს არ ელოდინებათ, ეს უკვე დაკანონებულია გათენება-დაღამებასავით. ვინ გამოვა პირველი?

დუისელი ბიჭი წამოდგა, ანზორ კაციაშვილი. ისეთი გამწიკლულია, იფიქრებ, ტრაქტორის საჭეს რას მოერევაო. ხელს რომ დაავლებ ხოლმე, ბუმბულივით მოვაფრიალებ ჰაერში — მთელი თერთმეტი კილოთი ვარ იმაზე მძიმე და რა მისი ბრალია. ანზორს ისე თვალსაც ვერ მოჰკრავთ, წიგნი არ ეჭიროს ხელში: სასადილო, ეზო, სპორტდარბაზი... სულ ერთია, უწიგნოდ ვერ ნახავ, ამიტომაც არის, მისი გვარსახელი ყველას პირზე აკერია — აი, კაციო.

წამოდგა ანზორი, მივიდა, ძრავს დაადგა თავზე, დაიწყო და რა დაიწყო:

— ეს არის შემშვები სარქველი, ეს — ცილინდრის თავი, ესა — მუხლა ლილვი...

— ნელა, ბიჭო, ვინ მოგდევს? — ღიმილით აწყვეტინებს მასწავლებელი...

ანზორი კეფას იქექავს, თან უხერხულად აწვალებს წვერწათლილ ჯოხს. ჯერ ნელა იწყებს გაკვეთილს, მერე, გაგიგონია, არ მირეკავს ისევ?!

— დგუშის თითი, საბიძგელა, მხრეული, ბარბაცა...

ვუსმენ და ჯავრი მომდის ჩემს თავზე: მაშ, ამ დაგვალულმა უნდა მაჯობოს? მიწას არ ასცილებია და მთელი სკოლის სალაპარაკო კია?! აი, მოსწავლეო, ოჯახიშვილიო, ოქრო და მოწყვეტილი ვარსკვლავიო! მე ამოდენა დავიჭიმები, ეს კი ჯერ მიწას არ ასცილებია, კაცია უკვე და ქუდიცა ხურავს... ეგრე არ გამოვა, გიო ბიჭიაშვილო, ცოტა თუ არ გაატოკე ხელი, შენი დღენი სხვისი საპურეს შემხედვარე დარჩები.

— შენ ისე დაფიქრდი, ბიჭიაშვილო, ნამდვილად ძრავაზე ფიქრობ! — მეუბნება მასწავლებელი.

ბიჭები ქირქილებენ, მარტო ზურაბი მომჩერებია თანაგრძნობით.

უარესის ღირსი ვარ, აქამდე ჭკუა რომ ვერ ვისწავლე! სახლ-კარს მოვცილდი და აქაც სიზარმაცე მიმათრევს მაჯის სისხო საბელით. მე თუ ამათ თავი არ გავაცანი, რაღა ბიჭი ვყოფილვარ!

შესვენებაზე გარეთ არ გამოვსულვარ, ისევ კედელთან ვიჯექი და ფიქრებში დავბორიალობდი...

— ეგრე, მთელი სასწავლებლის სა-

ლაპარაკო როდემდე უნდა ვიყოთ, ჰა, — ვეუბნები ზურაბს საღამოთი.

— მეც მაგისი თქმა მინდოდა, — მიპასუხა და წინადღით დედის გამოგზავნილი ვაშლი ჩაკბიჩა, — მოდი, ერთი მოვიქაჩლოთ თავი!

— როდიდან დავიწყოთ?

— ეხლავე.

— აბა. მორჩი თქვლეფას! — წამოვდექი და წიგნებს ვეცი, — გაკვეთილების ცხრილს გადახედე, ნახე, ხვალ რა გვაქვს.

ცხრილის გადახედვას რა მანქანის დაქირავება უნდოდა, ესა გვაქვს და ისაო.

— ვიდრე ხუთზე არ გვეცოდინება, მთქნარება არ იყოს! — ვაფრთხილებ.

ამ დღიდან მოკიდებული, ეს პირობა არ დაგვირღვევია. თითზე ჩამოსათვლელმა დღეებმა გაიარა, ფარა ყველასათვის მოულოდნელად შემობრუნდა და კოჭლი ცხვარიც თავში მოექცა. მთელი სასწავლებლის სალაპარაკო ახლა ჩვენ ვიყავით — ეს რამდენი შეძლებიათ ამ ნაცარქექიებსო. ლაპარაკი ლაპარაკად, და სხვა მხრივაც დაგვაფასეს: თავდაპირველად მოწინავეთა დაფაზე გამოაკრეს ჩვენი სურათები — საგანგებოდ ვიკრიჭებოდით. მერე ჩვენიანებიც გაახარეს, ეს რა ყოჩაღი ბიჭები გყოლიათ, სულ კუდზე ტრიალებენ, ამიტომა და იმიტომ ულრმესი მადლობაო.

მასწავლებლებისა და მოსწავლეების გაოცებაში გადიოდა დღეები. მალე ვაშლიც დაიკრიფა, რთველიც ჩამოთავდა, მთებზე დათოვა; ჩვენთან თროთვილმა თეთრად აალაპლაპა მიდამო — საგრძნობლად აცივდა. მაგრამ ერთი რაღაც დარჩა უცვლელი — ანზორ კაციაშვილს ვერაფერი მოვუხერხეთ: ეს გალეული ბიჭი მთელი ორი მტკაველით ჩვენზე მაღლა იდგა მაინც.

ჯერჯერობით ახალი მხოლოდ ეს იყო ჩვენს სასწავლებელში, ეს და ერთიც სხვა, რომელიც ადრე უნდა მეთქვა და დამავიწყდა კი. ესეც არაფერი, მეც ავდგები და ახლა ვეტყვი ვისაც საინტერესო ამბავის მოსასმენად ყოველთვის მზად აქვს ყური, ორიოდე კვირით დაგვიანება რა სახსენებელია! ერთი წლის შემდეგ რომ გაეღიმოს, არც იმაზე იტყვის უარს. აი, რა მოხდა:

ლაბა კამეჩებივით რომ გავიწიეთ და სწავლის მეტი თითქმის აღარაფერი გვახსოვდა, იმ ხანებში იყო, ფოსტალიონი შემობრძანდა ეზოში და დიდი ამბით დაიძახა:

— ბიჭიაშვილი რომელია!

მაშინ ფიზკულტურის გაკვეთილი გვქონდა, კალათბურთსა ვთამაშობდით — ოცჯერ ვისროდით კალათში და ერთი ბურთიც ძლივს ვარდებოდა, ისიც — შემთხვევით. ჩემი გვარი მომესმა თუ არა, დავეხმაურე:

—მე ვარ!

— შენა ხარ და მოდი აქ!

მასწავლებელს მივხედე. მიმიხვდა:

— გაიქეცი, ბიჭიაშვილო, — ნება დამრთო, — ოღონდ უთხარი: აქ საფოსტო ყუთები იმიტომ გვაქვს, რომ ყვირილით არ აგვიკლო და, რაც მთავარია, გაკვეთილი არ ჩაგვიშალო-თქო.

დავპირდი, ვეტყვი-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს— ბერიკაცი იყო.

კონვერტს დავხედე: ფლავიდან მიგზავნიდა ვილაცა:

„გიო! შენი წერილი რომ მივიღეთ, შევიკრიბეთ გოგოები და გავარკვიეთ, ჩვენში ვინ იყო ყველაზე ზარმაცი. ამ მხრივ მე აღმოვჩნდი „ბედნიერი“. გახსენი და წაგვიკითხეო, მითხრეს. უარი ვტკიცე. ძალიან ჩამაცივდნენ მაგრამ მე ჩემი გავიტანე... მარტო მე ვიცი, შენს წერილში რა ეწერა და ისიც მარტო მე მომეხსენება, რასაც გაცნობებ: სიმინდის ტეხაში გნახე და ძალიანაც მომეწონე. იმდენ გოგოებში, მგონი, ვერც შემამჩნიე. ამიტომ არც გეხსომები. ეს ძალიან კარგია: ისე გნახავ, ვერც მიხვდები, მე თუ ვარ. თანაც არც სახელი იცი ჩემი, არც — გვარი. გნახავ, ძალიან მალე

ბიბლიოთეკა

განჭავ. ეცადე, ბოლო ადგილი არავის დაუთმო, თორემ მეც სიტყვას ვატეხ. კარგად იყავი".

წერილი რამდენჯერმე გადავიკითხე ღიმილით. კაცო, გვარსა და სახელს ვინლა დაეძებს, გამოგზავნის თვე და რიცხვი მაინც დაეწერა!

— რას გეღიმებოდა? — მკითხა ზურაბმა. კალათბურთის მოედანზე რომ დავბრუნდი და შესასვენებლად გაფანტულ ბიჭებს შევერიე.

— რა ვიცი, მეღიმებოდა!

— უმიზეზოდ?

— მაშ!

— უმიზეზოდ ის იცინის, მე რომ ვიცი! საიდან მიიღე წერილი? — ჩამაცივდა.

ველარ დავუმალე, ან არადა, რა დასამალი იყო:

— ფლავიდან მოფრიალდა.

— ვაჰ! — ხელები გაშალა, შეხტა და შეიკუნტრუშა, — არ წამაკითხებ?

უცებ ეჭვმა გამკრა გულზე:

— მოიცა, მოიცა, შენ ხომ არ გამოიგზავნე?

მაშინვე გაუქრა ღიმილი, უსიტყვოდ შეტრიალდა და წავიდა.

უკან დავედევნე. ხელი წავავლე და შევაჩერე:

— რა მოგივიდა? — გავუღიმე.

— მლანძღავ და მეკითხები კიდევაც, რა მოგივიდაო!

— გაგეხუმრე. აჰა, წაიკითხე, — წერილი მივაწოდე.

### როგორ დააჭილდოვეს დამნაშავე

ჩვენი სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა რომ აიღო სიტყვა, მთელი დარბაზი გაისუსა.

— ამ დღეებში კომკავშირში უნდა მიგვეღო ბიჭიაშვილი, ვიფიქრეთ, სწავლას მოუმატა, მთელ სასწავლებელში უკვე სამაგალითოაო. და არ აურია?!

თავი ვერ შევიკავე:

— მე არაფერიც არ ამირევია! — ისე წამოვიძახე, სკამიდან არ წამოვმდგარვარ.

დარბაზი აჩოჩქოლდა.

— თავსაც რომ იმართლებს?! — გაიოცა დირექტორის მოადგილემ და ზარი დააწკარუნა, — წყნარად! წყნარად, ბავშვებო! — მისკენ არ მიმოხედავს, მაგრამ ვიცი, მე მომჩერებოდა, — ბიჭიაშვილო, დამნაშავეს რომ ფარავ, იცოდე, ერთიორად დამნაშავე შენა ხარ! მესამე დღეა, ვერ შეგაგნებინეთ, რომ სახელმწიფო ქონების დამტაცებელი და გამანადგურებელი ერთი და იგივეა. შენ კი აგიჩემებია, არ ვიცი და არ ვიციო! ძალიან კარგადაც იცი, ვინც ჩაიდინა დანაშაული. ახლა მაინც თქვი, თორემ ათი წუთის შემდეგ გვიანი იქნება.

— რაც არ ვიცი, რა ვთქვა? — წამოვდექი.

— შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა! — გაბრაზდა დირექტორის მოადგილე, მერე მდივანს მიუბრუნდა, — კენჭი ვუყაროთ გარიცხვაზე.

ახლა კი გამაცია: როგორც ვატყობ, აღარც ხუმრობენ. ბურუსიანი ულრანიდან სწორ გზაზე რომ გამოვედი და წელში გავიმალე, მაშინ არ მიპირებენ აბრაგანის ამოკერას?! რა ხელებით ჩავალაგო ჩემოდანი და რა პირით დავემშვიდობო ბიჭებს? რა ვუთხრა ჩვენებს, შინ რომ ჩავალ? ეს საქმეა, კაცო?! მაშინვე რომ მეთქვა, მე ვარ დამნაშავე-მეთქი, ალბათ ეს ამბავი ქვეყნის ასაყაყანებლად არ იქცეოდა.

ფიქრიდან დირექტორის მოადგილის ხმამ გამომიყვანა:

— აბა, რას იტყვით? — დარბაზს გადმოხედა, — თქვენ რას იტყვით?

ხმა არავის ამოუღია, თანაგრძნობით მომჩერებოდა ყველა.

საინტერესოა, რას იტყვიან ბიჭები? მართალი გითხრათ, სხვაზე მეტად მე ველოდი, ვინ როგორ გადმომიჭირებდა სახრეს.

ელოდა დირექტორის მოადგილე

ელოდა და, რაკი არავინ წამოდგა, ხმას აუწია:

— რამ დაგამუნჯათ?

შევხედე და, ჩემდა ჭირად არ გამეღიმა?!

ახლა კი წამოვარდა დირექტორის მოადგილე:

— რას იცინი?! მგონი, გიხარია კიდევაც, ადრე რომ ამთავრებ სასწავლებელს! შენს ადგილზე დალაგებული კაცი თოკში გაუყრიდა თავს. ამისთანა რეგვენი იშვიათად შემხვედრია. — მდივანს უთხრა, —არ ეცინება კაცო?! ეს რა კირკიტი კაკალი ყოფილა. იცინე, იცინე, ზოგი ხვალ იცინე, დღესვე გაგაგდებ ხელისკვრით! შუაღამემდე რომ გაგრძელდეს კრება, იცოდე, წახვალ მაინც, შენ საერთო სასწავლებლის საწოლს ვეღარ ააჭრიალებ!

მომდგა და რა მომდგა! ამდენი ხანი მშვიდად ვზივარ და ალბათ ეს აღიზიანებს.

— ღიმილს მიშლით?! — ხმას ავუწიე მეც, — თქვენ გგონიათ, უადგილოდ გამეცინა?

— დაჯექი! — მიყვირის.

დავჯექი.

— ამბოკაძე რას იტყვის? — თქვა ვითომდა მშვიდად.

ამბოკაძე აიკაკვა.

—მე რა ვიცი, რა ვთქვა!

დარბაზს გაეცინა.

— წყნარად! — ზარი ააწკრიალა,— ამბოკაძე, თანახმა ხარ თუ არა, ბიჭიაშვილი რომ გავრიცხოთ?

არც შეყოყმანებულა ეს ჩერჩეტი:

— თანახმა ვარ.

კაცს დამიხედე, მთელი სასწავლებელი რომ ამჯანყებოდა, ყველას რომ მოეთხოვა, ბიჭიაშვილი გარიცხეთო, არ მეწყინებოდა, მაგრამ ამან მაინც როგორ ამოუშვა პირიდან ეს გავარვარებული სიტყვა?! ახია ჩემზე!

— საკმარისია! — თქვა დირექტორის მოადგილემ და სკამზე დაეშვა,— შეგიძლიათ დარბაზი დატოვოთ. ბიჭიაშვილო, შენ კი შეგიძლია ახლავე გაასწორო ანგარიში კომენდანტთან, ყველასთან და, დაუმშვიდობებლად რომ წახვიდე, არ გვეწყინება.

დარბაზი წამოიშალა. ზურაბი წამოხტა და ამბოკაძეს პირდაპირ ყელში სწვდა:

— დაგახრჩობ, მე შენი!

ბიჭები მისცვივდნენ, ძლივს გააგდებინებს ხელიდან.

დირექტორის მოადგილემ მაგიდას დასცხო მუშტი.

— ყველანი დასხედით! რა მუშტიკრივი გამიმართეთ ცხვირწინ! ოდიკაძე, შენც ბიჭიაშვილს მიგაყოლებ!..

ამ დროს კარი გაიღო და დირექტორი შემოვიდა, კარებშივე შეჩერდა, პორტფელი მეორე ხელში გადაიტანა, გაჩუმებულ, დაძაბულ დარბაზს გადაავლო თვალი და იკითხა:

— რა ამბავია?

კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მოახსენა:

— ბიჭიაშვილი გავრიცხეთ სასწავლებლიდან.

— ყოჩაღ! — შუბლი შეიკრა, — ბარემ კაციაშვილიც გაგერიცხათ, ოდიკაძეც... ზოგიც დავაპატიმროთ, ასე აჯობებს..

მოადგილემ ფერი დაკარგა.

დირექტორმა პორტფელი მაგიდაზე დადო, შემობრუნდა და დარბაზს გადმოხედა, ეტყობოდა, მე მეძებდა. როცა დამინახა, თვალი თვალში გამიყარა და წყნარად მკითხა:

— შვილო, გიორგი, მითხარი, დამნაშავე ხარ თუ არა?

წამოვხტი:

— არაფერშიც არა ვარ დამნაშავე!

— ნამდვილად?

— დედას გეფიცებით.

სიცილი ატყდა. დირექტორსაც გაეცინა. მოადგილემ კი უარესად დაკეცა შუბლი:

— ამხანაგო ვახტანგ, ჯერ ხომ უნდა იცოდეთ, რა ედება ბრალად?

— ვიცი, უკვე ვიცი, — იქით არც მიუხედავს. მერე პორტფელი აიღო მაგიდიდან და თქვა, — დარბაზიდან

არავინ გახვალთ, — ორიოდე წუთში დავბრუნდები, — და მე გადმომხედა, — წამოდი, შვილო, ჩემთან.

გახარებულმა ზურაბმა თვალი ჩამიკრა.

დარბაზი მოულოდნელობამ დაабნია.

დირექტორის მოადგილე გაოგნებული მიყურებდა...

— აბა, როგორ იყო, — მითხრა ვახტანგმა, — კაბინეტში რომ შევედით, არაფერი დამიმალო.

ვიცოდი, ჩვენს მეტი არავინ იყო კაბინეტში და მაინც მივიხედ-მოვიხედე:

დირექტორს გაეღიმა:

— გპირდები: საიდუმლოება ჩემს იქით არ წავა. გჯერა?

თავი დავუქნიე.

— მაშინ გულახდილად მითხარი ყველაფერი.

— წელან არა თქვით, უკვე ვიციო?!

— მართალია, ვიცი, მაგრამ შენგან რომ გავიგებ, იმას მაინც სხვა ფასი აქვს, — პაპიროსს მოუკიდა და სკამზე დაჯდა, — დაჯექი შვილო, — სკამს გადახედა.

— ვიდგები, — ისევ ჩავფიქრდი.

— ესე იგი, არ მენდობი, ხომ? — გამიღიმა.

— ასე იყო. კალათბურთს ვთამაშობდით ეზოში. თამაში რომ დამთავრდა, ბურთი უგრეხელიძემ წამოიღო. ვესტიბიულში შემოვედით თუ არა, ამბოკაძემ ხელიდან წაჰგლიჯა ბურთი და თავში ესროლა. უგრეხელიძემ აიცდინა და წარჩინებულ მოსწავლეთა დაფას მოხვდა. მინა ჩაამტვრია. ორივენი მაშინვე გაიქცნენ, მე კი ბურთი ავიღე და, გარეთ გასვლას რომ ვაპირებდი, თქვენი მოადგილეც შემოვიდა. ვინ გატეხაო, არვიცი-მეთქი. სულ ეს არის.

— ამის გულისათვის გაგრიცხა?

— ვითომ გამრიცხა.

— რატომ ვითომ?!

— ასეთ უბრალო რამეზე სასწავლებლიდან არ რიცხავენ.

— მართალი ხარ. წავიდეთ, — პაპიროსი საფერფლეში ჩახრისა, — დაგაშინა?

ბიბლიოთეკა

— არა, გულით გამრიცხა; რატომ არ გაეცი ამხანაგიო, იმაზეა გაბრაზებული.

დირექტორი ზღურბლზე გაჩერდა, მოტრიალდა და გაოცებული მომაჩერდა.

— მე რომ ვთქვა სიმართლე, გეწყინება?

— არ იტყვით.

— რატომ არ ვიტყვი?!

— ხომ დამპირდით, ჩვენს შორის დარჩებაო.

— მართალი ხარ, შვილო, — თავზე ხელი გადამისვა, — სიტყვის პატრონი უნდა იყოს კაცი. ყოჩაღ, შვილო, ყოჩაღ!

ჩვენ რომ შევედით, დარბაზში მაშინვე ჩაიფერფლა ხმაური. დირექტორმა კომკავშირის კომიტეტის მდივანს ოქმი მოსთხოვა და დაკვირვებით ჩაიკითხა ბოლომდე. ამ დროს დარბაზი გაყინული იყო.

მე ისევ ზურაბის გვერდით ვიჯექი.

— როგორ არის საქმე? — მიჩურჩულა.

— კარგად-მეთქი, ცერით ვანიშნე. თვალები ვარსკვლავებით გაევსო.

დირექტორმა დაიწყო:

— მე ვფიქრობ, ასეთ უმნიშვნელო რამეზე არ უნდა აგეტეხათ ამდენი აურზაური, — თავის მოადგილეს გადახედა, — რა უფლებით აიძულებთ ბიჭიაშვილს, ამხანაგები გასცეს?

მოადგილე წამოენთო:

— ჩვენ მხოლოდ სახელმწიფო ქონებას, საზოგადო ქონებას ვიცავთ.

— მჯერა, მაგრამ ადამიანის სინდისსაც ხომ უნდა დაცვა? თქვენ იცით თუ არა, ასეთი ძალდატანებით შესაძლებელია ტყუილი ათქმევინოთ კაცს? რაღაც ორიოდე მანეთისათვის მორალურად რატომ უნდა გატეხოთ ბავშვი? ასეთი მიდგომით გზასაცდენილს ვერასოდეს დავაყენებთ სწორ გზაზე. თქვენ რასაც ტყუილუბრა-

ლოდ შეალიეთ სამი დღე, მას მე რაღაც ორ წუთში მივაღწიე. იქნებ მკითხოთ, როგორო? აი, რა, მეგობრებო: სიჯიუტემ, სიტყვის პატრონობამ, გაუტეხაობამ მოგვცა გრიგოლ სხულუხია, ზოია რუხაძე... არავის სჭირდება მაზეზღარა, გაუტანელი, მხდალი მოქალაქეები. სიჯიუტემ თვითმფრინავიც გამოიგონა და მთვარეზეც აიყვანა კაცი! სიჯიუტემ მუსლიმანური ურდოების ხელში საქართველო განადგურებისაგან იხსნა! ბევრია კიდევ სათქმელი, მაგრამ აქ ვჩერდები ამჟამად. მხოლოდ ერთსაც ვიტყვი: მე მივესალმები ბიჭიაშვილის სიჯიუტეს. და ეს ცარიელ სიტყვებად რომ არ მოეჩვენოს ვინმეს, ახლავე ვაშბობ: ბიჭიაშვილს ვაჯილდოვებ ჯიუტი კაცის, ეგნატე ნინოშვილის ერთტომეულით, ხოლო ამბოკაძეს ვაძლევ უკანასკნელ გაფრთხილებას პირად საქმეში შეტანით!..

დარბაზმა ტაში დასცხო.

ამბოკაძის ხსენებაზე დამცეცხლა, გამცა და ეგ არის-მეთქი!

ზურაბმა შემომხედა და მაშინვე წამოხტა:

— პატივცემულო დირექტორო, ამბოკაძე რა შუაშია?!

დირექტორმა ოქმის ფურცლები ნელ-ნელა დაახვია, ჩაუიქრდა და მერე თქვა:

— ამდენ ხალხში მარტო ის დაეთანხმა ბიჭიაშვილის გარიცხვაზე. სწორედ ამიტომ.

ამბოკაძეს გადავხედე: ეს აყლაყუდა ბიჭი ოთხად მოკეცილი იდო სკამზე.

დირექტორის მოადგილე წამოდგა და დარბაზიდან გავიდა.

დირექტორმა თვალი გააყოლა, მერე ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან და შუბლზე მოისვა.

კომკავშირის კომიტეტის მდივანი ღიმილით მისჩერებოდა მაგიდას.

— შენ რაღა დაგემართა? — ჰკითხა დირექტორმა, — ჩემს ჩამოსვლას ვერ დაელოდეთ?!

— ერთი კვირით ვერ გადავდებდით ამ საკითხს, — უპასუხა.

— მე კი მესამე დღეს დავბრუნდი.

— ასე რომ გვცოდნოდა...

— ყოველგვარი მოულოდნელობა უნდა გაითვალისწინოთ ხოლმე, — თავი ასწია, დარბაზს გადახედა, — კრება დამთავრებულია, შეგიძლიათ წახვიდეთ.

ქვეყანა შემომესია, ხელს მართმევდნენ, მილოცავდნენ.

ამბოკაძემ გვერდით რომ ჩამიარა, ნაბიჯი შეანელა, მგონი, რაღაც უნდა ეთქვა ჩემთვის, მაგრამ ზურგი შევაქციე.

□ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*იოსა ვაკელი*

## მადლი

რა უებარი ძალაა იგი
და რა უბრალო ნაბიჯით დადის,
ნუგეშს არიგებს აქეთ და იქით,
და სითბო მისი ზეცამდე ადის.

განწირულებსაც სიცოცხლით ავსებს,
თუმცა არ წყალობს გულქვა ძლიერებს,
ის ღვთის ნიჭია, ჩვენს სულს რომ ასე
ალამაზებს და ამშვენიერებს.

შემოდის სახლში კრძალვით და რიდით,
რომ ჭირნახულ კაცს მიესალამოს,
ტკივილს უყუჩებს და მერე მიდის,
და სხვაგან სხვა წყლულს ადებს
მალამოს.

რომ იქაც გულის გააქროს სევდა,
დააშროს მდორე ცრემლების ღელე,
ის რა მადლია, თუკი ვერ ხედავს —
დახმარებისთვის გამოწვდილ
ხელებს!

და ასე მუდამ ის არის ფარი —
ალალმართალი სიკეთით სავსე,
ის ყველგან ცოცხლობს, ის ყველგან არის,
ის ყველგან დადის ამ ქვეყანაზე!

## უკვდავება

რა არის ჩვენი სიცოცხლის ფასი,
კაცის ცხოვრება, უკვდავი სული,
არც ერი ვარგა, არც ერის კაცი,
ფუჭი ფიქრებით გარემოცული.
ავი ვნებები დროს ჩაუქრია,
დიდნი პალატნიც ჩანან ეულად,
რაც წმინდა ხელებს არ შეუქმნია,
ჟამთა დენაში ფერფლად ქცეულა.
და ახლაც ქვეყნად კაცი ის არი,
ვინც წმინდა ფიქრი ატარა გულში,
არ დაბნევია გზა და მიზანი
და სიბრძნის თესლი ჩააგდო ხნულში.
თან მძიმე ტვირთის ტარება ქვეყნად
შეგვიმსუბუქა შეძლებისგვარად,
არ დაუწყია ამისთვის კვეხნა,
ერის გასაჭირს წინ ედგა ფარად.
ხოლო იგი, ვინც შხამ-გესლით სავსე
და ავკაცობით ჩანდა ძლიერი,
წავიდა, გაქრა... ამ ქვეყანაზე —
მხოლოდ სიკეთით ვართ ბედნიერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არაფერს არ გთხოვ

არაფერს არ გთხოვ ღირებულს ძვირად,
ჩემო ძვირფასო, მხოლოდ მსურს გულით,
ჩემს ახლოს იჯდე მდინარის პირად,
როცა ის მოქუხს აქაფებული.

იჯდე და დიდხანს განმარტოებით,
ვნება ფარულად გულს ახურებდეს,
ასკილისა და მაყვლის რტოები,
თავზე მდუმარედ გადმოგვყურებდეს.

და იმ დროს მწვანე შემოგარენიც,
ჩვენ სულთან ერთად ჩუმად მღეროდეს,
ვერ გაგვებედოს სათქმელი ჩვენი
და თვალი მხოლოდ ცქერით ტკბებოდეს.

ტკბებოდეს, მაგრამ ნათელი სევდა,
ერთი წუთითაც არა ქრებოდეს,
არც არაფერი გვიშლიდეს ხელს და,
არც არაფერი გვენანებოდეს!

## თაობებს შორის

თაობებს შორის უხილავი დაეშვა ფარდა,
და უკვე თვალებს ეფარება საღამოს ბინდი,
მიდის და მიდის, ვისიც გვწამდა და ვინც გვიყვარდა,
ო, რა ძნელია, როცა შენი თაობა მიდის!

და რჩები ობლად, ახლობლებიც ვეღარ გშველიან,
შემოიჭრება ცხოვრებაში ახალი მითი.
მაინც მარტო ხარ, თუმცა სევდა კვლავ ნათელია,
ო: რა ძნელია, როცა. შენი თაობა მიდის!

და ეთხოვები ძველ მეგობრებს, მათს გულს, მათ სახელს,
თითქოსდა, ჩუმად მდინარეზე ჩაგიტყდა ხიდი,
ვერ აგებინებ ახალბედებს გულის მწველ ნაღველს,
ო, რა ძნელია, როცა შენი თაობა მიდის!

მიდის და მიაქვს მწუხარებით სავსე თვალები,
ალალმართალი სიკეთე, თუ ცოდვებიც დიდი,
მაგრამ შენ იმათ მაინც უფრო შეებრალები,
ო, რა ძნელია, როცა შენი თაობა მიდის!

მიდის ტკივილით... ახალი კი შემოსვლას ჩქარობს,
ისიც წასულა, ვისაც ერთ დროს მეგობრად თვლიდი,
და იწურება ასე უღვთოდ სიცოცხლის წყარო...
ო, რა ძნელია, როცა შენი თაობა მიდის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

# დაჩის ზღაპრები

დაჩი რომ უზღაპროდ არ დაიძინებს, ეს ამბავი ვინ არ იცის. დაჩი კი, როგორც ყველა ბავშვი, ყოველ საღამოს იძინებს.

— რაღა ვქნათ?! — იკითხა ერთ საღამოს შეშფოთებულმა მანომ.

— რა გაეწყობა, უნდა მოუყვე! — თავი გადააქნია ბაჩომ, — აბა რისთვის ჰყავს დაია დაჩის? — თვითონ კი წიგნის კითხვა დააპირა.

— დაჩის ძმაცა ჰყავს და რატომაა ნათქვამი, ძმა ძმისთვისო...

—ეს, როცა ძმა გასაჭირშია, მაშინაა ძმა ძმისთვისო..

— მეტი რაღა გაუჭირდება, ბიჭს არ შეუძლია უზღაპროდ დაიძინოს და თუ მთელი ღამე ათია, ძმამ კი მშვიდად იძინა, ესაა ძმობა?

— გაჭირვება არის შიმშილი, წყურვილი, ტყვეობა...

— თუ დაჩის ზღაპარი პურივით და წყალივით სჭირდება?

— ისიც არ მითხრა, ჰაერივით სჭირდებაო? —გაგულისდა ბაჩო და წიგნი გადაფურცლა.

— სჭირდება! — წამოიძახა მანომ და უმცროს ძმას მიუბრუნდა, — დაჩი, ზღაპარი ხომ ძალიან, ძალიან გჭირდება?

— რძე დავლიე, — თქვა დაჩიმ, — და ხაჭაპური ვჭამე...

— სვა და ჭამა. ახლა ბავშვისათვის აუცილებელია ზღაპარი, გარდა ამისა, ამაღამ შენი რიგიცაა.

მანო ამას უფროს ძმას არ ეტყოდა: შენი რიგიცააო, მაგრამ ვერაფრით ვერ მოიფიქრა რა უნდა მოეყოლა, რაკი დაჩიმ უკვე იცოდა დედისა და მამის, ბებიასა და ბაბუას, ძმის, დისა და ბიძაშვილების ზღაპრები, იქამდე, მეზობლის ბიჭისა და მეზობლის გოგოს ზღაპრებიც კი იცოდა.

— კარგი, კარგი, ნუ გამიწყალეთ გული! — ბაჩომ წიგნი ბუზღუნით გადადო, — წამოდი, დაჩი!

— კი მაგრამ, ვის ან რის ზღაპარს უამბობ? — მეტისმეტად დაინტერესდა მანო.

— არ ვიცი, რაიმეს მოვიფიქრებ.

— მაინც, მაინც? — არ მოეშვა დაია.

— ხომ გითხარი, ჯერ არ ვიცი-მეთქი! — უფროსმა ძმამ დაჩის ხელი დაავლო და ოთახიდან ჩქარა გამოიყვანა, რომ მაღლა, მეორე სართულზე ასულიყვნენ. იქ ლოგინში ჩაეწვინა და თან მოესაზრებინა რას მოუყვებოდა.

სინათლეზე ნაჩვევი თვალებით დაჩიმ ღამეში ვერაფერი დაინახა. კიბესთან მიტოვებულ სამბორბლიან ველოსიპედს წამოედო, ყირამალა გადატრიალდა და მიწას დაასკდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ააა! — ალრიალდა დაჩი და მიწას ფეხები დასცხო — აი შენ, აი შენ...

— მიწას რას ერჩი, ველოსიპედი თავის ადგილზე უნდა შეგენახა! — კიდევ იქით გაუჯავრდა ბაჩო.

— აააააა! — გააბა დაჩიმ და მიწას კიდევ უფრო დასცხო ფეხები, — ამან მატკინა!

— მიწა არავის არ ტკენს, შენ ველოსიპედი რომ არ შეინახე, იმან გატკინა, — დაავლო ხელი ბაჩომ დაჩის და კიბეს აუყვნენ.

— მიწამ მატკინააა! — თავისი არ დაიშალა დაჩიმ.

ნამტირალევი დაჩი საბანში გაეხვია და ცრემლები შეიმშრალა, ბაჩო კი ამ დროს სულ ფიქრობდა: რა მოვუყვე, რა მოვუყვეო, უცებ მოაგონდა, აი, თვითი დედამიწის ზღაპარი რომ ვუამბო, ხომ არ აჯობებსო, მაგრამ დაჩის რომ წინდაწინ ვუთხრა, არ ინდომებსო, და სათაური გუნებაში თქვა:

### დედამიწის ზღაპარი

ის იყო უფროსმა ძმამ დააპირა მოყოლა, რომ ნამტირალევმა უმცროსმა დაიწყო:

— იყო ერთი ბიჭი და სახელად ერქვა დაჩი...

— მოიცა! — გააწყვეტინა ბაჩომ, — ჯერ არავითარი ბიჭი არ იყო.

— მე ვიყავი! — გული დაწყდა დაჩის..

— შენ თუ უფრო იცი, მე რაღას მაწუხებდი. ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, როცა შენ არ იყავი...

— დედიკო და მამიკო იყო.

— არა.

— არავინ არ იყო? — გაუკვირდა დაჩის.

— მაცალე! — გაწყრა ბაჩო, — იყო, იყო ცა და მიწა...

— ცის ზღაპარი მინდა! — მოეწონა დაჩის, — ვარსკვლავების და მთვარის...

— კი მაგრამ, მიწა რომ არ იყოს, ვარსკვლავებზე იცხოვრებდი?

— კი, ვარსკვლავებზე!.. ბაჩო, ვარსკვლავებზე წამიყვან?

— ჯერ მიწაზე სიარული ისწავლე, კისერს ნუ იტეხ... ვარსკვლავები მომთხოვა...

— მთვარეზე?

— მთვარეს რაკეტა უნდა, შენ კი ჯერ ველოსიპედისათვის ვერ მოგივლია.

დაჩიმ იფიქრა, ეს მართლა, როგორ დამემართაო და გაჩუმდა.

— ჰო, იყო ცა, მიწა და ადამიანები.

— ადამიანების ზღაპარი მინდა, მიწის არ მინდა! — წამოცდა ისევ დაჩის.

— კი მაგრამ, მიწა რომ არ ყოფილიყო, ადამიანებს ცაზე დაკიდებულს უნდა ეცხოვრათ?

დაჩიმ იფიქრა: დაკიდებული ცხოვრება მართლა გაჭირდებოდაო და ისევ გაჩუმება ამჯობინა .

— იყვნენ ადამიანები, — განაგრძო ბაჩომ, — მაგრამ რად გინდა, არაფერი არ იცოდნენ.

— არც ნადირობა?! — ვერაფრით ვერ მოითმინა დაჩიმ.

— არც ნადირობა, მაგრამ იცოდნენ ჭამა-სმა. ჭამა-სმა ადამიანმა გაჩენისთანავე იცოდა. ჭამდა და ჭამდა, რასაც იშოვიდა: მკვახეს და მწიფეს, ხმელსა და ნედლს. არც თავისი და სხვისი იცოდა, რასაც მოიხელებდა, შეუჭმელს არ უშვებდა. გაკეთებით კი, კაპიკის საღირალს არ აკეთებდა. რა გაუძლებდა ამდენ ტყუილა მჭამელს! და ერთ დღეს ყველაფერი გამოელიათ, მოშივდათ, იტაცეს მუცელზე ხელები, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ, კბილის გასაკრავი ალარაფერია. მოუვიდათ გული, გამწარდნენ და დაუწყეს ხეებს მტვრევა, რატომ საჭმელს არ გვაძლევთო. დამტვრეული ხეები სულ რაღას მისცემდნენ და მთლად გადაირივნენ; ბალახების გლეჯა და ჭამა დაიწყეს, მაგრამ არ მოეწონათ. პირის გემო ადამიანმა გაჩენისთანავე იცოდა. რაღა ექნათ, აეწვათ კუჭი, კუჭი ისეთი უბედურებაა, რას არ გაკადრებინებს, და ახტნენ და დახტნენ, ცას ვერ მისწვდნენ და დაუწყეს ფეხების

ცემა მიწას, ურტყეს წიხლები, იყვირეს, ლანძღეს და აგინეს. ლანძღვა-გინებაც მაშინვე ისწავლეს.

განაწყენდა დედამიწა: ეს რა ხალხია, ჩემს ზურგზე დადიან, ჩემს გაზრდილ ხის ნაყოფს და ბალახს ჰამენ და კიდევ მწიხლავენ და მლანძღავენო! — გაგულისდა, ბურთივით გაიბერა.

ადამიანებს შიათ, გაბერვა-გაგულისებას ვინ დაგიდევს. ისევ დასცხეს და დასცხეს მიწას ფეხები, — საჭმელი მოგვეციო!

დედამიწა ბოლმით სულ გასივდა, ვეღარ დაიტია გულში ამდენი ცეცხლი და ვარამი, მანამდე მთები და გორები არ იყო, მაშინ კი ისე შემოასკდა გულს, თავის კანში ვეღარ დაეტია და სწორი ზედაპირი ამობურცა — გორები გააჩინა.

აირბინეს დამშეულებმა, იფიქრეს ამოდენა მთა საჭმელი თუაო, მაგრამ ნახეს ისევ მიწაა. ისევ დასცხეს წიხლები. კიდევ უფრო გადაირია მიწა, უფრო მოაწვა ბოღმა გულზე და სულ მაღალი კლდოვანი მწვერვალები ამობურცა.

— მწვერვალები და კლდეები ვჭამოთო? — მალაყები ჰყარეს ადამიანებმა, —შენ ასეთო და ისეთოო!

მაშინ იყო, რომ იჭექა მიწამ და ცეცხლი და კვამლი ამოანთხია. ახლა კი იკადრეს კუჭს აყოლილებმა უკან დახევა, მაგრამ გაცეცხლებული დედამიწას საბე სულ დაეღარა, დაუნაოჭდა — უფსკრულები და ხევები გაუჩნდა.

— აბა რა ვქნათო? — შეშინდნენ ადამიანები.

— რა ჰქენით და ხელი გაანძრიეთო! — გადმოსძახა მიწამ ვულკანის ცეცხლის ენით.

— კი, კი, ხელი უნდა გაანძრიოთო! — გაიმეორეს მთებმა.

— ხელი გაანძრიეთო, ხელი გაანძრიეთო! — გაიმეორეს ხევებმა.

— ოღონდ ნუ დაგვწვავ, ან უფსკრულში ნუ გადაგვჩეხავ და ბატონი ხართო! — და დაიწყეს ხელებისა და ფეხების ქნევა.

— აქ მათ ფიზკულტურა გამომიგონესო?! — ისევ ცეცხლი ჰყარა ვულკანიდან მიწამ, — ხელი გაანძრიეთ, ესე იგი, საქმე ჰქენით-მეთქი!

— კი, კი, საქმე ჰქენითო, ჰქენითო, ჰქენითო! — გაიმეორეს მთებმა და ხევებმა.

— რა საქმე ვქნათ, რომ არ ვიცითო! — პირი დააღეს ადამიანებმა.

— რა და, მიწა მოხანითო!

— მიწა მოხანითო, მიწა მოხანითო! — დაიგუგუნეს მთებმა და მწვერვალებმა, გაიმეორეს ხევებმა და უფსკრულებმა.

მოცვივდნენ კაცი და ქალი და მიწას ფრჩხილებით დაუწყეს თხრა. მაგრამ კუrაფერი გააწყვეს, სულ დაუსისხლიანდათ თითები, დასხდნენ და მკლავები გულზე დაიწყვეს.

— რავა გულხელდაკრეფილი სხედხართ, კავი და გუთანი გააკეთეთო!

წამოცვივდნენ, გააკეთეს კავი და გუთანი, შიგ კაცები გაებნენ, უფრო ღონიერები ვართო, და ქალები გუთნისდედებად დააყენეს. ხნეს და ფარცხეს, მაგრამ მზე რომ საშუადღეოზე წამოვიდა, დასცხათ, დაიღალნენ. ამას გარდა, ადამიანი თავიდანვე ზარმაცი იყო, შიატოვა ხვნა-თესვა, ჯოხზე ქვა დაამაგრა, დაიკავა ხელში, შევარდა მეზობელ გამოქვაბულში (მაშინ ადამიანები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ), მოიყვანა გული და უთხრა: წამოდი, ულელში შეგაბა და მე ჩრდილში უნდა წამოვწვეო.

— არ წამოვალო! — ქვა ისროლა და თავი შეუშვირა მეზობელი გამოქვაბულის ადამიანმა.

— აბა თუ არ წამოხვალო! — თუთქა თავში ქვის ჩაქუჩი და გააცხებინა სული. დანარჩენები შეშინდნენ, წამოიყვანა და ულელში შეაბა..

— კაცმა კაცი მოკლაო! — იბღავლა დედამიწამ და იძრა, სულ დაანგრია გამოქვაბულები. მწვერვალები. ბრაზით

სულ დაიბზარა და ქვათა და ლოდთა ცვენა დაიწყეს.

მანამდე მიწის ძვრა და ქვათა ცვენა არავის გაეგონა.

— ან კაცის უღელში შებმა სად გაგონილაო! — ვულკანის ცეცხლის ენა გადმოაგდო დედამიწამ.

— სად გაგონილაო, სად გაგონილაო! — შეიცხადეს მთებმა და მწვერვალებმა და ისევ ლოდები გადმოყარეს.

შეშინდნენ ადამიანები, ვეღარც გამოქვაბულებში დაიმალნენ — თავზე ჩამოგვენგრევაო. არიქა, რაღა გვეშველებაო!

— სანამ ტრაქტორის გაკეთებას ისწავლიდეთ, მანამდე აგერ, ტყეში რომ ხარია, ის დაიჭირეთ და შეაბითო.—ამოიოხრა დედამიწამ.

დაიჭირეს ხარი და ძროხა და შეაბეს.

— ხარი შეაბით, თქვე ოხრებო, ძროხა მოწველეთ და ბავშვებს რძე დაალევინეთო.

— რძე ბავშვებსო, რძე ბავშვებსო!— დაიგუგუნეს მთებმა და გაიმეორეს ხევებმა.

— ასეც ჰქნეს, მაგრამ მაინც გაუჭირდათ, რაკი ქალებს ახნევინებდნენ და კაცები ძროხას წველიდნენ.

— არც ეს შეიძლება, თქვე უჭკუებო! კაცებმა მოხანით და თესეთ, ქალებმა ძროხა წველეთო.

ესეც ჰქნეს, მაგრამ რა გამოვიდა, ქალებს პურს ამკევინებდნენ და კაცები ხაჭაპურებს აცხობდნენ.

—კაცებმა მომკეთ და გალეწეთ, თქვე ბატისტვინებო, ქალებმა აცხეთ ხაჭაპურები და კვერცხის გული გადაუსვითო.

გამოაცხვეს კეცსა და კეცს შუა კვერცხის გულწასმული ხაჭაპურები და ჭამდნენ და ჭამდნენ. ერთმანეთს გლეჯენ ხელიდან და დაულეჭავად ყლაპავენ. ადამიანს გაჩენის დღიდან ეზოში ჭამა უყვარდა. ვინც ყველაზე გაუმაძღარი იყო: თიხის პატარა კეცში გამომცხვარი რას მეყოფაო და დიდი ქვის კეცი გააკეთა. რაღა თქმა უნდა, ქვისკეციანს ფქვილი, ყველი და კვერცხი მალე გაუთავდა და ვისაც ჯერ კიდევ ჰქონდა, იმას მიუვარდა, კუჰს თუ აჰყევი, რა საძაგლობას არ ჩაგადენინებს, მიუვარდა და წვრილი, შემხობილი კეციდან ხაჭაპური ააგლიჯა, სულწაუბერავად შეუჭამა. სულ დაითუთქა პირი.

— ეს ჩემი იყოო! — გაიქაჩა პატრონი, აიღო ქვის ჩაქუჩი, დაჰკრა მოძალადეს და იმანაც თქვენი ჭირი წაიღო.

— არიქაო! — გადაირივნენ უხაჭაპურო ქვისკეციანები და წვრილკეციან ხაჭაპურიანებს დაერივნენ. ხაჭაპურიანებიც არ დარჩნენ ვალში და შეიქნა ხოცვა-ჟლეტა.

— ეს რა ამბავიაო! — ცოფი ჰყარა დედამიწამ და ისევ იძრა, სულ გაასწორა მიწასთან ყველაფერი და ატირდა.

— ომიაო, ომიაო, ომიაო! — დაიგრიალეს მწვერვალებმა, მთებმა და ხევებმა. ადამიანებზე გული გაუცივდათ და დედამიწის ცრემლი თავზე გაეყინათ — ჩამოათოვათ, გაჭაღარავდნენ.

მანამდე დედამიწა მწვანე—ახალგაზრდა იყო.

ისევ შეშინდნენ ადამიანები. ხაჭაპურიანები ტყეში შეცვივდნენ, დაიმალნენ და ჩუმად დაიწყეს ჭამა. უხაჭაპუროებმა მშვილდ-ისარი გააკეთეს, მიეპარნენ, შორიდან ესროლეს და ცხელი ხაჭაპური ხელიდან გააგდებინეს. ხაჭაპურიანებმა ჭკუა იხმარეს, ტყეს მაღალი მესერი შემოავლეს და დარაჯები დააყენეს.

— რას შვრებით, ამ ჩემს ზურგს რომ ლობავთ, რა გინდათ, რას მერჩითო! — ისევ ცოფი ჰყარა პირიდან მიწამ.

— ნუ ლობავთ, თუ არა თქვენს შორის მტრობა არ მოიშლებაო, არ მოიშლებაო! — ზვავები წამოვიდა, მთებიდან, მწვერვალებიდან და ხევები და უფსკრულები აივსო.

— არაო! — ხელები გაასავსავეს, კინაღამ ცხელი ხაჭაპურები გაუცვივდათ ხაჭაპურიანებს.

— ახლა ჩვენ რაღა ვქნათო! — გადაირივნენ ქვისკეციანები.

— რომ მიდექით და იმ დიდ-დიდ ქვის კეცებზე აცხვეთ და აცხვეთ, ხვა-

ლინდელ დღეზე უნდა გეფიქრათო, — დაარიგა ჭაღარა დედამიწამ.

— ხვალინდელ დღეზე უნდა იფიქროთო, უნდა იფიქროთო!.. — გაიმეორეს მიწის სიბრძნე მთებმა და ხევებმა.

დასხდნენ ადამიანები, არც საზღვრები მოშალეს, არც ღობე დაანგრიეს და დაიწყეს ფიქრი და ოცნება, ვიღაც-ვიღაცეებმა ლექსებიც კი დაწერეს.

— არაო, — კინაღამ ორად გასკდა დედამიწა. — აგრე ხომ შიმშილითა და სიცივით დაიხოცებითო. სახლი ააშენეთ, საბძელი, ხულა და ნალია დადგით, შეინახეთ შიგ ჭირნახული, გამოიზოგეთ წლიდან წლამდი და მერე ჯანდაბას თქვენი თავი, თუ გინდათ, ის ლექსებიც წერეთ, რაკი მაინც და მაინც არ იშლით და ის კი არა, თუ გინდათ, ხატეთ კიდევაცო.

— ჩვენ დაგვხატეთო, ჩვენ დაგვხატეთო! — გაუხარდათ მთებს და მწვერვალებს.

აიშენეს სახლი, დაიდგეს ნალია და ბეღელი, მერე საქათმეც კი მიადგეს, მელიამ ჭრელი ვარია არ მოგვპაროსო, რაკი ქათმის ჩიჩია ადამიანს მელაზე უფრო უყვარს.

დასხდნენ, თორნეც გააკეთეს, ამოაკრეს ლავაშები და გამოზოგებით ჭამენ და ჭამენ: საუზმეს, სადილს, ვახშამს. დღეს, ხვალ, ზეგ, ამ კვირაში, იმ თვეში, გასუქდნენ, ქონი და სისხლი მოეძალათ, ვერ დაეტივნენ საზღვრებში და მეზობელს მიადგნენ

—ხომ ხედავ, რა ლონეზე ვართ, დავმსხვილდით, ქვეყანა გვევიწროება და ეს მესერი გადაწიეთო.

ღვთის წინაშე, პოეტებმა კი თქვეს, მეზობელმა რამდენიც არ უნდა მიწიოს ღობე, ჩვენ იმდენს გავსუქდებით, მაინც არ დავეტევითო. სჯობია, ცაზე აფრენაზე ვიოცნებოთ, ცა უსაზღვროა და ყველას გვეყოფაო.

— ეს გიჟიაო! — სიცილი დააყარეს, ვისაც ლექსი თვალით არ დაენახებოდა — ცაზე ავფრინდეთ, რა ტოროლა ვართო? — და ისევ მეზობელს მიუბრუნდნენ: გინდა თუ არა, საზღვარი მისწიე, ქვეყანაზე ვერ ვეტევითო.

— შენც არ მომიკვდეო! — მისცა ფეხი ღობის ძირში მეზობელმა, — ის კი არა, მე თვითონ მეცოტავება ჩემი ტყე და მინდორიო.

— ამას ხომ ხედავო! — დაანახეს მეზობელს გაპრიალებული ხანჯალი.

— კიო, მაგრამ ამასაც შეხედეთო!— დააძრო მეზობელმა ხმალი.

თურმე ერთი რომ ჩუმად ხანჯალს ჭედავდა, მეორეს ხმალი გაუკეთებია.

ღვთის წინაშე, პოეტებმა კი თქვეს: მაგ ხანჯლების გაკეთებას, კალმები გაგვეკეთებიათ, ფრთით ვწეროთ, გავპუტეთ ბატებიო, მაგრამ ვინ უგდო ყური, იშიშვლეს ხანჯლიანებმა ხანჯლები და მისწიეს საზღვარი. იძვრეს ხმლიანებმა ხმლები და მოსწიეს საზღვარი.

პოეტებმა, ღვთის წინაშე კი თქვეს: ცისთვის კიდევ ჰო და, მიწისთვის ერთმანეთის ხოცვა არა ღირსო, ყველანი ერთი ბაბუის — ადამის შვილები ვართო, მაგრამ ვინ გაუგონათ, ის კი არა და, თითო-თითო პოეტებსაც ჩააფარეს თავში და მტერს მიესიენ.

ატყდა სისხლის ღვრა. ხმლიანებმა ხანჯლიანებს აჯობეს, რაკი ხმალი ხანჯალზე გრძელია და საზღვარი მოსწიეს

ხანჯლიანებმა თავში ხელი წაიშინეს. თავი იმისთანაა, თუ ორივე ხელს წაიშენ, არ შეიძლება რაიმე უბედურება არ მოიფიქროს და გრძელი შუბი მოიგონა.

დასცხეს შუბიანებმა და სულ ცხვრებივით გადარეკეს ხმლიანები.

ახლა ხმლიანებმა დაირტყეს მუშტები თავში და თოფი გამოამეცნიერეს.

თოფი რომ გავარდა, შუბიანებმა იკადრეს უკან დახევა და თავში მარტო ხელი კი არა, ქვა და ლოდი დაიშინეს და ხომ გითხარით, თავი ისეთი მანქანაა, თუ უსაშველოს გაუჩენ, რა უბედურება გინდა რომ არ მოიგონოს და ზარბაზანი არ დააქუხეს?.. ზარბაზანს ბომბები მოჰყვა და...

— აუუ! — ზარბაზნის ქუხილზე აქუ-

ხდნენ მთები და მწვერვალები, აღრიალდნენ ხევები და უფსკრულები.

— ესენი რა გამიჩნდნენ, რომ გამიჩნდნენ, ერთმანეთს დაწყვეტენო! ვულკანი ჩამქრალი იყო და ისევ ამოიფრქვა.

— აბა რა ვქნათ ქვეყანაზე რომ ვერ ვეტევითო! — თავი იმართლეს მეომრებმა,—თან მხოლოდ ჭამა და ძილი მოგვწყინდაო, — ატირდნენ ადამიანები.

— რა მოგივიდათ, რა დაუტევარი დაგემართათო. თუ მოგწყინდათ, ნუ კი ტირით, იმღერეთ, იცეკვეთ, მეზობლებს სირბილში გაეჯიბრეთ. აბა, თქვენ იცით რომელი რომელს გაასწრებსო, — ამოიგმინა დაღლილმა, ჭაღარა დედამიწამ.

— უნდა იმღეროთ, უნდა იმღეროთო! — დაიგუგუნეს მთებმა და ადამიანს სიმღერა ასწავლეს.

დაცხეს და დაცხეს სიმღერა, მაგრამ რა გინდა, ხმა ვერააწყვეს. ვის რა მოეპრიანება, იმას ბღავის.

— ყურები ნუ გამომიჭედეთო! — ისევ ამოიგმინა ქანცგაწყვეტილმა მიწამ.

— აბაო?

— აბაო და, ვენახი მოაშენეთ, ყურძენი ბავშვებს აჭამეთ, მერე ღვინო დააყენეთ და დალიეთ, იქნებ რაიმე გეშველოთო.

დარგეს ვენახი. მიესივნენ ყურძენს ბავშვები. მერე დაკრიფეს, დაწურეს და ქარვასავით ღვინო დააყენეს. სვეს ცივი ღვინო, დააყოლეს ცხელი ხაჭაპური, ტყემალში ამოწებული კეცებს შუა შემწვარი წიწილა და, მოგეცათ ლხენა, სიმღერა დაიგუგუნეს. ბოლოს კარგი ბუქნაც ჩამოუარეს და ისევ დასცხეს მიწას წიხლები.

— რა გინდათ, ახლა მაინც რას მერჩით, ეს წიხლების ცემა და მალაყები რატომ არ მოიშალეთო! — გადმოსძახა მიწამ, რაკი ადამიანის გული ვერაფრით ვერ გააძღო.

— რას გვერჩით, რას გვემართლებითო! — გაიმეორეს სევდიანად ხევებმა და უფსკრულებმა.

— არაფერს, შე კაცო, კარგ გუნებაზე ვართ და გესიყვარულებითო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე ეგაა სიყვარულიო?

— ეგ რა სიყვარულიაო, ეგ რა სიყვარულიაო! — ისევ და ისევ გამოექომაგენ მთები და მწვერვალები მიწას.

მაშინ კარგიო, და ადამიანებმა თითის წვერებზე — ცერულით დაიწყეს სიარული...

— მაგრამო!... — წამოცდათ, რაკი ჩუმჩუმად თოფ-ზარბაზნის კეთება ვერ მოიშალეს.

— რა მაგრამო! — ცეცხლი კინაღამ წაეკიდა მიწას, — კიდევ რა „მაგრამ" აგიტყდათო.

— რა მაგრამო, რის მაგრამო! — შეტორტმანდნენ მთები და სერები, აღმუვლდნენ ხევები და უფსკრულები.

— რაო და, ადამიანის გული ხომ იციო, საზღვრებში რომ არ დავეტიოთო... საზღვრები რაა, მიწაზე რომ არ დავეტიოთო?..

—რა ღმერთი გაგიწყრათო! — აბღავლდა მრავალტანჯული მიწა, — ჯანდაბას თქვენი თავი, თუ უსაშველო გაგიჩნდათ, ირტყით თავში ხელი, თვითმფრინავები გააკეთეთ, ჰაერში აფრინდით, სამყარო უსასრულოა, აქ მაინც დაეტევითო!

— ჰაერში იფრინეთო, იფრინეთო! — ბანი დააწიეს მიწას მთებმა, მწვერვალებმა და ხევებმა.

თუ სიმართლე გინდათ, პოეტებმა თავის დროზე კი თქვეს...

— უჰ, შენ აგაშენა ღმერთმაო! — წამოიძახეს ადამიანებმა და დასცხეს ხმაშეწყობილი სიმღერა, მერე თითის წვერებზე — ცერულით ჩამოუარეს და შიგდაშიგ ფეხის გასმაც კი დაიწყეს, იქნებ მიწას შეეხიცინოს და გაეცინოსო.

— შენ უბრალოდ მიწა კი არა, დედა ხარ ჩვენი, რა სიკეთე გვიქენი, დედამიწა უნდა დაგიძახოთო!

— მერე მასე ჰქენით, თქვე ოჯახაშე-

ნებულებოო! — ცოტა გულს მოეშვა საწყალ დედამიწას.

— დედამიწაო, დედამიწაო, დედამიწაო! — გაიხარეს მთებმა, მწვერვალებმა, ხევებმა და უფსკრულებმა!

— გასაგებია დაჩი? — ჰკითხა ბაჩომ ნაბოლარა ძმას.

— დე-დე-და-მიწა! — მთქნარებით თქვა დაჩიმ და მიიძინა.

ბაჩომ, ვერ იქნა და, კარები ისე ვერ გამოიხურა, არ გაახმაუროს, მაგრამ დაჩი, ალბათ, მიეჩვია ამ ხმაურს და არც კი ესმის.

გარეთ, დაღლილ, მძინარე დედამიწას ცა ისე დაყურებდა, როგორც დაჩის დედ- მამის და და-ძმის თვალები.

— აბა, მითხარი, დაჩი, გუშინ ბაჩომ რა ზღაპარი გიამბო? — ჰკითხა მანომ, როცა ბაჩომ არითმეტიკის წიგნი და რვეული იღლიაში ამოიჩარა და მეგობართან წავიდა, საშინაო დავალებას ერთად გამოვიყვანთო.

— დედამიწის ზღაპარი მომიყვა, — უპასუხა დაჩიმ დაიას.

— დედამიწის ზღაპარი?! — გაუკვირდა მანოს, — ნეტავ რა ზღაპარი უნდა იყოს? — ვერაფერი მოისაზრა დაიამ. — მოგეწონა?

— მომეწონა, — თავი დააქნია დაჩიმ, — და მიწას წიხლს აღარ დავკრავ.

— მაშინ... მაშინ იცი, დაჩი, მე რას მოგიყვები? ზღვის ზღაპარს.

— ზღვის ზღაპარი რათ მინდა. ვარსკვლავების, მთვარის ან მზის ზღაპარი მომიყევი.

— დაჩი, პირდაპირ გადამრევ, ზღვის ზღაპარი როგორ არ გინდა?!

— შენ გგონია, დაია, მე ზღვა არ მინახავს?

— ვიცი, რომ გინახავს და ამიტომაც მიკვირს.

— ზღვა წყალია და მეტი არაფერი, ჰო, ღელავს...

— წყალია და მეტი არაფერი?! — შეიცხადა მანომ — და ღელავს და მეტი არაფერი?! შენ, დაჩი, ზღვა სულ არ გცოდნია.

— ვიცი! — გაჯიუტდა დაჩი, — თევზები და გემები დაცურავენ... და ვეშაპი.

— ეგ ხომ ყველამ იცის.

— მეტი არაფერიც არაა ზღვაში, — ისევ ჯიუტად გაიმეორა დაჩიმ.

— აი, თუ არ არის... საღამომდე მაცადე და მერე ნახავ თუ არ არის.

იმ დღეს დაღამებას საშველი არ დაადგა.

ბოლოს, როგორც კი მზე ჩავიდა, დაჩიმ მაშინვე ივახშმა და, ჯერ კიდევ ადრე იყო, რომ თავი მოიმძინარა.

როგორც კი დაჩი საბანში გაეხვია, მანომ დაიწყო:

## ზღვის ზღაპარი

— იყო ერთი ბიჭი და ერქვა დაჩი,— დაიწყო დაჩიმაც.

ეტყობოდა დაიას სულ სხვანაირად ჰქონდა მოფიქრებული, მაგრამ ძმას მაინც დაეთანხმა:

— ჰო, იყო ერთი ბიჭი და სახელად ერქვა დაჩი. დაჩის სოფელთან ახლოს ჩამოდიოდა მდინარე. ბიჭმა იცოდა, რომ მდინარე თოვლიან მწვერვალებში იწყება.

— თოვლი დნება და მდინარეს აჩენს, — თქვა დაჩიმ. აი, ხომ მართლა მცოდნიაო.

— ჰო, თოვლი დნება და მწვერვალებიდან კისრისტეხით ჩამორბიან თეთრი ჩანჩქერები, უერთდებიან ერთმანეთს, მთაში ცისფერი წყაროები და ნაკადულები ემატებათ და ჩვენს სოფელთან მდინარედ მიედინება.

ერთხელ დაჩიმ თქვა: მოდი, გავყვები ამ მდინარეს და ვნახავ, სად მიდისო. დაიხურა ქუდი, დაიკიდა წელზე ხანჯალი, გადაიდო მხარზე მშვილდ-ისარი და გასწია.

მიყვება მდინარეს და მიდის. იარა, იარა, ხედავს, მდინარეს ისევ მდინარე შეუერთდა. კიდევ იარა, კიდევ შემოუერთდა. კიდევ იარა, იარა და რას ხედავს: გათავდა ხმელეთი და მიადგა

ზღვას. არსად არც ნაპირი უჩანს და არც კიდე-განი. ღელავს ზღვა. წუხს და შფოთავს: ეს რა უშველებელი რამა ვარო.

— ერთი შენც, — უთხრა დაჩიმ, — მაგას რა სჯობია, რომ დიდი და უზარმაზარი ხარო.

— მარტო მაგას კი არ ვწუხვარ, — დაიხუვლა ზღვამ, — ჩემს ქვევით მთელი მშვენიერი ქვეყნიერებაა და ბევრს ჰგონია უძირო, მარილიანი წყალი ვარ და მეტი არაფერიო.

— ვიცი, რომ ფსკერზე ლამაზ-ლამაზი კენჭები გიყრია!

— ჩამოდი და ნახეო! — აღშფოთდა ისევ ზღვა, — ჩამოდი, ნახეო!

— რა ვნახოო? — უკან დაიწია დაჩი. დაჩი საქვეყნოდ განთქმული მონადირეა და ხომ ვერ გაამხელდა, თუ არა ამოდენა ზღვის კიდეც შეეშინდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა, ახლა მაგ რიყისთვის ფეხს დავისველებ, მეტი საქმე არა მაქვსო?!

— ჰო, მასე რომ გგონიათ, ამიტომ ვღელავო, — აიწია ზღვა ყალყზე და ნაპირს დაასკდა.

— კარგი, დაშოშმინდი, ნუ ირევიო! — დაუძახა დაჩიმ — ვნახავ ერთი რაც ბრძანდებიო.

ზღვა მაშინვე დაწყნარდა და სარკესავით კამკამა და გამჭვირვალე გახდა.

დაჩიმ თავზე მინის ჩაფხუტი — აქვალანგი ჩამოიცვა; შარვალი წინდებში ჩაიტანია, ფსკერზე სადმე შლამი და ტალახი არ იყოსო. გულისპირი აიბნია და წყალში შევიდა.

ცოტა კი ეუხერხულა დაჩის, ეს როგორ ავმჩატდიო, მაგრამ სამაგიეროდ აგერ, რომ ფეხი დაჰკრა, იქ, ათ ნაბიჯზე გადაალაჯა. ასე რომ არა, ამ უკიდეგანო ზღვას შენ გაივლი?

მიდის, მიდის და რას ხედავს: ზღვის ფსკერზე ისეთი წალკოტი გადაიშალა, ისეთი ბაღებია რძის ლამბაქისებური ნიჟარებით მოკირწყლული, ზღვის ვარსკვლავებით და უშველებელი ლოკოკინებით, თევზებს ხომ სათვალავი არა აქვს და ამ შვიდფერ ხეივნებში ისე შვიდფერად ელვარებენ, დაჩიმ იფიქრა: ასეთი ზღაპრული სილამაზის პატრონ ზღვას კი ჰქონია საწუხარი და საშფოთავი, რაკი უბრალოდ ბევრი მარილიანი წყალი ჰგონიათო.

რამდენი მიდის, იმდენი უკეთესი და უკეთესი მშვენიერება იშლება. ახლა ამ კრიალა ფიალა ნიჟარებში ძვირფასი ქვები გაერია. მარჯანი, ლალი, ფირუზი, და ეს კიდევ რაა, ბიჭმა უეცრად თვალებიც კი დახუჭა, ისე მოჭრა მარგალიტების ბრჭყვიალმა. დაჩიმ მოკრიფა და ჯიბეში ჩაყრაც კი მოინდომა, მაგრამ მერე იფიქრა: შურდულისათვის ცოდვაა, ამისთვის ქვის კენჭიც კი გამოდგება, აბა ისე რად მინდა, ტყუილა ჯიბეებს ჩამოიმხევსო. იყოს აქ, კიდევ რომ ვინმე მოვა, იმასაც ხომ უნდა მოეწონოსო.

მიდის დაჩი ზღვის ფსკერზე, ასმევს თვალს წყალს და უკან დაბრუნებას არც აპირებს. ამ დროს თევზები თავქუდმოგლეჯილები გაცვივდნენ და გამოცვივდნენ. ატყდა წყლის დგაფუნი და შხუილი, მოიხედა ბიჭმა, ხედავს, მისკენ პირდაღებული ზვიგენი მოექანება.

დაჩიმ ხანჯალი იძრო, გაიელვა ალმასისპირიანმა ხანჯალმა, ზვიგენმა გვერდზე ჩაუქროლა, მოტრიალდა და ისევ გამოექანა. ისევ რომ ჩაუქროლა, დაჩიმ ხელი ფარფლის ძირში სტაცა და თან გაჰყვა. მიშლიგინობს ზვიგენი. დაჩიმ ამ გალიპულ ფარფლზე ხელი არ დამისხლტესო, ხანჯლით გაუჭრა და შიგ მკლავი გამოუყარა: ახლა, შე ყაჩაღო, ირბინე, რამდენიც გაგეხარდებაო. რა ქნას ზვიგენმა, გაიქცა, ბიჭიც თან ახლავს, გაჩერდა, დაჩის მკლავი აქვს გამოყრილი და მის გვერდზე, წყალში, მხართეძოზე წამოწოლილივითაა, გადაირია ეს მართლა ყაჩაღი, ავარდა და დავარდა.

— ტყუილა ნუ ფხაკურობო! — ხანჯალი ჩააგო დაჩიმ და ზვიგენს ყურისძირში მუშტი უთავაზა, — რომ დაგიღია პირი და ამ სამოთხესავით ზღვაში

რა შეჭამო და გადაყლაპო, მარტო ამაზე ფიქრობ, მე შენ ვინ გგონივარო!

— მე შენ კარგი, გემრიელი ლუკმა მეგონე, რა ვიცოდიო.

— რას ჰქვია არ იცოდიო! — ისევ უთაქა დაჩიმ, — არც ზღაპარი წაგიკითხავს, არც რადიო მოგისმენია, არც ტელევიზორი გინახავსო?! — გაუკვირდა დაჩის.

— მაგ ზღაპარი, რადიო და ტელევიზორი ხომ არ იჭმევაო? — დაინტერესდა ზვიგენი, — მე მხოლოდ იმას ვეძებ, რა შევსანსლო და გადავყლაპოო.

— კარგი ღორმუცელა ვინმე ყოფილხარ, მე და ჩემმა ღმერთმაო, — უთაქა და უთაქა დაჩიმ.

— მე შენ დელფინი ხომ არ გგონივარ, ზვიგენი ვარო! — გაიქაჩა ყაჩაღი.

— მე დაჩი ვარ და ფეხებზეც არ მკიდია შენი ზვიგენობაო! პანღური მუცელქვეშ ამოჰკრა დაჩიმ, რაკი სხვანაირად ამსიგრძე თევზს ვერა მოუხერხა-რა.

— ვინა ხარ ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, რა გინდაო? — გაბრაზდა ზვიგენი, რადგან პანღური იმდენად არ ეტკინა, რამდენადაც ეწყინა.

— დაუპატიჟებელი კი არა, ზღვამ კინაღამ თავი დაიხრჩო, სანამ დამითანხმებდა. ახლა რაკი ჩამოვედი, მინდა ეს საუცხოო ქვეყანა დავათვალიეროო. ზღვა გადარეულია: კაცმა ხეირიანად არ იცის, რა სიმდიდრის პატრონი ვარო. შენ მაინც საავკაცოდ დამილიგინობ, ზურგზე შემისვი და მატარეო.

— გატარო რა, მე შენ მართლა დელფინი ხომ არ გგონივარო.

— არაფერი დელფინი არ მგონიხარ, გიცნობ რა ვაჟბატონიც ბრძანდებიო, — შემოიძრო დაჩიმ ქამარი, აბზინდაში გაუყარა, მარყუჟი გააკეთა და ზვიგენს გრძელ ცხვირზე მოუჭირა, ბოლო ხელში დაიჭირა და ყაჩაღს ქეჩოზე მოაჯდა. გაჭრილ ფარფლში ფეხი გაუყარა, მეორე მხარეზეც გაუჭრა, მეორე ფეხიც შიგ წაყო.

იშვირა ფეხი ზვიგენმა და ისევ თევზებს გამოუდგა. დაეწია ერთ ოქროსფერს და უნდოდა გადაეყლაპა, მაგრამ ნურას უკაცრავად და, ღრანჭი შეკრული აქვს. ოქროსფერ თევზს თავისი დაემართა, არაფრით არ დაიჯერა, რომ გადაყლაპული არ იყო. ბოლოს კუდზე რომ იკბინა, მიხვდა, რომ ცოცხალი ვარო, სიხარულით კინაღამ გადაირია და ისეთი დავლური ჩამოუარა, ამხედრებულ ბიჭს სულ თავზე ევლებოდა. მერე სხვებიც მოგროვდნენ. ვერცხლისფერები, სპილენძისფერები, სარკისებურები და ისეთი მხიარულება შექმნეს, თავი ზღაპარში გეგონებოდა.

მერე ერთი ბებერი თევზი მიუახლოვდათ, ცეკვის თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ ჭკუა-გონება უჭრიდა. უყურა, უყურა უცხო სტუმარს და თქვა:

— თუ კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ეს ბიჭი დაჩი უნდა იყოსო.

— საიდან იციო? — თვალები გადმოუცვივდათ თევზებს, — დაჩის ამბავი მათ მდინარის თევზებიდან ჰქონდათ გაგონილი.

— ჩემი თვალით მყავს ნანახი, მდინარის მეფესთან, კალმახთან, ვიყავი გაგზავნილი ელჩად და იქიდან ვიცნობ, სიბერეს რა ვუთხრა, თუ არა, მაშინვე უნდა მივმხვდარიყავიო.

— აკი არ გამიკვირდა, ეს ვინაა ამ გაუმაძღრისთვის პირი აუკონავს და ზედ მოჯდომია-მეთქი? — კვერი დაუკრა ოქროსფერმა, აქამდე რომ არაფრით არ სჯეროდა გადაყლაპული არა ვარო.

— არა, მაინც დელფინებს ვკითხოთ, ისინი ჭკუით სავსე არიან, თუ ეცოდინებათ, იმათ ეცოდინებათო. — მაინც შემოიტანა წინადადება ვერცხლისფერმა თევზმა, რომელიც უფრო ოქროსფერ თევზებში დაცურავდა.

— მაგას რა დელფინების შეწუხება უნდა, დაჩი რომ ვარ, მე უკეთესად არ ვიციო! — გაიღიმა დაჩიმ.

— მეფესთან უნდა მივიყვანოთო!— თქვა ისევ მოხუცმა თევზმა.

— მეფე თვალით არ დამენახვებაო! — იყვირა დაჩიმ, — იმ ქონად და ლეშადქცეულ ვეშაპს თუ არ ვეახლე, ისე არ დავდგებიო.

— ამ შეჩვენებულ ზვიგენს, წასვლისას, ეგ ქამარი ხომ უნდა შემოხსნაო?— ჰკითხა უხუცესმა.

— აბა უქამროდ ხომ არ ვივლი, შარვალი ხომ ჩამძვრებაო! — გაიცინა დაჩიმ.

— მერე მაგას ენაზე რაიმე დაამაგრდება, ვეშაპს ამბავს მიუტანს, გაიგებს, რომ აქ იყავი და ვერცერთი ცოცხალი ვერ გადავურჩებითო! — აბღავლდნენ თევზები.

საიდანღაც უშველებელი ზღვის კუც მოვიდა. ბარე ოთხასი წლის მაინც იქნებოდა, იმანაც ის დაადასტურა, თან დაჩის შესთავაზა: მაგ ყაჩაღზე რომ ამხედრებულხარ, მე შემაჯექ ზურგზე და წაგიყვანო.

— შენ, მაგ ხნის კაცს, ამას რავა გკადრებო, — იუარა დაჩიმ, ის აღარ უთხრა, შენ როდის მიბობღდები იქამდეო.

— აბა, გავსწიოთო! დაეთანხმა დაჩი, — იმ თქვენმა დოყლაპია მეფემ, ჩემს ბარობაზე მართლა არაფერი მოგწიოთო.

დაადგნენ გზას, დაჩის ზვიგენი დასცხებს კუდს, გავარდება წინ, თევზები გაწყდნენ წელში, შენ დაეწევი? მოქაჩავს დაჩი, მოუგრეხს კისერს, ზვიგენი ადგილზე დატრიალდება, წამოეწევიან, კუ სულ დაიკარგა თვალთაგან.

იარეს, იარეს, ამ კამკამა ზღვის ფსკერზე შორიდანვე რაღაცამ გაიელვა, ათასმა და ასი ათასმა მარგალიტმა ერთად გამოანათა.

— ეს რა ამბავიაო? — იკითხა დაჩიმ, — აქ ბევრი სილამაზე ვნახე, მაგრამ ამისთანა არაფერი დამსიზმრებიაო.

— მეფის სასახლეაო! — მაშინვე უპასუხა ოქროსფერმა, არაფრით რომ არ სჯეროდა გადაყლაპული არა ვარო

— გაგვწყვიტა წელში მაგის აშენებამო, — ამოიკვნესა უხუცესმა თევზმა, — მაგას შევალიე ჩემი სიყრმე და ახალგაზრდობაო.

მივიდნენ ახლოს, რა ზღაპარი, რის ზღაპარი. სასახლის კედლებში ქვის მაგივრად, წითელი ლალი, ცისფერი ფირუზი, აგურებივით გამოთლილი მარჯანი, ბადახში და საფირონი, და ყველაფერი ისე ელავს, დაჩიმ იფიქრა ჯადოსნურ კალეიდოსკოპში ხომ არ ვიჭვრიტებიო. კარებთან ზღვის ლომები აჩენენ წვერწათლილი ფანქრისტოლა ბროლის კბილებს. დაჩიმ ხანჯალი ნახევრამდე ამოსწია. ახლა აქ ამათ არ დამიწყონ გაგიშვებთ, არ გაგიშვებთო.

მიადგნენ კარებს. ისმის, მაგრამ რა მუსიკა ისმის. ასე გგონია გამდნარ მარგალიტს გასხამენ ყურში.

დაჩიმ ზვიგენი ქამრით სიზმრის სვეტს გამოაბა, ჰკრა წიხლი და შეაღო კარები. ხედავს და რას ხედავს: ჭერზე ყურძნის მტევნებივით ჰკიდია ობოლი ალმასის ჭაღები. ბდღვიალებს უშველებელი დარბაზი, ამ იისფერ ზღვის წყალში ათასი ცისარტყელა ირევა. მუსიკა, ხომ გითხარით, ადნობს ბრილიანტს, გასხამს ყურებში, და ეს კიდევ რა იქნებოდა, ამ საოცრებათა საოცრებაში დალივლივებენ სადაფისფერი, თეთრი გოგო-თევზები, რომელთაც ბაჯაღლო ოქროს ბოლოები და თმები აქვთ. ცეკვავენ არ გაგონილ, თვალით უნახავ ცეკვას. მერე ამ წყალში ხომ ეს ბაჯაღლო ოქროს თმები ყოველ მხარეს იშლება და იტალღება, და მერე, ერთბაშად, ხმაურზე რომ ყველამ მოიხედა, დაჩიმ იფიქრა, ეს ასმა მზემ ერთად შემოანათაო და თვალებზე ხელები აიფარა, ბუდეებიდან არ გადმომიცვივდესო. და ბეწვზე მოუსწრო, თუ არა ამის დამნახავ თვალებს რა დაამაგრებდა.

უცებ ამ საოცრებათა დარბაზში შადრევანი ამოსკდა, მღვრიე წყალი და ჰაერი ამოვარდა. ფერიები სულ გალურჯდნენ, დაჩიმ აქვალანგში ხელი

ვერ შეიყო, თორემ ცხვირზე უნდოდა თითები მოეჭირებინა.

— ეს რა ამბავიაო! — იყვირა დაჩიმ. დაიხედა ქვევით და რას ხედავს: შავი მარგალიტის იატაკზე გადაუგიათ ბროწეულისფერი სტავრა-ატლასი და ამ ძვირფასეულობაზე აგდია უშველებელი ვეშაპი — მეფე. უშვებს მყრალ ამონასუნთქს. დაჩიმ მხრიდან მშვილდი გადმოიღო, მაგრამ, რომ დაინახა, ირგვლივ ჟანგბადის ბალონები აქვს შემოწყობილი, იფიქრა, ალბათ მომკვდარაო და კაპარჭიდან ისარი აღარ ამოუღია.

თურმე ნუ იტყვით: ვეშაპი ხომ მაღლა, წყლის ზედაპირზე უნდა ამოვიდეს, რომ ჰაერი ჩაისუნთქოს. ამ ტირანს უთქვამს: აბა ახლა მაღლა-დაბლა ვირბენ ჰაერისთვისო. ჟანგბადის ბალონები მომართვით, აქვე ვისუნთქებ, აქვე ვჭამ და ხელსაც არ გავანძრევ, ვიძინებ და ვიძინებო.

—თუ სძინავს, თქვენ ამ არნახული და არგაგონილი ცეკვით თავს რაღათ იკლავთო?! — თავი დაუკრა დაჩიმ ბაჯაღლო ოქროს და სადაფისფერ ფერიებს.

— რა ვიცით, რა დროს გაიღვიძებს, გაჩერებული რომ დაგვინახოს, გათავდა ჩვენი საქმე, მაშინვე... — ველარ დაამთავრა მზის სხივებივით თმებაელვარებულმა ფერიამ და თვალთაგან ჰინჰრაქის კვერცხისტოლა მარგალიტები გადმოუგორდა.

— მე უკვე ქანცი გამიწყდა, ალბათ, უკვე ჩემი ჯერიაო, — თქვა მეორემ, რომელმაც ჰინჰრაქა რაა, თვალთაგან მტრედის კვერცხისტოლა მარგალიტები გადმოყარა.

— თქვენ რომ გიყურებთ, ზღაპარი მეტისმეტად მიყვარს, მაგრამ ზღაპარშიც არ გამიგონია ასეთი სილამაზე, თვალებზე ხელებს ვიფარებ და, ეს არამზადა თავის მყრალი პირისა და მუცლის ამოსავსებად გიმეტებთო? — გადაირია დაჩი. ვერაფერმა კაცმა ვერ დაამაგრა, მოზიდა მშვილდი და ისარი, ვეშაპს პირდაპირ შუბლში გაურჭო. შეშინდნენ ფერიები და ობოლი მარგალიტების ჭალებში მიიმალნენ.

ვეშაპს შუბლში აქვს ჩარჭობილი ისარი, მაგრამ ცარიელ თავში გინდა მოარტყი და გინდა არა, მე შენ გეტყვი, ტვინი არ დაუზიანო. გაიღვიძა, ერთი დაამთქნარა და მართლა იქვე, ახლომახლო რომ ვინმე ყოფილიყო, გადაუყლაპავი ვერ გადაურჩებოდა.

დაჩიმ ხანჯალი იძრო და გავარდა, იქნებ გადამყლაპოს და ახლავე მუცელზე გამოვფატრავო. მაგრამ ვეშაპი ძველი გაიძვერა და მამაძაღლი აღმოჩნდა, კისერში გამეჩხირებაო, გარდა ამისა, ფერიები თავზე საყრელად ჰყავდა, და ეს აქვალანგიანი ბიჭი რატომ გადავყლაპო, უტკივარი თავი რატომ ავიტკივოო..

რა გინდა რომ ჰქნა?

მოუქნია დაჩიმ ხანჯალი და ზურგში ვადამდე დასცა, ქონში ვერ გაატანა. გადაბრუნდა ვეშაპი და მეორე გვერდი მიუშვირა: მანდ მეფხანება და ეგ შენა სამურველი ახლა მუცელზე მომიფხაჭუნეო.

გადაირია დაჩი, აქეთ ეცა, იქით ეცა, აგერ რეზინის მილებს არ გამოედო? ეს რაღააო, დახედა, თურმე, ნუ იტყვით, მილები ჟანგბადის ბალონებზეა შეერთებული. აქეთ-იქით ყბებში აქვს მეფეს ამოდებული და სუნთქავს.

აბა მასე არ უნდაო, დაჩი მივარდა, ჩაკეტა შიგნიდან კარები, მოუბრუნდა, ხანჯლით რეზინის მილები გადასხიპა, ამოვარდა ბალონებიდან ჟანგბადი და ბუყბუყით მაღლა წავიდა. წამოვარდა ვეშაპი, ეცა გასასვლელს რომ ზღვის ზედაპირზე აასწროს, თორემ უჰაერობით გაიგუდება. უკაცრავად, კარები ჩარაზულია, თან დაჩიც იქვე გაჩნდა ხმლით, არ უშვებს.

— არიქა, ვიღრჩვებიო! — იბღავლა ვეშაპმა.

— ჩემი სადარდებელი ეგ იყოსო, — იქვე, ძოწის სავარძელში ჩაჯდა დაჩი და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— ვკვდები, კაცი არა ხარო! — და-

ხეთქა ვეშაპი, ფეხი ფეხზე გადადებული დაჩის წინ.

—შენ რომ კაცი იყო, იმ ფერიებს მე ყურებას ვერ ვუბედავ, და შენ შენი მყრალი მუცლისთვის როგორ იმეტებო! — წიხლი ჰკრა დაჩიმ უშველებელ დრუნჩში.

— რას მოითხოვ ჩემგან, მითხარი. უჰაეროდ სულს რომ მხდიო.

— რას არ მოვითხოვ, მთელი ეს უზარმაზარი ზღვის ქვეყანა შენ დაგიქცევია და კიდევ მეკითხებიო?

— მიბრძანე, რაც გინდა, და, ხომ ხედავ, მეტი ჯანი არა მაქვს, ამსრულებელი ვარო.

— თევზებს ხელი არ ახლო!

— არა, თევზებს არ ვახლებო.

— ეს სასახლე შენისთანა მყრალს რად უნდა, ამ ფერიებს უნდა დაუტოვო, იცეკვონ არნახული ცეკვა და დაუკრან ჯერ გაუგონარი მუსიკაო.

— აუ, ამის დატოვება როგორ შემიძლიაო.

— თუ არ შეგიძლია, ეგდე მანდ! — ფეხი ფეხზე გადაინაცვლა დაჩიმ.

— მერედა სად ვიცხოვროო?—დასცხო და დასცხო ვეშაპმა ეს უშველებელი თავი შავი მარგალიტის იატაკს.

— აბა ბიჭო, შენ თუ აქ არ გამოიჭიმე, ისე არ დამიდგეო! — ცხვირი აიბზუა დაჩიმ, — თან ბალონებით თუ არ ისუნთქეო.

— მერედა, რა ვჭამოო.

— შლამი, ტალახი, და დღესასწაულებზე ხავსის და ლაყაპოს ჭამის ნება მომიციაო.

— არიქა, ვიგუდები, კარები გამიღეო! — გალურჯდა შავი ვეშაპი.

ჯერ ეს მითხარი, თანახმა ხარ თუ არაო.

— არა ვარ, მაგრამ რა ჯანი მაქვსო.

— შენ თუ გგონია ახლა თავს გაიშვებ და მერე ისევ შენსას იზამ, არ დაგავიწყდეს, მე დაჩი ვარო! — დაჩი ახლოს მივიდა და თვალში ჩახედა, კარგად დამიმახსოვრე, მერე არაფერი შეგეშალოსო.

— შენ ყოფილხარ, რაც ყოფილხარო! — დაჩის ფეხებთან ჭიასავით დაიგრიხა ეს უშველებელი ვეშაპი.

გაუღო დაჩიმ კარი, ერთი პანღური იმასაც მუცელში უთავაზა და გააგდო, მაგრამ მერე რომ მოიხედა და ამდენი ფერია უყურებდა და თვალთაგან სიხარულით თხილის სიმსხო მარგალიტებს ჰყრიდნენ, შერცხვა, ამათ თვალებს პანღური როგორ დავანახეო.

მერე რომ იქ მუსიკა და ცეკვა იყო, ენა-პირი ხომ ვერ იტყვის და ვერ იტყვის. კაცმა არ იცის, დაჩი იქ სანამდე დარჩებოდა, რომ იმ უხუცეს თევზს მკლავში არ მოექაჩა და მისკენ არ მიეხედებინა.

— შენ დედ-მამა გეყოლება, და-ძმა, ბებია და ბაბუა.

— ბიძაშვილებიც მყავსო, — დაუმატა დაჩიმ.

— შენისთანა კაცს მეგობრებს და მოსიყვარულეს რა დაულევსო.

— მერეო? — რა უნდა ამ ბრძენ თევზსო, — გაუკვირდა.

— თუ კაცი ვარ და ქუდი მხურავს, წასვლის დროაო.

— აუჰ, აბაო! — შემოიკრა თავში ხელი დაჩიმ და მაშინვე ადგა, რომ გოგო-თევზებისაკენ არ მიეხედა, თორემ აქედან წასვლას ისევ ვერ მოვიფიქრებო.

— აბა წავედიო! — თავი დაუკრა ფერიებს ბიჭმა.

— სად, სად გაგიშვებთო! — ეს ასი მზე რომ შემოესია და შემოანათა, დაჩიმ ისევ თვალებზე აიფარა ხელები.

— სად და სახლში, სახლი დამწვარი კი არ მაქვსო!

— მაშინ, ჩვენც თან წაგვიყვანეთ. ასივე შენთან ვიქნებითო და სახლობანას ვითამაშებთო.

— სახლობანასო? — გაეცინა დაჩის, — სახლობანა, ერთი მეზობლის გოგო მყავს, იმასთან თამაშმა გამიშრო სისხლი და ახლა თქვენღა მაკლიხართო. ამას გარდა, მე ხმელეთზე ვცხოვრობ და

თქვენი ბაჯაღლო ფარფლებით რა გინდათ რომ გააწყოთო.

— უშენოდ ჩვენ რა გაგვაძლებინებსო! — ისევ თხილის სიმსხო მარგალიტები გადმოყარეს თვალებიდან.

— ვეშაპის მუცელში ყოფნას, უჩემობა როგორ არ სჯობიაო, — იხუმრა დაჩიმ, მაგრამ თვითონაც ცრემლებით აევსო თვალები. როგორი დასატოვებელი იყო ეს ენით აუწერელი ზღვის ქვეყანა.

ახლა თუ ამათ ვუყურე, მეც გული ამიჩვილდება და თავი მომეჭრებაო· დახუჭა თვალები და გარეთ გამოვარდა, ამ დროს კარებთან რაღაცას წამოედო, ყირამალა გადატრიალდა. მოიხედა, ის კაი ოთხასი წლის კუ მოსულიყო და ისის იყო კარებში შემოსვლას აპირებდა.

— მაპატიე, ბატონო, ამ ხნის კაცს ეს რა გაკადრეო! — მოუბოდიშა დაჩიმ და სიზმრის სვეტზე გამობმული ზვიგენი ახსნა. უკან არ მოუხედავს, ისე მოახტა და მოსცხო და მოსცხო ქუსლები.

მოუსვა და მოუსვა.

ნაპირთან რომ მივიდა, ზვიგენი აუშვა, ქამარი წელზე მოიჭირა და ყაჩაღს შეუღრინა:

— ახლა შენს გუნებაზე არა ვარ. მაგრამ დადგება დრო და შენთვისაც მოვიცლიო.

ამოვიდა ნაპირზე და ზღვას უთხრა: კი გქონია საშფოთველად და საბობოქროდ საქმეო. შენს ადგილზე რომ სხვა იყოს, იღელვებდა კი არა, ქვეყანას წალეკავდაო, მაგრამ ის მამაძაღლები და ღვთისპირისაგან შეჩვენებულები შენც ვყოლიაო.

დაკრა ფეხი და წამოვიდა სახლში.

დაჩი უკვე სიზმრებში იყო, როცა მანო ოთახიდან გამოიპარა, მაგრამ კაცმა არ იცის, მისი სიზმარი უფრო ლამაზი იყო თუ ზღვის ზღაპარი.

გარეთ, ცაზე ფერიას თმებივით გაეშალა მთვარეს სხივები და კაკლის სიმსხო ალმასებივით ციმციმებდნენ ვარსკვლავები.

უფროსი და უმცროსი ძმა პალატიდან ეზოში რომ გამოვიდნენ, დაჩიმ მაღლა-მაღლა დაიწყო ცქერა.

— წინ დაიხედე! — გაუწყრა ბაჩო, — კიდევ რამეს არ წამოედო და კასერი არ მოიტეხო.

— ყველაფერი თავის ადგილზე შევინახე. ეზოში არც ერთი სათამაშო არ დამიტოვებია.

— კარგი, ახლა შენ მართლა გეკუთვნის ზღაპარი.

— ვარსკვლავები არ ჩანს, — გულისდაწყვეტით თქვა დაჩიმ: რაკი არ ჩანს, ვაითუ ვარსკვლავების ზღაპარი არ მიამბოსო·

— ჰო, მოღრუბლულია! — თქვა ბაჩომ. — ამიტომაა, რომ ასე უსაშველოდ ბნელა.

— წინ რომ დავიხედო, მაინც ვერაფერს დავინახავ. მთვარე და ვარსკვლავები რომ იყოს...

— მთვარე, ვარსკვლავები და მზე რომ იყოს...

— მზეს ღამე რა უნდა! — გული მოუვიდა დაჩის — განა ეგ არ ვიციო?

ამ ლაპარაკში, ზედა სართულის ოთახის კარი შეაღეს.

დაჩი საბანში შეძვრა და ჩაილაპარაკა, თან იმის შიში ჰქონდა, მთლად უარი არ მითხრას და უზღაპროდ არ დამტოვოსო.

— ვარსკვლავების ზღაპარი მინდა, ბაჩო, და რა ვქნა?

— ვერაფერს ვერ იზამ, რაკი სათამაშოები თავის ადგილზე შეინახე, მეტი რა ჩარაა, მოგიყვები.

ბაჩომ, როგორც ყოველთვის, სინათლე ჩააქრო.

— დაჩი, ხომ არ გეშინია?

— არა, არაფრის არ მეშინია. — თუ სიმართლე გინდათ, სინათლე რომ ყოფილიყო, კი მერჩია, მაგრამ...

### ვარსკვლავების ზღაპარი

ბაჩომ იფიქრა: ახლა რომ დავიწყო, იყო ერთი ბიჭი და დაჩი ერქვა-მეთქი,

არ გამიჯავრდესო, მართლადა სულ ეს დაჩი, დაჩი, რას დავიჩემეო.

— ეს ამბავი ძალიან დიდი, დიდი ხნის წინათ მოხდა..

— ვიცი, როცა მე არ ვიყავი ქვეყანაზე...

— ჰო, მაგრამ ბავშვები მაშინაც უამრავი იყვნენ...

— ვარსკვლავები?..

— მოიცა! იყვნენ პატარა ბიჭები და გოგონები, რა თქმა უნდა, დიდებიც იყვნენ, მაგრამ არ იკითხავ როგორები? თვალი უკეთესს რას ნახავდა და ყური უკეთილშობილესს რას გაიგონებდა. დიდიან-პატარიანად სიკეთის მეტი არაფერი არ იცოდნენ. ბავშვებს ყველა ქალი დედასავით უყვარდათ და ქალებს ყველა ბავშვი შვილივით. ყველა ბიჭს მაშინ ძმას ეძახდნენ და ყველა გოგოს — დას. ქვის სროლა რა იყო, არავინ იცოდა და ნაწნავებისა და თმების გლეჯა არავის გაეგონა. თოთო ბავშვი რომ ატირდებოდა, ყველა ქალი მზად იყო ძუძუ ეწოვებინა. მამას რომ წითელი ბურთის ყიდვა მოუნდებოდა და იყიდდა, რომელი ბიჭიც შეხვდებოდა, იმას მისცემდა. ასე კი არ იყო, ახლა რომ თავთავიანთ შვილებს ასმევენ რძეს და უსვამენ პურზე კარაქს, ან მარტო თავის შვილებისათვის ყიდულობენ ველოსიპედს, ორპირიან თოფსა და სათამაშო დამბაჩას.

ერთი სიტყვით, იმ ქვეყანაზე ყოფნას არაფერი არ სჯობდა. აი, მაშინ ამბობდნენ: ერთმანეთს თვალში რომ ჩავუვარდეთ, ხელს არ ამოვისვამთო.

მაშინაც იყვნენ უშვილო ადამიანები, მაგრამ ამას ვინ დარდობდა, ყველა მათი შვილი არ იყო? მაშინაც იყვნენ ობოლი ბავშვები, მაგრამ ამისათვის ვინ ტიროდა, ყველა ქალი მისი დედა არ იყო და ყველა კაცი — მამა?

სიტყვა ტყუილი რა იყო, ბავშვისათვის კი არა, ასი წლის მოხუცისათვის რომ გეკითხათ, ვერ გეტყოდა, არ გაეგონა, არ იცოდა და რა ეთქვა, ტყუილს ხომ არ გეტყოდა.

ფლიდობა, ღალატი, კვანტის დადება, ზურგს უკან ორმოს გათხრა. აპ-აპ-პა-პა! ყურმოკრულადაც კი არ ჰქონდათ გაგებული. თეთრ კბილს რომ გიჩვენებდა, გიჩვენებდა, არავითარი ხინჯი გულში არ ედო.

ბავშვები ხომ არიან და არიან, ცისმარე დღე ერთად თამაშობენ, ბურჯალობენ, ერთმანეთს ლუკმას უყოფენ... რა სჯობია მათ ყურებას.

მთელი ქვეყანა, დიდიან-პატარიანად ისე უზომოდ ბედნიერები იყვნენ, ცას ხელი უწვდებოდათ, მაგრამ, რა გინდა რა, ეშმაკი იყო გაუბედურებული. ეშმაკი იყო პირდაპირ გულდათუთქული და პირგამშრალი.

ეშმაკის ხასიათი ხომ იცი, თუ ადამიანებს ერთმანეთი უყვართ და თავზე ელევიან, მავნეს ძილი და მოსვენება არა აქვს, თავს უბედურად და წყალწაღებულად თვლის. რა ჰქნას, ასეთი გუნება აქვს და მოიკლას თავი?

ეშმაკი თუ ხედავს, ადამიანები ერთმანეთს თვალისჩინივით უფრთხილდებიან, თვალები რომ დაითხაროს მზადაა. ამის ყურებას თავში კეტი ურტყა ურჩევნია. აბა, ეშმაკი და მავნე რისი ეშმაკი და მავნეა!

რა არ იმამაძალლა, რა არ ითაღლითა, რომ ადამიანი ადამიანისთვის წაეკიდებია და გადაემტერებია, მაგრამ. ნურასუკაცრავად, კაცს თუ კაცი მართლა უყვარს და გულში ნამცეცი მტრობა არა აქვს, მასთან ეშმაკი კი არა, თვით ჯოჯოხეთის ზედამხედველი — ტარტაროზიც ვერაფერს გააწყობს.

მოიტანა ამ ყოვლადშეჩვენებულმა და ოქრო და ვერცხლი დააბნია ქუჩაში: დაესევიან ადამიანები და ერთმანეთს დაერევიანო. თვითონ დაახვია კუდი, დაჯდა ზედ და დაელოდა — თვალისსეირს ვუყურებო.

თქვენც არ მომიკვდეთ, ოქროს და ვერცხლს ზედაც არავინ შეხედა. ჰო, ეს კი თქვეს:

— ვიღაცამ დაყარა, კარგი უქნია, კიდევ რომ დაამატებდეს, ავშენდებით.

გზა აღარ ატალახდება და მეზობლებთან უფრო ხშირად ვივლითო (მაშინ მოკირწყლული და მოასფალტებული გზები არ იყო).

გადაირია ეშმაკი, სულ შემოიბღლვნა ტანზე ბალანი:

— ეს რა ხალხთან მომეცა საქმე, კაცი რომ კაცს ოქრო-ვერცხლისთვის დაინდობს, ამათ რაღა უნდა მოვუხერხო? — დაჯავრიანდა მავნე, დანა კბილს არ უხსნის. — ტარტაროზს რაღა პირით ვეჩვენო, სამსახურიდან მომხსნის, ცოლ-შვილი შიმშილით დამიწყდებაო.

იფიქრა, იფიქრა, მერე წავიდა, მოიტანა ალმასი და ბრილიანტი, მოაყარა გზებზე. დაახვია კუდი, დაჯდა ზედ და უცდის, რა მოხდება.

გამოვიდნენ ადამიანები დილაადრიან, თოხს ლესავენ, ბარს პირავენ, ცელს კვერავენ, ხედავენ, გზა და შარა მოკირწყლულია ალმასის და ბრილიანტის კენჭებით. გაიხარეს: რაღა გვიჭირს, ერთმანეთთან ავდარში და დარში ვივლითო. მართლაც, გადადიან და გადმოდიან. ვინ ცხელ ხაჭაპურს მოურბენინებს მეზობელს, ვინ კეცსა და კეცს შუა შემწვარ წიწილას ნახევარს, ვინ ტყემლის საწებელს, შენსას ჩემი სჯობია — ღორნაშთ მაქვს შერეულიო. აბა, ბავშვებს ტკბილი უყვარს, ჩემი გამომცხვარია, მაღაზიაში ნაყიდი არ გეგონოსო...

ავარდა და დავარდა ეშმაკი, სულ ბღუჯა-ბღუჯა დაიბღლვნა ტანზე ბალანი:

— ამათ ვის გადავეყარე. მოხსნას არ დავეძებ: ტარტაროზი პასუხისგებაში მიმცემს, ანგელოზი ვეგონები, ციხეში დამალპობსო.

გავარდა მავნე, მთელი ღამე ზიდა და ზიდა ღვინო და არაყი, მოიწყვიტა წელი და ყველა სახლის წინ კოკები, დოქები და ბოცები დადგა: — დალევენ, დათვრებიან, ჩხუბს, აყალ-მაყალს ატეხენ და ერთმანეთს გადაემტერებიანო, — დაახვია კუდი, დაჯდა ზედ და დაელოდა.

არაფერი გეტკინათ, ვინ ახლო ხელი.

— ერთმანეთი ულვინოდაც ძალიან გვიყვარსო. — გაიდვეს მხარზე თოხი, ბარი და ცელი, წალდი ქამარში გაირჭვეს, გასწიეს ყანაში, მინდორში და ტყეში სამუშაოდ. საღამოს რომ დაბრუნდნენ... ჰო, ეს კი ჰქნეს, მაგარი არაყი ხელზე გადაივლეს, რაიმე გადამდები ავადმყოფობა არ გადავიტანოთ მეზობლებში, ბავშვების პატრონები ვართო.

აწივლდა და აკივლდა ეშმაკი, წაიშინა ხელები სახეში, სულ დაისივა, ისედაც მაიმუნი ცხვირ-პირი. გადავარდა ჯურღმულებში, გაძვრა უკან ხვრელებში, გატოპა წუმპე და ჭაობი, გაიარა კუპრი და მდუღარე და ჯოჯოხეთის მამის — ტარტაროზის წინ მოწყვეტით დაემხო. იატაკში ლურსმანი ყოფილიყო ამოჩრილი, მუხლისთავი გაიგლიჯა.

— შენ ასეთო და ისეთო! — გადაირია ტარტაროზი. — ეს ადამიანები ერთმანეთს რომ ხელისგულზე ერბოკვერცხს უწვავენ, შენ რის მაქნისი ხარ. გამაგებინე, შენ მართლა ეშმაკი და მავნე ხარ თუ ანგელოზი! —შედგა წიხლით ჯოჯოხეთის ზედამხედველი და ეშმაკი კარგა ლაზათიანად გააუთოვა.

— ანგელოზს რა მიგავს, ეშმაკის მაზხალა ვარო, — თავი იმართლა მავნემ.

— მერე სადაა შენი ნაეშმაკარ-ნამამაძღლარი, — ისევ გაიარ-გამოიარა ტარტაროზმა ეშმაკის ზურგზე, — შტატში მაინც არ მყავდა აყვანილიო.

— თქვენო უზოროტესობავ, ვერაფერი ვერ მოვუხერხე, ოქრო არ დაიშურებია და მარგალიტი, ღვინო და არაყი. მეტი რაღა ვქნა, რა შავ წყალში გადავვარდეო.

— შენ არ გადამრიო, მართლა ანგელოზი არ იყოო! — სულ ჩექმის ქუსლები ურტყა ტარტაროზმა იატაკზე გართხმულ ეშმაკს, — ჯერ ადამიანებში შური უნდა ჩამოაგდო, შრომა უნდა

შეაძულო და სიხარბეს მაშინვე ისწავლიანო.

— მაპატიე, თქვენო უმაღნესობავ, მე დავამტკიცებ ვინცა ვარ და ანგელოზობაში ცილს ნუ დამწამებო, — გამოიქცა. მოუსვა, მაგრამ რა მოუსვა, სულ ქუსლებით დაიბეგვა უკანალი. მთელი ღამე, ნატკენი მუხლიც კი არ ჩახარა, ჰო, ჭრილობაზე ლეიკოპლასტირი დაიწება, მტვერი არ ჩამეყაროსო, დილამდე ჩუმად ზიდა ქვა, აგური, კირი და ცემენტი, თუნუქი, ოქროსფერი საღებავები, და გათენებამდე ქუჩის ერთ მხარეზე ისეთი ორსართულიანი სახლები გამოჭიმა, მდიდარ კაცსაც რომ შეშურდებოდა (მანამდე ორსართულიანი სახლი ადამიშვილმა არ იცოდა, რა იყო. უბრალო, სოხანიან, ისლითა და ლაქაშით დახურულ ქოხებში ცხოვრობდნენ). აუშენა ეშმაკმა, პატრონებს შიგ სძინავთ, არაფერი გაუგიათ.

დაახვია კუდი მავნემ, დაჯდა ზედ და დაელოდა.

გაიღვიძეს, გადმოდგნენ მოჩუქურთმებულ აივნებზე ორსართულიანები და სალამი მოახსენეს მეზობლებს.

ძველბინიანებმა: თქვენი სალამიც შევარცხვინეთ და თქვენი კაცობაცო.

—შე კაი მეზობელო, უკეთესი სახლი რომ გვაქვს, უნდა გწყინდეთ თუ უნდა გიხაროდეთო?

— კი მაგრამ, რატომ უნდა გქონდეთ, ჩვენზე უკეთესი ბიჭები ხართ თუ ჩვენზე მეტი შემოსავალი გაქვთო.

ბავშვები გამოცვივდნენ ახალი და ძველი ბინებიდან და კენჭაობის და რიკ-ტაფელის თამაში დაიწყეს ისე, როგორც გუშინ და გუშინწინ.

მავნემ ესეც არ იკმარა. პირიქით, ირიბი წვიმა წამოუშინა და ქოხმახებს ხის ცალი კედელი სულ დაულპო.

ახალბინიანები სხედან აგუზგუზებულ ბუხრებთან ქვიტკირის სახლებში და ნარდს თამაშობენ.

ქოხმახიანები წელებზე ფეხს იდგამენ, ხერხავენ და თლიან, უცვლიან კედელს, ჭრიან ნამგლით ისლს და ლაქაშს, ახურავენ ქოხებს, [illegible] არაა, ეშმაკი უშენს თოვლ-ჭყაპს. ამ გაჯორკნილ კედელში ჟონავს წყალი. ყინვამაც მოუჭირა.

ორსართულიანებმა სახლი და კარი კარგი გვაქვს, რა ვქნათ, მადისათვის ცოტა არაყი რომ დაგველია და ღვინო დაგვეყოლებია, რას იტყოდითო.

— ერთსართულიანებისათვის არ დაგვეძახოო? — იკითხა ვიღაცამ.

—არა, ისინი რაღა ჩვენი ტოლიაო! — და გადაკრეს.

ბავშვები ერთად თამაშობდნენ დამალობანას და არც მდიდარი იციან, არც ღარიბი.

ორსართულიანებმა სიმღერა წამოიწყეს. ეშმაკი იცინის, იცინის, სულ გადაბჟირდა.

ჯოჯოხეთის ტარტაროზმა ხელფასის გარდა ჯილდოც მისცა. მაგრამ იქვე დასძინა: ის ბავშვები რაღაცა არ მომწონს, რავა ანგელოზებივით არიანო!

— რა ვქნაო, — თავი იმართლა მავნემ, — პატარები არიან, შურისა და მტრობის არა გაეგებათ რაო, მაგრამ ვეცდები, თქვენო უჯოჯოხეთებულესობავ.

ტირიან, წელში წყდებიან ქოხმახიანები.

ბავშვები ერთად დახტიან, კოჭაობენ და „ბატებო, ბატებოს“ თამაშობენ.

მღერიან, იცინიან და ლიცინობენ ორსართულიანები.

ადგა ეს წახალისებული ეშმაკი, ამასობაში მუხლიც მოურჩა და იმ ქოხმახიანებს ერთ ღამეში სამსართულიანი სახლები არ წამოუჭიმა? მდიდარ კაცს რომ ზედ თვალი დარჩება, ისეთი. თოხის, ბარისა და ცელის ტარზე ეკლები გამოასხა, ახლოს ვერ მიეკარები. მერე, ამ ყოვლად მავნემ და მაკვარანცხმა, დაახვია კუდი, დაჯდა და დაელოდა.

გაეღვიძათ სამსართულიანებს, გაიზმორეს, მზაკვრულად ჩაეღიმათ და სალამი ჰკადრეს ორსართულიანებს.

— თქვენი სალამიც შევარცხვინეთ და თქვენი სინდისიცო, — დაიბოღმნენ ორსართულიანები და სახლის კარები დახურეს. შვილებს აუკრძალეს, გზის გადაღმა ბავშვებთან თამაში არ დაგვანახოთო.

გადაბრუნდა ეშმაკი, იცინის, ფეხებს აფართხალებს.

პატარები უკანა კარებში გაიპარნენ, ეზოს ბოლოდან მოუარეს და ლახტის თამაში გააჩაღეს.

სავანგებო დიპლომი და ფულადი პრემია გამოუგზავნა ტარტაროზმა მავნეს ხელფასთან ერთად, მაგრამ იქვე მიადევნა: ის ბავშვები არ მომწონს და რა გიყო!

— რა ვქნა, თქვენო უსაშინელესობავ, ესენი სანამ მშობლების ტოლა არ გახდებიან, მე მგონია, მაგათ გულწრფელობას და ერთმანეთის სიყვარულს ვერ მოვაშლევინებო, მაგრამ ცდას არ დავაკლებო.

ახლა სამსართულიანებმა დასცხეს მრავალჟამიერი და ორსართულიანებს აუტირდათ თვალი.

აბა, ბავშვებს სულ მაგათი დარდი ჰქონდათ. ხელი ხელში ჩაკიდეს და კატათაგობანა მოიგონეს.

მავნემ ორსართულიანებს ოთხსართულიანები აუშენა, გაჭედა ბოქლომი, გასაღები და ორივე მხარეზე ყველა სახლის კარებს დაადო.

ეს რა ამბავიაო, გადაირივნენ სამსართულიანები, აგინეს და ოთხსართულიანები. გადაემტერნენ სამუდამოდ და პატარებს უთხრეს, იმათ ბავშვებთან არ დაგინახოთო! და გასაღებით დაკეტეს კარები.

სხედან ბავშვები, უცქერიან ერთმანეთს ფანჯრებიდან და თამაში ისე ენატრებათ, სული მისდით.

ეშმაკი ხან ერთ მხარეს დაუმატებს სართულს, ხან მეორეს, ღებულობს ჯილდოს და დიპლომს ტარტაროზისაგან.

ბავშვები სამუდამოდ ჩაკეტეს, მაგრამ რა გინდა, ერთმანეთისათვის მაინც სულს ლევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკმა რაკი პატარებს ვერაფერი მოუხერხა, ჯოჯოხეთის მამას ამით მაინც ვაამებო და, უფროსები სულ გადარია: რა ძარცვა-გლეჯვა, ჩხუბი და დაკადაკა (თაურის დარტყმაც კი ასწავლა), მოხვეჭა და მითვისება, ტყუილი და ქრთამი, სიმდიდრე კისერში ამოუყვანა, მაგრამ გზაზე ერთ დროს რომ ოქრო და ბრილიანტი ეყარა, იმას მისდგნენ, წერაქვით და ძალაყანით გადათხარეს მთელი ქუჩა. დედა შვილს არ აიყვანსო, მაშინ ითქვა.

ბავშვები კი სხედან ფანჯრებთან და ორივენი ხელებს იწვდიან ერთმანეთისაკენ.

მერე ხვეწნა დაუწყეს მშობლებს, გაგვიშვით ,არაფერს არ გავაფუჭებთ, სილაში გვირაბს გავიყვანთ, ხიდს გავაკეთებთ, გაგვიშვითო.

ბავშვების დარდი ვიღას ჰქონდა, ისე აერიათ გზა და კვალი, ან სად ეცალათ: ერთმანეთს რაღაცას პარავდნენ, თავს ესხმოდნენ, ან გზას და შარას თხრიდნენ, სათამაშო ადგილიც კი აღარსად დარჩა. თან შვილებს ამშვიდებდნენ:

— ჩვენ თქვენთვის ვიბრძვითო, ოქრო და ბრილიანტი უნდა დაგიტოვოთ, რომ მეზობლებმა არ დაგჩაგრონო.

ბავშვებს კი ოქროს ზანდუკებს, ერთად ყოფნა და ერთი მუჭი თხილი ერჩიათ. „წკიპურტობანას" ვითამაშებთო, მაგრამ პატარების გულის ტკივილი ვის ესმოდა. საცოდავმა პატარამ სულ მუდამ დიდს უნდა გაუგონოს.

დაბოლოს, მთლად უსაშველო რამ მოიმოქმედეს, მინები რომ შეღებეს და დარაბები გაუკეთეს, ბავშვებს სული შეეხუთათ და დაადეს ფანჯრები (ფანჯრებს მაშინ ბოქლომი არ ედო და არც რკინის გისოსები ჰქონდა), გაღებისას ზოგიერთებს მინებიც კი გაუტყდა, მაგრამ რა მათი ბრალი იყო, და რაფაზე გადაეკიდნენ, ერთმანეთისაკენ ხელგაწვდილები.

რაკი ერთიმეორე ისევ ისე უყვარ-

დათ, როგორც თავდაპირველად, იმდენი იშვირეს ხელები, იმდენად არ შეეძლოთ უერთმანეთობა, სარკმლებიდან გადაცვივდნენ. მაგრამ ქვევით ქუჩა და მინდორი აყრილი იყო, იმდენი ორმოები დაუთხარეს დიდებმა ერთმანეთს და ჩაუნგრიეს ხიდები, ბავშვები სადღაც წასულიყვნენ, ან სად ეთამაშათ, და ცისკენ გასწიეს.

გასწიეს და გასწიეს, წავიდნენ და წავიდნენ. გაფრინდნენ, უკან არცკი მოიხედეს და თავისი დიდი სიკეთით, სიყვარულითა და ერთგულებით ვარსკვლავებად დაიწყეს ციმციმი.

ციმციმებენ და ციმციმებენ. თამაშობენ, გადაირბენენ, გადმოირბენენ, იცინიან, ანათებენ, გზა აბნეულს გზას ასწავლიან, შეშინებულს დაამშვიდებენ, უიმედოს დააიმედებენ, მოწყენილს გაახალისებენ.

მას მერე მშობლები დაშინდნენ და მაღალსართულიანი სახლის ფანჯარასთან რომ ბავშვებმა სკამი მიიდგას და ზედ ავიდეს, მაშინვე დატუქსავენ, არ დაგვღუპო, არ გადაფრინდეო. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა ისწავლეს ქკუა და ბაღები და ბაგები ააშენეს.

ახლა ბავშვები ერთად არიან და თამაშობენ, მღერიან, ცეკვავენ. ვინც კარგად მღერის და ცეკვავს, ან ძალიან უყვარს თავისი ტოლები, იტყვიან: ვარსკვლავა ბიჭიაო; ვინც მარდია და დაუზარელი, ვარსკვლავივით ცქრიალა გოგოაო; ვინც არ ტირის და იღიმება, ვარსკვლავივით იცინისო.

ბაჩომ რომ მძინარე დაჩი დატოვა და გარეთ გამოვიდა, დაინახა, ვარსკვლავებს ღრუბლებიდან თავი დაეღწიათ და გახარებული დაჩივით იცინოდნენ.

— ძალიან, ძალიან მეძინება! — ძალისძალათი დაამთქნარა დაჩიმ, როცა მანომ მშობლიური ლიტერატურის წიგნი დახურა და ჩანთაში ჩადო.

— ჯერ რა დროს ძილია, ხეირიანად არც კი დაღამებულა! — გაუკვირდა დაიას.

— მეძინება და რა ვქნა?

— ვიცი, რის ძილი და მთქნარებაც აიტეხე, — მიუხვდა მანო ნაბოლარა ძმას ეშმაკობას.

— დაია, რავა გგონია, ზღაპარი მინდა?

— ვითომ არ გინდა?

— არა... კი, კი, რა ვქნა, რომ მინდა, — გატყდა დაჩი.

— საჭმელი თუ ჭამე, წადი ახლა, ხელ-პირი დაიბანე, საპნის წასმა არ დაგავიწყდეს.

— რატომ იცი, დაია, რომ რაღაცრაღაცეებს გამოიგონებ. ვერ ხედავ, ჭუჭყიანი არა მაქვს? — დაჩიმ ხელისგულები დაანახა.

— არაფრის დანახვა არ მინდა, — მანომ წიგნი ,ჩანთიდან ამოიღო და ისევ გადაშალა — მგონი, როგორც საჭიროა, არ ვიცი, ერთს კიდევ გავიმეორებო.

დაჩიმ კი ჯორკო მიიტანა, ზედ შედგა, ონკანი მოუშვა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, წყალი სადღაა.

მანო იძულებული გახდა, წიგნი კვლავ ჩანთაში შეენახა და წყალი ძმისთვის თუნგიდან დაესხა.

როცა დაჩიმ ხელ-პირი შეიმშრალა, მანომ ეს კიდევ შემიშლის ხელს მეცადინეობაში, სჯობია ვუამბო ბარემ და დაიძინოსო.

აიყვანა მაღლა, მეორე სართულზე. დააწვინა და ზღაპარი დაიწყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

# კახეთში

მზეზე ელავდა ივრის ჭალები,
რკინით ნაქსოვი შენი მხარტანი...
ოფლად გაღვრილი, რთველში, ჯალაბი...
შენი აკრული მახსოვს ხარდანი.

არსად შეგშლია რიგი და წესი.
ცის ნამი, მიწის მადლი გებაროს...
თონე ახურე,
კაფე და თესე,
სიბერე, დაღლა არ მოგეპაროს.

ჯვარი გიზიდავს, ხმალი გჭერია,
უკვდავებამდე ივლი ასევე...
ივარგე, კვლავაც შენი ჯერია,
ემატე მამულს და აღაზევე.

შენ ხმაზე, დიდმა მთებმა იჭექონ,
დაიძარ, გომბორს ძირი უძარი,
რომ ვერასოდეს გადაგიჯეგონ,
წინაპრის ბუდე და ნაფუძარი.

* * *

არლის საფლავი. შავი შაშვები.
მჭახე გალობა — ხმა მაკრატლების.
ნაძვების ტბაში თავით ჩაშვება.
მწვანე საუფლო ხოჭო-მატლების.

ასკილის ტოტი. ნაყოფი მწიფე.
გამანდე, მითხარ ყოვლის მიზანი...
თეთრი ფილები. დაბალი კიბე,
ჩაის ვარდები... თითო წლისანი.

## ქობისხევის სამაროვანი

(XVI საუკუნე ჩვ. წელთაღრიცხვამდე)

გურამ დოჩანაშვილს

გამოანათა ტუჩის ნახევმა.
თვალი შეგვავლო და დაგვაჩოქა.
სკივრი ახადა მზეთუნახავმა
და თითოს თითო მძივი გვაჩუქა.

რამდენ ნიაღვარს გადარჩენია
ვერძი — ჩანგრეულ გულზე ნაკიდი,
ძველი ხეობა — ისევ შენია,
შთამომავალი — ისევ დაგიდის.

დაგინდო. გამჩენს არას აყვედრი.
იდაყვებს ფრთხილი დაყვება ფუნჯი.
რაა საეჭვო ან მისახვედრი —
შენ გაბარია საუფლო მუნჯი.

ვინ აირჩიე, რომელს წოლიხარ,
სად გადაჩეხე მონადირენი.

ვის დაემალე, ვისი ცოლი ხარ,
ვისი ამტვრიე კარის დირენი.

მაჯები ვისთვის მორთე და კმაზე,
თუ ულმობელი გეძებდა გეში.
შენ გაგელვიძა წერაქვის ხმაზე
და იზმორები აგვისტოს მზეში.

* * *

სახელი? — ყველას, ვინც ეტანება.
დიდება? — ვისაც მოესურვება.
მე — მხოლოდ შენი ძილში ზმანება,
მე — მხოლოდ შენი ცეცხლით ხურვება.

მეძახის შენი მღვიმე და ხარო—
თან ჩავყვე ფესვებს და ჩაგეტანო,
შენ — მოგუგუნე მზეო და ზარო,
ხმელო წიფელო, ბერო ქედანო...

მიწამებიხარ და უნდა მწამდე —
ჩემი ბოლნისი, ჩემი ატენი...
იხილონ — როგორ აგზიდავს ცამდე
სიმღერა ჩემი... ცრემლად ნადენი.

* * *

დაქცეულიყო ბურჯები,
ოსტატის ხელს რომ ეღარა:
ბროწეულები ზვარტნოცის
ყელგაშვერილი ეყარა,
ამოერღვია ნაცარი,
მზის გულზე ვენახს ეხარა.
ჯაჭვის მესმოდა ჟღარუნი...
უხნესი, უალმასესი,
ნისლებში თავგაყოფილი,
თეთრად ბოლავდა მასისი.
და დავინახე ურემი,
მთით წამოსული გორებით;
ქონგური, დასახლებული
გულდასისხლული ქორებით.
იყო სანთლების ლიცლიცი,
ზვარაკის ყელზე ბაწარი,
ბეჭფართო, მოუხატავი,
იდგა რიფსიმეს ტაძარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ბევრჯერ ვახსენე გამჩენი,
ბევრი ვეწამე, ვინანე,
ნარზევი, ნაცოდვილარი,
როგორც ნანობდნენ წინანი.
ფერი და ხორცი გაქრება,
შენი თვალებიც გაქრება,
გამითავდება მინდორი,
წავალ ვარსკვლავთა საკრეფად.
მომძახის კუპრის მორევი,
დაგრჩაო ერთი წამილა,
შემდგა და მხარი შემიდგა,
ამიქნია და წამილო.
ქარიშხლის გადამღუნავო,
სულო, რა წყალში ბრუნავო,
აღარსად კიდე-ნაპირი,
საითღა გახვალ უნავო.
ზაფრა და შიში დიდი მაქვს,
უფსკრულში გადაბიჯების,
მე უცნაური რიდი მაქვს.
მამებდახოცილ ბიჭების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია შერაზადიშვილი

## თერგი

მიდის და მიდის
რიალ-რიალით,
ბეწვის აშლით და
კბილთა ღრჭიალით...
ჩვენ ვინ ვყოფილვართ,
ჩვენ
რა ვყოფილვართ,
მაგის ყოფილა
ეს დარიალი!..

მიდის და მიდის
რიალ-რიალით
ტოტის ცემით და
ფაფრის ბრიალით...
მისი ყოფილა;
მისი ყოფილა,
კარგი ყოფილა,
ეს დარიალი!..

## საპირველმაისო მერიდიანები

საქართველოში
ფრთას შლის დაისი,
ღამე ამძიმებს
ზეცის კაბადონს,
დილით
დადგება დიდი მაისი
და ცა
ზეიმმა უნდა გაბადროს.

ხვალ
ჩამოდგება დიდი მაისი,
მინდა —
ამ ღამეს სიზმრებს ვპარავდე.
ვლადივოსტოკში
გრგვინვის ხმა ისმის,
გათენდა,
კიდეც გაიპარადეს!

მზეო,
ღრუბლების ცრემლის გამშრობო,
შენი სინათლე.
განა დაწდება,
ისე ვრცელია
ჩემი სამშობლო,
ღამესაც უჭირს
ფრთების გაწვდენა.

ვლადივოსტოკის
დიდი შილინგის
ღიადი ხმები
მოაქვს რადიოს...
დილით
მეც ღელვით გავალ შინიდან,
რომ ამ მაისის
დილა ვადიდო!

ხვალ,
სიხარულის დიდის
მომცემი,
რუსთველის ქუჩაც
ჩაიმდინარებს,
ეს, სამაისო მისალოცები,
იმ გათენების მერიდიანებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმისთვის მინდა

მე ვენაცვალე
ფერებს იმერულს, —
ნუ მომწყენოდეს
მათი ფერება,—
ფერებს,
ფერებთან დაძმობილებულს
და გადალასტულს
ნაირ ფერებთან!

მაგრამ,
კედელზე რომ მაქვს მიკრული,
არც ნოხი გახლავთ
და არც მანტია,
რუკაა,
ჩვენი,
პოლიტიკური,
მთლად საქართველო
გადუხატიათ.

ვით გადააბა ეზო
ეზოებს! —
წავულეკივარ
ფერთა ნიაღვრებს...
და, რომ გავძახო
ონელ მეზობელს,
სარკმელს ვაღებ და
ხმასაც ვიმაღლებ.

მაგრამ,
ემსგავსოს სული მილეულს,
რუხი თბილისის
ვლანდავ კონტურებს,
და ვეძებ ფერებს,
ფერებს იმერულს,
ჩემს ყველგან მპოვნელს,
ყველგან მომხვდურებს.

ხომ, სულ ჩემი ხარ
მთლად, საქართველო,
შენს ჩემდედობას
ღმერთიც ვერ მოშლის,
რის იმერეთი,
შენ, ქვანათელო,
სულ რაჭას ვლანდავ
საქართველოში.

და ვენაცვალე
ფერებს იმერულს,
ნუმც მომწყენოდეს
მათი ფერება,
ფერებს,
ფერებთან დაძმობილებულს
და ატალღებულს
ნაირ ფერებთან.

გულით შეგხარი, მამულო
მდიდარს,
შენ, ქვანათელო,
შენ, ქავნათელო...
მაღალი რაჭა მიტომაც მინდა,
რამ
არ დააკლდეს
ამ საქართველოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გადაარჩინე

ღექომაგები
შორის-შორითაც,
იმედის სხივებს
ბნელში გაჭრილებს...
მე ვენაცვალე
მუხრუჭს,
რომლითაც
სიცოცხლე
ბეწვზე გადაარჩინეს!

ეწყეული შორიდან,
ვკრულავ ახლოდან —
სატკივარს ყველას,
გულში გაჩრილებს...
ცაო,
ძალგიძდეს
მათი გალხობა,
აპრილი
ყინვებს გადაარჩინე!..

## ჩემი ქვაფენილები

რაც წუთისოფლად
თქმულა მითები,
ყალბი?..
მართალი?..
ყველა როდია!..
მოკირწყლული მაქვს
ზღვები ზვირთებით,
ზედ
ფერიები
მიდი-მოდიან...

და ეს
ზვირთების ქვაფენილები
მართლა
ქვასავით მკვიდრი როდია!
ჯეჯილებივით
რომ ფოფინობენ...
ეს, ფერიები
მიდი-მოდიან!

ზვირთი კი არა,
ქარი ხვიხვინობს
კრთიან ტალღები
ფერით
იების...
ვის სურს, უბედურს,
თვალით იხილოს,
ვის სურს
დალანდოს
ეს ფერიები!..

არც კი იაზროს,
ვიცი, მითებმა
ადვილად იცის
კაცის ცდუნება,
მას,
რაც ცისათვის გაირითმება,
არ უწერია
ძირს დაბრუნება!..

რაც წუთისოფლად
თქმულა მითები,
ყალბი?..
მართალი?..
ყველა როდია!..
ეს უხილავი
ფეხის თითებით,
ზღვებზე რითმები მიდი-მოდიან...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ღრმაღელე

ისევ
ძალისზე მღერის ლერწამი,
დიდუბეს ქარგავს,
ხატავს ღრმაღელეს...
ვარ მთელი სუნთქვით
ლექსის მძერწავი
და ჩემი ქვეყნის
ბედი მაღელვებს.

მე მინდა მქონდეს
სუნთქვა ირმების
და არ ვუკრთოდე
მტერზე შეტევას,
ჩემი ფიქრები
და სურვილები
ვიწრო ნაჭუჭში
ვერ დაეტევა!

უნდა დავდგე და
წესი ვამყარო,
ბედი მიხმობს და
ბედი მაღელვებს,
რომ
შვება იგრძნოს დიდმა სამყარომ,
რომ გაცისკროვნდეს
ჩემი ღრმაღელე.

არ მაქვს
ფილტვები ყინვით დამზრალი,
ხარბად სუნთქავენ
ჩემი სარკმლები,
მაქვს სიხარული
უზარმაზარი
და მაქვს ტკივილი,
არანაკლები.

მე ვარ არწივი
ცაში მყივარი,
და მსურს
ვაქციო ფრთები ლაფაროდ,
ეს სიხარული,
ეს სატკივარი
გავამზეურო,
კი არ დავფარო...

ძალმიძს
დავძაბო ზეცა სამეხოდ,
მერე განვმუხტო,
მერე გავლაღდე,
რომ დასამხობი
ყველა დაემხოს,
ყველა სიკეთე
ცამდე
ამაღლდეს!

ტვირთი ვეება
მძაფრად მამღერებს,
სიტყვა სათქმელი
ყელში ყარყარობს,
სადაც იწყება
ჩემი ღრმაღელე,
იქვე იწყება
ჩემი სამყარო.

მე ვარ
არწივი მძლავრად მყივარი,
ამ ზეცას
მიტომ უნდა მაფრინოს...
ეს სიხარული,
ეს სატკივარი
კი არ დავფარო,
გამოვაფინო!..

და ისევ ძალისს
აქებს ლერწამი,
ქარგავს დიდუბეს,
ხატავს ღრმაღელეს —
ვარ მთელი სუნთქვით
ლექსის მძერწავი
და ჩემი ქვეყნის
ბედი მაღელვებს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*მირიან მირნელი*

## გულს უხარია

დაეხეტება ბილიკ-ბილიკ
დილა ივლისის,
დგას მზე
მაღალი მთის კორტოხზე,
დგას,
არ ისვენებს,
და ღირს ცხოვრება —
ჭეშმარიტად —
მარტო იმისთვის,
ცვრიან ვენახის
ვიგრძნო სისველე.
მე ვარ იმედი,
აღმაფრენა,
მე ვარ ფიქრები
ჩემი ორღობის,
ჩემი კერის
და ჩემი შუკის,
და ვუწყი კარგად:
დამნაშავე თვითონ ვიქნები,
ფეხს მოიკიდებს სარეველა
ყანაში თუკი.
რადგან წესია,
გზა ნაგზაურს
მიჰყვება მუდამ,
უგზოდ მავალი,
დე, აივსოს
ყელამდე შურით:
მე ჩემი წილი ახო თვითონ
გავტეხო უნდა,
რომ დავაპურო საქართველო ალალი
პურით...
ვაზის ჩურჩული —
სხვა ათასი სიმღერის ნაცვლად —
შემოდის სულში
თეთრი ტყემლის
ყვავილთა თოვად
და, როგორც წვიმა
დილით ხნულში
ჩაგდებულ მარცვალს,
გულს უხარია
განახლების
ქარების
ქროლვა.

* * *

საიდან მოდის ამდენი ჰანგი:
სიცილის ჰანგი, ტკივილის ჰანგი,
ცრემლის, მწუხრის და სინათლის ჰანგი,
ჩურჩულის, სტვენის, შრიალის ჰანგი,
მინდვრების ჰანგი, ტყეების ჰანგი,
მთების, კლდეების, ხევების ჰანგი —
დაწყვილებული წუხილს და ღიმილს,
ათრთოლებული ათასი სიმით,
აჟღერებული ათასი ჩანგით —
საიდან მოდის ამდენი ჰანგი?
ერთურთს ერწყმიან, ერთურთს სდევნიან,
ზოგი ცხრა ზეცას გადასწვდენია,
ზოგიც ჩემს ეზოს წკრიალ-წკრიალით,
როგორც მერცხალი, თავს დასტრიალებს.

ჰგავს ზოგიერთი სიოს ფეთიანს,
ზოგი ჭავლია, ზოგი წვეთია,
ზღვაა, ტალღაა, ანდა ზვირთია, —
სადღაც მიჰქრიან, სადღაც ილტვიან...
ჩემი სიმღერა გაუბედავი
რომელ მათგანში ცხოვრობს, ნეტავ?

ეროვნული

* * *

ჩემი ფუძის და ჩემი კერის თეთრო ფერიავ,
გაატკაცუნე შენი თეთრი, ამაყი ფრთები,
რომ შუა ტყეში მოკიჟინე მწიფე შინდივით
გაღვივდეს ცეცხლი მარადიული;
ჩემი კერის და ჩემი ფუძის მფარველო სულო,
მაგ ლამაზ ფრთებზე,
მოცახცახე პაწია ფრთებზე
მეც მიმიჩნიე უშფოთველი ვანი მუდმივი,
რომ პეპლებივით ვიფარფატოთ მე და შენ ერთად
ჩვენი პატარა, უზაკველი სახლის გარშემო
და ვიჩურჩულოთ,
ვიჩურჩულოთ
დაუსრულებლად
ჰაეროვანი „გოლუაფირო“.

* * *

აპრილი მზეში მოცახცახე მწვერვალზე შედგა
როგორც ირემი — ნაშიერი ლაღი ბუნების,
ტყეს ჯერ აევსო ცის მანანით უბე და შემდეგ
ნედლი მტოების გადმოსდინდა ნაკადულები.
გადადის ფერი ფერზე, როგორც ტალღაზე ტალღა
და ქსოვს ზადეებს დედამიწა მწვანე სიმებით,
მაინც ყველაზე, ყველაფერზე უფრორე ახლაც
ბალახის ფერი ენატრებათ ხიროსიმელებს.

* * *

იმაზე მეტი საზრუნავი რა უნდა მქონდეს —
კეთილს და ბოროტს, მტერს და მოყვასს გავაცნო თავი:
ჩემი ცხოვრება ერთი დიდი ფიქრია ოდენ
და მე კი მასში ჩაყვინთული წყალქვეშა ნავი,
ოღონდ ისეთი — რაღაცას რომ ეძიებს მუდამ
და რაც კარგი აქვს — თავის ბებერ მიწისთვის უნდა...
ხანდახან მაინც ამოვდივარ მშფოთვარე ზღვიდან,
როცა ზეციურ საგალობლის მოსმენა მინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოლხური საღამო

დააცხრა ეზოს ველური გზნებით
მზე და ბალახში ჩადნა ცვილივით,
და ბზის კათხაში ჟივილ-ხივილით
ცვივიან რძე და საღამოს ხმები. —

დააჭენებენ ჯოხების რაშებს
ბავშვები... ფეხქვეშ მიწა თბილია...
პატარა გოგო დოქიდან ქვაბში
სოფლის წყაროთა ღვრის იდილიას.

## ზ ო ო პ ა რ კ შ ი

ჯუნგლებში, გაუვალ ჯუნგლებში,
ვინ იცის, რამდენი ბილიკი
ანუ გზა რამდენი გალია,
ვიდრე აქ მოხვდებოდა ვეფხვი —
დაუდგეს გალია,
შიგ შეაბრძანეს საკუთარ ფეხით.
„აფრიკის ჯუნგლების ვეფხვი!“—
პოპირდაპირე გალიიდან
თუთიყუში კითხულობს წარწერას
და ხითხითებს, ხითხითებს უსასრულოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# კლდის ვეფხვი

## ბიოგრაფიული რომანი

რამდენიმე სეტელ-ლეხთაგელი უკან გაეკიდა გუა ფალიანს, სხვებმაც მოკლეზე მოუჭრეს გზა. ორღობეებში ისარივით გავარდნილი ბიჭები ერთიმეორეს ასწრებდნენ, ყველას უნდოდა პირველი დასწეოდა გუას. ვინც მოკლეზე გადავიდა, ისინი ახლოს იყვნენ კიდეც მიზანთან. თანდათან უახლოვდებოდნენ წინ წასულს.

— ხე... ხე... ხე... — თავისთვის ხარხარებდა სახენაიარევი — მე რო არ მეთქვა, ვის გაახსენდებოდა გზის მოყელვა, სამუდამოდ დავკარგავდით სვე-ბედსა... ხე... ხე...

მოხუცმა ერთი ამრეზილად გადმოხედა, მერე ხელი ისე მოიქნია, თითქოს აბეზარი ბუზანკალა გააქშიაო, იქით კოშკს მისეულ ბიჭებს დაუცაცხანა:

— ჰა, რაღა გემართებათ, ქერნარევი დუღაბისაგან ხომ არაა ეს მურყვამიც ჩამოსხმული, მარდად შეუტიეთ, მარდადა...

— ერთ-ერთი მაღლა ავარდით, კოშკის თავანზე და ნათლისვეტი დააყანყალეთ, მაგრად დააყანყალეთ... — არ ჩამორჩა თამბის სახენაიარევი, მერე კვლავ ჯვარს გადევნებულთ გაჰხედა პირმომცინარმა და იმათაც თავისებურად დასჭყივლა — ჰე... ჰეეეი... ცოტაც ქალაჩუნებო, ცოტაც და ჯვარი ჩვენია, ჰეეი... — ერთიან ცმუკავდა იგი სიხარულისაგან.

ხალხი, მეტადრე სეტელ-ლახთაგელები უკვე გამარჯვებულის იერით გასცქეროდნენ ორღობეებს, სადაც ფეხმარდ მორბენლებს თოვლის კორიანტელი დაეყენებინათ. მათ უკვე ეჭვი არ ეპარებოდათ გამარჯვებაში.

— გზა მოუყელეთ-მეთქი,—დროზე გავახსენე, თორე მაგის დამწევი იყვნენ ესენი? ისე რა ვუთხარი მე მაგათ... ხე... ხე... — თავის მოხერხებულობასა და გონიერებას მიაწერდა ყოველივეს სახენაიარევი.

მაგრამ ნაადრევი იყო მისი სიხარული.

ლალამელები დიდის ტანჯვა-წამებით დასაკუთრებული ჯვრის ასე იოლად დათმობას როდი აპირებდნენ. გუამ, რომ მიხვდა, მდევარმა გზა გადაუჭრა და ველარ დაუსხლტებოდა ხელიდან, ხერხს მიმართა, გვარლიანების ეზოსკენ გავარდა, საიდანაც ერთი ხელის გაწვდენაზე ბარლიანების მურყვამი მოჩანდა და ნადავლი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იქითკენ მოისროლა. ჯვარი რიალ-რიალით გაქრიალდა და კოშკის თავანში ჩაეშვა. ამ მურყვამს ასასვლელი კარი ამოქოლილი და გაუქმებული ჰქონდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სანატრელი ჯვარი სამუდამოდ იქ დარჩებოდა. იმ სიმაღლეზე, ცასთან და ღმერთებთან ახლოს.. ლალამელთა სახელისა და ვაჟკაცობის მადიდებლად მაცხოვარის წმიდათა-წმიდა მიწაზე დაივანებდა საუკუნოდ.

გაწბილებულმა სტუმრებმა ერთი ღრმად ამოიოხრეს და კოშკში ჩაშვებულ ჯვარს თითქოს გულიც თან ჩაატანესო. ისე გააყოლეს თვალი. მერე თავთავისთვის უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნეს რაღაცა და ახლა მთელი გაშმაგება და გახელება ნათლისვეტზე გადაიტანეს. რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ნათლისვეტი მაინც უნდა დაესაკუთრებინათ როგორმე. მთელი ხალხი მურყვამს მისეულ ბიჭებს შეუერთდა და ერთიანი ძალით დაიწყო ნგრევა.

— ხომ გითხარით, მაგენი არაფრის გამკეთებელნი არ არიან-მეთქი... — ახლა უკუღმა შეატრიალა ნათქვამი სახენაიარევმა და თავისებურად ჩახვიხვინება სცადა, მაგრამ იმისი მოხ-

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1.

მენის თავი ალარავის ჰქონდა. ბიჭები ნახევრად დანგრეულ კოშკზე იდგნენ და თოვლ-მიწაში ღრმად ჩამჯდარ ნათლისვეტს აყანყალებდნენ. ერთნი მაღლა ეწეოდნენ, სხვები მურყვამს უთხრიდან ძირს. ლალამელებს ხელი უნდა შეეშალათ მათთვის, რომ დაღამებამდე მაინც დაენარჩუნებინათ როგორმე ნათლისვეტი. ისინი ბოძამდე შეღწევას ლამობდნენ, მაგრამ რიცხობრივად სეტ-მესტიელები სჭარბობდნენ. ახლა კი მთავარი სწორედ სიმრავლე იყო, ჰო და ლალამელებს უკვე ალარაფერი გამოსდიოდათ. მალე კი ნათლისვეტი ყიჟინა-ხმაურით წამოაქციეს, პირი სვეტისაკენ უქნეს და მასპინძელთა ყვირილში ლალამის ორღობეებში ჩააძუნძულეს, სოფელს გააცილეს და ლარელის ყანებთან მიაგდეს. ნათლისვეტის სეტამდე მითრევა არ იყო აუცილებელი, გამარჯვებისათვის, მისი სოფელს გაშორებაც კმაროდა.

* * *

მეორე დღეს მსაჯის სასტვენის ხმაზე ტრასაზე სხვადასხვა ნომრით გამოსულმა ქართველებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს: „როგორ ივლიან შეუჩვეველ ბილიკებზე?“ საერთოდ გამოცდილი მთამსვლელები ამ დროს ბოლო ნომრებად ცდილობდნენ ხოლმე გასვლას. ახლა ერთხელ კიდევ ეძლეოდა კაცს საშუალება პრაქტიკულად დაკვირვებოდა გასავლელ ტრასას, გამოეზომა და მოენიშნა ფეხისდასადგმელი ადგილები და გაეთვალისწინებინა შემოსასვლელი „მარყუჟების“ პირდაპირი გადაჭრის შესაძლებლობები. და როცა მიხეილს სთხოვეს, როგორც საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონს, მას ამოეღო მონაწილეთა ნომრები, ეს შეღავათი სწორედ ალმაათელ მეგობარს დაუთმოდა აი, შეჯიბრება დაიწყო.

„სვანი მონადირეები ასი წლისანი დაძუნძულებდნენ ჯიხვების კვალდაკვალ, — ფიქრობდა გზაზე მიხეილი, — მუხლიც უჭრიდათ, მკლავიც“.

გავლილია თითქმის ნახევარი კედელი, გავლილია კარგად, მაგრამ საჭიროა მეტი სისწრაფე, საჭიროა წამები. ეს წამები კლდეს უნდა გამოსტაცოს, აუცილებლად უნდა გამოსტაცოს, და უცებ ქვევიდან ეშხში შესული გულშემატკივრების ძახილი შემოესმა: მიშა, მარჯვნივ! მიშა, მარჯვნივო.

მაგრამ მიხეილი მაინც პირდაპირ მიცოცავს. კედელს აჰკვრია და მიცოცავს. აი, ცალი ფეხის დასადგმელიც ალარსად არის, აი, ორივე ფეხს ჰაერში აფართხალებს, ხელებით ჰკიდია შვერილზე. თითები ებრძვიან კლდეს, ეძებენ ღრეჩოებს, ბორებს... საბერველივით ქშინავენ ფილტვები და მონადირული, ნახევრად მოჭუტული თვალები მთის გლუვ ზედაპირზე დარბიან... ქვევიდან კვლავ ისმის სასოწარკვეთილი ყვირილი:

— მიშა, მარჯვნივ, მარჯვნივ!!! — ჩურჩულებენ მაყურებლები.

მიხეილი კი ავიდა მაღლა, მერე დაეშვა ძირს და ორი მოგებული წუთით მივიდა ფინიშთან. იმ ქიმს სხვა ვერავინ აახტებოდა. ის ქიმი კი ორი წუთი „ღირდა“.

* * *

მალე კი ყველაფერი დამთავრდა. ნაბობოქრალ ზღვასავით დაცხრა მთებთან მორკენალთა მღელვარება. ასე იყო თუ ისე, ყველა შეეგუა თავის ხვედრს —ზოგმა გამარჯვება იზეიმა, ზოგმაც წარუმატებლობის სიმწარე განიცადა.

* * *

— იმ ქიმისთვის რომ შემებედა, იქნებ რალაცა გამომსვლოდა, — განუცხადა თავის გულშემატკივრებს მეორე ადგილზე გამოსულმა კოსმაჩოვმა, — ვერასოდეს ვიფიქრებდი, იქ ძეხორციელი თუ მოიკიდებდა ფეხს.

* * *

მიხეილი მადლიერების გრძნობით გასცქეროდა „კრესტოვაიას“ შვერილს, ამ რამდენიმე წუთის წინ ნანატრი გამარჯვება რომ მოუტანა...

მაღლა, კლდის ასწვრივ ლურჯად გადაფერილ ცაში არწივი ბოინობდა. იგი გამარჯვების კამარას ჰკრავდა მამაცი ადამიანის თავზე.

* * *

— გულღრჯოებო, გეგონათ ნათლისვეტსაც დაგირჩენდით აქა? — გადასძახა ლალამელებს სახენაიარევმა და თავმომწონედ გადაისვა ულვაშზე ხელი.

— არა თქვა ახლა, მაგიც ჩემმა ჭკუა-გონებამ მოიმოქმედაო. შენი ხვიხვინი რომ არა, მართლა რა გვეშველებოდა... — ველარ მოუთმინა გულმა თამბის და მოურიდებლად შეარცხვინა ხალხში როყროყა სახენაიარევი.

ლალამელთა ხოშა ბაბამ კვლავ მოიხმო მიხეილი თავისთან. მოწონების ნიშნად მხარზე დაადო ხელი, რალაც ჩასჩურჩულა ყურში და სახენაიარევისაკენ მიახედა. მიხეილმა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა იგი და ხოშა ბაბას მორჩილად დაუქნია თავი.

„ესეც იმ სვეტივითაა აყუდებული, თუ ამასაც თავზე მოექცევი, აიქ, გოგოებს ხომ ხედავ, დაადე თითი რომელიც გნებავს და ხვალვე მოციქულად მიგეგზავნები. მიგეგზავნები და მოგიყვან კიდეცა“... — იმეორებდა გულში ხოშა ბაბას ნათქვამს მიხეილი და საჭიდაო მოედნისაკენ მიიწევდა.

სახენაიარევი თამბის ეკამათებოდა — უფროსები ბევრნი არიან აქ, მაგრამ ახალგაზრდობას შენსავით ათვალისწუნებით არავინ უყურებსო — საყვედურობდა იგი.

— ბევრს რომ ლაქლაქებ, გირჩევნია თავს მიხედო, მსტოვარი კარს მოგდგომია, ის ღლა-

-პი გეძახის წელან რომ სასაცილოდ გაიხადე — დასცინა მას თამზიმ.

— აბა, შენ იცი, არ შეგვარცხვინო... — მიაძახეს ამ დროს კამათში გართულ სახენაიარევს სხვებმაც, რომელიც კიდევ ვერ გარკვეულიყო, რაში იყო საქმე, ვინ იწვევდა საჭიდაოდ. ადგილზე შეტრიალდა და მის უკან მამლაყინწასავით შემართული მინაანი რომ დაინახა, ღიმილი მაშინვა გაუქრა სახიდან. გუნებამ ცუდი რამ უაზრა, მიხვდა „ღლაპმა" იქით აიგდო სასაცილოდ. გამოწვევაც კი საკმარი იყო თავისმოსაჭრელად —მისი შესაფერი მაინც ყოფილიყო ვინმე, შესაფერი წლოვანებითა და ძალოვანებით. არა და მინაანისათვის როგორ უნდა გაეყადრებინა თავი? როგორ გასულიყო მოედანზე? უარის თქმა კი სულ თავისმოჭრას ნიშნავდა.

მათს ირგვლივ წრე შეიკრა. გულშემატკივრები ორ ბანაკად დაიყვნენ. ლალამელები მიხეილს ამხნევებდნენ, სეტ-მესტიელები —თავიანთ მებურგიელს. მოხუცი თამზი მუჯრაზე დაყრდნობილი შესცქეროდა მათს ორთაბძოლას და ხმას არ იღებდა. სხვა დროს თავისიანებზე თავგადადებული, ახლა გაჩუმებულიყო, ეტყობა წელანდელი წყენა ვერ მოენელებინა კიდევ. „აწი გაფრთხილდება, ჭკუას ჩაიდებს თავში და ნაკლებს იროყროყებსო" —ფიქრობდა იგი სახენაიარევზე და გულში იმის წაგებას ნატრობდა.

მოწინააღმდეგეებმა ქამრებში ჩაჰკიდეს ერთმანეთს ხელი, შორი შორს გადგნენ, რათა მეტოქეს იოლად ველარ მოეგდო და მოედრიკა წელში. რამდენჯერმე შეანჯღრიეს, მოზვერეს ერთიმეორე.

— იესავ, შე ძველო, მიდი, მისცხე ერთი შენებურადა... — მისძახოდნენ სახენაიარევს თავისიანები — ხალჟიურაი[1] არ გაუკეთო, რო იცი, ისე...

— მამა და შვილი, მამა და შვილი... — აქედან ლალამელები ცდილობდნენ წონასწორობიდან გამოეყვანათ როგორმე მიხეილის მეტოქე.

იესავს ოფლი ასხამდა სახეზე, სიმწრის ოფლი. „ამ ღლაპმა რა გამიბედაო" — იმაზე იყო უფრო ასე გავეშებული: დამარცხებისა არ ეშინოდა — რამდენიც არ უნდა იხტუნოს, მაგი რას მიზამს, გვერდზეც ვერ გადამატრიალებსო, — ფიქრობდა იგი თავის წონასა და ძალაში დაიმედებული.

მიხეილი მართლაც შვილივით მოჩანდა იესავთან, ისეთი განსხვავება იყო მათს შორის როგორც ხნოვანებაში, ისე სიმაღლეში. მიხეილი გულმოდგინედ, მონდომებით ებრძოდა, ხტოდა, მაგრამ მეტოქის შორს გამდგარ გრძელ კოჭებს ვერა და ვერ უწვდინა გარეკაურისათვის გაქნეული მარჯვენა. რამდენჯერაც სცადა ამისი გაკეთება, იმდენჯერ ხმამაღალი გმინვალა ამოხდა, გმინვა გაწბილებული, ტყუილად დამშვრალი ადამიანისა.

* * *

მეორე დღეს კი ჩამოიტანა აბედ-კვესი, მაგრამ ვაი ასეთ დაბრუნებას — შიშისაგან დაძაბუნებული, დაჩიავებული ეშვებოდა სახლში. გულში კი ალქაჯი დედაკაცივით სწყევლიდა იმათ, ვინც წუხელის ამდენი ქაჯ-ეშმაკი და ავსული შემოუსია გამოქვაბულში.

მაცხოვრის ეზოში თანასოფლელები შეკრებილიყვნენ. შეკრებილთა შორის ყველაზე მაღალი შარდენ ფალიანი მოსალოდნელ გვალვებსა და წყალდიდობაზე ესაუბრებოდა თანასოფლელებს —ასე თუ გაგრძელდა, ენგური ადიდდება და კარგ დღეს არ დააყრის სგიშისა და ლეგამის სათიბ-სავარგულებსო, — ამბობდა იგი.

— ჰო, აბა... მაგრამ წყალდიდობისა ისე აღარ მეშინია უკვე — არ დაეთანხმა კარის მეზობელს ბესარიონი, — უშბისა და ლეხზირის მყინვარები ჩემს თვალწინ სალოკი მარილივით დაილიენ. კარგად მახსოვს, ლეხზირის მყინვარის ენა ცაიდერამდე წვდებოდა. ჩემსობაში ბარე ათ კილომეტრზე მაინც დაიხია უკან. ო, ადიდება, იცოცხლე, იმ დროს იცოდა ენგურმა, თორემ ახლა მაინცდამაინც არ მეშინია ისე...

ბესარიონს ყველანი დაეთანხმნენ — ასე იყოო.

— მაგრამ ზარალი ახლაცა გვაქვს წყალდიდობისაგან, ვიცი, კარის ზღურბლს ველარ გადმოლახავს წყალი, მაგრამ გალმა-გამოღმა ნოყიერი მიწა რო აღარ დაგვირჩინა? —საბოლოო სიტყვა მაინც შარდენმა დაიტოვა.

ამ დროს ლალამელმა ახალგაზრდებმა ამოიარეს გზაზე. მაცხოვრის ეზოში მობაასე უფროსებს მიესალმნენ.

— ხშირ-ხშირად რომ იყოს ეს უქმეები, რას გაიხარებდით, არა? თორემ ბევრი მუშაობისაგან სუ წელი გაქვთ დამწყდარი... — გაეხუმრა ახალგაზრდებს არჩილ გვარლიანი.

ახალგაზრდებმა ვითომ დაირცხვინეს მის ნათქვამზე. ყველაზე ენამოსწრებულმა გვეგნუ გვარლიანმა კი არ შეიტოვა პასუხი:

— თქვენაც რომ მკვიდრად ჩამომსხდარხართ ამ დილაუთენია? ჩვენს კლუბში როა დასწრებაზე მისვლა — აქაო და არავინ დაიკავოს ჩემი ადგილიო, ისე რომ მოსულხართ თქვენაცა?..

გვეგნუს სიტყვაზე ყველამ გაიცინა.

მალე ახალგაზრდები საჭილდაო ქვას შემოერტყნენ. ქვა შუა ეზოში მისთვის განკუთვნილ ადგილას იდო. რუხ ფოლადისფერ გრანიტის ლოდს ქვევრის პოყვანილობა ჰქონდა. მამაპაპათა დანატოვარი იყო იგი, ოღონდ არავინ უწყოდა, ადამიანის ხელმა მისცა ასეთი ფორმა,

1 სვ. ხუმრობით — წამგებიანი ილეთი.

თუ ბუნებრივად დაჰყვა თავიდან. ღონეში დაჯიბრებული ბიჭები თითებს ჩაუჭერდნენ ყელში და მაღლა ეწეოდნენ. ქვა თავის მოცულობასთან შედარებით გაცილებით მძიმე იყო. იმისი თავზე გადამტარებელი ჯერ კაციშვილი არ დაბადებულიყო, ყოველშემთხვევაში ასეთი ვინმე ხეობაში არავის ახსოვდა.

აქ იყო აგრეთვე საკვრავი მუშტა ქვა. უმაწვილკაცობა იმის შორს გადაგდებაშიაც ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ლალამში მსოფლიოს რომელი ქვეყნიდანაც არ უნდა ჩამოსულიყო ადამიანი, შეეძლო ვაჟკაცობით თავი გამოეჩინა, დიდების მწვერვალზე ამაღლებულიყო აქაურთა თვალში, მიუდგომელნი იყვნენ ამ საქმეში ლალამელები.

იმ დღესაც ეჯიბრებოდნენ ახალგაზრდები ქვის აწევაში. უფროსები სიამოვნებით უყურებდნენ მათს პაექრობას; განსაკუთრებული მნიშვნელობა აქ თითების სიგრძე-სიმოკლეს ჰქონდა. კოტიტა თითება კაცი გემოზე ველარ ჩაავლებდა ხელს საჯილდაო ქვას და აწევაც, რა თქმა უნდა, უფრო გაუჭირდებოდა. გამარჯვება-დამარცხება დიდად იყო დამოკიდებული თითების სიგრძე-სიმოკლეზე. ამიტომ ჰიდაობის მსგავსად აქაც ხდებოდა მონაწილეთა „აწონვა".

ჰოი, როგორი გადაკიდებულნი ვიყავით ერთმანეთზე. მთვარიანში შუაღამემდეც კი შევყოლილვართ ბიჭები ქვის კვრასა და აწევას. დამარცხებულნი (დაუმარცხებელი კი ვინ დაბადებულა) გულისფანცქალით ველოდით უქმე დღეს, რათა კვლავ შევბმოდით მეტოქეს და ახლა ჩვენ დაგვემარცხებინა იგი. უქმე დღეები კი ბლომად იყო სვანეთში, ხალხი უქმეებს მართლაც რომ ქკვიანურად იყენებდა — ერთად იკრიბებოდა, სოფლის საჭირბოროტო საერთო სახალხო საქმეებზე მსჯელობდა, ქეიფსა და უმეტესწილად კი პაექრობაში ატარებდა დროს. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, იყო თოფის სროლა, ცხენოსნობა, მდინარის გადალახვა, ბოძზე აცოცება თუ თოვლის გუნდების დაკუმშვა, სირბილი და ქვის კვრა, საჯილდაო ლოდის აწევა.

საჯილდაო ქვასთან ბრძოლა მართლაც ყველაზე საინტერესო სანახაობა იყო. მახსოვს, როგორ მიბჟუოდა ხოლმე მეორე დღეს მკლავები, თითქოს სახსრებს მამტვრევდნენო.

როცა მეკითხებიან ხოლმე —ცალი თითით თავს როგორღა ერევიო, პირველ რიგში ის, მაცხოვრის ეზოში გატარებული დღეები ცოცხლდება ჩემს მეხსიერებაში, ბავშვობის ხალისიანი, მოუსვენარი დღეები. და არა მარტო საჯილდაო ქვა, სხვაც ბევრი რამე...

## მუხთალნი არიან მთები...

—ბუბა ბესარიონ, მინაანი სადა გყავთ? — მიუბრუნდა აწრიალებულ ბესარიონს მარლენ რატიანი, მიხეილის უახლოესი ამხანაგი,— ხომ არ გაგიგზავნიათ სადმე?..

უფროსებიც დაინტერესდნენ — რა მოუვიდა ი. მუხლმკვდარ მინაანს, სად არის, რომ არა ჩანს? როგორ შეიძლება ამხანაგებს დააკლდეს იგი? ეს ბესარიონიც ვერ უნდა იყოს გუნებაზე, თავი ხომ არ სტკივა? ახლა ყველანი ბესარიონს მისჩერებოდნენ მომლოდინე თვალებით — აბა რას ეტყვის, რას უპასუხებს მარლენსაო.

ბესარიონი დაიბნა. დამნაშავედ გრძნობდა თავს შვილის წინაშე და ახლა დატუქსული ბავშვივით მოედო ალმური სახეზე.

— მიხეილი?.. მამულმა გაგზავნა ლახთაგში. სიძესთან გაგზავნა, საქმე იყო რაღაცა...

— გომურში ხომ არ დაგიმწყვდევია? შენი ამბავი რომ ვიცი, ყველაფერი შეიძლება იფიქროს კაცმა, — გაეხუმრა ბესარიონს შარდენი.

— ჩემო შარდენ, ლაბსყალელებზე როა ნათქვამი, ხომ გაგიგონია, მზის დამწყვდევა რო მოიწადინეს, არიქა, ფანჯრები დავხუროთ და მნათობი ჩვენსა დავარჩინოთო... მინაანის დამწყვდევა თუ გინდა, დასანგრევი კედლები უნდა გქონდეს ბლომად და ახალი კარები მაჩუბისათვის... — გამოესარჩლა ბესარიონს არჩილი.

— ხო... შენი ჭირიმე, არჩილ, ხო იცი, იმისი ამბავი. აბა მინაანს დაამწყვდევს ვინმე? — გაუხარდა ბესარიონს, მხარი რომ აუბა მეზობელმა.

სწორედ ამ დროს მაცხოვრის ორღობეებში თრიხინ-თრიხინით ჩამოეხეტა მიხეილი. ბესარიონი შეცბა. ირგვლივ მსხდომთ თვალი ველარ გაუსწორა და მიწას დააშტერდა.

მიხეილმა გაიხარა ამხანაგების დანახვაზე. მარლენმა, ელგუჯა რატიანმა, გვეგნუ გვარლიანმა და სხვებმა უმალ ჩაითრიეს იგი პაექრობაში. მარლენმა ხერხი იხმარა და მუშტა ქვა მიუგდო ამხანაგს, ისე სახიფათოდ მიუგდო, ლამის ფეხზე დაასვა, მიხეილი უკან გახტა...

— რომ იკვეხნიდი, მიდი ახლა... — მიაძახა მარლენმა.

— ჰო, გავიგეთ, გითქვამს ყველა დავჯაბნეო... — თამაშში რომ ჩაეთრიათ უფრო იმისათვის ახელებდნენ ამხანაგები ახალმოსულს.

— დაღლილ-დაქანცულზე მიხელთეთ, არა? მოიცათ, იქნება ახლაც ვერ დამიჯაბნოთ...

— ლახთაგიდან მოსდიხარ, უშბიდან ხომ არა... — თქვა მარლენმა.

ბიჭებმა გაიცინეს.

მიხეილმა თოფი მოიხსნა.

— ლახთაგიდანო? მე ვთქვი, ლახთაგიდან მოვდივარო?

— ლახთაგიდან მოდიხარ, მა რა...

— ლეგვმერიდან რომ მოვდიოდე?

— ლეგვმერიდან? — გაიკვირვეს ბიჭებმა, — თქვენი სიძე შურა ჩართოლანი ლეგვმერიში ცხოვრობს? ეგ კი აღარ ვიცოდით.

— რა შუაშია შურა? რის შურა, რა შურა!

— არის ალბათ შუაში, თორემ არც ვიტყოდით.

მიხეილმა ხალთაში ჩაყო ხელი, იქიდან ნანადირევი შურთხი ამოაძვრინა და ბიჭების წრეში მოისროლა.

— როდის ნახეთ ლახთაგში მსგავსი ფრინველი? თუმცა ვიცი, იმის მტკიცებასაც დამიწყებთ ახლა, ეგ შურთხი კი არა, შინაური ქათამიაო, — დამცინავად მიაჩერდა იგი ამხანაგებს.

ეზოში მდუმარება ჩამოვარდა. ბიჭები გაოცებისაგან პირდაფჩენილნი დასცქეროდნენ ნანადირევს. უფროსებიც წამოდგნენ და ახალგაზრდებს მოაშურეს ცნობისმოყვარეობით შეპყრობილებმა — მართლა შურთხი თუ არისო. იმათაც არ სჯეროდათ მინაანისა — ლეგვმერიდან მოვდივარო. აკი ეს წუთია თქვა ბესარიონმა — ლეხთაგში, სიძესთან გავაგზავნეთ ამ დილაო.

ამ დროს მიხეილმა მამამისს ჰკიდა თვალი. მყისვე ენიშნა იმისი უგუნებობა. უცბადვე გაიაზრა ყოველივე, მიხვდა — მთელი ეს გაუგებრობა მამამისისაგან მომდინარეობდა. იგი ეტყოდა ამ ხალხს — ლახთაგში გავაგზავნეთო. და ახლა ინანა, თავი რომ გამოიდო — ლეგვმერიში ვიყავიო. უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ბესარიონი. შურთხს დაშტერებულ ამხანაგებს ჩუმად გამოეპარა და ლასლასით ჩაუყვა შინისაკენ. მალე მამამისიც წამოეწია. ერთხანს მდუმარენი მიჰყვებოდნენ შუკას. მერე მიხეილმა თქვა:

— გვიან შეგნიშნე, თორემ ხმას რად ამოვიღებდი...

— ხო? არა, რა მოხდა მერე... — თითქოს გულზე მოეშვაო ბესარიონს — ისა, შენა, შენ რა ჰქენი? — უნდოდა ეკითხა, როგორა ხარო, ხარბადაც აათვალიერა მინაანი, თვალები სიხარულისაგან გაცისკროვნებოდა — სალსალამათი დამიბრუნდა ბიჭიო, მაგრამ კითხვით სულ სხვა ჰკითხა.

— ჩამოვიტანე, აი... — აბედ-კვესი გაუწოდა მამას მიხეილმა — საეჭვო კია გამოდგეს კიდევ.

— ბაბუა ანტონი ხომ გაიხარებს მაგის დანახვაზე და... იცი, როდის დაურჩენია მანდა? უუჰ, აღარც კი ახსოვს, ისეთი ჭეელი ყოფილა...

— ანტონმა აღმოაჩინა ის გამოქვაბული?

— ჰო, შემთხვევით წაწყდომია. კარგი გამოქვაბულია, ოღონდ საშიშია მანდ ღამისთევა.

— საშიში?..

„ხომ ვერ მოატყუებს მამას? ყველაფერს ისე ეტყვის, როგორც იყო, ისე ეტყვის, რა თქმა უნდა. თორე იქნებ სულაც მანდ იყო ამოსული ბესარიონი და მალულად უთვალთვალებდა? მერე? მერე რაღას შვრება?“

— კი, შიშით შემეშინდა, როგორ არ შემეშინდა, ათასი რამ მომელანდა, კივილ-ჭყვირილიც გავიგონე. ბექნუმ და გაბრიელმა რომ გაიგონეს თეთნულდზე ისეთი. მაგრამ დანამდვილებით მაინც ვერ ვიტყვი, მართლა გავიგონე, თუ მომეჩვენა ყველაფერი.

— კივილი? — ჩაფიქრდა ბესარიონი — მახსოვს, ერთხელ გაბრიელი მოუყვა თეთრ მოხუცს რაღაც კივილზე. მაშინ ანტონმა ასე უთხრა გაბრიელს — ალბათ შეცივნული დალები თუ ჰკიოდნენ — თქვენგან დახმარება-შეწევნას თუ ითხოვდნენო. სწორედ ასე უთხრა მაშინ ანტონმა. შენთან ხომ არაფერი უთქვამს დალებზე? — შეეკითხა ბესარიონი მიხეილს.

— დალებზე? კი, მითხრა — ახლა ცუდ დღეში არიან ღმერთქალები და შენ უნდა უშველოო.

— ასე თქვა? უცნაურია ღმერთმანი, აღარე მეც დავურიგებივარ — დალები შენგან შველას ელიანო, უნდა დაეხმაროო. გაბრიელსაც, ბექნუსაც, ჰიჰიკოსაც ამასვე სთხოვდა ანტონი. ყველაზე დიდი იმედი მოხუცს გაბრიელისა ჰქონდა, მაგრამ გაბრიელს ბედმა უმუხთლა და ის იმედიც გაუქარწყლდა. ახლა კი შენ ეგულები იმათ შემწედ, ოღონდ უნდა გამოიცნო, უნდა ჩაუხვდე თეთრი მოხუცის სიტყვას. მაინც რა გასაჭირი ადგათ ახეთი ღმერთქალებს? რა შეგვიძლია ჩვენ, მოკვდავთ? რა შეეძლო გაბრიელს, რა შეეძლო ბექნუს, ჰიჰიკოს, მაქსიმეს? რა უნდა იღონო შენ. გინგლიანმა ბალღმა?

მაგრამ რაც მთავარია, ანტონიც თანახმაა, რომ გაემგზავრო, ისიც შენს მხარეზეა, ყველამ ჩემს წინააღმდეგ შეკარით პირი. ეს მე ვარ რეგვენი, ბრიყვი, სულელი, დანარჩენები ყველანი ბრძენები მყავხართ... — გაცხარდა ბესარიონი — წადი, ბატონო, ჩრდილოეთში. გინდა ხვალვე აიკარი გუდანაბადი... — იგი უკვე შერიგებოდა იმ აზრს რომ მიხეილს ველარაფერი დააკავებდა შინ, ვერაფერს მოუგონებდა და მოუმიზეზებდა ისეთს, „ამ მუხლმკვდარს“ რომ არ გაეკეთებინა და შეესრულებინა.

მიხეილი ერთი ზღაპრის მზეჭაბუკი იყო, მეფის ასული რომ შეჰყვარებოდა. მეფეს არ უნდოდა მისთვის მიეთხოვებინა თავისი ასული და ათას რამეს უგონებდა — დევის ფანდური მომიტანეო, თვითონ დევიც მომგვარეო. მზეჭაბუკმა ფანდურიც მოუტანა და დევიც მოჰგვარა, სხვა ათასი სურვილიც შეუსრულა მბრძანებელ სასიმამროს. ბოლოს კა-

ხელმწიფეს აღარაფერი დარჩენოდა გარდა თანხმობისა. იმის მდუმარეობაში იყო სწორედ ამჟამად ბესარიონიც...

— მე ჩემი მითქვამს და... ახლა რაც გინდა ისა ჰქენი. ცხრა მთა კი არა, მილიონი ქედი გადასერე. ქვეყანაზე რაც რამ ზღაპრებია, იმათ გმირებს გაასწარი მთების გადალახვაში. ვინძლო მზე ჩამოიტანო ცის დასალიერიდან და ამ ცოდვილ დედამიწაზე მოაფრქვიო იმისი სხივნათელი. მაგრამ ხელებს თუ დაგწვავს, მამას აღარაფერი დააბრალო... — მერე მოწოლილ ბოღმას მოერია და წყნარად განაგრძო — ეს გზა ლამაზია, მაგრამ საცალფეხოა, ვინაც ბოლომდე მისდია, იშვიათად მოესწრო გაქალარავებას... აი, რა ვაჟკაცები დაიღუპნენ თეთნულდზე, უშბაზე. და ბოლოს გაბრიელი, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, იფიქრებდა ვინმე გაბრიელს თუ ზვავი მოუსწრაფებდა სიცოცხლეს? მთების კაცი, იმათთან ნათამაშევი, დაბრძენკაცებული ადამიანი, მთელს ქვეყანაში ცნობილი მთამსვლელი ერთ მშვენიერ დღეს ზვავმა ჩაჩუმქრა... იგი ხომ ჩვენი სისხლი და ხორცი იყო, ყველაზე ახლობელი ადამიანი, ჩვენ იმისი გვჯეროდა ყველაზე მეტად, გვწამდა, გვეიმედებოდა, მაგრამ რა გამოვიდა? დღეს ეს ჯადოქარი ჩვენთან აღარ არის, მორჩა, აღარ არის...

„მთები მუხთალნი არიან, დაუნდობელნი, ისინი არ არჩევენ ადამიანებს მათი წარმოშობის, ტიტულის, გვარის, ქონების მიხედვით. მთებში ყველა თანასწორია, ისევე, როგორც თვითმფრინავის მგზავრები, წავარნაზე შემდგარი ადამიანებიც სიკვდილ-სიცოცხლის ერთიან ჯაჭვში არიან შებმულნი — წამოუტივტივდნენ ოდესღაც ბექნუს ნათქვამი სიტყვები მიხეილს. — მთებში ადამიანები უფრო ეთანასწორებიან ერთმანეთს, ვიდრე სხვაგან სადმე. ეს სწორფერობა და ერთიანობა მთის ბუნებიდან გამომდინარეობს: — თუ ივარგებ, თუ ძალ-ღონე შეგწევს, მშვიდობით გზა გქონია, არა და ჯანდაბას შენი თავით, ამბობენ ეს კანონები. მთაში გულსუსტსა და მშიშარას აღარაფერი ესაქმება, მთა გულადისაა, ვაჟკაცისაა... აქ მრუდე, ბოროტი თვალით ვერ გადახედავენ ადამიანები ერთიმეორეს. უგლიმიც რომ ერიოს ჯგუფში, უნდა გაითანაბრო და ძმად გაიხადო, შესაძლებელია იგი გაჭირვების ჟამს ღმერთივით ამაღლდეს შენს თვალში, ისეთი სამსახური გაგწიოს ვინძლო“.

მერე თქვა კიდევ ბექნუმ:

— იქნებ ამიტომაც განვადიადებთ და ვესწრაფვით თანასწორობას? სწორფერობას? იქნებ ამიტომაც ჰქვია ამ ცასთან ახლოს მდებარე ერთ ციცქნა ქვეყანას უბატონო, უაზნაურო, თავისუფალი სვანეთი? და იქნებ ამიტომაც არის აქაურობაში ასეთი სწრაფვა მთებისაკენ, სიმაღლისაკენ, სადაც [illegible] განსპეტაკებული, ყოველგვარი [illegible] საგან და მტვერ-ჯანღისაგან განწმენდილი ცაა, სამართლიანი, მდიდართა და ღარიბთათვის ერთნაირი ძალით მანათობელი ოქროსფერი მზეა.. ალბათ ეს გრძნობა თუ მიერეკება მთამსვლელებს, მესიმაღლეებს მწვერვალებისაკენ...

„მაგრამ აქვს კი ყოველივე ამას დიდი გამართლება? — საგონებელში ჩავარდნილიყო ბესარიონის გამო მიხეილი — აი თუნდაც მშობლის თვალში თუ აქვს ყოველივე ამას გამართლება? მშობლისა, რომელსაც აროდეს არ ჰქონია უზღვავი მოთხოვნილებანი და იმითაც კმაყოფილი და ბედნიერი იყო, რომ ყოველდღე გრძნობდა თავისი შვილის გულისცემას, სუნთქვას, მშვიდობიანი ნაბიჯების ჩქამს, იმის მოხმარებას, მხარში დგომას?“...

— იქნება რაიმე ანგარება მალაპარაკებს ამდენს? მხოლოდღა საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრი მაბურდღუნებს? ეშმაკმა უწყის, რა ხდება... ალბათ ერთი უბირი და გულსუსტი ვინმე ვარ და ეს არის... — ბესარიონმა ხელი აიქნია, თითქოს კერიიდან წამოშლილ კვამლის ქულას იშორებს პირისახიდანო, უფრო საკუთარ თავზე გაბრაზებულმა ნაბიჯს აუჩქარა. მიხეილს გული აუჩუყდა უფროს-უმცროსი და-ძმებიც მოვარდნენ და ყიჟინით შემოეხვივნენ „დაკარგულ“ ძმას.

დაიკო თინამ მხარზე მოგდებული თოფის კონდახს ჩააელო ხელი და შეეკითხა იმის პატრონს:

— რაო, მინაან, აცილე შურთხსა?

უმცროსმა ნათელამ ხალთაში მოუფათურა ხელი:

— ეჰ, ცარიელია! შურთხი რომ ჩამოგეტანა, ან ტყის ქათამი, მე რომ ვაშლი შევანახე, იმას მოგცემდი... — აუქნია მან ხელი უფროს ძმას.

ძმა ანვარს ზლუქუნი აუვარდა — ნანადირევს რომ შემპირდი, რატომ მომატყუილე. იმას უმცროსმა და-ძმებმა ნაზომ და ბექამაც აუბეს მხარი — ახლა სამივენი ზლუქუნებდნენ, თან თვალებს იჭუჭყვნიდნენ გამხდარი, ბავშვური თითებით.

მიხეილს შეეცოდა უმცროსები. სიყვარულით მოეფერა სამივეს, მერე თინას მიმართა:

— შენ გაახსენე თორემ, მაგათ არც მოაგონდებოდათ ნანადირევი.

— მერე რა რომ გავახსენე?.. შემპირდი და რად არ შეუსრულე? პატარებიათ და იმიტომ? — თავის მხრივ ჯიქურ შეუტია თინამ— რომ შეჰპირდები, უნდა შეუსრულო კიდევაცა, ხომ ასეა, მამა? — ახლა ბესარიონი დაიმოწმა მან.

— ბევრს რომ ტლიკინებ, გირჩევნია ენას

კბილი დააჭირო, გაიგე? — გაუბრაზდა ქალიშვილს მამა — ამათი ჭკუისა ხარ?

— რა, მართალს არ ვიძახი? — ახლა მამულს გადახედა თინამ.

— რომ მომეკლა შურთხი, მართლა მომცემდი ვაშლსა? — მიუბრუნდა მიხეილი ნათელას.

— მოკალი და მერე გაფრინდა? — გადაიხარხარა ნათელამ, — გინდა მომატყუო?..

— შენ ისა თქვი, მომცემდი ვაშლსა?

— მოგცემდი, მა არ მოგცემდი? — ოდნავ ენის ბორძიკით წარმოთქვა დაეჭვებულმა ნათელამ.

— აბა, რა... აბა, რა... — ერთხმად დაიძახეს სხვებმაც.

მიხეილმა ხალთას პირი გადმოუბრუნა. იქიდან შურთხის რუხ-ჭრელი ბუმბული გადმოფრიალდა.

— ეს რა, შურთხისა ხოა? — შეეკითხა იგი ნიშნისმოგებით და-ძმებს — ა, რას იტყვით ამაზე?

ბავშვები გაოცებულნი შეჰყურებდნენ. თვალებს იმშრალებდნენ. მერე იატაკზე დაცვენილი ბურტყლი ახვეტეს.

— ამ ბურტყლში მოგცე ჩემი ვაშლი? — გამოერკვა უცბად ნათელა.

— ხო, შურთხისაა და მეტი რაღა გინდა? ან იქნებ ველარა ცნობ? — ჩაეკითხა მიხეილი — რახან შურთხისაა, ესეი იგი ,მომიკლავს კიდეც, აბა ისე საიდან გაჩნდებოდა ჩემს ხალთაში?

— მაგრამ შენ რომ ჩვენთვის არა მოგიტანია რა? ამ ბურტყლში მოგცე ჩემი წითელი ვაშლი? — ნათქვამზე იდგა ნათელა.

— მაშინ გაშპით და მაცხოვრის ეზოში ნახეთ მინაანის მონადირებული შურთხი, აბა გაიქეცით ახლავე... — ჩაერია ბავშვების საუბარში საკარცხულში ჩამომჯდარი ქორა მახეში ბესარიონი. მას თავი ხელისგულებზე ჩამოედო და რაღაცაზე ნაღვლიანად ჩაფიქრებულიყო.

ბავშვებმა ყური ცქვიტეს. ბესარიონის ნათქვამი ენიშნათ. ბელურების გუნდივით აიშალნენ და გარეთ გაცვივდნენ.

— ნათელა, ვაშლის მოცემა არ დაგავიწყდეს, იცოდე... — სიცილით გასძახა დაიკოს მიხეილმა.

ბავშვებს მხოლოდ თინა და ყველაზე უფროსები — იევა და ირა არ გაჰყოლიან, თუმცა ამათაც არა ნაკლებ აინტერესებდათ შურთხის ამბავი. მაგრამ უმცროსებთან სირბილწანწალს ხომ არ იკადრებდნენ.

— რა კაცია. შურთხი მოინადირა და მაცხოვარის ეზოში დააგდო... — თქვა გაოცებულმა თინამ.

— ხო, ბევრი იცი, შენ...

— წმიდა მაცხოვარს შესწირე?

— ჰხი... ხი... ხი... — მამა ბესარიონს სიცილი აუვარდა თინას სიტყვებზე — ეს მართლაც კარგადა თქვა მაგ ქალბნელამ, მაგანა... — წუთით გამხიარულდა ბესარიონი...

• • •

ადილსუს ხეობა რაღაცით მშობლიურ სვანეთს აგონებდა მიხეილს. ალპიური ბანაკი „მეტალურგი“ კი სახლივით ახლობელი გახდა. ბანაკის დირექტორი და უფროსი მწვრთნელი მზრუნველობას არ იშურებენ მისთვის. მათი გულწრფელი მამობრივი დამოკიდებულება ერთი უცხო მხრიდან ჩამოსული უთქმელი ბიჭის მიმართ მართლაც რომ უდიდესი ადამიანობისა და კეთილშობილების გამოვლინება იყო. მათ ყველაფერი ილონეს, რათა მიხეილს საწადელისათვის მიეღწია. მერე და რამდენი ყურადღება სჭიროდა, რამდენი თანაგრძნობა, გულიანი რჩევადარიგების მიცემა, რათა იქაურ მკაცრ რეჟიმს შეჩვეულიყო, სპორტულ ფორმაში ჩამდგარიყო, მთამსვლელის ხასიათი და ჩვევა გამოემუშავებინა.

## სიმღერა—უჩინარი და საყვარელი მეგობარი

— მაგრამ მე არ გავუმართლე, — სინანულის გრძნობით იგონებს მიხეილი, — რაღაც ეშმაკად კვლავ წამძლია ბავშვურმა ცთუნებამ, სიანცემ ამიტანა. ერთ დღეს ლალაყორას მსგავსად, მარტოკა გავუდექი გზაწვრილს უცნობი ვიატაუს მწვერვალისაკენ. არ ვიცი, რა ძალა მერეკებოდა ასეთი, რა ჟინმა მომიცვა იმ დღეს — სულმოუთქმელად გავიარე მთელი გზა, გავკვალე ჩემი ბილიკი. ვიატაუს მრისხანე კალთები პირველად შეაჭერა ალბათ ჩემნაირმა ღინღლიანმა ბალღმა. შეჭერებაც არი და... შეიძლება ვინმეს დაუჭერებლად მოეჩვენოს, მაგრამ ერთი სამჯერ მაინც რაღაც ალალბედზე გადავრჩი სიკვდილს. ის კი არა; ხანდახან მეც ისე მომეჩვენება იმდღევანდელი ჩემი თავგადასავალი თითქოს ყოველივე სიზმარში მოხდა, ან მე კი არა, თითქოს ვილაც სხვას გარდახდა მთელი ის ხიფათები. მახსოვს, ქარაფზე რომ გადავეკიდე და ფეხებს ჰაერში ვასხმარტალებდი, ჭიაყელასავით ვიგრიხებოდი სასიკვდილოდ განწირული, ყინულის ლრეჩოს კი, რაზედაც ხელებით ვიყავი ჩაფრენილი, თანდათან ეფცქვნებოდა ნაპირი, ეფცქვნებოდა და ალნებოდა კიდეც, დროზე თუ ვერ ავითრევდი ტანს, დროზე თუ ვერ ავმაღლდებოდი, მალე უკანასკნელი საყრდენიც შემომადნებოდა და მე ლოდივით დავეშვებოდი დაბლა, უფსკრულისაკენ. მაგრამ ალბათ ბედნიერ ფეხზე თუ ვიყავი ამდგარი, მყინ-

ვარის პირმა გასძლო, ხოლო მკლავებმა კი უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს და ნაწვიმარი, სველი თივის ბულულივით ამზიდეს მაღლა, უსაშიშროზე... მაინც არ შევმდრკალვარ, უკან გაბრუნების სურვილი არ გამიკარებია ახლოს. ასე იყო თუ ისე, ავედი და ავედი მწვერვალზე. იყო წუთები, როცა ერთობ მიჭირდა წინსვლა. ხან კლდის შვერილი გადამეღობებოდა, ხანაც მყინვარის ენა, მაგრამ უკანდახევაზე ფიქრი არ გამივლია გუნებაში.

მაგრამ ასვლა ერთია, რომ ახვალ სადმე, იქიდან დაბრუნებაცაა საჭირო. თუ კი ვერ დაბრუნდები, გინდ ასულხარ და გინდ— არა. ამ აზრმა მხოლოდ მაშინ გამიელვა, ზედ მწვერვალზე რომ შევდექი და მუქლურჯ ცაზე გაღვრილ მზის უკანასკნელ ნათელს შევავლე თვალი. უეცრად ცუდი რამ მიაზრა გონებამ და მსწრაფლ დავიწყე ძირს დაშვება, დავიწყე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ზედ შუა თხემზე შემომაღამდა. ეს იყო სეირი. იმ დღეს მართლა ვირწმუნე, რომ ბუნებაში თავისთავად არსებობს რაღაც სამართლიანობა და კანონზომიერება. ამის მაგალითად ჩემი ამბავიც კმაროდა. ხშირად მსმენია — „ღამე თეთრად გაათენაო“. მაგრამ ღამისთევაც ყოფილა და ღამისთევაც. მართლაცდა, აბა როგორ შეედრება შინ, სითბოსა და მყუდროებაში ღამისთევა სადღაც მუხთალ მწვერვალზე, თოვლისა და მყინვარების საუფლოში, ათას მოჩვენებებსა და ლანდებთან ბრძოლასა და წვალებას? მიუთუმეტეს, როცა მოუმზადებელზე მოგიწევს გარეთ დარჩენა — უკარვოდ, საძილე ტომრის გარეშე. „ცივ ღამისთევაზე“ საშინელება არც რა იქნება ალბათ მთამსვლელისათვის. იგი ნიშნავს სიკვდილს, საუკუნო აღსასრულს, ან უკეთეს შემთხვევაში — სხეულის მოყინვას, დახეიბრებას, დაკუტვას. მართლაც საშინელი წუთები დამიდგა. ვერც წინ მივიწევდი, ვერც — უკან. სიცივე კი მხრებზე მაჯდა, სიცივე და შიში, მთელი სხეული შიშის გრძნობას მოეცვა.

„კაციშვილმა არ იცის შენი ასავალ-დასავლისა. აბა ვის მოუვა გონებაში, რომ ვიატაუს კალთებზე იყინები? ვინ გამოჰყვება შენს ნაკვალევს, ვინ მოგნახავს, თუ კი აქ დარჩენა გიწერია სამუდამოდ? იქნებ მამა ბესარიონი მოგაგნებს ანდეთი, ან ამხანაგები მოგნახავენ? მაგრამ შენ რომ მათთან ერთი სიტყვაც არ დაგცდენია ვიატაუზე?“ — ათასი ზმანება ენაცვლებოდა ერთურთს გონებაში.

„ან იქნებ სულაც შაშიშებმა გამოგიყენეს ამ მუხთალ გზებზე? შაშიშებს რამდენი სახელოვანი მონადირისათვის აუბნევიათ გზა-კვალი, შენი აყოლიება კი რაღაზე გაუჭირდებოდათ? — შენი, გინგლიანი, ერთი მუხლკვლარი ბალღისა?“

მაგრამ უფსკრულის საშიშროებისაგან რომც მეხსნა თავი, სიცივის მოძალებას როგორღა გავუმკლავდებოდი? რაღაც უნდა მეღონა, თორემ ერთი უგერგილო ქანდაკებაღა დარჩებოდა ჩემგან ვიატაუს უსიერ თხემზე. ბედად თეთრი მოხუცის სიტყვები გახმიანდნენ გონებაში. ერთხელ მასაც წამოსწეოდა გადასასვლელზე გამთოშავი ღამე, რომ არ გაყინულიყო ხელფეხის ქნევას მოჰყოლოდა. ალიონამდე „შინავორგილს“ ბუქნავდა თურმე გამწარებული.

მეც მთელის მონდომებით შევუდექი ხტუნვასა და ხელების ქნევას. მცირე თოვლიანი ბაქანი, ჩემს განმგებლობაში რომ აღმოჩნდა, ისე გადავთქერ-გადავტკეპნე, ყველა მეასფალტეს შეშურდებოდა. ხანდახან, ამ ყოფაში რომ ვიყავი, მუხთალი ძილი წამომეპარებოდა, ან დაღლილობა შემომაწვებოდა. ამ დროს თავი დაბლა მეწეოდა ხოლმე, დაბლა, მოუსავლეთისაკენ...

ამას წინათ ჩემი ბიძაშვილი, გამოცდილი შოფერი გადაიჩეხა მესტიის გზაზე. მაგრამ ვიდრე ამ ამბავს გავიგებდით, თავს იმით ვინუგეშებდით — იქნებ სადმე ახლობელ ქალაქში გაუხვია ზუგდიდიდან, ვინმე ნაცნობს და ამხანაგს ხათრი ვერ გაუტეხა და მანქანით გააცილაო. მაგრამ კვირისთავზე ავტობუსის მგზავრებმა ენგურის ნაპირზე გამორიყული ლეიბები ნახეს. ბიძაშვილს სწორედ ქვეშაგებელი უნდა ჩამოეტანა საავადმყოფოსათვის. მხოლოდ მაშინ დავასკვენით, რომ ავბედითი შემთხვევის მსხვერპლი გამხდარიყო. როცა დავუყევით ენგურს ზღვისაკენ, ვერც მანქანა ვნახეთ და ვერც შოფერი. თითქოს მიწამ ჩაყლაპა ორთავენიო. ბოლოს იმ ადგილსღა წავაწყდით, სადაც მანქანა გადაიჩეხა მდინარეში — ფართო, მშვიდობიან გზას მკრთალად აჩნდა მანქანის საბურავების მრუდე კვალი; იგი პირდაპირ უფსკრულისაკენ მიუყვებოდა გზისკიდურს.

უფროსებმა თქვეს მაშინ: ალბათ გზად ძილი წამოეპარა, თორემ აქ სამი მანქანაც კი აუვლიდა ერთმანეთს გვერდსაო. გვიმბრისა და სალიშის კლდეებს გამოსცდა და ამ ფართოზე რაღა გაუჭირდებოდაო.

— უნდა ემღერა, რახან მარტო იყო და ღამე მოდიოდა, უნდა ემღერა, — თქვა ყველაზე უფროსმა ტყინტულდ ხერგიანმა — ან გაჩერებულიყო, ალიონს დალოდებოდაო...

ვერა, ვერ ვიპოვეთ ბიძაშვილი. ვერც იმისი მანქანის ასავალ-დასავალი ვნახეთ სადმე, გარდა იმ საბედისწერო ნაკვალევისა, ენგურისაკენ რომ მიემართებოდა, ველარაფერს წავაწყდით. ხო და, იმ ღამეს შეიძლება მეც იმ რულმოკიდებული შოფერივით დამმართნოდა. ძილს რომ წაეძლია, ველარც მოვასწრებდი

გონზე მოსვლას, ისე გადავეშვებოდი მოუსავლეთში.

. . .

„უნდა ემღერა, რახან მარტო იყო, უნდა ემღერა...“ — გამახსენდა ხერგიანთა უფროსის ნათქვამი. ჰო და მეც არ დავაყოვნე. აკანკალებული ხმით წამოვიწყე:

დალა კოჯას ხელღვაჟალე, რეროშა, რაშა...
ჩუქან თხეროლ ხოყულპუნე, რეროშა,
რაშა...

ნადირობის ქალღმერთ დალზე ვმღეროდი, შველა-დახმარებას შევთხოვდი. მეც იმის დღეში ვიყავი, სიკვდილი მითვალთვალებდა ყოველი მხრიდან. ამ სიმღერაში ნათქვამია, რომ მშობიარე ქალღმერთი მამაცმა ნაბდისქუდიანმა იხსნა განსაცდელისაგან. მე კი, მე ვილა გამიწვდიდა დახმარების ხელს? ვინ მოიცლიდა ჩემთვის? მერე თეთრი მოხუცის ნათქვამი გამახსენდა — დალები ახლა გასაჭირში არიან, შენგან შველა-შეწევნას ელოდებიანო. თუ კი ასე იყო, თუ კი ასე უჭირდათ, მე რანაირადღა მომეშველებოდნენ ისინი?

ლილეოც ვიმღერე, მზის საგალობელი ჰიმნი. შევთხოვდი ცასა და ქვეყანას — მალე ამოწვერილიყო ოქროსფერი მნათობი, მოებნია თავისი მანუგეშებელი სხივები დედამიწისათვის. ირგვლივ გასუდრული წყვდიადი გაელალა ვიატაუს უჩინმაჩინის ბილიკებისა თუ ნადირთა წავარნებიდან. გაენათებინა ერთადერთი სამშვიდობო გზა— ღოლონარ მინდვრებისაკენ დაქანებული თოვლიანი თხემი, იქნებ მემარჯვა და უსაფრთხოოზე გავსულიყავი როგორმე.

მას მერე ღრმადა მწამს:

— თუ გინდა იფხიზლო, თუ გინდა ძილმა არ წაგძლიოს, და უდროოდ არ მოგისწრაფოს სიცოცხლე, — იმღერე, იმღერე, იმღერე. ხმის დაშრეტომამდე ილილინე. სიმღერა არასოდეს ტოვებს ადამიანს, იგი მუდამჟამს მასთანაა... უჩინარი და საყვარელი მეგობარი. სიმღერები ადამიანებზე, ოქროსფერ მნათობებზე, მწვერვალებზე...

* * *

მეორე დღეს ბეღურასავით აბურძგვნილი, აკანკალებული, კბილების კაწკაწით მიადგა ჭაბუკი ამხანაგებს. სასაცილო შესახედავი იყო. თვითონვე ეცინებოდა თავის თავზე, ყოველივე გარდახდენილზე, ეცინებოდა და რცხვენოდა. მწარედ განიცდიდა ყოველივეს.

* * *

— მამამ და ბიძამ რომ გაიგეს ამის შესახებ, თქვეს — მაგისგან კაცი არ დადგებაო. მაგრამ პატიებით ყველამ მაპატია. მას მერე მსგავსი რამ არ ჩამიდენია. უკვე ბავშვი აღარ ვიყავი და მეტი მომეთხოვებოდა... ბანაკის დირექტორი და უფროსი მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩემზე. მეც უნდა გამემართლებინა ამ კეთილი ადამიანებისათვის...

* * *

მიხეილმა იმავე წელს ბანაკის პირველობაზე კლდეზე ცოცვაში პირველი ადგილი დაიჭირა. მერე კი ადილსუს ხეობის პაექრობაშიც იმარჯვა და საკავშირო პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

* * *

იესავი წუთით შედგა. სისხლმოწოლილი თვალებით მოათვალიერა ხალხი და კვლავ გადააწიტა.

ამასობაში მიხეილმა დრო იხელთა, ლაჯებს შორის მოექცა, წელში მოკაკვულმა გვერდი ამოსდო მუცელზე, უცბად წელში გაიმართა, მეტოქე მიწას მოსწყვიტა, და მერე, ერთბაშად დასცა დაბლა.

მიხეილი უცბად აეცალა წაქცეულს, ნამეხარი ნაძვივით რომ გაშხლართულიყო მოედანზე და სირცხვილისაგან გაოგნებული და შეცბუნებული ადგომას ვერ ახერხებდა.

— მოგვერდით თუ გნებავთ, ეს იყო, არა მოგვერდი უგდო, ხომ დაინახეთ, — აჩოჩქოლდნენ ლალამელები.

— აბა ლაპარაკი შეწყდეს, ენამწარობა რა საკადრისია. დააცადეთ დამშვიდებულზე იჭიდაონ...

— მართალია, მართალია, მიდგომა ნუ იქნება... თორემ მწარე ენა ვის არ გამოიყვანს მოთმინებიდან...

იესავს ცოტა გულზე მოეშვა. წამოიზლაზნა და კვლავ ჩაჰკიდა ხელი მოწინააღმდეგეს. ლალამელებს უკვე იმედი მოეცათ და გაჩუმდნენ. ნერვიულობისაგან ხანდისხან ულვაშებზე თუ გაისვამდნენ ხელს, ანდა ნაბდის ქუდს თუ შემოიტრიალებდა ვინმე თავზე...

ლუხთაგ-სეტელებს ცუდი დღე ადგათ. არ სწყალობდათ დღეს ბედი და ყისმათი. რამდენიმე წამიც და მზის სხივებით შერუჟლული ღრუბლიანი ცისკიდური კვლავ შემოხაზა იესავის მოსხმარტალე ფეხებმა. იგი კვლავ გაიშოტა საჭიდაო მოედანზე.

პირველმა მოხუცმა თამბიმ მოულოცა მიხეილს გამარჯვება. არავისი არ მოერიდა მიჯვრიან თამბის, არც თავისიანებისა და არც სირცხვილნაჭამი იესავისა, მივიდა მიხეილთან და გადაკოცნა — „ორი ჩემის ხნისა მოიყარე შვილოო“ — უთხრა.

ლალამელთა ხივილი მოეფინა სოფელს. გამარჯვების ყიჟინა იდგა. კოშკები ყრუ

ექოდ გადმოსცემდნენ ხალხის ბუზღუნ-ჩოჩქოლს.

თამაშის მერე ხოშა ბაბა მივიდა გამარჯვებულთან. მან გოგონებისკენ გაიხედა.

— აარჩიე რომელიც გინდა. სიტყვა-სიტყვაა... — მახვშის სახე თბილმა ღიმილმა დასერა.

გოგონები ჩიტების გუნდივით აიშალნენ და სიცილ-კისკისით შეცვივდნენ მაცხოვრის ეზოში.

დღესასწაულის ცილაობა-შეჯიბრი დამთავრდა. ახლა პურისჭამა და არყის სმა დაიწყებოდა.

### გზა მწვერვალებისაკენ...

— ღალამი ზეიმობდა ჯგვიბში გამარჯვებას. მეც მილოცავდნენ წარმატებას. ბევრი ისეთი ცნობისმოყვარეობით აღვსილი მათვალიერებდა და შემომცქეროდა თითქოს პირველად მხედავდა. ეტყობა, ზოგიერთს ჩემს მოხერხებულობასა და მოქნილობაში ეჭვი ეპარებოდა. ნათლისვეტზე აცოცება კიდევ არაფერი, მაგრამ ჭიდაობაც თუ გეხერხებოდა, ამას კი ვერ წარმოვიდგენდით — პირში მეუბნებოდნენ ისინი. მე კი ხმა ვე ამომეღო, მხოლოდღა მხრებს ვიჩეჩავდი.

გულს არ ეკარებოდა რატომღაც ეს საერთო მხიარულება, რომლის დამკვიდრებაში მეც მიმიძღოდა წვლილი. თავიდან ვერც გავრკვეულიყავი, რაში იყო საქმე, მაინც რა მქონდა ასეთი სადარდებელი და სანაღვლო, კრიჭა რომ ვერ გამეხსნა. ამხანაგებიც შემენიშნავდნენ — ჰეი, მინაან, გამოფხიზლდი, გამოიხედე ერთი რა ჟრიამული და მხიარულება სუფევსო. ისინი გოგოებისაკენ მახედებდნენ, რომლებიც ჩვენს დაჟინებულ მზერაზე შუბლს იკრავდნენ, თოფნაკრავებით შეტრიალდებოდნენ და დამორცხვების ნიშნად ნიკაპთან მოკრულ თავსაფრის ტოტებს აიფარებდნენ სახეზე.

მაგრამ მაინც ვერ გამოვედი გუნებაზე. გული კვლავ დამძიმებული მქონდა. იმ ღამეს შინაც მოწყენილი ვიყავი. ჩვენები გახარებულნი, სიამაყით აღვსილნი შემომცქეროდნენ „ჯგვიბის რაინდს", და-ძმებმა აღარც კი იცოდნენ რითი ესიამოვნებინათ ჩემთვის.

ჩემმა და-ძმებმა სადღესასწაულოდ გადამალული ვაშლი და ჩირი ახლა გამოაჩინეს და მომიტანეს: — ჩვენ საკმაოდ გეახელით, მეტი აღარ ჩაგვდის ყელში და ახლა შენც ჩაიტკბარუნე პირიო...

— მეც მაძღარი ვარ. ჯგვიბში მაჭამეს-მეთქი, — ვუარობდი, მაგრამ ვინ დამიჯერა, — არა, უნდა გასინჯო, დაღლილზე გუნებას დაგიწმენდსო, — მეხვეწებოდნენ ყველანი.

— მაშინ ყველამ ერთად ვჭამოთ-მეთქი.. — შევთავაზე მე.

— აი, ჩვენ რამდენი ვჭამეთ... — მუცელზე დაიტყაპუნეს ხელი პატარებმა, — მეტი აღარც ჩაგვეტევაო...

— ჰეი თქვენა, აბა კარგად ჩაიხედეთ კუჭში, არსად პატარა ადგილი არ გეგულებათ, ერთიორი ლუკმის დასატევარი? ერთი ჩაიხედეთ, აბა...

დიდებმა გაიცინეს... ბავშვები დაფიქრდნენ. მერე მუცელზე დაიხედეს.

— ჰო, მე აღმოვაჩინე ცარიელი ადგილი, აქა, — მარცხენა მხარეს მოიტყაპუნა ხელი ანუარმა.

— მეცა, აი მეცა... — აყვირდნენ სხვებიც.

— ჰო და, ძალიანაც კარგი, მოდით ახლა და შევუდგეთ ქეიფსა... — შევთავაზე უმცროსებს.

მოცვივდნენ, ირგვლივ ჩამომისხდნენ. მთელი ეს ავლა-დიდება თანაბრად დავუნაწილე, ჩემთვისაც დავირჩინე ცოტა რამ.

უეცრად წელანდელი ჩემი მეტოქე, სახენაიარევი იესავი გამახსენდა, ორჯერ რომ დავანარცხე მიწაზე და იმ მოყაყანე ხალხში, ეკლესიის კედელთან ჩამწკრივებული გოგოების წინაშე თავი მოვჭერი, თავმოყვარეობა და კაცობა შევურცხვინე. იქნებ მისმა გულისსწორმაც მოჰკრა თვალი მოედანზე სადირე მორივით გაშხლართულ იესავს? მოჰკრა თვალი და სამუდამოდ აიყარა გული მასზე? რას ვერჩოდი მაინც? იგი ხომ ჩემზე ხნიერიც იყო, ჩემზე გაცილებით უფროსიც, რანაირი ამხანაგურიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი პაექრობა, მაინც ხომ ეწყინებოდა? მაინც ხომ დასწყდებოდა გული?

რა მქონდა გასაყოფი იესავთან? გასაყოფი და საცილო? კარგი კაცი იყო თუ ცუდი, მე რაღაში მეკითხებოდა, მე რომელი მეცამეტე გოჭი ვიყავი, რომელი მართლმსაჯული, რომ იგი, ჩემთვის უცხო ადამიანი, აგრერიგად დამესაჯა, ქვეყნის სასაცილო გამეხადა?

იმ წუთში მივხვდი, რომ ჩემთვის უცხო გზას ვადექი. ჭიდაობა სვანეთში დიდი სიყვარულით სარგებლობდა, მაგრამ ჩემს ხასიათს რომ არ უდგებოდა? ისედაც ხშირად გულს მტკენდა ხოლმე, სხვისი დამარცხება, უზღვავი ხალხის წინაშე მოპირისპირის ხალიჩაზე დახეთქება.

იმ წელს რაიონის ჩემპიონობა რომ მოვიპოვე ქართულ ჭიდაობაში, საბოლოოდ დავ-

რწმუნდი, რომ ეს ეჭვი მართალი იყო. მოწინააღმდეგის დაჯაბნა არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებდა. სიამოვნებას კი არა, უფრო გულს დამწყვეტდა ხოლმე — თანატოლის წინაშე შინაგანად დამნაშავედაც კი ვგრძნობდი თავს. მოჭიდავე ხომ გამარჯვების რწმენით გამოდის ხალიჩაზე და თუ ვერ ივარგა მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალოს. მე მაინც ყოველთვის საყვედურებით ვავსებდი ჩემს თავს — შენსავით რომ ვერ დაობს, იმაზე უნდა დაჩაგრო? რაღაში გეკითხება შენ მისი ამბავი — ჭიდაობს თუ ვერ ჭიდაობს?

იმავე წელს თბილისში წაგვიყვანეს რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, მაგრამ გზაში გამოვეპარე და უკან, მესტიაში დავბრუნდი. როცა ჩემს საქციელზე პასუხი მომთხოვეს უფროსებმა, მე სახედარივით ჩამოვქინდრე თავი და ხმა არ ამომიღია. ჩემი ახსნა-განმარტებანი მათთვის გაუგებარი და სასაცილო იქნებოდა, ის კი არა, შესაძლებელია სისულელედაც კი მიეჩნიათ ყოველივე. ასე რომ მათს წინაშე თავს ვერ გავიმართლებდი, ამიტომაც დუმილი ვარჩიე. ხმას არ ვიღებდი. იმათთვის კი არა, მამაჩემისთვისაც კი არ გამინდვია გუნდიდან გაქცევის ნამდვილი მიზეზი, მამაჩემისთვის, რომელიც გაოგნებული და შეცბუნებული იყო ჩემი უგვანო საქციელით.

„როგორ, ხალხი თავს იკლავს თბილისში წაყვანაზე, შენ კი უკან გამოიქეცი. სულელისა და ბრიყვის მეტი ვინ გააკეთებდა ამას? რა იცი, იქნებ ბედს გაემართლებინა და იქაც გემარჯვა ფალავნობაში, მერე კიდევ გემარჯვა და სასახელო კაცი გამოსულიყავი, სასახელო და საამაყო. ესეც რომ არ იყოს, ქალაქს მაინც ნახავდი, ათასი საოცრებითა და მომხიბლაობით აღსავსე ქვეყანას... შენ კი სულელურად მოიქეცი...“ — ხელების სავსავითა და მხრების ჩეჩვით ამბობდა ამ სიტყვებს მამაჩემი.

მე კიდევ უფრო განმიმტკიცდა მთებში წასვლის სურვილი. ხალიჩა არა და არ მიტაცებდა, შენი თანატოლის, შეიძლება უფრო სუსტის, შეიძლება მოუქნელისა და მოუხერხებლის დაჯაბვნა და „ჭკუის სწავლება“ და ამით მოჩოჩქოლე ხალხის თვალში სახელის მოხვეჭა, არავითარ სიამოვნების გრძნობას არ ბადებდა ჩემში. არა, არ იყო ეს ხელობა საჩემო საქმე... თვალწინ თოვლიანი მთები მირიალებდნენ, მთები სპეტაკნი, ამაყნი და თვალშეუვალნი.

„მაგრამ იქაც რომ ისეთივე შეჯიბრებაა, როგორიც აქ, სპორტდარბაზებსა და სოფლის კლუბების საჭიდაო ხალიჩებზეა? — წამოტივტივდებოდა ხანდახან გონების სიღრმიდან მწვალებლური ეჭვი — რაღა იქ მიგიხარია ასე?“

მერე მივხვდი, მართალია მთაშიც შეჯიბრება იყო, მაგრამ არა თანატოლებთან, არამედ მთებთან, მწვერვალებთან; ალბათ ძეხორციელი რომ გაჩნდება, იმის არსებაში იმთავითვე არის მოცემული ბრძოლის, შერკინების ჟინი, ჩვენი არსებობისათვის ეგზომ აუცილებელი გრძნობა. ჰო და მეც ვნახე ჩემი გზა, გზა — მწვერვალებისაკენ...

## ᲓᲐᲕᲐᲟᲙᲐᲪᲔᲑᲐ

მიხეილის სახელი თანდათან ცნობილი ხდებოდა... იგი შედარებით ახალი მოსული იყო მთამსვლელობაში, მაგრამ უეცარმა წარმატებებმა უცბად აამაღლა ყველას თვალში. უკვე აღარავინ არ თაკილობდა მასთან შეამხანაგებას. მან ისეთი მთამსვლელური გული და ხასიათი უჩვენა უფროსი თაობის ცნობილ ალპინისტებს, რომ ყველანი გაოცებაში მოიყვანა.

მთამსვლელისათვის აუჩქარებლობა, სიდინჯე და სიდარბაისლე აუცილებელი იყო. ეს თვისებები კი იმთავითვე აღმოაჩნდა მიხეილს. მთიელის ბუნება და მოვლენებისადმი მიდგომა სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყო. მისი წინაპრები ყველანი დინჯი, სერიოზული ადამიანები იყვნენ. მიხეილის ძარღვებშიაც თეთრი მოხუცისა და მამამისის, ბექნუსა და გაბრიელის სისხლი სჩქეფდა.

მთამსვლელისათვის აუცილებელი იყო აგრეთვე მომთხოვნელობა ჯგუფის წევრების მიმართ, საქმის პრინციპულად, ბოლომდე მიყოლა. მაგრამ ამაზე ჯერ ადრე იყო ლაპარაკი. ეს თვისებები უფრო სპორტის ოსტატის თანრიგის მქონეთ სჭირდებოდათ, როცა მათ უფლება ეძლეოდათ შედარებით რთული, დამოუკიდებელი მთამსვლელური ლაშქრობის ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციისა. მიხეილი კი ჯერ საამისოდ „ახალგაზრდა“ იყო. მაგრამ მალე ამისი დროც მოვიდოდა...

* * *

„მიხეილ ხერგიანი უეჭველად განუმეორებელი მოვლენაა არა მარტო საბჭოთა ალპინიზმში, არამედ საერთაშორისო მთამსვლელობის ისტორიაშიც.

ჩარტოოდენ „უშბის სარკის“ დამორჩილება რომ გავიხსენოთ, ისიც კი საკმარისია ერთი ადამიანის უკვდავებისათვის. ეს ასვლა ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. ხოლო მისი ორგზის შედგომა კომუნიზმის პიკზე — საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალზე? ანდა მიხეილის სამაშველო საქმიანობა? როცა იგი ბეწვის ხიდზე გადიოდა, რათა უცნობი ადამიანის სიცოცხლე ეხსნა საფრთხისაგან? გავიხ-

სენოთ აგრეთვე მიხეილის ხელმძღვანელობით ორმოცდახუთკაციანი ძლევამოსილი მსვლელობა უშბაზე — სვანეთის წმინდათაწმინდა მურყვამზე? როცა მან შესანიშნავი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელი თვისებები გამოამჟღავნა?

მიხეილის, ამ შესანიშნავი ადამიანის სპორტული ბიოგრაფია. ფიზიკური და სპეციალური მომზადების თავისებური სისტემა, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა, ბოლოს კი მისი ადამიანური თვისებები ერთობ საინტერესო და ჭკუისსასწავლებელია ყველასათვის...“ (ი. იარკინი — საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი).

* * *

— მაინც რა არის იმაში უჩვეულო და უცნაური სპორტული ვარჯიშების ნაცვლად, საიერიშოდ მზადებისას, მამაჩემს თუ ვეხმარები შორეშისა და შეშის მოზიდვაში ცაიდერის ტყიდან? ანდა ენგურის რიყეზე ქვას თუ ვამზადებ სახლის მშენებლობისათვის? ჩვენ ხომ ისევ ძველისძველ მაჩუბში ვცხოვრობთ, რომელიც უკვე რამდენი ხანია მიატოვეს სვანებმა... მუშები რაღაზე უნდა დავიქირაოთ მე და მამაჩემმა, ანუარმა და ბექამ ქვის მოგროვებაზე? თავად ჩვენაც ხომ შეგვიძლია ეს საქმე გავაკეთოთ? ესეც რომ არ იყოს, ხომ იტყვიან ჩვენებურები — მინაანი გადიდკაცდა, მუშაობას თაკილობსო. ვიცი, ნამდვილად ასე იტყვიან, იმიტომ, რომ „გადიდკაცებულები“ საკმაოდ მომრავლდნენ ყველგან — უსაქმურობისა და ფუფუნებისაგან, იოლი არსებობისაგან თავგასული, მუცელქონიანი ხალხი — საუკუნოდ რომ მიატოვეს ფიზიკური საქმიანობა. იმათზე თუ ამბობენ — გადიდკაცდნენო, ჩემზე რაღ ვერ იტყვიან ვითომ? ჩემი რაღაზე მოერიდებათ? და არის კიდევ სხვა გარემოება — სვანი და საერთოდ მთიელი კაცი მუშაობას რომ გადაეჩვევა, იმაზე დაღუპული ადამიანი მეორე აღარ იქნება ქვეყანაზე. ეს აზრი უფროსებისაგანაც ხშირად მსმენია და მე თვითონაც კარგად ვიცი, რომ ასეა. მთიელი ხომ ბავშვობიდანვე მოუსვენარი ცხოვრებით ცხოვრობს, ბევრს მოძრაობს, უამრავ ენერგიას ხარჯავს, რაც, ბუნებრივია, მალევე აღიდგინება სხეულის მიერ. ხოლო როცა იგი მთას მიატოვებს, ანდა მოძრაობასა და შრომას მოუკლებს, საოცრად ჩიავდება, სუქდება, ჯირგვდება, მატულობს წონაში , რადგანაც სხეულში უკვე წინანდებურად აღარ ხდება ენერგიის განთავისუფლება. ბოლოს ადამიანი თავის პირვანდელ სახეს ჰკარგავს. ყოფილა შემთხვევა სოფლიდან რამდენიმე წლის წასული კაცი მეზობელ-ნათესავებსაც ველარ უცნიათ.

ჰო და მეც ვმუშაობდი, როცა ამისი შესაძლებლობა მეძლეოდა ხოლმე. მერედა რა სჯობდა ამხანაგებში, თანასოფლელ მხვნელ-მთესველებში გარევას, იმათთან საუბარსა და სიმღერას.

ერთხელ იყო, რიყეში საქვიშე ორმოს ვთხრიდი, შუადღე იქნებოდა მამაჩემი რომ გამომეცხადა და საყვედურით ჩამომძახა:

— გაანებე ახლავე თავი ქვების ჯაჯგურს, საფრანგეთისათვის თუ ემზადები, წესიერად მოემზადე, სახლში შენი დახმარების გარეშეც გავალთ როგორმეო...

— რა იყო, მამა. აკი დილას შენ თვითონ გამომისტუმრე სამუშაოდ? — გაოცებულმა ავხედე მამაჩემს.

— რა იყო? როგორ თუ რა იყო! მთელი სოფელი შემომესევია — შენი შვილი საფრანგეთშია წასასვლელი შეჯიბრებებზე და უნდა მოემზადოს როგორც წესი და რიგიაო. შენ კი საშველს არ აძლევ, ხან საქონლის ჩამოსარეკად დაგყავს, ხანაც სათიბებს ალობინებ, ახლა კი რიყეში გაისტუმრე, რა უნდა ივარჯიშოს მანდ, ლოდების ჯაჯგურისაგან რა კარგი დღე მაგას დაადგებაო?...

ეს ამბავი 1967 წლის ზაფხულში მოხდა. იმ გაზაფხულზე მთელის გულმოდგინებით ვემზადებოდი მსოფლიოს ცნობილ მთამსვლელთა შეკრებისათვის, რომელიც მონბლანის მისადგომებთან, საფრანგეთის ქალაქ შამონში უნდა ჩატარებულიყო. იქ, ჩემს გარდა, საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას მიიღებდა სლავა ონიშჩენკო, ჩემი ძველი მეგობარი, შესანიშნავი მთამსვლელი...

კარგად მახსოვს, იმ საღამოს მართლაც მოვიდნენ მეზობლები ჩვენთან სახლში და დაბეჯითებით განმიცხადეს — თუ მშენებლობის ამბავი ასე გედარდება, ჩვენ გვიმსახურე, შენ კი გაანებე ლოდებთან ბრძოლას თავი და, როგორც წესი და რიგია, ისე მოემზადე შეჯიბრებებისათვის, თორემ იქ რომ მისავათებული ჩახვიდე და საქმეში ველარ გამოდგე, ჩვენი სირცხვილიც ხომ იქნებაო...

მე ავუხსენი — ამაზე უკეთესი ვარჯიში რა უნდა იყოს, სხეული ყოველ მხრივ დატვირთულია, ათასნაირ მოძრაობას განიცდის, მთამსვლელსაც მეტი რაღა სჭირდება-მეთქი. ასეთი იყო ლაშქრობისათვის ჩემეული მომზადების „სისტემა“, რაზედაც ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ხოლმე. არაფერი მანდ უცნაური და რთული არ არის. მისი არსი ორი სიტყვით გამოიხატება — „მუშაობა, ფიზიკური მუშაობა“. მართლაც, სად შეიძლება გავარჯიშდეს ისე კარგად ადამიანი როგორც სათოხნზე, ქვის მოგროვებასა თუ შეშის დამზადებაზე?

იმ წელს კი რიყეზე წვალებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, არც თანასოფლელები შემირცხვენია. მე და სლავამ საფრანგეთში მაინც-

დამაინც ურიგოდ არ ვიარეთ, თუმცა ამაზე შეიძლება უფრო ვრცლადაც ილაპარაკოს კაცმა.

* * *

— 1967 წელს შამონში, საფრანგეთის მაღალმთიანეთში ოცდაათამდე ქვეყნის უძლიერესი მთამსვლელი შეიკრიბა. ყველაზე დიდ პატივისცემაში მაინც ნეპალელი შერპი, თენსინგის ძმისწული გომბუ იყო. იგი ორჯერ გახდა მსოფლიოს „უმაღლესი" ადამიანი. გომბუ 1955 წელს ინდოელებთან ერთად ავიდა ჯომოლუნგმაზე, მერე კი ამერიკელებთან ერთად იზეიმა ცისიერ გოლიათზე გამარჯვების სიხარული.

იგი ხალისიანად უყვებოდა ცნობისმოყვარე ხალხს, კანჩეჯანლაზე მისი და ამერიკელი თანამეწყვილის და ექსპედიციის ხელმძღვანელის უიტაკერის ასვლის ამბავს.

— გომბუ, მიდი პირველი, შენ აქაური ხარ, ამ მიწის მკვიდრი, უფრო გეკუთვნის — უთქვამს მისთვის ამერიკელ კოლეგას მწვერვალზე გასვლის წინ.

ზრდილობიან მთიელს იმის სიტყვებზე მადლიერების გრძნობით გაუღიმია და უარის ნიშნად თავი გადაუქნევია:

— ჩვენ თავიდან ერთ თოკში ჩაბმულნი მხარდამხარ მოვიწევდით მაღლა, და აი, ხედავ, აქ, იმხელა ადგილია, ორივე თავისუფლად დავეტევით... — უპასუხნია გომბუს.

და ასე, ხელიხელ გადახვეულნი გასულან ბექობზე და ერთდროულად შემდგარან მწვერვალზე. უიტაკერს სურათი გადაუღია გომბუსათვის. მერე აპარატი მოუმართავს და შერპისათვის გადაუცია, იმასაც თავმომწონედ დაუჩხაკუნებია იგი. მერე უიტაკერს ამერიკის დროშა აღუმართავს მწვერვალზე, ხოლო გომბუს თენსინგის გამოტანებული მაშხალა დაუნთია.

ერთი სიტყვით, გომბუ ცნობისმოყვარე ტურისტებისათვის, რომლებიც მრავლად იყვნენ შამონში, უძვირფასეს „ექსპონატს" წარმოადგენდა.

• • •

—მთამსვლელთა შეკრება სხვა შეჯიბრებებს სულაც არა ჰგავს. მსაჯობას ჩვენთან ძირითადად საათები სწევენ, რომლებიც ბანაკიდან, ან ღამისსათევიდან გასვლისას ჩაირთვებიან და აგრეთვე მწვერვალიდან ჩამოხსნილი წინა ჯგუფის დატოვებული წერილი-ანდერძი, რომლის წარმოდგენა ისევე აუცილებელია, როგორც სტუდენტისათვის პირადობის მოწმობის ჩვენება შეღავათიან სამგზავრო ბილეთის შეძენისას. ვინც ყველაზე ნაკლებ დროში დაიპყრობს მწვერვალს, გამარჯვებულიც იგია.



გზა მწვერვალისაკენ თავად უნდა აირჩიოს მთამსვლელმა. ოღონდ ძირითად მარშრუტს ნუ გადაუხვევს და სხვა მხრივ შეუძლია თავის ნება-სურვილზე იაროს... საკუთარი გუმანითა და ანდეთი შეარჩიოს უმოკლესი, უსაშიშრო მისადგომები, ქვათაცვენისა და ზვავებისაგან დაცული ადგილები...

მალე შეკრების მონაწილეებს გამოგვიცხადეს, რომ ჯგუფებს სრული თავისუფლება ეძლეოდათ მწვერვალებისა და მარშრუტების შერჩევაში, აგრეთვე ტრასაზე გასვლის არჩევანში...

მე და სლავა მშვენიერ გუნებაზე ვართ. ამაში მთავარი „დამნაშავე" ფრანგული ამინდია, რომლის დარიც იშვიათად შემხვედრია ლაშქრობისას. რაც მთავარია, ტანში ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობდით, რომ თუნდაც ათას მთას გადავივლიდით შეუსვენებლივ. ახლა ჩვენც უნდა გადაგვეწყვიტა — რომელი მწვერვალისათვის შეგვეტია. მწვერვალები ალპებში ბლომად არის. მაგრამ ქართული ანდაზისა არ იყოს — „თხა თხაზე ნაკლებიო"... ყველა რთულ მწვერვალებს ეტანებოდა და ჩვენც რაღა სხვაზე ნაკლები ვიყავით.

— მოდი, გრანდ-ჟორასზე ვცადოთ, — ვეუბნები სლავას, — სირთულეს რომ შევეშვათ, ისედაც კარგად ჟღერს ეს სახელი — „გრანდ-ჟორასი".

სლავა თანახმაა.

უკანასკნელ სამ წელიწადში გრანდ-ჟორასის ჩრდილოეთ კედელს არავინ გაჰკარებია, მისი თოვლიან-ყინულიანი ფერდობების ძნელადმისადგომობისა გამო. მაგრამ ამ შეკრებაზე ყველა ცდილობს თავის გამოჩენას, რაც ბუნებრივია; ყველას უნდა სენსაცია მოახდინოს, ისე, ვინმეს გაკვირვება შეუძლებელია. და აი, ვილაც-ვილაცეები წასულან კიდეც იქით — ჩრდილოეთის კედელზე უშველებელი რიგი დგას. ჩვენც ჩავეწერეთ რიგში. მერე მთის ტრამვაით კედლის პირას მდებარე მესიმაღლეთა ქოხისაკენ გავეშურეთ. ქოხში ერთი აურზაურია. ყველა წასასვლელად იწევს და არავინ კი არ მიდის. ესპანელები კარგა ხნის გასულები არიან ტრასაზე, პოლონელები, ჩეხები და იაპონელები სხედან. იაპონელებს ამხანაგი მოსწყდომიათ კედელზე და უკან გამობრუნებულან, მაგრამ როგორც ეს მამაც ხალხს სჩვევია, იხტიბარს არ იტეხენ, ელოდებიან, როდის გამომჯობინდება მათი მსუბუქად დაშავებული ამხანაგი, რომ ხელახლა შეუტიონ კედელს.

ცოტა ხნის მერე პოლონელები გადიან ტრასაზე, მაგრამ მალევე უკან ბრუნდებიან. გაწბილებულნი თავს აკანტურებენ — თითქოს იმუქრებიანო. ჩეხები ფიქრობენ — ვნახოთ ერთი, რას იზამენ ესპანელები და მერე

ჩვენც იმისდა მიხედვით ვიმოქმედოთო. მერე ისინი ჩვენ გვეკითხებიან:

— თქვენა, თქვენ რაღა გადაგიწყვეტია-თო?

— რიგს ველოდებით-მეთქი.

ისინი გვეუბნებიან:

— ჩვენი რიგია, მაგრამ თუ გნებავთ, ერთად წავიდეთო.

ლოდინმა გული გაგვიწყალა. შესაძლოა გამოდარებას ელოდო მთაში ადამიანმა, ან ამხანაგის გამომჯობინებას, შესაძლოა ძირითადი ბანაკიდან დათქმულ სიგნალს ელოდებოდე, მაგრამ რიგის ლოდინი მართლაც უჩვეულო რამ იყო. ეს უაზრო ლოდინი მით უფრო გულისგამწყალებელიც გვეჩვენებოდა, რომ გარეთ მშვენიერი სალაშქრო ამინდი იდგა... ამინდი კი მთაში თითქმის ყველაფერია, არა და ვიდამ უწყოდა, როდის შემოსწყრებოდა ქვეყნიერებას მაღალი ელია?

ამიტომაც ჩეხების წინადადებამ ორთავენი გაგვახარა. ადრიანი დილა იყო. ჯერ კიდევ ბნელოდა, მყინვარზე რომ მივაბიჯებდით. ჩეხები ოთხნი იყვნენ. ჩვენ კი — ორნი. ერთ თხემს რომ მივადექით, ჯგუფში საუბარი შეიქმნა— რომელი მხრით აგვევლო მისთვის. ჩვენ — მარჯვენა მხრით ავლას ვამჯობინებდით, ისინი — მარცხენათი. რომ ვერ შევთანხმდით, ჩვენ ჩვენი გზით გავემართეთ, ისინი — თავისი გზით.

მთაში მართალი ის არის, ვინც მიაღწევს მიზანს, ვინც მშვიდობიანად ივლის. ჩვენ გავასწარით. მაღლა კედელთან დაველოდეთ. რომ ამოაღწიეს, სულის მოთქმა დავაცალეთ და კვლავ ერთად გავუდექით გზას. მალე ციცაბო ყინული დაიწყო. ჩვენ წრიაპები გვეცვა და სწრაფად გავდიოდით ყინულზე. ისინი კვლავ ჩამოგვრჩნენ.

„სამშვიდობოზე“ გასულნი კვლავ დაველოდეთ. სულგრძელობას კი ვიჩენდით, მაგრამ ვგრძნობდით, ტემპს ვკარგავდით. ეს კი ცუდი იყო. ცუდი იყო, მაგრამ რა უნდა გვექნა — იმათ რიგი დაგვითმეს, ყოველ შემთხვევაში, შეგვიამხანაგეს, ახლა კი ჩვენც სიკეთით უნდა გადაგვეხადა მათთვის. ავდექით და შერეული წყვილებით განვაგრძეთ გზა. ასე მართლაც შეიძლებოდა უფრო ჩქარა სიარული. მაგრამ ორი კაცი ოთხს რანაირად ვეყოფოდით! იმათი ერთი წყვილი წინ წავიდა და მოკლე ხანში ისეთი ლოდებით „გვაგვიმასპინძლდა“, შენი მოწონებული!.. აი, ვეება ლოდი მოგორავს ციცაბო ფერდობზე, ხედავ რომ შენსკენ მოდის, მაგრამ ვაუკაცი ხარ და განსაზღვრე, რომელ მხარეს გადაუხვევს — მარჯვნივ თუ მარცხნივ. ასე რომ ადვილად ვერ აუქცევ გვერდს. მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ლოდმა შეგვიცოდა და ჩემსა და ჩეხოსლოვაკელ თანამეწყვილეს შორის ჩაიქროლა. რამდენიმე წუთიც და... ვხედავ — ერთ-ერთი ჩეხი მოსწყდა ადგილს და ნელ-ნელა იწყო დაბლა დაცურება. თოკი გაწყდომაზე დაიჭიმა, საბედნიეროდ წრიაპებმა გვიხსნა. მძლავრად გამოვქაჩე თოკი და უცბადვე შევძელი მისი შეჩერება. ჩეხს სახე და ხელები გაკაწრული ჰქონდა. სხვას არაფერს უჩიოდა.

გავიარეთ ეს მონაკვეთიც. ყინულები თითქოს უკან მოვიტოვეთ. ახლა კლდიანი მასივები დაიწყო. მეწინავე ჩეხების წყვილი კუს ნაბიჯით მიიწევს წინ. ჩვენ გული გვეწურება. ისე, კარგად მიდიან, ჰკვიანურად, საიმედოდ, ვერაფერს იტყვის კაცი, მაგრამ ასეთი ტემპი ჩვენ ხელს არ გვაძლევს.

მე შევთავაზე:

— პირველი ვივლი და მეტი სისწრაფისათვის თქვენს თოკებსაც გავიბამ-მეთქი.

დამთანხმდნენ. ცოტა მანძილი რომ გავიარე, ერთმა ჩეხმა, სახელად იურამ მითხრა:

— ბიჭებო, ვხედავთ, ჩვენზე ძლიერები ხართ. გაბრკოლებთ და მეტი არაფერი. ქვევით კი ამბობდნენ, რომ საბჭოთა მთამსვლელებს კლდეზე ცოცვის საკმაო გამოცდილება არა აქვთო. ტყუილია ეს. თქვენი წყვილი აქ საუკეთესოა, ამას ყველა იტყვის. ხო და იარეთ წინ. ეს აუცილებელია საქმისათვის. ამას სამართლიანობა მოითხოვს, სხვა რომ არა იყოს რა...

მე და სლავა დავემშვიდობეთ და წინ გავვარდით. მალე ზემოდან რაღაც ჩქამი მოგვესმა. ესპანელები აღმოჩნდნენ. ისინი ვითომ ადიან, მაგრამ მცირე მონაკვეთის დაძლევას მთელი საათი კი უნდებიან. უნდა დაველოდოთ, ვიდრე სამშვიდობოზე გავლენ, სხვა რა გზაა. მაგრამ არ დაადგა იმათ ასვლას საშველი. მაშინ ჩვენ ვეუბნებით:

— ან მოგვიხმარეთ, ან წინ გაგვიშვით-მეთქი...

ისინი უარობენ:

— ხომ ავდივართ და წინ როგორღა გაგატაროთო.

ადგილი ძალიან ცუდია, მოუხერხებელია. უშველებელი უარყოფითი დაქანების კედელი აქლემის კუზივით გადმოზნექილა ჩვენს თავზე. აუცილებლად მარჯვენა მხრიდან უნდა გვევლო მისთვის, რომ თავზე მოვქცეოდით. მაგრამ ეს გზა საკმაოდ გრძელი იყო — ჯერ ორმოცდაათ მეტრზე უნდა გავსულიყავით აღმოსავლეთისაკენ, მერე დაბლა დავშვებულიყავით და მხოლოდ იმ ადგილიდან შეგვეძლო ასვლის გაგრძელება.

ერთხანს კიდევ შევცქეროდით ესპანელთა საცოდაობას. მერე გულმოსულები ერთბაშად წამოვხტით ადგილიდან და პირდაპირ ვეტაკენით „აქლემის კუზს“. პირველი მე წავედი,

თავიდან კარგად მივდიოდით, თუმცა არც მერე გაგვჭირვებია მაინცდამაინც, ალბათ იმიტომ, რომ ზედმეტად აღგზნებულები ვიყავით და სიძნელეები არარად მიგვაჩნდა, და ალბათ იმიტომაც, რომ უკანდახევას არ ვიყავით დაჩვეულნი, და უფრო კიდევ ლოდინის შიშით, რომლისგანაც ასე გვქონდა გული გაწყალებული, თავდაუზოგავად მივიწევთ წინ. რამდენიმე მეტრი კიდევ და კედელზე თოკებს ვპოულობთ, კლდის ღრეჩოებში ალაგ-ალაგ ჟანგიანი პალოები მხვდება. ზოგან თოკები ჩამომპალია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადრეც და უახლოეს ხანშიც ბევრს უცდია კედლის ამ გზით დაძლევა, უცდია, მაგრამ ვერ კი აუსრულებია საწადელი — თოკები და პალოები კლდის ყველაზე დიდი შვერილის მისადგომებთან თანდათან შეთხელდა, ბოლოს კი სულ არ გვხვდებოდა. ეტყობა, კუზთან მოპაექრეები ფარხმალს ჰყრიდნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

ახლა ჩემს წინ სწორედ ეს გლუვი, უარყოფითი დაქანების კედელი აღმართულიყო. ამ უბანზე არც ღრეჩოებია, არც ხელჩასაჭიდი პორები, მხოლოდ შლიამბურებით (ღრუსატებით) თუ გავა კაცი ფონს, მაგრამ ისინი ჩვენ არა გვაქვს თან წამოღებული.

ასე და ამრიგად, ჩვენი წინსვლა სერიოზულად შეფერხდა.

ესპანელებმა რომ დაინახეს, პირდაპირ შეებათ შვერილს, თავში იტკიცეს ხელი, გაოცებულებმა ერთი ღრიანცელი ატეხეს. ალბათ თავის ენაზე ერთმანეთს ეუბნებოდენ — ეს ვილაცა, ნამდვილად გაგიჟებულიაო!

ჩეხები კი ქვევიდან მოგვძახიან (ვიდრე ჩვენ ესპანელებს ველოდებოდით, ისინიც მოგვეწივნენ):

— საით გაგიწევიათ, მანდ ეშმაკი ვერ გავა...

• • •

1964 წლამდე თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში მთამსვლელობის განყოფილება არც არსებობდა. ეს მაშინ, როცა აქვე სპორტის უკლებლივ ყველა სახეს ეუფლებოდნენ ფიზკულტურელები. ამ წელს კი პირველად დაისვა ალპინიზმის განყოფილების დაარსების საკითხი, ხოლო მომდევნო წლიდან, ფიზკულტურის ინსტიტუტის არსებობის ისტორიაში, პირველად ჩააბარეს აბიტურიენტებმა მისაღები გამოცდები სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობაში.

მიხეილს ცოტა წვლილი როდი მიუძღვის განყოფილების ჩამოყალიბებისა და მომავალი მთამსვლელების აღზრდა-განათლების საქმეში. რესპუბლიკის ფიზკულტურის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სწორედ მას დაავალა მეურვეობა გაეწია ამ სექციისათვის. მიხეილმა სვანეთიდან ჩამოიყვანა მთებით გატაცებული ახალგაზრდები, რომლებმაც უკვე ინსტიტუტში სწავლის პერიოდშივე გამოიჩინეს თავი, როგორც ახალი ყაიდის, ახალი სტილის მთამსვლელებმა.

— ამ ახალგაზრდებზე ახლა დიდ იმედებს ვამყარებთ, — ამბობს მიხეილი, — მე მეამაყება და მიხარია, როგორც მასწავლებელსა და პედაგოგს მათი წარმატებები. რაც მთავარია, ეს არის ახალი შემოქმედებითი ძალების ოაობა. მათი ხელწერა ლაკონური და ლამაზია, დღევანდელობის, თანამედროვეობის შესაფერისია. ჩვენი მიზანიც ხომ ეს იყო — მიგვეცა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების მაქსიმუმი, და ამით შეგვემზადებინა ისინი დიდი ალპინიზმისათვის.

ამ ახალგაზრდებმა იციან ექსპედიციის დროს ორგანიზებულობის, დისციპლინის, წესრიგის ფასი, რაშიც ადრე მოვისუსტებდით ხოლმე. მათ მთელი სერიოზულობით აქვთ წარმოდგენილი: მწვერვალთა ძლევა არც ისე იოლი საქმეა, საჭიროა სათანადო მომზადება, ბევრ მიწიერ სურვილზე უარის თქმა, ნებისყოფის გამომუშავება... მე კი ყოველივე ეს თანამედროვე ქართული და საბჭოური ალპინიზმისათვის უდიდეს მონაპოვრად მიმაჩნია...

როცა ჩვენ მოვტყდებით, მუხლებში ძალა გამოგველევა და მეტად აღარ დაუბერავენ მთებიდან სამოგზაურო ქარები, როცა მყინვართა ანარეკლისაგან დაოსებულ თვალებში სისველე გაგვიჯდება, ეს ახალგაზრდები აიკიდებენ ზურგჩანთებს და გაუდგებიან თოვლიან გზებს, ლურჯი ცის დასალიერიდან ზვავის ხმაზე დააბუბუნებენ მამაპაპათა უბერებელ და უდიადეს სიმღერას, მზის საგალობელ — ლილეოს...

ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია!.. — ხმამაღლა ამცნობენ ქვეყნიერებას ისინი.

• • •

— ეჰეი, მანდ ეშმაკი ვერ გავა... ეჰეი!..

არის წუთები ადამიანის ცხოვრებაში, როცა არაფერს ანგარიშს არ უწევ, უფრო სწორედ, თავის თავს აღარ ეკუთვნი. შექმნილი მდგომარეობა გაიძულებს იმოქმედო გონიერების საწინააღმდეგოდ. რაღაც უხილავ ძალას აუტანიხარ და თავის ნება-სურვილზე მიგერეკება, ამ უხილავმა ძალამ შეიძლება განსაცდელისაგანაც იხსნას ადამიანი, მაგრამ კიდევ უფრო მოსალოდნელია, რომ ქარაფებზე, მოუსავლეთში გადაჩეხოს იგი. მსგავსი წუთები მიწაზეც, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გვხვდება, მაგრამ იქ ამ გრძნობას სიცხოველე და მგზნებარება აკლია. მთაში კი, განსაცდელის ჟამს შეიძლება სულ სხვა კაცად იქცე, ისეთ ადამიანად, რომ, დაწყნარებულ გუნებაზე ვეღარც კი იცნო შენი თავი.

მსგავსი ვითარება იყო ახლაც — ჩვენ გამოვასწარით ჩეხებს, ორთაბრძოლაში ჩავებით ესპანელებთან (ჩვენდა უნებურად გამოვიდა ასე), თავი გამოვიდეთ ყველას წინაშე და ახლა უკანდახევა მართლაც თავისმოჭრა იყო და მეტი არაფერი.

— ეპეი... მანდ ეშმაკი ვერ გავა... რას შვრები... — კვლავ მოგვძახიან ქვევიდან ჩეხები.

მე კედელზე ვარ. ერთობ საშიში ადგილია. კლდის გლუვი ზედაპირი არ იძლევა საშუალებას პალოების გამოყენებისა, ღრუსატები (შლიამბურები) კი, ჩვენ როგორც უკვე ითქვა, თან არ წამოგვიღია. და აი, კვლავ შორეული ჩქამი მოვარდა ჩემს ყურთასმენამდე, ლალამის მაცხოვარის ეზოში ჯგვიბს დღესასწაულობდნენ სეტ-მესტიელები. თავჯვრიანი ნათლისვეტი მედიდურად აღმართულიყო მოედანზე, სოფლის მახვში, მოხუცი გვარლიანი მალულად ათვალიერებს ბიჭებს — ვინ აებლატება, ვის ეყოფა ძალა და გამბედაობა, რომ სვეტის თავზე მორიალე — მოსავლიანობის სვე-ბედის განმრიგე ჯვარი ჩამოხსნას და ლალამში დაანარჩუნოს? ვინ არის ასეთი გულადი?

...მიხეილის ცხვირწინ უამრავმა თოვლის გუნდამ ჩაიწუვილა. ისინი მწარედ ჩხვლეტენ კისერსა და ზურგში. იგი მაინც მაღლა მიიწევს, ჭიაყელასავით მიიკაკვება, ფეხებს მაშასავით ჩაუჭერს ნათლისვეტს, მერე წელში აიმართება, და ერთი ნაბიჯით ამაღლდება... ერთი წამით იგი წარმოიდგენს ლალამელთა, და არა მარტო ლალამელთა ქერითა და ჩალა-თივით, კარტოფილითა და სიმინდით, ოსპითა და კანაფით გამოტენილ ლაფაროეზოებს, კიდობნებსა და ბაგებს. ირგვლივ ხვავი და ბარაქა სუფევს — თვალშეუვლები სიმდიდრეა. სიმდიდრე და სიხარულია ლომის ხეობაში. ყოველივე ეს ამ ქრისტეს ჯვრის წყალობაა, მაცთუნებლად რომ განქარვებულა ვაყინულ სივრცეში. ცოტაც და... აი, ერთი ნაბიჯი... მერე გამარჯვებული ხალხის ყიჟინა მოვარდა... ლალამელები ჯვრის დანარჩუნებას ზეიმობენ, ხოშა ბაბა კი მიდის მასთან, გოგოებისაკენ გაახედებს და ეუბნება — აირჩიე რომელიც გინდა...

და ახლა მიხეილი წუთით იმათზე ფიქრობს იმ შავბნელებზე, ხოშა ბაბამ რომ დაანახა შორიდან. ერთი იმათთაგანი ახლა მისი მეგობარია — კატი. იგი შინ ელოდება, გამარჯვებულს ელოდება, ისეთი გულისფანცქალით უცდის, ცხრა მთას გაღმა გარდასულ მთიბველს რომ ელოდება თავისი სწორფერი.

* * *

— ორმოცდაათი მეტრი ისე გავიარე, ცალი თითის ჩასავლებს თუ ვიპოვნიდი სადმე. ღრეჩო-პორის მაგვარი მანდ არსად შემხვედრია. რამდენიმე თავმოგლუვებულ კოპსა და მოჭიქულ „თეფშებზე" თითს კი არა, ანკესსაც ველარსად გამოსდებდი... და აი, — მე ისევ მაღლა ვარ, კუზის თავზე, იქიდან დაბლა რომ გადავიხედე, ლამის თავბრუ დამეხვა. სლავასაც ელდა ეცა — ქვევიდან ხელით მანიშნა — ხომ არ გადაირიე, შიგნით შეიწიეო...

თითქოს მურყვამის ქონგურზე ვიყავი გადმომდგარი, ისეთი გრძნობა მქონდა. მურყვამებს ხომ რა ხანია შევაჩვიე თვალი, ეს კედელი კი რატომღაც ისევ მაშინებდა. მერე ძალა მოვიკრიბე, პალო ჩავარტყი, თოკი გამოვაბი და დაბლა დავუშვი. მალე სლავა ამოვიდა და როგორც კი სული მოითქვა, იკითხა:

— აქ რანაირად გაიარე?: მაინც რანაირად გაიარე აქა?

— რა ვიცი... გავსხლტი როგორღაც... — ღიმილით ვუპასუხე მე.

სლავა თავს აქნევს გაოცების ნიშნად.

— მაგარი კედელია! შეგიძლია ცოცვა? — გაივლი, დაძლევ, არა და იკონწიალებ მთელი საათობით ამ ესპანელებივით...

— მართლაცდა ეს რა ალპინიზმია? — მეთანხმება სლავა, — ლამაზი კედელი, თოვლი, მყინვარი,რა გინდა სულო და გულო, ყველაფერი აქვეა. შენ კი თოკებზე კონწიალობ და კუს ნაბიჯით მიიწევ მაღლა. ჰო, მაგრამ ეს მაინც წარმოუდგენელია — ჩემს გამოვლილ წარაფს ჩააცქერდა იგი.

ესპანელებს არაფერში ეტყობოდათ, მაღლა თუ მოიწევდნენ. ისინი ისევ იმ ადგილზე იტკეპნებოდნენ, ამ რამდენიმე ხნის წინ რომ დავტოვეთ.

— კაცმა რომ თქვას, რა აქვთ მაინცდამაინც საჩქარო? ადრე თუ გვიან ამოვლენ და ის იქნება, შეიძლება ჭკვიანურადაც იქცევიან...

— ოღონდ ერთი ამბავია, ყოველივე ეს თუ მაგათი სიდინჯით აიხსნება, მაშინ ეს სიდინჯე კარგია იქ მშობლიურ მთებში, საკუთარ სახლში, სადაც გარეშე თვალი არ შემოგცქერის, მსოფლიოს რჩეულმა მთამსვლელმა კი უნდა გაუტიო კიდეც! თორემ ასე ყველა კი იკონწიალებს...

— აი, დარდიი... იკონწიალონ და ისიამოვნონ, ჩვენ რა...

— ასეა თუ ისე, მე ვეთანხმები ფრანგებს, რომ გრანდ-ჟორასი მათი ყველაზე საინტერესო კედელია, შენ რას იტყვი ამაზე?

სლავა თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს — უდაოდ ლამაზი კედელიაო. მერე გზას ვაგრძელებთ. სულ ათას ორასი მეტრი გავიარეთ ცოცვით. საღამოს ხუთი საათისათვის უკვე მწვერვალზე ვიყავით. ასვლას მოვანდომეთ სულ ცამეტი საათი. ამ დროში შედის ის შეფერხებაც, გზად რომ გვხვდებოდა.

ქვემოთ ვეშვებით სამხრეთის კედელით, იტალიის მხარეზე.

კედლის ძირში კლდისა და მიწის მიჯნასთან პატარა ქოხი დგას. ქოხიდან მადის აღმძვრელი ოხშივარი გამოდის. ოხშივარი ჟრუოლასავით გვივლის ტანში. ქოხის პატრონი ღიმილით გვეპატიჟება შინ, მობრძანდით, გვეწვიეთო. მაგრამ იგი ხომ ვინმე ჩვენებური მედუქნე არ იყო, რომ ნისიად გაგვმასპინძლებოდა. ჩვენ კი კაპიკი არ გვიჯყავის ჯიბეში. არც იტალიური ფული გვაქვს თან, არც —ფრანგული. ძალიან კი მოგვანატრა ამ ქოხმა ჩვენებური სუფრა, ნაირ-ნაირი საჭმელებით დამშვენებული. მე ქუთაისში საშოვარზე ჩასული სვანების ამბავიც კი გამახსენდა, ისინიც ჩვენსავით მოშივნულები იყვნენ ალბათ, გზად ვიღაც მედუქნემ რომ შეიპატიჟა — მობრძანდით, მეწვიეთ, თქვენი ხმალი და ჩვენი კისერიო. სვანები პირველად იყვნენ ქალაქში, იქაური ვაჭრული წესებისა არა გაეგებოდათ რა და მედუქნის მიპატიჟება სტუმართმოყვრობად მიიღეს. თქვეს, ეს რა ღვთისნიერი კაცი შეგვხვდა, სხვებს კი არა ჰგავსო... ერთი ჩამოვიდეს სვანეთში და პატივისცემას ასმაგად გადავუხდითო. სვანები ქუდმოხდილნი, მადლიერების გრძნობით აღვსილნი შებრაბუნდნენ დუქანში და სუფრას მიუსხდნენ.

მედუქნემ კი, რაც კარგი რამ გააჩნდა, ყველაფერი გამოუტანა. ეშხსა და ჭამა-სმის ლაზათში შესულ სტუმრებს სულ ტკბილი სიტყვებით მიმართავდა — „კიდევ რას მიბრძანებთ, სხვა რა მოგ:რთვათო..."

სვანები კი, აღტკინებულნი თავიანთი „აღმოჩენით", — გზად გაცნობილი მედუქნის კაიკაცობითა და სტუმარმასპინძლობით მჯიღებს იბაგუნებდნენ მკერდზე და ღმერთს ეაჯებოდნენ — ისე ნუ მოგვკლავ, ეს კაცი სვანეთში არ ჩამოგვიყვანოო...

მაგრამ მალე საქმე სხვანაირად შეტრიალდა. სტუმრები რომ გამოძღნენ და წასასვლელად აიშალნენ, მასპინძელმა დანახარჯის ანაზღაურება შემოსთავაზა მათ. ახლა სულ სხვა კაცი იდგა მათს წინაშე; აბა რას წარმოიდგენდნენ მთიელები, თუ თავაზიანად მიპატიჟებულ სტუმარს დანახარჯის გადახდა ევალებოდა? მათს ქვეყანაში ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. ხო და რომ დარწმუნდნენ— მედუქნე არა ხუმრობსო, ნაბდის ქუდები შემოიტრიალეს თავზე, ხანჯლები იშიშვლეს და თავს წამომდგარ პოლიციელებს შეუტიეს. ყველაზე მეტად იმისი რცხვენოდათ — ჭამასმის გულისათვის როგორ უნდა შევაკლათ ამ ოხრებს თავი, რაიმე ვაჟკაცურ საქმეზე მაინც მოგვსვლოდა ჩხუბიო. არა და გადასახდელი ფული მათ არ გააჩნდათ და არაფერი...

მერე ყველანი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. შინ მომლოდინე ცოლ-შვილს, ნათესავმეზობლებს კი ეგონათ — ჩვენი — [illegible] კაცები ეტყობა, სარფიან სამუშაოს წააწყდნენ და იმაზე შეაგვიანდათო. სინამდვილეში კი ციხეებში ეყარნენ და ერთი საათის ნაჭამ-ნასვამი ძმრად ამოსდიოდათ ყელში. არავინ უწყის, როდემდე გაგრძელდებოდა მათი წვალება, ერთ გულმოწყალე გენერალს რომ არ შებრალებოდა ისინი. ეს გენერალი სასამართლოში გამოსულა და უთქვამს: ამათს ქვეყანაში სხვანაირი სტუმარ-მასპინძლობა იციან. მანდ იტყვიან ხოლმე — „სტუმარი ღვთისაო", შინ წრფელი გულით ეპატიჟებიან უცხოს და რაცა აქვთ, აღარაფერს იშურებენ მისთვისო. ოჯახის ქალი ფეხსაც კი დაჰბანს უცხოსო. მთაში ზოგან წაწალსაც კი მიუწვენენ სტუმარს, რათა მის ვაჟკაცობაში დარწმუნდნენ და იგიც დაარწმუნონ თავიანთ ვიმნდობლობასა და ერთგულებაშიო.

იმ გენერალმა იხსნა საწყლები, თორემ იმათ ასავალ-დასავალსაც ვერავინ გაიგებდა.

ეს რომ ვუამბე სლავას, სახეზე სევდანარევი ღიმილი გაუკრთა.

მაშინათვე გავეცალეთ იქაურობას. ქოხის მეპატრონემ ალბათ კარგად იცოდა მთამსვლელთა ჯიბის ამბავი, შესაძლოა წრფელი გულითაც გვეპატიჟებოდა, სხვა რომ არაფერი, იგიც ხომ მთიელი იყო, რაც აშკარად ეტყობოდა მზემოკიდებულ, ქარდაკრულ სახეზე.

მაგრამ სვანებზე გარდახდენილი ისტორია ისეთი ჭკუისსასწავლებელი გაკვეთილი იყო ჩვენთვის, რომ მანდ პურისჭამასა და დასვენებას უკვე ისეთ გემოს მაინც ვერ ჩავატანდით. თანაც რაიმე გაუგებრობას რომ ჰქონოდა ადგილი, გამოგვიჩნდებოდა ვინმე მშველელი და გულშემატკივარი იმ ღვთისნიერი გენერალივით?

„სადა ხარ, ჩვენო გენერალო? შორსა ხარ ჩვენო, გენერალო?" — ვღიღინებდით გზად მე და სლავა.

## „ღმერთმა გამოძერწა და სული შთაბერა"

გადილ-ბაშკარას მწვერვალიდან სამნი ეშვებოდნენ. სამთავეს ილაჯი გაწყვეტოდათ. ერთ ადგილას, ზედ უფსკრულის თავზე ისინი შეჩერდნენ, დაკვირვებით მოათვალიერეს ადგილმდებარეობა, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი ნახეს. ნათელი გახდა, სავარაუდო გზას ასცდენოდნენ. თხემი, რომელსაც ისინი გამოჰყვნენ მწვერვალიდან, შვეულ კლდეებად ეშვებოდა სადღაც მოუსავლეთისაკენ. უკან გაბრუნებას ძალა სჭირდებოდა, ეს უკანასკნელი კი მათ ნახევარ გზამდეც ვერ ეყოფოდათ. არა და, ადგილზე ფუსფუსს არავითარი

აზრი არ ჰქონდა. გამთოშავი სიცივე ძვალსა და რბილში გასჭდომოდათ ისედაც. საჭირო იყო მოქმედება, მოძრაობა, რისკი. და მათ იქვე კლდეში ჩაამაგრეს პალო, გამოაბეს თოკი და დაბლა დაუშვეს, — იქნებ უახლოეს ბაქანამდე მისწვდეს და ჩაგვიყვანოსო. პირველი, ჯგუფის უფროსი — იური ბურუხევიჩი ჩამოეკიდა თოკზე და დაშვება იწყო. მას დანარჩენებიც მიჰყვნენ. „ცოტაც და სამშვიდობოს გავალთ... ცოტაც და...“ ფიქრობდნენ ისინი, მაგრამ თოკი ველარ გასწვდათ, უახლოეს ბაქნამდე, ფეხმოსაკიდებელ მოედნამდე ორმოცდაათამდე მეტრი მაინც იქნებოდა დარჩენილი. სამივე მეგობარი ერთ დღეში აღმოჩნდა. დაბრუნებულიყვნენ უკან? საუბედუროდ, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ამისი ძალა აღარავის შესწევდა. მორჩა, ყველაფერი გათავდა, სიცოცხლეს საცაა შავი წერტილი დაესმება. ერთი დღე... ორი... სამი... ოთხი დღე... ქარზე აფრიალებული, გასაშრობი სარეცხივით ეკიდნენ ისინი ჰაერში და თვალმილულულნი ელოდებოდნენ აღსასრულს, რომელიც თანდათან უახლოვდებოდათ. სახეში სცემდათ ქარი და თოში. კანკალებდნენ შიშისაგან, შიმშილისა და სიცივისაგან. ყველაფერს აქვს დასასრული, ყველაფერი მთავრდება...

და უცბად, ამ დროს საიდანღაც ძეხორციელისეული ჩქამი მოვარდა. გადავიწყებული, ადამიანის ხმა. ნეტარი, თბილი, მზესავით სხივოსანი და კაშკაშა ხმა. ვიღაცა იძახოდა:

— ნუ გეშინიათ, ჩვენ აქა ვართ...

ისინი წუთით თვალს ახელენ და დაბლა, თავდაყირა გადაკიდულ მასივებს მოავლებენ ნისლიან მზერას. „მოჩვენება, ეს წყეული მოჩვენება...“

მაგრამ იგივე ხმა რამდენჯერმე მეორდება:

— ჩვენ აქა ვააართ, აქა ვაართ, აქა ვააართ...

და მართლაც მოვიდნენ ისინი — მიხეილ ხერგიანი, ერმინე კახიანი, მიხეილ ხერგიანი (უმცროსი). სამი, საბედისწერო თოკზე კოჭებად ასხმული ნახევრად უგრძნობელი ადამიანი მიწაზე ჩამოუშვეს. მაშველი ჯგუფის წევრებმა მათ თავისი სხეულის სითბო გაუნაწილეს... სამი ლოლუა თბებოდა, ღღვებოდა, სუნთქავდა, ილვიძებდა...

მიხეილისათვის ნაცნობი და ახლობელია ეს განცდა — გაჭირვებულთა, იმედწართმეულთა გამოღვიძების წუთი, პირველი ღიმილისა და გაყინულ თვალ-საცქერლებში სიცოცხლის სხივის აკიაფების წუთი. არა ერთი და ათი ადამიანი უხსნია თოვლიანი ჯუნგლების ტყვეობიდან და შთაუბერავს მათთვის საკუთარი სითბო...

ასეა, როცა მთებზეა ლაპარაკი, როცა მოიხსენიებენ დიდი კავკასიონის ხერხემალს, ჩრდილო და სამხრეთის კალთებს, აქლემის კუზებად ჩარიგებულ თეთრ-შუბლა მწვერვალებს, ნუ შეშინდებიან ხიფათიანი გზების მაძიებელნი და მოყვარულნი — მთამსვლელები, ტურისტები, თვითმოქმედნი და გეგმიანები. იქ, ახლო-მახლო, ხერგიანების, კახიანების, ჩართოლანების, ნიგურიანების, ჯაფარიძეების, გაბლიანების და ცასთან ახლოს მდებარე ქვეყნის სხვა საგვარეულოთა „მაშველი რაზმებია“. ისინი მთებში მიიტანენ მზესავით სხივნათელ, თოვლივით კაშკაშა, ზღვასავით ბობოქარ, იმედიან ხმას, იმედიან შემოძახილს...

დიდ კავკასიონზე უდევს ბუნაგი „კლდის ვეფხვს“ მიხეილ ხერგიანს. აქ ლომგულდებიან მისი ბოკვერები, მომავალი „მზის მაძიებელნი“.

• • •

„სადა ხარ, ჩვენო გენერალო? გვიშველე გენერალო!“

— ჩანჩალში კურმაიერის ტყესთან შემოგვაღამდა. აქვე გადავწყვიტეთ დაბანაკება. კარავი გავშალეთ და დავიძინეთ. დილაუთენია ტორინოს გადასასვლელისათვის უნდა შეგვეტია. მეორე დღეს კიდევ უფრო წაგვიხდა გუნება — გადასასვლელისაკენ ყველა საბაგირო გზით მიემგზავრებოდა, ჩვენ კი, უფულობის გამო, ფეხით უნდა წავტიალებულიყავით, თითქოს ქვეითად სიარული გვაკლდათ.

იტალიის კურმაიერი და საფრანგეთის მაღალმთიანი კურორტი შამონი ერთმანეთთან საბაგირო გზითაა დაკავშირებული. ამ ორი ქვეყნის საზღვარზე, რომელიც ზედ ქედის თხემზე გადის, დგას სასტუმრო „ტორინო“ (3370 მ. ზღვის დონიდან), სადაც ყოველთვის უამრავი დამსვენებელი, ტურისტი და მთამსვლელი იყრის ხოლმე თავს.

ექვსი საათი მოვანდომეთ ტორინოში ასვლას. სასტუმროში რომ მივედით, ცოტა სული მოვითქვით, მაგრამ მალე უსიამოვნო ამბავიც გავიგეთ — ძლიერი ქარის გამო აქედან საბაგირო მიმოსვლა შამონამდე შეჩერებული იყო.

„საბაგირო გზა თქვენ რაღაში გამოგადგებოდათ, ჯაინც რაღაში გენაღვლებოდათო, — იტყვით ალბათ. — საცა აქამდე ფეხით იარეთ და ვერ ისარგებლეთ იმითი, ახლა რაღა შეიცვლებოდა ვითომაო?“

მაგრამ მე და სლავამ ამ ექვს საათში ერთ გამოსავალს მივაგენით — უფრო სწორად ერთი გადაწყვეტილება მივიღეთ — ტორინოდან რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა საბაერო გზით უნდა გვემგზავრა. როგორ, რანაირად? ნისიად!.. ამჟერად უკვე ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიად. შამონში ჩვენ შეგვეძლო ჩვენი ვალი ჩასვლისთანავე გაგვესტუმრებინა. ეს იმას ემსგავსებოდა — შუაღამისას ტაქსი რომ დაგჭირვებია შინ წასასვლელად და თან ფული არა გქონია, შენ მაინც ჩამჯდარხარ მანქანაში და დანახარჯი სახლიდან გამოგიტანია შოფრისათვის. ეს მეთოდი გაჭირვებისაა და შეიძლება ერთგვარ უხერხულობასთანაც იყოს დაკავშირებული, მაგრამ რას იზამ, როცა სხვა გამოსავალი არაა!.. თავს მხოლოდ იმით თუ დაინუგეშებ — შესაძლებელია ტაქსის შოფერი და ამ საბაგირო გზის მეპატრონეც ყოფილან ოდესმე ამ დღეშიო...

ესეც ასე: ვინ უწყის, ქარი როდის ინებებს ჩადგომას, ჩვენ კი უნდა ველოდოთ და ველოდოთ სვანეთის თვითმფრინავივით. თითქოს დაგვებედა მე და სლავას ამ გზობაზე ლოდინი.

ორივენი ვნერვიულობთ, მაგრამ ვითომ არ ვიმჩნევთ. მე გასამხნევებლად ვეუბნები სლავას:

— იცი, სლავა, ერთხელ სვანეთში მივდიოდი და ქუთაისის აეროპორტზე ორი კვირა ველოდე საფრენი ამინდის გამოსვლას... მერე და იცი, რა მოხდა?

— როგორც იქნა, გაფრინდი, არა?

— საქმეც იმაშია რომ — არა! ამინდზე გაბრაზებულმა ავდექი და ქვედა გზით გავუტიე მესტიისაკენ... შუა გზაში ვიყავი თვითმფრინავმა რომ გადამიფრინა თავზე, წარმოგიდგენია, რა დამემართებოდა?

— შენც მოიგონე რაღა... აქ არ აგვიხდეს შენი მონაყოლი, თორემ მოგკლავ, იცოდე...

და აი, ჩვენ ვსხედვართ ტორინოს დერეფანში და ამ საკითხზე ვფიქრობთ — როგორ აჯობებს? აქ ერთი ამბავია გასათვალისწინებელი: მთამსვლელი, რომელიც ასეთ პასუხსაგებ შეჯიბრებაში მონაწილეობს, უკიდურესობამდეა შეზღუდული დროით, იგი, ბუნებრივია, განსაკუთრებით უფრთხილდება და ზოგავს ძალასა და ენერგიას. დღეს თუ ერთი მწვერვალი დალაშქრა, ხვალ მეორეს უნდა ეწვიოს, ერთი სიტყვით, მეტი, რაც შეიძლება მეტი სასარგებლო მუშაობა უნდა გასწიოს. მის განკარგულებაში არსებული დრო მაქსიმალურად გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ მწვერვალებისათვის, რადგანაც მთამსვლელთა „საქმენი საგმირონი" დამორჩილებული თეთრონებით განიზომება. ჩვენი უთავბოლო ჩანჩალი კი საქმისათვის არამც და არამც არ იყო სარგო.

„სადა ხარ, გენერალო?" — ჩავიღიღინე კიდევ ერთხელ გუნებაში. ისევე მშველელსა და დამხმარეს ვუხმობდი, მაგრამ აბა საიდან უნდა მოგვვლინებოდა იგი?

• • •

— ხშირად მეკითხებიან ხოლმე, ვინ მიგაჩნიათ თქვენს მასწავლებლად, ცხოვრებაში გზის წარმმართველადო. ძალიან ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ ვფიქრობ სიმართლეს არ იქნება მოკლებული ჩემს მასწავლებლებად, მამაჩემი, ანტონ, გაბრიელ, ბექნუ ხერგიანები, მაქსიმე გვარლიანი, ჰიჩიკო ჩართოლანი, გიო ნიგურიანი, ალმაცგირ კვიციანი, გოჯი ზურებიანი, ადსილ ავალიანი და სხვა მთამსვლელები რომ დავასახელო.

ადრე, როცა იმდენი არ იწერებოდა მათზე, ხალხი ზეპირად გადასცემდა ერთმანეთს გაბრიელის, ბექნუს, ჰიჩიკოსა და სხვათა გმირობის ამბავს. ისინი ლეგენდებად იქცნენ თანასოფლელთა, ახლობელთა თვალში, ყველას თვალში. ოცდაათიან წლებში კი მთამსვლელობით გატაცებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მთათა ქვეყანაში...

ჰოდა, პატარები ხომ თავისებური ხალხია. აბა რომელი ბავშვი იქნება რომ თავისი იდეალი, თავისი გმირი არ ჰყავდეს ოცნებაში წარმოსახული და თავადაც არ ისწრაფვოდეს მისი საგმირო საქმეებისაკენ...

ჩვენი სალოცავი ხატები მაშინ ყველაზე უშიშარი, მთებთან მებრძოლი ადამიანები იყვნენ. ბევრ რამეში ვბაძავდით მათ.

მაგრამ ჯერ იყო და გაბრიელი დაიღუპა, მერე ალიოშა ჯაფარიძე და მისი ჯგუფი იმსხვერპლა გულზვიადმა უშბამ. ამ მწვერვალის ერთ-ერთი პირველდამპყრობი გიო ნიგურიანი, სისხლისაღების ძველი ადათ-წესის მსხვერპლი შეიქმნა. მთამსვლელის ლაშქრობაში სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ტყვიით აღსრულება კი ყოველგვარ უსამართლობასა და სიმკაცრეს აღემატება. მთამსვლელობის ისტორიაში გიო ნიგურიანისეული გმირობა შესაძლოა ჯერაც არავის ჩაუდენია. სწორედ მან უშბის პირველი საბჭოური ექსპედიციის დროს, უმაგალითო თავგანწირულობით მთელი ჯგუფი იხსნა განსაცდელისაგან...

ხოლო ვინ იყო ალიოშა ჯაფარიძე? საბჭოური მთამსვლელობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, მთამსვლელობის პირველ მესვეურთა დიადი საქმის უშუალო და სახელოვანი გამგრძელებელი. კავკასიონის მთავარი ქედისა და მის განშტოებათა პირველი მაგელანი, უშბის პირველდამპყრობი, ცნობილი გეოლოგი-ინჟინერი. მაგრამ ალიოშა ჯაფარიძის პიროვნებას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მისი და-ძმის — სიმონ და ალექსანდრა ჯაფარიძეების სასახელო საქმეთა გახსენება, საერთოდ, მათი ოჯახის ერთსულოვნება, რო-

მელიც უპირველესად მთათა სიყვარულში გამოიხატა. სიმონი ავბედით 1929 წელს თეთნულზე დაიღუპა პიმენ დვალთან ერთად. მისი სიკვდილის ამბავი მთელს საქართველოს მოედო. მაგრამ სიმონის და-ძმა ცრემლად როდი იქცნენ. მანამდე რომ ფიქრადაც არ ჰქონიათ გუნებაში, ისე აიკიდა ორთავემ ზურგჩანთა, აიკრა გუდა-ნაბადი და სვანეთის მთებისაკენ გაეშურნენ საყვარელ ძმისთვის შურისძიებით შეპყრობილნი.

იმ წუთიდან იწყება ჯაფარიძეთა ძლევამოსილი, დაუღალავი მსვლელობა კავკასიონის, და არა მარტო კავკასიონის მწვერვალებზე, რომელთა კალთებზეც ჯერ ძეხორციელის ფეხი არ დადგმულა, ისინი ტოვებენ პირველ საბჭოურ ბარათებს, დგამენ სატრანგულაციო ნაგებობებს, ადგენენ რუკებს, რის ნაკლებობასაც ასე განიცდიდა მაშინ ჩვენი ქვეყანა...

პამირსაც უწია ალიოშა ჯაფარიძემ. მაშინ პამირის მთიანეთში ყველა ვერ გაბედავდა გამგზავრებას. იდუმალებით იყო მოცული ალაისა და ტრანსალაის, მეცნიერებათა აკადემიისა და დარვაზის მთაგრეხილები, რომლებიც ჯერ კიდევ შეუსწავლელი იყო, ხოლო „ლარმოს" მყინვარის რაიონი კი სრულებით თეთრ ლაქას წარმოადგენდა პამირის რუქაზე...

მაგრამ ყველაზე დიდი გმირობა ალიოშა ჯაფარიძის ბიოგრაფიაში მაინც უშბაზე გამარჯვება იყო, უშბაზე, რომელიც თავისი ხელშეუვალობით, მიუდგომლობით, შვეული, გრანიტოვანი კლდეებით ასე იზიდავდა მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მთების მოყვარულთ, გამოჩენილ მთამსვლელებს.

ალიოშა ჯაფარიძეს, როგორც მთამსვლელს ბადალი რომ არა ჰყავდა, ეს კარგად გამოჩნდა 1936 წელს ლენინის პიკზე ჩატარებული ლაშქრობის დროს.

1934 წელს ალიოშა ჯაფარიძისა და გიო ნიგურიანის, ალექსანდრა ჯაფარიძისა და იაგორ კაზალიკაშვილის ძლევამოსილი მსვლელობა უშბაზე საბჭოური მთამსვლელობის პირველი დიდი გამარჯვება იყო. აქ ყველაზე ნათლად გამოჩნდა ალიოშა ჯაფარიძის, გიო ნიგურიანის, ცნობილი მეგზურისა და მთამსვლელის იაგორ კაზალიკაშვილის ალპინისტური შეუდრეკლობა და ვაჟკაცური შემართება.

* * *

სწორედ ამ დროს სასტუმროს დერეფანში ორნი შემობრაგუნდნენ — ქალი და ვაჟი. ისინი სპორტულად არიან გამოწყობილნი, ორივენი ლამაზი შესახედაობისანი არიან.

და აი, აქ მოხდა ერთის შეხედვით უცნაური ამბავი:

ქალი სასტუმროს კედელზე გაკრულ „ქათმის პორტრეტთან" მივიდა და სუფთა რუსულით თქვა:

— შეხედე, რა გაპრტყვნილი დედალია, ვინ ჩამოკიდა აქ.

— რატომ გგონია მაინცდამაინც დედალი? მამალი რომ იყოს? — არ დაეთანხმა მას ვაჟი.

ქალს თითქოს ალმური მოედო სახეზე:

— ძალიან გთხოვ, ნუ გადამიკეთებ ხოლმე ნათქვამს, რომ ვინმე გვისმენდეს რას იტყვის...

— რა უნდა თქვას მაინც? მე ვამბობ — მამალია-მეთქი, შენ გაიძახი — დედალიაო. რაა მაგაში უცნაური და სასირცხვო?

სლავას ვეღარ მოუთმინა გულმა, „თანამემამულეებთან" შეხვედრით გულაჩუყებული თამამად ჩაერია მათს ლაპარაკში:

— ეს არც დედალია და არც მამალი... ეს ბულბულია...

მოსაუბრეებმა გაოცებისაგან თვალები დააჭყიტეს.

— თქვენ რუსები ხართ? საიდან ჩამოხვედით?

— საბჭოთა კავშირიდანა ვართ. რუსი და ქართველი, — ვუპასუხე, ჩამოსვლით კი გრანდ-ჟორასიდან ჩამოვედით.

მოგვიახლოვდნენ და სეტყვასავით დაგვაყარეს კითხვები:

— რომელი ქალაქებიდანა ხართ?

— თბილისიდან.

სლავაც პასუხობს თავის წილ შეკითხვებზე.

— რა გვარისა ხართ?

— ხერგიანი.

— როდის ჩამოდით?

—აქ, თქვენთან?

— ჰო, იტალიაში...

— იტალიაში გუშინ, საფრანგეთში კი უკვე რამდენიმე დღეა.

— კიდევ რას აპირებთ?

— თუ შევძელით რომელიმე მწვერვალზე, ვცდით ალბათ...

— რა გზით დალაშქრეთ გრანდ-ჟორასი?

— ჩრდილოეთის კედლით ავედით.

ვაჟი — მარინო იტალია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის გენერალური მდივანი აღმოჩნდა, ქალი კი, მისი ცოლი — რუსეთიდან ჩამოეყვანა. ახლა თაფლობის თვე ჰქონდათ — საქორწილო მოგზაურობას იტალიის მაღალმთიანეთში ატარებდნენ.

მარინომ ჯერ არ იცოდა ჩვენი გასაჭირი. შემოგვთავაზა — მოდით, თუ დრო გაქვთ, საბაგირო გზით დავეშვათ კურმაიერში, იქიდან კი ჩვენი მანქანით შამონში ჩაგიყვანთ გვირაბის გავლითო.

ამ სიტყვების გაგონებაზე მე და სლავა კინაღამ ცუდად შევიქენით. ცურმაიერიდან

ხომ ის იყო ამოვედით). მართალია მარინოსადმი მადლობის მეტი რა გვეთქმოდა, მაგრამ აქამდე უკან გაბრუნების ფიქრსაც კი არ გაუელვებია ჩვენთვის გუნებაში და მასპინძელი კი სწორედ ამას გვთავაზობდა.

„უკან გაბრუნება“ — ყველა მთამსვლელს ჭირივით ეჯავრება ეს ორი სიტყვა. მაგრამ ერთია მწვერვალიდან გაბრუნება და სხვაა უკან გაბრუნება გადასასვლელიდან, იოლად დასაძლევ უღელტეხილიდან, რომლის გადალახვა არავითარ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული, გარდა უდროობისა და მოუცლელობისა. ამიტომაც მარინოს წინადადებამ ორთავენი ჩაგვაფიქრა. ბოლოს პირდაპირ ვუთხარით: რას ვიფიქრებდით თუ ასე მოგვიხდებოდა, თან ერთი კაპიკიც კი არ წამოგვიღია და... კურმაიერიდან ეს წუთია ფეხით ამოვედით ტორინოში სწორედ უფულობის გამო. უკან გაბრუნება კი... მოგეხსენებათ...

ცოლ-ქმარმა სიტყვა არ დაგვამთავრებინეს. გაოცებულნი დარჩნენ გაგონილით:

— გრანდ-ჟორასის მერე აქ ფეხით ამოხვედით უფულობის გამო? ვაი სირცხვილო, სად იყო იტალიური სტუმართმოყვარეობა?!

მერე მარინომ აგვიხსნა:

— ერთი სიტყვაც რომ დაგვცდენოდათ საბაგირო გზაზე, ფულს ვილა მოგთხოვდათო. ეს რა უცნაური ხალხი ყოფილხართო. ახლა კი სხვა რა გზაა, ჩვენ უნდა გამოვისყიდოთ საბაგირო გზის მესვეურთა უგულისყურობა, წამოდით ჩვენთან, მანქანით მიგაგრიალებთ იმ თქვენს შამონშიო...

რაღა გვეთქმოდა. რახან ასე გულიანად გვეპატიჟებოდნენ, უარს როგორ ვეტყოდით. მანქანით ვიმგზავრებდით და შესაძლოა უფრო ადრეც კი ჩავსულიყავით ბანაკში. თანაც, ვინ უწყოდა, როდის ჩადგებოდა ეს ოხერი ქარი, რომ საჰაერო მოძრაობა განახლებულიყო? და ისიც გასარკვევი იყო, გვამგზავრებდნენ კი ნისიად მებაგირეები? ჰოდა, ქვეითად მგზავრობა რომ დაგვჭირვებოდა ისევ?

საბაგირო გზით დავეშვით კურმაიერში.

მარინო სადგურის მუშაკებს გაესაუბრა. ისინი ყველანი სპორტულ ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. ალბათ ჩვენზე თუ უთხრა რამე, ისე აგვათვალ-ჩაგვათვალიერეს. მერე ერთბაშად შეიცხადეს კიდეც:

— მადონა, მადონა! ეს როგორ ვერ შევნიშნეთ, როგორ გამოგვრჩა მხედველობიდან ეს მოკრძალებული ხალხიო...

მართლაც ძალიან შეწუხებულები ჩანდნენ. ხელებს მკერდზე გადაიჯვარედინებდნენ, მერე კი ცისაკენ ალაპყრობდნენ — ბოდიშობდნენ, გვაპატიეთ ასეთი დაუდევრობაო.

მერე დავშორდით ახალგაზრდა მებაგირეებს. მარინოს მანქანაში ჩავსხედით და გვირაბისაკენ გავსწიეთ.

გვირაბი საფრანგეთისა და იტალიის მიჯნისქვეშა საზღვარია. საზღვარზე კი, როგორც ეს მთელს მსოფლიოშია მიღებული, საბუთები ისინჯება. მაგრამ ჩვენ ხომ არც ისინი წამოგვიღია თან? რაღას შვრები ახლა? თავიზედ რომ არ გვბმოდა, ალბათ იმასაც შამონში დავარჩენდით, ისე გამოდიოდა ჩვენი საქმე.

მარინომ, ჩვენმა მხსნელმა „გენერალმა“ იტალიელ მესაზღვრეებს აუხსნა, ვინც ვიყავით, საიდანაც მოვდიოდით და სადაც მივდიოდით. გუშაგებმაც მოუსმინეს მარინოს, თავის მხრივ რაღაც უთხრეს; ახლა მარინო ჩვენ მოგვიბრუნდა:

— არ შვრებიან. როგორ იქნება სტუმრების ასე უპატივცემულოდ გაშვებაო. ხომ უნდა ნახონ იტალია, რომი, მილანი, ვენეციაო...

მე და სლავა კი აბა რას ვიფიქრებდით ორი უცხო ქვეყნის საზღვართან ასე იოლად თუ გადავურჩებოდით გუშაგებთან მოლაპარაკებას. და იმასაც ვინ იფიქრებდა, ასეთი ხუმარა მესაზღვრეები თუ არსებობდნენ სადმე საერთოდ. ისინი თურმე გვეხუმრებიან — ვერა, ვერ გაგიშვებთო. ისევ თავიანთ სტუმართმოყვარეობას უსვამენ ხაზს.

ბევრი ვიცინეთ.

რამდენიმე წუთში კი გეზი საფრანგეთისაკენ ავიღეთ.

შამონი აფორიაქებული შეგვხვდა. ჩეხებს ხმა დაეგდოთ, რუსების წყვილმა მთელი მარშრუტი ცამეტ საათში გაიარაო. ყველა გაოცებული შემოგვცქეროდა, ერთმანეთს მიუთითებდნენ ჩვენზე — აი, ესენი არიანო.

ჩვენ კი გვეგონა, ყველაფერი წყალში ჩაგვეყარაო. საბჭოური კანონით ყოვლად დაუშვებელია დადგენილი მარშრუტიდან გადახვევა. თუ გადაუხვიე და ეს გაიგეს, ასვლას ვინ ჩაგითვლის, ის კი არა, შესაძლოა დისკვალიფიკაციაც მოგცეს.

ის-ის იყო ოთახში შევედით და ტანსაცმლის გამოცვლას შევუდექით, რომ ალპინიზმის ფრანგული სკოლის შეფი ჟან ფრანკო გამოჩნდა თარჯიმანითურთ. მან გვკითხა:

— სად გაიარეთ გრანდ-ჟორასის კედელი? ესპანელებს რომ დაეწიეთ, იმ ადგილიდან რა მიმართულებით წახვედით?

რა უნდა ვქნათ. ხომ არ მოატყუებ უფროს კოლეგას? თანაც ამდენი ხალხი გვხედავდა. ელდა გვეცა — „დაგვეკარგა გრანდ-ჟორასი, დაგვეკარგა და ესაა!“ მერე, როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, თანდათან შევეგუეთ კიდეც გუნებაში ამ დანაკარგს და ჟან ფრანკოს ვუთხარით: კედელს პირდაპირ შუბლში ვეტაკეთ-მეთქი. სიმართლე ვუთხარით.

ჩვენდა გასაკვირველად ჟან ფრანკომ ხელი ჩამოგვართვა და გამარჯვება მოგვილოცა:

— ყოჩაღ, ბიჭებო, გივაჟკაციათ და ეგ არი... რამდენი ხანია დგას ეს მწვერვალი, რამდენი ვინმე შებრძოლებია მის ჩრდილოეთის კედელს, მაგრამ ამ გზით ჯერ ვერავის დაურღვევია მისი მყუდროება. და საერთოდ ცამეტ საათში არავის გაუვლია თქვენი მარშრუტი...

უცბად შეიცვალა მდგომარეობა.

ერთი წუთის წინ თუ ეგრერიგად ცხვირჩამოშვებულნი და მხრებჩამოყრილნი ვიყავით, ახლა ჩვენზე ბედნიერი არავინ გვგონია. ყველანი გვილოცავენ გამარჯვებას.

მერე ტელევიზიიდან მოვიდნენ ოპერატორები. ისინი თავიანთი კამერებით თავს დაგვტრიალებენ მე და სლავას. არ ვიცი, რა ჩანაფიქრი ჰქონდათ, მაგრამ რატომღაც გვთხოვეს ავტომობილში ჩავმჯდარიყავით. მერე კი ხან იქით გაგვაქროლეს, ხან აქეთ გამოგვაქროლეს.

— ეს რაღა პატივისცემა გამოვა, მაგათ თუ აქ გაგვითხარეს უდროოდ სამარე... — ვეუბნები ხუმრობით სლავას.

ძალიან ჩქარა დაჰყავდათ მანქანა.

სლავა კი მეუბნება:

— თუ მაგათ ცოცხალი გადავურჩით, მოდით ერთხელ კიდევ ვცადოთ სადმე, ა?...

ჩვენი მარული მშვიდობით დამთავრდა. კვლავ მაცდუნებლად გვიღიმოდნენ მწვერვალები. საფრანგეთის შემდეგ პამირში უნდა წავსულიყავით და ვფიქრეთ სამზადისს საფრანგეთშივე შევდგომოდით — წინასწარი აკლიმატიზაციისათვის გადავწყვიტეთ ალპების უმაღლესი მწვერვალის მონბლანის (4810) დალაშქვრა.

იმ დღისათვის ამინდი აირია. ღრუბელი და ბურუსი ჩამოწვა. არ იყო რიგიანი ხილვადობა, მაგრამ ყოველივე ამან ჩვენზე სრულიადაც ვერ იმოქმედა. ალბათ გრანდ-ჟორასისეული ალტყინება თუ მოგვყვებოდა. მწვერვალის დალაშქვრას მხოლოდ ხუთი საათი მოვანდომეთ. შინ დაბრუნებულებს ჟან ფრანკო შეგვხვდა და გვეუბნება:

— გულს ნუ გაიტეხთ, რას იზამ, ასეთია ჩვენი ცხოვრება, ხან გაგვიმართლებს, ხან — არაა... თუმცა თქვენ რა, უამინდობამ შეგიშალათ ალბათ ხელი...

ჟან ფრანკომ რა იცოდა და ვერც წარმოედგინა ალბათ, ასე მალე თუ დავიმორჩილებდით მწვერვალს და იმიტომ გვანუგეშებდა ასე. როცა მოვახსენეთ — „ვიყავით, დავლაშქრეთ და ეს ესაა დავბრუნდით-მეთქი". ჩვენმა მასპინძელმა გაოცებით წამოიძახა:

— თქვენ ტუპოლევის ლაინერებივით დანავარდობთ მწვერვალებზეო.

— ჰო, მერე, მშობლიური მთები გვიხმობდნენ. პამირის გოლიათებისათვის კიდევ უფრო ძნელი გამოცდები უნდა ჩაგვებარებინა...

იმ წელს გრანდ-ჟორასის ჩრდილოეთ კედელზე გავლილ მარშრუტს მიხეილისა და სლავას პატივსაცემად „საბჭოთა ვარიანტი" შეარქვეს. იგი ჯერ კიდევ არავის გაუვლია.

□ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეკო შენგელია

# თავმჯდომარე და სოფელი

როცა ცხრა წელიწადში კოლმეურნეობის რვა თავმჯდომარე გამოიცვლება, ეს ნიშნავს, რომ სოფელს ამ ხნის განმავლობაში, ფაქტიურად მეთაური არ ჰყავს.

კარლო ალმასიამ წინასწარ იცოდა, რომ მშვიდი ცხოვრება არ ელოდა. მაგრამ ახალგაზრდა კაცი, კომუნისტური პარტიის რიგებში ნაწრთობი, პირდაპირ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება ყველა უკანონობას და უწესრიგობას, რაც სოფელ ოქტომბრის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში წლების მანძილზე გრძელდებოდა.

როცა ცხრა წლის მანძილზე კოლმეურნეობაში რვა თავმჯდომარე გამოიცვლება, ეს იმასაც ნიშნავს, რომ რაიონის ხელმძღვანელობა ვერ იცნობს კადრებს, ან სათანადოდ ვერ წარმართავს მათ. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ სოფლის წიაღში მომძლავრდნენ ბედოვლათები, წამგლეჯები, იოლი ცხოვრების მოყვარულნი, ვაჭრები და სპეკულანტები. კიდევ მეტი, სოფლის უბნებს შორისაც გაჩნდა შუღლი და სიძულვილი, გვარებს შორის შეხლა-შემოხლა, რაც არაერთხელ სისხლის ღვრით დამთავრებულა.

**1967** წელს, როცა კარლო ალმასია თავმჯდომარედ აირჩიეს, კოლმეურნეობის შემოსავალი **480** ათას მანეთს შეადგენდა და კაცდღეზე **1** მანეთი და **60** კაპიკი იქნა გაცემული.

რამდენიმე თვის განმავლობაში ალმასიამ ჩაბარების აქტს ხელი არ მოაწერა. იგი დაძაბულად მუშაობდა და სწავლობდა ნამდვილ ვითარებას.

უპირველეს ყოვლისა, კარლო ალმასიამ საკოლმეურნეო მიწის სწორად სარგებლობის საკითხი შეისწავლა.

ის ხედავდა, რომ კოლმეურნეობას ცოტა სავარგულები ჰქონდა, რომ საკოლმეურნეო ნაკვეთები, რომელზეც სიმინდი იყო დათესილი, ცოტა იყო, ვიდრე საკარმიდამო ფართობები.

— სულ იოლად შეამჩნევდით ამას. საკარმიდამოზე სიმინდი ლურჯად ბიბინებდა, მუხლმაგარი და ტანაყრილი, ხოლო საკოლმეურნეო მინდვრებზე დაჩიავებული, შეყვითლებული სიმინდი მოჩანდა, — ამბობს თავმჯდომარე.

და, მან გადაწყვიტა დაეწყო მთავარით — მოეწესრიგებინა მიწის საკითხი. სოფელ ოქტომბერში, მანამ არავის შეუწუხებია თავი მიწათსარგებლობის კანონის სწორად გატარებისათვის. უფრო მეტიც: იყვნენ ადამიანები რომლებიც საერთოდ არ ცხოვრობდნენ სოფელში და მაინც მიწით ისევე სარგებლობდნენ, როგორც იქაური მკვიდრნი. ამ ადამიანებისათვის კოლმეურნეობა საერთოდ არ არსებობდა, მათ სრულიად არ აინტერესებდათ სოფლის ავ-კარგზე ზრუნვა.

და აი, კოლმეურნეობის წესდების საფუძველზე, კარლო ალმასიამ ასოთხმოცი ჰექტარი, მცხოვრებთა მიერ უკანონოდ მითვისებული მიწა დაუბრუნა საზოგადოებრივ მეურნეობას. განა საოცარი არ არის, რომ ადრე, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ საერთოდ არ იცოდა, თუ შემოდგომისათვის რა მოსავალი იყო მოსალოდნელი. ფართობები განაწილებული ჰქონდათ აგრეთვე აგრონომებს, ტრაქტორისტებს, ბრიგადირებს და ამ ფართობებზე მოწეულ მოსავალს შინ ეზიდებოდნენ.

როცა ალმასიამ ხმა აღიმაღლა ამ უკანონობის გამო, უსახელო წერილები აფრინეს, უჩივლეს, აშინებდნენ, შეუთვალეს აბარგებულიყო სოფლიდან.

ალმასიამ იცოდა, რომ ოდნავადაც უკანდახევა დამარცხებას ნიშნავდა. გაჯიქდა იგი.

ახალ თავმჯდომარეს ამ ნაკვეთების გამოყენება სულ სხვაგვარად ესახებოდა; კოლმეურნეობას საძოვრები არ გააჩნდა, ამიტომ მეცხოველეობა ძალზე სუსტად იყო განვითარებული. სოფელ ოქტომბრის მიწა ქვალორღიანია, მწირი. სასუქების გარეშე აქ მაღალ მოსავალზე ფიქრიც არ შეიძლება.

თავმჯდომარემ გადაწყვიტა ამ ნაკვეთების მეტი ნაწილი მეცხოველეობის განვითარებისათვის გამოეყენებინა.

„კოლმეურნეობის გამგეობა, ხელმძღვანელები და სპეციალისტები, პასუხს აგებენ მიწის მაღალნაყოფიერი გამოყენებისათვის“, — სწერია კოლმეურნეობის წესდებაში და თავმჯდომარემ ისიც იცოდა, რომ ეს საკოლმეურნეო კანონი თუ ზუსტად არ შესრულდებოდა, კოლმეურნეობაც წელში ვერ გაიმართებოდა, მან უყურადღებოდ არ დატოვა არცერთი უპატრონოდ მიგდებული მიწის მცირე ნაკვეთიც კი.

მართალია, ამან კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის პირუტყვს საძოვრები შეუმცირა, მაგრამ ალმასია ფიქრობდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით მიეღწია, რომ კოლმეურნის ოჯახს მეცხოველეობის ფერმიდან საკმაოდ ჰქონოდა რძე და ყველი.

მიწის ერთი ნაწილი კი დატბორილი იყო, დაჭაობებული, ეკალ-ბარდით დაფარული.

ახლა რომ კოლმეურნეობის მეცხოველეობისა და მეღორეობის ფერმებია, სოფლის ეს უბანი სულ გამოუსადეგარი იყო დასამუშავებლად.

აქ მოსახლეები ყოველთვის მალარიას უჩიოდნენ. ჭები ერთი მეტრის სიღრმეზე იჭრებოდა. წყალი მყრალი იყო და თბილი. ჭიდან ხშირად სასმელ წყალს ბაყაყიც ამოყვებოდა ხოლმე. ამ უბანში ჩაის პლანტაციები ეკალბარდს ჰქონდა წალებული. წლების მანძილზე ჩაის მწვანე ფოთოლი არ იკრიფებოდა.

* * *

საკოლმეურნეო ფართობების გაერთიანება, მათი სწორად აღრიცხვა უმტკივნეულოდ როდი მოხდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჩივარი საჩივარზე იწერებოდა. რაიონის ხელმძღვანელები ნერვიულობდნენ. ისინი, საერთოდ, იოლ გამოსავალს ეძებდნენ, ცდილობდნენ თავმჯდომარე გაეთავისუფლებინათ, ცოტა ხნით მაინც დაეწყნარებინათ უკმაყოფილონი, ეს უკანასკნელნი კარგად სარგებლობდნენ რაიონის ხელმძღვანელების უპრინციპობით.

— მე აქ დავრჩები, შენ კი თოვლივით გაქრები აქედან! — ემუქრებოდნენ — ცალკეული მოქალაქენი ყოველ ახალ თავმჯდომარეს და, მართლაც, მიდიოდა ერთი თავმჯდომარე და მოდიოდა მეორე.

სოფელში კერძო სექტორი გაიფურჩქნა, კოლმეურნეობაში გაერთიანებული მიწები მიიტაცეს. აქ ზუგდიდელებსაც ჰქონდათ ნაკვეთები. არცერთი, ასე თუ ისე შეძლებული კაცი, კოლმეურნეობაში არ მუშაობდა. სავალდებულო კაცდღეების გამოსამუშავებლად დაქირავებულ მუშახელს იყენებდნენ. შრომისუნარიან კოლმეურნეთა ერთი ნაწილი თვეობით და წლობით რუსეთის სხვადასხვა ოლქში ცხოვრობდა და ვაჭრობდა ხილით, დაფნით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

დიდად განვითარდა კერძო მესაქონლეობა. პირუტყვის მეპატრონენი ღამით ნორჩი ხეხილის ბაღების წკნელის ღობეებს ამტვრევდნენ და საქონელს შიგ შერეკავდნენ ხოლმე. მეორე დღეს თვითონვე სწერდნენ საჩივრებს გამგეობის სახელზე, რაიკომში, თბილისში იმაზე, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა არ ვარგა და, რომ ამიტომ ნადგურდება საკოლმეურნეო დოვლათი და ა. შ.

თუ თავმჯდომარე გაწყრებოდა, სოფლის ბედოვლათები მთვრალნი მიუვარდებოდნენ მას, ემუქრებოდნენ, ლანძღავდნენ და აგინებდნენ კოლმეურნეობის აქტივს.

კარლო ალმასია სევდიანი ღიმილით, დაღლილი ყრუ ხმით მესაუბრება იმ წლებზე. იგონებს თუ ზედმეტი საკარმიდამო ფართობების ჩამოჭრა როგორ დაიწყო მან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ეზოდან, პარტიული კომიტეტის მდივნის ეზოდან, კომუნისტებისა და საერთოდ, საკოლმეურნეო აქტივის ნაკვეთებიდან. სოფელში არავინ, არც რიგითი კოლმეურნე, არც კომუნისტი, არც ხელმძღვანელი მუშაკი არ მოიძებნებოდა, რომ საკარმიდამო ნაკვეთი დაწესებულზე მეტი არ ჰქონოდა.

— მახსოვს, ერთი მოხუცი კოლმეურნის ეზოს ვამოწმებდით. მოხუცმა ცულს დაავლო ხელი, მაგრამ ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ. მას მეუღლე კივილით მივარდა, „თავს ნუ დაიღუპავო“. ამ დროს სასწრაფოდ საბჭოში დამიბარეს: ტელეფონთან რაიკომის მდივანი გიცდისო. ცოტა შევყოყმანდი, სხვა ეზოებისკენ თვალი გავაპარე და ჩემზე გამომწვევად მოჩერებული ადამიანები შევნიშნე. გადაწყვეტილება უცებ მივიღე; მოვრჩები ამ ფართობის აზომვას და მე თვით დავრეკავ რაიკომში-მეთქი. სასოფლო საბჭოს მუშაკი დაბნეული გაბრუნდა. ვგრძნობდი, რომ თუ ამ ეზოს თავს გავანებებდი, ხვალ ნაჯახებით შეიარაღებული სოფლელები თავიანთ ეზოებში საერთოდ არ

შემიშვებდნენ. ჩემი გადაწყვეტილება რომ სწორი იყო, ეს მეორე დღესვე გაირკვა, — წინააღმდეგობა თანდათან განელდა. მაგრამ ჩემს ნერვიულობას და უძილო ღამეებს ახალი უბედურება დაემატა; მეორე დღეს რაიკომის მდივანმა სიტყვა არ დამაცალა, ჩემი ახსნა-განმარტება არც მოისმინა:

— შენ რას თვითნებობ, ორმოცდაათი განცხადებაა შემოსული. ცენტრალური კომიტეტიდან დამირეკეს, გაილანძღა რაიონი.

—მე კოლმეურნეობის წესდებას ვატარებ, თუ მენდობით...

— არ გენდობით, — შემაწყვეტინა მან, — შევცდით, რომ წამოგაყენეთ თავმჯდომარედ.

პირდაპირ შევევედრე:

— დამეხმარეთ, საქმე ბოლომდე მიმაყვანიეთ, რაიონიდან დამახმარეთ ვინმე. მერე მე თვითონ დავწერ განცხადებას.

— რაიონიდან ვერავის მოგცემთ. წაბრძანდი ახლა, თუ კიდევ ახალი საჩივრები შემოვიდა, მოხსნას არ დაგჭირდებით! — მკაცრად გამაფრთხილა რაიკომის მდივანმა.

როგორც მოგახსენეთ, მოხუცი კოლმეურნის უშედეგო შემოტევის შემდეგ წინააღმდეგობა თანდათან დაცხრა და, საბედნიეროდ, მეტი საჩივარი არ დაწერილა... მე მოველოდი, რომ რაიკომის მდივანი სოფელში ჩამოვიდოდა. მდგომარეობა, როგორც შევნიშნე, მას საგანგაშოდ მიაჩნდა. მეც მინდოდა მასთან გულახდილი საუბარი, იქ სხვაა, — კაბინეტში, აქ კი, საკოლმეურნეო მინდვრებში დარწმუნებული ვიყავი, უფრო გავუგებდით ერთმანეთს, მაგრამ არავინ გამოჩნდა. საერთოდ, 1969 წლიდან 1972 წლამდე, სოფელ ოქტომბერში, რომელიც არც ისე შორსაა ზუგდიდიდან, რაიონის ხელმძღვანელები სულ ორჯერ იყვნენ და, ისიც გავლით, — სინანულით ამბობს ალმასია.

კოლმეურნეობის ახალმა ხელმძღვანელობამ საკოლმეურნეო მიწა რომ შემოიმტკიცა, ახლა საჭიროდ ჩასთვალა საიმედოდ შემოეღობა ხეხილის ბაღები, საძოვრები და ვენახები. ზედმეტ საეზოვო ნაკვეთებზე დამზადებულ იქნა ექვსი ათასამდე აკაციის ბოძი და, ყველა ეს ფართობი შემოღობილ იქნა. ამ ფართობებზე აჭრილი სიმინდის მწვანე მასიდან მიღებული იქნა 140 ტონა სილოსი. სოფლის პატიოსანი ადამიანები მტკიცე ძალად იქცნენ და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას გვერდში ამოუდგნენ.

ცოტა დრო და შრომა როდი დასჭირდა საკოლმეურნეო ფართობების ჭაობისაგან და ეკალბარდისაგან განთავისუფლებას. წყალს და ეკალბარდს ნაკლები მიწა როდი ჰქონდა მიტაცებული.

ჩატარდა უდიდესი სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობას სათანადო სახსრები არ გააჩნდა, უფრო მეტიც, — კაცდღეებზე კუთვნილი გასამრჯელო 5-6 თვის მანძილზე არ იყო გადახდილი, თავმჯდომარემ აქტივთან დიდი სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ჭაობების ამოშრობის სამუშაოები სასწრაფოდ დაეწყო.

ჩაის პლანტაციებში გაყვანილ იქნა 26.000 მეტრის სიგრძის წყალგამტარი და მიმღები თხრილები.

სოფლის შუაში გაჭრილ იქნა დიდი, თერთმეტი მეტრის სიგანის არხი. იგი გზა და გზა იერთებდა პატარა ღელეებს და სოფლიდან გაჰქონდა მალარია და მოწამლული წყალი.

სოფელში ჭები დაშრა. საჭირო გახდა ჭების ღრმად გათხრა, — წამოვიდა ცივი და ანკარა წყალი.

სოფლის საუკეთესო ნაკვეთებზე, — მარაში და შამუგიაშმუხურში მდინარე ჩხოუშია გუბდებოდა. ჩხოუშიას ზუგდიდელები „ქალაქის სანიტარს" ეძახიან, ეს მართლაც ასეა, მაგრამ სოფელ ოქტომბერში დამპალ წუმპეებს ჰქმნიდა იგი, ატბორებდა სასიმინდე ფართობებს. კოლმეურეობამ პირდაპირი არხი გაუჭრა ჩხოუშიას და, მდინარე წინ გაიჭრა, თან გადარეცხა და მოასუფთავა დამპალი ფართობები. ახალი ჰექტარები ჩადგა კოლმეურნეობის სამსახურში.

კარლო ალმასიამ შესძლო მიწის საკითხი გადაეჭრა კოლმეურნეობის სასარგებლოდ. იგი თანდათან ნდობას და სიყვარულს იხვეჭდა სოფელში. ხედავდნენ ადამიანები, რომ თავმჯდომარეს ზოგჯერ ჭამაც ავიწყდებოდა, იგი დღედაღამეს ასწორებდა. ერთხელ კარლო ალმასიამ მითხრა: კოლმეურნეობის მართვა ისეთივე ხელოვნებაა, როგორც მუსიკა, როგორც ფერწერაო. ყოველ შემთხვევაში, კარლო ალმასია იმ შთაგონებით მუშაობს კოლმეურნეობაში, საუკეთესო მხატვრული ნაწარმოების შექმნას რომ სჭირდება.

სოფელ რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ა. კუტალიამ კარლო ალმასია ასე დაახასიათა: უტეხი კაცია, რასაც იტყვის ადვილად ვერ გადაათქმევინებთ. სჯერა თავისი ძალღონისა. მან მართლაც, გაიმარჯვა. ოქტომბერში ყოველ წელს იცვლებოდა თავმჯდომარე. ალმასიამ წაქცეული კოლმეურნეობა ფეხზე დააყენა. კარლომ შესძლო უკვე ღონიერი კოლმეურნეობის უფრო გაფართოება, უფრო განმტკიცებაო.

მაგრამ ზუგდიდის რაიონის სხვა კოლმეურნეობებში წესრიგი იყო? არ ირღვეოდა კოლმეურნეობის წესდება?

მე გაგაცნობთ ორიოდე ფაქტს, ზუგდიდის ერთ-ერთი სახელგანთქმული კოლმეურნეობის ცხოვრებიდან.

კოლმეურნეობის წესდებაში მკაცრადაა გან-

საზღვრული: „საკარმიდამო ნაკვეთების გადაცემა სხვა პირების სარგებლობაში ან დაქირავებული შრომით დამუშავება არ შეიძლება".

რა ქნეს ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში? აქ კერძო პირებს ორი წლით დაუდეს ხელშეკრულება, რომ თავისუფლად ეპარპაშათ საკოლმეურნეო ფართობებზე. ამ ადამიანებს ნება დართეს, რომ სიმინდის მოსავალი მთლიანად მიეღოთ საკოლმეურნეო ფართობებიდან, თუ ისინი ტუნგოს პლანტაციებს გაახარებდნენ მათთვის მიჩენილ ჰექტარებზე.

როგორ ფიქრობთ, რას უფრო მოუარეს მათ? ტუნგოს თუ საკუთარ სიმინდს? ზოგიერთმა მათგანმა სიმინდის ყანა თითქმის ერთ, ერთნახევარ და ორ ჰექტარზე დაამუშავა.

შეშფოთდა კოლმეურნეობის გამგეობა. საქმე სასამართლოს გადაეცა. გამგეობა ედავება ამ ადამიანებს 7483 მანეთს.

ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველომ გამოყო ავტორიტეტული კომისია.

სრულიად არ მიაქცია ყურადღება ამ კომისიამ იმას, რომ კოლმეურნეობას არ ჰქონდა საკოლმეურნეო ფართობების გაქირავების უფლება, როცა მას პირუტყვისათვის კრასნოდარის მხრიდან ჩამოაქვს ძვირადღირებული საკვები. კომისიამ აღნუსხა მხოლოდ მოქირავნეთა უპატიოსნო საქციელი. ამავე კოლმეურნეობას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1972 წლის № 518 წერილით ნება დაერთო ლატვიაში რაიონის საკოლმეურნეო მშენებლობისათვის დაემზადებინა 1500 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა.

კოლმეურნეობამ ეს მასალა დაამზადა, მაგრამ დაამზადა კერძო მოსახლეობაში სარეალიზაციოდ. ჰქონდა მას ამის უფლება? არ ჰქონდა. აი, ასეთი დარღვევები ბუნებრივი იყო ზუგდიდის რაიონში.

ჩვენ გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ ზუგდიდში და საქართველოს ბევრ რაიონში კოლმეურნეობის წესდების დარღვევა თითქმის ჩვეულებრივი ამბავი იყო. სოფლის ხელმძღვანელები ან თვითონ მონაწილეობდნენ ამ დანაშაულში, ან თვალს ხუჭავდნენ ამ დანაშაულის წინაშე.

მე ვფიქრობ, მაშინ სოფლიდან ახალგაზრდობის მასობრივი წასვლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ეს იყო კიდეც.

სოფელ ოქტომბრის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობიდანაც, რა თქმა უნდა, ბევრი გაიქცა, მაგრამ როცა ადამიანებმა ნახეს, რომ კოლმეურნეობაში ზოგი რამ შეიცვალა მათ სასარგებლოდ, ქალაქიდან დაბრუნდნენ „ემიგრანტები". დაბრუნდა რევაზ ცაავას ოჯახი, ვასილ ნაყოფიას ოჯახი, სერგო ნაროუშვილი, ჯანიკო სარჩიმელია, არშაველ მიშველია, სხვა სოფლიდან გადმოსახლდა ნორა როგავა, ბედიშა მორგოშია, ჯოტო ღულათავა...

ადამიანებს უყვართ წესრიგი. მათ აქ ახლა პატიოსანი და სამართლიანი ხელმძღვანელი ეგულებოდათ და, არც შემცდარან ისინი.

საჭირო იყო წესრიგის განმტკიცება. კოლმეურნეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა. თუ ქარხნის, ფაბრიკის მუშას ოცი წუთით უსაფუძვლო დაგვიანების უფლება არ აქვს, კოლმეურნეობის ფართობებზე რატომ უნდა იგვიანებდნენ ადამიანები? თვითნებურად რატომ უნდა ტოვებდნენ სამუშაო უბანს?

კარლო ალმასიამ, კოლმეურნეობის მთელმა აქტივმა, კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ მკაცრად დააყენეს შრომის დისციპლინის საკითხი.

სადაც შეგონებამ ვერ გასჭრა, სასჯელის სხვადასხვა ფორმა იქნა გამოყენებული, — საყვედური, გაკიცხვა ჯარიმა...

სულ მალე ამან კარგი შედეგი გამოიღო, გონივრულმა ღონისძიებამ თითქმის სრულიად აღკვეთა უმიზეზოდ გაცდენა.

თუ ადრე, ზოგიერთი კოლმეურნე თვეობით და წლობით მიემგზავრებოდა რესპუბლიკის გარეთ „ალებ-მიცემობისათვის", ამჟამად ეს გამორიცხულია. სოფელ ოქტომბრის არცერთ კოლმეურნეს არ ჩაუდენია ეს სამარცხვინო საქციელი.

კოლმეურნეობის ახალი გამგეობა, პარტიული ორგანიზაციის ახალი კომიტეტი სოფლის კომკავშირის აქტივი მტკიცედ დაადგა სოფლის აღმავლობისათვის დაუღალავი ზრუნვის გზას. კარლო ალმასიამ გადაწყვიტა, ახლა ყურადღება ჩაის პლანტაციების აღდგენითი სამუშაოებისათვის და მეცხოველეობის განვითარებისათვის მიექცია.

როცა იგი გადაბარების აქტს ხელს აწერდა, აღმოჩნდა, რომ ჩაის პლანტაციები არასწორად იყო აღრიცხული. ბალანსში ნაჩვენები 170 ჰექტარის ნაცვლად, ჩაი 132 ჰექტარზე იყო გაშენებული.

კოლმეურნეობას სამუშაოთა შესრულების აქტში ნაჩვენები ჰქონდა ორმოცდაათი ჰექტარი ახალი პლანტაცია, ფაქტიურად ახალნაშენი მხოლოდ თორმეტი ჰექტარი აღმოჩნდა.

პირველ წელს კარლო ალმასიამ გადაწყვიტა მთლიანად გადაებარა ყველა პლანტაცია და ტრაქტორები გამოეყენებინა ნიადაგის გაფხვიერებისათვის. ისიც უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ეს ტრაქტორები კვლავ შეაკეთა იმ ნაწილებისაგან, რომელიც ადრე დანაშაულებრივად იყო მიმობნეული აქა-იქ.

დიდი ყურადღება დაეთმო მეჩხერი პლანტა-

ციების აღდგენასაც. 42 ათასი ძირი ჩაის ბუჩქი დაირგო არასრულმოსავლიან ფართობებზე.

ამ სამუშაოების შესასრულებლად კოლმეურნეობამ შაბათობები მოაწყო. კოლმეურნეები ხალისით გამოვიდნენ სამუშაოდ. 600-700 კაცი თავაუღებლივ ილვწოდა თავისი მშობლიური კოლმეურნეობის კეთილდღეობისათვის.

კოლმეურნეობაში გადაწყვიტეს საერთო კრებებზე და სემინარებზე ხშირად განეხილათ აგროტექნიკის საკითხებიც. კოლმეურნეები, რომლებმაც მაღალი საჰექტარო მოსავალი აიღეს, მოწინავე აგრონომები და ბრიგადირები თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ კოლმეურნეებს, მათთან ერთად სწყვეტდნენ სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხებს.

კოლმეურნეობის შინაგანაწესი ჩაის პლანტაციებში ყველა ფარდულშია გამოკრული. ამ შინაგანაწესის მიხედვით, რომელიც მიღებულია კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ, კოლმეურნეობის წევრი, საყვედურს რომ მიიღებს, წლის ბოლომდე დამატებით ანაზღაურებას მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავს. ხოლო, კოლმეურნეს, რომელმაც სასტიკი საყვედური მიიღო, მხოლოდ გამგეობა მოუხსნის სასჯელს და იშვიათ შემთხვევაში, აძლევს დამატებითი ანაზღაურების მიღების უფლებას.

ამან კარგი შედეგი გამოიღო. რაც დრო გავიდა, კოლმეურნეებმა დაინახეს, რომ ყველა ეს ღონისძიება მათი შრომის ანაზღაურების გადიდების საწინდარი გახდა.

ჩაის საკრეფად იშვიათად გამოდიოდნენ მამაკაცები. მათი შრომითი მონაწილეობა ჩაის პლანტაციებში მხოლოდ ჩვიდმეტ პროცენტს უდრიდა. ამჟამად ყველა კოლმეურნე ერთსულოვნად გამოდის სამუშაოზე. ყველაფერი გაკეთდა, რომ კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გზით ჩაის პლანტაციების მაღალი მოსავალი მიღებულიყო.

1967 წელთან შედარებით 1973 წელს ჩაის წარმოება 2,2-ჯერ და საჰექტარო მოსავალი 2,3-ჯერ გადიდდა.

1973 წელს ფართოდ იქნა გამოყენებული ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო", მიღებული იქნა 2850 ცენტნერი ჩაის მწვანე ფოთოლი, — 650 ცენტნერი ჰექტარზე. ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულ იქნა 140 პროცენტით. წლის ბოლოს, დამატებითი ანაზღაურების სახით კოლმეურნეებს მიეცათ 140 ათასი მანეთი, სოფელში 430 კომლია, ე. ი. თვითეულმა საკოლმეურნეო ოჯახმა დამატებით 349 მანეთი მიიღო. ეს მცირე თანხა როდია. გავიხსენოთ ის წლები როცა კოლმეურნეები, საერთოდ კაცდღეზე, მხოლოდ ერთ მანეთს და სამოც კაპიკს იღებდნენ.

ცალკეულმა კოლმეურნეებმა დიდი თანხა მიიღეს დამატებით ანაზღაურების სახით. მაგალითად მექანიზატორის ა. აბაკელიას ოჯახმა 4.500 მანეთი მიიღო, მ. ხურცილავამ — 2.500 მანეთი, ასევე ანდრო გვასალიამ და სხვ.

რაიონში ამტკიცებდნენ, რომ ოქტომბერში ჩაის კულტურის განვითარებას პერსპექტივა არა აქვს, რადგან სოფელი ჭარბტენიან ზონაშია, და მიწა არახელსაყრელიაო. ვერავის დააჯერებდით, რომ ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობა 1973 წლისათვის ჩაის საჰექტარო მოსავლით მაღალი ზონის კოლმეურნეობებსაც გაუსწრებდა.

— ჩვენ გვქონდა ბევრი კარგი ჩანაფიქრი,— ამბობს ალმასია, — თვითეული ჩაის ბუჩქის აგროწესების მიხედვით მოვლის შედეგად, სასუქების სწორი განაწილების საფუძველზე, ბუჩქებშორის კვლების დროზე დამუშავებით, გასხვლის სამუშაოების დროზე ჩატარებით მივაღწიეთ მაღალ საჰექტარო მოსავალს. თვითეულ ჰექტარზე 75 ცენტნერზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მივიღეთ. შეიძლება თუ არა მოსავლიანობის უფრო გადიდება? დიახ, შეიძლება! ჩვენ გვაქვს პლანტაციები, საიდანაც 130ცენტნერ ფოთოლს ვიღებთ, ხოლო ზოგიერთი ბრიგადის ჩაის ყველა პლანტაციებში ჩაის ფოთლის საშუალო მოსავალი 106 ცენტნერს შეადგენს.

იმ დღეს დიდი წვიმა იყო. ჩაის პლანტაციებში მკრეფავები არ ჩანდნენ. ახალგაზრდა შოფერმა ჯემალ ფარცვანიამ სინანულით თქვა:

— კარგი ხელმძღვანელი გვყავს, ბატონო, მაგრამ აი, წვიმის ხელმძღვანელობაც რომ შეეძლოს... — უყვართ კარლო ალმასია სოფელ ოქტომბერში. ხალხის სიყვარულითაა გარემოსილი სოფლის ნამდვილი მეთაური.

ოქტომბერში ჩაის კულტურის განვითარების შესახებ ჩემი მოთხრობა მინდა დავამთავრო შემდეგი ციფრებით: 1967 წელს ჩაის მწვანე ფოთოლი მოიკრიფა 5.220 ცენტნერის რაოდენობით, 1968 წელს — 6.800 ცენტნერი, 1969 წელს — 7.080 ცენტნ., 1970 წელს — 9 686 ცენტნ., 1971 წელს — 11.132 ცენტნ., ხოლო 1972 წელს — 11.388 ცენტნერი. ნამდვილად კარგია ეს ციფრები, ნამდვილად მუსიკასავით ჟღერს იგი, გულს უხარებს და სიხარულს ანიჭებს ადამიანს.

როგორც აღვნიშნეთ, კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ძალზე სუსტად იყო განვითარებული. თავმჯდომარემ, ჩაის პლანტაციების წესრიგში მოყვანის შემდეგ, გადაწყვიტა უფრო სერიოზულად მიეხედა ამ საქმისათვის.

როგორ დაეწყო? კოლმეურნეობას ბუნებრივი საძოვრები ხომ სულ არ ჰქონდა? 1967 წელს ერთი ცენტნერი რძე 206 მანეთი დაჯდა, ხორცი — 921 მანეთი. მეცხოველეობის ზარალმა წლის ბოლოსთვის 156 ათას მანეთს მიაღწია.

კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცები-

სათვის საჭირო იყო მეცხოველეობის პროდუქტების ექვსჯერ მაინც. გადიდება, მაგრამ რძის და ხორცის თვითღირებულება თუ არ შემცირდებოდა, მაშინ ზარალი 361.000 მანეთს მიაღწევდა. ასეთი ღირებულების რძე და ხორცი კოლმეურნეობას სრულიადაც არ აძლევდა ხელს. სად იყო გამოსავალი? 1966 წელს კოლმეურნეობამ სულ 113 ტონა მარცვლეული მიიღო, აქედან მეცხოველეობისათვის გამოიყო მხოლოდ 21 ტონა. პირუტყვი იღუპებოდა შიმშილისაგან.

არის ამ კოლმეურნეობაში ერთი, ამჟამად მოზარდი საქონლის მომვლელი კაცი. 1940 წელს მოვიდა სოფელში. ეს გახლავთ კლიმ სერედა. მოვიდა და, როგორც თვითონ ამბობს, — აქ მას ყასაბის ხელობა შეაჩეჩეს. როგორ ფიქრობთ, კოლმეურნეობას ჰყავდა იმდენი საქონელი, რომ მის დასაკლავად სპეციალურად კაცი აეყვანა? არა! ეს ყასაბი ატყავებდა შიმშილისაგან დაცემულ პირუტყვს, რომ კოლმეურნეობას აქტით თავი ემართლებინა და საბუთად ტყავი წარედგინა.

ზუგდიდის რაიონის აქტივის კრებაზე, ერთხელ, კარლო ალმასიამ განაცხადა:

— მეცხოველეობის სწორად წარმართვისათვის კრასნოდარის თივა და სტავროპოლის ძროხა არაა მთავარი. მთავარია, თვითონ ადგილზე შექმნა იაფი საკვები ბაზა და განავითარო და შეჯვარებით გააუმჯობესო ადგილობრივი ჯიშის ძროხა: კრასნოდარში ნაყიდი თივა იმას ჰგავს, რომ დუქანში კარაქი იყიდო და სახელმწიფო დამზადებას ჩააბარო.

მართალია კარლო ალმასია, ალმასივით ჭრის მისი ყოველი სიტყვა. აი, ისევ ციფრები: რძის წარმოება 1967 წელს 267 ცენტნერს უდრიდა. 1968 წელს — 758-ს, 1969 წელს — 1212-ს, 1970 წელს — 1525-ს, 1971 წელს — 1637-ს, 1972 წელს კი 1.660 ცენტნერს. ამავე დროს, მტკიცე საკვები ბაზის შექმნამ ძალზე შეამცირა თვითღირებულება. თუ 1967 წელს ცენტნერი რძე კოლმეურნეობას 205 მანეთი უჯდებოდა, 1972 წელს 32 მანეთსა და 60 კაპიკამდე შემცირდა მისი თვითღირებულება, ხოლო ცენტნერი ხორცის თვითღირებულება 1967 წლის 921 მანეთიდან, 1972 წელს 297 მანეთამდე.

ზუგდიდში კარლო ალმასიას გამომგონებელს ეძახიან.

კოლმეურნეობის დედალორებისათვის, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში მინდვრად არიან და ტალახში ამოსვრილნი ბრუნდებიან, კარლო ალმასიამ ფერმაში საინტერესო შესასვლელი მოაწყო. კარის წინ მიწა ამოითხარა, იგი დააბეტონეს და თან თითო მეტრის დაშორებით ოდნავ მაღლა, ბეტონის კედლების გარდიგარდმო რკინის მილები ჩაატანეს, შემდეგ ეს გზა წყლით აავსო, ახლა ღორები ამ მილებს მუცლით ეხასუნებიან და წყალი ტალახსა და ჭუჭყს აშორებს მათ. გაიხარეს გოჭებმა, სუფთა დედები უბრუნდებათ საღორეშიო, — ხუმრობენ კოლმეურნეები.

ეს სრულიად უბრალო, მაგრამ გონებამახვილურად მოფიქრებული მეღორეობის ფერმის შესასვლელი არაერთ კოლმეურნეობაში დაუჯდათ ჭკუაში.

როგორც ვთქვით, სოფელი ოქტომბრის მიწა მწირია. სასუქის გარეშე აქ მაღალ მოსავალს ვერ მიიღებთ.

კოლმეურნეობაში, ადრე სულ 290 მესიმინდე კოლმეურნე იყო, ახლა კი სიმინდის ყანებში 615 კოლმეურნე მუშაობს. რით ავხსნათ ეს?

კოლმეურნეობის თავმჯდომარე კარლო ალმასია და მთავარი აგრონომი დამიანე დიდიშვილი კარგად ხედავდნენ, რომ სიმინდთან შეთესილ სოიას სასუქი „აგიჟებდა" — ღეროს უზომოდ მაღლა იყრიდა და მოსავალს ნაკლებს იძლეოდა.

ამავე დროს, სოიას მაღალი ღერო სიმინდს ჩრდილავდა, აჩიავებდა და სიმინდის მოსავალიც მცირდებოდა.

და აქაც გამომგონებლობამ თქვა თავისი სიტყვა: კარლო ალმასიამ სათესი მანქანის მექანიზმში „მცირე შესწორება" შეიტანა. მანქანის შუა ადგილს მეშვიდე ბუნკერი მოარგეს, სპეციალურად სოიასათვის, გათვალისწინებული იქნა მცენარის კვებისა და ჩრდილის გავრცობის არე და სოიას მწკრივი სიმინდის მწკრივებს 40 სანტიმეტრით დააშორეს. საჭირო იყო აგრეთვე ჰექტარზე საშუალოდ 35 ათასი ძირი სიმინდი დაეთესათ, რომ მოსავლიანობა ამითაც გადიდებულიყო, ამიტომ სიმინდის მწკრივებს შორის მანძილი ნაცვლად 72 სანტიმეტრისა 65 სანტიმეტრამდე დაიყვანეს. სიმინდის ძირების რაოდენობა ჰექტარზე 7 პროცენტით გადიდდა და საშუალოდ 40.000-ს მიაღწია.

კოლმეურნეობამ შეიძინა მინდვრად სასუქის შემტანი სპეციალური მანქანა და სოიას მწკრივების ცალკე გამოყოფამ შესაძლებელი გახადა სიმინდის მწკრივებში სასუქის დაუბრკოლებელი შეტანა, დაიწყეს სიმინდის ყანების სასუქით მეორე გამოკვებაც. ამ ღონისძიებებმა სარეკორდო მოსავალი მისცა კოლმეურნეობას. ამით შეიძლება აიხსნას აგრეთვე ის, რომ მესიმინდე კოლმეურნეთა რაოდენობა ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

გაიხარა სოფელმა. კოლმეურნეობა ფეხზე დადგა.

შესაძლებელი გახდა ფულადი დახმარების გაცემა, წამახალისებელი ფონდების შექმნა,

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საშენი მასალის გაცემა, საბჭოთა არმიის რიგებში მყოფთა ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარების გაწევა.

კოლმეურნეებს ბ. ქირიას, ს. ქირიას, მ. აფხაზავას მიეცათ ერთდროული ფულადი დახმარება თითოეულს 150-300 მანეთის ოდენობით. ა. გვასალიას დ. გამყრელიძეს, ა. გარდაგრამის რაოდენობით, დ. გამყრელიძეს კოლმეურნეობამ დახმარების ხელი გაუწოდა აგრეთვე სახლის მშენებლობის დროს. ვ. მიშველიას მრავალშვილიან ოჯახს კოლმეურნეობამ თავისი ხარჯით გადაუხურა სახლი. შვიდი წლის წინათ ჩერკასკიდან ოქტომბერში გადმოსახლდა ანა ბაბიცკაია, მისი ვაჟი ამჟამად არმიის რიგებში იმყოფება. ანა ბაბიცკაია განთქმული მწველავია, ვაჟი კი მოწინავე ტრაქტორისტად ითვლებოდა საბჭოთა არმიაში გაწვევამდე. კოლმეურნეობამ ანა ბაბიცკაიას ახალი სახლი უყიდა.

კაცდღის ღირებულებამ 1967 წლის 1 მან. 60 კაპიკიდან 5 მანეთსა და 80 კაპიკს მიაღწია 1972 წელს. ამან, თავისთავად, რა თქმა უნდა, გაზარდა კოლმეურნეების წლიური შემოსავალი. მაგალითად, მარგო ციკუტანიას სადეკრეტო შვებულების თანხამ 1.000 მანეთი შეადგინა. ბევრია ისეთი დედა, რომელიც სადეკრეტო შვებულებაში გასვლისას 300, 400 მანეთს და უფრო მეტს იღებს.

კოლმეურნეობის ეკონომიკის გაძლიერებამ, ბუნებრივია, გაზარდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. მარტო 1973 წელს კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი 20 პროცენტით გადიდდა.

სოფელში ძნელად იპოვნით კაცს, რომელიც დასაქმებული არ იყოს. ამან საზოგადოებრივი წესრიგიც განამტკიცა.

ამ სანიმუშო წესრიგისათვის ოქტომბრის სასოფლო საბჭო დიდი ხანია რაისაბჭოს ალმასკომის გარდამავალ დროშას ინარჩუნებს.

კოლმეურნეობამ მრავალი სიგელი მიიღო. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს საპატიო საიუბილეო ნიშანი გადაეცა.

სოფელ ოქტომბერში ახლა ნამდვილად კარგად ცხოვრობენ: ახლად აშენებული კულტურის სახლი, ახლადაშენებული სკოლა და საბავშვო ბაღი, სოფლის ცენტრში ასფალტირებული გზები, კინოთეატრი, ტელევიზიის ანტენები კოლმეურნეების სახლების სახურავებზე ქალაქის სახეს აძლევენ სულ რაღაც შვიდიოდე წლის წინათ ყველაზე ჩამორჩენილ კუთხეს.

მაგრამ ყველას როდი გაეხარდა კარლო ალმასიას გამარჯვება, მას ზოგჯერ ხელს უშლიდნენ კიდეც, კვლავ იწერებოდა უსახელო წერილები. კოლმეურნეობაში ერთხელ, ორ წელიწადს გრძელდებოდა უსაფუძვლო რევიზია...

ახლა ვზივართ პატარა მაგიდასთან. კოლმეურნე გოგონამ კალათით ლოყებწითელი ატამი შემოგვიტანა. ვსაუბრობ შუდული გაბედავასა და კარლო ალმასიასთან. ეს საუბარი შეეხება კოლმეურნეობის ხვალინდელ დღეს. და, მე ჩემს ფიქრებს ხმამაღლა ვუცხადებ საკოლმეურნეო მშენებლობის ორ მოღვაწეს, ჩემს ორ მეგობარს, რომლებმაც თავიანთი პატიოსანი შრომით ხალხის სიყვარული დაიმსახურეს. მე ვამბობ, რომ სოფელი ოქტომბერი ნამდვილად დაადგა აღორძინების გზას, რომ ამგვარმა ძვრებმა განაპირობეს მანკიერების აღკვეთა არა მარტო აქ, არამედ მთელს ჩვენს რესპუბლიკაში. მშრომელი, პატიოსანი ადამიანები კარგად გრძნობდნენ იმ დიდ სიკეთეს, რომელიც სოციალისტური თანაცხოვრების წმინდა პრინციპების მტკიცედ დაცვას მოაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# ვარიაციები მარტოობის თემაზე

## თ. ჭილაძის „პოსეიდონის სასახლე“

თამაზ ჭილაძის პროზის თავისებურება, პრობლემატიკისა თუ სტილის სფეროში გამომჟღავნებული, ნათლად ჩანს ახალ კრებულშიც, რომელსაც „პოსეიდონის სასახლე“ ჰქვია და სადაც ამავე სახელწოდების მოთხრობის გარდა, დაბეჭდილია „წერო“, „პარასკევა“ და „მდგმურები“. ავტორს სრულიად გარკვეულად აქვს შემოფარგლული თავისი ინტერესების სფერო და ამითაც გამოირჩევა საერთოდ ქართველ მწერალთა შორისაც და კერძოდ იმ ლიტერატურულ თაობაშიც, რომელთანაც გარდა ასაკისა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამაც აკავშირებს.

როცა თანამედროვე მწერლობის სიახლეებზე ვლაპარაკობთ, ერთ-ერთ ამოსავალ საფუძვლად სწორედ თამაზ ჭილაძის შემოქმედებაც გვესახება: აქ გამოჩნდა ნათლად, ხელშესახებად ურბანისტული სული და მისი ერთი მთავარი ტენდენცია, ადამიანის გაუცხოების ტერმინით ცნობილი, ფსიქოლოგიური ანალიზის მოჭარბება, მორალურ-ეთიკური პრობლემატიკით გატაცება, „პატარა ადამიანის“ ბედილბალით დაინტერესება და ბევრი სხვა რამ, რაც ასე შესამჩნევად მოეძალა თანამედროვე მსოფლიო პროგრესულ მწერლობას ამ საკითხთა აქტუალობის წყალობით; ყოველივე ეს ქართულ მწერლობაში მკვეთრად და ძლიერად თამაზ ჭილაძის მოთხრობებსა და რომანებშიც გამოიხატა. ამან ერთგვარად განსაზღვრა მისი სტილის თავისებურებაც, რასაც დაემატა ღრმად ორიგინალური მხატვრული აზროვნება და ხელწერა მწერლისა.

თამაზ ჭილაძის პროზას განწყობილებით და ჩაფიქრებით უნდა კითხვა, გრძნობაცა და გონებაც დაძაბული უნდა გვქონდეს, სხვაგვარად ვერაფერს გავიგებთ და შეიძლება ნაკლებ მნიშვნელოვნადაც მოგვეჩვენოს ის სათქმელი, რაც ასე ღრმად აქვს ჩადებული მწერალს თავის მოთხრობებში და რომანებში.

თამაზ ჭილაძე, ჩემი აზრით, სავსებით შეგნებულად, წინასწარგანზრახვით არ ანიჭებს თავის ნაწარმოებებს იმ სიმსუბუქესა და სილაღეს, რაც მოთხრობასა თუ რომანს ზოგჯერ იოლად წასაკითხსა ხდის. ხშირად, ძალზე ხშირად, აზრობრივად მეტად მნიშვნელოვან, პრობლემებით დამძიმებულ ნაწარმოებსაც, ალსავსეს დრამატიზმითა და, გნებავთ, ტრაგიზმითაც კი, გააჩნია ის ამოსასუნთქი მოკლე თუ ვრცელი პაუზები, სადაც მკითხველმა უნდა სული მოითქვას, გონებაცა და გრძნობებიც ცოტა დაასვენოს ახალი განცდებისა და ფიქრებისათვის შესამზადებლად. მე აქ ისეთ სტილს არ ვგულისხმობ, როცა მეტად მნიშვნელოვანი, დრამატიზირებული სათქმელი იუმორის წყალობით ერთობ მსუბუქად, ცრემლიანი ღიმილით მოაქვს მწერალს მკითხველამდე და (მაგალითებისათვის შორს რომ არ წავიდეთ) რის მშვენიერ ნიმუშსაც წარმოადგენს თამაზ ჭილაძის თაობისავე პროზაიკოსის — ნოდარ დუმბაძის მთელი შემოქმედება.

ის სიმსუბუქე და სილაღე, რაზედაც ვლაპარაკობდი და რაც ამოსასუნთქ პაუზებს ქმნის, შიგადაშიგ იმ სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ ტილოებსაც დაჰკრავთ, სადაც იუმორის ნატა-

მალიც კი არ არის. თამაზ ჭილაძეს არ უყვარს მკითხველისათვის ასეთი შეღავათების მიცემა და ამიტომაც მისი მოთხრობებიცა და რომანებიც ძნელი, მძიმე საკითხავია. ამ გარემოებას კიდევ უფრო საგრძნობსა ხდის ისიც, რომ მწერალს არც მნიშვნელოვანი ამბის ძიება უყვარს, როცა სიუჟეტის განვითარება თავისთავად იპყრობს მკითხველის ყურადღებას. მისთვის ძირითადი და მთავარი ადამიანის სულიერი მდგომარეობის მხატვრული ფიქსაციაა, მისი შინაგანი, უხილავი განცდების რკვევაა. ამასთანავე მწერალი სწორედ ისეთ გმირს ირჩევს დაკვირვების ობიექტად, რომელიც ჩვეულებრივ თავისი ბიოგრაფიით არაფრით გამოირჩევა და შეიძლება მისი პროტოტიპები თავისი გარეგნული უფერულობისა და უეფექტობის წყალობით საერთოდაც შეუმჩნეველი დარჩნენ საზოგადოებისათვის. ეს ტიპები მხოლოდ თამაზ ჭილაძის მხატვრული ინტერპრეტაციის წყალობით არიან საინტერესონი, რადგან მწერალი ბევრად უფრო მეტს ხედავს ჩვენთან, მკითხველებთან შედარებით, ბევრად უფრო ღრმად იხედება თავისი გმირების სულში და მრავალ საინტერესო თვისებას, ავსა თუ კეთილ თვისებას ამჩნევს მათში.

ყველაფერი ეს თავიდანვე განსაზღვრავს თამაზ ჭილაძის შემოქმედების სირთულეს. ამან შეიძლება კიდეც დაუკარგა მკითხველთა ერთი ნაწილი. სამაგიეროდ, თამაზ ჭილაძის მკითხველები მისი ნაღდი მკითხველები არიან, ვინც გაუგო გემო მის პროზას, ვინც ჩასწვდა მის სათქმელს, ვისაც აინტერესებს მისი მახვილი ფსიქოლოგიური დაკვირვებები, ვინც ერკვევა ადამიანის სულის იმ რხევებში, მწერლის თვალს რომ ასე ზუსტად შეუმჩნევია და ჩვენთვისაც დასანახი გაუხდია. ასეთი კონტაქტი მწერალსა და მკითხველს შორის საიმედო და სარგებლიანია.

მაგრამ უსამართლობა იქნება მხოლოდ მკითხველების ინტერესებიდან გამომდინარეებმა ვილაპარაკოთ თამაზ ჭილაძის პროზის სირთულეებზე. რაც მთავარია, დიდი, ბევრად უფრო დიდი სირთულეები თვითონ თავის თავს შეუქმნა მწერალმა, როცა ასეთი ძნელად სავალი გზა აირჩია. მისთვის ფსიქოლოგიური დაკვირვებისა და ანალიზის გზა იმ ზომიერ სიმაღლეზე კი არ გადის, როცა საჭიროების შემთხვევაში საშველად სხვა საშუალებები შეიძლება იქნას მოხმობილი. არა, ეს გზა მეტად მაღალ და საშიშ ნაპირს გასდევს, სადაც ფეხის დასხლტომა ჩავარდნას, მხატვრულ ჩავარდნას იწვევს აუცილებლად. თამაზ ჭილაძეც მეტად დაკვირვებულად მიჰყვება მის მიერვე არჩეულ ამ რთულ გზას და მწერლის ეს ჯიუტი გაბედულება, ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად დასაფასებელია.

მე მგონი, თამაზ ჭილაძის მოთხრობებში ჩანს, გამოსჭვივის სიტყვასთან რა ჭიდილით იწერებიან ისინი. აქ ისეთი სიზუსტით მიგნებულ ფსიქოლოგიურ ნიუანსებთან გვაქვს ხშირად საქმე, რომ ამის ჯერ მიგნებას, მერე კი მართლად, დამაჯერებლად გადმოცემას და სრულად გახსნას, ნიჭთან ერთად, დიდი გულმოდგინებაც სჭირდება. ამას ისიც ემატება, რომ მარტო სათქმელი კი არ არის უჩვეულო და რთული, მისი გამოხატვის ფორმებიც ხშირად გართულებული აქვს ავტორს და, ცხადია, ეს მხოლოდ მის პროფესიულ ოსტატობაზე კი არ მეტყველებს, არამედ სიძნელეების დაძლევის ჟინზეც.

ეს სიძნელეები თვითმიზნური არ არის. თამაზ ჭილაძე ამ ძნელ გზას იმიტომ კი არ ირჩევს, რომ თვითონაც გაირთულოს ცხოვრება და მკითხველსაც გაურთულოს. არა. თავისი გმირების ხასიათების გასახსნელად რაკილა იგი ნაკლებად იშველიებს მოქმედებას, ამბის განვითარებას, იძულებულია ხშირად მიმართოს მეტაფორულ აზროვნებას, სიმბოლიკას, ასოციაციებს, ჩვენებებს, გახსენებებს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს, რომელთაც დიდი დატვირთვა ეძლევათ და სადაც ადამიანის სულის მოძრაობის ნიუანსები ძალდაუტანებლად, შეფარულად არის მინიშნებული, სადაც მეტად საჭირო, აუცილებელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ამოვიკითხავთ და ასე ჰელნელა, თანდათან წვრილ მძივებად აიკინძება დიდი და მთავარი სათქმელი. ასეა აქაც, ამ მოთხრობებშიც, „პოსედინოს სასახლეშიც", „პარასკევაშიც", „წეროშიც",, მდგმურებშიც".

და რაკილა ამ ასოციატური აზროვნების წყალობით, რის შთაბეჭდილებასაც გვიქმნის ჩვენ მწერალი თავის მოთხრობებში და რაც სინამდვილეში მისი მეტად ლოგიკური მხატვრული აზროვნებით არის ერთ სისტემაში მოყვანილი, ხშირად ენაცვლება ერთმანეთს რეალობა და ჩვენება, ახალი თუ გარდასული განცდა, პირდაპირი თუ მეტაფორული მინიშნება, მკითხველიც მუდამ ფხიზლად უნდა იყოს, დაკვირვებით უნდა კითხულობდეს ყოველ ფრაზას, რომ არაფერი გამოეპაროს; ერთი სიტყვით, თამაზ ჭილაძე მარტო საკუთარ თავს კი არ თხოვს ღრმა დაკვირვებულობას, ამას ჩვენგანაც მოითხოვს და სწორედ ამგვარი დაინტერესებული, გულმოდგინე მკითხველისათვის აქვს გამიზნული თავისი შემოქმედება. მე ეს დიდად დასაფასებლად მიმაჩნია, რადგან თამაზ ჭილაძე არასოდეს ცდილობს თუნდაც უვნებლად მოგვატყუოს, არასოდეს გვიყრის საკენკს, რომ თავისი მარცვალიც შემოგვაპაროს, არასოდეს გვიიოლებს ამოცანას. მას ღრმად სწამს, რომ მეტად სერიოზულ საკითხებზე გვესაუბრება და ჩვენც ასევე უნდა გვქონდეს უნარი სერიოზულად ვუგდოთ ყური, ან უნდა გამოვიმუშაოთ ეს უნარი თუ გვინდა ჩვენივე, მკითხველების, აზროვნების

თუ განცდის დონე ამაღლდეს და გამძაფრდეს. ვისაც ამისი არც უნარი აქვს და არც მოთხოვნილება, იმათთვის სხვა, იოლად დასაძლევი, გასართობად საკითხავი წიგნებიც მრავლად მოიპოვება.

აი ასეთი მიზანდასახულებაცა და ხასიათიც განაპირობებს იმას, რომ თამაზ ჭილაძის შემოქმედებას ე. წ. „ინტელექტუალურ პროზას“ მივაკუთვნებთ. ასეთ მწერალს კი ყველაზე მეტად მოეთხოვება ის საყოველთაო სავალდებულო რამ, რასაც ზომიერების გრძნობა ჰქვია, რადგან ამდაგვარ პროზაში ზომიერების ოდნავი დარღვევაც კი იწვევს სირთულეების ბუნდოვანებაში გადაზრდას, როცა აღარც მკითხველის დაკვირვება შველის საქმეს და სათქმელი გაუგებარი რჩება. თამაზ ჭილაძეს გააჩნია ეს ზომიერების გრძნობა, უფრო სწორად, იგი ალბათ დიდი და დაძაბული შრომის წყალობითაც ახერხებს ამ გრძნობის შენარჩუნებას, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გადაუცდება ხოლმე ფეხი მის საზღვრებსაც. ზოგჯერ იმდენად არის გართულებული თხრობა დროისა და ჩვენებების მონაცვლეობით, რომ ერთგვარად ირღვევა ზომიერება. მითუმეტეს, ზოგგან ამ მონაცვლეობისათვის ვერ მოუძებნია ავტორს გამომკვეთი შტრიხები, ჩანართებისათვის ვერ მიუცია თავისი განმასხვავებელი ფერი, ამიტომ საზღვრების დადგენაც, გადასვლების შენიშვნაც ერთობ ძნელია, რაც იძულებულს ხდის მკითხველს რამდენჯერმე მიუბრუნდეს წაკითხულ ეპიზოდებს სწორი ორიენტაციის აღსადგენად.

მწერალს ბევრი რამ მოეთხოვება და ბევრი რამაც ეპატიება. პირველ რიგში მოეთხოვება სხვებზე უკეთ ხედავდეს, სწვდებოდეს მისი თანამედროვე ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მის ზნეობრივ სახეს, ფიქრსა და განცდას, წუხილსა და სიხარულს, სიტყვასა და საქმეს. და ეპატიება მხატვრული გაზვიადება, გამძაფრება, გამიშვლება ტკივილისაც და სიხარულისაც, უფრო კი ტკივილისა, რადგან მწერლობის ამოცანა პირველ რიგში ერის სატკივარის მოშუშებაა და არა კმაყოფილების მათრობელა ბანგის დაფრქვევა. ეს ზოგჯერ გვავიწყდება ხოლმე და ლიტერატურისაგან უფრო ცხოვრებით, ჩვენი ადამიანებით აღტაცებას მოვითხოვთ (რისი საკმაო საფუძველიც გვაქვს), ვიდრე იმავე ცხოვრების ცუდი მხარეების მხილებას, ან ადამიანის ზნეობრივი ხინჯის წინააღმდეგ ბრძოლას.

ეს ტენდენცია თვითკმაყოფილებისა უკანასკნელი ათიოდე წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმად იყო ქცეული, რამაც ბევრი ცუდი მოგვიტანა. მარტო აშკარად გამოხატულ დანაშაულებრივ საქციელს არ ვგულისხმობ. კიდევ უფრო უარესი, ბევრად უარესი ის გახლავთ, რომ ამან გამოიწვია ადამიანის ზნეობრივი კოდექსის არაოფიციალური გადასინჯვაც, ღირებულებათა გადაფასებაც, ან უფრო სწორად, გაუფასურებაც, გამოიწვია მეთავ[illegible]ბის და ეგოიზმის, პირადი გამდიდრებისა და განდიდების ნორმად აღიარება. საზოგადოება შეეგუა ამას, შეეგუა ლიტერატურაც. თუმცა ზოგიერთმა ქართველმა მწერალმა მაინც თქვა თავისი შეურიგებელი, ამ სოციალური ბოროტების მამხილებელი სიტყვა.

ასეთ მამხილებელ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება თამაზ ჭილაძის მოთხრობებიც. შეიძლება ეს ვინმეს მეტად ხმამაღლა ნათქვამად მოეჩვენოს, რადგან თამაზ ჭილაძის შემოქმედებაში თითქოს ასეთი მკვეთრი, პირდაპირი პროტესტი არ ისმის. ეს იმიტომ შეიძლება დაგვემართოს, რომ მამხილებელი პათოსი პუბლიცისტური ჟღერადობის ნაწარმოებებში უფრო ადვილი შესამჩნევია, იქ ზედაპირზე ტივტივებს, პირდაპირ არის გაცხადებული, ფსიქოლოგიურ პროზაში კი ღრმად არის ჩადებული, შეფარული და შეიძლება უფრო ძლიერაც იგრძნობა, მაგრამ ნაკლებ ხმამაღლა ისმის. თამაზ ჭილაძეს უფრო ადამიანის სულიერი სიუხეშე თუ სიცარიელე აინტერესებს და ამისი მასაზრდოებელი წყაროს მიკვლევა სურს, ვიდრე სოციალურად გამოხატული აშკარა ბოროტების დემონსტრირება. და ეს, მე თუ მკითხავთ, უფრო მამხილებლური ძალისაა, ხანგრძლივად სამკურნალო სატკივარის, ბევრად მძიმე სატკივარის გაშიშვლებაა.

მთავარი პათოსი ამ კრებულში გაერთიანებული მოთხრობებისა ადამიანის სულიერი სიუხეშის წინააღმდეგ ბრძოლაა. და კიდევ, თამაზ ჭილაძე დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სატკივარი მისი სულიერი სიმარტოვეა. ეს ორივე უბედურება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, რადგან ხშირად სწორედ სხვისი სიუხეშე იწვევს საკუთარ თავთან დარჩენის სურვილს და სიმარტოვის გრძნობას. შეიძლება ზოგიერთებმა პათეტიკურად ამტკიცონ, რომ ჩვენს სინამდვილეში, ასეთი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, სულიერი სიმარტოვის პრობლემის წამოჭრა უცხო გარემოდან და ლიტერატურიდან ადამიანის გაუცხოების ტენდენციის ხელოვნური გადმონერგვააო მხოლოდ. მაგრამ განა მართლა ასე უცხო ხილია იგი ჩვენთვის?

ჩვენში ცოტად თუ ბევრად განათლებულ კაცს იშვიათ შემთხვევაში თუ დასჭირდება იმისი პროპაგანდა, რომ სოციალისტური საზოგადოება ჰუმანიზმის პრობლემის გადაჭრას სწორედ ადამიანთა დაახლოებაში, გაერთიანებაში, კოლექტივიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობების გაღვივებაში ხედავს, რაც პრინციპულად გამორიცხავს გაუცხოების გრძნობას, ასე დამახასიათებელს იმპერიალისტური სამყაროსათვის. მაგრამ ცხოვრება ხომ

გაცილებით უფრო მრავალფეროვანია და რთული, ვიდრე თვით საზოგადოების მიერვე აღიარებული და გაზიარებული პრინციპები? და თუმცა დღეს ჩვენს სახელმწიფოში ადამიანთა სოციალისტური და კომუნისტური თანაცხოვრების პრინციპები უფრო მტკიცედაა დანერგილი ვიდრე ოდესმე, ეს მაინც ვერ გამორიცხავს საზოგადოების ერთ გარკვეულ ნაწილში სულიერი სიმარტოვის გრძნობის გამძაფრებას.

აქ არ ვაპირებ ადამიანის გაუცხოების ტენდენციის, ამ სოციალური და ფსიქოლოგიური მოვლენის ანალიზს. არც იმისი თქმა მსურს, თითქოს ან მასშტაბებით, ან მითუმეტეს, თავისი ხასიათით და ფესვებით ჩვენში იგი იდენტური იყოს იმ ტენდენციისა, რაც ასეთ შეშფოთებას იწვევს პროგრესულად მოაზროვნე დასავლეთელ მწერლებში და სოციოლოგებში. თანამედროვე ქართულ და საერთოდ საბჭოთა მწერლობაში ამ პრობლემის გამოძახილს და მის თავისებურებებს ვფიქრობ მერე მივუბრუნდე; ახლა კი ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევდი წაიკითხოს ზურაბ კაკაბაძის მეტად საინტერესო წიგნი „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა“, რომელიც 1970 წელს რუსულ ენაზე გამოსცა „მეცნიერებამ“.

ახლა კი დავუბრუნდეთ იმ კითხვას, თუ განა მართლა ასე კატეგორიულად არის გამორიცხული ჩვენში ადამიანის გაუცხოების ტენდენცია და ამის შედეგად მისი სულიერი სიმარტოვის გრძნობის გამძაფრება? მართალია, როცა ჩვენ სოციალურ თუ ზნეობრივ მანკიერებებზე ვლაპარაკობთ, აქედან უმეტეს ნაწილს საფუძვლიანად ვუწოდებთ გადმონაშთებს, მაგრამ ეს გადმონაშთები, სამწუხაროდ, საკმაოდ ძლიერია, იგი ღრმადა ძევს ადამიანის ბუნებაში და არცთუ იშვიათად უფრო გონების ძალით ვერევით მათ, ვიდრე ჩვენივე ბუნების სიწმინდის წყალობით. საკმაოდ ხშირად ჩვენივე ინსტინქტები გაგვცემენ ხოლმე და საჩინოს ხდიან ამ ჯერ კიდევ მყარად გამჯდარ გადმონაშთებს. სხვა რით შეიძლება აიხსნას თუ არა ამით, ის საოცარი გავრცელების უნარი, პირდაპირ ეპიდემიური სენის სიძლიერისა, რაც ბოროტებას აღმოაჩნდება ხოლმე, როგორც კი ამისი საშუალება მიეცემა. აბა ჩავუკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას, აბა ჩავიხედოთ ჩვენს სულში, კიდევაც რომ სხვას არ გამოვუტყდეთ, განა ვერ დავინახავთ უამრავ ინსტინქტს, დათრგუნვილსა თუ დაუთრგუნავს, რომელიც თვლემს ჩვენში ან სულს გვიღრღნის და რომელიც ვერაფრით უთავსდება ჩვენსავე საზოგადოებრივი ქცევის კანონებს? აღარას ვამბობ იმაზე, რომ, მაგალითად, ბევრს წაუცდა ხელი საზოგადოებრივ ქონებაზე, როგორც კი ამის საშუალება მიეცა, ბევრს მოეძალა საკუთარი ფუფუნების სურვილი და რაკი ეს კანონიერების ფარგლებში უმრავლესობისათვის მიუწვდომელი იყო, დაიწყებს ამ კანონების დარღვევას. დაიწყო სიმდიდრის დაგროვების ციებ-ცხელება, რამაც ბევრი პატიოსანი კაციც ჩაითრია და თავისა ბუნებისა თუ შეგნების საწინააღმდეგო რამ ჩაადენინა. ამას კი სხვა არაფერი მოჰყვა, თუ არა კეთილი იმედების გაცრუება, ადამიანებს შორის კონტაქტების დარღვევა, ამის წყალობით კი — სულიერი გაუხეშება და მარტოობის გრძნობის გამძაფრება. ის გაორება, საკუთარი არსის შენიღბვა თუ დათრგუნვა, რაც საკმაოდ მკაფიოდ გამოსჭვივის ზოგიერთი ჩვენთაგანის ცხოვრებასა და საქმიანობაში და სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის გაუცხოების თავისებური გამოვლენა.

შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ერთმა თითქოს უბრალო ფაქტმა, რაც ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში. ამ ორი ათეული წლის წინ, როცა წყნეთში აგარაკები ისე მომრავლდნენ, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ, ერთი ჩემი ნათესავის გვერდით პროფესორი კაცი იშენებდა აგარაკს. ფული საქმოსანივით თავზესაყრელი არ ჰქონდა და თავისი ხელით აჰყავდა კედლები. იმ ზაფხულს რამდენიმე თვე დავყავი წყნეთში და ამ მეზობლისაგან ერთი სიტყვაც არ გამიგია. მისთვის თავის კარმიდამოს გარდა სხვა სამყარო თითქოს არც არსებობდა, მარტოსულად ცხოვრობდა. მხოლოდ ერთხელ გამოელაპარაკა მეზობელს, საერთო ღობის მოწესრიგება ითავა. ამის დანახვაზე ცოტა კიდეც შემრცხვა, ათვალისწინებული რომ მყავდა ეს პატიოსანი და თურმე გულისხმიერი კაცი. მეორე დღეს უთენია დაიწყო ძელებზე ბადის გაკვრა, რაღაც შემკრთალი თუ დარცხვენილი ჩანდა, ჩვენკენ ზურგით იდგა, ერთხელაც არ მოუბრუნებია პირი. ამის მიზეზი კი თურმე ის იყო, რომ ბადეს ჩემი ნათესავის მხრიდან ამაგრებდა. ხედავთ რა ძლიერი ყოფილა კერძო თუ პირადი საკუთრების ინსტინქტი, რომ ამ პატიოსან, ხნიერ კაცსაც კი, ვისაც არმად ნაშოვნი ფულის უქონლობის გამო წელი ჰქონდა მოწყვეტილი შრომით, რამდენიმე სანტიმეტრი ზოლის მიწის დასაკუთრებისათვის, რასაც არავითარი პრაქტიკული სარგებელი არ შეეძლო მოეტანა, ასეთი საჩოთირო საქციელი ჩაადენინა. თითქოს არაფერია ეს, მაგრამ, როგორც ფოკუსში, ისე ჩანს იმ კაცის ხასიათიც და გლეხური ინსტინქტიც მიწის სიხარბისა, რის წინააღმდეგაც, ალბათ, თავადაც ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს უხვად სთავაზობდა სტუდენტებს. ეტყობა ეს აღმოჩენა პირველი იყო და ამიტომაც ჩამრჩა მეხსიერებაში, თორემ ახლა უამრავი მსგავსი თუ უარესი რამ არამცთუ არ გამაკვირვებს, ალბათ თავისი „წვრილმანობის“ გამო შეუმჩნეველიც დამრჩება. აბა, პროფესორი კაცი რომ ასე მოიქცევა, სხვას რაღა მოვთხოვოთ. ანკი ბევრად

უფრო აშკარად და დიდი მასშტაბით გამჟღავნებული ეს ინსტინქტები (მხოლოდ ინსტინქტები კია ეს?) ცოტა გვინახავს? ასე გამოიკეცნენ წყნეთში თუ სხვაგან აგარაკებზე პატიოსანი თუ უპატიოსნო ფულით აშენებული სახლების პატრონები, შემოივლეს უზარმაზარი ღობეები და ისე შეიყუჟნენ შიგ, როგორც ლოკოკინები საკუთარ ნიჟარაში. ახლაც ისე გეგონებათ შორიდან, მეზობლად მტრები დასახლებულანო.

ურბანიზაციის პროცესს, რაც საყოველთაო და კანონზომიერია, რისი ხელოვნური დაბრკოლებაც უბრალოდ შეუძლებელია, თანა სდევს ერთგვარად ადამიანის გაუცხოების ტენდენციაც. ვისაც თბილისის ძველ უბნებში გვიცხოვრია, კარგად გვახსოვს ღია აივნების და შინაურული ეზოების გნიასი, მეზობლების ყაყანიც, ჩხუბიც, მეგობრობაც, თანადგომაც, სიყვარულიც და გრძნობაც იმისა, რომ შენ მარტო არა ხარ, რომ შენი გარიყვა შეუძლებელია, რადგან ყველას თვალწინ ცხოვრობ და საკუთარი ბუნების ღალატს მაშინვე შეგამჩნევენ. აბა ვინ შეიძლება იზოლირებული და კომფორტაბელური ბინების წინააღმდეგი იყოს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამას თავისი წილი განმარტოებაც მოჰყვა. ვინ შეიძლება საკუთარი მანქანების წინააღმდეგი იყოს, მაგრამ ამანაც ხომ გამოიწვია თავისი წილი იზოლირება, განცალკევება ადამიანისა. ამ ტენდენციას ვერსად გავექცევით, მაგრამ უნდა წინაღვუდგეთ კი, თუ გვინდა, რომ ჩვენს საზოგადოებას არ შეეპაროს ის სენი, რაც ბევრწილად დააბრკოლებს კომუნისტური მორალის საყოველთაო გავრცელებას, ჩვენ კი ეს მორალი მარტო ასაღიარებლად კი არ გვინდა, არამედ, რაც მთავარია, იმისათვის, რომ ძვალსა და რბილში გვქონდეს გამჯდარი.

ანკი რაღა სხვაგან ვეძებთ გაუცხოების გამოძახილს. თამაზ ჭილაძის მოთხრობების წაკითხვისას ვეჭვობ ვინმეს მოუვიდეს თავში აზრად, რომ ეს ყველაფერი ცხოვრებისეული სიმართლის ღალატი იყოს. მართალია, აქ მხატვრულად გაზვიადებულია, აქცენტირებულია, გამძაფრებულია ადამიანთა გარიყვის თუ სულიერი სიუხეშის გამოვლენის შემთხვევები, მაგრამ მწერალი სიმართლეს გვეუბნება და ამ მოთხრობების წაკითხვის შემდეგ, სადაც ასე საინტერესოდ, ღრმად, შემაძრწუნებლად არის გახსნილი ჩვენში ჯერ კიდევ არსებული თუ გავრცელებული მანკი, ალბათ სინდისის ქენჯნას ვიგრძნობთ და უფრო სხვა, თბილი, მეგობრული თვალით შევხედავთ ჩვენს გვერდით მყოფ ადამიანებს, რომ მარტოსულებად არ იგრძნონ თავი. აი ასეთი აქტიური ზემოქმედების ძალაშია თამაზ ჭილაძის პროზის მაღალი ჰუმანისტური დანიშნულება.

სულიერი სიმარტოვის გრძნობა თავიდანვე შეიძლება აედევნოს ადამიანს, ბავშვობიდანვე (ეს კიდევ უფრო ღრმა ჭრილობას ამჩნევს მას), მერე კი მთელი თავისი ცხოვრების გზაზე სტანჯავდეს. „პარასკევაშიც“, „პოსეიდონის სასახლეშიც“ და „მდგმურებშიც“ მწერალი სწორედ ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთებზე გვიჩვენებს ამ მძიმე სულიერ მდგომარეობასაც და მის შედეგსაც.

მოთხრობაში „პარასკევა“ მწერალი ემოციურად ძალზე დაძაბულად გამოხატავს თავის სათქმელს, კერძოდ იმ მოსაზრებას, რომ ბავშვის მგრძნობიარე, ფაქიზ, სათუთ სულს კიდევ უფრო ღრმად და მტკივნეულად აჩნდება დიდი თუ მცირე ჭრილობა. პატარა მიხას ბედი ყველა ბავშვის ხვედრი როდია. ბევრს სწორედაც სრულიად განსხვავებული ცხოვრება აქვს და უფრო დაზღვეულნიც არიან სულიერი ტრავმებისაგან, მაგრამ მიხას მსგავსნიც ხომ საკმაოდ არიან და, რაც მთავარია, ის გარემოც, რომელიც მათს ირგვლივაა, სამწუხაროდ, ტიპიურია. ცხადია, განზრახ არის აქ კონცენტრირებული ავტორის ყურადღება ავბედითობაზე და პატარა მიხასაც უამრავი განსაცდელი დაატყდება თავს, მეტად თუ ნაკლებად შთამბეჭდავი განცდები აუფორიაქებს სულს, მაგრამ ეს ხომ საკმაოდ იოლად აიხსნება მწერლობაში, სადაც ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით მხატვრული აზრის უკიდურესობამდე მიყვანა და ასეთნაირად გამძაფრება ჩვეულ ხერხადაა მიჩნეული.

ის ბედნიერი დღეები, როცა ზღვაზე იყო დედასთან ერთად, მისას ზმანებად გაჰყვება დიდხანს, ალბათ მთელი სიცოცხლის მანძილზეც. თუმცა ავად იყო მიხა და ლოგინიდან გასცქეროდა ზღვას, მაინც ნეტარი იყო მისთვის იმ დღეების გახსენება, რადგან „დედას დიდი ჭილოფის ქუდი ეხურა, თეთრი კაბა და თეთრი სანდლები ეცვა. არ შორდებოდა, მთელი დღე თავთან ეჯდა, ან წიგნს უკითხავდა, ან კიდევ ტილოს დიდ ნაჭერს ქარგავდა, მუხლებზე რომ ჰქონდა გადაფარებული“. და კიდევ, ზღვაზე ყოველდღე ხედავდა უცხო გოგონას, მზიას, რომელიც მწოლიარე მიხასთან მიახლოვებას იშვიათად ბედავდა. ეს სულიერი სიმშვიდე და რომანტიკული განწყობილება, რასაც მზიასთან ერთად ზღვის პირას მდგარი მაღალი ფიჭვებიცა და ფიჭვებს იქით თვალისმომჭრელად მბრწყინავი ზღვაც უძლიერებდა, ბავშვის წარმოდგენებს სხვა სინათლით ავსებდა. მიხას მეოცნებე სული სიამოვნებით ელტვოდა ასეთ განწყობილებას. მოზარდის სულს თავდაპირველად ლამაზი ოცნებები უფრო ჰკვებავდა, ვიდრე რეალური გარემო. ამიტომაც არ გვიკვირს, როცა ლოგინს მიჯაჭვული ბავშვი ზეწარს ხელს გადაუსვამს და მზიას ეტყვის: „ეს თოვლია, მე თოვლში ვწევარ“. ან კიდევ, მოაგარაკე მეზობლის გოგონას ელას სათამაშო ზარის წკრიალს მეოცნებე

ავადმყოფი ბავშვი ღრუბლებისა და ვარსკვლავების სამყაროში გადაჰყავს.

ზღვის ლურჯი სივრციდან და შორეული ვარსკვლავებიდან რეალურ სამყაროს იმავე აგარაკზე დაუბრუნდა მიხა. პირველი სუსხი ბოროტებისა სწორედ აქ იგრძნო მან, როცა მზიასა და ზღვის სანახავად სიცხიანი გაიპარა სახლიდან. ნატკენი მუხლის მოსაბანად უმწეო მიხა ვილაცის ეზოში საწყლად შევა, სახლის პატრონი კი მას ჭინჭრის კონით აუწვავს კანჭებს, რომ „სხვის ეზოში სეირნობა“ მოაშლევინოს. მწერალი სულ ორიოდე შტრიხით გვიხატავს ამ მესაკუთრე ტიპს, მელოტ თავზე რომ ქალის ნეილონის წინდისაგან შეკერილი ჩაჩი ცხურა და ჭიშკრამდე სულ წვივებზე სცემდა დამფრთხალ მიხას ჭინჭრის კონას, მაგრამ ხასიათი ამ ბოროტი კაცისა. მისი ბუნება ბოლომდეა გახსნილი.

მიხა „შინისკენ მირბოდა და ხმამაღლა ტიროდა, ახლა არც სირცხვილზე ფიქრობდა, რადგან გული გასკდომაზე ჰქონდა. მალიმალ ჩერდებოდა და დაშუშხულ წვივებზე ხელს ისვამდა. უნდოდა ყველას დაენახა ასე უმიზეზოდ დასჯილი და ნაწამები. არავის მიუქცევია ყურადღება, არავინ შეჩერებულა, ცალი თვალითაც არ გამოუხედავთ მისკენ. უნდოდა ჩქარა მისულიყო დედასთან, მის კალთაში თავი ჩაედო და ეტირა, იქნებ გულიდან როგორმე ის სიმძიმე ამოეგდო, რომელსაც უცებ, სულ რამდენიმე წუთში მოესწრო მის ფსკერზე ჩალექვა და ჩაკირვა“.

დიახ, პირველი მწარე გაკვეთილი ბოროტებისა მეოცნებე მიხამ ზღვაზე მიიღო, კიდეც ჩაელექა და ჩაეკირა სულის სიღრმეში, მაგრამ ის სულიერი სიმშვიდე, რასაც დედა და ზღვა გვრიდა, მაინც ანეიტრალებდა, სძლევდა ამ განცდას და ბედნიერებით ავსებდა. მაგრამ როგორც კი ეს წონასწორობა დაირღვა, პატარა მიხას ბედნიერებაც დასრულდა.

მწერალს საგანგებოდ არც აინტერესებს ის ოჯახური დრამა, რაც მიხასთან დატრიალდა. ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, ამის ბოლომდე გარკვევას იგი არცა ცდილობს, თუმცა მინიშნებით კი მიგვანიშნებს რამდენიმე დეტალით. მართალია დედამ მიატოვა ოჯახი, მაგრამ მამა, ცნობილი მომღერალი (დედაშენს მეტი რაღა უნდოდაო, მიხას მამიდას რომ გულწრფელად უკვირს), საკმაოდ პრიმიტიულ, გულცივ და ეგოისტ კაცად გამოიყურება. ისიც, ვის გამოც წასულა დედა და ვისაც მხოლოდ ერთი წამით შევავლებთ მიხასთან ერთად თვალს, სავსებით დამაჯერებლად გვარწმუნებს თავის სულიერ სიუხეშეში, ამიტომაც ვგრძნობთ, რომ შემთხვევითობას არ უნდა მიეწეროს დედის ტრაგიკული სიკვდილი, რაც უშუალოდ მოსდევს ცოლ-ქმრის უკანასკნელ შეხვედრას. თითქოს გუმანით ვხვდებით, რომ ის საბედისწერო ნაბიჯი ამ შენიღბული ბოროტებისაგან სასოწარკვეთილმა ქალმა სავსებით შეგნებულად გადადგა. მწერალი, როგორც ვთქვი, თითქოს არც კი ცდილობს ამაში ჩაძიებას, მას სულ სხვა საკითხი აწუხებს. ასეთი ოჯახური დრამისაგან არავინ არის დაზღვეული და მას უამრავი მიზეზი თუ საბაბი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ რა კვალს სტოვებს იგი მოზარდის სულში, როგორ ანგრევს მის ოცნებას, როგორ უკარგავს სულიერ სიმშვიდეს, რა ტრავმას აყენებს მას, ეს მთავარი საკითხი მწერალმა დიდი მხატვრული სიმართლით და სიღრმით გვიჩვენა. როგორც კი ეს ოჯახური იდილია დაერღვა, მიხასათვის მხოლოდ ახლა გახდა გასაგები მთელი სიმწკავით ის სულიერი სიუხეშე, რაც თურმე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა. და ამაში ყველაზე ნაკლები ბრალი მომვლელად მიჩენილ მამიდას ედება, თუმცა ისიც ვერ ერევა თავს და ძალაუნებურად ხდის მიხას ამ დრამის უშუალო მონაწილედ. კარის მეზობელი რობინზონი, ღიპზე შეხსნილი ნეილონის პერანგით და დალაქული მაისურით, ობივატელური ბედნიერების პირველი უტყუარი საბუთით — კმაყოფილი ხითხითითა და „ვოლგით“, საკუთარი, ღირსებით ტკბობის საშუალებას იმაში ხედავს, რომ სხვას, თუნდაც ბავშვს, შეულახოს ღირსება. ამიტომაც აწვეთებს შხამად მიხას თავზე დამტყდარ უბედურებას. აი ასე გადაიქცევა მშობლიური და ახლობელი გარემო უცხოდ მიხასათვის, სადაც იგი მარტოსულად დაბორიალობს და თავისი კუთვნილი ადგილისათვის ველარ მიუგნია. და ახლა უკვე სხვაგვარი მოჩვენებები უდგას თვალწინ ამ შთაბეჭდილებიან ბავშვს:

„თვალნათლივ დაინახა კმაყოფილი და გამაძღარი, მზის გულზე ნებივრად წამოწოლილი, პირში ჩიბუხგაჩრილი რობინზონ კრუზო, რომლის ფეხებთანაც საწყალი პარასკევა ჩაცუცქულიყო და ძალლივით შესციცინებდა თვალებში. თუ პარასკევას ნაცვლად თვითონ იჯდა რობინზონ კრუზოს ფეხებთან და რობინზონი, როცა მოისურვებდა, მაშინ წამოუთაქებდა თავში, რადგან არც ქვის სროლა იცოდა, არც ჩიბუხის მოწევა.“

და თუმცა პროტესტის თუ თავდაცვის ინსტინქტი ილვიძებს მიხას გულში, მას მაინც პარასკევას როლი აქვს გამზადებული, რადგან ირგვლივ მასზე ძლიერი და დაუნდობელი ადამიანები არიან. სულ უფრო ეძალება მიხას მარტოობის გრძნობა, განმარტოების სურვილიც, რადგან ადამიანებთან კონტაქტმა არაფერი შვება მისცა. ასე უგულოდ და დამცინავად ექცევა მას სასადილოს დახლიდარიც, რასაც ვერაფრით ასწორებს ერთი წამით გალვიძებული სინდისის ხმა, როცა უკვე დამფრთხალ მიხას ორიოდ თბილ სიტყვას დაადევნებს. მწერალი საკმაოდ ნატურალისტურად აგვიწერს სასადილოსაც და იმ ეზოს ცხოვრე-

ზასაც, რომელსაც დედის საძებნელად მიადგება მიხა. დეიდა ვერიკოს, დედამისის მეგობარი რომ ეგონა, საკუთარი მეშჩანური ბედნიერების გარდა, არაფერი ადარდებს, სხვისი წუხილი, თუნდაც ბავშვის, მისთვის უცხოა და გაუგებარი, ამიტომაც არ იკარებს გულთან.

მიხა ხვდება ყველაფერს, რომ მისთვის უკვე დაინგრა ცხოვრება, რადგან აღარავინ მიუჯდებოდა საწოლთან სულ უბრალოდ, თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რომ „ეცქირა მისთვის, ან შუბლზე დაედო ხელი, ან არაფერი გაეკეთებინა ისე მჯდარიყო".

დედის ტრაგიკულმა სიკვდილმა კიდევ უფრო გაუმძაფრა ეს მარტოობის მტანჯველი გრძნობა, კიდევ უფრო მწვავედ აგრძნობინა სულიერი ობლობა. რობინზონი საქმიანად აგვარებს ქელეხის სამზადისს. მამამისი თუმცა უბედური კაცის სახით და ინტონაციით ამბობს — „ეჰ, ჩემო რობინზონ, რა დროს ქელეხიაო", მაგრამ მისი ეს თვალთმაქცობა მიხასათვის ახლა უკვე ცხადზე ცხადია, იგი ხომ მალიმალ იხედება სარკეში და პანაშვიდისათვისაც ისევე ემზადება, როგორც სპექტაკლისათვის. მიხას გლოვაც კი არ აცალეს, სადღაც გარიყეს, კუთხეში მიჰყლიტეს მამამისის თანამშრომლებმა, გაპუდრულმა ბებერმა ქალებმა და შავკოსტუმიანმა მამაკაცებმა კაპელიდან, მერე კი სახელგანთქმულმა მომღერლებმა, ტანკებივით რომ შემოვიდნენ და გვერდით ამოუდგნენ მამას. „მამა გულამოსკვნილი ტიროდა", მეორე წამს კი სხვა ოთახში მიხას საქმიანად ეკითხება „რატომ არ ტირიო" და თან სარკეში იყურება. მთელ ამ თვალთმაქცურ სცენას აგვირგვინებს რობინზონის, პანაშვიდის ამ ცერემონმაისტერის „პიონერის საყვირივით ხალისიანი ხმა."

სასაფლაოდან გამოპარულ მიხას, ვისმა გულწრფელმა მწუხარებამაც ველარ აიტანა ეს ფარსი, პირველად მოეძალება მტანჯველი ფიქრები სიკვდილ-სიცოცხლეზე. ასეთი ფსიქოლოგიური სიზუსტით დაწერილ მოთხრობაში აქა-იქ მაინც იჩენს ხოლმე თავს ნაკლებ დამაჯერებელი სიტუაცია, ან ბავშვისათვის ნაკლებ შესაფერი აზროვნების სტილი. და ერთი ნიმუში ამისა ამ ეპიზოდშიც არის შესამჩნევი: „ნუთუ ადამიანი ერთბაშად ყველასათვის არ კვდება? რა ჰქვია მისი სიცოცხლის მეორე ნაწილს, რომელსაც მიწაში ვერ ატევენ, ყვავილებით ვერ ფარავენ. ისევ სიცოცხლე? ის ხომ მიწაზე არ დადის, ჰაერში დაფარფატებს, როგორც ღრუბლის ნაფლეთი, ანდა ქადრის აბლაბუდა, ანდა, როგორც ხმა... ხმა და მეტი არაფერი..." მგონი დამეთანხმება მკითხველი, რომ ძნელი სავარაუდოა ასე ფიქრობდეს მოზარდი. საერთოდაც და, განსაკუთრებით კი, ამხელა სულიერი ტრავმის დროს, ალბათ უფრო მარტივად და უშუალოდ იაზროვნებდა იგი.

ასე მარტოდ მიტოვებულ მიხას ცხოვრება არაფერს სთავაზობს, გარდა ცინიზმისა, სიუხეშისა და თვალთმაქცობისა. ამის მეტს ვერაფერს დაინახავს იგი თუნდაც ისეთ უჩვეულო და ბავშვისათვის მიმზიდველ სიტუაციაში, როგორიცაა კინოგადაღება. აქაც ყველაფერი იმ სპექტაკლივითაა, სადაც მსახიობები უგულოდ თამაშობენ და არცა ცდილობენ თავიანთი ცინიზმის შენიღბვას. აქაც ყველაფერი იმ სიყალბითაა სავსე, რასაც სწორედ ახლახან გამოექცა მიხა. მიხაც ყველაფერს მშვენივრად ხვდება, რადგან იგი მძიმე გარემოებათა გამო ადრე გამოსულა ბავშვობის ასაკიდან. ერთადერთი ხსნა მხოლოდ ილუზიებშია, ამიტომაც არის, რომ ირგვლივ გარშემორტყმულ ხალხში მდგომი მიხა თან გულამოსკვნილი ტირის დაკარგული ბედნიერების გამო, სულიერი სიმარტოვის გამო, თან კი ხან მზია ელანდება ზღვის სანაპიროზე და ხანაც დედის სახე ავარდისფერებულ ბურუსში.

ასევე სტანჯავს სულიერი მარტოობის გრძნობა გიგასაც „პოსეიდონის სასახლიდან". განსხვავება ამ ორ გმირს შორის მარტო ასაკში კი არ არის, არამედ, რაც მთავარია იმაშიც, რომ გზა სიმარტოვისაკენ მხოლოდ სხვათა სულიერ სიუხეშეზე კი არა, ხშირად საკუთარზეც გადის. თუ მიხას ბედნიერება სხვათა მსხვერპლი გახდა, გიგამ თვითონ მიიტანა ობივატელური თვითკმაყოფილების სამსხვერპლოზე ერთადერთი ჭეშმარიტი ადამიანური განძი. მას ნებაყოფლობით აურჩევია „ყოველდღიურ ფუსფუსში თავისთავად გაჩენილი გულგრილობის ბეტონის გზა, უმოკლესი მანძილი ორ წერტილს შორის — ყოფნასა და არყოფნას რომ აერთებს." და რაკი ასეა, წარსულის ბედნიერი ჩვენებები მიხას თუ სიმშვიდით ავსებს, გიგას მხოლოდ აღიზიანებს, რადგან მან თვითონ თქვა შეგნებულად უარი იმ გზაზე, იგი თვითონ გაექცა ბედნიერებას.

„ადამიანის ცხოვრების გვერდით მისი მახსოვრობის წყალუხვი მდინარე მიედინება, ზოგჯერ ის ნაპირზე გადმოდის და ყელამდე გაყინულსა და მღვრიე წყალში ვდგავართ". ეს სენტენცია გიგას ეკუთვნის, მისი ხმამაღლა ნაფიქრია, მოთხრობის დასაწყისშივე რომ ყურსა გვჭრის, ბოლოს კი საოცარი სიცხადით წარმოგვიდგენს გმირის სულიერი სიძაბუნის მთელ საშინელებას. თითქოს იმედიანი ფინალი — „ჩემი ბინა სავსე იყო ჩემი ლილინით, საბეჭდი მანქანის კაკუნით, ჩემი სიგარეტის კვამლით, ლიას ჩურჩულით, მამუკას ყიჟინით, ტელევიზორის გუგუნით და ამ ხმებისაგან მოქსოვილი ბადე მღვრიე და გაყინულ წყლიდან მეწეოდა, მექაჩებოდა, თავისკენ მიმათრევდა, რადგან მე უნდა მეცოცხლა, მეცოცხლა, მეცოცხლა!" — სინამდვილეში უიმედობის გრძნობით გვავსებს, რადგან გიგას აღარაფერი ეშველება. იგი ისე ღრმადაა ჩაფ-

ლული ობივატელური ბედნიერების ქაობში, რომ ხელის განძრევაც აღარ უნდა თავის საშველად და მისი მახსოვრობის თბილსა და ანკარა ნაკადულს მჭოლოდ მღვრიედ და გაყინულად შეიგრძნობს.

გიგას სახესთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, უკვე ძალდაუტანებლად უნდა გაგვახსენდეს ის სულიერი მდგომარეობა, რასაც ადამიანის გაუცხოება ჰქვია. თუ ზურაბ კაკაბაძეს დავესესხებით, ყველაზე ლაკონიური და აღიარებული განსაზღვრით, გაუცხოება ადამიანის ისეთ მდგომარეობას ნიშნავს, რომლის დროსაც იგი თავისი მოქმედებით თუ საქციელით ეწინააღმდეგება საკუთარი არსებითი ხასიათის მისწრაფებების რეალიზაციას, თავისი საკუთარი არსის გამოვლენას. ფაქტიურად ეს ადამიანის გაორებას ნიშნავს, როცა იგი თავისი რწმენისა და მოწოდების წინააღმდეგ მოქმედებს. ასეთი მდგომარეობისაკენ კი, სამწუხაროდ, ბევრი თუ არა, რამდენიმე კარგად გატკეპნილი გზა მიდის. მათ შორის ყველაზე ნაცნობია ადამიანის ნებისყოფის სისუსტით არჩეული გზა, როცა იგი მშვიდად დაჰყვება ცხოვრების მდინარებას, იოლ სავალს ეძებს, ადვილად ელევა საკუთარ რწმენას, იდეალებს ობივატელური ბედნიერებისაკენ უმოკლესი გზის მისაგნებად. და თუ ამ გზაზე სინდისის ქენჯნა მაინც აწუხებს მას, ეს ჯერ კიდევ შორს არის ტრაგიკული განცდებისაგან.

სულიერ გაორებას, რწმენის ღალატსა და დაკარგვას, საკუთარი არსის დათრგუნვას ტრაგიზმი მაშინა სდევს მხოლოდ თან, როცა ეს იძულებით, გარეშე ძალების ძალდატანებით ხდება. გიგასაც უბიძგეს აქეთ ხელი, როცა ახალგაზრდა მწერალს გონებაჩლუნგმა და გულციემა რედაქტორმა ცხოვრების პირველი მწარე გაკვეთილიც აგემა და იოლ გზაზეც მიანიშნა, მაგრამ იგი სწორედ თავისი ნებისყოფის სისუსტის გამო მორჩილად დაჰყვა უგუნურ რჩევას. მას, როგორც ჩანს, არცთუ ისე მტკიცე რწმენა გააჩნდა, რომ თავისი იდეალებისათვის, მოწოდებისათვის ებრძოლა, საკუთარი მიზნებისათვის თავი გამოედო. ამიტომაც იყო, რომ თავი მიანება არჩეულ გზას მწერლობაში და სულ სხვა ჟანრს მიჰყო ხელი, რამაც იოლი, თუმცა საეჭვო წარმატება მოაპოვებინა და ახლა მისი დეტექტივები თუ ფანტასტიკური მოთხრობები და რომანები სოკოებივით მომრავლებულიყვნენ.

გიგას კარგად ესმის თავისი მდგომარეობა, ოღონდ სიმტკიცე არა ჰყოფნის გატკეპნილ გზას გადაუხვიოს, ობივატელურ ბედნიერებას შეელიოს. მისი ალსარებები ამაში ღრმად გვარწმუნებენ.

გიგამ დაკარგა სურვილი ყოფილიყო ნამდვილი მწერალი. ლიასთან ერთად, არც მისთვის არსებობს „ცხოვრებისეული ლირიკა, ადამიანს რომ გულს უჩვილებს“. მან შეგნებულად თქვა უარი წრფელ დამოკიდებულებაზე, ნამდვილ სიყვარულზე, ადამიანურ ცხოვრებაზე. და ეს ყველაფერი გაცვალა საძულველ შვილებივით წიგნებზე, თვალთმაქცობაზე, „ჩემს საფერფლეზე“, „ჩემს სკამზე“, „ჩემს ჰიქაზე“, „ჩემს თეფშზე“, რომელთაგან ერთიც რომ დააკლდეს „სათვალეებდაკარგული ბეცივით“ იქნება.

ასე შეიქმნა მან თავისი საკუთარი კომფორტაბელური სატუსაღო, გაერიყა ცხოვრებას, შეუმჩნევლად გახდა თავისივე ბინის ტყვე, სადაც თბილ ფლოსტებში ფეხებწაყრილი დაფრატუნობს ერთი ოთახიდან მეორეში. როცა ასეთი ყოფით გულგაწვრილებულს იშვიათად, მაგრამ მაინც მოეძალება უსიამოვნო ფიქრები, წევს ჩაბნელებულ ოთახში და საკუთარ თავს ანუგეშებს: „ჯობს შენს თავს მოუარო, სინდისის ქენჯნა არაფრის გამო ჰკვანაკლულობის ნიშანია. დაეტიე შენს კანში.“

იშვიათია, ასეთი თვითგვემით რომ იგლეჯდეს ნიღაბს გმირი ჩვენს თვალწინ, იმ ნიღაბს, რომელიც საგულდაგულოდ მოურგია სახეზე თავისი ბუნების, შინაგანი სიცარიელის დასაფარავად. იგი ხომ ვერავის დაემდურება, მან თვით აირჩია პოსეიდონის სამფლობელო. მისი სასახლე, სავსე სივრცითა და თავისუფლებით, ობივატელური ბუნაგი, კომფორტაბელური სატუსაღო, სადაც ყველაფერია, გარდა მთავარისა, ამაყი და მეოცნებე სულისა.

„პოსეიდონის სასახლეში“ იშვიათი სიძლიერითაა გახსნილი გიგას აღზევების, სინამდვილეში კი მისი დაკნინებისა და დაცემის მთავარი მიზეზი. ეს არის მისი უგულობა, უნებისყოფობა, სულიერი სიუხეშე, რამაც დააზრო, არ გაახარა კეთილი თესლი, სადღაც შიგნით რომ ულვივოდა ახალგაზრდობაში და ჭეშმარიტი ადამიანური ბედნიერების საწინდარი იყო.

ლიტერატურა ნატიფი მეტყველებაა, მაგრამ როგორც კი ეს თვისება თვალში საცემი ხდება, იგი მანერულობაში გადაიზრდება და ნაწარმოებიც კარგავს ცოცხალ სილამაზეს, ხელოვნურად მორთულ-მოკაზმულ მანეკენს ემსგავსება. უნდა გულახდილად ითქვას, რომ თამაზ ჭილაძის მოთხრობებში, რომლებიც გვხიბლავენ ჩვენ ამ ჩუმი, ძალდაუტანებელი, თითქოს ბუნებრივი სილამაზით, ზოგჯერ უსიამოვნოდ ხვდება თვალს დაუდევრად დადებული ფერი, რაც არღვევს მხატვრულ ჰარმონიულობას. ასეა აქაც, „პოსეიდონის სასახლეშიც“, განსაკუთრებით დასაწყისში, სადაც ეს სწრაფვა ლამაზი მეტყველებისაკენ, კაზმულსიტყვაობისაკენ საკმაოდ აშკარად ჩანს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი, გმირი თვითონ გვიხსნის თავის სულიერ მდგომარეობას და ისეთი პოზიორი კაცისაგან, როგორიც გიგაა, ნაკლებ უნდა გვეხამუშებოდეს

ასეთი მეტყველება. აკი, როცა თვითმხილება თუ თვითგვემა იწყება, ისიც იძულებულია მალალფარდოვანების ნაცვლად უფრო სატირულ შტრიხებს მიმართოს საკუთარი პორტრეტის დასახატად.

ის ოჯახური იდილიის ილუზია, რაც თავიდანვე ხელოვნურად შექმნეს გიგამაც და მისმა მეუღლემაც და რასაც ასე დაბეჯითებით უნერგავენ სხვებსაც, სათამაშო ხუხულასავით არის აშენებული და მათი ობივატელური სული რომ ასე ბეჯითად არ ებლაუქებოდეს, დიდი ხანია დაინგრეოდა. ორივესთვის ხელსაყრელია ეს თვალთმაქცობა, ღიდი მწერლისა და მისი ბედნიერი მეუღლის როლების თამაში, რადგან ამას თან ახლავს ქოფითი, პატარა კმაყოფილების გრძნობა, რომელიც მათთვის მთავარი გამხდარა და რომელსაც საბოლოოდ განუდევნია მათი სულებიდან ნამდვილი ბედნიერების შეგრძნების უნარი და სურვილი. როგორც კი სოფიკო, პოსეიდონის სასახლის მოციქული, გამოჩნდება მათ ოჯახში და სხვა ჭეშმარიტი ფასეულობების მახსოვრობასაც დაუბრუნებს, ორთავე მხოლოდ იმ გრძნობას შეუპყრია, რომ რაღაც დიდი განსაცდელი მოაქვს ამას და არა სულიერი განწმენდის შესაძლებლობა. ამიტომაც მიაჩნია გიგას, რომ სოფიკოს სახით მის ოჯახში სატანა შემოიპარა.

როცა გიგამ პოსეიდონის სასახლის ფასი იცოდა, იგი თავის ამხანაგებთან ერთად გაკვირვებით მისჩერებოდა თავისზე ბევრად უფროს ელიზბარს, პლაჟზეც კი რომ ყველა საჭირო ნივთი მუდამ თანა ჰქონდა. აკი ისინი სარკასტულად შენიშნავენ ელიზბარზე: „პატარა უნიტაზიც რომ ჰქონდეს, პატარა რეზინის გასაბერი უნიტაზი...“ აი, მხოლოდ ეს აკლია სრული ბედნიერებისათვის ელიზბარს, რამაც უნდა აუნაზღაუროს სულიერი სიცარიელე და სიმარტოვე. და რა იცოდა მაშინ გიგამ, რომ ისიც ელიზბარად იქცეოდა, მხოლოდ უკვე უნიტაზიან ელიზბარად და ამას შესწირავდა ყველა ადამიანურ ღირსებას. გიგას ბინა სავსე იყო მისი საყვარელი ნივთებით, მორჩილი და მუდამ სამსახურისათვის გამზადებული უამრავი ნივთებით, რომლებმაც შეავიწროვეს და მერე კი სულაც განდევნეს სიყვარული და თანაგრძნობა, ადამიანური დამოკიდებულება და გულწრფელობა. გიგას ვერავითარი სულიერი კონტაქტი ვერ დაუმყარებია ვერც ლიასთან და ვერც თავის შვილთან, მამუკასთან. ფაქტიურად სამთავენი სრულიად მარტონი არიან ერთ ბინაში და მხოლოდ ატყუებენ ერთმანეთს, როცა ცდილობენ ერთიანი ოჯახის ილუზია შექმნან. გიგა ხავსს ეპოტინება, როცა გვეუბნება: „უცებ ენით აუწერელმა შიშმა შემიპყრო: ნუთუ მართლა მარტო ვიყავი, გარიყული, წარმატების ბრჭყვიალა ნაგავში ჩამჯდარი და ჩამალული“. მან მშვენივრად იცის, რომ ეს ასეა, აკი თვითონვე დაგვარწმუნა ამაში, მაგრამ ამ სპექტაკლიდან, რასაც წლების მანძილზე თამაშობდა ისიცა და მისი ოჯახიც, გაძევებული იყო მახსოვრობა, როგორც პირში მთქმელი, მოურიდებელი, ხეპრე მსახიობი. და ახლა, როცა ეს მახსოვრობა ერთი წამით აღდგა, კიდეც გაუჩნდა ბზარი ობივატელურ ბედნიერებას. და გიგაც ცდილობს ეჭვი შეიტანოს თავის სულიერ სიმარტოვეში, თუმცა კარგად იცის, რა მწარე სიმართლეც არის ეს, ცდილობს უკუაგდოს მახსოვრობის ხეპრე სიმართლე, რომ თავისი მხოლოდ ნივთებით მონიჭებული ბედნიერება და სისავსე შეინარჩუნოს.

ამ მოთხრობაში ყველა მარტოა სულიერად, გიგაც, ლიაც, მამუკაც, სოფიკოც, მისი შვილი თუ ნაშვილებიც, სიმარტოვის წამალი და თვითონაც სიმარტოვისათვის განწირული. მაგრამ ტანჯვით მხოლოდ სოფიკო იტანჯება, რადგან ეს მისი იძულებითი ყოფაა. ბავშვებს კი ჯერ არაფერი ესმით, მაგრამ საშინელი საშიშროება ურჩხულსავით ჩასაფრებია მათ.

სხვა მოთხრობაში, „მდგმურებში“, მარტოობის მტანჯველი გრძნობა ტრაგიკული განცდებით უკვე მთავარ გმირს, იონას ავსებს. არავის უცდია იონას სულში ჩახედვა, არც ცოლს, არც შვილს, არც მეზობლებს, თუ ნაცნობებს. ძალიან რომ გაუჭირდებოდა, სილოვანს მიაკითხავდა ხოლმე, ყველაზე ახლობლად ისევ ის ეგულებოდა. იმიტომ კი არა, თავად სიმღერის მასწავლებელი იყო და მსახიობთან ურთიერთობა უადვილდებოდა. არა. სწორედაც რომ განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან, მაგრამ გრძნობდა მსგავსი გამოუთქმელი სატანჯველი ჰქონდათ ორთავეს. აკი ერთხელ გამოუტყდა კიდეც სილოვანი: „სიმარტოვე სასჯელია, რომელიც ბოლომდე უნდა მოვიხადო“. იონა მარტოხელა კაცისაგან კიდეც მოელოდა ასეთ აღსარებას, მაგრამ მაინც გაიკვირვა:

„— კი მაგრამ რა დააშავეთ ასეთი?

— არაფერი. — სილოვანი გაჩუმდა, ცოტა ხნის მერე დაუმატა, — მაგრამ არც არაფერი გამიკეთებია.“

საკუთარ უილბლობაზე მტანჯველ ფიქრებში წასული იონა სასოწარკვეთილი იმასაც კი გაიფიქრებს ხოლმე, „მილიონობით ადამიანი ცხოვრობს ჩემსავით, ყველა ხომ გამოჩენილი არ იქნებაო,“ და მართალიც არის ამ დროს, მაგრამ ეს ნუგეშად არ გამოადგება. მხოლოდ დიდი საქმეების კეთება არ არის ადამიანური კმაყოფილების წყარო. თავისი წილი სიხარული და კმაყოფილება ყველა ადამიანს ეკუთვნის, გამოჩენილსაც და გამოუჩენელსაც, არც სილოვანის მარტოხელობაა მისი სიმარტოვის ერთადერთი მიზეზი, ესეც იცის იონამ. სწორედ თავის შვილსა და ოჯახზე ფიქრობს იგი, როცა გამოუტყდება სილოვანს: „თუმცა მეც

მარტო არა ვარ?“

მაშ რაშია მიზეზი იონას სიმარტოვისა? იმაში, რომ შინაურებიდან თუ ახლობლებიდან არავის ესმის მისი, არც არავინ ცდილობს გაუგოს. თვითონ კი საკუთარი განცდების აშკარად გამოხატვის, მითუმეტეს გამოთქმის უნარი არ გააჩნია და ამიტომაც ვარდება ხშირად სასაცილო თუ სატირალ მდგომარეობაში. აი თუნდაც იმ ეპიზოდში, როცა სილოვანთან მივა გულის გადასაშლელად და ვერაფრით გააგებინებს რა უნდა, რა აფიქრებს, რა აწუხებს. ამიტომაც შეიქმნება უხერხული და ცოტა კომიკური სიტუაციაც. ან კიდევ, თავისი ვაჟის ამხანაგის, მედიკოსადმი გაწეული თანაგრძნობა ისევ თვითონვე გაუხდება თავსატეხი, რაკილა ყველა უბედურება მას დაბრალდება. მსგავს სიტუაციებში ხშირად ვარდება იონა, რადგან ენერგიითა და აქტივობით არ გამოირჩევა. არცა აქვს ამისი უნარი და როცა კი მოინდომებს რაიმე მნიშვნელოვანი მოიმოქმედოს, ხშირად სულ სხვაგვარად შეუტრიალდება ხოლმე საქმე. ახლობლებს კი მისი ჩვეული ინერტულობა მხოლოდ გულცივობის, შინაგანი სიცარიელის გამოხატულებად ეჩვენებათ და არ იციან რარიგ სცდებიან. მხოლოდ მწერლის კეთილი და გულისხმიერი თვალი ამჩნევს იონას გული რა გაუმჟღავნებელი თუ გამოუთქმელი სიყვარულით და ერთგულებით არის სავსე ყველას მიმართ, ვინც კი თავისი ცხოვრების გზაზე შემოხვედრია — ცოლშვილისადმი, ომის გამო გადმოხვეწილი მდგმურებისადმი, მეზობლებისადმი, თუნდაც უბრალოდ პირველი შემხვედრისადმი.

თავისი მეუღლე ელისაბედი, ვინც ბევრი სულიერი ტანჯვა განაცდევინა იონას, კეთილი გულით უყვარს და მისი სიკვდილის მერეც სათუთად ინახავს მოსაგონარს, მისთვის საყვარელ წიგნს — „თამარიანს“. ოცი წელიწადი იცხოვრა ელისაბედთან ერთად და სიძულვილის მეტი არაფერი უგრძვნია იონას. ავადმყოფ ელისაბედს იონას მიერ წვალებით ნაშოვნი ლუკმა ჰადიც კი ენანება ქმრისათვის და იმოდენა რისხვა თუ სიძულვილი იგრძნობა მის თვალებში, რომ მშიერი იონა უხმოდ, საწყლად გადის ოთახიდან. ელისაბედი სიკვდილის წინაც არ შერიგებია იონას, ასე დაუბარა, „იცოდე, ღამით სიზმარში გამოგეცხადები და მოსვენებას არ მოგცემო“. იონას მთელი „დანაშაული“ მისივ ალსარებიდან ხდება ნათელი: „ამიტომ არ ვუყვარვარ სწორედ არავის, ასეთი უაზრო ლაპარაკი რომ ვიცი. დამაყენეთ ბატონო, ჩემს თავს ველაპარაკები, თქვენ ხომ არ გაწუხებთ? საწყალი ელისაბედი, — შეეცოდა უცებ ცოლი. — რაზე იკლავ, ქალო, თავს? აგერ ოცი წელია, ჩემი ცოლი ხარ, აქამდე ვერ გაიგე, რაც ვარ? მართალია, ზოგჯერ ერთს ვფიქრობ და მეორეს ვამბობ, მაგრამ განა მინდა? რა ვქნა...“

მართლაც, მჭევრმეტყველებით არ გამოირჩევა იონა, მაგრამ ცოტა სხვებმაც უნდა მოინდომონ და არც ისე შეუძლებელი გახდება მისი გაგება. ბევრს უკვირს, როცა იონა ისე თავგამოდებით იღწვის იმისათვის, რომ მისი ერთადერთი ვაჟი ჯარში გაიწვიონ, ელისაბედიც საბოლოოდ ამიტომ შეიძულებს. იონას კი სწორედ მხოლოდ შვილის სიყვარული აკეთებინებს ამას, იგი გრძნობს, რომ შვილი დაეჩაგრება, თუკი ტოლებს გამოაკლდება. ვახტანგს რომ ფიზიკური ნაკლის გამო შინ დარჩენილიყო, მაშინ როცა მისი თანაკლასელები ფრონტზე წავიდნენ, მორალურად დაიჩაგრებოდა, დაიღუპებოდა, ვერ გადაიტანდა ამ სულიერ ტრავმას, რადგან კომპლექსი საკუთარი უსუსურობისა ისედაც სტანჯავდა. ეს კარგად ესმის იონას, მაგრამ იონასი კი არავის ესმის. ან კიდევ, როცა იონა ვახტანგის დაჭრის ამბავს გაიგებს, მისი პირველი განცდა სიხარულია, ალბათ როგორი ბედნიერია, გაიფიქრებს თავის შვილზე, რადგან იცის ეს კიდევ უფრო დააკაცებს მას, საკუთარ თავში რწმენას განუმტკიცებს. ამიტომაც წარმოთქვამს ხმამაღლა, გმადლობ ღმერთოო, რის გამოც მოსულიერებული ცოლი კვლავ დაკარგავს გონებას, მეზობლები კი ალმაცერად დაუწყებენ ცქერას.

იონას ესმის, რომ მისი შვილი არავის და არაფერს არ უნდა გამოაკლდეს, მან თავისი ტოლების ჭირიცა და ლხინიც თანაბრად უნდა გაიზიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისიც გაირიყება, მარტო დარჩება. იონამ კი კარგად იცის რა მძიმეცაა მარტოობის მტანჯველი გრძნობა. ამიტომაც არაფრად აგდებს სხვების არც დამცინავ ღიმილს, არც გაკვირვებულ მზერას, ამიტომაც მორჩილად იტანს ცოლის სიძულვილს, ოღონდ მისი ვაჟი იყოს კმაყოფილი და ბედნიერი თავისი ცხოვრებით.

„ამ ქვეყანაზე ყველას თავისიანი უყვარს, კაცსაც, ჩიტსაც და, თუ გინდა, ლოკოკინასაც. ამ პატარ-პატარა სიყვარულითაა ეს ქვეყანა ბუდესავით მოქსოვილი. მე კი ამ ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივითა ვარ და ვჭყლოპინებ ჩემთვის“, — აი ეს აწუხებს და სტანჯავს იონას, თუმცა ამის გამო მისი გული ნაკლებ არა თრთის მოყვასისადმი თანაგრძნობით. იონა სავსეა სხვებისადმი სიყვარულით, მაგრამ თვად იგი არავის უყვარს. იონა ყველგან სიკეთეს თესავს თუმცა თავად ვერ იმკის. იონა ყოვლისმიმტევებელია, საშინელი ცილისწამებაც კი აპატია ქსენიას, რამაც კინაღამ იონაც დაღუპა და მისი შვილიც, მას კი არავინ არაფერი მიუტევა.

კეთილი და საწყალი კაცის ამ საშინელ ტრაგედიას თამაზ ჭილაძე ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვებით გვიხსნის და ეს მოთხრობაც მარტო ადამიანური თანაგრძნობით კი არა, ჭეშმარიტი მხატვრული მიგნებებითაც

რომ არის სავსე, დიდხანს რჩება ჩვენს მეხსიერებაში და გვაღელვებს. სულის შემძრავია მოთხრობის ფინალი, სადაც იონა საბოლოოდ იგრძნობს, რომ მისი სიმარტოვის წამალი ვახტანგი, ვისაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე, ვისთვისაც ადრე დაიბერა თავი და ასკეტურ ცხოვრებას ეწია, უცხო ადამიანად დარჩა მისთვის და ამით ერთადერთი, უკანასკნელი იმედიც გადაეწურა.

ერთი შეხედვით, ამ კრებულში თავისი განწყობილებით და სათქმელით ცალკე დგას მოთხრობა „წერო". მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, აშკარა გახდება, რომ ისიც ორგანულად ერწყმის საერთო პრობლემატიკას. მარტო იმით არა, რომ მშრომელი კაცი, მოხუცი მებადური აბო, თუ ღვთის მსახურებაში ხელმოცარული მღვდელი, ხმამაღლა ემდურებიან ბედს სიმარტოვის გამო, არც თუნდაც იმით, რომ აშკარად ჩანს მოთხრობის გმირები, ცირა და უჩა როგორ იტანჯებიან სულიერი ობლობით. მთავარი აქ ისაა, რომ მშვენივრადაა გახსნილი ადამიანის შინაგანი დაუოკებელი სწრაფვა ლაღი და იმედით სავსე ცხოვრებისაკენ.

მარტოობის სულისშემხუთველი ატმოსფერო ბუნებრივად ბადებს მისი გარღვევის სურვილს. ეს სურვილი ზოგში უფრო სუსტად იჩენს თავს, ზოგში კი-ძლიერად. იონა („მდგმურებიდან") ყველაზე პასიური და ამდენად დაჩაგრული კაცია მათ შორის, ვისზეც ჩვენ გვქონდა საუბარი, მაგრამ ეს სურვილი მასაც კი ულვივის. და ეს მარტო შვილთან დამოკიდებულებაში კი არ ჩანს, არამედ ერთ-ერთ მდგმურთანაც, ახალგაზრდა ქალთან, ევასთანაც. სწორედ ევა ჩაუნერგავს იმ ელემენტარულად სწორ აზრს, რომ მის ასაკში (იონა ორმოცდახუთიოდე წლის კაცია) ცხოვრების დამთავრება არ შეიძლება, რომ ადამიანი, რა მძიმე მდგომარეობაშიც არ უნდა მოხვდეს იგი, მუდამ სიცოცხლის ხალისით უნდა იყოს სავსე და მოქმედების, ბრძოლის უნარი არ უნდა დაკარგოს. იონას ტრაგედიას ისიც ამძაფრებს, რომ მისი შინაგანი უმოქმედობა, პასიურობა ამ უკანასკნელ იმედსაც დააკარგვინებს, რადგან იგი აქაც, ევასთან ურთიერთობაშიც დაიგვიანებს და ხელმოცარული რჩება.

გიგასაც („პოსეიდონის სასახლიდან") მოეძალება ხოლმე ზოგჯერ სურვილი გაარღვიოს საკუთარი ხელით აშენებული სულიერი საპყრობილის კედლები. იგი შურით გასცქერის საკუთარი ბინის ფანჯრებიდან მშფოთვარე ცხოვრებას, იქ ქუჩაში რომ დუღს და გადადუღს. ერთი-ორჯერ კიდეც გაიქცევა და უგზო-უკვლოდ დაეხეტება, მაგრამ იგი შინაგანად მაინც ისე შეგუებია და შეთვისებია თავის კომფორტაბელურ საპყრობილეს, რომ ბოლოს მორჩილად თვითონვე უბრუნდება მას. გიგაზე ბევრად თამამი და ძლიერია პატარა მიხა („პარასკევიდან"), რომელიც პროტესტის ნიშნად ტოვებს სულისშემხუთველ გარემოს, თუმცა წასასვლელი კი არსად აქვს. მაგრამ მაინც ეს დაუოკებელი სურვილი თავის დაღწევისა, რაც ამ პატარა ბავშვში იგრძნობა, იმედით გვავსებს, რომ მიხა თავის გზას იპოვნის ცხოვრებაში.

დაბოლოს, ადამიანის ამ სულიერი სიმარტოვის, იზოლაციის დაძლევის ფანატიკური სწრაფვის ერთგვარი სიმბოლური გამოხატულებაა მოთხრობა „წერო". ცირა, ეს უცნაური ახალგაზრდა ქალი, ვინც ასე გამოირჩევა ბაზრობაზე მოფუსფუსე ხალხში თავისი წითელი ქოლგით, თეთრი სანდლებითა და კაბით, რაც მთავარია, თავისი შინაგანი სიმშვიდით და მეოცნებე თვალებით, ვინც ასეთი სევდითა და ღიმილით ავსებს უჩას მიყრუებულ სახლს, იდუმალად ულიმის თავის ფიქრებს, ნაზად ეალერსება ბუნებას, მერე კი ჩუმად მიიპარება ხოლმე და ანთებული თვალებით გასცქერის პროვინციული აეროდრომის ცხოვრებას, ცაში ფარფატით აფრენილ თვითმფრინავებს, აი ასეთი ცირა ირგვლივ მყოფ ადამიანებზე „შერეკილის" შთაბეჭდილებას ტოვებს. არავინ იცის თუ რა ოცნების ცეცხლი გიზგიზებს მის გულში, რა შორეული და უცნობი გზებისაკენ ეზიდება შინაგანი ლტოლვა. მხოლოდ უჩა იგრძნობს, რომ ცირას ეს სწრაფვა რაღაც დიდი საიდუმლოა, რომლის ამოცნობა მას არ შეუძლია და ურომლისოდაც ცირას ცხოვრება წარმოუდგენელია. მწერალმა კი კარგად იცის, თუ ცირას ამ საოცარ ცნობისმოყვარეობაში, მეოცნებე სულში, სულიერი სიმარტოვის თუ გარემო ზღუდეების დაძლევის ჟინში რა ჭეშმარიტი ადამიანური განცდებია შეფარული. ამიტომაც უცხადებს ასეთ თანაგრძნობას თამაზ ჭილაძე თავის გმირს, ამიტომაც გვიხატავს ასეთი სიყვარულით ამ მშვენიერი, სხვებისათვის უცნაური, მაგრამ მკითხველისათვის მომხიბვლელი ქალის სახეს.

თამაზ ჭილაძის ახალი კრებული „პოსეიდონის სასახლე", რაც ახალი და საინტერესო სიტყვაა არა მარტო მწერლის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ თანამედროვე ქართულ მწერლობაში, კიდევ ერთხელ გვაფიქრებს იმაზე, თუ რა ძნელია საზღვრების დადგენა ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ თუ ლირიკულ პროზას შორის, რადგან სამივე ჟანრის საუკეთესო ნიმუშად გამოდგება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ. წერეთელი, გ. ჟვანია,
დ. ფურცელაძე

# ცნებები და ტერმინები

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერებისა და ეკონომიკის ინსტიტუტებმა ერთად გამოაქვეყნეს გ. ჟვანიას, დ. ფურცელაძის, პ. ქავთარაძისა და თ. წერეთლის მიერ შედგენილი „იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი)". წიგნის გამოქვეყნებამდე, 1959-1960 წლებში, ტერმინოლოგიის შერჩეული მასალა წინასწარ დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა სამართალში". ამ მასალისათვის წამძღვარებულ წერილში ჩვენ გამოვთქვამდით რწმენას, რომ მკითხველის გამოხმაურება, მისი კრიტიკული შენიშვნები უთუოდ ხელს შეუწყობდა „ტერმინოლოგიის" საბოლოო რედაქტირებას.[1] ასეც მოხდა: აკად. გ. ახვლედიანმა, ა. გელოვანმა, მ. ლომიძემ, პროფ. ს. ჯორბენაძემ, იურიდ. მეცნ. კანდიდატმა ო. მგელაძემ და დოც. ს. ჯაფარიძემ ფრიად სასარგებლო შენიშვნები მოგვცეს და ამის გამო წიგნის ბოლისიტყვაობაში ვწერდით კიდეც, რომ „გულდასმით განვიხილეთ ყველა კრიტიკული შენიშვნა და ზოგი მათგანის საფუძველზე, მადლიერების გრძნობით, სათანადო შესწორებაც შევიტანეთ „ტერმინოლოგიაში", ხოლო იმ შენიშვნების გამო, რომლებიც ვერ გავიზიარეთ, სარედაქციო კოლეგიამ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ჟურნალ „საბჭოთა სამართალში".

კადნიერებაში ნუ ჩამოგვერთმევა, თუ ვიტყვით, რომ ამ ხნის განმავლობაში „იურიდიულმა ტერმინოლოგიამ" დადებითი როლი შეასრულა სამართლებრივ ცნებათა ადეკვატური ფორმების დამკვიდრებისათვის ქართულ პრესაში, მეცნიერულ ლიტერატურაში, ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ორგანოთა საქმიანობაში. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს ჩვენს წიგნში ყველა ტერმინი თუ გამოთქმა საბოლოოდ იყოს დადგენილი. პირიქით, ჩვენთვის სავსებით აშკარაა, რომ „იურიდიულ ტერმინოლოგიაში" ზოგი რამ კვლავ დასახვეწი და დასაზუსტებელია, და ამ მიმართულებით, ისევე როგორც მის შესავსებად და მეორე, რუსულ-ქართული ნაწილის მოსამზადებლად, განვაგრძობთ კიდეც მუშაობას. ამიტომ ყოველი ახალი მოსაზრება ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შესახებ, როგორც იტყვიან, მისასალმებელია, თუ იგი ხელს შეუწყობს ამ ტერმინოლოგიის დახვეწასა და გამდიდრებას.

1965 წელს „იურიდიულ ტერმინოლოგიაზე" საყურადღებო რეცენზია გამოაქვეყნა გ. კვარაცხელიამ. მას შემდეგ, სამწუხაროდ, არავითარი გამოხმაურება არ ყოფილა. და, აი, ჟურნალ „მნათობში" (№ 2, 1972) დაიბეჭდა პროფ. ვ. აბაშმაძის წერილი „ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის საკითხები", რომელსაც უპასუხოდ ვერ დავტოვებთ.

1. პირველ ყოვლისა, გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება: ვ. აბაშმაძე თავის წერილში არსად არ იხსენიებს არც „იურიდიულ ტერმინოლოგიას", არც მის შემდგენლებს და ამჯობინებს ილაპარაკოს საერთოდ ქართული იურიდიული ტერმინების შესახებ, თუმცა ცხადია, რომ მისი კრიტიკა ჩვენი მისამართითაა. მაგალითად, როცა ვ. აბაშმაძე ეხება „სამართალდარღვევას", „სამართალშემოქმედებას", „სამართალსუბიექტობას" და თავისებურად უხსნის მკითხველს, თუ რატომაა ეს სამი ტერმინი

[1] „საბჭოთა სამართალი", 1959, № 5.

1 „საბჭოთა სამართალი", 1965 № 3.

სწორად შედგენილი (ნაცვლად „მართლდარღვევისა“ და ა. შ.), იგი წერს, რომ „მართლ-ფუძიან „სამართლებრივ ტერმინთა კონსტრუქციის ნაკლი უკანასკნელ სამ ტერმინში ისე აშკარად ჩანს, რომ მისი დ ა მ დ გ ე ნ ნ ი (ხაზგასმა ჩვენია) იძულებულნი გახდნენ...“ (გვ. 175). მეორე ადგილას ვ. აბაშმაძე წერს: „პირველყოვლისა, აქ გამოკვლეული უნდა იქნას ის გარემოებანი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ზემოთ აღნიშნულ ტერმინთა შემქმნელნი და თანამედროვე იურიდიულ ტერმინოლოგიაში მისი შემომტანნი“ (გვ. 176. მართლწერა ყველგან ავტორისეულია).

2. როგორც ვ. აბაშმაძე გვაუწყებს, მისი „მოკრძალებული მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ყველა საკითხი“; იგი ეხება „მცდარ ქართულ სამართლებრივ ტერმინთა მხოლოდ ერთ ჯგუფს, კერძოდ „მართლ“ ფუძის გამოყენებით წარმოქმნილ სამართლებრივი შინაარსის კომპოზიტ ტერმინებს“ (გვ. 174). ავტორი ჩამოთვლის მათ და დასძენს: „მაგრამ სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო იმავე ქართულმა იურიდიულმა ტერმინოლოგიამ სიტყვა „მართლ“ თავკიდურით არ შექმნა ამ კატეგორიის შემდეგი სამართლებრივი ტერმინები: სამართალშემოქმედება, სამართალდარღვევა და სამართალსუბიექტობა“.

ყველა ეს ტერმინი ვ. აბაშმაძეს „იურიდიული ტერმინოლოგიიდან“ ამოუწერია, მაგრამ აქაც ბუნდოვანებას ამჯობინებს. „გაუგებარი მიზეზების“ გამო ავტორს უნდა განვუმარტოთ ის, რაც ადვილი გასაგებია და ერთხელ უკვე განვმარტეთ:

რუსულ ლიტერატურულ ენაში **«право»**-თი შედგენილი 25 კომპოზიტი იხმარება. „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ მათგან ოცდაორს მიესადაგა შესაბამისი ქართული კომპოზიტები (მხოლოდ სამი არ ითარგმნა კომპოზიტით: **правоноситель** — უფლების მქონე, **правопоражение** — უფლებათა აყრა, უფლებათა ჩამორთმევა, **правосудный** — სამართლიანი). ქართული კომპოზიტების ერთი ჯგუფი შედგენილია „უფლება“-თი (უფლებამოსილება, უფლებაწარმომქმნელი, უფლებაწარმომშობი, უფლებამონაცვლეობა, უფლებაუნარიანობა და ა. შ.); მეორე ჯგუფი — „სამართალ“-ით (სამართალმცოდნეობა, სამართალდარღვევა, სამართალსუბიექტობა, სამართალშემოქმედება); მესამე ჯგუფი — „მართლ“-ით (მართლქომაგი, მართლზომიერი, მართლურთიერთობა, მართლწესრიგი, მართლშეგნება, მართლმსაჯულება).

განსხვავება მეორე და მესამე ჯგუფების კომპოზიტთა შედგენის პრინციპებში ისაა, რომ თუ „სამართალ“ ს ა მ ა რ თ ლ ი ს შემოკლებაა, „მართლ“ ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ს ნიშნავს. მაშასადამე, გაუგებრობის ნაყოფია ვ. აბაშმაძის მსჯელობა: „მართალ“ თავკიდურით ნაწარმოებები კონსტრუქციის მიხედვით „სამართალდარღვევის“ ნაცვლად უნდა გვქონოდა „მართლდარღვევა“ (გვ. 175) და შემდეგ: „მაგრამ ამ კატეგორიის სამართლებრივ ტერმინთა კონსტრუქციის ნაკლი ისე აშკარად ჩანს, რომ მისი დამდგენნი იძულებულნი გახდნენ **правотворчество (Rechtsschöpfung)** გამოეცხადებინათ საერთო წესის მიხედვით არა მართლშემოქმედებად, არამედ სამართალშემოქმედებად“.

ზემოაღნიშნული სამი ჯგუფი ცხადყოფს: საერთო წესი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ყველა ეს კომპოზიტი „მართლ“-ით იყოს შედგენილი, არამედ იმაში, რომ „მართლ“ ცვლის ზედსართავს „სამართლებრივი“. კერძოდ, უხეში შეცდომა იქნებოდა „სამართალდარღვევის“ ნაცვლად „მართლდარღვევა“ გვეხმარა, რადგან პირველი ცნება გულისხმობს სამართლის დარღვევას და არა სამართლებრივ დარღვევას; ეს უკანასკნელი, ე. ი. „მართლდარღვევა“ იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ რაღაცის დარღვევა მოხდა სამართლებრივად, სამართლის შესაბამისად, რაც „სამართალდარღვევის“ შინაარსს კი არ გამოხატავს, არამედ უპირისპირდება მას და საერთოდ უცნობია იურიდიული ტერმინოლოგიისათვის.

3. ვ. აბაშმაძე „მართლ“-ფუძიან კომპოზიტებს იმიტომ უარყოფს, რომ, მისი აზრით, „მართლ“ ახლაც სხვა არაფერია, თუ არა „მართალი“, ე. ი. მართლმსაჯულება ნიშნავს მართალ მსაჯულებას, მართლწესრიგი — მართალ წესრიგს და ა. შ. „ვერცერთი ეს ტერმინი, — წერს ვ. აბაშმაძე, — ვერ გამოხატავს შინაარსობლივად იმ სამართლებრივ დაწესებულებების, ცნებების და მოვლენების სემანტიკურ მხარეს, რომელიც გვინდა გადმოვცეთ... სრულებით არაფერს გვეუბნება სოციალური მოვლენების სპეციფიკურ კატეგორიასთან, კერძოდ, სამართალთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ“ (გვ. 175). ამას მოსდევს ავტორის ვრცელი მსჯელობა იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე, რომ ექსპლუატატორული საზოგადოების ისტორია არ იცნობს ერთიან მართალ წესრიგს, მართალ შეგნებას, მართალ მსაჯულებას, და ასკვნის, რომ იურიდიულ ცნებებში „სამართლებრივის“ შეცვლა „მართალით“ იწვევს სამართლის კლასობრივი შინაარსის მიჩქმალვას, სოციალურ მოვლენათა განსაზღვრის აქცენტის შეცდომით გადატანას „არა განსასაზღვრავ მოვლენათა არსზე, არამედ ამ მოვლენათა მხოლოდ შეფასებით მხარეზე“.

ვ. აბაშმაძეს უნდა მოვაგონოთ, რომ სამართალი თავისთავად კლასობრივი, სოციალურ-შეფასებითი კატეგორიაა და ამიტომ სამართლებრივ მოვლენათა არსის დაპირისპირება მათს „შეფასებით მხარესთან“ სრულ გაუ-

გებრობად უნდა ჩაითვალოს. ყოველი ეპოქის, ყოველი საზოგადოების სამართლებრივი სისტემა გაბატონებული საზოგადოებრივი მორალის პრინციპებს გამოხატავს და სამართლის ნორმით ამა თუ იმ ქმედობის აკრძალვას საფუძვლად უდევს ამ ქმედობის შეფასება გასაკიცხავ ქმედობად. აქედან გამომდინარე, ქართულში, ისე როგორც უამრავ ენაში, „მართალის“, „სამართლიანისა“ და „სამართლის“ ცნებების ორგანული კავშირი შესაბამის ტერმინთა ერთიან ეტიმოლოგიაშიც აისახა.

„უნდა შევნიშნოთ, — წერს სწავლული იურისტი, პროფ. ს. ალექსეევი, — რომ სამართლის სპეციფიკური შინაარსის თავისებურებანი ასახულია მიღებულ ტერმინოლოგიაში. ეტიმოლოგიური მხრით სამართალი რომ „სამართლად“ იწოდება... გამართლებულია იმიტომაც, რომ იურიდიული ნორმები თავის თავში გამსახიერებენ გაბატონებულ მორალურ პრინციპებს, სამართლიანობის საწყისებს. აქედან — სიახლოვეც აზრობრივი მნიშვნელობით სიტყვებისა „სამართლებრივი“, „მართალი“, „სამართლიანი“ 1.

ახლა ეთიკოსს მოვუსმინოთ. ი. სულინი, ლაპარაკობს რა საერთოდ სამართლისა და მორალის მჭიდრო კავშირზე, წერს, რომ ასეთი კავშირი კიდევ უფრო ნიშანდობლივია სოციალისტურ საზოგადოებაში და იმოწმებს ე. ორაჩს: „სამართლიანს წარმოადგენს ისეთი საქმიანობა და ისეთი ქცევა, რომლებიც ხორციელდება კანონებისა და კომუნისტური ზნეობის ნორმების მოთხოვნათა ზუსტად და ყველგან შესრულების საფუძველზე“ — მართებულად აღნიშნავს ე. მ. ორაჩი.

მოვალეობისა და სამართლიანობის ცნებათა კავშირი შეინიშნება თვით ტერმინის ეტიმოლოგიაშიც“2 შემდეგ ავტორი იმოწმებს რუსულსა და საერთოდ ინდო-ევროპულ ენებს (იურიდიული ტერმინების მნიშვნელობათა სიმრავლისა და ეტიმოლოგიის საკითხებს ქვემოთ შევეხებით).

4. ვ. აბაშმაძე „მართლმსაჯულების“ მაგალითზე „იკვლევს“ გარემოებებს, რომლებმაც განაპირობეს „მართლ“-ფუძიანი კომპოზიტების დამკვიდრება ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში. ავტორი უთითებს ცნობილ ძეგლებზე, სადაც პირველად ვხვდებით „მართლმსაჯულს“ და „მართლ-განგებით მსაჯულს“ და წერს, რომ ორივე ტერმინი „ნიშნავდა სწორად განმსჯელს, მიუდგომელ, სამართლიან მსაჯულს, და არა მ ა ი ნ ც და მ ა ი ნ ც სამართლებრივი ნორმებით განმსჯელს“ (გვ. 177), ხოლო მათგან ნაწარმოები „მართლმსაჯულობა“ (მართლმსაჯულება) შუა საუკუნეების საქართველოში ნიშნავდა მართლად განსჯას ე. ი. საქმის გადაწყვეტას მხოლოდ ღმერთის ნების შესაბამისად“. ავტორი ასკვნის: „ამრიგად, იმ ეპოქაში, როდესაც შეიქმნა ტერმინი“ მართლმსაჯულება, იგი ნიშნავდა ღმერთის ზოგადი, საერთო ნების მიხედვით მართლად, მიუდგომლად განსჯას და არავითარ შემთხვევაში ეს ტერმინი არ გამოხატავდა მ ხ ო ლ ო დ სამართლებრივ ცნებას правосудие Rechtspflege“ (ორივე ადგილას ხაზგასმა ჩვენია).

მაშასადამე, ვ. აბაშმაძე აღიარებს, რომ „მართლმსაჯულება“ იმთავითვე სამართლებრივ ცნებასაც გამოხატავდა (იგი 178 გვერდზეც წერს:“... მართალი მსაჯულება შეიძლება ყოფილიყო არა მ ა რ ტ ო სამართლებრივი ნორმების მიხედვით განსჯა...“). მაგრამ ვ. აბაშმაძის მთავარი შეცდომა ისაა, რომ იგი შუა საუკუნეების სამართალში მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს, ერთი მხრივ, მსაჯულის მიერ საქმის მიუდგომელ განსჯას (გადაწყვეტას), როგორც ღვთის ნების გამოხატულებას, და, მეორე მხრივ, სამართლებრივ განსჯას ანუ საქმის გადაწყვეტას მოქმედი სამართლის — დაწერილი კანონების თუ ჩვეულებითი სჯულის — მიხედვით.

ასეთი დაპირისპირება შეცდომაა. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში ჩახედულმა იურისტმა (და არა მარტო იურისტმა) კარგად იცის, რომ შუა საუკუნეებში, როცა ესა თუ ის რელიგია გაბატონებულ იდეოლოგიას წარმოადგენდა, ყოველ ქვეყანაში მოქმედი სამართალი ღვთიური, უზენაესი ნების გამოხატულებად იყო მიჩნეული და ამიტომ საქმის გადაწყვეტა დაწერილი კანონების თუ ჩვეულებითი ნორმების შესაბამისად ანუ მიუდგომელი, მართალი განსჯა ამავე დროს ითვლებოდა განსჯად ღვთის ნების მიხედვით. კერძოდ, ძველმა ქართულმა სამართალმა ასეთი დაპირისპირება არ იცოდა. უფრო მეტიც: ქართული სამართლის წიგნები მოითხოვდნენ, რომ სასამართლოს განაჩენი-გადაწყვეტილება მათს ნორმებზე ყოფილიყო დაფუძნებული. მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის 205-ე მუხლში ვკითხულობთ: „მოსამართლენი, თუ არა ამ წიგნში წერებულს, სხვას მოგონებულს სამართალს ვერ გააჩენენ“. განა ეს არ მოწმობს, რომ მაშინდელი მართლმსაჯულება ნიშნავდა საქმის გადაწყვეტას უპირველესად სწორედ პოზიტიური სამართლის ნორმების მიხედვით?

5. ვ. აბაშმაძის აზრით, „მართლმსაჯულება“, როგორც ღვთის ნების გამომხატველი მიუდგომელი განსჯა, მართებულად დამკვიდრდა ფეო-

---

[1] С. С. Алексеев, Социальная ценность права в советском обществе, М., 1971, გვ. 47.

[2] Ю. И. Сулин, Справедливость как чувство, понятие, оценка, норма (Актуальные проблемы марксистской этики, Тбилиси, 1967, გვ. 212).

დალური სამართლის იურიდიულ ტერმინოლოგიაში, მაგრამ კაპიტალიზმის ეპოქიდან დაწყებული იგი უკვე შეუფერებელია, რადგან თითქმის არ მიუთითებს სამართლებრივ შინაარსზე, სახელდობრ, იმაზე რომ საქმის გადაწყვეტა ხდება მხოლოდ და მხოლოდ სამართლის ნორმების მიხედვით; პირიქით, ამ ტერმინში აქცენტი გადატანილიაო შეფასებითს მომენტზე (მართალი განსჯა), რაც სრულებით არ შეესაბამებაო სინამდვილეს, საქმის გადაწყვეტას სამართლის ნორმების მიხედვით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საერთოდ სამართალი სოციალურ-შეფასებითი კატეგორიაა და სამართლებრივ მოვლენათა არსის დაპირისპირება მათს „შეფასებით მხარესთან“ სავსებით უმართებულოა. იგივე უნდა ითქვას კერძოდ მართლმსაჯულების შესახებ. თავი რომ დავანებოთ ბურჟუაზიულ საპროცესო სამართალს, სადაც გადამწყვეტია მსხვილი ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებით განპირობებული შეფასება პიროვნებისა და ფაქტებისა მოსამართლის მიხედულობით, შეფასებას თავისთავად გულისხმობს სოციალისტური მართლმსაჯულება, სახელდობრ, საქმის გადაწყვეტა სოციალისტური სამართლის ნორმების მიხედვით.

6. ვ. აბაშმაძე ლამობს დაგვარწმუნოს, თითქოს „მართლმსაჯულების“ დამკვიდრება ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იმიტომ მოხდა, რომ „რუსული მმართველობის საწყისების საქართველოში დამკვიდრებისა და მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკით იმედგაცრუებულ ქართველ ინტელიგენციას ორიგინალური ქართული სამართლებრივი ტერმინების ძიება-დამუშავების ხალისი აღარ ჰქონდა“ (გვ. 177) და პავლე I-ის მანიფესტის ქართულად მთარგმნელმა правосудие-ს შეცდომით მიუსადაგა შუა საუკუნეების ეს ტერმინი.

შემდეგ ავტორი წერს: „ერთი მცდარი პრეცედენტი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ შემდეგში... გაჩენილიყო ამ კონსტრუქციის მთელი რიგი ტერმინები: მართლშეგნება, მართლურთიერთობა, მართლწესრიგი, მართლზომიერი და ა. შ. შუა საუკუნეების ქართული სოციალური ტერმინები მექანიკურად იქნა გადმოღებული... მეთოდოლოგიური თვალსაზრისით „მართალ“ თავკიდური სიტყვით ნაწარმოები ქართული სამართლებრივი ტერმინები დიდი ხანია უკვე აღარ შეესაბამებიან ფეოდალიზმის შემდგომი ეპოქის იურიდიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეს... ამ მცდარი სამართლებრივი ტერმინების გავრცელებით შინაარსობლივად ვაქვეითებთ ქართული სამართლის მეცნიერებას XVII-XVIII სს. იურიდიული აზროვნების დონემდე...“ (გვ. 178).

ძალიან მძიმე ბრალდებაა! სანუგეშოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ასეთივე ბრალი მიუძღვით ილიას, ვაჟას, ივანე მაჩაბელს და ქართული ენის სხვა დიდ მოამაგეთ, რომლებიც ხშირად ხმარობდნენ „ მათლმსაჯულებას“.[1] ბრალდება კი მძიმეა, მაგრამ სავსებით უსაფუძვლო.

„მართლმსაჯულებასთან“ დაკავშირებით ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს ცნება არ გამორიცხავს შეფასებას, კერძოდ, მორალურ-სოციალური შეფასების მომენტს. მით უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული მართლშეგნება ანუ სამართლებრივი შეგნება მორალურ-სოციალურ კატეგორიებთან: ადამიანის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა უნდა აიკრძალოს კანონით, როგორც უსამართლო, რა მოვალეობა უნდა ეკისრებოდეს მას სამართლიანობის მოთხოვნის შესაბამისად, რამდენად სამართლიანია კანონის დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობა და ა. შ. — ყოველივე ეს ადამიანის შეგნებაში უპირველესად მორალურ-სოციალურ ფასეულობათა წარმოდგენიდან მიმდინარეობს და მოქმედი სამართლის ცოდნასთან ერთად შეადგენს მის სამართლებრივ შეგნებას. ასევე არას ვნებს „მართლწესრიგის“, „მართლზომიერების“ და მისთ. ტერმინების სამართლებრივ შინაარსს „მართლ“-ის მორალურ-სოციალური ნიშნები. მაშასადამე, „მართლ“-ფუძიანი ტერმინების უარყოფა ამ მოსაზრებით სრულიად უსაფუძვლოა.

ვ. აბაშმაძე გვაუწყებს, რომ თურმე ფეოდალიზმის რღვევის შემდეგ „ყველა ქვეყანაში იურიდიული მეცნიერების განვითარება ახალი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად აღინიშნა ტერმინების გადასინჯვით. ტერმინთა გადამუშავება მიზნად ისახავდა ცნებათა განსაზღვრებებში სამართლებრივი მხარეების რელიეფურ წარმოჩენას, რის გამო ყველა საჭირო იურიდიულ ტერმინს შესაბამისი სამართლებრივი ცნებისა და მოვლენის გამოსახატავად დაემატა თავკიდური სიტყვა „სამართლებრივი“. ამრიგად მივიღეთ Правосознание, Rechtsbewustsein, правопорядок, Rechtsordnung, და ა. შ.“ (გვ. 178).

ჯერ ერთი, გაუგებარია, თუ რა აქვს მხედველობაში ავტორს, როცა ტერმინთა გადასინჯვა-გადამუშავებაზე ლაპარაკობს და ისიც ყველა ქვეყანაში. ვ. აბაშმაძის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს „შეგნება“ იურიდიული ტერმინია და მას შესაბამისი ცნების თუ მოვლენის გამოსახატავად დაემატა „თავკიდური სიტყვა“— სამართლებრივი. სინამდვილეში ტერმინთა გადასინჯვა-გადამუშავება კი არ მოხდა რუსულსა თუ გერმანულში, არამედ იურიდიულმა მეცნიერებამ და პრაქტიკამ შეიმუშავა ახალი ცნებები, შექმნა მათი გამომხატველი ახალი ტერმინები კომპოზიტის ფორმით. სწორედ ასევე

[1] იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 5, „მართლმსაჯულება“.

მოხდა ქართულ იურიდიულ აზროვნებაში: იგი გამდიდრდა ახალი ცნებებით და ქართულ ენაში შესაბამისად დამკვიდრდა იმავე წესით შედგენილი კომპოზიტები (მართლმეგნება, მართლწესრიგი), რომლებშიც „მართლ" სწორედ სამართლებრივს ნიშნავს.

7. ვ. აბაშმაძე რუსული ტერმინების გვერდით ყველგან ასახელებს გერმანულ ტერმინებსაც. ამიტომ ჩვენც რუსულ და უცხოურ ენებს მოვიშველიებთ იმ უბრალო ჭეშმარიტების ნათელსაყოფად, რომ მრავალზე მრავალ ენაში სიტყვები: სამართალი, სიმართლე, მართალი, სამართლიანობა, მართებული, ზოგჯერ აგრეთვე მარჯვენა, სწორი, პირდაპირი და მისთ. ერთი ძირიდან მომდინარეობენ და ამ მხრივ ქართული არ წარმოადგენს გამონაკლისს.

გერმანულად: არსებითი სახელი das Recht არის სამართალი, უფლება; ზედსართავი სახელი recht — მარჯვენა, პირდაპირი, სამართლიანი, ჭეშმარიტი, ჯეროვანი; ზმნისართი recht — სწორად, კარგად, ძალიან, საკმაოდ; recht-ის იურიდიული მნიშვნელობით ნაწარმოებია: rechtfertigen — გამართლება (გაამართლებს), Rechtfähigkeit — უფლებაუნარიანობა, rechtlich — კანონიერი, სამართლებრივი, იურიდიული; rechtlos — უუფლებო, rechtmässig — კანონიერი, მართლზომიერი; Rechtskunde — იურისპრუდენცია, სამართალი, მართლმსაჯულება; Rechtspflege — სამართალწარმოება; Rechtsprechung — სასამართლო გადაწყვეტილება, განაჩენი; Rechtsstreit — სასამართლო პაექრობა; Rechtsverfahren — სამართალწარმოება; Rechtsverletzung — სამართალდარღვევა; rechtswidrig — კანონსაწინააღმდეგო და სხვ.

ინგლისურად: right — უფლება, სამართლებრივი მოთხოვნა, სამართლიანობა, სისწორე, მარჯვენა მხარე, მარჯვენა ხელი; rights — წესრიგი; ზედსართავი right — სწორი, სამართლიანი, მართალზომიერი, მარჯვენა, სათანადო, მართებული, ჯეროვანი; ზმნისართი right — სწორად, სამართლიანად, ჯეროვნად, მართებულად, პირდაპირ, მარჯვნივ, წალმა, ზუსტად, სავსებით; ზმნა right — გამოსწორება, გასწორება, უფლების დაცვა; right-ის იურიდიული მნიშვნელობით ნაწარმოებია: righteous — სამართლიანი, ჭეშმარიტი; righteousness — სამართლიანობა; rightful — კანონიერი, მართლზომიერი სამართლიანი; rightfulness — მართლზომიერება. ამასთან ცნობილია, რომ ინგლისური, ქართულის მსგავსად, განასხვავებს უფლებას (right) და სამართალს (law); ეს უკანასკნელი ნიშნავს აგრეთვე კანონს, წესს, იურისპრუდენციას, იურისტის პროფესიას, სასამართლო პროცესს; როგორც ზედსართავი — კანონიერს, სამართლებრივს, იურიდიულს; law-თი იწარმოება მრავალი სამართლებრივი ტერმინი (lawful, lawless, law-breaking, to be at law, to go to law, to have the law და სხვ.).

ფრანგულად: droit არის სამართალი, უფლება, იურიდიული მეცნიერება, პირდაპირი, მარჯვენა და ა. შ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამგვარივე მჭიდრო კავშირი ისეთ ცნებებს შორის, როგორიცაა უფლება, სამართალი, სიმართლე, მართალი, სამართლიანობა, მართებული, გამართული, მარჯვენა, სწორი, პირდაპირი და ა. შ., ახასიათებს ენათა სულ სხვადასხვა ოჯახებს და ყოველ მათგანში ამ ცნებათა ეტიმოლოგიურ სათავეს წარმოადგენს გამართული, სწორი, პირდაპირი მიმართულება. „სამართლის მავალდებულებელი როლი განიხილებოდა, — წერს ი. ვეინგოლდი, — როგორც გარედან მიმართული კარნახი ქცევისა, როგორც გარეშე იძულება მოქმედებისა, როგორც გარეგანი „ბიძგი" გარკვეული მხარისკენ, გარკვეული მიმართულებით. ამიტომ მიმართულების რეგულირება წარმოდგენილი იყო, როგორც ადამიანის ქცევის წარმართვა გარკვეული გზით, განსაზღვრული მიმართულებით"[1] ი. ვეინგოლდის წიგნი შეიცავს ფრიად საინტერესო ცხრილს, რომელიც ნათელყოფს აღნიშნულ კავშირს 42 ენის მაგალითზე ენათა სულ სხვადასხვა ოჯახებიდან.

ამგვარად, უამრავ ენაში, მათ შორის იმ ხალხთა ენებშიც, რომლებსაც დიდად განვითარებული სამართლებრივი სისტემები აქვთ, ერთი ძირით შექმნილია იურიდიული და არაიურიდიული მნიშვნელობის მრავალი სიტყვა, ხოლო სხვადასხვა იურიდიული კომპოზიტების შემადგენელ ერთსა და იმავე ფუძეს (ცალკე თუ ავიღებთ) მრავალი მნიშვნელობა აქვს და მათ შორის იურიდიული შეიძლება მხოლოდ რამდენიმე იყოს. მაგალითად, ინგლისური იურიდიული ტერმინის rightful (კანონიერი, მართლზომიერი, სამართლიანი) ფუძეს (right), როგორც აღვნიშნეთ, მრავალი მნიშვნელობა აქვს; მათგან იურიდიულია: უფლება, სამართლიანობა, სამართლებრივი მოთხოვნა, სამართლიანი, სამართლიანად, უფლების დაცვა; არაიურიდიულია: სისწორე, მარჯვენა მხარე, მარჯვენა, სწორი, მართებული, ჯეროვანი, სწორად, ჯეროვნად, მართებულად, პირდაპირ, მარჯვნივ, წალმა, ზუსტად, სავსებით, გამოსწორება, გასწორება.

right-ის მნიშვნელობათა ასეთი სიმრავლე ინგლისურად მეტყველს ხელს არ უშლის, რომ მან rightful გაიგოს მხოლოდ სამართლებრივი ცნების — კანონიერის, მართლზომიერის, სამართლიანის მნიშვნელობით.

ასევე: მიუხედავად გერმანული recht-ის მრავალი არაიურიდიული მნიშვნელობისა (მარ-

[1] Ю. Ю. Вейнгольд, Право как социологическая категория. Фрунзе, 1962, გვ. 49.

ჯვენა, პირდაპირი, ჭეშმარიტი, მართებული, სწორად, კარგად, ძალიან, საკმაოდ) სიტყვაში Rechtsprechung (სასამართლო გადაწყვეტილება, განაჩენი) ეს ფუძე (recht) მხოლოდ სამართლებრივი ცნების მიმნიშნებელია. ერთი მაგალითიც რუსულიდან: правоспособный მხოლოდ იურიდიულ ცნებას — უფლებაუნარიანს გამოხატავს, მაშინ როცა ყველასათვის, ვინც რუსული იცის, გასაგებია, რომ სიტყვაში правобережный ფუძე право მარტოოდენ მარჯვენა მხარის აღმნიშვნელია.

ზუსტად ასევეა ქართულ კომპოზიტებში, რომლებიც „მართლ"-ით არიან შედგენილი: ფუძე „მართლ" ამჟამადაც მხოლოდ „მართალს" რომ ნიშნავდეს, მაშინაც კი ტერმინები მართლმსაჯულება, მართლწესრიგი, მართლურთიერთობა და ა. შ. მარტოოდენ შესაბამისი სამართლებრივი ცნებების აღმნიშვნელი იქნებოდა და მათში ფუძეს „მართალ" მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობით აღიქვამდა ყველა, ვისაც ასეთ ცნებებთან აქვს საქმე. მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალურ ტერმინოლოგიაში გარკვევა უთუოდ მოითხოვს კვალიფიციურ ცოდნას; უამისოდ თანაბრად გაუგებარი იქნება, მაგალითად, გამოთქმები „სამართლებრივი წესრიგი" და „მართლწესრიგი".

8. ვ. აბაშმაძის მიერ უარყოფა „მართლ"-ფუძიანი კომპოზიტებისა უმართებულოა იმიტომაც, რომ მცდარია მისი შეხედულება, თითქოს ისტორიულად, ფეოდალურ ქართულ სამართალში „მართლმსაჯულება", ნიშნავდა რა უპირატესად მართალ, ღვთის ნების გამომხატველ მიუდგომელ განსჯას, არ მიუთითებდა საქმის გადაწყვეტაზე სამართლის ნორმების მიხედვით. ზემოთ უკვე მივუთითეთ ვახტანგის სამართლის 205-ე მუხლზე, რომელიც ცხადყოფს, რომ იმდროინდელი მართლმსაჯულებაც ნიშნავდა, უპირველესად, სამართლებრივი ნორმების მიხედვით საქმის გადაწყვეტას.

გარდა ამისა, ნუთუ ვ. აბაშმაძემ არ იცის, რომ ძველ ქართულ სამართალში „მართალი" სწორედ კანონიერის, სამართლის ნორმებით დადგენილის აზრით იხმარებოდა? მაგალითად, მოსეს სამართლის ქართული ვერსიის 22-ე მუხლის სათაურია „ნაბიჭვრისა და მართალის შვილისათვის" და მასში ვკითხულობთ: „განაძე მხევალი ეგე და ძე მაგისი, რამე თუ არა დაიმკვიდროს ძემან მხევლისამან ძისა თანა მართლისა" (მხევლის შვილი ანუ ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილი მემკვიდრეობაში არ შეეცილოს კანონიერ შვილს). თვითონ ვახტანგის სამართალში (მუხლი 67) ვკითხულობთ: „...თუ გაუშვა (ქმარმა ცოლი), რაც მზითევი მოჰყოლია, ისიცა და ბოზობით შექმნილი შვილიცა თან უნდა გაატანოს. მაგრამ თუ ამ მართალს ქმართან შვილი ჰყავს, ზითევი მთლად არ მიეცემის, ამიტომ რომ შვილსაც წილი აქუს..." (ხაზგასმა ყველგან ჩვენია).

მაშასადამე, სწორედ ფეოდალური საქართველოს სამართალში „მართალი ძე", „მართალი ქმარი" აღნიშნავდა კანონიერ, მოქმედი სამართლის ნორმებით აღიარებულ ძესა და ქმარს. მოვიტანთ კიდევ ორიოდე მაგალითს. გიორგი V-ის ძეგლის დადებაში (მუხლი 29) ლაპარაკია მართალ სისხლზე, ე. ი. სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ, კანონიერ სასჯელზე (ქონებრივ საზღაურზე). ბექას და აღბუღას სამართალში (მუხლი 20) ლაპარაკია მართალ სისხლზე, რომელიც სასამართლომ მართლად უნდა გადაახდევინოს შეურაცხმყოფელს; იქვე 38-ე მუხლი ეხება მართალი სისხლის დაურვებას, ე. ი. მოქმედი სამართლით გათვალისწინებული სასჯელის დადებას. ამგვარად, „მართალი" სწორედ სამართლის ნორმებით დადგენილს ნიშნავდა[1].

საინტერესოა, რომ ი. ჭავჭავაძისა და ბ. ნიჟარაძის წერილებში სამართლის სინონიმად ზოგჯერ ვხვდებით „მართლიერებას", რომლის საფუძველია „მართალის" გაგება იურიდიული მნიშვნელობით.

9. ზემოაღნიშნულს რომ თავი დავანებოთ, რატომ უნდა აღვიქვათ იურიდიულ ტერმინებში ფუძე „მართლ" მაინც და მაინც „მართალის" და არა „სამართლებრივის" მნიშვნელობით, როგორც ეს ვ. აბაშმაძეს ჰგონია? ასეთ გზას რომ დავადგეთ, მაშინ უამრავ ტერმინზე უნდა ვთქვათ უარი. თვით „სამართალიც" ხომ „მართალისაგანაა" ნაწარმოები, ხოლო „მსაჯულებისა" და „მსაჯულის" სათავეს ხომ სჯა (მსჯელობა) წარმოადგენს! მაშ ეს ტერმინებიც უარსაყოფია, რადგან თავსართი „სა" ან ბოლოსართები „ენ", „ებ" და ა. შ. კლასობრივ შინაარსს ვერ მიანიჭებენ მათი საშუალებით ნაწარმოებ სიტყვებს. განა ბევრად უფრო მეტი პირობითობა არაა, როცა დღეს „სისხლის სამართალს" ვხმარობთ? „სისხლი" ძველ ქართულ სამართალშიც კი პირობითი ტერმინი იყო და ქონებრივ საზღაურს აღნიშნავდა. „სისხლი" როგორც სასჯელი თავის სემანტიკურ მხარეს მხოლოდ პირველყოფილი თემური წესწყობილების დროს ამართლებდა, როცა თემის წესის დამრღვევს მართლაც სისხლით უნდა გამოესყიდა თავისი საქციელი.

10. „მართლ"-ფუძიანი იურიდიული კომპოზიტების წინააღმდეგ ვ. აბაშმაძის მიერ „მართლწერის", „მართლმადიდებლობის", „მართლმეტყველების" და „მართლმორწმუნების" მოტანა ვერაფერი არგუმენტია. ვ. აბაშმაძე წერს: „თუ ტერმინი მართლშეგნება... აღნიშ-

---

[1] იხ. აგრეთვე ქართული სამართლის ძეგლები, III (გამოსცა პროფ. ი. დოლიძემ), 1970, გვ. 114; ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია — ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, 1, 1948, „მართალ".

ნავს სამართლებრივ შეგნებას, მაშინ... მართლწერა, მართლმეტყველება და სხვ. უნდა ნიშნავდეს სამართლებრივ წერას, სამართლებრივ მეტყველებას და ა. შ., რაც სრული უაზრობაა. სინამდვილეში ტერმინი მართლწერა ნიშნავს მოქმედებას, რომლის დროსაც ხდება აზრის გადმოცემა წერილობით დადგენილი გრამატიკული წესების მიხედვით, და არა სამართლებრივი ნორმების შესაბამისად" (გვ. 176).

იძულებული ვართ, ვ. აბაშმაძეს კვლავ იმ მარტივ ჭეშმარიტებაზე მივუთითოთ, რომ მრავალ ენაში ჩვეულებრივი მოვლენაა ერთი და იმავე ფუძით სხვადასხვა კომპოზიტების შედგენა, რომლებშიც ამ ფუძეს სულ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: რუსულ სიტყვებში **правобережный, православный, правоспособный** ფუძე **право** ნიშნავს შესაბამისად მარჯვენას, მართალს და უფლებას; გერმანულ სიტყვებში **Rechteck, rechtgläubig, rechtmässig, rechtseitig** ფუძე **recht** ნიშნავს სწორს, მართალს, სამართლებრივს და მარჯვენას; ინგლისურ სიტყვებში **right-angled, rightful, right-minded, right-wing** ფუძე **right** ნიშნავს, სწორს, სამართლებრივს, კეთილს, მარჯვენას.

გარდა ამისა, ვ. აბაშმაძის მსჯელობა ვერაა ლოგიკური: თუ „მართლ" მხოლოდ „მართალს" ნიშნავს, მაშინ „მართლწერაც" უვარგისია, რადგან იგი არც მართლის წერაა და მასში „მართლ" არაფრით არ მიგვანიშნებს სახელდობრ გრამატიკული წესების დაცვას. ასევე „მართლმეტყველება": თუ იგი „მართალი მეტყველებაა", ეს „მართალია" და არა სწორი, ე. ი. „მართლ" არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, რომ პირი მეტყველებს სწორად, სახელდობრ, ენის კანონების სრული დაცვით. მეორე მხრივ, თუ „მართლს" ამ არაიურიდიულ ტერმინებში სწორად გავიგებთ, როგორც წერის თუ მეტყველების ენობრივი კანონების შესაბამისს, მაშინ „მართლმსაჯულება" რატომ არ უნდა გავიგოთ, როგორც მსაჯულება სამართლებრივი კანონების შესაბამისად?

**11.** თავის წერილში ვ. აბაშმაძე არას ამბობს, თუ რომელი ტერმინებით უნდა შეიცვალოს „მართლ"-ფუძიანი იურიდიული კომპოზიტები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოაქვეყნა საქართველოს საისტორიო საზოგადოების სამართლის ისტორიის სექციის სამეცნიერო სესიაზე 1973 წ. 7 მარტს წაკითხულ მოხსენებათა თეზისები. ვ. აბაშმაძის მოხსენების თეზისებში მის მიერ უარყოფილ კომპოზიტთა ნაცვლად ნახმარია „სამართლებრივი ურთიერთობა", „სამართლებრივი მსაჯულება" და „სამართალშეგნება". ამათგან „სამართლებრივი ურთიერთობა" ახალი არაა, იგი სავსებით მართებული გამოთქმაა („მართლურთიერთობის" პარალელურად) და „იურიდიულ ტერმინოლოგიაშიც" არსება.

„სამართლებრივ მსაჯულებას" კი ვერ დავეთანხმებით. საერთოდ, კომპოზიტები ენის სიმდიდრეა[1], მათი სისხარტე ძვირფასია ყოველი დარგის მეცნიერებისათვის და განსაკუთრებით მარჯვეა იურისპრუდენციაში, სადაც კანონისა და მისი განმარტება-გამოყენებისათვის ნიშნეულია საკმაოდ რთული კონსტრუქციები. თუნდაც ამიტომ „მართლმსაჯულება" ბევრად სჯობია „სამართლებრივ მსაჯულებას". რაც მთავარია, „მართლმსაჯულება" მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით მართებულადაა დამკვიდრებული ქართულში. კიდევაც რომ დავუშვათ, თითქოს ოდესღაც იგი არა მოქმედი სამართლით, არამედ ღვთის განგებით განსჯას აღნიშნავდა, რატომ არ უნდა მივაკუთვნოთ იგი იმ ძველ „ტერმინოლოგიურ ხერხებსა და საშუალებებს", რომლებიც, ვ. აბაშმაძის მრავალსიტყვაობით რომ ვთქვათ, „დღესაც ფართოდ არის გავრცელებული როგორც ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში სამართლის მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისი ცნებებისა და ინსტიტუტების ტერმინოლოგიური გამოხატვის ნაცადი ნიმუშები" **(გვ. 173).** აკი თვით ვ. აბაშმაძე აღიარებს, რომ „მოვლენებისა და საგნების სახელწოდებანი და აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგების აღმნიშვნელი ტერმინები არა მარტო შინაარსობლივად ვითარდებიან და სრულყოფილი ხდებიან თანამედროვეობის თვალსაზრისით, არამედ ძალიან ხშირად საზოგადოების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად დიამეტრალურად იცვლება მათი სემანტიკური მხარე" **(გვ. 174).** მაგრამ საქმეც ისაა, რომ „მართლ"-ფუძიან იურიდიულ ტერმინებში „მართლ"-ის „სემანტიკური მხარე" არ შეცვლილა და ამის საჭიროება არც იყო.

რაც შეეხება „სამართალშეგნებას", იგი მთელი სისრულით ვერ გამოხატავს სამართლებრივი შეგნების ცნებას და, შეიძლება ითქვას, არსებითად არაა სწორი: სამართალშეგნება იგივეა, რაც სამართლის შეგნება (შეად. სამარ-

---

1 ქართული ენა ძალიან მდიდარია კომპოზიტებით, რომლებიც ლაკონურობის გარდა გამოირჩევიან გამოსახატავ ცნებასთან დაკავშირებული ნიუანსების გადმოცემით. გავიხსენოთ თუნდაც „დედა"-ფუძიანი კომპოზიტები (დედააზრი, დედაარსი, დედაბოძი, დედაბუდიანად, დედაენა, დედამიწა, დედა-შვილი, დედისერთა, დედიშობილა, დედ-მამა, დედმამიშვილი), ან კიდევ ზედსართავი სახელები: გზაკვალაბნეული, გონმიხდილი, თავქუდმოგლეჯილი, ქანცგაწყვეტილი და ა. შ.

თალდარღვევა, სამართალშემოქმედება, სამართალმცოდნე, სამართალსუბიექტობა — ტერმინები, რომლებსაც ვ. აბაშმაძე არ იწუნებს), ე. ი. იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად აქვს ადამიანს თუ ადამიანთა ჯგუფს, კლასს შეგნებული, გაცნობიერებული მოქმედი სამართალი; სამართლებრივი შეგნების (მართლშეგნების) ცნება კი იმის შეგნებასაც მოიცავს, თუ რა და რატომაა სამართლიანი ან არასამართლიანი მოქმედ სამართალში, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი სამართალი და ა. შ.

ჩვენი საერთო დასკვნა ასეთია: ვ. აბაშმაძის წერილი ვერავის ვერ დაარწმუნებს, თითქოს „მართლ"-ფუძიანი იურიდიული ტერმინები უვარგისი იყოს და ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგიის გადამუშავება სწორედ ამიტომ იურიდიული მეცნიერების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდეს.

ამავე დროს, ვ. აბაშმაძის წერილის ზოგიერთმა მხარემ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ასეთი პრეტენციოზული ნაშრომის გამოქვეყნება მეცნიერებას ვერას შემატებს, ავტორისათვის კი უთუოდ საზიანოა. შევეხებით წერილის ამ მხარეებს.

12. ვ. აბაშმაძე წერს: „...ძველი ისტორიული სამართლებრივი ტერმინები შეიძლება გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს ახალი, თანამედროვე სამართლებრივი ტერმინების შექმნის წყარო და საფუძველი, მაგრამ ამ საქმეში განსაკუთრებული სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო". ჭეშმარიტებაა! მაგრამ სიფრთხილე და დაკვირვება საჭიროა მაშინაც, როცა ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის საკითხებზე წერ. სამწუხაროდ, ვ. აბაშმაძის წერილი ასეთ ნიმუშად ვერ გამოდგება. მაგალითად, 172-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართულ ტომებში სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა გაპირობებული იყო განვითარებული ეკონომიური ურთიერთობების იურიდიული გაფორმება-მოწესრიგების აუცილებლობით" (ხაზგასმა ჩვენია). ეს ორიგინალური „დებულება" გააოცებს ყველას, ვისთვისაც ცნობილია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ.

13. იურიდიული ტერმინოლოგიის მკვლევარს ტერმინების სწორი ხმარება მაინც უნდა მოეთხოვებოდეს. ვ. აბაშმაძის წერილში ამ მხრივ საოცარი დაუდევრობაა. მაგალითად, ავტორი იურიდიული მნიშვნელობის კომპოზიტებში „მართლ" ფუძეს ექვსჯერ უწოდებს „თავკიდურს" (მაშინ როცა თავკიდურია ბგერა, ასო, მარცვალი და არა კომპოზიტის შემადგენელი პირველი ფუძე). შვიდჯერ — „თავკიდურ სიტყვას", ორჯერ — „თავსართს"(!), ერთხელ — „კომპონენტს" და მხოლოდ ერთხელ იხსენიებს სწორად, როგორც ფუძეს.

ავტორს ვერ მოვუწონებთ ვერც „მახლობელ აღმოსავლეთს", ვერც „სემანტიკურ მნიშვნელობას" (მნიშვნელობითი მნიშვნელობა?!), ან „მოვლენების სპეციფიკურ-სემანტიკურ მხარეს" (მოვლენას სემანტიკური მხარე არ გააჩნია, რადგან სემანტიკა სიტყვის, გამოთქმის, გრამატიკული ფორმის მნიშვნელობაა, ან კიდევ აღნიშნავს სემასიოლოგიას, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთ დარგს); უაზრობაა აგრეთვე „წარმოშობის გენეზისი", ე. ი. წარმოშობის წარმოშობა, შეცდომაა, როცა 174-ე გვერდზე ორჯერაა ნახმარი „მევალე", თუმცა მხედველობაშია „მოვალე" („მევალეთა დიდი მასა... ველარ ახერხებდა... ფულის დაბრუნებას პროცენტებითურთ და ისინი იძულებულნი იყვნენ კრედიტორის მეურნეობაში მუშაობით გადაეხადათ ვალი"... მევალე სწორედ კრედიტორია; ვალის ამღებს მოვალე ჰქვია).

14. ვ. აბაშმაძე სცოდავს აგრეთვე ძველი ქართული სამართლის ტექსტთა გაგებაში. მაგალითად, მას ჰგონია, რომ „მაზრახებელი" იგივეა, რაც განმზრახველი (გვ. 177), მაშინ როცა მის მიერ ციტირებულ ტექსტში იგი ნიშნავს მრჩეველს, მოქადაგეს. 178-ე გვერდზე ვ. აბაშმაძე, ჩამოთვლის რა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში შექმნილ იურიდიულ ტერმინებს, მათ შორის ასახელებს „ბრალს", „ნივთს", „მევახშეობას" და იმოწმებს ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიას" (წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე). ამ სამი ტერმინის მიმართ ასეთი დამოწმება შეცდომაა: ბრალი ეწოდებოდა ცოდვას, დანაშაულს და არ ნიშნავდა დანაშაულის სუბიექტურ მხარეს; ნივთის შესახებ ივ. ჯავახიშვილი გარკვევით ამბობს, რომ მას არ ჰქონდა res-ის მნიშვნელობა; ხოლო მევახშეობას ივ. ჯავახიშვილი საერთოდ არ ხმარობს (მასთან ვხვდებით ტერმინებს: ვახში, ვასხი, ვასხება, მოვასხე და ა. შ.).

15. ვ. აბაშმაძის წერილი გადატვირთულია ვრცელი მსჯელობით საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებზე და სრულიად ზედმეტი მასალებით. მაგალითად, რა საჭირო იყო ასეთ წერილში იმის „აღმოჩენა", რომ „საზოგადოებრივ ცხოვრებაში აზრის აქტიური ზემოქმედებითი ძალა წარმოუდგენელია მისი სიტყვიერი გაფორმების გარეშე "(გვ. 172). რა არის ეს — ფილოსოფიური ძიება აზრისა და სიტყვის, როგორც შინაარსისა და ფორმის ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე, თუ ენათმეცნიერის დებულება ადამიანის მეტყველების, საერთოდ, ენის წარმოშობის შესახებ?

მეორე მაგალითი: იმის ნათელსაყოფად, რომ „სპეციალური ტერმინები და სახელწოდებანი არა მარტო ქრებიან და კარგავენ თავიანთ დანიშნულებას, არამედ ტერმინთა ნომინატიური (სახელდებითი) მხარე ხშირად სრულიად ახალ

სემანტიკურ მნიშვნელობას იძენს“ (გვ. 173), ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს ისეთი ტერმინის წარმოშობასა და „სემანტიკური მხარის“ ცვალებადობას, როგორიცაა „კაბალა“. ამ ვრცელ მსჯელობას არავითარი კავშირი არა აქვს წერილის მიზანდასახულებასთან, რაც „მართლ“ ფუძიანი იურიდიული ტერმინების კრიტიკაში მდგომარეობს.

16. ვ. აბაშმაძე არ იცავს სამეცნიერო წყაროებზე მითითების ელემენტარულ ეთიკას: სწორედ „კაბალასთან“ დაკავშირებით იგი იმოწმებს ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის მეორე ნაკვეთიდან ერთადერთ ფრაზას, დანარჩენ მსჯელობას, კერძოდ, ნიკორწმინდის სიგელის შესახებ ისე გვაწვდის, თითქოს იგი მისი დამოუკიდებელი კვლევის შედეგი იყოს. სინამდვილეში ივ. ჯავახიშვილის ხსენებული ნაშრომიდან მთელი პარაგრაფია გადმოცემული. ამიტომ წყაროც იგივეა მითითებული (თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტფილისი, 1897), რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობა, და არა ამ ძეგლის ახალი პუბლიკაცია (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გამოსცა პროფ. ი. დოლიძემ საბ. 4). წერილის ამ ნაწილში ორიგინალურია მხოლოდ დ. ნ. უშაკოვის ლექსიკონზე მითითება.

17. წერილში შეინიშნება აგრეთვე ავტორის ტენდენცია გააბიაბრუოს ყველაფერი, რაც მე-18 საუკუნის შემდეგ გაკეთებულა ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის გამდიდრების, დახვეწისა და დამუშავების მიმართულებით. ვ. აბაშმაძე ვრცლად ლაპარაკობს ფეოდალურ საქართველოში „სამართლის მეცნიერების სხვადასხვა მხარეების ამსახველი, საოცრად ზუსტი და მოხდენილი იურიდიული ტერმინოლოგიის“ შემუშავება-ჩამოყალიბების შესახებ, ასახელებს, „ჩვენს სახელოვან წინაპრებს“ და მიუთითებს მათს „ფართო შემოქმედებით მუშაობაზე“ ამ დარგში, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორც გამდიდრდა ეს ტერმინოლოგია სწორედ მე-19 საუკუნეში ახალი ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებისას, დუმილით უვლის გვერდს დიდ ამაგს, რომელიც ამ საქმეს დასდო ქართველ მწერალთა და პუბლიცისტთა შემოქმედებამ. პირიქით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ ინტელიგენციას, ვ. აბაშმაძის აზრით, სამართლებრივი ტერმინების ძიება-დამუშავების ხალისი თურმე აღარ ჰქონია (!).

ვ. აბაშმაძე, ამ მხრივ, არც მე-20 საუკუნეს წყალობს. მის წერილში, რომელსაც მრავლის აღმთქმელი სათაური აქვს („ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის საკითხები“), მინიშნებაც კი არაა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსებისა და იურისტების ღვაწლზე ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მეცნიერული დამუშავების სფეროში. და, რაღა თქმა უნდა, არც 1963 წელს გამოცემული „იურიდიული ტერმინოლოგიაა“ ნახსენები.

18. ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ვ. აბაშმაძის წერილის კიდევ ერთ მხარეს. ესაა უხეში ენობრივი შეცდომები. ელემენტარული გრამატიკული შეუთანხმებლობა წინადადებებში: „...იდეოლოგები ცდილობდნენ... მოუძებნონ“ (გვ. 173); „...საკითხებს, რომელიც...“ (გვ. 174); „...იმ შეხედულებების... რომელიც...“ (გვ. 175); „ტერმინთა შემქმნელნი და... მისი შემომტანნი“ (გვ. 176); „...სოციალური მოვლენების კატეგორიასთან... დაკავშირებული მოვლენების შესახებ...“ (გვ. 175); ანდა სიტყვების ასეთი განლაგება: „მართალი ჩაგრული კლასების თვალსაზრისით მხოლოდ ის სამართლებრივი შეხედულებებია...“ (გვ. 176); ან კიდევ ასეთი ფრაზა: „შეიძლება ვინმემ შენიშნოს, რომ მართალია ზემოთ აღნიშნული ქართული იურიდიული ტერმინები მცდარია და ისინი არ შეესაბამებიან სამართლის მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეს, მაგრამ რადგანაც მეცნიერულ და საკანონმდებლო მუშაობაში იმდენად ფართოდ გავრცელდა ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი ტერმინები, რომ მათი უვარგისობა და მცდარობა შესამჩნევიც კი აღარ არისო“. (გვ. 178). ამ ფრაზას, სხვენი ნიშნების გარდა, აკლია მთავარი — აზრის დასრულება.

ამგვარი მაგალითები ვ. აბაშმაძის წერილში სხვაც ბევრია.

ისლა დაგვრჩენია, ავტორს განვუცხადოთ: სამართლის მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეს არ შეესაბამება სწორედ მისი წერილი და არა „მართლ“-ფუძიანი იურიდიული ტერმინები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ბადრიძე

# საქართველო და ბიზანტია

## პოლიტიკურ ურთიერთობათა ერთი უმთავრესი დეტალის გარკვევისათვის

ქართულ-სომხური წყაროების ერთობლივი მითითებით, ბასილი II-ის დროინდელი ბიზანტიის საიმპერატორო კარი დავით დიდ ტაოელს (+1000) ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობის საზღაურად შეჰპირდა ვრცელი ტერიტორიის „დათმობას“,[1] რაც აასრულა კიდევაც.[2]

ეს „დათმობილი“ მიწები, რომლებსაც ქართული ტრადიცია „ზემო ქვეყნების“[3] სახელით იცნობს, ასოღიკის მიხედვით მოიცავდა: კარინს, ბალტო-არიჭს კლისურითურთ, ბასიანს, სევუქს, ჰარქს და აპაჰუნიქს.[4] აღსანიშნავია, რომ ეს მხარეები დავითს დაეთმო თუ მიეცა „სიცოცხლის ვადით“ (რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ)[5], ე. ი. დავითი მათი დროებითი მფლობელი გახდა.

აღნიშნული ბოძება მოხდა ბარდა სკლეროსის აჯანყების ბოლო მომენტში (978 წ), თუმცა როგორც სხვა წყაროებით ჩანს, ეს ტერიტორიები მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, დავითს და მის წინაპრებს ადრევეც ეკუთვნოდათ. ასე, მაგალითად, როგორც დასტურდება ქართველ ბაგრატიონებს უკვე X ს-ს პირველი მეოთხედიდანვე მიუწვდებათ ხელი კარინის მიწა-წყალზე.[6] ამავე საუკუნის შუა ხანებიდან კი ისინი ფლობენ ბასიანის იმ ნაწილს, რომელიც იბერიისკენაა პირმოქცეული და ბიზანტიური სექტორისაგან მდ. არაქსითაა გამოყოფილი[7].

აღნიშნული ზონა მმართველობის პირველივე დღეებიდანვე დავით ტაოელის ხელში ჩანს. როგორც ირკვევა, დავითს ეს „ქვეყნები“ მიცემული აქვს X საუკუნის 60-იანი წლებისთვის იმპერატორ ნიკიფორე ფოკას (968-969) მიერ[8], თუმცა რა ოდენობით, ეს არ ჩანს.

სხვა ცნობების მიხედვითაც დავითს ჰქონდა სამფლობელოები როგორც ტაოში,[9] ასევე ბასიანში, კოლა-არტანში, ჯავახეთსა და შავშეთში,[10] ქართველთა ამ ძველ სამკვიდრო მხარეებში. ამ ცნობებით ჩანს, რომ ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლის საფასურად დათმობილი ტერიტორიების ერთი ნაწილი, რომელიც ბიზანტიის მიერ სიცოცხლის ვადით მიეცა, დავით დიდს 978 წლამდე ეკუთვნოდა.

რაც შეეხება დათმობილი ტერიტორიების მეორე ნაწილს, ჰარქსა და აპაჰუნიქს, ისინი „დათმობის“ დროისათვის ეკუთვნოდა ამირა ბადი იბნ-დასტაკს.[11]

ჰარქი და აპაჰუნიქი, რომელთა პოლიტიკურ ცენტრსაც ქ. მანაზკერტი წარმოადგენდა, IX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოექცა სულაიმიტების ყაისიტთა ხელში (=ე. წ. მანაზკერტის საამირო). სომეხთა მეფის სუმბატ ტიეზერაკალის (+914) სიკვდილის შემდეგ კი მანაზკერტში კარინსა და ტარონთან ერთად დამყარდა ბიზანტიის გავლენა, თუმცა ეს დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. იმავე X საუკუნის 60-იან წ.წ. მანაზკერტის ზონაში აქტიურდებიან ჰამდანიდები; ცოტა მოგვიანებით კი ყაისიტების ყოფილი სამფლობელოები გადადიან მერვანიდების ქურთული საგვარეულოს ხელში.[12] ბადი იბნ-დასტაკიც ამ საგვარეულოდან იყო.[13]

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ 978 წლისათვის ჰარქისა და აპაჰუნიქის გადაცემა ბიზანტიას რეალურად არავისთვის შეეძლო იმ მიზეზით, რომ ისინი მას არ ეკუთვნოდა.

მაშ რა შეიძლება ყოფილიყო ბიზანტიის მიერ დავით დიდისადმი ტერიტორიული დათმობების აქტი, როცა „მიცემული“ მხარეების ერთ ნაწილზე დავითს ადრევეც მიუწვდებოდა ხელი, ხოლო მეორე ნაწილს, აგრეთვე, თავისი პატრონი ჰყავდა.

აღნიშნული კითხვა მკვლევარებს სხვადასხვანაირად აქვთ გაგებული.

ასე, მაგალითად, მკვლევართა უმეტესობას

978 წლის „დათმობები“ არსებითად ისე წარმოუდგენია, თითქოს დავით დიდმა ბიზანტიისაგან ახალი ტერიტორიები მიიღო, რასაც მოჰყვა მისი სამფლობელოების გაზრდა.[14] არსად ეს მკვლევარები არ ცდილობენ „დათმობების“ იურიდიული შინაარსის განსაზღვრას, რის გამოც ფაქტიურად გაუგებარი რჩება, თუ როგორ აძლევს ბიზანტია დავით ტაოელს იმას, რომლის ერთი ნაწილიც ამ უკანასკნელს ადრევე აქვს, მეორე კი სხვას უპყრია. ამ გაუგებრობას განსაკუთრებით თვალში საცემად ხდის ის გარემოება, რომ ერთი მხრივ დავითს 978 წელს მიღებული აქვს ჰარიქი და აპაჰუნიქი, მეორე მხრივ კი იგი მოგვიანებით, მათ დასაპყრობადაც იბრძვის. ბუნებრივია, კითხვა ისმის: თუ ბიზანტიამ ჰარქი და აპაჰუნიქი დავით დიდს თავისი საქონებლიდან გამოუყო და მისცა, რაღა საჭირო იყო მათი ომით დაკავება?

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა ზოგიერთა მკვლევარს აფიქრებინებს საერთოდ ეჭვიც კი შეიტანოს ასოღიკისა და გიორგი მთაწმინდელის ცნობათა ჭეშმარიტებაში 978 წლის „დათმობათა“ შესახებ.

ამ თვალსაზრისის ტიპიური გამომხატველია ნ. ადონცი. მას მიაჩნია, რომ დავით დიდს, მაგალითად, კარინი, ბასიანი, ხალტო-არიჭი და მისი კლისურა ანუ თანამედროვე ბრნაკაპანი 978 წლამდეც ეკუთვნოდა.[16] შესაძლოა, მისივე იყო, აგრეთვე, სევუკის ციხეც, რომელიც კარინს ემიჯნებოდა.[17] დავითსავე ეკუთვნოდა ჩორმაირიც, ჭოროხის თავში, სადაც თორნიკე დიდის ძმები მმართველობდნენ. ჩორმაირისა და ხალტო-არიჭის ქალდიასთან მეზობლობის გამო ამ ძმებს ქალდიის მთავრებს უწოდებდნენ.[18]

რაც შეეხება ასოღიკის მიერ ჩამოთვლილ სხვა მხარეებს, როგორიცაა ჰარქი და აპაჰუნიქი, ნ. ადონცის თქმით, ისინი ამირა ბადის ხელში იყო და დავითმა დაიპყრო X საუკუნის 90-იან წლებში მანაზკერტის ლაშქრობის დროს.[19]

ამიტომ რადგანაც ასოღიკის მიერ ჩამოთვლილი ტერიტორიების ერთი ნაწილი დავითს ადრევეც ეკუთვნოდა — დაასკვნის ნ. ადონცი — მეორე კი ამირა ბადის, ე. ი. არც ერთი მხარე ნაბოძები მიწებიდან არ წარმოადგენდა ბიზანტიის საკუთრებას, შეუძლებელია ჭეშმარიტად მივიჩნიოთ აზრი, თითქოს ბიზანტიამ ისინი ვინმეს, კერძოდ დავით დიდს „დაუთმო“.[20]

აქედან გამომდინარე, ფიქრობს ნ. ადონცი, ტერიტორიის დათმობა, რომელიც გიორგი მთაწმინდელსა და ასოღიკს დამახინჯებული ქრონოლოგიით წარმოუდგენიათ, იმის გამო, რომ მას სიცოცხლითი ვადა ჰქონდა, უნდა მომხდარიყო 991 წელს. ეს ის წელია, როცა ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ ბარდა ფოკას აჯანყებაში გარევის გამო შერისხულმა დავითმა განაცხადა, რომ, როცა იგი მოკვდებოდა, მისი სამფლობელოები ბიზანტიის საკუთრება უნდა გამხდარიყო. მაშასადამე, დავითი მხოლოდ 991 წლიდან უნდა ყოფილიყო თავისი მიწა-წყლის მფლობელი სიცოცხლის ვადით. და ბიზანტიასაც მაშინ შეეძლო ასოღიკის მიერ ნაბოძებად ნაგულვები მიწების დავითისათვის გაცემა, რადგანაც ეს მიწები უკვე ბიზანტიის საკუთრებაში იქნა მოქცეული.[21]

მიუხედავად გარკვეული საბუთიანობისა, ნ. ადონცის კონცეფცია „ბოძებების“ თაობაზე ბევრი მხრივ ჩანს მიუღებელი, ვინაიდან მასში მიჩნეულია, რომ „ბოძება“ შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი კაპიტალის გაცემა, რომელიც მბოძებელს ამათუიმ კონკრეტულ შემთხვევაში სრულად ეკუთვნის, როგორც იურიდიულად, ასევე ფაქტიურადაც. ეს კონცეფცია ვერ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ბევრი იმ მხარეთაგანი, რომლებიც დავით დიდს, მის წინაპრებსა თუ სხვებს თავის ხელთ ეპყრათ, ბიზანტიასაც გარკვეული თვალსაზრისით თავისად მიაჩნდა და მათი ბოძება-წართმევის უფლებასაც თავის კომპეტენციაში იტოვებდა. ამასთანავე ისიც დგინდება, რომ სიცოცხლის ვადიანობა საერთოდ ახასიათებდა ბიზანტიურ ბოძებებს 978 წლამდეც და რომ სავალდებულო არაა ის ბოძება, რომელსაც სიცოცხლითი ვადა ჰქონდა, ამ ვადის მიხედვით მაინცდამაინც 991 წელს გადავიტანოთ.[22] ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაშინდელი პოლიტიკური წარმოდგენების თანახმად, ბიზანტიას თავის საკუთრებად მიაჩნდა არა მარტო მისი უშუალო ვასალების მიწები, არამედ იმათიც, რომელთა მიმართაც ბიზანტია გარკვეული პრეტენზიებით იყო გამსჭვალული. ასე უცქეროდა, მაგალითად, იგი ჰარქისა, აპაჰუნიქისა და სხვა „მიწების“ მმართველებს (რომლებშიაც შედიოდა მანაზკერტი, ხლათი, არჭეში და სხვ.). ბიზანტიის ეს შეხედულება ვრცლად გამოსჭვივის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებიდან.[23]

როგორც მისგან ირკვევა, იმპერია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ზემოთაღნიშნული მხარეების ხელში აღებას, ვინაიდან, თუ ისინი ბიზანტიისა იქნებოდნენ, ბიზანტია დაცული აღმოჩნდებოდა „სპარსელებისაგან“ (-არაბები), რომლებიც ბიზანტიის წინააღმდეგ წამოსვლას ვერ გაბედავდნენ, „ვინაიდან ზემოთდასახელებული ციხეები ბიზანტიასა და არმენიას შორის არიან და წარმოადგენენ ჯებირსა და საფარს“.[24]

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული ადგილები, ანუ როგორც მას კონსტანტინოპოლის დიპლომატია უწოდებდა — „აღმოსავლეთი“ — მომავალში ბიზანტიას აეღო, ეს უკანასკნელი წინდაწინვე ქმნიდა კონცეფციას, რომლის მიხედვითაც მთელი „აღმოსავლეთი“ დიდი ხანია თითქოს უკვე ბიზანტიის მოხარკეებს ეკავათ. აქე-

დან გამომდინარე, ის რაც ბიზანტიის მოხარკეებისაა, საბოლოოდ ბიზანტიისაა. ამიტომაც საჭიროა „აღმოსავლეთი“ კვლავ ბიზანტიამ აიღოს, მაშასადამე, რეალურადაც დაიპყროს.[25]

ვფიქრობთ, ამის შემდეგ აღარ გაგვიჭირდება იმის გაგება, თუ რა საფუძველზე მისცა ბიზანტიამ დავით დიდს ჰარქი და აპაჰუნიქი 978 წელს, ქვეყნები, რომლებიც ფაქტიურად ბიზანტიას არ ეკუთვნოდა. სამაგიეროდ ბიზანტიას ისინი იურიდიულად მიაჩნდა თავისად და ამიტომაც მათ თავისიანს — დავით დიდს აძლევდა. ხოლო თუ დავითი ამ მხარეებს რეალურადაც დაეპატრონებოდა, მაშინ ბიზანტიის ხანდაზმული კონცეფცია ამ მხარეთა მფლობელობაზე უფრო მეტად ხორცშესხმული გახდებოდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ადონცის კონცეფციაში ქართველ ბაგრატიონთა ტერიტორიული სიდიდის სურათიც 978 წლამდე ერთგვარად პრობლემატურია.[26]

978 წლის ბოძების არსზე თავისი აზრი ჰქონდა გამოთქმული ამ ოთხი ათეული წლის წინ კ. კეკელიძეს. მისი შეხედულებით ეს ბოძება იმის მსგავსი მოვლენა იყო, რომელსაც აღწერს კონსტანტინე პორფიროგენეტი იბერთა მმართველებისადმი „აღმოსავლეთის“ ბოძების თაობაზე X ს-ს შუა ხანებში.[27] მაგრამ აღნიშნული თვალსაზრისი ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთგვარად შეუმჩნეველი დარჩა, ალბათ იმიტომ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა დეტალები კ. კეკელიძის ნაშრომში — აშკარად პრობლემატურია.[28]

ზემოთდასახელებული თვალსაზრისის მოდიფიკაციას წარმოადგენს პ. ინგოროყვას შეხედულებაც. პ. ინგოროყვას მიხედვით 978 წლის აქტი წარმოადგენდა დიდ დათმობას ქართველებისადმი ბიზანტიის მხრიდან. ჯერ კიდევ X საუკუნის შუა ხანებში ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის დიდი დავა იყო ატეხილი არაქსის ხეობის მიწებზე,- მაგრამ მაშინ ბიზანტია არ თანხმდებოდა მთლიანობაში ქართველებისად ეცნო ეს მხარეები და მათ საკუთრებად მხოლოდ ბასიანის არაქსგამოღმა მიწებს სცნობდა, ახლა კი, 978 წ. როცა სკლეროსის აჯანყების ჟამს ბიზანტიის საიმპერატორო კარი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და ქართველთა თავი სჭირდებოდა, ბასილი II-ს მთავრობა იძულებული გახდა ქართველებისთვის სადავო მიწები მთლიანობაშიაც დაეთმო საზღაურად.[29]

ორივე ზემოთდასახელებული — კ. კეკელიძისა, განსაკუთრებით კი პ. ინგოროყვას შეხედულება, რომელიც იმითია მნიშვნელოვანი, რომ 978 წლის ბოძებას წინა ბოძებებს უკავშირებს, სავსებით ლოგიკურია, მაგრამ ბოძებათა იურიდიულ ფორმაზე არც ამ თვალსაზრისებშია რაიმე გარკვევით ნათქვამი.

978 წლის ბოძების იურიდიულ შინაარსზე უკანასკნელ ხანებში გამოთქმულია ახალი შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც ბიზანტიამ აღნიშნული ბოძების ძალით დავით დიდისად სცნო ის ტერიტორიები, რომლებსაც მომავალში თვით დავითი გაანთავისუფლებდა,[30] ანუ ამ ბოძებების აქტით დავითმა ფაქტიურად უფლება მიიღო დაეპყრო „ბოძებული“ მიწები.[31]

მიუხედავად ამისა, არც ეს განსაზღვრებაა ამომწურავი, ვინაიდან იგი არ ეთანხმება წყაროთა საერთო მონაცემებს. მართლაც, ბოძებული ტერიტორიების ერთი ნაწილი ქართულ-ბიზანტიურ ორბიტაში ისედაც იყო მოქცეული და მათი დაპყრობა საჭირო არ იყო. მაშასადამე, დაპყრობას ფაქტიურად ნაბოძები მიწების ნაწილი საჭიროებდა, წყაროს ცნობას ბოძებების რაობაზე კი დათმობა-ბოძების ცნება ყველა მიწის მიმართ ერთნაირად წარმოუდგენია.

მაშ რა პრინციპით შეიძლება მიეცა ბიზანტიას ქართველებისათვის ზემო ქვეყნები 978 წელს, ან რა შეიძლება ვუწოდოთ ამ აქტს საერთაშორისო ურთიერთობათა ლექსიკონით?

ჩვენი აზრით, ამ საკითხის გარკვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ საერთოდ გავითვალისწინებთ იმ იურიდიულ სტატუტს, რომლითაც იმ ხანებში ბიზანტია საერთოდ „ასხვისებდა“ ხოლმე „თავის მიწებს“ აღმოსავლეთში. ამასთან დაკავშირებით დავიწყოთ იმაზე საუბრით, თუ რა ვიცით ჩვენ ქართველ-ბიზანტიელთა ტერიტორიული ერთიერთმიმართების ისტორიაზე 978 წლის წინა პერიოდში.

როგორც ირკვევა, უკვე IX საუკუნიდანვე ქართლის სახელმწიფო, რომლის პოლიტიკური ცენტრიც აშოტ დიდი კურაპალატის (+826) დროიდან ჭოროხის აუზის მიდამოებშია გადატანილი, ბიზანტიის ვასალურ ერთეულს წარმოადგენს.[32]

ეს სტატუტი ცოცხალია X ს-შიც.[33]

უკვე ამ საუკუნის შუა ხანებიდანვე, იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ ფიქსირებულია ხელშეკრულებები, რომლებიც დადებული ყოფილა ბიზანტიასა და ქართველებს შორის და მნიშვნელოვან წილად ტერიტორიული საკითხების რეგულირებასაც ახდენენ.

როგორც ამ ხელშეკრულებებიდან ვგებულობთ, იბერიის კურაპალატები ვალდებული იყვნენ დარჩენილიყვნენ ბიზანტიის ერთგულებად, მის მტრებს შებრძოლებოდნენ, მეგობრები დაეცვათ, აღმოსავლეთი კი იმპერიის ქვეშევრდომად გაეხადათ.[34] ამავე ხელშეკრულების თანახმად ქართველები ვალდებული იყვნენ დაეპყროთ ციხეები და ამით დიდი სამსახური გაეწიათ ბიზანტიისათვის,[35] ხოლო თუ ქართველები ყველაფერ ამას შეასრულებდნენ, ბიზანტიის მხარეც პირობას იძლეოდა, რომ

ქართველი ხელისუფლები და მათი მემკვიდრეებიც ურყევად დარჩებოდნენ თავიანთი ძალაუფლების მქონედ.[36]

როგორც ალვნიშნეთ, ქართველებს ევალებოდათ ეფექტიურად დასაქმებოდნენ ბიზანტიას, დაეპყროთ ალმოსავლეთი, რაც ბიზანტიელების პოლიტიკური ენით წარმოადგენდა დიდ ტერიტორიას მცირე აზიის სანაპირო ხაზზე, სადაც X ს-ს დამდეგისათვის ჯერ კიდევ არსებობდნენ არაბობის დეკადანსის პირობებში წარმოშობილი, ბიზანტიური ორიენტაციის მარყუეში თავგასაყოფად გამზადებული წვრილი პოლიტიკური ერთეულები. აქ შედიოდნენ კერძოდ მანაზკერტ-ხლათის მხარეები, „ავნიკი", „მასტატი", „თეოდოსიუპოლი და მტრის სხვა ციხეები".

იმავე ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ ქართველები უფლებამოსილები იყვნენ არ დაძრულიყვნენ ამ მხარეებიდან, თუ ისინი მას დამოუკიდებლად ან ბიზანტიელებთან ერთად დაეუფლებოდნენ.[37] აქვე აღნიშნული იყო არსებითად წინა პუნქტების გამომრიცხავი ერთი დეტალი, რომელიც ბიზანტიას იმიტომ ესაჭიროებოდა, რათა დაემტკიცებინა, რომ ყველა ის ტერიტორია. რომელიც მისი ვასალების მიერ იყო დაპყრობილი, საბოლოოდ ბიზანტიისავე საკუთრებაა. ეს ნათლად მჟღავნდებოდა ბიზანტიელთა მოთხოვნაში, რომ ქართველებს არც ერთ შემთხვევაში არ ქონდათ უფლება, მაგალითად „თეოდოსიუპოლი და მტრის სხვა ციხეები საბოლოო მბრძანებლობასა და ბატონობაში" ჰქონოდათ"[38].

ქართველები ბიზანტიის ორიენტაციაში ყოფნას ოსტატურად იყენებდნენ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლაში და დიდი სახელმწიფოს „მფარველობის ქვეშ" მედგრად უპირისპირდებოდნენ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. მიუხედავად ამისა, ისინი არც ბიზანტიას ენდობოდნენ და როგორც კი შეიტყობდნენ, რომ იმპერიის პოზიციების ზრდა მათი პოლიტიკური გეგმების საზიანოდ მიიმართებოდა, სწრაფად იწყებდნენ ანტიბიზანტიურ აქციებს. ქართველები ბიზანტიელებს ხელს უშლიდნენ, მაგალითად, იმაში, რომ ეს უკანასკნელები დაპატრონებოდნენ ქართველთა ხელში მყოფ ზოგიერთთა სტრატეგიულ პუნქტს და ეს იქამდე, რომ ბიზანტიის მოწინააღმდეგეებსაც კი ეხმარებოდნენ. უფრო მეტიც, ქართველები ბიზანტიელთა გაგებით, „უკანონოდ" იჩემებდნენ „ალმოსავლეთს" და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ამ პუნქტების მფლობელობაში ბიზანტიელები არ ჩაეზიარებინათ. ამაზე ვრცლად მოგვითხრობს კონსტანტინე პორფიროგენეტი.

მაგრამ, ალნიშნავს ამასთანავე იგი „ვინაიდან კურაპალატი ჩვენი მორჩილი და მეგობარია, სანდო და მართალი, იყვეს თანახმად მისი მოთხოვნისა ფასიანის საზღვრად მდინარე არაქსი ანუ ფასისი, და მარცხენა მხარე, იბერიისაკენ მიმართული, ეპყრათ იბერებს, ხოლო მარჯვენა, რაც თეოდოსიუპოლისაკენ არის, როგორც ციხეები, ისე სოფლები, იყვეს ჩვენი მეუფების ქვეშ, ისე რომ, მაშასადამე ორივეს საზღვრად მდინარე (არაქსი, შ. ბ.) იქნება"... და ქართველებიც — უნდა დაკმაყოფილდნენ ამით და მეტი აღარ მოითხოვონ"[39].

როგორც ვხედავთ, უკვე X საუკუნის შუა ხანისათვის თვით ბიზანტიელთა აღიარებითაც კი, ქართველ ბაგრატიონებს ეკუთვნით „ალმოსავლეთის" დიდი ნაწილი მდ. არაქსით შემოსაზღვრული, მაგრამ ბიზანტია ქართველებს უთმობს „ალმოსავლეთს" არა საკუთარი სურვილის გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს მიწები მართლაც ქართველთა მიერ „ხმლით ნაშოები" ქვეყნებია და ქართველთა რეალური პოზიციებიც აქ ჯერჯერობით უფრო ძლიერი ჩანს, ვიდრე ბიზანტიისა; ისე კი აქვე ალსანიშნავია. რომ თუმცა ბიზანტია ქართველებს „ანებებს" „ალმოსავლეთის" ერთ ნაწილს, მაგრამ ამასთანავე აშკარად ქმნის იმის გარანტიასაც, რომ მათ ისინი არ ჰქონოდათ მუდმივ, ე. ი. სამემკვიდრეო საკუთრებად.

მართლაც, ხომ შეიძლება, რომ მომავალში ბიზანტიამ უფრო მოიკიდოს ფეხი ამ მხარეში, რისთვისაც აუცილებლად დასჭირდება იურიდიული არგუმენტაცია ამ მხარეთა დასაპატრონებლად? ეს არგუმენტი შეიძლებოდა ყოფილიყო ბიზანტიელ-ქართველთა ხელშეკრულებაში აღნიშნული ის თეზისი, რომლის თანახმადაც ქართველებს არ ჰქონდათ უფლება ალმოსავლეთის მიწები მუდმივ საკუთრებად ჰქონოდათ.

ჩვენი აზრით, ზემოთ მიმოხილული ბოძების ანალოგიით შეიძლება წარმოვიდგინოთ დავით კურაპალატისადმი ბიზანტიის მიერ ტერიტორიული დათმობებიც 978 წლისათვის.

ამასთან დაკავშირებით, დავიწყოთ იმის გახსენებით, რომ X საუკუნის პირველი ნახევრის ცნობების მიხედვით ქართველებს ესათუის მხარე ჩვენთვის ცნობილი წყაროებით დროებით საკუთრებად აქვთ გადაცემული. ჩვენ უეჭველად ვიცით ასეთსავე ბოძებაზე X საუკუნის 60-იან წ. წ. როგორც უკვე ვთქვით კიდევაც, მაგრამ ცნობის სიმოკლის გამო მასში ვერაფერს ვიგებთ მფლობელობის ვადის შესახებ. სამაგიეროდ კარგად ვიცით, რომ 978 წლის ბოძებაც დროებითი, სიცოცხლის ვადით იყო.

ახლა თუ გავაგრძელებთ დავით დიდისათვის 978 წლის ბოძების შინაარსში ჩაწვდომას წინა ბოძებების შინაარსის მიხედვით, ალმოჩნდება, რომ ახლაც ბიზანტია დავით დიდს „აძლევს" „ალმოსავლეთს", რომელთა ნაწილს დავითი წინაპართაგან ფლობს. ამის სანაცვლოდ დავითი წინაპრების მსგავსად ებრძვის

იმპერიის მტერს, კერძოდ ბარდა სკლეროსს და მისი დამარცხებით იმპერიის მთელ რიგ პროვინციებსაც კვლავ ბიზანტიის იმპერატორების ხელში აბრუნებს.

წინაპართა მსგავსად დავითი, როგორც ბიზანტიის მოხელე იბრძვის მანაზკერტისა და მისი მეზობელი მხარეების ხელში ჩასაგდებად[40] და ამავე დროს თავისი წინამორბედების მსგავსად ყველაფერს, რასაც დაეპატრონება, თავის მუდმივ საკუთრებად უპირებს ქცევას.

ნათქვამიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ 978 წლის ბოძებაც სტრუქტურული თვალსაზრისით წარმოადგენდა ადრინდელი ბოძებების, ამ ბიზანტიელ-ქართველთა ურთიერთობის მარეგულირებელი ღონისძიებების რატიფიკაციას, რომელიც გარკვეულ მომენტში სათანადოდ შეესაბამებოდა როგორც ბიზანტიის, ასევე ქართველთა მხარის ინტერესებსაც.

მაშასადამე, 978 წლის აქტით ბიზანტია დავით დიდს აღმოსავლეთს უთმობდა გავლენის სფეროდ. სცნობდა დავითის უფლებებს ამ მხარეში, ოღონდ რა თქმა უნდა, დროებით. გავლენის სფეროდ მიცემა კი გულისხმობს იმ მხარეების დათმობას, რომელიც მბოძებელს რეალურად ეკუთვნის და რომელსაც იგი მომავალშიც დაეპატრონება.

აქვე, ბუნებრივია, შენიშნულ იქნეს, რომ X საუკუნის ეს ბოძებები დროდადრო გულისხმობდნენ ამ გავლენის სფეროების ხან გაფართოებას, ხან კი შეზღუდვას, იმისდამიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა პოლიტიკურ ძალთა განლაგება ბიზანტიელ-ქართველთა ურთიერთობებში საერთოდ და აღმოსავლეთის საკითხში კერძოდ.

რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, იქიდანაც ჩანს, რომ 978 წელს ბიზანტია ქართველთა ხელში გადასაცემად გაცილებით დიდ ზონას გულისხმობდა, ვიდრე წინა პერიოდის აქტებში. თუ, მაგალითად, წინა პერიოდში ქართველებს ეძლეოდათ არაქსის ჩრდილოეთი, ახლა 978წ. მათ გაცილებით დიდი ტერიტორია ეძლევათ, თვით ჰარქი და აპაჰუნიქიც კი, ე. ი. ფაქტიურად — მთელი „აღმოსავლეთი".

ამის შემდეგ დაგვრჩენია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად საკმაოდ შეზღუდული უფლებებისა, დავითი მაინც არ გრძნობდა თავის თავს შებოჭილად და ძველი პოლიტიკური სტრატეგიის მიდევნებით „აღმოსავლეთს" მუდმივ საკუთრებაში მოქცევასაც ისახავდა მიზნად.

მისი ასეთი განწყობილება კარგად გამომჟღავნდა იმ შინაფეოდალური ომის დროს, რომელიც გაჩაღდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტის ირგვლივ ბარდა ფოკას ცნობილი აჯანყების დროს 989 წელს.[41]

ამ აჯანყების დროს დავით დიდმა ფოკას მხარე დაიკავა.[42]

ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით დავითის გეგმებზე ამ დროს, მაგრამ თუ საერთოდ ეპოქასა და თვით დავითის პოლიტიკურ ფიზიონომიას გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ მას, ეტყობა, იმ ხანებში ეჭვი არ ეპარებოდა ბარდა ფოკას საბოლოო გამარჯვებაში და იმის მომხრეობას რჩებოდა, ვისაც მისი აზრით, მომავალი ყველაზე უფრო მეტად ამზადებდა იმპერიის ტახტზე ასასვლელად.

დავითისნაირი რეალისტისათვის ეს იყო ერთადერთი შესაძლებელი არჩევანი, მაგრამ ყველაფერი ბარდა ფოკას დამარცხებამ შეცვალა და დავით დიდიც იძულებული გახდა პასუხი ეგო — „ღალატისათვის": მან ხომ იმპერატორის მტერთან შებრძოლების ნაცვლად მოყვრობით გამოიჩინა თავი?

დავით დიდის საქციელზე ბარდა ფოკას აჯანყების ჩავარდნის შემდეგ საგანგებოდ უყვება იაჰია ანტიოქიელი. იგი წერს: ბასილი II განრისხებული დარჩა დავითზე, რადგანაც იგი ბარდა ფოკას მიემხრო, ამიტომ ბასილიმ „გააგზავნა მხედრები მასთან (ე. ი. დავითთან) საბრძოლველად ერთი პატრიკიოსის, სახელად ჯაურუსის სარდლობით და გაემართა იგი ბაგრატის ძმებზე და მოჰკლა უფროსი მათგანი, ხოლო უმცროსი გადაასახლა. და ითხოვა დავითმა, ქართველთა მეფემ, მეფე ბასილთან შენდობა თუ პატიება და აღუთქვა მას მორჩილება" და „რომ მისი სამფლობელოები მისი სიკვდილის შემდეგ შეერთებული იქნებიან მის (ბასილის) სახელმწიფოსთან, ვინაიდან იგი ღრმა მოხუცი და არა ყავს არც შვილი და არც სხვა მემკვიდრეები, და ემუდარებოდა მეფეს ნება დაერთო გაეგზავნა მასთან თავისი წარჩინებულები მის კარზე, რათა მეფეს შესძლებოდა (მათგან) ფიცი აეღო და დაევალდებულებინა, რომ ისინი ჩააბარებენ ქალაქებს მათი ხელმწიფის სიკვდილის შემდეგ. და მოეწონა მისი ეს საქციელი მეფე ბასილის და იგი გახადა კურაპალატად და გაუგზავნა მას ძვირფასად შემკული ტანსაცმელი. და მან ჩაიცვა იგი და ბრძანა მის ქვეყანაში ელოცათ მეფე ბასილიზე".[43]

იაჰია ანტიოქიელის ეს ჩვენება ერთადერთი შედარებით ვრცელი ცნობაა დავითის განწყობილებათა წარმოსადგენად ბარდა ფოკას დამარცხების შემდეგ, ამიტომაც მკვლევარები იძულებული ხდებიან არსებითად ამ ცნობით წარმოიდგინონ ხოლმე დავით დიდის სამფლობელოთა იურიდიული სტატუტი X ს-ს 90-იანი წწ. შემდეგ.

აქედან გამომდინარე, ლიტერატურაში დამკვიდრდა ტრადიცია — მითითება, რომ ფოკას

დამარცხების შემდეგ დავით დიდმა განაცხადა, როცა იგი მოკვდებოდა, მისი როგორც უძველესი და უმემკვიდრეოს სამფლობელოები ბიზანტიას უნდა გადასცემოდა.[44]

მაგრამ გვაქვს კი უფლება იაჰია ანტიოქიელის ცნობაში ყველაფერი ჭეშმარიტებად მივიღოთ და სხვა ინფორმაციებისაგან იზოლირებულად შევიმეცნოთ.

ვფიქრობთ, რომ არა.

ასე, მაგალითად იაჰია ანტიოქიელის მიხედვით დავითს კურაპალატობა ებოძა ბასილი II-სთან შერიგების დროს. იქნება ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ, თუ ეს ასეა, იგი უნდა ყოფილიყო დავითის ხელახალი გაკურაპალატება, თორემ დავითი რომ კურაპალატად ჯერ კიდევ X ს-ს 70-იანი წლებიდან იყო, ეს ფაქტი ძნელია ეჭვს იწვევდეს.[45]

გარდა ამისა, იაჰია ანტიოქიელის ცნობების მექანიკური გამეორების შემთხვევაში ძნელი გასაგები ხდება სხვა მოვლენები. მაგალითად, ის, რომ ერთი მხრივ დავით დიდი თავისი სამფლობელოს საბოლოო მემკვიდრედ ბიზანტიას აცხადებს, მეორე მხრივ კი 90-იანი წლებისათვის მედგრად იბრძვის ჯერ კიდევ 978 წელს ნაბოძები მიწების ერთი ნაწილის, ჰარქისა და აპაჰუნიქის მხარეთა შემოსამტკიცებლად. იაჰია ანტიოქიელის ცნობის პირდაპირი აღქმის შემთხვევაში უცნაური არ იქნებოდა განა იმის ფიქრი, რომ დავითი თავისი მოლაშქრეების სისხლს ღვრიდა იმ ტერიტორიების ასაღებად, რომლებიც მისი აზრით ფატალურად იყვნენ განწირულნი ბიზანტიის მფლობელობაში გადასასვლელად? დავითის ეპოქის ადამიანის, მითუმეტეს დავითისგან ასეთი რამ ხომ პირდაპირ მოულოდნელი იყო.[46] გარდა ამისა, თუმცა დავით დიდს არ ჟავდა ძე, რასაც იაჰია ანტიოქიელი განსაკუთრებით უსვამს ხაზს დავითის სურვილების გადმოცემისას, მაგრამ მემკვიდრეებით იგი სრულიადაც არ იყო ღარიბი. ცნობილია, რომ დავითი თავის შვილად და მემკვიდრედ კარგა ხანია ბაგრატ III მიიჩნევდა,[47] იმ ბაგრატს, რომლის შტოც შემდეგში დიდხანს აცხადებდა პრეტენზიებს დავითის მემკვიდრეობაზე. ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, როგორი ენერგიით იბრძვის დავითი 90—იან წწ. 978 წლის ნაბოძები მხარეების ერთი ნაწილის შემოსამტკიცებლად, არ ვიქნებით შემცდარი თუ ვიფიქრებთ, რომ ბარდა ფოკას დამარცხების შემდეგაც კი დავით დიდი თავის რეალურ და უახლოეს მემკვიდრეებად კვლავ ქართველ ბაგრატიონებს თვლიდა, ბიზანტია კი, მისი აზრით, საკურაპალატოს ისეთივე მესაკუთრე იყო, როგორც წინა პერიოდში.

მაგრამ, მეორე მხრივ, მაინც რას უნდა ნიშნავდეს იაჰია ანტიოქელის ცნობის დეტალი, რომ ბასილი II და დავით ტაოელის შერიგებას თან ახლდა ამ უკანასკნელის განცხადება, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელოები ბიზანტიას გადაეცემოდა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე ჯერ გასარკვევია, თუ რომელ სამფლობელოებზე შეიძლებოდა საუბარი დავითის ანდერძში, იმაზე, რომელიც დავითს ადრიდანვე ბიზანტიის მიერ ბოძების პრინციპებით ჰქონდა მიღებული, თუ იმაზე, რომელსაც იგი მემკვიდრეობითი წესით ფლობდა?

ლიტერატურაში ამ საკითხზე ორი თვალსაზრისია გამოთქმული. ერთის მიხედვით, დავითი ამ ანდერძით გულისხმობდა მთელ თავის სამფლობელოებს;[48] ვ. კოპალიანის მტკიცებით, ეს იქიდან უნდა ჩანდეს, რომ დავითი თავისი „ანდერძით“ ერთგვარად „ებოდიშება“ ბიზანტიას, იგი „ისჯება“ ბიზანტიის მიერ და დროებით მფლობელად იქცევა; რა ტერიტორიების? უეჭველია, მის ხელში მყოფი ყველა მიწების (როგორც სამკვიდრო, ისე ნაბოძების), თორემ მარტოოდენ ნაბოძებ მხარეებს დავით დიდი ისეც დროებითი მფლობელობის წესით ფლობს. ამიტომ ანდერძიც მარტო ნაბოძებ მხარეს რომ ასახელებდეს, გამოვა, რომ ბიზანტიის მხრივ დავითი არაფრით არ ისჯება.[49]

ლოგიკური მსჯელობაა, მაგრამ ერთ გარემოებას არ ითვალისწინებს: იმას, რომ დავითი ჭირვეული პოლიტიკოსია და თუმცა ოფიციალურად მიწების ერთ ნაწილს ნაბოძები სახით ფლობს, მაგრამ პრაქტიკულად მათ მემკვიდრეობით საკუთრებად უყურებს; ამიტომ, 991 წლის მძიმე სიტუაციაში იმის აღიარება, რომ იგი ნაბოძები მხარეების დროებითი მფლობელია, დავითს, როგორც დასჯილს, ისე წარმოგვიდგენს. ამიტომ ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია ს. ჯანაშიას აზრი,[50] რომლის მიხედვითაც დავითი თავის ანდერძში გულისხმობდა სწორედ ნაბოძებ ზონას. ამას შემდეგი გარემოება უნდა ცხადყოფდეს. XI ს-ს დამდეგისათვის, როცა საქართველოსა და ბიზანტიას შორის ატყდა ომი დავითის მემკვიდრეობის ირგვლივ, თავდაპირველად თვით ბიზანტია დავითის სამფლობელოებს ორნაირი თვალსაზრისით უდგებოდა. გარდაიცვალა თუ არა დავით დიდი (+1000) ბასილი II საგანგებოდ გამოემართა დავითის მემკვიდრეობის დასაკავებლად, რაც აასრულა კიდევაც. სწორედ ამ დროს ბასილისთან გამოცხადდნენ გურგენ მეფეთა-მეფე (+1008) და ბაგრატ III (+1014), უეჭველია, დავითის მემკვიდრეობის მიღების მიზნით, მაგრამ მათ არაფერი გამოუვიდათ — ტერიტორიები ვერ მიიღეს.[51] მაშინ, გარკვეული დროის შემდეგ, 1001 წელს გურგენმა ძალით სცადა დავითის სამფლობელოების დაკავება, ოლთისს შემოადგა, მაგრამ ვერც ის და ვერც სხვა რამე ვერ აიღო. ამ დროს მაგისტროს კანიკლმა გურგენს აღუთქვა, რომ კეისარი გურგენის სურვილს აასრულებდა, თუ იგი მშვიდობას ჩამოაგდებდა. გურგენი და ბიზანტიელები დაზავდნენ.[52]

საფიქრებელია, ზავი იმ პირობით დაიდო რომ გურგენ—ბაგრატის ხაზს რაღაცა მაინც მიეცა დავითის მემკვიდრეობიდან ბიზანტიის მიერ. ამას ადასტურებს ბასილი II—ის ცნობილი სიტყვები, რომლითაც არისტაკეს ლასტივერტელის მიხედვით იგი გიორგი I-ს (1014—1027 წწ.) მიმართავს: „თავი დაანებე ყველაფერს (იგულისხმება დავითის სამფლობელოები) და იმითი დაკმაყოფილდი, რაც მე მამაშენს ვუბოძე“.53

ჩვენი აზრით, „ყველაფრად“ ის მიწები იგულისხმება, რომელსაც დავით დიდი „ნაბოძების“ სახით ფლობდა. ამას გვაფიქრებინებს სუმბატ დავითის-ძის „ქრონიკის“ ცნობა, რომ გიორგი I-ის დამარცხების შემდეგ ბიზანტია-საქართველოს დიდ ომში ბასილიმ აიღო „ციხენი პირველ ბოძებულნი და უკანის ათოთხმეტნი და ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატს ტაოს, კოლა-არტანს და ჯავახეთს 54 ჩვენი გაგებით, ამ ტექსტში ნათქვამია, რომ ბასილიმ აიღო ყველაფერი, ციხენი პირველად ანუ ადრე ჰქონდა ბოძებული ქართველებისათვის, ჩვენი გაგებით, გურგენ—ბაგრატისათვის, ან საერთოდ მათი წინაპრებისათვის და ისინიც, რომლებისთვისაც მას მანამდე ხელი არ ჰქონდა ნახლები. ესენია მიწები, რომლებიც დავით დიდს ჰქონდა კოლა—არტანსა თუ ჯავახეთში. ადრე, როცა დავითი გარდაიცვალა, ბიზანტიამ ამ მიწებს ხელი არ ახლო, ვინაიდან ისინი ბაგრატიონთა ძირძველი სამფლობელოები იყო, ბიზანტია კი მიზნად ისახავდა ნაბოძები მიწების დაკავებას. ახლა კი, როცა ბიზანტია—საქართველოს დიდ ომში გიოოგი დამარცხებული იყო, ბიზანტიას მადა გაეზარდა და დავითისათვის ნაბოძებ მხარეებთან ერთად მისი სამკვიდრო მიწებიც მიისაკუთრა.

როგორც ვხედავთ, წყაროებიდან თითქოს კარგად ირკვევა, რომ ბასილი II დავითის სამფლობელოებს ორ ზონად წარმოიდგენდა. ერთს დავითი სამკვიდროდ ფლობდა, მეორეს კი ნაბოძებად და იმპერიის პრეტენზიებიც სწორედ ამ უკანასკნელებს უტრიალებდა. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ დავითის იმ „ანდერძში“, რომლის შესახებაც იაჰია ანტიოქიელი გადმოგვცემს, სწორედ ეს ნაბოძები მხარეები უნდა ყოფილიყო ნაგულისხმები. მაშასადამე, „ანდერძში“ დავითი აღიარებდა, რომ იგი ნაბოძები მხარეების მუდმივი კი არა, არამედ დროებითი მფლობელია, რასაც არისტარკეს ლასტიკერტელიც მოწმობს,55 მაგრამ ყოველივე ეს იურიდიული ნორმის თვალსაზრისით არაფერ ახალს არ წარმოადგენდა, ვინაიდან ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ დავითიც და მისი წინაპრებიც თავიანთ ნაბოძებ მიწებს ადრეც დროებით საკუთრებაში ფლობდნენ. ასე განსაზღვრავდა ამ ფლობის შინაარსს ბიზანტიის მხარე. მეორე მხრივ კი იგივე ქართველები საკმაოდ აქტიურად იბრძოდნენ დროებით მიღებული მხარეების გამკვიდრებისათვის, რაც X ს-ს მთელ სიგრძეზე უთანხმოებებს წარმოშობდა ბიზანტიას და ქართველებს შორის. საუბარს აღარ გავაგრძელებთ იმ მიმართულებით, თუ რა აიძულებდა ან ერთ, ან მეორე მხარეს ასეთი წინააღმდეგობების მიუხედავად მაინც ეთანამშრომლათ ერთმანეთთან, შევნიშნავთ კი, რომ დავით დიდიც ზემოთმიმოხილული ურთიერთობების ჩარჩოებში ცდილობდა თავის სახელმწიფოს შენარჩუნებას თუ გაფართოება-გაძლიერებას; მაგრამ თუ მისი წინამორბედები ხელსაყრელი ობიექტური მიზეზების მეოხებით პროდუქტიულად ახერხებდნენ თავის მიზნების განხორციელებას. ახლა სხვა დრო იდგა.

საქმე ისაა, რომ ადრე ბიზანტია ფრთხილად მოქმედებდა და ერთგვარი ტოლერანტიზმით ექცეოდა თავის აღმოსავლელ კოლეგებს — ქართველებსა თუ სომხებს, რომელთა მხარდაჭერასაც იგი სათანადოდ საჭიროებდა არაბობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

X ს-ს მიწურულიდან კი ბიზანტია, მძლავრად რომ დაისადგურა აღმოსავლეთში, უკვე კავკასიელი პარტნიორების გარეშეც ახერხებდა თავის გატანას და მოკავშირის მაგიერ დამპყრომლად იქცა.56

ტარონი, ტაო, ვასპურაკანი, ანი თუ სხვა — ყველანი ბიზანტიის იმპერიის გეგმებში დასაპყრობ მხარეებად იქცეოდნენ და როგორც ცნობილია, იქცნენ კიდევაც. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის საიმპერატორო კარის მესაჭეები წინა ეპოქის მსგავსად აგრერიგ იოლად ველარ ჩაყლაპავდნენ თავიანთი აღმოსავლელი „კოლეგების“ თვითნებობას და აკი ამიტომაც იყო, რომ ახლა იმპერიამ მისთვის ისეთი „ახლობელი კაციც“ კი აღარ დაინდო, როგორიც დავით დიდი იყო, დაამარცხა და დააშინა კიდევაც იგი.

ბიზანტიამ ახლა კატეგორიული ფორმით აიძულა დავითი თვითონვე ეღიარებინა, რომ იგი, დავითი, თავისი სამფლობელოების დროებითი მფლობელია. აღიარებინა ის, რასაც მისი წინაპრები და თვითონაც ადრე დაჟინებით უარყოფდნენ.

დავითის პოლიტიკური კურსისათვის ეს ამბავი დიდი მარცხი იყო, ბიზანტიის ექსპანსიონიზმისთვის კი წარმატება. ბიზანტია ხშირად მიმართავდა აღმოსავლეთში ანალოგიურ ღონისძიებებს, ჯერ გულმოდგინედ აგდებდა მძიმე მდგომარეობაში თავისი „მოკავშირეებს“, აიძულებდა დროებით მფლობელებად გამოეცხადებინათ თავი და ბიზანტიისათვის ეანდერძებინათ თავიანთი ქვეყნები, შემდეგ კი, როცა ეს დროებითი მფლობელები გარდაიცვლებოდნენ, ბიზანტია „კანონიერი“ გზით ეპატრონებოდა მათ სამფლობელოებს. ასე მოიქცა ბიზანტია, მაგალითად, ანის სამეფოს მიმართ. ჯერ მან დიპლომატური თუ ძალისმიერი მეთოდებით აიძულა ანის მეფე იოანე-სუმბატ II დროებით

მფლობელად გამოეცხადებინა თავი, შემდეგ კი „კანონიერად“ შეუდგა ანის დაპყრობას. სწორედ ამიტომ წერს კ. თუმანოვი: რომ, ანის მეფე იოანე-სუმბატ II-მ „გაიმეორა დავით II ტაოელის შეცდომა“. დაშინებულმა ბასილი II-ის რეპრესიებით, რადგანაც მან მხარი დაუჭირა საქართველოს მეფე გიორგი 1-ს, 1022 წელს, იმპერატორს აცნობა, რომ იგი, იმპერატორი მისი მემკვიდრე გახდებოდა. მართლაც მისი სიკვდილის შემდეგ, 1040 წ. იმპერატორმა მიხაილ IV დაიწყო ბრძოლა თავისი მემკვიდრეობისათვის, ე. ი. ანისთვის, რაც ანის ანექსიით დამთავრდა.[57]

შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად „ანდერძის“ შემდეგ დავითი კვლავ ძველებურად აგრძელებდა ცხოვრებას და, უეჭველია, იმედოვნებდა თავისი სამფლობელოებისთვის ძველებური სტატუტის შენარჩუნებას, მაგრამ ძველებურადვე მოახერხებდა თუ არა იგი ლავირებას, სათუო იყო, ვინაიდან ახლა ბიზანტიას სხვა პოზიციები ჰქონდა აღმოსავლეთში.

გარდაიცვალა თუ არა დავით დიდი, ბასილი II მრავალრიცხოვანი მხედრობით გამოემართა კავკასიისაკენ და ხელი მიჰყო გარდაცვლილის სამფლობელოების დაუფლებას. თავის ნაბიჯს ბასილი უეჭველია იმით ამართლებდა, რომ იგი იყო ხსენებული სამფლობელოების საბოლოო მესაკუთრე, რასაც თვით დავით დიდიც აღიარებდა.

## ლიტერატურა

1. Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию-писателя XI столетия-переведена с армянского и объяснена Н. Эминым. М. 1864, стр. 135.

2. იქვე.

3. გიორგი მთაწმინდელი. ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. 11 (XI-XV სს), ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. თბილისი 1967. გვ. 48.

4. Асохик, стр. 135.

5. ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი... გვ. 48.

6. შ. ბადრიძე. კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მოხსენებული ერთი ადგილის ლოკალიზებისათვის. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI-XVII. თბ., 1972. გვ 364-378.

7. ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, წ. IV, ნაკვ. II. თბ., 1952, გვ. 271.

8. ვ. კოპალიანი. საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წწ. თბ., 1969. გვ. 23-24.

9. სუმბატ დავითის-ძე. ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება. ტ. 1. გვ. 384-385. მატიანე ქართლისა. ქ. ცხ. 1. გვ 228.

10. იქვე. გვ. 288, 384-385.

11. N. Adontz. Thornik le moine. Byzantion, 1938, m XIII, p. 150-151.

12. А. Н. Тер-Гевондян. Арабские эмираты в Армении при Багратидах. Краткие сообщения института народов Азии. 47. 1961, стр. 74.

13. N. Adontz. p. 150.

14. С. Джанашиа. Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского «Архитектура древней Армении». Тб., 1947. стр. 28—29. Н. Ломоури, К истории восстания Варды Склира, თსუ შრ., ტ. 67. 1957. გვ. 32. Н. Асатиани, В. Копалиани, Ш. Месхиа, Э. Хоштария. Некоторые замечания ко второму тому «Истории Византии». Вопросы Истории 1969 № 9, стр. 179—180. ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორია. ნაწ. 1. თბილისი. 1946. გვ. 158.

15. N. Adontz. დასახ. ნაშრ. გვ. 150.

16. იქვე. გვ. 150.

17. იქვე. გვ. 150-151.

18. იქვე. გვ. 151.

19. იქვე. გვ. 150.

20. N. Adontz. გვ. 151.

21. იქვე. გვ. 152.

22. ასევე ეპარება ეჭვი ნ. ადონცის თვალსაზრისში კ. იუზბაშიანსაც, თუმცა რა არგუმენტებით, არა ჩანს. К. Юзбашян. Аристакэс Ластивертци и его историчесий труд, წიგნში «Повествование вордапета Аристакэса Ластивертци. Перевод с древнеармянского. К. Н. Юзбашяна. Москва, 1968, стр. 20.

23. М. В. Левченко. Произведение Константина Багрянородного как источник по истории Руси в первой половине X в. Византийский Временник. 1953, т. VI, стр. 29.

24. გეორგიკა. IV II გვ. 254.

25. იქვე. გვ. 248-254.

26. ნ. ადონცის მიხედვით ჩორმაირისა და ხალტო-არიჯის დავით კურაპალატისადმი კუთვნილება იქედანა ჩანს, რომ ასოღიკი დავითის ვასალის თორნიკე დიდის ძმებს იხსენიებს ხალდის მთავრებად, უეჭველია, ჩორმაირისა და ხალტო-არიჯის ხალდიასთან მეზობლობის გამო (N. Adontz. გვ. 151), მიუხედავად ამისა, როდიდან უნდა ვიგულისხმოთ ისინი ქალდიის მთავრებად, 978 წლამდე. თუ მის შემდეგ, არა ჩანს. ასევე ინფორმაცია გვაკლია იმაზეც, ხელი მიუწვდებოდა თუ არა დავითს სევუქის ციხეზე 978 წლამდე.

27. კ. კეკელიძე. ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში. ეტიუდები ძველი ქარ-

თული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV. თბ. 1957. გვ. 92.

28. ასე, მაგალითად, კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ დავითი გაკურაპალატდა 961 წელს და ამავე დროს ამ პატივთან ერთად ბიზანტიის მიერ მიეცა თავისი ქვეყანა, რაც აისახა კიდევაც „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრების“ ცნობებში დავითისათვის „ზემო ქვეყნების“ პირველი ბოძების შესახებ. (კ. კეკელიძე დასახ. ნაშრ. გვ. 32); მაგრამ როგორც წყაროები ადასტურებენ, დავითი გაკურაპალატდა X საუკ. 70-იანი წწ. ბოლოს (ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. თბ., 1949. გვ 170), „ზემო ქვეყნების „პირველ“ „ბოძებას“ კი ადგილი ჰქონდა ნიკიფორე ფოკას (963-969) დროს. ასე რომ გაკურაპალატება და ქვეყნის ბოძება ერთდროული აქტები არაა.

29. პ. ინგოროყვა — გიორგი მერჩულე. თბილისი. 1954. გვ. 524-525.

30. ვ. კოპალიანი. საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა... თბ. 1969. გვ. 36.

31. К. Юзбашян. Аристакэс Ластивертци и его исторический труд, стр. 20. М. Д. Лордкипанидзе. Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X—XI вв. კრებულში „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, 11, თბ., 1972. გვ. 34.

32. შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან (ცენტრალური ხელისუფლება). თსუ შრომები. ტ. 1965. გვ. 253-267.

33 იქვე.

34. გეორგიკა. IV. II. გვ. 267-268.

35. იქვე.

36. იქვე. გვ. 268.

37. იქვე. გვ. 269.

38. იქვე გვ. 263-266.

39. იქვე. გვ. 271-272.

40. Асохик. стр. 191-196.

41. ამ აჯანყების შესახებ История Византии, т. 2. изд. Наука. М., 1968, стр. 219.

42. ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II. გვ. 128.

43. В. Р. Розен. Император Василий Болгаробойца. Извлечение из летописи Яхи Антиохийского, 1883, стр. 27.

44. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 128. С. Джанашиа. Об одном примере... გვ. 29. აგრეთვე სხვა ავტორებთან.

45. ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. თბ., 1949, გვ. 170.

46. N. Adontz. p. 152.

47. მატიანე ქართლისა. გვ. 272-275.

48. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტ. II, გვ. 126.

ეროვნული

49. ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. გვ. 67.

50. С. Джанашиа. Об одном примере, стр. 29.

51. ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია. წ. II. გვ. 128.

52. Асохик... стр. 202.

53. Повествование Аристакэса Ластивертци, стр. 58.

54. სუმბატ დავითის-ძე, ქ. ცხ. ტ. I. გვ. 384-395.

55. C. Toumanoff. The Backround to Mantzikert, Proceedings of the XIII-th International. Congress of Byzantine Studies (London, 1967), 425.

56. იქვე.

P. S თვალსაზრისს, რომ 978 წელს ბიზანტიამ დავით დიდს გავლენის სფეროდ (-დროებით) უბოძა არა გარკვეული მხარეების (ზემო ქვეყნების) დაპყრობის მარტოოდენ უფლება, არამედ იმისი ერთი ნაწილიც, რაც მას რეალურად ეკუთვნოდა, აშკარად დასტურდება ქართული ისტორიოგრაფიისათვის ახლად შეძენილი წყაროს, ე. წ. ესკორიალური ტაქტიკონის მონაცემებით. ტაქტიკონში, რომელიც შედგენილია 971 და 975 წლებს შორის, თუ გვიან, 979 წელსN. Oikonomidis. L'Organisation de la frontière orientale de Bycnce aux X-e–X,-e siècles et le taktikon de l'Escoriarl, XI -e Congres international des études byzantines, Bucharest. 6–12 sept. 1971. Rapp. II. p. 73.

ე. ი. 978 წლის ბოძებათა დროზე ან ადრე, მის ახლო ხანებში, ჩამოთვლილია ის პუნქტები, რომლებიც ბიზანტიის საკუთრებაშია მოქცეული. ამათ შორის მოხსენიებული არიან: ა (ხაუციცინ -Χαυζιζίου;- ჰავაჭიჭი) ბინგოლ დაღის სანახებში; დაპყრობილ იქნა 940 წლის შემდეგ; ბ. (მელტი- Μελτῆς) (ციხე-სიმაგრე, რომელიც მდებარეობდა IV არმენიისა და დურუპერანის ფარგლებში; შესაძლოა ეს ის ციხე-სიმაგრეა, რომელიც X ს-ში წოდებულია მარდალის ან სევუქის სახელით და მდებარეობდა მელედუმ-ის (დღევანდელი ტეკმან?) წინ; გ) თეოდოსიუპოლი; დ) (არტსე Ἄρτζες) თანამედროვე სოფელი არზი თუ არდი თეოდოსიუპოლის აღმოსავლეთით 55 კმ. ახლოს, ფასიან-ბასიანში, არაქსის მარცხენა ნაპირზე (იხ. N. Oikonomidis. დასახ. ნაშრ. გვ. 81). ყველა ესენი ის მხარეებია, რომლებიც ბიზანტიამ 978 წელს გადასცა დავითს, უეჭველია — თავისის რეალური საქონებლიდან და ამასთანავე — დროებით, ვინაიდან მათზე ხელი ბიზანტიას ამის შემდეგაც არ აუღია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*თამარ ნუცუბიძე*

# სინამდვილისა და ოცნების ორთაბრძოლა

ირლანდია!.. ამ სიტყვის ხსენება ჩვენში ნისლში ჩაფლული ველებისა და უსაზღვრო სევდით აღსავსე კლდოვანი ნაპირების ასოციაციებს იწვევს. გვახსენდება ისიც, რომ ამ ქვეყნის ხალხი საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობას გადასცემდა იარაღს ინგლისელ დაპყრობლებთან საბრძოლველად. ქართველი კაცი უთუოდ სიამაყით იხსენებს იმ ფაქტს, რომ ილია ჭავჭავაძემ „ივერიის" ფურცლებზე მრავალ წერილში მხურვალე მხარდაჭერა გამოუცხადა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ირლანდიელ ერს. ბევრმა კარგად იცის, რომ ინგლისური ლიტერატურის არაერთი დიდოსტატი, მათ შორის გენიალური სვიფტი, ახალი ინგლისური დრამატურგიის სიამაყენი — ოსკარ უაილდი და ბერნარდ შოუ წარმოშობით ირლანდიელები არიან. ჯოისის „ულისეში" სტივენ დედალუსი პოლემიკურ სიცხარეში ლამის იმ აზრს ასაბუთებს, რომ ინგლისური ლიტერატურა თითქმის მთლიანად ირლანდიელებმა შექმნეს. მართლაც, მოხდა ისე, რომ ისტორიული ავბედითობის გამო საუკუნეთა მანძილზე ირლანდიელი ერის შემოქმედებით გენიას იმდენად ირლანდიურ ლიტერატურაში არ უჩენია თავი, როგორც სხვა ერთა ლიტერატურაში; და მაინც, თვით ირლანდიურმა ლიტერატურამ საკაცობრიო მხატვრულ საგანძურში თავისი ისეთი წვლილი შეიტანა, რაც ღირსია იმისა, რომ მას გაცილებით უკეთ ვიცნობდეთ.

ირლანდიურმა ლიტერატურამ განსაკუთრებულ წარმატებებს ჩვენს საუკუნეში მიაღწია. აქ უპირველესად აღსანიშნავია ჯოისის პროზა. გარდა ამისა, იეიტსი — ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში — ყველა ჟანრში მოღვაწეობდა, მაგრამ მსოფლიო სახელს იგი თავის პოეზიას უნდა უმადლოდეს. მისი როლი ირლანდიურ პოეზიაში დაახლოებით ისეთივეა, როგორიც გალაკტიონ ტაბიძისა ქართული ლექსის ისტორიაში. საყოველთაოდ ცნობილია სახელი შონ ო'კეისისა, რომლის დრამები იდგმება მთელი მსოფლიოს, მათ შორის ჩვენი ქვეყნის სცენაზეც.

ჯონ სინგი (1871-1909) აგრეთვე არის ირლანდიური დრამატურგიის დიდება და სიამაყე. დღეს ბევრმა არც იცის, ხოლო მათ, ვინც მომსწრეა ქართული თეატრის ახალი ეტაპის პირველი ნაბიჯებისა, უთუოდ კარგად ახსოვთ როგორი სიცოცხლე, რა ქეშმარიტი შემოქმედებითი გზნება მოიტანა ქართულ სცენაზე ჯონ სინგის ერთ-ერთი პიესის მარჯანიშვილისეულმა დადგმამ 1923 წელს. მას შემდეგ არ შენელებულა სინგის პიესების ტრიუმფი მსოფლიო სცენაზე. ამ დადგმებთან დაკავშირებულია სცენის მრავალი უნიჭიერესი დიდოსტატის სახელი, მათ შორის სახელი ბერტოლდ ბრეხტისა.

პარიზის ლიტერატურულ ბოჰემას სინგი

მაშინ გამოეთხოვა და მოევლინა თავის სამშობლოს, როცა ახლად ფეხმოკიდებული ე. წ. „თეატრალური მოძრაობის“ მესვეურები, მათ შორის სახელოვანი იეიტსი, ღია და ფარულ ბრძოლებს აწარმოებდნენ არა მხოლოდ საზოგადოების კონსერვატულ წრეებთან, არამედ ერთმანეთს შორისაც. მათი კამათი იმ დროს ძალიან მოგვაგონებს ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართულ თეატრალურ ცხოვრებას, როცა გაჩაღდა მწვავე პოლემიკა ეროვნული და უცხოური რეპერტუარის თანაფარდობისა და ახალი ევროპული დრამისადმი დამოკიდებულების გამო.

ირლანდიური აღორძინების სულისჩამდგმელნი კამათობდნენ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ირლანდიური დრამა, სიმბოლისტური თუ ნატურალისტური, რეალისტური თუ წმინდა ფოლკლორული, ევროპული ტიპისა თუ წმინდა „ეროვნული“. საქმე კიდევ იმით რთულდებოდა, რომ საჭირო იყო დაედგინათ რომელ ენაზე ეწერათ — ინგლისურზე თუ ძველ ირლანდიურზე. ეს საკითხი უმძაფრესი პოლემიკის საგანი გახდა. ამ დროისათვის ირლანდიაში მოსახლეობის უმრავლესობის ენას წარმოადგენდა არა ძველი ირლანდიური, არამედ ინგლისური ენის ირლანდიზებული ვარიანტი. მიუხედავად ამისა, ბევრი მოითხოვდა ძველი ენის გაცოცხლებას და ლიტერატურის დამორჩილებას ამ ამოცანისადმი. ამ ცხარე და მრავალფეროვანი კამათის დროს გამოჩნდა სინგი და თავისი პოზიცია გამოავლინა არა იმდენად თეორიული დეკლამაციებით, რამდენადაც მხატვრული პრაქტიკით.

პოზიცია ენის საკითხში სინგმა ორ უკიდურეს თვალსაზრისთა შორის მოძებნა. მან უტოპიად მიიჩნია ძველი ენის აბსოლუტური აღდგენის იდეა. შეუძლებელია ხელახლა დავბრუნდეთ დედის საშოში — ამბობდა იგი, მან აგრეთვე უმართებულოდ მიიჩნია ირლანდიური ლიტერატურისათვის ინგლისური ლიტერატურული ენის გამოყენება. სინგმა ირლანდიური დრამატურგიის ენად დასახა ის ირლანდიზებური ინგლისური ენა, რომელზეც ლაპარაკობენ მეთევზეები და მკალავები, გლეხები და უბრალო მუშები და საერთოდ ირლანდიელი ხალხის დიდი ნაწილი.

სინგის ყველა პიესას ყოველთვის თან ახლდა აურზაური, პრესის თავდასხმა და მძაფრი პოლემიკა და მხოლოდ ირლანდიური ერის ჭეშმარიტი ეროვნული და მხატვრული ამოცანების ცალკეული გამგებთა მხარდაჭერა და პატივისცემა. კონსერვატულად და რეაქციულად განწყობილი წრეების აზრით, სინგის პიესები ანტიპატრიოტული და ამორალური იყო.

სინგს სხვანაირად ესმოდა პატრიოტობა. მწერლის ამოცანად მას მიაჩნდა არა თავბრუდამხვევი კომპლიმენტები მშობლიური ერისადმი, არამედ მოწოდება ილუზიათა მსხვრევისაკენ და რეალობის სალი შეფასებისაკენ. „მე არ მწამს, — ამბობდა იგი, — ფანტასტიკური, არათანამედროვე, იდეალური, გაზაფხულივით საამო ეროვნული თეატრი... მე მგონია, რომ ირლანდია მხოლოდ მოიგებს, თუ ჩვენი მწერლები პირდაპირ და შეულამაზებლად ასახავენ ნამდვილი ცხოვრების ყველა მხარეს“.

სინგი არ ყოფილა იმ დროის გავრცელებულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა, იმ დროის რომელიმე უახლესი იზმის წარმომადგენელი, მაგრამ ამ მიმდინარეობათა ცალკეული დადებითი საწყისები მან ნაყოფიერად გამოიყენა თავის დრამებში. კერძოდ, ნატურალისტურმა დრამამ სტიმული მისცა სინგის დრამატურგიის დაახლოვებას თანადროულ მასალასთან. „აიღეთ თანამედროვე გარემო, დაასახლეთ იქ ცოცხალი ადამიანები და თქვენ მშვენიერ ნაწარმოებებს შექმნით“ — ზოლას ეს მოწოდება თავისებურად არის ხორცშესხმული სინგის პიესებში. სინგი პოეტურობას, სილამაზეს ყოველდღიურ ცხოვრებაში ეძებდა. დიდმა პოპულარობამ ზოლას თეატრისა, რომელსაც სინგი კარგად გაეცნო საფრანგეთში ყოფნისას, ზოლას თეატრის ინტერესმა სოციალური ქვედაფენებისადმი რამდენადმე განსაზღვრა ის თავისებურება, რომ სინგის ყველა პიესის გმირები ირლანდიის ხალხის ყველაზე დაბალი ფენების წარმომადგენლებია — მოხეტიალეები, მკალავები, ღარიბი გლეხები...

ამ სიახლოვემ ცოცხალ სინამდვილესთან, ჩვეულებრივი ადამიანების ჭირ-ვარამთან, უფრო ზომიერი და შემოქმედებითი გახადა სინგის ინტერესი იმ დროის სიმბოლისტური დრამისადმი, განსაკუთრებით მეტერლინკისადმი. სინგისთვისაც ახლობელია მეტერლინკის თეზა — „ტრაგიზმი ყოველდღიურობაში“, მაგრამ ეს იდეა სინგის პიესებში არაა ჰაერში გამოკიდებული. მეტერლინკის პიესებში და საერთოდ სიმბოლისტურ დრამაში ტრაგიზმი არსებობის პირობადაა მიჩნეული, ხოლო მისი გამომწვევი მიზეზები გონებისათვის მიუწვდომლად არის დასახული. „რა იციან ადამიანებმა?“ — კითხულობს მეტერლინკის ერთი პიესის გმირი და ამ კითხვას იგი უარყოფითად პასუხობს.

თუ რამდენად შემოქმედებითი იყო სინგის დამოკიდებულება ახალი ევროპული დრამისადმი, ეს თავისებურად ჩანს იმ ფაქტშიც, რომ თავის კრიტიკულ გამონათქვამებში იგი ხშირად განსაკუთრებული სიმძაფრით თავს ესხმოდა იბსენს, რომლის პიესებში, მისი აზრით, თავს იჩენს გაუმართლებელი დიდაქ-

ტიზმი და იდეური სქემები. „დრამა, როგორც სიმფონია, არაფერს არ ასწავლის და არაფერს არ ამტკიცებს. ანალიტიკოსები თავიანთი ღრმა პრობლემებით და მქადაგებლები თავიანთი მოძღვრებით ისევე მალე ძველდებიან, როგორც მოძველდა გალენის ფარმოკოპეა (საკმარისია გავიხსენოთ იბსენი და გერმანელი ავტორები)“ — ამბობდა სინგი. მაგრამ ეს კამათი იბსენთან, იმავე დროს, დიდი ნორვეგიელი დრამატურგისადმი შეუნელებელი ინტერესის გამოვლინებაც იყო. მართლაც, იბსენთან სინგს აახლოვებს დრამის აღნაგობაში არა სიუჟეტური ხაზის აქცენტირება, არა იმდენად სოციალური სინამდვილის კონკრეტული ნიშნების სიუხვე, არამედ გამძაფრებული ყურადღება ადამიანის სულისადმი, პერსონაჟთა შორის ურთიერთობისა და მათი ფსიქოლოგიური განწყობილების მდინარებისადმი.

სინგისათვის მთავარია ირლანდიური სინამდვილის ტრაგიკული მხარეების მიზეზთა შეცნობა. სინგი ეძებს გამოსავალს, ტრაგიზმის დაძლევის გზებს, ეძებს გზას სიკეთისაკენ. მართალია, კონკრეტულ გზებს იგი ზოგჯერ ვერ პოულობს, მაგრამ სიმბოლისტური დრამის მოდელიდან სინგმა მიიღო მაძიებელი, მეოცნებე სიმბოლური სახეები, რომლებიც სადღაც გაურკვეველი მიმართულებით მიდიან. ისინი, სინგის სიტყვებით, „გარე სამყაროში, ბუნების იდუმალ სამყაროში“ განაგრძობენ სიკეთისა და იდეალის ძიებას. სინგის მაძიებელი გმირები ყოველთვის ტოვებენ პრაქტიციზმის სამყაროს და ბუნების წიაღში პოულობენ თანაგრძნობასა და სულიერ სიმშვიდეს. თითქოს ბუნების ხმა ისმის სინგის ერთ-ერთი ასეთი მაძიებელი პერსონაჟის სიტყვებში, რომლებითაც იგი თავისი ბედით უკმაყოფილო ქალს მიმართავს: „წამომყევი და მოგასმენინებ წეროების ყივილს, როცა ისინი ნაცრისფერ ტბებს გადაუქროლებენ, მოგასმენინებ მწყერების ყივილსაც, კოდალების კაკუნს და თბილ დღეებში ტოროლას სიმღერას... გასაოცარ სიმღერებს მოგასმენინებ მზის ამოსვლისას“. ასეთი ამაღლებული პოეტური პათოსი იჩენს თავს ყოველთვის, როცა სინგის იდეალის მაძიებელი გმირები ბუნების შესახებ ლაპარაკობენ. სინგის პიესებში ბუნება სიმბოლოა იდეალისა და საეროოდ მთელ მის შემოქმედებას სდევს ეს თემა — ადამიანი და საიდუმლოებით მოცული ბუნება: „ჩემს დრამებში, — ამბობდა სინგი, — ვეცადე გამომეყვანა ადამიანი და მის ირგვლივ საიდუმლოებით მოცული ბუნების სამყარო“.

სინგის დრამატურგიულ სამყაროში საოცარი ძალის დაძაბულობა შემოაქვს შეჯახებას მაღალი ოცნებისა და სასტიკი რეალობისა.

ხდება თუ არა საბოლოოდ ოცნების ხორცშესხმა, თუ სინამდვილე ბოლოს მიწაზე ანარცხებს ადამიანის ფრთაშესხმულ ოცნებას?! ამის მოლოდინი განსაზღვრავს სინგის პიესების დრამატიზმსაც და მათ საერთო ხასიათსაც. ეს მოტივი ოცნებისა და სინამდვილის დაპირისპირებისა ყველა პიესაში თავისებურ მხატვრულ ხორცშესხმას პოულობს და ორიგინალურად არის გადაწყვეტილი.

დრამატურგის ადრეულ ნაწარმოებებში ეს დაპირისპირება რამდენადმე პესიმისტურად არის გადაწყვეტილი. ცხოვრება მთლიანად განცდილია როგორც ტრაგიკული სიტუაცია, რომელშიც, ბოლოს და ბოლოს, ყველა ოცნება და ყველა მოლოდინი განწირულია დამარცხებისათვის. ამ ტრაგიკული სიტუაციის სიმბოლო ხან ზღვაა, რომელიც არ ინდობს დედის ოცნებას, დედის ნეტარ სურვილს, რომ იქნებ უკანასკნელი შვილი მაინც გადურჩეს ზვირთების სტიქიას. ზოგჯერ კი ამ სიტუაციის სიმბოლოა თვით გარემო, ხალხი, რომელსაც არ ესმის პიროვნების მაღალი მისწრაფების. მაგრამ უფრო ხშირად მის პიესებში ნაჩვენებია სილამაზე და სიდიადე ადამიანის დაუსრულებელი ჭიდილისა სინამდვილესთან, იქნება ეს ბურჟუაზიულ-რელიგიური ყოფის შემბოჭავი ნორმატივები, თუ საზოგადოების გულგრილობა.

სინგი გვიჩვენებს შეჯახებას უხეში სინამდვილისა და ვარდისფერი ილუზიისა და ზოგჯერ ამ უკანასკნელის უფლებას იცავს, რომ მხოლოდ ილუზიების წყალობით შეიძლება გაუძლოს ადამიანმა ცხოვრების დაუძლეველ ტრაგიზმს, მაგრამ იგი უმღერის და განადიდებს იმ ადამიანებს, — იქნება იგი მოხეტიალე, უბრალო მკალავი თუ მივარდნილი ფერმიდან მოსული ყმაწვილი, — რომელნიც ეძებენ ჭეშმარიტებას, სილამაზეს, მაღალ მორალურ ურთიერთობებს. ეს ნიშანთვისება კარგად შენიშნა მარჯანიშვილმა, როცა იგი სინგის ერთ-ერთ პიესას — „გმირს“ დგამდა, მან აღნიშნა: „პიესას უნდა მივუდგეთ ერთგვარი რომანტიზმითაც. ყველა მოქმედი პირი რომანტიკოსია“. რამდენადაც ძლიერია ეს პოეტური ხიბლი იდეალის მაძიებლებისა, მით უფრო ულმობელია სინგის პიესებში კითხვა ბედისადმი მორჩილ, პრაქტიციზმისადმი დამონებულ ადამიანთა.

სინგის პიესების ყველაზე მაძიებელი, მეოცნებე და ყველაზე პოეტური პერსონაჟები ახსენებენ და აღფრთოვანებას გამოთქვამენ ხოლმე წარსულის ლეგენდურ თუ ნახევრადლეგენდურ ადამიანებზე, რომლებიც მათი აზრით, განსაკუთრებული პოეტური ნიჭით და განსაკუთრებული თვისებით ხასიათდებოდნენ. ეს ხერხი დრამატურგს სჭირდებოდა იმისათვის, რომ განესაზღვრა თავისი პიესების

მაძიებელი გმირების მისწრაფებათა საბოლოო მიზანი. შეიძლება ითქვას, რომ არაფერს ისე მძაფრად არ გმობს სინგი, არაფრისაკენ ისე არ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას, როგორც იმისაკენ, თუ როგორ კნინდება ადამიანი, როცა იგი არ იბრძვის საკუთარი მეობის დამკვიდრებისათვის, როცა იგი არაა შეპყრობილი პოეტური წინსწრაფვით და მონაა პრაქტიციზმის „სადი აზრისა“.

ამასთანავე, იგი განადიდებს ადამიანის ყოველ გაბრძოლებას საკუთარი მეობის დამკვიდრებისათვის. სინგის პიესებში ყოველთვის ნათლად იკვეთება ცხოვრების ორი გზა, რომელთაგან ერთი მშვიდი და მატერიალურად საიმედოა, მეორე — უფრო მშფოთვარე და მატერიალურად არასაიმედო. ზოგჯერ დრამატურგი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკული კეთილდღეობა თავისთავად როდი იძლევა ადამიანის მაღალი მორალური მოწოდების დამკვიდრების გარანტიას. ამიტომ, ბოლოს, პრაქტიციზმის გზაზე დადგომის ექსპერიმენტი სინგის გმირებისათვის მარცხით მთავრდება. ისინი რწმუნდებიან, რომ ბურჟუაზიული წესებით ორგანიზებული ყოფა ბოჭავს ადამიანის შინაგან თავისუფლებას და დადგენილი ნორმატივებისა და ყალბი ეთიკის მსხვერპლად აქცევს. ასეთი გმირები, დამარცხებული დონკიხოტიდით გაურბიან მანკიერ სამყაროს. საგულისხმოა ამ მხრივ სინგის ერთ-ერთი პიესის ფინალური სიტყვები: „გავიქცეთ, გავიქცეთ! გაიქეცით, თუ კი თავი რამედ გიღირთ“.

სინგის პიესების დრამატიზმს დიდად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ იგი თავის გმირებს გვიჩვენებს ყველაზე კრიზისულ, გარდატეხის ჟამს, როცა მათ წინაშე დგება ცხოვრების ამა თუ იმ წესის არჩევანის აუცილებლობა. მისი პიესების მიხედვით ადამიანი თავისებური გმირი მაშინ კი არ არის, როცა იგი ამა თუ იმ მიზეზით დიდების ზენიტში იმყოფება სხვების თვალში, არამედ მაშინ, როცა იგი ამკვიდრებს თავის მეობას.

ამ ურთულესმა მორალურმა პრობლემებმა თავი მოიყარა სინგის ხუთ პიესაში, რომელნიც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მოცულობითა და ჟანრული აღნაგობით გამოირჩევიან.

სინგის დრამატურგიულ მემკვიდრეობაში წარმოდგენილია დრამაც, ტრაგედიაც და კომედიაც. ეს მეტყველებს მისი შემოქმედების ჟანრობრივ მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეზე. მაგრამ ყველა მისი პიესა ახალი საფეხურია მწერლის შემოქმედებაში. სინგი თანდათან ზრდიდა თავისი პიესების მოცულობას და მათ ჟანრულ ხასიათს, მაგრამ თვით უმცირესი, ყველაზე მინიატურულიც მათ შორის, მოასწავებდა ირლანდიურ დრამატურგიაში ახალი ერის დასაბამს, რამდენად ფართო და ღრმაა მასში დასადგურებული ვნებათაღელვა. პიესიდან პიესამდე სინგს სულ უფრო მეტი და ახალი სოციალური და მორალური საკითხები შემოჭქონდა თავის ქმნილებებში, ამასთანავე, სულ უფრო უკან იხევდა სინამდვილის ტრაგიკული განცდა და მის ადგილს იკავებდა ნათელი და მაჟორული განწყობილება.

სინგის პირველ მინიატურულ ტრაგედიაში „ზღვისკენ მსრბოლნი“, ჯერ კიდევ ჩრდილი ჰარბობს შუქს. აქ მოქმედი პირნი თავისებური სიმბოლოებია მთელი კაცობრიობისა, რომელიც მტრული ძალების პირისპირ დგას. ამ პიესის მიხედვით „ცხოვრება არსებითად ტრაგიზმითაა გამსჭვალული და საბოლოო რეალობა არის სიკვდილი და მხოლოდ ამ ფაქტის შეცნობით შეგვიძლია ვეზიაროთ მოწყალებასა და ნუგეშს“ (უ. ბ. იეიტსი). ერთადერთი, რაც ამ პიესის გმირებს ძალუძთ, დაუპირისპირონ ცხოვრების ტრაგიკულ ოკეანეს — თავიანთი სულის სტოიციზმი და ქედუხრელობაა უკანასკნელ დამარცხებამდე. ამ პიესაში ოცნებას ეჯახება ულმობელობა სინამდვილისა, სიაშკარავე იმისა, რომ საბოლოოდ ყველა ოცნება უნდა დამარცხდეს. სევდის მომგვრელია ამ პიესაში ფინალური სიტყვები: „არცერთი ადამიანი არ ცოცხლობს დაუსრულებლად, ასე რომ უნდა შევურიგდეთ ამას“. მხოლოდ ამ ტრაგიკულ პასუხს აძლევს ამ პიესაში ადამიანი ზეციურ ძალებს.

მაგრამ მომდევნო პიესაში „ველის მწუხრში“, აქცენტირებულია არა ყველა ოცნების განწირულობის განცდა, არამედ მათი დამკვიდრებისათვის ბრძოლის სილამაზე, რაც შემდგომ სინგის პიესების ლაიტმოტივი ხდება და ახალი პრობლემებით ივსება.

ამ პიესაში ნაჩვენებია სიდიადე ქალისა, რომელიც იბრძვის საკუთარი მეობის დამკვიდრებისათვის და ამისათვის უარყოფს მატერიალურ კეთილდღეობას და მოჩვენებით კეთილდღეობას. პიესის ასეთი გადაწყვეტისათვის სინგს თავს დაესხა პრესა და იმდროინდელი მაყურებელი. ავტორს ირლანდიელი ქალის შეურაცხყოფას და ამორალიზმს სწამებდნენ. მაგრამ სინგი ამორალიზმს ხედავდა იმაში, თუ ადამიანი შეურიგდება „მოზღვავებულ უბედურებას“ და კერძოდ თუ ქალი „თოჯინას სახლის“ ტყვეობის ხვედრით დაკმაყოფილდება. ეს პიესა თავისებური ჰიმნია იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ყველაფერს თმობენ ქვეყანაზე, გარდა სიყვარულისა და სილამაზის მუდმივი ძიებისა.

კომედიაში „მკალავის ქორწინება“ ნაჩვენებია კონფლიქტი ორგანიზებული, ავტორი-

ტარული ცხოვრების წარმომადგენელ მღვდელსა და მეორეს მხრივ მოხეტიალეთა თავისუფალი ცხოვრების წესს შორის. ეს პიესა პოეტური სიცილითა და იუმორითაა გამსჭვალული. „ყველაფერ იმისაგან, რითაც ჩვენი წარმოსახვა იკვებება, იუმორი ყველაზე უფრო აუცილებელია, — ამბობდა სინგი, — ძალიან სახიფათოა იუმორის ჩახშობა ან თუნდაც მისთვის საზღვრების დადება... იქ, სადაც მთელი ქვეყანა კარგავს იუმორის გრძნობას, ფეხს იკიდებს ავადმყოფური პესიმიზმი“. ამ პიესაში სამღვდელოება და ჯვარისწერა, ეკლესია და ბურჟუაზიული რესპექტაბელობა სატირის ობიექტია, ხოლო მოხეტიალეთა ცხოვრების წესი გულთბილი იუმორის საგანია და მასში თავისებური ბოჰემური მომხიბვლელობაც არის დანახული. რა თქმა უნდა, კლერიკალობის კრიტიკა და მოხეტიალეთა ხოტბა არ იყო სინგის საბოლოო მიზანი. სინგის მიზანი იყო ეჩვენებინა მატერიალური ანგარებისაგან თავისუფლებისა და „ბუნების შვილთა“, ბუნებრივ ურთიერთობათა სილამაზე და მომხიბვლელობა.

„მკალავის ქორწინებაში“ სინგი საბოლოოდ უარყოფს „მაღალი საზოგადოების“ მორალურ სტანდარტებს და თავგამოდებით ცდილობს ბოჰემურ თავისუფლებაში ჰპოვოს იდეალი და დალებითი საწყისი.

მომდევნო პიესაში — დრამაში „წმინდანთა წყარო“ რეალობა კვლავ მუქ ფერებშია დანახული; პიესის გმირნი ყველგან აწყდებიან რეალობის სისასტიკეს, ადამიანთა ანგარებასა და სხვებისადმი ინდიფერენტიზმს, მაგრამ იდეალის ძიება მაინც გრძელდება,— გრძელდება იგი „ბუნების იდუმალ სამყაროში“ (სინგი). ნაწარმოებში სინათლის შუქი შემოაქვს ბუნების სიმშვენიერებასთან; ამქვეყნიურ სილამაზესთან ზიარების შესაძლებლობას. სასტიკი სინამდვილის მიერ დამარცხებული გმირნი არ ცნობენ თავს დამარცხებულად, რადგან მათ ესმით სილამაზე და სიდიადე ბუნებისა; ამიტომ აღტაცებით ამბობენ ისინი: „წავიდეთ დავტკბეთ აყვავებული შავთავას სურნელით და გაზაფხულის წყლების ხმაურით“. ბუნების ასეთ განცდას დიდი პოეტურობა შემოაქვს პიესაში. ამიტომ ამბობდა სინგი, რომ „ჭეშმარიტ პოეტურობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მეოცნებე უკავშირდება რეალურ სამყაროს ანდა როცა ადამიანი რეალობაზე მაღლა დგება. უდიდესი პოეტები ყოველთვის ფლობენ ამ ერთ-ერთ უნარს“. ამ პიესის გმირები რეალობაზე მაღლა დგებიან, ბუნების სიდიადეს ჭვრეტენ და ამით არიან ისინი მეოცნებე პოეტები და ბუნების შვილები.

„გმირი“ ერთხმად არის მიჩნეული სინგის დრამატურგიის მწვერვალად. როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია სინგისათვის, ადამიანი ნაჩვენებია კრიზისულ მომენტში, როცა იგი დიდების კვარცხლბეკზე იმყოფება. თავდაპირველად გმირი ნაჩვენებია ისეთ მომენტში, როცა მას სხვები განადიდებენ, ხოლო მეორედ, ფინალში, როცა სხვები ჩამოაცლიან დიდების შარავანდედს, მაგრამ როცა სხვების თვალში დამარცხებული თვითონ შეიცნობს იგი თავისთავს გამარჯვებულ გმირად. როგორც ერთი მკვლევარი ამბობს, ეს პიესა არის ოდა თავისუფალი ადამიანის დაბადების შესახებ. ამ პიესაში ამ მხრივ სინგი, როგორც იუმორისტი სვიფტის გვერდით დგას, ხოლო როგორც ლუნაჩარსკი აღნიშნავს თავის წერილში სინგის შესახებ, „არ არსებობს სიცილი უფრო მოსისხლე, უფრო მსუსხავი, ვიდრე სიცილი უაღრესად ტიპიური ირლანდიელისა სერ ჯონათან სვიფტისა“.

ყოველ მორალურ მდგომარეობაში სინგი შინაგან წინააღმდეგობას ჭვრეტს. აქ სიყვარულს თან ახლავს სისასტიკე, გარეგნულ მოქნილობას — შინაგანი ამაღლებულობა, ზოგი გამარჯვება შინაგანი უმწეობის შედეგია, ხოლო ზოგი დამარცხება შინაგანი გამარჯვებითაა გამსჭვალული. ამ კომედიაში ნაჩვენებია სხვაობა გარეგნულსა და მის შინაგან არსს შორის. პიესის ფინალში გარეგნული დამარცხება, დაკარგვა ყოველივე მოპოვებულისა გმირის შინაგანი გამარჯვების, და ახლის შეძენის გზაა. ასე კომიზმის ძალამ საოცარი მიგნებით შეუფარდა ერთმანეთს ამ პიესაში რეალობა და ილუზია, გარეგნული ხატი და მისი შინაგანი არსი. ამგვარად სინგის პირველი პიესის გაუვალი ტრაგიზმის ზნეობრივი აბსოლუტი ამ პიესაში ადგილს უთმობს მოვლენათა რელატიურობისა და ამასთანავე საკუთარი მეობის დამკვიდრებისთვის მებრძოლი ადამიანის ხოტბას.

შესაძლოა ყველაზე უფრო მკითხველსა და მაყურებელს სინგის პიესებში ხიბლავს არა მხოლოდ თანამედროვე დრამატურგიული ფორმის იშვიათი ოსტატობა, არამედ ირლანდიური ხასიათისათვის ტიპიური საოცარი ნაზავი ზოგჯერ თბილი, ზოგჯერ სვიფტისებური ულმობელი სიცილისა, არსებობის ტრაგიკული მხარეების იშვიათი ძალით განცდისა, ყოველდღიურობაში პარადოქსული საწყისების ჭვრეტისა და მათი ახსნა-ამოცნობის უნარისა.

ყოველივე ამის გამო სინგის დრამატურგია არაა მხოლოდ ირლანდიური სულიერი კულტურის კუთვნილება, არამედ იგი ამასთანვე მთელი მსოფლიოს თეატრალური სცენის კუთვნილებაცაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპარტაკ რეხვიაშვილი

# რა არის კერძ-მოკეთეობა

მე-19 საუკუნეში კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო უკმაყოფილო გლეხების გაქცევა თავიანთი მებატონე-ფეოდალებისაგან. საქართველოდან ასე გახიზნული გლეხების თავისებურ და საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა დიგორი და ბალყარეთი. თავის მხრივ ბალყარელი მშრომელები, როცა მებატონეებისა და მეფის მოხელეების თვითნებობას გაექცეოდნენ, თავშესაფარს მეზობელ მთიელებში პოულობდნენ. 1849 წლის 30 ივნისს გენერალ ერისტოვს ბრძანება გაუცია ქართველი გლეხკაცის, ქუჩუკ ლობჟანიძის ძებნა-დაპატიმრებისა, რომელიც თავს აფარებდა ბალყარეთში, თავის კერძმოკეთის ოჯახში.

ქართველი მთიელების ბედი მუდამ ჰგავდა მეზობელი ჩრდილოკავკასიელი ხალხების ბედს.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი კავკასიაში; თვითმპყრობელური რეჟიმის მოხელეები, რომლებიც დაწესებულებებს სათავეში ჩაუყენეს, ადგილობრივ ტრადიციებსა და ადათჩვეულებებს არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ, საშინლად ავიწროებდნენ ხალხს; ყოველივე ეს მთიელთა აღშფოთებასა და უკმაყოფილებას იწვევდა. გადასახადები და მძიმე შრომითი ბეგარა საშინელ განსაცდელში აგდებდა ისედაც გაძვალტყავებულ მთიელ გლეხებს.

ტანჯულ მთიელებს დიდხანს ედოთ გულში მჩაგვრელების ზიზღი და შურისგების გრძნობა, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაში გაუთვითცნობიერებელ მთიელს უკეთესი ცხოვრების მოსაპოვებლად ხსნის გზა ვერ გამოენახა. და მაინც, უსამართლობის წინააღმდეგ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი მთიელების საუკუნოვან ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია. იგი გადაიზარდა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილებისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

მეოცე საუკუნის დასაწყისი რუსეთის იმპერიაში აღინიშნა მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის აღმავლობით. განსაკუთრებით ორგანიზებული ხასიათი მიიღო ამ მოძრაობამ მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით. რევოლუციის ქარიშხალმა უფრო მეტად აღანთო მთიელები მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად და ერთსულოვნად დარაზმა ისინი.

ამიერიდან ხალხთა ტრადიციულ ძმობასა და მეგობრობას ახალი გასაქანი მიეცა. კავკასიის ხალხებმა იგრძნეს როგორ ახლოვდებოდა ახალი ეპოქა, რევოლუციურ ძალთა ახალი აზვირთება, რომელსაც სათავეში რუსეთის სახელოვანი მუშათა კლასი ედგა.

კავკასიის ხალხთა დაახლოებას მრავალი ფორმა ჰქონდა. სიმბოლური იყო კერძოდ ის ამბავი, რომ ოსეთის დიდი მგოსნის კოსტა ხეთაგუროვის დასაფლავებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ქართველი რევოლუციონერები (კერძოდ, ნოე ბუაჩიძე), როგორც ადრე თვითონ კოსტამ სიყვარულითა და თანაგრძნობით აღსავსე წერილი გამოაქვეყნა დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის ტრაგიკულ ბედზე. ყველაფერი ეს იმას ნიშნავდა, რომ ხალხები ძმურად უწვდიდნენ ხელს ერთი-მეორეს.

ახლო ლიტერატურული ურთიერთობა უშუალოდ უკავშირდებოდა პოლიტიკურ ბრძოლას. იგივე ნოე ბუაჩიძე ხშირად მიდიოდა მუშებთან გროზნოს ნავთობის სარეწებში და ეწეოდა დაუცხრომელ პროპაგანდისტულ საქმიანობას. 1905 წლის მაისიდან რევოლუციურმა მოძრაობამ ჩრდილო კავკასიაში ნამდვილი სახალხო ხასიათი მიიღო.

1905-1907 წლებში მთის რაჭაში ბოლშევიკური ორგანიზაციები არ იყო, გლეხთა შორის რევოლუციური იდეების გავრცელებას ეწეო-

დნენ ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენტები, დემობილიზებული ჯარისკაცები, ჩრდილო კავკასიისა და რუსეთის სამრეწველო ცენტრებსა და სოფლებში მომუშავე რაჭველი მუშები, ხელოსნები... ასეთ პროპაგანდისტებს რაჭველები „მერუსეთეებს“ ეძახდნენ.

„მერუსეთეები“ რაჭაში დღემდე შემორჩენილ ტრადიციულ საკრებულო ადგილზე — „სანახშოზე“ იკრიბებოდნენ, სადაც მუდამ ხალხმრავლობა იყო; ორატორები გლეხობას მოუწოდებდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისმოდა მოწოდებები: „გაუმარჯოს თავისუფლებასა და ერთობას“, „ძირს ნიკოლოზი“ და ა. შ.

ჩრდილო კავკასიაში 1905 წლის რევოლუციისა და შემდგომ პერიოდებში რევოლუციურ ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რაჭველი ახალგაზრდები, რომლებიც გაჭირვებული ცხოვრების პირობებმა, მათს მამებთან ერთად, სამუშაოდ იქაურ ქალაქებსა და მივარდნილ აულებში გადახვეწა. შემთხვევითი არ არის, რომ მათგან ბევრი შემდგომში ცნობილი რევოლუციონერი გამოვიდა. ასეთი იყო, მაგალითად, ლეგენდარული მიხეილ ლაშხი-ლობჯანიძე.

მიხა ლაშხ-ლობჯანიძეს და სხვა ქართველ რევოლუციონერებს, ჩრდილო-კავკასიელ მთიელებთან კერძ-მოკეთეობის ტრადიცია ჰქონდათ. ამან დიდად შეუწყო ხელი მათს რევოლუციურ საქმიანობას; კავკასიის შორეულ სოფლებში მათ მთიელი ხალხის თანაგრძნობა და სტუმართმოყვარული შეხვედრა ელოდათ, საფრთხის დროს მათ თავშესაფარს აძლევდნენ ძველი ტრადიციით აულში სტუმრის გაცემას ვერავინ გაბედავდა, პურის ჭამაც და ღამის გათევაც მათ უფასო ჰქონდათ. ამ წესიდან გადახვევა მთელი საგვარეულოსა და აულის დიდ სირცხვილად ითვლებოდა, კერძ-მოკეთის მოღალატე ხალხის რისხვას ვერ ასცდებოდა; ამიტომ იყო, რომ ამ მიდამოებში ქართველ რევოლუციონერებს რეაქციის შავბნელ ხანაშიც კი უვნებლად და თამამად შეეძლოთ ემოქმედათ. მიხა და მისი მეგობრები, კერძ-მოკეთის იმედით გამხნევებულნი, მთიელებში რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდნენ, საბრძოლველად მოუწოდებდნენ, პროკლამაციებსავრცელებდნენ, მოსახლეობას ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას განუმარტავდნენ და მშრომელ ხალხს მჩაგვრელების დასამხობად გულს აღუნთებდნენ. მიხა ლაშხ-ლობჯანიძეს და მის რაზმს კერძების მხარდაჭერამ და ხელშეწყობამ გააბედვინა ზამთრის დღეებში დიგორიდან კირტიშოს უღელტეხილით რაჭაში გადასვლა. მიხას რევოლუციურ ბრძოლებში მხარში ედგნენ თანასოფლელები, შემდეგ ცნობილი რევოლუციონერები: კანდიდ თადეოსის-ძე და ილია ვასილის-ძე გობეჯიშვილები.

1918 წლის ივნისის ბოლოს საშა გეგეჭკორის რაზმი მამისონის გზით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა; პარტიზანები ალაგირში კონტრრევოლუციონერთა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ და იქ მცხოვრები ქართველი რევოლუციონერების დახმარება რომ არა, ვინ იცის, რა განსაცდელი ელოდა რაზმს. ქართველებმა ოსი კერძ-მოკეთეების პირით შეატყობინეს მოწინააღმდეგეს, თუ გეგეჭკორის რაზმს შეებრძოლებით, მთელი ალაგირი თქვენს წინააღმდეგ აჯანყდებაო; ქართველებისა და ოსი კერძების ერთობლივმა და მტკიცე მოთხოვნამ გასჭრა, კონტრრევოლუციონერებს ხელ-ფეხი შეეკრათ, გეგეჭკორი და მისი რაზმი გადარჩა მოსალოდნელ საფრთხეს.

გეგეჭკორის რაზმს სადღეგრძელოდ ალაგირელმა ქართველებმა სკოლის შენობა დაუთმეს და იქვე სადილიც გაუმართეს.

ჩრდილო კავკასიაში, სადაც სოციალურ უთანასწორობას ნაციონალური ჩაგვრა ემატებოდა, მშრომელი მასების ბრძოლამ თავიდანვე შეუპოვარი ხასიათი მიიღო. როცა ოსმა კონტრრევოლუციონერებმა ალაგირელ მასწავლებელს, ოს ევგენი ბიტაროვს მოკვლა დაუპირეს, მის წინაშე ალაგირის ქართული სკოლის პედაგოგი მარუსია ჯაფარიძე აღიმართა, თან შესძახა — არ ესროლოთო, მაგრამ გვიანი იყო, თოფი გავარდა, მტრის ტყვია ბიტაროვს ასცდა, მაგრამ ამ გასროლით მარუსია სამუდამოდ ხეიბარი დარჩა, მარჯვენა ხელი დაჰკარგა. შემდეგში მტერზე შურს იძიებდა მარუსიას და, ისიც პედაგოგი, მატრონა ჯაფარიძე; ამიტომ მშრომელი ოსი მოსახლეობა იცავდა და დიდ პატივს სცემდა მათ. ალაგირის არეულობის დროს იმ მოწინავე ადამიანებს, ვინც გაქცევა ვერ შესძლო, სიცოცხლე მოუსპეს. შავი დღე ელოდა მოხუც სოლომონ მეტრეველს, რომელიც იმ ხანად ალაგირში დარჩა, მაგრამ იგი ოსმა კერძ-მოკეთეებმა იხსნეს. დუდარ ტოლპაროვმა სოლომონ მეტრეველი ღამე ურმით გააპარა ვლადიკავკავში, იქიდან საქართველოში გააცილეს.

ასეთ თავდადებას იჩენდნენ კერძ-მოკეთეები ქართველი რევოლუციონერების დაცვა-მფარველობის დროს.

სამოქალაქო ომის დღეებში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო კერძ-მოკეთეების მეგობრობის ძალა და მნიშვნელობა. კერძი და მისი ქართველი მოკეთე, ან როგორც კავკასიელები იტყვიან „ყონაღი“, წინასწარ უთანხმდებოდნენ ერთმანეთს, თუ როგორ ებრძოლათ საერთო კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, აწყობდნენ გეგმებს, ეძებდნენ მომხრეებს და ჩაგრულ მთიელებსაც ამხედრებდნენ მდიდრების წინააღმდეგ, უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდნენ დახმარებოდნენ ბოლშევიკებს.

ჩრდილო კავკასიაში დენიკინის ურდოების თარეშის მძიმე წლებში რევოლუციურად განწყობილი არა ერთი აულის მთელი მოსახლეობა

მასობრივად გადმოდიოდა მთის რაჭის სოფლებში და ყველა თავის ყონალთან აფარებდა თავს. დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი ამბავია რომ „ჩრდილო კავკასიის ხალხებს, კონტრევოლუციის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოს მშრომელები“.

ალექსანდრე ხიდაშელის გადმოცემით, როცა თეთრგვარდიელებს ალაგირი დაურბევიათ, ქართველები ოჯახებით ოსეთის მივარდნილ აულებში მამა-პაპურ კერძებს შეხიზვნიან; იმ დროს ყველაზე მეტ ქართველ ლტოლვილს აულ ქრისტოლავში (ამჟამად დიგორა — რაიონული ცენტრი) მოუყრია თავი და ოს კერძებთან ერთად აქტიური რევოლუციური აგიტაცია გაუჩაღებიათ. რევოლუციის მომხრე და თანამგრძნობი აულში მრავალი გამოჩენილა; ეს გამხდარა იმის მიზეზი, რომ კონტრრევოლუციურ ბანდებს მთელი ქრისტოლავი აუწიოკებიათ. ახლა იქაური რევოლუციონერების უმრავლესობა რაჭაში გადახვეწილა და იქ ქართველ მოკეთეებს შეფარებია.

1920 წლის გაზაფხულზე მენშევიკების ბატონობით უკმაყოფილო გლოველი მამაკაცები, რომლებიც ბოლშევიკებს ემხრობოდნენ, სოფლიდან გადაიხვეწნენ. ესენი იყვნენ: მელიტონ და დავით ბალაშვილები, იოკიმე გიორგიშვილი, ივანე ხარებაშვილი, მიხეილ ბელაშვილი, თედო ბიძიშვილი, ვახილ გუტაშვილი; ისინი მამისონის გზით წავიდნენ, ღამე აულ ქალაში, შიო ბალაშვილის კერძის, სოფრომ ანზოროვის ოჯახში გაათიეს, აქედან ალაგირში ფეხით ჩავიდნენ, აქ რევკომში გამოცხადდნენ, ყველანი გეგექკორის რაზმში ჩაეწერნენ და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ფიცხელ ბრძოლაში ჩაებნენ.

1919 წლის მაისის შუა რიცხვებში დიგორელი პარტიზანები სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ დენიკინელების წინააღმდეგ. გაჭირვების დროს ისინი რაჭველ კერძებს მიმართავდნენ დახმარებისათვის, საიდანაც ხშირად გადაჰქონდათ სურსათი, ტყვია-წამალი და თოფიარაღი. ერთხანს, თეთრგვარდიელების მოძძლავრების პერიოდში, დიგორის პარტიზანთა რაზმი იძულებული გახდა თოვლიან-ყინულოვანი გზით რაჭაში გახზინულიყო და სოფელ ჭიორაში შეეფარებინა თავი. რაზმის შემადგენლობაში იყვნენ შემდეგში ცნობილი ოსი კომუნისტები, ძანდორ და სიმონ თაკოევები, ყაზბეგ ბუტაევი, მასწავლებელი მიხეილ გარდანთი და სხვები. სოფელ ჭიორაში რაზმს ძმები ალექსი და ანდრია რეხვიაშვილები შეხვდნენ. ცხრა ოსი კომუნისტი, თავიანთ მამაპაპური კერძ-მოკეთები მათ სტუმრად მიიწვიეს, დანარჩენები კი მეზობლებს შორის დაანაწილეს. ყველამ თავისი კერ-მოკეთე მიიწვია შინ. რაზმის ჭიორაში გადმოსვლის ამბავი რომ შეუტყვია, ონიდან მეორე დღესვე ამოსულა რაჭის მაზრის უფროსი ვანო ბაქრაძე, რომელსაც რევოლუციონერების განიარაღება და მათი მეთაურების მთავრობისათვის გადაცემა მოუთხოვია. ხალხი აღშფოთებულა, კერძების შეურაცხყოფის უფლებას ცოცხალი თავით არავის დავანებებთო, უთქვამთ და ბაქრაძე კუდამოძუებული გაუსტუმრებიათ ონისაკენ. საქართველოში პარტიზანთა რაზმი 1919 წლის ოქტომბრამდე დარჩენილა. წასვლისას რაზმს მეგზურებად ალექსი და ანდრია გაჰყოლიან და დიგორში უვნებლად გადაუყვანიათ. ამის შემდეგ დიგორის რევოლუციური რაზმი რაჭაში კიდევ ორჯერ გადმოსულა.

სამოქალაქო ომის წლებში ბალყარეთის მთებში მოქმედებდა წითელ პარტიზანთა რაზმი ჰაჯიმურატ ასანოვის (აული მუხოლი) მეთაურობით. წითელი პარტიზანები მტერს თავზარს სცემდნენ.

1918 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში რეაქციამ იმძლავრა და მაშინ, როცა ჩრდილო კავკასიის ბარში დენიკინის თეთრგვარდიელი ბანდები თარეშობდნენ, ბალყარელ მთიელებსაც მტრის რაზმებმა შეუტიეს, მათ ჩეგემის ვიწრო ხეობაში გზა გადაულობეს რევოლუციონერებს, დროებით წარმატებას მიაღწიეს და დაიწყეს ხელისუფლებისათვის მებრძოლი მშრომელი მოსახლეობისა და ბოლშევიკების ხოცვა-ჟლეტა. აულებში სახრჩობელები გამართეს. სამჯერ ჩამოუკიდიათ სახრჩობელაზე ჰაჯიმურატის თანამებრძოლი ჯამალა და სამივეჯერ ჩამოწყვეტილა თოკი, მაგრამ გულქვა ჯალათებს მამაცი პარტიზანი არ დაუნდვიათ, ბოლოს მაინც ჩამოუხრჩვიათ. მტრის ვერაგობით აღშფოთებულმა წითელმა პარტიზანებმა შური იძიეს და სულ მალე სამაგიერო მიუზღეს მას, ვინც მათი მეგობარი სიცოცხლეს გამოასალმა. სახრჩობელაზე სიკვდილი ელოდა სასწაულით ცოცხლად გადარჩენილ ჰაჯიმურატ ასანოვსაც, რომელმაც მტრის გარემოცვისაგან თავის დაღწევა მოახერხა და მთაში ერთგულ ოჯახებს შეეხიზნა.

ძნელი დრო დაუდგათ ბალყარელ პარტიზანებს, თოვლით დაფარული მაღალი მთებით შემოსალტული ჩეგემის მიწა-წყალი მათთვის ხაფანგად გადაიქცა. ნალჩიკიდან ჩეგემისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა მტერს ეჭირა, წასასვლელი არსაით იყო, დღეს თუ ხვალ ყველას მტრის ხელით სიკვდილი ელოდა. სიცოცხლის გადასარჩენად და შემდგომი ბრძოლებისათვის ძალების მოსაკრეფად მხოლოდ ერთი იმედიღა რჩებოდა — კავკასიონის ძნელად სავალი-საულელტეხილო გზების გადალახვა და საქართველოს მთიელებში თავის შეფარება, რომლებთანაც ბალყარელებს საუკუნოვანი კერძ-მოკეთეობის კარგი ტრადიცია აკავშირებდათ. აპრილში კავკასიონის ქედზე ჩიტიც ვერ გადაფრინდება, თოვლის დნობა და გა-

მუდმებული ზვავები, დახეთქილი ნაპრალები და მთის მწვერვალებიდან ქვების ცვენა ადამიანს ყოველ წუთს დაღუპვას უქადის. ჰაჯიმურატ ასანოვი ჩეგემიდან ფარულად ჯერ ბალყარეთში გადასულა, ოჯახი მოუნახულებია, ბერიკაცებს მიუსწავლებიათ, თუ რომელი გზით წასულიყო საქართველოში და იქ თავდაპირველად ვისთან მისულიყო სტუმრად. მის ნათესავებს მამაპაპური, უახლოესი მოკეთეები ჰყავდათ სოფელ ჭიორაში. ეს იყო ხეხნო, მათე და პავლე რეხვიაშვილების ოჯახები.

დრო აღარ ითმენდა, მტერი ჰაჯიმურატს გაფაციცებით დაეძებდა. ის ბალყარეთიდან ჯერ დიგორში გადასულა, მერე დიდი გაჭირვებით უღელტეხილი გადაუვლია და ჭიორამდე მიუღწევია, მაგრამ შორი და ძნელი გზით დაღლილდაქანცულს, მშიერ-მწყურვალს და ფეხებდაძრულს სიარული არ შესძლებია, ნაძვის ხის ძირას წაქცეულა და ველარ წამომდგარა. ვინ იცის რა უბედურად დამთავრდებოდა მებრძოლი ვაჟკაცის ბედი, რომ შემთხვევით გამვლელ ქართველ კაცს არ ეშველა. მიხა რეხვიაშვილს უცხო კაცი რომ შეუნიშნავს, მისულა მასთან, ძველი ნაცნობი ბალყარელი ჰაჯიმურატი უცვნია და ძალზე გაჰკვირვებია, აქ საიდან გაჩნდაო. მიხას ერთ დროს აულ ყოსფართაში უცხოვრია, ბალყარული ენა და ზნე-ჩვეულება კარგად სცოდნია და ჰაჯიმურატს მშობლიურ ენაზე გამოლაპარაკებია. მისი გადმოხვეწის ამბავი რომ შეუტყვია, სტუმრისათვის პატივი უცია, პური უჭმევია, მოუსულიერებია და სოფელში წაუყვანია. იმ დროს ჭიორაში თემობაზე მთელი სოფელი ეკლესიის ეზოში ყოფილა თავმოყრილი. მიხას სტუმარი თემობაზე მიუწვევია. იქ მას მრავალი ნაცნობები გამოსჩენია. ბალყარელი პარტიზანი რაჭველებს დიდი პატივით მიუღიათ, რაჭაში განთქმული მკურნალი თედორა ჩაგელიშვილი დაუბარებიათ, კერძ-მოკეთის მკურნალობა უთხოვიათ. თედორას ავადმყოფი მოურჩენია. ამის შემდეგ ჰაჯიმურატს დაფლეთილი ტანსაცმელი ახლით შეუცვალეს და მთელმა სოფელმა შინაკაცად მიიღო. კერძ-მოკეთე სოფელში სტუმრად სამ თვეს დარჩა, ამ ხნის განმავლობაში მან, ილიკო ჩაგელიშვილთან ერთად, მოსახლეობაში რევოლუციური აგიტაცია გააჩაღა, სანახშოზე ხალხს მოუთხრობდა ჩრდილოკავკასიელი მთიელთა ბრძოლის ამბებს, მამაც პარტიზანთა თავგადასავალს.

ჰაჯიმურატ ასანოვი, გამოჯანმრთელების შემდეგ, მშობლიურ ბალყარეთში დაბრუნდა და იქ მტერთან ბრძოლაში დაიღუპა.

კერძ-მოკეთეობის ძველისძველმა კეთილშობილურმა ტრადიციამ თავისი როლი შეასრულა იმ მღელვარე დღეებში, როცა საქართველოს მუშებმა და გლეხებმა აქტიური ბრძოლა გააჩაღეს და აჯანყება მოაწყვეს მენშევიკური რეჟიმის დასამხობად. აჯანყებულებმა დახმარება სთხოვეს მეთერთმეტე არმიას, რუს თანამოძმეებს.

განმათავისუფლებელი წითელი არმიის პოლკები, ერთგულნი თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობისადმი, მოძმეთა დასახმარებლად გამოეშურნენ, მაგრამ კავკასიონის ხეობებზე გზა მეტად ძნელი და სახიფათო იყო. იმ ხანებში ქართველმა, ოსმა და ბალყარელმა თანამოძმეებმა კვლავ გაუწოდეს ერთმანეთს ხელი, იმავე ხანებში შეიქმნა დიგორის პირველი რევოლუციური რაზმი ძანდორ თაკოევის მეთაურობით, რომელმაც ახალი ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა ხალხთა ძმობის მატიანეში.

1921 წლის 25. თებერვალს მთელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. ამ ისტორიულ მოვლენას ჩრდილოკავკასიელი ხალხები აღტაცებით შეხვდნენ; ოსეთის ოლქის მესამე ყრილობის მონაწილენი საქართველოს რევკომისადმი მისალმებაში წერდნენ: „ამიერიდან კავკასია ერთხელ და სამუდამოდ თავისუფალია, მთლიანად მუშურ-გლეხური და სოციალისტურია. დიდება ქართველ მუშებსა და გლეხებს, რომლებიც მსოფლიოს პროლეტარულ ოჯახში შევიდნენ თავიანთი ბედის ბატონ-პატრონად. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს კავკასიისა და მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა ძმურ კავშირს“.

თავის მხრივ საქართველოს კომპარტიის რაჭის სამაზრო ბიურო ძანდორ თაკოევის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში დიდ მადლობას მოახსენებდა დიგორის პირველი რევოლუციური რაზმის მეომრებს, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს. ასევე სამადლობელ სალამს უთვლიდნენ დიგორის რევოლუციურ რაზმს ტყიბულისა და ქუთაისის რევკომები.

ძმურად ხელის გაწვდენისათვის, საბრძოლო თავდადებისათვის საქართველოს რევკომმა დიგორის პირველი რევოლუციური რაზმი დააჯილდოვა წითელი დროშით, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „რევოლუციური დიგორის სახელოვან რაზმს, მუშურ-გლეხური საქართველოსაგან“.

საქართველოში და ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება დასაწყისი გახდა ახალი ერისა, წინათ ჩაგრული ხალხების ყოფა-ცხოვრებიდან განიდევნა წარსული სიდუხჭირე, მთიელმა გლეხკაცმა შვებით ამოისუნთქა, ასრულდა მისი საუკუნოვანი ოცნება — მიიღო მიწა და თავისუფლება, კიდევ უფრო განმტკიცდა ქართველი და კავკასიელი ხალხების მეგობრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევაზ ჯაფარიძის „აწონილი სიტყვა"

„საბჭოთა საქართველომ" ახლახან მეორედ გამოსცა რევაზ ჯაფარიძის წერილებისა და სტატიების კრებული „აწონილი სიტყვა", რომელიც ავტორს ბევრი ახალი საინტერესო მასალით შეუვსია.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე (პირველი გამოცემისას), ქართული კრიტიკა რატომღაც არ გამოხმაურებია ამ ფრიად საგულისხმო წიგნს, რომელიც თავის ფურცლებზე პრინციპულად აყენებს ჩვენი კულტურულ-ლიტერატურული, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან საკითხს.

ქართველი მკითხველი, და არა მარტო ქართველი მკითხველი, რევაზ ჯაფარიძეს იცნობს, როგორც თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთ თვალსაჩინო ოსტატს. მისი შემოქმედება — ეს არის პოეტური სამყარო, სადაც ღრმა პატრიოტიზმი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, ადამიანისადმი პატივისცემა, უანგარო სიყვარული, შეულახავი სინდისი, მოკრძალებული ვაჟკაცობა და კეთილშობილება ბატონობს.

ამ ფერებით მდიდარ, ხასიათებით მრავალფეროვან სამყაროში არაფერი გვეცემათ თვალში, არაფერი ხმაურობს, არაფერი ცდილობს ქვეყნის გაკვირვებას; აქ არ არის ლტოლვა ხელოვნური, მკითხველის თვალის ასახვევი სირთულისა და რომელიმე იზმისაკენ. აქ ყველაფერი პოეტურად სადაა და მომხიბლავად უბრალო, ყველაფერი მეტად ჩვეულებრივი და ძალზე საინტერესოა, დამაჯერებელი და შთამაგონებელი.

რევაზ ჯაფარიძის გმირები ცოცხალი ადამიანებივით შემოდიან ჩვენს ცხოვრებაში, გვაცნობენ თავიანთი შინაგანი სამყაროს ყველა კუთხე-კუნჭულს და მყარად სახლდებიან ჩვენს სულში, როგორც ღრმა ეროვნული გრძნობის განსახიერებანი.

წიგნი, რომლის განხილვაც ჩვენ განვიზრახეთ, საზოგადოებრივი ყოფისა და კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების უამრავ, ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებულ საკითხს მოიცავს. რა საკითხს არ შეხვდებით აქ, რას არ მისწვდენია მწერლის მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა, გამჭრიახი თვალი და გაწაფული კალამი, — ლიტერატურა და ხელოვნება, ეკრანი და სცენა, კრიტიკა და პუბლიცისტიკა, პოეზია და ფერწერა, მედიცინა და დიდაქტიკა, მეცნიერება და ტექნიკა, ჩაის საკრეფი მანქანა და ვაკე იმერეთის ველ-მინდვრები...

ამ წერილების მიღმა დგას კაცი, რომელსაც გულის სიღრმემდე ჩაუტანია ყველაფერი, რასაც ეროვნული და ქართული ჰქვია, რაც საზოგადოებრივ და სახალხო საქმედ იწოდება, რაც საბჭოთა ხელოვნებისა თუ მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას ემსახურება.

ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ საკმარისია თუნდაც წერილი „ჩემი შენ გითხარიო", რომელშიც ავტორი ცდილობს ლიტერატურულ ცხოვრებაში თავთავისი ადგილი მიუჩინოს მწერალსაც და კრიტიკოსსაც, დანერგოს პოლემიკის მაღალი, ჩვენი თანამედროვეობის შესაფერისი კულტურა. აქ ყველაფერს მშვიდი, აუღელვებელი კილო და მტკიცე ლოგიკა განსაზღვრავს.

ესა და წიგნში მოთავსებული სხვა წერილებიც იწყება პოეტური წიაღსვლებით და ვითარდება გულშემატკივარი კაცის მზრუნველი, უანგარო რჩევებით, ზოგჯერ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, მწარე, მაგრამ ყოვლად აუცილებელი და საჭირო შენიშვნებითაც. და ყოველ სიტყვაში და სიტყვებს შუაც იგრძნობა მამულიშვილის წუხილი უკვე წამხდარი თუ საფრთხის წინაშე მდგარი საქმისათვის, შელახული სიმართლის თუ დამახინჯებული ისტორიის გამო.

იქნებ კრიტიკას მარტოოდენ სინათლე და სიმკვეთრე უყვარს, მაგრამ სინათლე და სიმკვეთრე ყოველთვის როდი უყვარს იმას, ვისაც კრიტიკა ეხება და განიხილავს. ზოგჯერ მართლაც, მხოლოდ ქვეტექსტით ხერხდება მწარე სიმართლის თქმა და რევაზ ჯაფარიძეც კარგად ახერხებს ყველას გასაგონად დაიჩურჩულოს სათქმელი

---

რევაზ ჯაფარიძე. „აწონილი სიტყვა", გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1973.

„ტრიბუნა იმისათვის გვიდგას, — წერს იგი, — რომ ზედ თქმული ყოველი სასარგებლო სიტყვა მსწრაფლ მთელ საქართველოს მოვფინოთ და ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში ჩავაყენოთ".

მწერლის მოვალეობის ასეთი გაგება სათავეს იღებს ქართველ სამოციანელთა ლიტერატურულ მრწამსში, რომელსაც საზოგადოებრივი ინტერესები განსაზღვრავდა. ასეთივე გატაცებით ებრძვის რევაზ ჯაფარიძეც ყოველგვარ გაუკუღმართებულ ლიტერატურულ აზრსა და ტენდენციას, გმობს და უარყოფს მახინჯსა და არასწორს, თავგამოდებით იცავს ახალს, პროგრესულს, და, რაც მთავარია, რომელიმე ავტორიტეტის თვითნებობითა და პატივმოყვარეობით დაჩაგრულს.

გავიხსენოთ წერილი დასტაქარ კალაძეზე, რომელშიც სამაგალითო თავგამოდებითაა და პირდაპირობითაა მხილებული სიახლისადმი უგულგულო, უმართებულო დამოკიდებულება. „აწონილი სიტყვის" მეორე გამოცემაში მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა „კალაძის საქმის" თითქმის ტრაგიკულ დასასრულს და კვლავ გრძნობს მწერლის გულმოდგინე ზრუნვას სიმართლის დასაცავად.

წიგნის ავტორი ფრიად მნიშვნელოვან ამოცანებს უყენებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას, რომელიც უბრალო, ხელაღებული უარყოფით ან აღფრთოვანებული აღიარებით კი არ უნდა კმაყოფილდებოდეს, არამედ თავის უპირველეს და ძირითად მიზნად განსახილველი მასალის არსის გარკვევა და მისთვის სწორი მიმართულების მიცემა უნდა დაისახოს. „ეს არ ვარგა, ის არ ვარგა, — ადვილი სათქმელია. რატომ არ ვარგა? აბა, თქვენი აზრით როგორ უნდა? — აი, საქმე!"

რევაზ ჯაფარიძეს როგორც მწერალსა და მოქალაქეს, აწუხებს ის სერიოზული გარემოება, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკა ხშირად ხელმძღვანელობს მზამზარეული სქემებით, ხშირად გვერდს უვლის განსახილველ საგანს და იმის მაგიერ, რომ კონკრეტულად შეაფასოს ნაწარმოები, ზოგად, სტანდარტულ მოთხოვნებს უყენებს მას.

კრიტიკამ უნდა გაარკვიოს, ამოხსნას, განმარტოს მხატვრული შემოქმედების საიდუმლო, ხოლო ამ საიდუმლოს გასაღები თვითეული შემოქმედის ინდივიდუალურ თავისებურებაშია საძიებელი. სწორედ მისი მიგნება და ამოხსნა წარმოადგენს ლიტერატურული კრიტიკის უწმინდეს საქმეს.

„აწონილ სიტყვაში" საინტერესოდაა გახსნილი ლიტერატურის თეორიის ბევრი პრობლემური საკითხი. ასეთებია, მაგალითად: დადებითი და უარყოფითი გმირის, მხატვრული და რეალური სიმართლის, ნაწარმოებისა და ავტორის ტენდენციის ურთიერთობის და „პოეტური ენის" საკითხები და სხვ.

ლიტერატურულ პრაქტიკაში გმირის სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად მრავალ ხერხს მიმართავდნენ. ეს ხერხები არასოდეს არავის მიუღია დოგმად, არც არავინ დავობს იმაზე, რომელი რომელს სჯობს. დიდი შემოქმედნი ერთ ხერხსაც მიმართავდნენ და მეორესაც, ხოლო საკითხს საბოლოოდ ყოველთვის ტალანტი წყვეტდა.

მთავარი ერთია: „ჭეშმარიტად მაღალმხატვრულ ნაწარმოებში პერსონაჟის გრაფიკული პორტრეტი მისი შინაგანი სამყაროს გამოხატულება უნდა იყოს. ის თავად უნდა შეიცავდეს ყველა ფსიქოლოგიურ შესაძლებლობას, რასაც ეს სახე გულისხმობს. გმირის გარეგნობაცა და საქციელიც მისი ფსიქოლოგიური შინაარსის გახსნას უნდა ემსახურებოდეს... ლიტერატურული პორტრეტი მუდმივ განვითარებაშია და ახალ და ახალ მხარეებს თანდათანობით გვიმხელს, მაგრამ ეს მხარეები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, ერთიან ჯაჭვს შეადგენენ".

რევაზ ჯაფარიძე ახლებურად და საინტერესოდ წყვეტს დადებითი გმირის პრობლემას. მისი აზრით: „ნაწარმოების დაწყებამდე, ისევე როგორც შემდეგაც, თვით ავტორი უნდა წარმოსდგეს თავისი დროის დადებით მოვლენად, თუნდაც გმირად, მშობელი ქვეყნისათვის, მოყვასისათვის თავდადებულ ადამიანად. სწორედ მის გულში უნდა ღვივოდეს ის ღვთაებრივი ცეცხლი, რომელიც ადამიანისშვილს, მოკვდავს, მილიონების აზრისა და გონების დამპყრობ ნაწარმოებს შეაქმნევინებს". „ნაწარმოები თვით ავტორია სახეშეცვლილი და ახალ სინამდვილედ გარდაქმნილი".

„აწონილ სიტყვაში" რევაზ ჯაფარიძე ვრცლად განიხილავს უარყოფითი პერსონაჟის საკითხსაც.

„უკანასკნელ ოც წელიწადში, — წერს იგი, — ქართულ მწერლობაში უარყოფითი პერსონაჟის გამოსახვის მეტად უცნაური, ესთეტიკურად გაუმართლებელი ტრადიცია დამკვიდრდა: ნაწარმოებში გამოჰყავთ აშკარად ზნედაცემული ან ნაკლებად ზნედაცემული ადამიანი (ეს დამოკიდებულია ავტორის შესაძლებლობაზე) და უპირისპირებენ მას მთელ კოლექტივს. მკითხველი ხედავს, რომ ეს ადამიანი თავიდან ბოლომდე ხორცშესხმული ბოროტებაა. მაგრამ რატომღაც ნაწარმოების პერსონაჟები ვერ ხედავენ ამას. მერე ყველა ერთბაშად მიხვდება და დამნაშავეს ჩაქოლავენ".

მწერლის აზრით, უარყოფითი გმირი არ არის ისეთი მარტივი ხასიათი, რომ მისი ნე-

გატიური მხარე ერთი შეხედვით იყოს თვალშისაცემი. ასეთი ადამიანები მარტივი ხასიათისანი არ არიან. მათ საკუთარი ფსიქოლოგია გააჩნიათ, და რაც მთავარია, ღრმად სჯერათ თავიანთი სიმართლე. სწორედ ამიტომაა ძნელი მათთან ბრძოლა, ამიტომ ახერხებენ ისინი ასე თუ ისე შეაფერხონ კეთილი საქმე, იქცნენ ანგარიშგასაწევ ძალად, რომლის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. უარყოფითი გმირი ლიტერატურაშიც ისევე შენიღბული და ძნელად გამოსაცნობი უნდა იყოს, როგორც ეს ცხოვრებაშია. მაშინ მწერალი ველარ ივლის იოლი გზით, მოლაპარაკე სქემების მაგიერ მას ადამიანის რთული მექანიზმის დახატვა მოუხდება.

„აწონილ სიტყვაში" უარყოფითი გმირის პრობლემას მჭიდროდ უკავშირდება მწერლის ტენდენციის საკითხი. ზოგჯერ მწერალს თავიდანვე უარყოფითი პოზიცია უჭირავს გმირისადმი და ეს ნაწარმოების პირველი სტრიქონებიდანვეა ნათელი. ეს ტენდენცია ჩანს გმირის პორტრეტშიც, სახელშიც, ნაწარმოების სათაურშიც კი. მწერალი არც ამით კმაყოფილდება და იწყებს ამ გმირის სიტყვიერ დახასიათებას. ეს დახასიათება არ შეიცავს არცერთ მხატვრულ სახეს. ეს უფრო მშრალი განსჯაა, დაცლილი ყოველგვარი ფსიქოლოგიზმისაგან.

რევაზ ჯაფარიძე მკაცრად ილაშქრებს ავტორის ასეთი ტენდენციის წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ მივცეთ მკითხველს დაფიქრებისა და თავისი მსჯავრის გამოტანის საშუალება.

რევაზ ჯაფარიძე განიხილავს სიტყვის, როგორც გამოსახვის საშუალების, მნიშვნელობასაც. მისი აზრით, სიტყვის დანიშნულება ის არის, რომ „ზუსტად გადმოგვცეს ავტორის ნაფიქრალი, მკითხველის თვალწინ გააცოცხლოს მწერლის წარმოსახვით შექმნილი სახეები, გაგვხადოს უშუალო მოწმე და მონაწილე ცხოვრების მოვლენებისა, რომელთა ჩვენება მწერალს განუზრახავს. აი, ეს დანიშნულება აქვს სიტყვას. სხვა დანიშნულება მას არა აქვს. მაგრამ არის კიდევ ერთი რამ, რასაც მე სიტყვის მოვალეობას დავარქმევდი. ის მკითხველთან სახედ უნდა მივიდეს, თავად კი არ უნდა გამოჩნდეს".

ენა სალებავს ჰგავს. ზოგი მხატვარი ამ სალებავს იყენებს მკითხველის გაოცების, მასზე შთაბეჭდილების მოხდენის და არა გამოსახვის საშუალებად. მაგრამ ასეთი ფერი მაშინვე დგება ცხოვრებასა და სურათზე გამოსახულ მოვლენას შორის, ეს კი ხელს უშლის ამ მოვლენის უშუალო აღქმას.

„აწონილ სიტყვაში" საინტერესოდაა განმარტებული პოეზიის არსი. ავტორის აზრით, „პოეზია არსად არ სწერია, ის ყოველთვის იგულისხმება. იგი ის არის, რასაც მხოლოდ „მეექვსე გრძნობით" მივწვდებით ხოლმე. პოეზია ნაწარმოების სულია. თვითონ სული ნაწარმოებისა უნდა იყოს პოეტური. მაპატიოს დიდმა ილიამ და ილიასთან ერთად მკითხველმა, თუ გავიხსენებ ძველ და ჩემის აზრით არც თუ ისე უსაფუძვლო საყვედურს: „აგერ, მერცხალი ჰყივის" ვერაფერი პოეტური ფრაზაა, მაგრამ ძნელია ქართულ პოეზიაში მოინახოს ამ ლექსზე უფრო მაღალი აღმაფრენა, ოპტიმისტური სევდა მამულისადმი, რომელიც ილია ჭავჭავაძის კაცობისა და შემოქმედების ლეიტმოტივია".

„აწონილ სიტყვაში" წარმოდგენილია საფუძვლიანი კრიტიკა ე. წ. „აზრის პოეზიისა" და „ინტელექტუალური პროზის". ავტორის სამართლიანი მტკიცებით, ბუნებაში არ არსებობს არავითარი „აზრის პოეზია", ისევე, როგორც დილეტანტის უსაგნო ფანტაზიის ნაყოფია „ინტელექტუალური პროზა".

პირველს ავტორი „შიშველ რიტორიკას" უწოდებს, ხოლო მეორეს — „დროსა და სივრცეს მოწყვეტილ ბელეტრისტულ ვარჯიშობანას", რომლებიც შეიძლება მხოლოდ ახალგაზრდა ავტორებს გამოადგეთ, როგორც ძიება საკუთარი შემოქმედებითი ხმისა და კილოსი.

მხატვრული გამოსახვის ამ ორივე ფორმის სათავე — ავტორის პიროვნების ინტელექტუალური შეზღუდულობა, კარჩაკეტილობა და უზომო თვითკმაყოფილებაა. აქ მყვირალა სახელწოდების ქვეშ იმალება უბადრუკი აზრი და ღარიბი გრძნობა.

ამაოა ასეთი ძიება! პოეტმა მხოლოდ საკუთარი სულის უკეთ გამოხატვის საშუალებანი უნდა ეძიოს, რამეთუ სწორედ მისი სულია სარკე ყოველივე იმისა, რისი გამოხატვაც მას მოუწადინებია.

წიგნის ავტორი ცდილობს გაფანტოს ცალკეული არასწორი წარმოდგენები ქართული კლასიკური მწერლობის ოსტატებზე; აი, თუნდაც ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში უკვე კარგახნიდან დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ დავით კლდიაშვილი თავის შემოქმედებაში იმერეთის შემოდგომის აზნაურთა ცხოვრებას ასახავს, ისევე, როგორც ეგნატე ნინოშვილი გურული გლეხობის ჭირვარამს, ხოლო ყაზბეგი — მოხევეთა ბრძოლას ადამიანური უფლებებისათვისო.

ასეთი შეფასების მიხედვითო, — ამბობს რევაზ ჯაფარიძე, — ამ სამ მწერალსაც და სხვა დანარჩენებსაც „ამა თუ იმ კუთხის ყოფა-ცხოვრების აღმწერლებად გამოვაცხადებთ და ეთნოლოგების კატეგორიაში ამოვაყოფინებთ თავს. უკეთეს შემთხვევაში ვიტყვით: დავითი იმერელი მწერალია, ეგნატე — გურული, ყაზბეგი — მოხევე. თუ მსჯელობის

თანმიმდევრობა დავიცავით, აღმოჩნდება, რომ საქართველოს არცერთი მწერალი არ ჰყოლია".

ყოველი დიდი შემოქმედი მისთვის ნაცნობ გარემოს ასახავს და მისთვის სისხლხორცეულად ახლობელი მასალის საშუალებით წყვეტს ზოგადსაკაცობრიო საკითხებს.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე. ეს არის რევაზ ჯაფარიძის დამოკიდებულება ახალგაზრდა მწერლებისადმი.

რამდენი სიფრთხილე და წინდახედულება რამდენი კეთილშობილება და შიში, — გული არ გაუტეხოს ახალგაზრდა შემოქმედს, ფრთები არ შეაკვეცოს მის გატაცებას, ამავე დროს, რამდენი გაბედული პირდაპირობა და მოქალაქეობრივი ვალის რაოდენ ღრმა შეგნებაა ჩაქსოვილი რევაზ ჯაფარიძის ყველა წერილში, რომელიც ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებას ეხება. „აწონილ სიტყვაში" ვკითხულობთ:

„რაც უფრო ახალგაზრდა და გამოუცდელია ავტორი, მით უფრო ახლოა მისი ქმნილება ფაქტიურ მასალასთან, მით უფრო მოკლებულია განზოგადებას, მით უფრო მეტია ავტობიოგრაფიაში ჩაწნული „საყვარელი ადგილები", გადახვევები, კომპოზიციური მოუწესრიგებლობა, თითქმის უმნიშვნელო, ალაგ-ალაგ ხელისშემშლელი ლამაზი დეტალები. საქმე ის არის, რომ ყველაზე მეტ მხატვრულ დამაჯერებლობასა და სისადავეს ხშირად ამგვარი დეტალები მოიპოვებენ ხოლმე, რადგან მათ ისე თვალნათლივ ხედავს ავტორი, ისე ხელშესახებად, რომ დაწერაც აღარ არის ძნელი. მოდი და გაიმეტე, გადააგდე!"

დამეთანხმებით, ვისაც პროზაში წარმატებით თუ წარუმატებლად უცდია ბედი, მწერლის ამ სიტყვებში უმალ იცნობს საკუთარ „ცოდვას".

რევაზ ჯაფარიძის აზრით, არ კმარა ახალგაზრდა ავტორს ვუკიჟინოთ, რომ მისი ნაწარმოები სუსტია. ასეთი მსჯავრის გამოტანა მეტად იოლია. უფრო ძნელია ურჩიო მას, როგორ მოიქცეს, როგორ დააღწიოს თავი ხარვეზებს, როგორ მიაღწიოს ნაწარმოების სრულყოფას, ძირითადად რაზე გაამახვილოს ყურადღება, რა ჩათვალოს უფრო მნიშვნელოვნად და აუცილებლად.

რევაზ ჯაფარიძემ კარგად იცის, რომ დიდი შემოქმედებითი გამარჯვება უცებ არ მოდის. ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოები ხშირად მხოლოდ მიგვანიშნებს ავტორის ნიჭზე. ნიჭი მწერლისა ამ ნაწარმოებში, ასე ვთქვათ, პოტენციაშია მოცემული.

მრავალმხრივ საინტერესო და მეცნიერულად დასაბუთებულ სტატიაში „ღია წერილი განათლების სამინისტროს" მწერალი ეხება საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის პროგრამის ნაკლოვან მხარეებს და გულშემატკივრის პოზიციიდან განიხილავს ახალგაზრდა თაობის ესთეტიკური აღზრდის პრობლემებს, სამართლიანად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ მშობლიური ლიტერატურის სწავლება სკოლაში პირველ რიგში ერთგულად უნდა ემსახურებოდეს ახალგაზრდობაში ეროვნული სულიერი კულტურის სიყვარულისა და პატრიოტულ-მოქალაქეობრივი იდეების დანერგვის საქმეს, და, ამავე დროს, მიზნად უნდა ისახავდეს მასში მაღალი ესთეტიკური გრძნობებისა და ლიტერატურული გემოვნების დახვეწა-განვითარებას. სწორედ ამიტომ, პროგრამის შედგენისას საკმარისი არ არის ფრიად ანგარიშგასაწევი ე. წ. „თემატური მოთხოვნა", არც ჩვენს ისტორიას და კლასიკოსებს „არავის შესწორება-შელამაზება და უკანა რიცხვით მობოდიშება არ სჭირდება".

ვისაც ორმოცდაათიან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უსწავლია, მან არ შეიძლება განსაკუთრებული მღელვარებით არ წაიკითხოს წიგნში შეტანილი პატარა წერილი „პირველი სხივი", რომელიც თვალწინ წარმოგვიდგენს უნივერსიტეტის მაშინდელი ლიტერატურული წრისა და მისი მესვეურების კეთილშობილ საქმიანობას, ავტორი სულ ორიოდე წინადადებით ხატავს ქართველი ახალგაზრდობის ამაგდარის — აკადემიკოს ნიკო კეცხოველის უაღრესად პოეტურ ბუნებას.

კიდევ რამდენი შთამბეჭდავი სახე და ხასიათია წარმოდგენილი ამ წიგნში. თუნდაც მ. გორკის, ნ. ოსტროვსკის, თ. დოსტოევსკის, ნ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას და სხვების პორტრეტები რად ღირს!

ამ წიგნში ერთი მეტად სიმპათიური მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მისამართით რევაზ ჯაფარიძე ამბობს:

„ო, როგორ გვჭირდება დღეს ისეთები, როგორიც შენა ხარ... როგორ გვჭირდება და ისიც მაინცდამაინც დღეს, ერებისა და სახელმწიფოების დიდ კულტურულ პაექრობაზე!"

მე ამ სიტყვებს სიამოვნებით დავუბრუნებდი მათ ავტორს და დავუმატებდი მისსავე ნათქვამს:

დღეს, როცა „ბევრი რამ გადავსინჯეთ, ბევრი რამ, რაც გუშინ სხვა შუქში გვეჩვენებოდა, დღეს სხვა თვალით შევაფასეთ და წინსვლის მართალი გზებიც დავსახეთ. რა დასამალია: დღეს საქართველოს, მის ყოველ პატიოსან მოქალაქეს, ბევრი დიდი და ძნელი საქმე აქვს გასაკეთებელი. წინსვლის გზაზე ჩვენ ხელს შეგვიშლიან დრომოჭმული, ერის სახის შემარცხვენელი ტრადიციები, რომელთა აღმოფხვრა და უკუგდება ყოველი პატიოსანი მშრომელი ადამიანის წმიდათა-წმიდა ვალია!".

**ნათელა ონაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხმა ხალხის ცხოვრებიდან

ყრუე გიორგი განთქმული ფშაველი მელექსის გიორგი მგელიაშვილის გამოცვლილი სახელია (თიკუნია). მის კაფია-გალექსებებში ხშირად იხსენიება სოფელი ლახატო. მთის ამ პატარა და ლამაზ სოფელში ჩვეულებრივი გლეხის ცხოვრებით ცხოვრობდა, ხნავდა, თესავდა, საქონელს უვლიდა, მტერს და მოკეთეს ღირსეულად ხვდებოდა სტუმართმოყვარე, მომღხენი, მომღერალი და იშვიათი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული გიორგი მგელიაშვილი.

ექსპრომტად თქმული, მოსწრებული და იუმორით აღსავსე მისი კაფიები დიდი ხანია გასცდა არა მარტო ლახატოს, არამედ მისი მშობლიური კუთხის — ფშავის საზღვრებსაც და მთისა და ბარის პოეზიის მოყვარულთა კუთვნილება გახდა. მისმა გალექსებებმა, მოსწრებულმა სატირულ-იუმორისტულმა კაფიებმა, მეტოქე მელექსეებთან პაექრობებმა თანდათან დაკარგეს ავტორი და ზეპირ ვარიანტებად გავრცელდნენ საქართველოს მთასა და ბარში.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" უდავოდ კარგი საქმე გააკეთა, რომ ეს ლექსები ერთად თავმოყრილი, სათანადო შენიშვნა-კომენტარებით ცალკე წიგნად გამოსცა. კრებული შეადგინა. წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ყრუე გიორგის მომსწრემ, მეზობელმა და მახლობელმა, პედაგოგმა ლევან ბოძაშვილმა. ამიტომაც, როგორც ცნობები ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, აგრეთვე ტექსტებისთვის დართული შენიშვნა-კომენტარები ძირითადად სანდოა და მკითხველს ეხმარება სწორად გაიგოს ყრუე გიორგის როგორც მთლიანი შემოქმედება, აგრეთვე ცალკეულ ნაწარმოებთა შინაარსი თუ რეალური საფუძვლები.

კაფიობა საკმაოდ ძველი და თანაც ორიგინალური ჟანრია. ეს ჟანრი უძველესი სინკრეტული ხელოვნების ნიშანს უნდა ატარებდეს, ვინაიდან თხზვა და შესრულება თვით სიმღერის პროცესში ექსპრომტად ხდება. კაფიობა, როგორც ჟანრი, ადრევე იყო ცნობილი, მაგრამ სხვადასხვა კუთხესა თუ თემში მას სხვადასხვა სინონიმური სახელით იხსენიებდნენ („ფშაური", „შამღერება", ან „შამღერნება", „ლექსობა", „მილექსება" და სხვ.).

კაფიობას, როგორც ორიგინალურ ჟანრს, ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველამ მიაქცია საზოგადოების ყურადღება. შემდეგ კი იგი მეცნიერული კვლევის საგნად აქციეს ქართველმა ფოლკლორისტებმა.

ისიც ცნობილია, რომ ეს ჟანრი ყველაზე მეტად აყვავებული და პოპულარული ფშავშია. თვითონ ვაჟა-ფშაველა აღტაცებული იყო ფშაველ მოკაფიავეთა მაღალი ოსტატობით, ხალასი იუმორითა და მხატვრულობით. თანამედროვე ქართველმა ფოლკლორისტებმა მრავალი კაფიის ოსტატი და მათი რეპერტუარი გამოავლინეს და შეისწავლეს. ყრუე გიორგი ერთ-ერთი თვალსაჩინო და ტიპიური წარმომადგენელია კაფიის ოსტატობისა, მის მკითხველს შეუძლია სრული და ნათელი წარმოდგენა იქონიოს საზოგადოდ ქართული კაფიის ტრადიციასა და ღირსებაზე, განსაჯოს მისი იდეურ-მხატვრული დონე, მისი სოციალური თუ ესთეტიკურ-შემეცნებითი ფუნქცია.

ძნელია კრებულში მოთავსებული კაფიების თემატიკური კლასიფიკაცია. ყრუე გიორგის შემოქმედების თემა მთელი ცხოვრებაა, თავისი მსხვილმანებითა თუ წვრილმანებით. იგი ერთნაირი პოეტური ძალით მღერის როგორც ყოველდღიურ კონკრეტულ ამბებზე, ისე ფართო საზოგადოებრივ პრობლემებზე, მაგრამ ყოველგვარ თემაზე შექმნილი ყრუე გიორგის ყოველი კაფია ერთნაირი ლაღი პოეტურობით, ხალასი იუმორითა და უაღრესად გონებანათელი მახვილსიტყვაობით გამოირჩევა.

ყრუე გიორგი საოცარი პირდაპირობითა და მოურიდებლობით ამხილებს ქურდებსა და ავაზაკებს, ზარმაცებსა და მუქთახორებს, ზნედაცემულებსა და გაუტანლებს. იგი მძაფრი სატირითა და ირონიით ააშკარავებს როგორც ცალკეულ პირთა მახინჯ საქციელს, აგრეთვე საზოგადოებრივად მავნე მოვლენებს, როგორიცაა ცრუმორწმუნეობა, დახავსებული თემური ადათების დაცვა და სხვა. ამ მახინჯ მოვლენათა განსჯის საქმეში ყრუე გიორგი ყოველთვის ამაღლებულის და პროგრესულის ქომაგად გვევლინება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყრუე გიორგის რეპერტუარს აშკარად ეტყობა იდეურ-თემატიკური ცვლილება. მისი კაფიების მთავარ თემად იქცა ახალი ცხოვრება: საბჭოური, საკოლმეურნეო მშენებლობა, მთაში სკოლებისა და გზახიდების მშენებლობა და სხვ. უფრო გამახვილდა და ხალისიანი გახდა ხალხური მგოსნის იუმორი. იგი სატირისა და ირონიის ცეცხლში ატარებს ყველაფერს, რაც კი რამ ჩამორჩენილი და მავნეა.

ტრადიციული კაფიები გაბაასების ფორმი-

ყრუე გიორგი. კაფიები. გამომც. „საბჭოთა საქართველო" 1973 წ.

თაა აგებული. მღერა-კაფიობაში უმეტესად ორი კაცი იღებს მონაწილეობას. მეტოქენი ერთი-მეორეს უპირისპირებენ თავის პოეტურ შესაძლებლობებს. სიმღერის პროცესში სახელდახელოდ თხზავენ და მღერიან საპასუხო ტაეპებს. იმდენად რამდენადაც კრებულში შესული კაფიები ასე მონაცვლეობით პაექრობას წარმოადგენს, აქ ყრუვ გიორგისთან ერთად ვეცნობით სხვა ცნობილ მოკაფიავეთა შემოქმედებასაც. წიგნში თავმოყრილი კაფიების დიდი ნაწილი ასეთ ორთაბრძოლის შედეგს წარმოადგენს. პაექრობის დამწყები ხან ყრუვია, ხან კი მისი მოწინააღმდეგე.

მთელ ამ პაექრობაში აშკარადა ჩანს ყრუვ გიორგის იუმორისტული ნიჭი და ლექსის სწრაფად თხზვის უნარი. იგი ძალიან ხშირად სჯაბნის მოწინააღმდეგეს და აიძულებს, თავი დამარცხებულად სცნოს.

ყრუვ გიორგის მასპინძელს სასმელი შემოლევია:

**მასპინძელი:**

რო გაგვითავდა არაყი,
რაღა ვქნათ, ჩემო მძახალო?

**ყრუვ გიორგი:**

უნდა წახვიდე, იშოვნო,
თავი ქვას უნდა ახალო!

მაგრამ ზოგჯერ ყრუვს კაფიის ძლიერ ოსტატებთან უხდება შერკინება. აი ნაწყვეტები ფრუშკა წვეროშვილისა და ყრუვ გიორგის პაექრობიდან.

**ყრუვ გიორგი:**

ჩემთან გადმოხე, ფრუშკაო,
ქალ მოგცე როგორც ეთერი...

**ფრუშკა:**

არ მინდა, შენი კვნესამე,
ათასგან კვერცხის მდებელი.

**ყრუვ გიორგი:**

შენ ჩემ ქალ არ მოგეცემა,
ყროლი ყოფილხარ, ბებერი.

**ფრუშკა:**

ხილი სჯობს დამწიფებული,
რადა ხარ შეუგნებელი?

კაფიის ოსტატები ყოველთვის ცდილობდნენ ახალ-ახალ მეტოქეებს შებმოდნენ, სხვა თემისა თუ კუთხის ცნობილ მელექსეებს გაპაექრებოდნენ.

კრებულში ყურადღებას იქცევს ჩვენი სახელოვანი მეცნიერის აკაკი შანიძისა და ყრუვ გიორგის კაფიობის ნიმუშები, ისინი ერთი-მეორეს 1910 წელს, ფშავში შებმიან. მოვიტანთ ნაწილს:

**ა. შანიძე:**

რატო არ შამამიმღერნებ,
გიორგი ლახატუელო?
კაფიობაი მწადიან,
შენთან სალექსოდ მუელო.

**ყრუვ გიორგი:**

თუ შამიმღერნებ [illegible]
ყრუვი ვარ, განა უენო?

გიორგის ყურთ აკლდა და მისი თიკუნიც (ფსევდონიმი) აქედან მოდის

მაგრამ სახელმოხვეჭილი მომღერალი თავს არიდებს ულირს მელექსეებთან შებმას. ვინმე თომას მამისთვის ცხენი მოუპარავს და გაუყიდნია. ამ ამბის წინ კი იგი ბოძაშვილებს დასდგომია მწყემსად და მათთვის თაფლი მოუპარავს. შემდეგ კი ყრუვ გიორგისთან ლექსობა მონდომებია და აი ყრუვ გიორგის პასუხიც:

დამშორდი, ჩემო თომაო,
არ მინდა შენთან ლექსობა.
ცხენ გაუყიდე მამასა,
გაბოლმებული კვნესოდა.
სუ მოგტირიან ბოძანი,
კარგი გცოდნია მწყემსობა .

კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ე. წ. ცალფა კაფიებს, სადაც ავტორი უპარტნიოროდ მღერის. ამ სახის კაფიებში უფრო მეტი ლირიზმი იგრძნობა. ხშირია ინტიმური განცდებისა და გრძნობების გადმოცემა. მაგრამ ყველგან და ყოველთვის ყრუვ გიორგის კაფიების დამახასიათებელი ნიშანია ჯანსაღი ოპტიმიზმი, სიცოცხლის ხალისი და ლაღი იუმორი. იგი ყოველთვის დასცინის საკუთარ მარცხს, ზარალსა თუ წაგებას, ქილიკობს სიბერესა და დაუძლურებაზე. მოხდენილი იუმორით უმასპინძლდება ოჯახურ უბედურებას და თვით სიკვდილსაც კი. აი როგორ მიმართავს იგი ახალგაზრდა, ცოლდაღუპულ კაცს:

ლექს მითხარ, ბიძაილასა,
რად ჩამოგტირის თავ-ბედი?
შენ ახლა წამაიზარდე,
მე სულ ამ დღეში დავბერდი.

წიგნი, ღირსებებთან ერთად, ზოგიერთ შენიშვნასაც იმსახურებს.

კაფიის სპეციფიკური მხარეა მინიშნება, გადაკვრით თქმა, ქვეტექსტი, რაც სათანადო კომენტარის გარეშე მისი შინაარსის გაგებას აძნელებს.

შემდგენელი უდავოდ სწორედ მოქცეულა, რომ ყოველი ტექსტისათვის შესაბამისი განმარტება-კომენტარები დაურთავს. მაგრამ ზოგჯერ ორ სტროფიანი კაფიის კომენტარს წიგნის მთელი გვერდი უჭირავს, თანაც შენიშვნა-კომენტარებში ნახმარია ისეთი კუთხური სიტყვა, რომელიც კაფიაში არ გვხვდება. შემდეგ კი ეს თავისივე სიტყვები შემდგენელს სქოლიოში ჩამოაქვს და განმარტავს.

ამრიგად, სქოლიოში ვღებულობთ არა ყრუვ გიორგის, არამედ შემდგენლის, ლევან ბოძაშვილის სიტყვების განმარტებას. შემდგენელმა ასე იხმარა და შემდეგ განმარტა სიტყვები გმანვა (გვ. 31), ხავიწი (გვ. 47), ნეკერი (გვ. 98) და სხ. „შეგმანების“ შემცვლელი სიტყვების ნაკლებობა სალიტერატურო ქართულში არ იგრძნობა, მაშინ, როდესაც თვითონ ტექსტში ყრუვ გიორგის მიერ ნახმარი ფრაზა — „სახრინავზე მიყვანა“ (გვ. 48), განუმარტავად არის დატოვებული. თანაც ამ კომენტარებში ბევრი რამ ისეთია შეტანილი, რასაც კაფიასთან უშუალო კავშირი არა აქვს, ან და საერთოდ არ არის საჭირო. მაგალითად, ჭრელი წინდის განმარტებაში ვკითხულობთ: „ჭრელ წინდებს იცმევდნენ... ქალამანის შიგნითო“. განა ვინმეს გაუგონია ქალამნის გარეთ ჩაცმული წინდა? კომენტარების იმ ნაწილშიც, რომელიც უშუალოდ ტექსტს ეხება, კაფიის შინაარსია პროზად გადმოცემული, ეს მაშინ, როდესაც ნაწარმოების ტექსტი ისეც გასაგები და ნათელია (იხ. გვ. გვ. 91, 93, 109, 193 და ა. შ.). კიდევ უფრო არასასურველი მდგომარეობაა, როდესაც კომენტარი ტექსტს არასწორად გადმოსცემს (იხ. ჩოთეშას პასუხი და მისი კომენტარი. გვ. 86.). ხეობელები (გვ. 52) ორჯერაა განმარტებული, კომენტარების მიხედვით იგი სოფელია, ხოლო იმავე გვერდზე, სქოლიოს მიხედვით, ადგილის სახელი. ამ ორივე განმარტებას ის აჯობებდა, რომ ამავე ტექსტში ნახმარი სიტყვა თაქლელი განემარტა, სქოლიოში აგრეთვე ორჯერაა (გვ. 71, 73) სხვადასხვანაირად განმარტებული კოდი. ტექსტებშიც და შესაბამის კომენტარებშიც ხან ვედრაულები წერია, ხან კი ევედრაულები (გვ. გვ. 28, 29, 30 და ა. შ.). თუ კაფიაში მარცვლის მოკვეთა მეტრმა მოითხოვა, კომენტარებში ხომ სწორი ფორმით უნდა დაწერილიყო ეს სიტყვა?

შენიშვნა-კომენტარი არ გააჩნია სწორედ ისეთ კაფიებს, რომელთაც ყველაზე უფრო მეტად სჭირდებოდათ ეს. მაგალითად, მკითხველს უფრო იმ კაფიის კომენტარები აინტერესებს, რომელიც ვაჟა-ფშაველას ეხება. სხვა საარქივო მასალების მიხედვით ჩვენთვის ცნობილია ყრუვ გიორგისა და ვაჟას ურთიერთობა, გამოქვეყნებულია მათი, თითქოს, გაკაფიავების ნიმუშებიც კი. ყველაფერ ამაზე საჭირო ცნობების დართვა უფრო შემატებდა წიგნს ლიტერატურულ ღირსებას.

სამწუხაროდ, ლევან ბოძაშვილი ყრუვ გიორგისა და მის შემოქმედებასთან დაკავშირებულ ლიტერატურას არ ასახელებს, რის გამოც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, პირველად მას აღმოეჩინოს ყრუვ გიორგიცა და მისი შემოქმედებაც. სინამდვილეში კი ყრუვ გიორგი და მისი შემოქმედება შეძლებისდაგვარად დიდი ხანია მკითხველს გააცნეს ქართული ფოლკლორის პუბლიკატორებმა თუ მკვლევარებმა. იმ კრებულების შემდგენლებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ყრუვ გიორგის ლექსებს, მკვლევარს უნდა მოეხსენებია პროფ. აპ. ცანავას წიგნი („გალექსება-გაშაირება და ფშაური კაფია“, 1964), რომელშიც ცალკე თავად გამოყოფილია და განხილული ყრუვ გიორგის ცხოვრება და შემოქმედება. იმავე აპ. ცანავამ მეორე წიგნში („სიტყვა მოვიდა, ქვა დახვდა“, 1964) კვლავ ცალკე თავად და სათანადო შენიშვნა-განმარტებებით გამოაქვეყნა ყრუვ გიორგის ოცდაათამდე რჩეული ნაწარმოები.

მიუხედავად ამ მცირეოდენი ხარვეზებისა, ყრუვ გიორგის „კაფიები“ ჭეშმარიტად ხალისითა და სიამოვნებით საკითხავი წიგნია. იგი მკითხველს უდავოდ მისცემს გარკვეულ წარმოდგენას როგორც საზოგადოდ ფშაური იუმორის, ისე თვით გიორგი მგელიაშვილის შემოქმედების შესახებ.

**დავით გოგოჭური**

# საზღვარგარეთ

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

### ინტერვიუ ქართველ კომპოზიტორთან

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დღითი დღე იზრდება ინტერესი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი: გამოდის ქართული წიგნების თარგმანები. ეწყობა სხვადასხვა გამოფენები, ასრულებენ ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს, იმართება ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლების კონცერტები.

გდრ-ის ლიტერატურულ გაზეთში „ზონტაგში" გამოქვეყნებულია საუბარი კომპოზიტორ გია ყანჩელთან, რომელსაც შემოკლებით ვაქვეყნებთ:

კ ი თ ხ ვ ა: როდესაც მუსიკის მეოთხე ინტერნაციონალურ ფესტივალზე ბერლინში განადი როჟდესტვენსკის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის დიდმა სიმფონიურმა ორკესტრმა თქვენი მეორე სიმფონია შეასრულა, პროგრამის გამომცემლებმა მეტად ცოტა რამ იცოდნენ სიმფონიის ავტორზე. როგორ ახსნით საერთოდ ინფორმაციის ასეთ სიღარიბეს თანამედროვე საბჭოთა მუსიკალურ ხელოვნებაზე?

პ ა ს უ ხ ი: მე ვფიქრობ, რომ გადამწყვეტი ისაა, ჟღერდება ჩვენი ნაწარმოებები საზღვარგარეთ თუ არა. ფესტივალი თქვენს დედაქალაქში ამის სასიკეთო მაგალითია.

კ ი თ ხ ვ ა: რამდენად არის თქვენს ქვეყანაში ცნობილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახლანდელი მუსიკა?

პ ა ს უ ხ ი: არც თუ კარგად. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცნობთ აისლერისა და დესაუს შემოქმედებას და ამ კომპოზიტორებს როგორც თანამედროვე კლასიკოსებს ისე ვაფასებთ. ახალგაზრდა კომპოზიტორებიდან ჩემთვის რამდენიმე სახელია ცნობილი. მე არ დავიწყებ ამ სახელების ჩამოთვლას. მაგრამ მე ვიცი, რომ საბჭოთა კავშირის რადიოსა და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრი სიამოვნებით შეასრულებს მათ ნაწარმოებებს.

კ ი თ ხ ვ ა: ზემოთ მოხსენებული ორკესტრის მიერ გდრ-ში თქვენი მეორე სიმფონია პირველად დიდი წარმატებით შესრულდა 1978 წ. 28 თებერვალს და მას შემდეგ ბევრჯერ გადაიცა რადიოთი. გვითხარით რამდენიმე სიტყვა ამ ნაწარმოების შესახებ..

პ ა ს უ ხ ი: მეორე სიმფონია 1970 წელს დავწერე. იმავე წელს შეასრულა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე (ეს ჩანაწერი თქვენს არქივშიც ინახება). ამ სიმფონიას საფუძვლად დაედო უძველესი ქართული სიმღერები. მე მსურდა ამ სიმღერების შინაგანი სიღრმე და ატმოსფერო სიმფონიური საშუალებებით გადმომეცა.

კ ი თ ხ ვ ა: მშობლიური ფოლკლორის გავლენა ისევ ისე ძლიერია თქვენს თაობაზე, როგორც ეს წინა თაობის კომპოზიტორების მუსიკაში შეიმჩნეოდა?

პ ა ს უ ხ ი: რა თქმა უნდა. ჩვენთან ყველა მღერის და ყოველ ქართველში ბავშვობიდან მშობლიური ხალხური მუსიკა ისე ძლიერად ცოცხლობს, რომ თქვენთვის ეს ალბათ ძნელი წარმოსადგენია. ჩვენი ხალხური მუსიკა თავისებურად მომხიბლავია და როდესაც იგორ სტრავინსკი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ქართული სიმღერების უდიდეს ზემოქმედებაზე ლაპარაკობდა, მას მხედველობაში ჰქონდა ამ სიმღერების როგორც მკაცრი დიატონიკა, ასევე რთული მრავალხმიანობა.

კ ი თ ხ ვ ა: სიმფონია თქვენი შემოქმედების მთავარი სფეროა?

პ ა ს უ ხ ი: დიახ, მე ძალიან ბევრს ვწერ კინოსა და თეატრისათვის, ასევე ჯაზის ორკესტრისათვის, მაგრამ ჩემს მნიშვნელოვან ნაწარმოებებად რჩება სამი სიმფონია და 1968 წელს შექმნილი Largo-Aslegro ფორტეპიანოსა, ლიტავრებისა და სიმებიანი ორკესტრისათვის.

## საფრანგეთი

### 1.800 ლიტერატურული პრემია

საფრანგეთი განთქმულია ლიტერატურული პრემიებით, მაგრამ მათ შორის ძმები გონკურების და რენოდის პრემიები ყველაზე უფრო

გამოირჩევა, გამოირჩევა თუნდაც იმითაც, რომ წლის ლიტერატურული პრემიების მინიჭება იხსნება ორი ზემოთ დასახელებული ჯილდოების დარიგებით.

ასე იყო გასულ წელსაც.

ცნობილ რესტორანში „დრუანში“ ყოველ წელს თავს იყრიან „გონკურების აკადემიის“ წევრები; წესად დადებულ ტრადიციას მათ ახლაც არ უღალატეს, პრემიის მინიჭება სასადილოდ გაწყობილ მაგიდასთან ხდება. მაგიდას უსხედან ჟიურის წევრებიც, ცნობილი ფრანგი მწერლები — არმან ლანუ, ბერნარ კლაველი, რობერ საბატიე და სხვ.

იმავე რესტორანში, სხვა სართულზე კენჭს უყრიან თეოფრასტე რენოდის პრემიაზე წარდგენილთ.

ხოლო რესტორანს ფოტოგრაფებისა და ჟურნალისტების უზარმაზარი არმია ეკვრის გარს და დაძაბულნი უცდიან როდის გაიღება კარები სამსჯავროსი...

კრიტიკოსები და ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ჟიურის ზოგჯერ ძალიან უჭირს გონკურებისა და რენოდის პრემიების მინიჭება, რადგან შედევრები ძალიან იშვიათად იწერება. ლიტერატურული პრემიები კი საფრანგეთში ათასრვაასია. მოდი და მოძებნე ამდენი შედევრი!

### აშშ

### სამი მეფე საჭადრაკო დაფაზე

თანამედროვე ეპოქაში ბევრი რამ იცვლის სახეს, ადამიანის გონების უსაზღვრო ფანტაზიამ მეცნიერების არც ერთი უბანი არ დასტოვა განსაცვიფრებელი რაციონალიზატორულ გამოგონების გარეშე. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ჭადრაკსაც ეს ბედი მოელოდა.

ყველასათვის ცნობილია, ჭადრაკს 64 უჯრა აქვს და ერთ დაფას ორნი უსხედან, თამაშობენ თეთრი და შავი ფიგურებით, თუმცა ისიც დასაშვებია, რომ ერთი რამდენიმე დაფაზე თამაშობდეს, მაგრამ ამითი არაფერი არ იცვლება, ჯამი იგივეა, ერთ დაფას მაინც ორნი ფლობენ, ახლა კი შეიძლება საჭადრაკო დაფას სამნი მიუსხდნენ.

ნიუ-იორკის შტატის როჩესტერის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ჭადრაკის თამაშის ახალი ვარიანტი გამოიგონა, სადაც შეიძლება ერთი სეანსი სამმა მოჭადრაკემ ითამაშოს, საჭადრაკო დაფა ექვსკუთხედი და 93 უჯრიანია. შესაბამისად დაფაზე სამი მეფე თამაშობს. ასეთი თამაშისას მოგებულია ის მოჭადრაკე, რომელიც დაფაზე ორ მეფეს დაამარცხებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთი „ზონტაგი“ ჭადრაკის ამ სიახლეზე მეტს არაფერს იუწყება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ინგლისი

### „ტოლსტოის საგა“ 20 სერიად

ლევ ტოლსტოის უკვდავი ქმნილება „ომი და მშვიდობა“ კინოხელოვანთა ყურადღების ცენტრშია. სამი წელი მოანდომა ინგლისელმა რეჟისორმა ჯეკ პულმანმა „ომისა და მშვიდობის“ ტელეეკრანიზაციას. ინგლისში ფილმმა დიდი წარმატება ხვდა წილად და მიმომხილველებმა 20 სერიიანი ნაწარმოები ასე მონათლეს — „ტოლსტოის საგა“.

ფილმი ძირითადად იუგოსლავიაში გადაიღეს და ორასი მსახიობი იყო დაკავებული გადაღებისას. მაყურებლებს რომ გაადვილებოდა ოცსერიიანი ფილმის აღქმა, ამიტომ ტელევიზორით ე. წ. მოსამზადებელი გადაცემა მოაწყვეს და გამოუშვეს ახსნა-განმარტებითი ბუკლეტები, მათში ჩამოთვლილი იყო ყველა მოქმედი პირი და მოთხრობილი ყველა ძირითადი მნიშვნელოვანი ამბები.

ვიდრე ფილმს ტელეეკრანებზე აჩვენებდნენ, მიმომხილველები დამდგმელთა აზრებს აქვეყნებდნენ პრესაში. დამდგმელებს თურმე შიში ჰქონდათ იმისი, რომ „ომისა და მშვიდობის“ საბჭოური და ამერიკული ფილმების შემდეგ მათ ტელეფილმს წარმატება არ ექნებოდა.

### აფროდიტას თავი იპოვეს?

როგორც „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, ახლახანს ინგლისი მართლაც რომ სენსაციურმა ამბავმა შესძრა. ბრიტანეთის მუზეუმში მომუშავე ამერიკელმა არქეოლოგმა აირის ლავმა ერთ-ერთი ექსპონატის შესწავლისას განაცხადა, რომ მან იპოვა უძველესი ბერძენი მოქანდაკის პრაქსიტელის ნამუშევრის „აფროდიტას“ დაკარგული თავი. ნიუ-იორკში ამერიკელმა არქეოლოგმა საჯაროდ განაცხადა, რომ მისი აღმოჩენა კლასიკური ხელოვნების სფეროში ყველაზე დიდი აღმოჩენათაგანია.

მოხდა ისე, რომ ჯერ-ჯერობით აირის ლავის აღმოჩენის სისწორე მეცნიერებმა არ გაიზიარეს და ბევრ ისეთ არგუმენტს უყენებენ ამერიკელ მეცნიერს, რომ ფიქრობენ იგი ალბათ მალე ხელს აიღებს თავის „აღმოჩენაზე“. საწინააღმდეგო არგუმენტები ბევრია, ერთი მეცნიერი მომაკვდინებელ არგუმენტსაც აყენებს, აფროდიტას ქანდაკების ტანის მარმარილო და ახლახან აღმოჩენილი თავის მარმარილო ერთმანეთისგან ხარისხობრივად განსხვავდებიანო.

კამათი გრძელდება, თუმცა ამერიკელი არქეოლოგის არგუმენტები დამაჯერებლადაა უარყოფილი, ასე ფიქრობენ მეცნიერები.

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ